3. სამშობლო მიწის საყვედურის მონოლოგი – 2 სტროფი, შემდეგ მოსდევს რეფრენი. მათ შუა რეფრენს ადგილი არ აქვს. იგი მოთქმის სიტყვას ჰგავს და მხოლოდ ერთი რეფრენი სჭირდება ისე, როგორც მოთქმის ტექსტით ერთ მუხლს ქალების ბანი “ე-ე-ე” მოსდევს ხოლმე.

4. ხალხის პასუხი სამშობლო მიწისადმი – ოთხი სტროფი, ამათგან პირველი და ბოლო სტროფი ერთმანეთის მსგავსია, ოღნავი სახეცვლილებით, ე. ი. რკალისებური კომპოზიციაა. აქ ყოველი სტროფი მოთქმისა ცალკე მუხლისებურია და ყოველი მათგანის შემდეგ უნდა იყოს რეფრენი, ხალხის გუნდის მოძახილი, მოთქმით “ე-ე-ე”.

5. აქ ავტორის რეაქციაა გამონატული უსაზღვრო დარდის მერე (“თეთრ ბალიშს შავი ცრემლი რომ დასდის”) და საიდანდაც იმედის მომცემი ხმაც გაისმის. აქაც უკვე აღარ უხდება რეფრენი. იმედიანი სიტყვების მერე ხალხის მოთქმა უნდა მიჩუმდეს.

6. ავტორის ბოლოთქმა – ნუგემისმომცემი სიტყვებით დაიმედება, გულისთვის ოღნავი შვების მიცემა. და ბოლოს ხალხის საუკუნოვანი დარდის თემა ერთხელ კიდევ უნდა გაჟღერდეს. ვისმენტ კვლავ რეფრენს, გუნდის სიტყვებს:

“ოი, ჩვენო ქვეყანავ, ჩვენო მთებო, _
როგორღა ვიცოცხლოთ თქვენ შემდეგ!”

უნდა ითქვას, რომ ნაფის ამ კომენტარების წერისას აშკარად ჩანს მისი დიდი განსწავლულობა პოეტიკისა და ოსური ლესთწყობის საკითხებში. ყველა წნადადებაში იგრძნობა ის სიფრთხილე, რასაც იგი იჩენს თითოეული სტროფისა თუ სტრიქონის მიმართ:

„ნაწარმოები არის მთლიანი მუსიკალური კომპოზიცია, რთული, მაგრამ მყარ ლოგიკურ საფუძველზე აგებული. თემირბოლათი ძლიერ ნიჭიერი პოეტი იყო და თუმცა მისი ტექსტი პირვანდელი სრულყოფილებით არ გვაქვს ხელთ, მაინც მთავარი, რაც უნდა ეთქვა პოეტს, ნათლად იკვეთება. მე სწორედ ამის საფუძველზე შევახე ხელი მის კომპოზიციას.

„Махуылфы арф кыы вардтон...“

„გულში რომ ღრმად ვინახავდი“

მილერთანაა: „გულში რომ ვინახავდი“. სიტყვა „ღრმად“ დავამატე პწკარის მუსიკალურობის გამოსასწორებლად, არც ტექსტის აზრს ეწინააღმდეგება.

„Цæрд на агурæм дæфæстæ...“

„სიცოცხლეს არ დავეძებთ შენს შემდეგ“, ეს სტრიქონი მილერთანა ასეა: „სიცოცხლეს არ ვითხოვთ შენს შემდეგ“. ჩემი აზრით, ეს არის სალამოვის ხელნაწერის გარჩევისას მილერისა და კოკიევის მიერ დაშვებული შეცდომა. ფორმულა: „სიცოცხლეს არ დავეძებთ შენს შემდეგ“ არის თემირბოლათის საყვარელი თეზისი. იგი ტექსტში ორჯერ გვხვდება. აქაც უეჭველად ასეა, ოღონდ „არ დავეძებთ“, ჩვეულებრივ, ხელნაწერში შეიძლება წაკითხულ იქნას როგორც „არ ვითხოვთ“, მით უმეტეს, დიგორულად (გ-კ).

„Удæн уд дæр ды кув дæ...“

„სულის სულიც შენა ხარ“ მილერთანაა: „მათი სულიც ხომ შენა ხარ“. მილერი კომენტარს უკეთებს – “მიწის შვილების, ხალხის სული”. კი, მაგრამ ხალხი თვითონ უხმობს სამშობლოს და თავის თავს “მათიო” მოიხსენიებს? მაშინ უნდა ყოფილიყო – “Уыдон”.

აქ საეჭვო არაფერია, მილერმა და კოკიევმა სალამოვის ხელნაწერში “æ” ვერ გაარჩიეს და «o» წაიკითხეს. ოსურ ხელნაწერში ეს ორი ასო ერთმანეთს ძლიერ ჰგავს. ამრიგად, ერთი ასოს შეცვლით დაიკარგა სტროფის პოეტური მხატვრულობა: მეტაფორა “სულის სული” (душа души) გადაიქცა უბრალო ინფორმაციად “მათი სული”.

„Зæрдæйы уæлæхуыд кув дæ...“

„გულზეც დაკრებული რომ ხარ“ მილერთან ასეა: “გულზე ზედ დაკრებული შენ ხარ”, აქ რითმა “შენ რომ ხარ” აუცილებლად თხოულობს “დაკრებული რომ ხარ”. არ უხდება აქ „გულზე ზედ“. “გულზე” უნდა იყოს თემირბოლათის პოეტიკის მიხედვით. ამრიგად, გამოვიდა “გულზეც დაკრებული ხარ.”

«Кув нал хъæцыдтæн сагъæсыл...»

“რომ აღარ ველოდი მწარე ფიქრს” მილერთანაა: “ჩემი გული ვერ აიტანს ამ სიმწარეს”. ეს პწკარი სალამოვის ხელნაწერში არ იყო და კოკიევმა ჩაამატა. მე იგი შევცვალე ტექსტთან უფრო მიახლოებული სტრიქონით. მაგრამ ესეც, რა თქმა უნდა, თემირბოლათის ტექსტი არ არის.

«Уæд мæм кæцæйдæр æрдзырдис...»

„მაშინ საიდანღაც ჩამომძახეს“ მილერთანაა: “მაშინ მას”. ეს არაა სწორი, პოეტი თავისი სახელით საუბრობს და უნდა იყოს “მაშინ მე”.

კომენტარები ყოველთვის ღრმა განსწავლულობას მოითხოვს და სწორედ ეს ეხმარება მის ავტორს საზიებელი სიტყვა სხვადასხვა ენის საფუძველზე განიხილოს. ენათმეცნიერი ზოგჯერ არაბულ, ზოგჯერ ქართულ და სხვადასხვა ენაში არსებულ ფუძესიტყვას იშველიებს და მის საფუძველზე ხსნის კვანძს.

«Магуыры дуга хъаныл у...» – „ღარიბის ვედრებას უფალი შეისმენს“... მილერთანაა: „ღარიბის ვედრებაზე უფალი ყაბულსაა“. აქაც ინვერსია ხელოვნურადაა ჩართული, რაც ძალზე იშვიათია თემირბოლათის პოეტიკაში. პწკარის მუსიკალურობაც ირღვევა. შევცვალე უბრალო ხალხური ფორმით.

Дуга, дуга – არაბული სიტყვაა, ნიშნავს ვედრებას, ლოცვას, ღარიბის ლოცვა.

Хъаныл, ყაბულ – არაბული სიტყვაა, ნიშნავს ადვილად შესასრულებელს, ნდობის ღირსს. სამხრეთ ოსეთში გადმოქართულებულ ტერმინს ხმარობენ – ყაბულ(ი), ე. ი. თანხმობა. ყაბულსა ვარ – თანახმა ვარ (შენს ვედრებაზე, ლოცვაზე, თხოვნაზე), მომწონს აქ: ღარიბის ლოცვას უსმენს ღმერთი.

Залым, ზალიმ – არაბულია, ნიშნავს მარჩენალს, მოძალადეს, ტირანს. აქ: ხელმწიფეს.

(ჯუსოითი, 2007:107-109).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ საგანგებოდ მოგვყავს ამ ერთი ლექსის კომენტარები

ვრცლად, რათა მკითხველისათვის ცხადი გახდეს, თუ როგორ სკლუპუროზულად იხილავს მეცნიერი ტექსტის ყველა ნიუანსს, რათა მას მიეცეს უფრო დახვეწილი და შესაბამისი ფორმა თუ შინაარსი. ასეთივე იუველირის სიზუსტითა და სიფრთხილით მუშაობს ამ ტექსტებზე ნაფი ჯუსოითი სხვაგანაც. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

„ლექსში შეცვლილი ადგილები მრავლადაა: ორგან ხუთპწკარიანი სტროფია, როცა ოთხსტროფიანად გაკეთება თავისუფლად შეიძლებოდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ასლების გადამღებებმა გადმოწერეს ძველი ტექსტის ის ვარიანტი, რომელიც ჯერ დასრულებული არ იყო. დასაჯერებელი არაა უფროსის საუბრის დასაწყისი რითმა „სიმღერები – სიმღერები“ რომ არის. მით უმეტეს, ადვილად შეიძლება მისი შეცვლა სხვა სიტყვით. ვთქვათ, თქმულებით. უმცროსი სთხოვს, „გვიამბე ერთი თქმულება“.

„Къордтæ, дихтæ, баистæм...“

„ჯგუფებად, ნაწილებად დავიყავით“... ინალიყის გადაღებულ ტექსტშია – „ჯგუფებად, ნაწილებად.“ შეცდომა ასლის გადამწერისა რომაა, ნათელი იყო და გავასწორე.

“Мах залымæн ныуагътам...”

“ჩვენ ტირანი შეგვატოვეთ...”

ტირანს პოეტი უწოდებს რუსეთის ხელმწიფეს...

„Æнæмæрдзаг, ызмысы...“

„უსუდაროდ, ქვიშაში...“ ასლშია: “ызмысæй” „ქვიშით“.

შეცდომაა უეჭველად «Ныгæдтæм сæ ызмысæй» – „ვმარხავდით ქვიშით.“ არაა სწორი გრამატიკული ფორმა – საჭიროა ითქვას “ызмысы” – ქვიშაში.” ამას ადასტურებს ასლის გადამღების მიერ დაწერილი რითმაც“ (ჯუსოითი. 2007:110).

აკად. ნაფი ჯუსოითის კომენტარები მაღალ დონეზე შექმნილი ფილოლოგიური და მეცნიერული ნაშრომია, რომლის გარეშეც თამირბოლათ მამსუროვის არაპროფესიულად, სხვაენოვანი შრიფტის საფუძველზე ამობეჭდილი ლექსები მკითხველისათვის გაუგებარი იქნებოდა. სწორედ ასეთ მაღალპროფესიულ დონეზე გაკეთებული კომენტარები და მის საფუძველზე დადგენილი ტექსტები იძლევა საშუალებას, თემირბოლათ მამსუროვის ლექსები სათანადოდ იქნას აღქმული მკითხველის მიერ. ნაფი ჯუსოითმა აშკარად დიდი საქმე გააკეთა ამ ტექსტებზე ასეთი მნიშვნელოვანი კომენტარების დართვით.

ლიტერატურა:

1. მილერი 1881: Всеволод Миллер, Осетинские Этыюди, кн. 1. Москва.
2. ოსური სიმღერები 1965: «Ирон зарджытæ», Цхинвал.
3. მამსუროვი 2007: თემირბოლათ მამსუროვი, „ოსური სიმღერები“, მთავარი რედაქტორი ნაფი ჯუსოითი, რედაქტორი ნინო პოპიაშვილი. საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი „კავკასიური სახლი“, თბილისი.
4. ჯუსოითი 2007: ნაფი ჯუსოითი, შენიშვნები, წიგნში – თემირბოლათ მამსუროვი, „ოსური სიმღერები“, თბილისი.
5. პოპიაშვილი 2007: ნინო პოპიაშვილი, თემირბოლათ მამსუროვი, წიგნში – თემირბოლათ მამსუროვი, „ოსური სიმღერები“, თბილისი.
6. ბრეგაძე 2007: ლევან ბრეგაძე, „მეხვედრა პოეტთან“, წიგნში თემირბოლათ მამსუროვი, „ოსური სიმღერები“, თბილისი.

Naira Bepievi

Doctor of Philology, Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

TEMIRBOLAT MAMSUROV'S POEMS AND COMMENTARIES BY NAPHY DZHUSOITY

Abstract

The poems of Temirbolat Mamsurov (1845-1899) had a tragic fate like the author. In the 60s of the 19th century, Ossetians were forced to leave their homeland, which caused an extremely

painful situation for each of them. Among them was Ossetian poet Temirbolat Mamsurov, who could not adapt to the events around him until the last moments of his life. Temirbolat Mamsurov's poems were unexplored for a long time. His poem "Thoughts" was first published by Vsevolod Miller as a folk sample. It soon became clear that this poem belonged to Temirbolat Mamsurov. Bekir Bey Kundukhti brought some of his poems to Vladikavkaz in 1922. These poems were published for the first time in the Ossian language with Russian translations by Barisby Alborti (Vladikavkaz 1926).

The poems of Temirbolat Mamsurov were published in Russian in South Ossetia in 1946 (translator E. Gegelashvili, author of the foreword, Al. Biazirov). The poet's poems were published as a separate book in his native language in 1965 in Tskhinvali. The book was prepared for publication; preface and comments were added by Naphy Dzhusoity («Ирон зарджитæ», Цхинвал, 1965).

Temirbolat Mamsurov's poems are published in Georgian as well. These poems were translated into Georgian and prepared for publication by Naira Bepiev (Temirbolat Mamsurov, "Ossetian Songs", *Caucasian House*, Tbilisi, 2007).

The paper deals with Academician Naphy Dzhusoity's comments that are valuable and important for a better understanding of the poet's poems.

Keywords: Temirbolat, Mamsurov, poet, Ossetian, Georgian, poems.

სალომე ბედუკაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
თბილისი, საქართველო,

ბორის პასტერნაკის ცხოვრებისეული და შემოქმედებითი კავშირების დამყარება ქართველებთან (მიმოწერის მიხედვით)

შესავალი. ბორის პასტერნაკისა და მისი ქართველი ადრესატების ქართულ თუ რუსულ ლიტერატურულ ცხოვრებაში მათი მნიშვნელოვანი როლიდან გამომდინარე ეს მიმოწერა ყოველთვის წარმოადგენდა მკვლევართა ინტერესის საგანს. მისი შესწავლა არსებითად მნიშვნელოვანია ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის და სანამ ისაუბრებენ პაოლო იაშვილზე, ტიცინ ტაბიძეზე, გიროგი ლეონიძეზე, სიმონ ჩიქოვანსა თუ სხვა ქართველ მოღვაწეებზე და იმდროინდელ ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე, იქამდე არც ეს საკითხი დაკარგავს აქტუალობას, განსაკუთრებით დღევანდელ სიტუაციას თუ გავითვალისწინებთ, როდესაც ასეთი იშვიათობა გახდა ამ ურთიერთობების პოზიტიური მაგალითები.

რუსი მწერლის მთელი შემოქმედების მომცველი 11-ტომეულის გამოსვლამდე მკვლევარები მიმართავდნენ წერილებს, რომლებიც სხვადასხვა გამოცემებში იყო დაბეჭდილი. ბორის პასტერნაკის ქართულ ადრესატებთან მიწერილი წერილების პირველი პუბლიკაციების ავტორი გიორგი მარგველაშვილი იყო. ისინი დაიბეჭდა ჟურნალებში «Литературная Грузия», 1966, №1-2 და «Вопросы литературы», 1966, №1., მრავლად არის სხვა მკვლევართა პუბლიკაციებიც «Литературное наследие»-სა და სხვა ჟურნალ-გაზეთში. აღსანიშნავია გ. ბებუტოვის პუბლიკაცია «Литературная Грузия»-ს 1968 წლის მე-8 ნომერში («Это обмен опытом, это жизненное дыхание наших республик»). ნინო ტაბიძესთან პასტერნაკის მიმოწერის შესახებ ძალზედ საინტერესო კვლევა ეკუთვნის პროფესორ მარია ფილინას. საქართველოსთან ბორის პასტერნაკის დამოკიდებულების შესახებ წერენ ვალენტინა ბალუაშვილი, ირინა ჩერნიავსკაია, ელენე ყიასაშვილი და სხვები.

ბორის პასტერნაკის ნაწარმოებების სრული კრებულის 11-ტომად გამოცემის შემდეგ შესაძლებელი გახდა მწერლის არა მხოლოდ ქართულ ადრესატებთან მიწერილი წერილების, არამედ მთლიანად მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობის ერთიანობაში შესწავლა. კრებულის შემდგენლები და დართული კომენტარების ავტორები არიან ე. ბ. პასტერნაკი და ე. ვ. პასტერნაკი. წინასიტყვაობა ეკუთვნის ლ. ს. ფლეიშმანს. წინამდებარე სტატიაში მოხმობილი დეპეშის ტექსტები, წერილში გადაკვრით ნახსენები არაერთი ფაქტის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია სწორედ დართული კომენტარებიდან არის მოყვანილი.

საქართველოში მოგზაურობამდე იცნობდა პასტერნაკი ჩვენს ქვეყანას, ხოლო ქართული საზოგადოება – პასტერნაკს. 1931 წლის ზაფხულში პოეტის საქართველოში ჩამოსვლის შედეგად იწყება ხანგრძლივი შემოქმედებითი კავშირები, რასაც წინ უძღვოდა ბორის პასტერნაკისა და ქართველ მოღვაწეთა დამეგობრება და პირადი ურთიერთობები, როგორც თავად აღნიშნავს, „წყაროს“ შეყვარება, ქართული პოეზიის უსიტყვოდ გაგება, ხოლო ამის შემდეგ წლების განმავლობაში მათ თარგმანებზე მუშაობა.

საქართველო პასტერნაკის ნაწილად იქცა. აქ მოგზაურობა მისთვის საკუთარ თავში მოგზაურობას ნიშნავს. პოეტის სიყვარულის გამოვლინება თითოეული ადრესატისადმი – ეს მთელი საქართველოსადმი სიყვარულის გამოხატვაა.

მეთოდი: შედარება-შეპირისპირება, ქრონოლოგიურ-სტრუქტურული ანალიზი, აღწერა.

დისკუსია. ბორის პასტერნაკს ქართველები საქართველოში ჩამოსვლამდე, ჯერ კიდევ პაოლო იაშვილის მონათხრობიდან იცნობდნენ. ნინო ტაბიძე იგონებს, 1931 წლის ზაფხულში როგორ მოელიან მოსკოვში წასულ პაოლო იაშვილს, რომელიც წერილს წერილზე აგზავნის და ქართველ მეგობრებს იქაურ მწერლებთან შეხვედრის ამბებს უყვება. სამშობლოში დაბრუნებული პაოლო განსაკუთრებული აღფრთოვანებით ბორის პასტერნაკის შესახებ საუბრობს. (Пастернак, 2004: 30)

პასტერნაკი პაოლო იაშვილისთვის მოსკოვში მიცემულ პირობას ასრულებს და პირველად საქართველოში 1931 წლის 13 ივლისს ჩამოდის. მას პაოლომ უმასპინძლა. რუსი პოეტის გასაცნობად თავისთან მიიწვია ნინო და ტიციან ტაბიძეები და ვალერიან გაფრინდაშვილი. ნინო ტაბიძე თავის მოგონებათა წიგნში „ცისარტყელა განთიადისას“ წერს: „...იმხელა შინაგანი მგზნებარება იყო მასში, ისეთი შთაგონებით სავსე სახე ჰქონდა პასტერნაკს! ვიდექით გახევებულები. მან გაგვიღიმა – და გავიღიმეთ ყველამ, და ჩვენ უკვე მეგობრები ვიყავით საუკუნოდ“ (Пастернак, 2005: 320). იმ საღამოსვე დაგვემეს, თუ როგორ გავცნოთ უკეთ საქართველო რუსი პოეტისათვის, სად წაეყვანათ, რა ენახებინათ. ტიციან ტაბიძეს გაკვირვებით უთქვამს პასტერნაკისათვის, ძნელია იმის დაჯერება, რომ „დემონის“ დამწერს კავკასია არ აქვს ნანახიო. პასტერნაკს კი მიუგია, ნებისმიერმა, ვისაც უყვარს და იცის რუსული პოეზია, იცის კავკასიაც და მით უფრო საქართველო, ჩვენ იქ არაერთხელ ვყოფილვართო. პასტერნაკი ამ მხრივ, თავისი დიდი წინაპრების, პუშკინის და ლერმონტოვის ტრადიციების გამგრძელებლად გვევლინება, ამოგზაურებს, აცნობს და აყვარებს რუს მკითხველს ჩვენს ქვეყანას, მის კულტურასა და ისტორიას.

1931 წლის ზაფხულში საქართველოში პირველი მოგზაურობით მიღებული მთაბეჭდილებები ბორის პასტერნაკმა ავტობიოგრაფიულ ნარკვევში „ადამიანები და გარემოებანი“ გადმოსცა, სადაც სიყვარულითაა გაცოცხლებული პაოლო იაშვილისა და ტიციანის ტაბიძის სახეები.

პირველ დღეებში პაოლო იაშვილმა ბორის პასტერნაკს თბილისის შემოგარენი მოატარა; მოინახულეს მცხეთა და ჯვარი. ნახული და განცდილი პოეტმა გადმოსცა თავის ლექსებში «Вечерело. Повсюду ретиво...» (1931) [« Мельтеша, точно чернь на эфесе,/В глубине шевелился Тифлис»] და «Пока мы по Кавказу лазаем» (1931).

მასპინძლებმა პასტერნაკი წინანდლის მოსანახულებლადაც წაიყვანეს. ტიციანი, როგორც ნინო ტაბიძე იხსენებს, ოცნებობდა რომანი დაეწერა ნინო ჭავჭავაძეზე. იგი

აღტაცებით უყვებოდა პასტერნაკს ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალზე. უნახვებიათ ნახევრად დანგრეული ტაძარი, სადაც, გადმოცემის თანახმად, ნინოს და გრიბოედოვს დაუწერიათ ჯვარი. ქართველი რომანტიკოსის რომანტიკით მოცულ გარემოში მოსმენილმა სიყვარულის ამბავმა, ასევე შამილის ისტორიამ, რომელმაც ალექსანდრე ჭავჭავაძის ძე ტყვედ წაიყვანა, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა პასტერნაკზე: „პასტერნაკი კრძალვით ეხებოდა თითოეულ ხეს და ფიქრებით იმ დროში გადადიოდა, როცა აქ ალექსანდრე გრიბოედოვი და მისი ქართველი მეგობრები იმყოფებოდნენ“. პოეტი შთაგონებას ქართველთა მითიურობამდე მისულ ისტორიაში პოვებდა.

ავვისტო პასტერნაკმა კოჯორში გაატარა, სასტუმრო „კურორტი“, სადაც ოდესღაც ანდრეი ბელი ცხოვრობდა. ქართველ მეგობრებს ბორის პასტერნაკისა და ზინაიდა ნეიჰაუზისათვის უნახვებიათ ციხე-სიმაგრე ქერ-ოფლი, უძოს მონასტერი. სტუმრები განსაკუთრებით გაუოცებია მანგლისის გზაზე წითელ ლენტებშებმული ბუჩქის დანახვას. ხალხური რწმენით, თუ ბავშვი ყვიანახველით დაავადდებოდა, ნათესავები მიდიოდნენ და ამ ბუჩქს წითელ ლენტებს აბამდნენ. დედებს სწამდათ, რომ ასე შესაძლებელი იყო ავადმყოფობის მომადლიერება, რათა მას დაენდო, არ გაეწირა ბავშვი. ამგვარი თქმულებების, რწმენა-ჩვეულებების, ერის ისტორიის გაცნობა პასტერნაკს უადვილებდა ქართველ პოეტთა მხატვრული სახეების, იდეების, მათი მსოფლხედვის გაგებას, წვდომას, გათავისებას.

კოჯრიდან პოეტი ტიციანთან და პაოლოსთან ერთად ბორჯომში გაემგზავრა, იქიდან მომავალნი კი ბაკურიანში გიორგი ლეონიძეს ესტუმრნენ. ვახშამი ტყეში მოუწყვიათ, სუფრას ჩირადნები უნათებდათ. ამ ყოველივემ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა პასტერნაკზე. თბილისში დაბრუნებული აღტაცებით უამბობდა ნინო ტაბიძეს ბაკურიანზე, ლეონიძესთან გამართულ ვახშამზე, გასოცარი სილამაზის ეფემიაზე და მათ შვილებზე. სექტემბერში, აბასთუმნის, ბორჯომის და ბაკურიანის მოვლის შემდეგ, პაოლო იაშვილმა პოეტი ქობულეთში წაიყვანა. სწორედ აქ გაიცნო სიმონ ჩიქოვანი და ბესო ჟღენტი. ამ მოგზაურობას უძღვნა პასტერნაკმა 1932 წელს დაწერილი ლექსი «Волны».

ბორის პასტერნაკი სულ ოთხჯერ იყო საქართველოში. პირველად – 1931 წელს, შემდეგ – 1933 წელს; მესამედ ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილესათვის, 1954 წელს ჩამოვიდა, ხოლო უკანასკნელად გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, 1959 წლის თებერვალ-მარტში ესტუმრა თბილისს მეულლესთან, ზინაიდასთან ერთად. როგორც მარია ფილინა აღნიშნავს, მას დიდი დრო არ გაუტარებია საქართველოში, „...თუმცა მათ, ვინც იცნობს ბ. პასტერნაკის შემოქმედებას, ექმნებათ სამართლიანი წარმოდგენა, რომ ეზიარა რა ერთხელ ამ ქვეყანას, აღარასდროს დაუტოვებია იგი“ – (Филина, Киасашвили, 1990).

საქართველოში პასტერნაკის უკანასკნელი გამომგზავრება არ იყო მისი კეთილი ნება. იგი თბილისში ცხოვრობდა საბჭოთა ხელისულების განკარგულებით, რომელიც ცდილობდა თავიდან აეცილებინა ინგლისის პრემიერ-მინისტრის, მაკმილანის, პოეტთან შეხვედრა. შეხვედრას თავად მაკმილანი მოითხოვდა. საქმე ნობელიის პრემიის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟს შეეხებოდა, რომელზეც იძულებით ათქმევინეს უარი.

საქართველოში პირველი მოგზაურობიდან დაბრუნებული პასტერნაკი 1932 წლის 30 ივლისს სვერდლოვსკიდან წერს პაოლო იაშვილს. მღელვარება ეტყობა და არც მალავს. სურს ნათლად და სრულყოფილად გადმოსცეს სათქმელი. ურალი საქართველოს აგონებს პოეტსაც და ზინასაც. „საშინელი ძალით ვიგრძენი სიხარული თქვენ გამო, რომ ახლა მანდ ხართ, ეს ყველაფერი გარს გახვევიათ და ყველა მათგანს ისევ ნახავთ“ – წერს იგი (პასტერნაკი, 2018: 29-30). მშობლიური ადგილებივით ენატრება თბილისი, ოქროყანა, ქობულეთი, წაღვერი და ბაკურიანი. პოეტისათვის საქართველო მხოლოდ ლამაზი ადგილები ან საყვარელი ადამიანები როდია, არამედ რაღაც უფრო მეტია, ასეთი იშვიათობა რომ გამხდარა. ამ „რაღაცას“, რაც მისთვის განსაკუთრებულს ხდის საქართველოს, თავის ნარკვევში „ადამიანები და გარემოებანი“ ასე განმარტვას: „მოწინავე საზოგადოე-

ბის მაღალი კულტურა, გონებრივი ცხოვრება, იმ წლებში ასეთი იშვიათი“ (Пастернак, 2004: 611). პასტერნაკისთვის ამოუხსნებელია, რომ ჩვენი ქვეყანა „სრული აბსტრაქციის სფეროს“ კი არ განეკუთვნება, არამედ დღემდე განაგრძობს არსებობას.

ამ „რადაცის“ შესახებ, რაშიც მდგომარეობს საქართველოს გამორჩეულობის არსი, პასტერნაკი მოგვიანებით რაისა მიქაძესაც მისწერს. წერილი ზედმეტად ღრმა და ემოციურია საიმისოდ, რომ მის ადრესატად პასტერნაკი მხოლოდ რაისა მიქაძეს გულისხმობდეს. წერისას პოეტი უფრო აღვივებს მოგონებებს და ამგვარად ხელახლა განიცდის თბილისში გადამხდარს. იგონებს საოცარ აღმოსავლეთს, მთებს, ბუნებას, მრავალფეროვან ქართულ ხასიათს, ქალურ სილამაზეს, ხმაურიან ნადიმებს და, როგორც თავად აღნიშნავს, კიდევ რადაც იღუმალს, რომლისთვისაც სახელი ვერ დაურქმევია და რაც ამ იღუმალებით კიდევ უფრო აღელვებს (პასტერნაკი, 2018: 166-169).

თბილისი, აქ შექმნილი მეგობრები, მოვლილი ადგილები, ყოველივე აქ განცდილი პასტერნაკის შთაგონების ახალი წყარო გახდება. ეს ქალაქი და აქ მცხოვრებნი მისთვის იმავედ იქცა, რაც იყო შოპენი, სკრიაბინი, მარბურგი, ვენეცია, რილკე და პაოლო იაშვილს ჰპირდება, რომ როგორც მწერალი, ის აუცილებლად აქცევს სიტყვად ამ ყოველივეს (პასტერნაკი, 2018: 30-31). ბორის პასტერნაკს სურს, „დაცვის სიგელში“ ცალკე თავები დაუთმოს სკრიაბინს, მარბურგს, რილკეს, ვენეციას და ასევე, თბილისსაც, როგორც უმნიშვნელოვანეს მოვლენებს თავის ცხოვრებაში. „მას შემდეგ, რაც „დაცვის სიგელი“ დაიბეჭდა, ათწლეულების განმავლობაში არაერთხელ მიფიქრია, მისი ხელახალი გამოცემა რომ დამჭირვებოდა, აუცილებლად დავუმატებდი ერთ თავს კავკასიაზე და ორ ქართველ პოეტზე-მეთქი“ – აღნიშნავს იგი ნარკვევში „ადამიანები და გარემოებანი“ (Пастернак, 2004: 341). ამ ჩანაფიქრის განხორციელება პასტერნაკმა მხოლოდ მისი რეპრესირებული მეგობრების რეაბილიტაციის მერე, 1956 წელს მოახერხა. ამ თემატიკას ეძღვნება ნარკვევის ერთ-ერთი ნაწილი „სამი ჩრდილი“ («Три тени»). ეს სამი ჩრდილია: მარინა ცვეტაევა, პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე. ისინი არა მხოლოდ პასტერნაკის მოგონებებში ცოცხლობენ, არამედ მისი „თანმდევი სულები“ არიან. „რისთვის გამომიგზავნა განგებამ ეს ორი ადამიანი? რა დავარქვა ჩვენს ურთიერთობას? ორივე ჩემი პირადი სამყაროს ნაწილად იქცა. არც ერთს არ ვამჯობინებდი მეორეს, იმდენად განუყოფელნი იყვნენ, ისე ავსებდნენ ერთმანეთს. მათი ბედი ცვეტაევას ბედთან ერთად უნდა ქცეულიყო ჩემს ყველაზე დიდ მწუხარებად“ (Пастернак, 2004: 341) – წერს იგი ტიციანისა და პაოლოს შესახებ.

როგორც მარია ფილინა და ელენე ყიასაშვილი აღნიშნავენ, პასტერნაკმა უმაღლვე იგრძნო ამ „სამი ჩრდილის“ ტრაგიკული ბედი „...როდესაც საქართველოში ჩამოვიდა უკვე როგორც შემოქმედებითი ბრიგადის წევრი და მთარგმნელობით საქმიანობაში ჩართული, მაშინვე მიხვდა, რომ საერთო ზეწოლის ატმოსფერო ქართულ პოეზიაშიც შემოიჭრა“ (Филина, Киасашвили, 1990). წინასწარ გრძნობდა, რაც მოელოდათ. თუმცა ამის გამო უარი არ უთქვამს მათთან მეგობრობაზე, პირიქით. „...წარმატებას მომიტანდა ამ ადამიანების უარყოფა. მით უფრო ცხოველი იქნება ჩემი მათდამი ერთგულება...“ (პასტერნაკი თავის მეუღლეს, ზინაიდას). ხელისუფლების სამიზნედ ქცეული პაოლო და ტიციანი უფრო ახლობელნი და ძვირფასნი გახდნენ პასტერნაკისათვის სწორედ ასეთი ხვედრის გამო.

პაოლო იაშვილი პასტერნაკის ცხოვრებაში მაშინ გამოჩნდა, როდესაც ამ უკანასკნელს პირად ცხოვრებაში სირთულეები ჰქონდა და, როგორც თავადვე აღნიშნავს, მას და მის თანამგზავრს, ზინაიდა ნეიჰაუსს, თავშესაფარიც კი არ ჰქონდათ. ეს იყო 1930 წლის ზამთარში. პაოლო მეუღლესთან ერთად მოსკოვში ჩავიდა და დაუმეგობრდა პასტერნაკს. მან თბილისში წასვლა შესთავაზა რუს პოეტს. საქართველოში გამგზავრება საუკეთესო გამოსავალი იყო პასტერნაკისა და ზინაიდასათვის. მაშინ პასტერნაკისთვის კავკასია და საქართველო აღმოჩენად იქცა: „ხალხურ თქმულებათა მისტიკისა და მესიანიზმის მთელი სიმბოლიკა, რომელიც ცხოვრებას წარმოსახვებით განაგებს (როგორც კათოლიკურ პოლონეთში) და თითოეულს პოეტად აქცევს“ (Пастернак, 2004: 341).

პასტერნაკი პაოლო იაშვილთან მიწერილ წერილში აღნიშნავს, რომ საქართველოზე და ქართველ მეგობრებზე მოგონებები გამოჰკვებავს მთელ მის შემდგომ შემოქმედებას მანამ, სანამ მას არ შეცვლის სხვა, „ახალი ცენტრი“ (პასტერნაკი, 2018: 31). საქართველომ და ქართულმა ლიტერატურულმა საზოგადოებამ პასტერნაკის შემოქმედებაში უდიდესი როლი ითამაშა. საქართველო პოეტისთვის იქცა „ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კულტურულ ორიენტირად“ (Филина, Киасашили, 1990). მოგენებები წერენ მის მაგივრად, მოგონებები წერენ მას, „...როგორც ტიცინი იტყოდა“ – წერს პასტერნაკი პაოლოს („მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს“). პასტერნაკსაც, ტიცინის მსგავსად, მიაჩნდა, რომ პოეტის ცხოვრებას მისივე შემოქმედება აყალიბებს და არა – პირიქით. მისი პოეზია წერდა მისივე ბიოგრაფიას. მსგავსი განცდები და განცდათა გამონახვის მსგავსი ფორმები აახლოებს ამ პოეტებს ერთმანეთთან.

ურალში მყოფი პასტერნაკი ახალ რომანზე მუშაობდა. მოქმედებაც ურალში უნდა განვითარებულიყო და ამიტომაც დასთანხმდა მწერალი სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის შემოთავაზებას იქ გამგზავრების თაობაზე. „ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანისა მხოლოდ იმიტომ მწამს, რომ ფიქრებით ოქროყანაში ვიქნები და იქიდან დავწერ ურალზე, და ეს საგნებში პოვებს გამონახულებას“ – წერდა პასტერნაკი პაოლოს ურალიდან (პასტერნაკი, 2018: 32). წარმოსახვაში ოქროყანაში გადანაცვლება და იქ წერა პასტერნაკისათვის წარმატებული მუშაობის საწინდარია, შთაგონებას იქ პოულობს.

პასტერნაკს ქართული საზოგადოება შვებას ჰგვრიდა, ვინაიდან გრძნობდა, რომ იქ მარტო არ იყო, თავის მსგავსებს ხედავდა და ეს ახარებდა, იმედს აძლევდა. ტაბიძებთან ურთიერთობის შესაძლებლობას სასწაულს უწოდებს. ამ ადამიანებს შორის მტკიცე და გულწრფელი ურთიერთობები მყარდება. მათ სიახლოვეს კი ერებს შორის მეგობრობის გამყარების, ერთმანეთის კულტურათა გაცნობისა და პოპულარიზაციის საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება, ვინაიდან ისინი რიგითი ადამიანები კი არ არიან, არამედ ერის რჩეულნი, რომელთაც უსმენენ, უყვართ, სჯერათ მათი.

1933 წლის 6 დეკემბერს ტიცინისადმი მიწერილი წერილი მთლიანად საქართველოზე, თბილისზე და ქართველ მეგობრებზე მოგონებებს ეძღვნება. მოგონებათა ეს ჯაჭვი მატარებელში ჩაჯდომისთანავე იწყება. ყოველი წუთი სულ უფრო ამორებს საქართველოს. საოცარი სევდა იპყრობს ამ განშორების გამო. მდუმარედ შორდება ახალშეძენილ მეორე სამშობლოს და უახლოვდება პირველს. სული სავსე აქვს „უდიდესი სიმდიდრით“, ღრმა შთაბეჭდილებებით, ახალი განცდებით და საქართველოსადმი უსაზღვრო სიყვარულით, რაც მას პოეტურ შთაგონებად ემსახურება. ტოვებს თბილისს, სადაც ასე შეიყვარეს, ტოვებს ტიცინსა და პაოლოს, რომელთა შესახებაც მოგვიანებით დაწერს: „ორივე მათგანი ჩემი პირადი სამყაროს ნაწილად იქცა“. მოსკოვში მიმავალი პოეტი შენატრის ქართველ მეგობრებს, რომლებსაც საქართველოში ცხოვრების ბედნიერება ხვდათ წილად. „ბედნიერები ხართ! ბედნიერები! დიდი სიხარულით გაგიცვლიდით ჩემს ხვედრს, ასე რომ არ მიყვარდეთ“ (პასტერნაკი, 2018: 42).

ბორის პასტერნაკი 1935 წელს ჯანმრთელობის გაუარესების გამო ევროპაში მიემგზავრება სამკურნალოდ. სამშობლოს მოშორებულ პოეტს მარტოობაში ყოფნა უჭირს. რილკეს წერილთან და მეუღლეზე ფიქრებთან ერთად თილისმასავით დააქვს ტიცინის წერილი. უძილობებით გატანჯული პოეტი ამ წერილს დამ-დამობით ბალიშის ქვეშ იღებს იმ რწმენით, რომ ნატვრად ქცეულ ძილს მოუტანს. წერილში, რომელიც პასტერნაკმა პარიზში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე მიიღო, ტიცინი წერს: „თქვენთან შეხვედრები ჩემთვის განსაწმენდელია – მხოლოდ მაშინ ვუბრუნდები პოეზიას. უნდა ვადიარო, რომ დიდი ხანია ასეთი გრძნობა არ მქონია, ასეთი რამ სიჭაბუკეში ხდება ხოლმე, პირველი სიყვარულის ციებ-ცხელებისას“ (პასტერნაკი, 2018: 55). ეს სტრიქონები სიკეთის, მომავლის, საკუთარი თავის რწმენას უნერგავს პასტერნაკს, „თილისმაა“ მისთვის იმ მძიმე პერიოდში. პოეტი მზად არის სიცოცხლის დარჩენილი დღეები სწორედ

ტიციანის გვერდით გაატაროს, თანაც საქართველოში, „ყაზბეგთან ახლოს“ (პასტერნაკი, 2018: 55).

პაოლო იაშვილის გარდაცვალებამ და ტიციან ტაბიძის დაპატიმრებამ თითქოს გაანელა პასტერნაკის საქართველოში ჩამოსვლის სურვილი. ისე აღარ მოიჩქარის აქეთ. ამ პერიოდში, და სიცოცხლის ბოლომდე, პასტერნაკს ინტენსიური მიმოწერა აქვს ნინო ტაბიძესთან. მათი ფიქრისა და საუბრის მთავარი საგანი ტიციანია, მუდმივად მისი ხსნის გზების ძიებაში არიან. ნინოს ბოლომდე სწამს, რომ ტიციანი ცოცხალია და პასტერნაკი არც ამ რწმენაში ტოვებს მარტოს, მიუხედავად იმისა, რომ თავად ნაკლებად სჯერა ამის. 1940 წლის 15 მაისს პოეტი სწერს ნინოს, გამოჰკითხავს გამომგზავრების ამბავს, თუ ნინო ვერ ჩავა მაშინ თავად პასტერნაკი ეწვევა. არ სურს გადადოს მცდელობანი ტიციანის დასახმარებლად. იცის, რომ ეს მოგზაურობა მისთვის რთული იქნება: „ყველა მხრიდან მომაწყდებიან მოგონებანი და ხელახალი სიმწვავით ვიგრძნობ, ვინ წამართვეს, როგორ დაუკარგეს ჩემს ცხოვრებას აზრი“ (პასტერნაკი, 2018: 79). პასტერნაკი თავს არიდებს საქართველოში ჩასვლას, რადგან იქ ჩვეულებისამებრ არ დახვდებიან ტიციანი და პაოლო.

წლების განმავლობაში პასტერნაკი და ნინო ერთმანეთს ამხნევენ და არ სურთ შეეგონ იმ აზრს, რომ ტიციანი ცოცხალი აღარაა. რუსი პოეტი სწერს ნინას: „ტიციანი ჩემი არსების ძირეული სახეა, იგი ღმერთია ჩემი ცხოვრებისა, ბერძნული და მითოლოგიური გაგებით. ალბათ, ვერ ვიქნებოდი ასეთი ბედნიერი, ასე ვერ მეყვარებოდი, ვერ დაიკავებდით ამხელა ადგილს ღრმში და არ მექნებოდა ამხელა მოლოდინები მომავლისგან, ტიციანი რომ არ მელოდეს წინ“ (პასტერნაკი, 2018: 88). პასტერნაკის ცხოვრებიდან ტიციანის სამუდამო გაქრობა არ ნიშნავს მხოლოდ ახლო მეგობრის დაკარგვას. ეს იდეებისა და იმედების მხსვრევის ტოლფასი იქნება მისთვის. პოეტი მუდმივად ამხნევენს ნინოსაც და საკუთარ თავსაც.

ნინოც, თავის მხრივ, ძალისხმევას არ იშურებს, რომ რამით დაეხმაროს პასტერნაკს. როდესაც პოეტის გერს ჭლექი აღმოაჩნდება, პასტერნაკი სწორედ ნინოს მიმართავს თხოვნით, დაეხმაროს თბილისში რამე შესაბამისი დაწესებულების პოვნაში, სადაც ადრიან ნეიჰაუზს მოათავსებენ. მისივე თხოვნით, 1957 წლის იანვარში ნინომ უმასპინძლა ფრანგ სლავისტს, ჟაკლინ პრუაიარს, რომელთან ურთიერთობაც მნიშვნელოვანი იყო პასტერნაკისათვის, რამდენადაც მასზე იყო დამოკიდებული „ექიმი ჟივანოს“ ფრანგული გამოცემა. ნინო ყოველთვის მზად არის, მხარში ამოუდგეს პასტერნაკს, თუნდაც ეს საფრთხეს წარმოადგენდეს მისი ოჯახისათვის. ამის დასტურია მანამდე მომხდარი ფაქტი, როდესაც მან, ასევე პასტერნაკის თხოვნით, მიიღო და უმანსპინძლა ჟურნალისტ ივანოვს, რითაც მაშინდელი უშიშროების კომიტეტი დაინტერესდა. ეს პასტერნაკსაც კარგად ახსოვს და როდესაც პრუაიარის თბილისში ჩამოსვლის შესახებ ატყობინებს, წერს მეგობარს, რომ თუ მსგავსი სამიშროება კვლავაც არსებობს, უარი თქვას მისი თხოვნის შესრულებაზე.

1956 წლის ზაფხულში, როდესაც პასტერნაკის ვაჟი, ლეონიდ პასტერნაკი, გამოცდაზე ჩაიჭრა, ქართველ მეგობრებს არც მაშინ დაუხევიათ უკან და თბილისის უნივერსიტეტში ჩაბარება შესთავაზეს. პასტერნაკის დასახმარებლად ყველა მზად არის. მართალია ლეონიდმა კვლავაც მოსკოვში ჩაბარების სურვილი გამოთქვა და იგი თბილისში აღარ ჩამოვიდა, თუმცა პასტერნაკი მაინც მაღლიერია გამოჩენილი თანადგომისათვის: „უსაზღვრო და გულმხურვალე მაღლობა თქვენი სტუმართმოყვარეობისათვის, თქვენი წინადადებისათვის“ – წერს იგი სიმონ ჩიქოვანს (პასტერნაკი, 2018: 44).

1945 წლის შემოდგომით ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 100 წლის იუბილესათვის პასტერნაკი საქართველოში ჩამოვიდა თავისი თარგმანით. მოსკოვში დაბრუნებული მაღლიერების გრძნობით აღსავსე წერილს სწერს ნინო ტაბიძეს. საქართველოს, აქ გატარებულ დღეებს მაცოცხლებელი ძალა აქვს პასტერნაკისათვის: „სიცოცხლესთან სამი ძალა მაკავშირებს: საქართველო, ინგლისი და ჩემი რუსული

მომავალი, და არავითარ შემთხვევაში ჩემი ამჟამინდელი ცხოვრება მოსკოვში, ანდა ჩემი აქაური, ახლანდელი ურთიერთობები“ (პასტერნაკი, 2018: 114). მოსკოვში დაბრუნებული ჯერ კიდევ თბილისში მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებების ქვეშაა. ფიქრებით ჯერ ისევ საქართველოშია, მიდის მოსკოვის ქუჩებში და აცნობიერებს, რომ მხოლოდ ფიზიკურად დაბრუნდა სამშობლოში, სულით და გულით კი იქ, ნინასთან, სიმონ ჩიქოვანთან და ლეონიძეებთან ერთად არის.

ბარათაშვილის იუბილესათვის საქართველოში ჩასული პასტერნაკი განსაკუთრებით დაუახლოვდა სიმონ ჩიქოვანს, რომელიც თავადაც იმყოფებოდა მოსკოვში 1946 წლის აპრილში ქართული ლიტერატურის დეკადაზე ქართველ კინომსახიობებთან, თამარ ჭავჭავაძესა და ნატო ვაჩნაძესთან ერთად. სიმონ ჩიქოვანსა და პასტერნაკს შორის მიმოწერაც ამ პერიოდთან გაცილებით ინტენსიურ ხასიათს იძენს. აქედან მოყოლებული ქართველ ადრესატებს შორის ყველაზე ხშირად, რა თქმა უნდა, თუ არ ჩავთვლით ნინოს, სწორედ ჩიქოვანს სწერს პოეტი.

თუკი ქართველ პოეტებთან მისი მიმოწერის დასაწყისში პასტერნაკი აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობას ეწევა, მოცემულ პერიოდში იგი პროზაზე იწყებს მუშაობას. ეს კი პასტერნაკის ოცნება და დარჩენილი ცხოვრების მთავარი მიზანია. ამ გზის დასაწყისიც საქართველოს უკავშირდება. „პროზის წერის დაწყება ხომ თქვენ შემიმსუბუქეთ, ბიძგი სწორედ თქვენ მიერ ნაჩუქარი ტიცციანის ფურცლები იყო“ – სწერს იგი ნინო ტაბიძეს (პასტერნაკი, 2018: 142). ეს ჩვეულებრივი ფურცლები როდია მწერლისათვის: „ტიციანის ფურცელმა განსაზღვრა ჩემი ახალი სტილი, თქვენ კი, ნინა, ჩემზე ლიტერატურული ზეგავლენა მოახდინეთ“.

საინტერესო და საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ყოველივე, რაც საქართველოს უკავშირდება, პოეტისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ან: ყველაფერი, რაც მნიშვნელოვანია, საქართველოს უკავშირდება. ამდენად, საქართველოს, ქართველი მეგობრების სიყვარული პასტერნაკისათვის საჭიროება და აუცილებლობაა. თავადვე აღნიშნავს ამას და ეგოისტს უწოდებს საკუთარ თავს. მკაცრი ცენზურის, მუდმივი დასმენების პირობებში, საქართველო და იმდროინდელი ქართველი ინტელიგენცია ნანატრ თავისუფლებას ანიჭებს. თავისუფლება კი მართლაც სანატრებელი ჰქონდა: „ოჰ, ნინა, ხალხისთვის რომ თავისუფალი ნება მიეცათ, რა სასწაული იქნებოდა, რა ბედნიერება!“ (პასტერნაკი, 2018: 144). თუმცა ტიცციანის მაგალითი საკმარისია მისთვის იმის დასტურად, რომ შემოქმედებითი თავისუფლება დაუმარცხებელია და რომ მის გარეშე ხელოვნება ვერც იარსებებს. პასტერნაკი ხალხისთვის ნატრობს თავისუფლებას და არა საკუთარი თავისათვის, ვინაიდან ამ სტრიქონების დაწერა უკვე ნიშნავდა თავისუფლებას.

თითოეული ქართველი ადრესატისადმი პასტერნაკის სიყვარულის გამოვლინება – ეს მთელი საქართველოსადმი სიყვარულის გამოხატვაა. ამას თავად მწერალიც აღნიშნავს ნინასთან მიწერილ წერილში. იმის გადმოსაცემად, თუ როგორ უყვარს ნინა, პასტერნაკი ერთ საინტერესო შემთხვევას იხსენებს: „ერთ წვიმიან საღამოს ახმატოვას ვაცილებდი სახლში საიდანდაც. ხელი გაუყარე და ისე მივდიოდით. სპასკიზე ვუყვებოდი რაღაცას, სახურავების კარნიზებიდან ზედ გვეღვრებოდა წყალი. ერთ ადგილას განსაკუთრებით გაძლიერდა წყლის ნიაღვარი, ხოლო ჩემი მხრიდან – ამაღლებული სიტყვებით სპასკის ქება. როდესაც ა. ა. ამ ჩანჩქერიდან გამოვიყვანე, მაგრად ჩავიკარი გულში მისი ხელი. „კი მაგრამ მე ხომ სერიოჟა სპასკი არ ვარ!“ – იყო პასუხი. ეს შესანიშნავი იყო“ (პასტერნაკი, 2018: 175). ახმატოვამ კარგად იცის, რომ პასტერნაკის აღფრთოვანების საგანი იმ წუთას სპასკია და პოეტი სწორედ მის ხელს იკრავს გულში. ნინომ კი კარგად იცის, რომ ეს გრძნობა იტევს სიყვარულს ტიცციანისადმი, პაოლოსადმი, ზოგადად, საქართველოსა და ქართველებისადმი, იტევს მათთან დაკავშირებულ მოგონებებს. რასაკვირველია, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პასტერნაკს ნინო მხოლოდ წარსულის, საერთო მოგონებების, ქართველობის გამო უყვარს. იგი დამაკავშირებელი ხილია.

მას შემდეგ, რაც პასტერნაკის ოჯახი 1951 წლის გაზაფხულს ტაბიძებთან გაატარებს და მოსკოვში ბრუნდება, ზინაიდა დაწვრილებით უყვება პოეტს საქართველოში მოგზაურობის შესახებ. ნინოსთან მიწერილ სამადლობელ წერილში იგი საკუთარ ცხოვრებას წიგნს ადარებს და მთელ განვლილ სიცოცხლეს ერთ წინადადებაში აქცევს: „და რა იყო მასში მთავარი, ძირეული? მამის მოღვაწეობის მაგალითი, მუსიკისა და სკრიპინისადმი სიყვარული, ორი-სამი ახალი ნოტი ჩემს შემოქმედებაში, რუსული დამე სოფელში, რევოლუცია, საქართველო“ (პასტერნაკი, 2018: 181). საქართველოს გამოტოვება წარმოუდგენელია.

პასტერნაკის ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი „ფაუსტი“, რომლის გამოცემასაც მოუთმენლად ელოდა პოეტი, ასევე, გარკვეულწილად დაკავშირებულია, უფრო სწორად, თავად პასტერნაკი უკავშირებს, საქართველოს. აი, რას სწერს ნინას ამ თარგმანის შესახებ: „შუაზე გახიეთ წიგნი, პირველი ნაწილი თქვენთვის დაიტოვეთ, მეორე კი ე <ფემია> ა<ლექსანდროვნა>-ს მიეცით, პირველ ნაწილში მიწიერი სიყვარულია, მეორეში კი – ზეციური. <...> როცა მეორე ნაწილს ვთარგმნიდი, ელენამ უნებლიეთ მისი თვისებები შეიძინა, მას ტექსტში ისეთ სიტყვებს ვაძლევდი, რომლებიც ე. ა.-ს შეიძლება ეთქვა. მინდოდა მისთვის წამეწერა წიგნზე: წაიკითხეთ, რას წერს თქვენზე გოეთე მეორე ნაწილში-მეთქი“ (პასტერნაკი, 2018: 222). გიორგი ლეონიძის მეუღლის, ეფემიას მიმართ მუდმივად აღტაცებას გამოხატავს პასტერნაკი.

პასტერნაკს თბილისში გამართულ ყველა ღონისძიებაზე იწვევენ და სინარულით მოელონ. დავით გურამიშვილის დაბადებიდან 250 წლის იუბილესათვის იგი სპეციალურად მოიწვიეს საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნებმა ირაკლი აბაშიძემ და სერგი ჭილაიამ. სამწუხაროდ, პასტერნაკი ვერ ჩამოვიდა ამ იუბილეზე.

პასტერნაკისათვის საქართველოში მოგზაურობა „საკუთარ თავში მოგზაურობაა“, „...ტოლფასია უდიდესი შემოქმედებითი თავისუფლების მოპოვებისა“ (პასტერნაკი, 2018: 105). ამიტომაც, საქართველოში ყოფნის დროს, მხოლოდ ორიგინალზე მუშაობა სურს.

საქართველო პასტერნაკის ცხოვრების ნაწილად იქცა, ქართველმა მეგობრებმა სამუდამო კვალი დატოვეს მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში. „ახლა იურა ფრონტზე მყავს, 1916 წელია, იმედი მაქვს, გაზაფხულისთვის დავამთავრებ: უთხარით ნინასაც, ეს მისი რომანია“ (პასტერნაკი, 2018: 151-152) – სწერს პასტერნაკი სიმონ ჩიქოვანს. თავის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ქმნილებას „ნინას რომანს“ უწოდებს. ამ წერილს თან ახლავს სამი ლექსი ჟივავოს ლექსების ციკლიდან. ესენია: „განთიადი“, „სასწაული“ და „მიწა“. ლექსში „განთიადი“ გადახაზულია ორი სტროფი და იქვეა ავტორის შენიშვნა: „ეს ორი სტროფი ზედმეტია. შეგიძლიათ ამოიღოთ ისინი“ (პასტერნაკი, 2018: 153). ამდენად, ეს წერილები მთელ შემოქმედებით პროცესს ასახავს და თარგმანებისა თუ ორიგინალური ქმნილებების დაუბეჭდავ ვარიანტებს შეიცავს.

ბოლოს პასტერნაკი 1959 წლის გაზაფხულზე ჩამოვიდა თბილისში. მის წერილებს ახალი ადრესატები უჩნდება. ამ პერიოდში დაუახლოვდა ნიკოლო მიწიშვილის ქალიშვილს, მარინა მიწიშვილს, დავით კაკაბაძის ქვრივს, ეთერ კაკაბაძეს, გუდიაშვილებს. შემონახულია ლადო გუდიაშვილის შვილისადმი, ჩუქურთმასადმი, მიწერილი 4 წერილი. ერთ-ერთი მათგანი თბილისშია დაწერილი 1959 წლის 8 მარტს. ეს ის იშვიათი გამონაკლისია, როდესაც პასტერნაკი თბილისში ყოფნისას აქაურ მეგობარს წერს. მეორე წერილი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ არის დაწერილი და როგორც თავადვე აღნიშნავს პასტერნაკი, მისი ადრესატი მთელი თბილისია და ის მთლიანად საქართველოში გატარებული დღეების ხსოვნას ეძღვნება. ეს ქალაქი მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ისევე, როგორც თბილისში პირველი მოგზაურობის შემდეგ, ახლაც აღნიშნავს, რომ პოეტისათვის ქართველი მეგობრები და მათთან ერთად მოვლილი ქუჩები და ქალაქები მისთვის ერთნაირად ძვირფასი და მნიშვნელოვანია. არ არსებობენ მისთვის ქართველი მეგობრები საქართველოს გარეშე და პირიქით (პასტერნაკი, 2018: 278-280).

წერილები პასტერნაკის თვითგამოხატვის საშუალებაა. მწერალი წერს პუბლიკის-თვის, მისი ადრესატი თითოეული მკითხველია. ამის მაგალითია რაისა მიქაძისადმი მიწერილი წერილი, რომელიც მთელი ქართული საზოგადოებისათვის, ზოგადად, მკითხველისათვის, არის განკუთვნილი. რაისა მიქაძე სწერს პოეტს, რომ თბილისში იცნობენ, ახსოვთ და უყვართ, რაზეც პასტერნაკი პასუხობს: „არა, ჩემო ძვირფასო, თუკი სამი-ოთხი კაცი ჯერ კიდევ მიცნობს ამ ქვეყანაზე, ორი წლის შემდეგ ისინიც აღარ იქნებიან“ (პასტერნაკი, 2018: 168). მისი წინასწარმეტყველება არ გამართლდა და „ექიმმა ჟივაგომ“ პასტერნაკი სიცოცხლეშივე დაარწმუნა ამაში. რაც შეეხება ქართველ მეგობრებს, არც მათში გასცრუებია იმედი. მათთან მიმოწერა, რომელიც მისი სიცოცხლის ბოლომდე გრძელდებოდა, ამის ნათელი მაგალითია. როგორც მ. ფილინა და ე. ყიასაშვილი აღნიშნავენ: „ქართულ ინტელიგენციასთან ბ. პასტერნაკის კავშირი, ასეთი ღრმა და ორგანული, მისი არსის ნაწილია“ (Филина, Киясашвили, 1990).

დასკვნა. საქართველოსადმი პასტერნაკის დამოკიდებულება, მისი ურთიერთობა ქართველ პოეტებთან ყოვეთვის იყო მკვლევართა ინტერესის საგანი და შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებით არა ერთი ნაშრომი დაწერილა. აღნიშნული სტატიის მიზანი იყო, წარმოგვეჩინა საქართველოსა და თბილისის როლი მწერლის შემოქმედებასა და ცხოვრებაში უშუალოდ პასტერნაკის ეპისტოლურ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით. ქართველ ლირიკოსებთან მიმოწერის როლი მრავალმხრივ მნიშვნელოვანია როგორც პასტერნაკის პიროვნებისა და შემოქმედების შესწავლის საქმეში, ასევე, გვეხმარება მისივე ადრესატების უფრო ინტიმური მხარის დანახვაში, იმჟამინდელი გარემოს უკეთ გაცნობაში. წერილებში ასახვა ჰპოვა ბორის პასტერნაკის ცხოვრებისა და შემოქმედების ყველა მხარემ, მისმა შეხედულებებმა, დამოკიდებულებებმა, მოვლენათა თუ პიროვნება-თა შეფასებამ. აქ ვხვდებით მსჯელობებს არაერთ საინტერესო საკითხზე: ლიტერატურაზე, ფილოსოფიაზე, პოეზიაზე, თარგმანებსა და თარგმნის ხელოვნებაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ პერიოდის წერილები, როდესაც მწერალს თარგმანის გარდა, არაფერს უბეჭდავდნენ დაწერილი საშუალებას აძლევდა კი არ გადაეწერა, არამედ-ეწერა, როგორც თავად აღნიშნავს. საქართველოში მოგზაურობამ, ქართველ მოღვაწეებთან მეგობრობამ წარუშლელი კვალი დატოვა რუს მწერალზე. ამ ურთიერთობებმა არა მხოლოდ სამუდამოდ დაუკავშირა ბორის პასტერნაკის ცხოვრება საქართველოს, არამედ მისი სტილის განმსაზღვრელიც გახდა და ლიტერატურული ზეგავლენა იქონია მასზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

პასტერნაკი, ბ. (2018). *ბორის პასტერნაკის ქართული ადრესატები*. (ს. ბედუკაძე, მთარგმნ.) თბილისი: გლოსა.

М. Филина, Е. Киясашвили. (11 Февраль 1990 г.). Цель творчества – самоотдача. *Заря Востока*.

Пастернак, Б. (2004). *Полное собрание сочинений* (Т. III). Москва: Слово.

Пастернак, Б. (2005). *Полное собрание сочинений* (Т. XI). Москва: Слово.

REFERENCES:

p'ast'ernak'i, b. (2018). *boris p'ast'ernak'is kartveli adresat'ebi [Georgian addressees of Boris Pasternak]*. (S. Bedukadze, Translator). Tbilisi: Glosa.

M. Filina, E. Kiasashvili. (11 Fevral' 1990 g.). Cel' tvorchestva – samootdacha [The goal of creativity – self-giving]. *Zarja Vostoka [Dawn of the East]*.

Pasternak, B. (2004). *Polnoe sobranie sochinenij [Complete set of works]*. III. Moscow: Slovo.

Pasternak, B. (2005). *Polnoe sobranie sochinenij [Complete set of works]*. XI. Moscow: Slovo.

**ESTABLISHING LIFE AND CREATIVE CONNECTIONS OF BORIS PASTERNAK WITH GEORGIAN
(ACCORDING TO CORRESPONDENCE)**

Abstract

Boris Pasternak's letters to the Georgian addressees are an important research material for understanding the translation process or the writer's views and opinions on his time and epoch. The research presented here is based on the part of Boris Pasternak's epistolary heritage addressed to his Georgian friends.

The personal letters of Boris Pasternak have always arisen the interest of researchers and even today it is still in progress.

The main purpose of this article is to highlight the role of Georgia, Tbilisi and the Georgian society in Boris Pasternak's work and life, based on the correspondence with Georgian addressees. Before traveling to Georgia, Pasternak knew our country, and the Georgian society knew Pasternak. As a result of the poet's arrival in Georgia in the summer of 1931, long creative ties began, which were preceded by friendships and personal relationships between Boris Pasternak and Georgian figures. As Pasternak himself notes, he first fell in love with the "source", which was followed by a wordless understanding of Georgian poetry, and then years of work on translations.

Keywords: Boris Pasternak, Georgian addressees, Addressees of Pasternak, Letters of Pasternak, Epistolary heritage, Georgian poets, Titsian Tabidze, Nino Tabidze, Paolo Iashvili.

ვარდო ბერიძე

ფილოსოფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

ადამიანი ბიოეთიკური მენიერების კონტექსტში

თანამედროვე ცივილიზაცია განიცდის უპრეცედენტო ანთროპოლოგიურ კრიზისს, რომელიც საფრთხეს უქმნის დედამიწაზე სიცოცხლის არსებობას. ეს განპირობებულია ფუნდამენტური, უნივერსალური მორალური ფასეულობების და მეცნიერების ღირებულებების დაპირისპირებითა და წინააღმდეგობით. თანამედროვე ადამიანის ცოდნის საშიშროება (ბიოსამედიცინო, ბიოეტიკური, სამხედრო-ინდუსტრიული, სასოფლო-სამეურნეო, ვიდეო ტექნოლოგიები და ა. შ. ცვლის ადამიანის ჩვეულ ცხოვრების წესს და აზროვნებას.

ადამიანი ბიოსფეროს ნაწილია და თავისი წარმოშობით ბიოლოგიური არსებაა, მაგრამ ამავე დროს ის ზებიოლოგიური არსებაცაა. ადამიანის ბიოლოგიური ცხოვრება სულ უფრო მეტად ექვემდებარება სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ, მორალურ, სულიერ მოთხოვნილებებსა და ინტერესებს. STP, რომლის განვითარების ახალი ეტაპი, ბიოლოგიასთან არის დაკავშირებული, შესაძლებელი გახდა ადამიანის ბუნების სიღრმისეულად შესწავლა, მისი სიცოცხლისა და სიკვდილის საიდუმლოებებში შეღწევა. კერძოდ, აღმოჩენილი იქნა ადამიანის გამრავლების (ხელოვნური განაყოფიერება), სიცოცხლის განანგრძლივებისა და შენარჩუნების (IVL, ხელოვნური გული, თირკმელი) ახალი მეთოდები, შესაძლებელი გახდა ადამიანის ორგანიზმის „შეკეთება“ დაავადებული ორგანოს დონორით ჩანაცვლებით (ტრანსპლანტოლოგია.), და ა.შ. დღეს უკვე გენეტიკოსები

ამბობენ, რომ პრინციპში ბიოტექნოლოგიის დახმარებით შესაძლებელია წინასწარ დაგეგმო არ დაბადებული ბავშვის შესაძლებლობები. ეს ამორებს ჰომო საპინსის სახეობებს ბუნების მკაცრი კონტროლისგან.

ამასთან, თანამედროვე სუპერინდუსტრიული ცივილიზაციის განვითარების გზა გახდა ბუნების ნელი, ფიზიკური და ქიმიური განადგურების გზა. თანამედროვე საზოგადოება აღმოჩნდა ინტელექტუალურად და მორალურად მოუმზადებელი უახლესი აღმოჩენებისთვის ბიოლოგიის, მედიცინის, გენეტიკური ინჟინერიის და ა.შ. ამან გამოიწვია კაცობრიობის გლობალური ანთროპოლოგიური, სოციალური და სულიერი კრიზისი. წარმოიშვა პარადოქსი: თანამედროვე მეცნიერება დაეხმარა ადამიანს მიაღწიოს უპრეცედენტო ძალას ბუნების განვითარებაში, მაგრამ ამავე დროს, გამოიწვია უარყოფითი ბუნებრივი ფაქტორების მკვეთრი ზრდა, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. გაჩნდა კითხვები ადამიანის, როგორც ბიოლოგიური სახეობის გადარჩენისა და დედამიწის ბიოსფეროს შენარჩუნების გზების შესახებ. ამრიგად, სახეზეა „ცოდნის პარადოქსი“. მოაზროვნეები ანტიკურობიდან მოყოლებული ცდილობდნენ და ეძიებდნენ ცოდნის ჭეშმარიტების დადგენას. დღეს ცოდნა გახდა ჭეშმარიტებისა და მცდარობის ფარგლებს, პრაგმატიზმის საუკუნეს აღარ აკმაყოფილებს მხოლოდ ამ ცნებებით მსჯელობა, მისი მიზანია დაადგინოს უკვე არსებული და მოპოვებული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობები და გავრცელების არეალი. ნათელია ის უფსკრული, რომელიც გაჩნდა, ერთი მხრივ, მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებს, შესაძლებლობებს, ცივილიზაციის პროგრესსა და, მეორე მხრივ, კაცობრიობის სულიერ-ზნეობრივ განვითარებას შორის.

თანამედროვე ფუნდამენტური მეცნიერებებითა და ტექნოლოგიებით გამოწვეული შედეგები იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელ ღირებულებებს მიიჩნევს საზოგადოებრიობა უმაღლესად, თუ რამდენად დროული, ბრძნული, მორალური და ადეკვატური იქნება მისი რეაქცია ეთიკურ დილემათა გადასაწყვეტად [ახალაძე, 2003 :19]. ბიოეთიკა წარმოადგენს კაცობრიობის ერთიანი კულტურის ორგანულ ნაწილს. როგორც ახალი დისციპლინა, მას განიხილავენ როგორც ინტეგრაციულ, ტრანსდისციპლინურ-ფილოსოფიურ, ეთიკურ, სოციოლოგიურ-კულტუროლოგიურ, სამედიცინო, ბიოლოგიურ, ანთროპოლოგიურ მეცნიერებად, რომელიც ბიომედიცინის მსოფლმხედველობრივ-ფილოსოფიურ-ღირებულებით-ეთიკურ პრობლემათა კვლევაში ეყრდნობა როგორც ჰუმანიტარულ, ისე ბუნებათმეცნიერების ეპისტემოლოგიურ საფუძვლებს და აქსიოლოგიურად ორიენტირებულია ადამიანურ, ტრადიციულ-ისტორიულ, ეროვნულ, რელიგიურ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე [ახალაძე, 2003: 24]. მისი აღმოცენება – ჩამოყალიბება განაპირობა როგორც ბიოლოგიისა და მედიცინის მიღწევებმა სხვადასხვა დარგში, ისე თანამედროვე მედიცინისა და ბიოლოგიის ტრადიციულმა ჰუმანიტურმა გზასაყარმა. მისი ყველა პრობლემის გადაწყვეტა დაკავშირებულია პიროვნების, როგორც დონორის, მომაკვდავი ადამიანის, ემბრიონისა და ნაყოფის.... უბრალოდ, პაციენტის მოქალაქეობრივი უფლებების დაცვასა და გარანტიებთან. ბიოეთიკა დეფინიცირებულ იქნა, როგორც „მომავლის ხიდი“ [Поттер, 2002], „ბიოლოგიური ცოდნისა და ადამიანური ღირებულებების შეერთება“ [Иванюшкин..1989:54], ინტერდისციპლინური მეცნიერება, რომელიც მოწოდებულია ახსნას ადამიანის ბუნება „დინამიკურ ხარისხში“ [Vaux, 1974: 371], „ბიოლოგიის საუკუნის“ შესაბამისი ახალი მსოფლმხედველობა, „ახალი კულტურა“ [Callahan,1973:155], „სამედიცინო ეთიკის ისეთი დონე, როცა მის საგანში გამოხატულია მედიცინისა და გამოყენებითი ბიოლოგიის ახალი ზნეობრივი პრობლემები... როცა მათ გადაწყვეტაზე გარდუვალადაა დამოკიდებული ჰუმანიზმის ბედი“ [Иванюшкин..1989:58]. ბიოეთიკას განსაზღვრავენ აგრეთვე, როგორც ახალ ანთროპოლოგიურ მეცნიერებას, რამდენადაც იგი არსებული პრობლემების გადაწყვეტის გზაზე საჭიროებს ადამიანის შესახებ არსებული მთელი ტრანსდისციპლინური ცოდნის ინტერპრეტაციას.

ვახტანგ ახალაძე ასე წარმოაჩენს ბიოეთიკურ პრობლემებს: დღევანდელ ბიოეთიკურ დილემათა რიცხვი მრავალრიცხოვანია, კერძოდ: მკვდარია თუ არა კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი, რომელსაც გული უცემს, ანუ როდის ჩავთვალოთ სიკვდილის მომენტი დამდგარად? არის თუ არა ადამიანის ჩანასახი უკვე ადამიანი და ითვლება თუ არა მისი სიცოცხლის ძალისმიერი შეწყვეტა მკვლელობად? აქვს თუ არა ჩვენს მომავალ თაობას, რომელიც ჯერ არ მოვლინებია ამ ქვეყანას, უფლება დაიბადოს ბუნებრივი გზით, ღვთისაგან დაღვნილი წესით, ჯერ კიდევ ჩანასახში მყოფი და-ძმების მკვლელობის ცოდვის გარეშე (მხედველობაშია ხელოვნური განაყოფიერების ტექნოლოგიები, რომელთა გამოყენებითაც ნადგურდება ე. წ. “ჭარბი”, “ზედმეტი” ემბრიონები)? რატომ გვთავაზობს ზოგი მეცნიერი ადამიანის ჩანასახის ადამიანად აღიარების სხვადასხვა ვადას და ვის სჭირდება ეს? მოვუსწრაფოთ თუ არა სიცოცხლე ევთანაზიის გზით განუკურნებელი სნეულებით შეპყრობილ ადამიანებს? და სხვ.[იქვე].

XXI საუკუნე ბევრმა მეცნიერმა უკვე გამოაცხადა ბიოლოგიური საშიშროების საუკუნედ, რაც, უპირველეს ყოვლისა, გენურ ტექნოლოგიებს უკავშირდება. ადამიანის მემკვიდრეობით საფუძვლებთან (გენომთან) მანიპულაციებმა, თერაპიულმა კლონირებამ შეიძლება კაცობრიობა გადაშენებამდე მიიყვანოს, რადგან იგი ბუნების უნივერსალურ კანონზომიერებებს დაარღვევს. ამგვარ სიტუაციაში ბუნებრივად იბადება კითხვები: თუ რამდენად საიმედოდაა დაცული კაცობრიობა წინააღმდეგობრიობით სავსე დღევანდელ სამყაროში სამედიცინო და ბიოლოგიური მეცნიერებების შეცდომებისაგან, ადამიანების საზიანოდ მეცნიერების მიღწევათა გამოყენებისაგან? ვინ აგებს პასუხს ყოველივე ამაზე ისტორიის, ადამიანების, წინაშე? სამწუხაროდ, ეს კითხვები დღემდე უპასუხოდაა დარჩენილი. მათზე პასუხის გასაცემად, „ხახადაღებულ უფსკრულებზე გადასასვლელი ხილების გასაღებად, რომელიც ადამიანურ ღირებულებათა დამამკვიდრებელ მომავალთან დაგვაკავშირებს, სულიერებისა და ზნეობრიობის უძველეს, ტრადიციულ გზებთან მისასვლელად, საკუთარი თავის დასაღუპავად გამწირველი კაცობრიობის გონზე მოსაყვანად – დრომ მოიტანა შექმნილიყო თვისებრივად ახალი აზროვნება, მსოფლგაგება და მეცნიერული ხედვა, რომელსაც ბიოეთიკა ეწოდა – წერს წიგნში „მომავლის ხილი“ (1969) ბიოეთიკის ფუძემდებელი ვან რენსელერ პოტერი [Potter, 2002].

ბიოეთიკურ პრობლემებზე საუბრისას, ბევრი მეცნიერი საკითხს უკავშირებს რელიგიას, რწმენას. მაგალითად, ადამიანი, ფლობს რა კლონირების ტექნოლოგიას, ქმნის ადამიანს სიყვარულის გარეშე თავისი მომხმარებლური მიზნებისათვის არა ღვთის, არამედ თავის „ხატად“ და “მსგავსად“. მას ღმერთი აღარ სჭირდება! ასე ყალიბდება უღმერთო ადამიანი და მის მიერ შექმნილი „ტყუპისცალი“, რომელიც ემსახურება ამ უღმერთო ადამიანის „ხორციელ სურვილებს“: შეიქმნას კეთლმოწყობილი გარემო და გაიხანგრძლივოს ამქვეყნიური სიცოცხლე. აქ ღმერთისთვის ადგილი აღარ რჩება: ყალიბდება ღვთის რწმენისა და ზნეობისაგან თავისუფალი ადამიანი, არა ათეისტი, არამედ ანტი-ათეისტი [ახალაძე, 2012:44]. ავტორი იმოწმებს იობის სიტყვებს: გავიხსენოთ, თუ რას მოწმობს წმიდა წერილი ადამიანსა და მის შემოქმედზე: “შენმა ხელებმა გამომსახეს და შემქმნეს მე ყველაფერთან ერთად, რაც გარს მარტყია... გაიხსენე, თიხისაგან რომ შემქმენი და მტვრად მაქცევ! განა რძესავით არ გადმომღვარე და ყველივით არ შემადედე? ტყავითა და ხორციით შემმოსე, ძვლებითა და ძარღვებით მომქსოვე. სიცოცხლე და წყალობა მოავლინე ჩემზე და შენი ზრუნვა ინახავდა ჩემს სულს” [იქვე].

თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი დილემა არის საშიში ცოდნის ფენომენი. ამიტომ, ნებისმიერი განათლებული ადამიანის ამოცანა, სადაც არ უნდა მუშაობდეს, არის შეაფასოს ახალი ცოდნის ღირებულება და მისი ბოროტად გამოყენების პოტენციალი. როდესაც ვსაუბრობთ ცოდნის საშიშროებაზე, ბუნებრივია უნდა ვაღიაროთ, რომ ცოდნა, თავისთავად, არ შეიძლება იყოს არც კარგი და არც ცუდი. კაცობრიობის მიერ შექმნილი ცოდნა არასოდეს მოიგროვებს მტვერს ბიბლიოთეკაში და არ ჩაიკეტება სეიფში. მეორე მხრივ, არავის აინტერესებს ცოდნა, რომელიც არსად არ გამოიყენება. ცოდნა სახიფათო

ან სასარგებლო ხდება მხოლოდ იმ პრაქტიკული მიზნების რეალიზაციის პროცესში, რომელსაც ადამიანი აყენებს საკუთარ თავს. ხშირად ცოდნა საშიშად არ განიხილება მისი აღმოჩენის დროს. მაგალითად, შეიძლება შეიქმნას კონკრეტული ქიმიკატი კიბოს სამკურნალოდ, შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეფექტურია სარეველების გასანადგურებლად და ბოლოს გამოიყენეს ჰერბიციდად, რომელიც წამლავს მთელი ერის კვების ბაზას. ანალოგიურად, ბირთვული იარაღის კვლევა თავდაპირველად არ ითვალისწინებდა ატომური ბომბის შექმნას, რომელსაც შეუძლია გაანადგუროს მთელი ქალაქი ან გაანადგუროს ქვეყნის მოსახლეობა; ან, საძილე აბი თალიდომიდის შემქმნელებმა არ გაითვალისწინეს მისი გვერდითი ეფექტები ორსული ქალისა და მისი არ დაბადებული ბავშვის მიმართ. სამწუხაროდ, ჩვენ გვიან ვიგებთ ცოდნის საშიშროების შესახებ [Поттер, 2002].

მიუხედავად იმისა, რომ დასავლური მეცნიერება იმპულსი იყო ადამიანსა და ბუნებას შორის უჩვეულოდ ნაყოფიერი დიალოგისთვის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გავლენის ზოგიერთი შედეგი ადამიანურ კულტურაზე ყოველთვის არ ყოფილა დადებითი. მაგალითად, „ორ კულტურას“ შორის დაპირისპირება დიდწილად გამოწვეულია კლასიკური მეცნიერების დროულ მიდგომასა და დროზე ორიენტირებულ მიდგომას შორის, რომელიც დომინირებს სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დიდ უმრავლესობაში. მაგრამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში დრამატული ცვლილებები მოხდა ბუნებისმეტყველებაში, „ჩვენ სულ უფრო მეტად ვაცნობიერებთ, რომ ყველა დონეზე – ელემენტარული ნაწილაკებიდან კოსმოლოგიამდე – შემთხვევითობა და შეუქცევადობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რომლის მნიშვნელობაც იზრდება ჩვენი ცოდნის გაფართოებასთან ერთად. მეცნიერება ხელახლა აღმოაჩენს დროს [Пригожин И., Стенгерс И. 1986].

მეცნიერებისა და ფილოსოფიის მისია, შექმნას სამყაროს განზოგადებული სურათი თავისი დროის მიღწევების საფუძველზე, ანთროპოლოგიზირებული უნდა იქნას, რაც გამოიხატება სამყაროს ისეთი სურათის გენერაციაში, რომელშიაც უბრალოდ გათვალისწინებული კი არ არის ადამიანი, არამედ განსაზღვრულია მისი ბუნება, არსი, მიმართებები, დამოკიდებულებები, ადგილი, მნიშვნელობა და დანიშნულება [ახალაძე, 2003].

შემომხედა ხეფას ბიჭმა და თვალებს არ ვუჯერებდი, ცრემლები წამოუვიდა. ვიძახი, რა მოუვიდა, ჭკუიდან ხო არ შეიშალა ეს შობელძაღლი მეთქი. თითქო, ენა ჰქონდა გადაყლაპული“. (სოსიაშვილი, 2022:13) საბოლოოდ გამოირკვა, რომ ეს სახლი, სადაც ახლა ოსის ქალი ოსურ რესტორანს ხსნიდა, ძველად ხეფას ბიჭის შორეული ნათესავი ქართველი კაცისა ყოფილა. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი აღმოჩნდა, ნიკოს და ხეფას ბიჭს ეს გაწბილება არ აკმარა განგებამ და უეცრად ტრაგიკულ მოვლენათა მთელი ჯაჭვის მომსწრენი და მონაწილენი გახდნენ – ომი დაიწყო. გიორგი სოსიაშვილი მისთვის დამახასიათებელი წერის მანერით, თითქოს უბრალოდ, სიტყვაძუნწად, მაგრამ უდიდესი ტკივილითა და ღვარად მოვარდნილი, ძლივსშეკავებული ემოციით აღწერს ცხინვალში რუსული შენაერთების შესვლის სცენებს, სროლისა და აფეთქების გამაყრუებელ ხმას, ხეფას ბიჭისა და ნიკოს გაპარებას ოსი ქალის დახმარებით მისივე სახლიდან, ოსების მიერ მათ პოვნასა და დაჭერას, გამეტებით, უსისხლოდ, სიკვდილის პირას მიყვანამდე ცემას და სასწაულით გადარჩენას. გაოგნებას იმით, რომ ოსებმა ოსი რიტაც არ დაინდეს და მას შემდეგ, რაც შეიტყვეს, რომ ქართველებს მფარველობდა, მოკლეს. საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გაჭირვებით გამოღწეული და ნიკოს შვილის დიდი მონდომებითა და ძალისხმევით ოს ტყვეებში გაცვლილი ნიკო და ხეფას ბიჭი სრულიად სახეცვლილები უბრუნდებიან ყოველდღიურ ყოფას. ავტორი ამ ორი პერსონაჟის მაგალითით შესანიშნავად გვიჩვენებს, როგორც ცვლის ომი ადამიანებს და საერთო ტკივილი როგორ აახლოებს მათ. ცხინვალში გატარებული დღეების შემდეგ ნიკო და ხეფას ბიჭი განუყრელები გახდნენ. გაჭირვებასა და სიხარულში ერთმანეთის გვერდით იყვნენ და სწორედ ამის გამო მოხდა, რომ ნიკომ იმ საბედისწერო აღდგომა დღეს მავთულხლართებს მიღმა დარჩენილ, წლობით იძულებით მიტოვებულ საფლავებზე რუსი მესაზღვრეებისგან სამადლოდ მოგდებული რამდენიმესაათიანი შესვლის უფლებით ისარგებლა და ოჯახთან ერთად, ხეფას ბიჭიც თან წაიყვანა. ნიკოსთვის ეს დღე განსაკუთრებულად ემოციური იმიტომაც იყო, რომ ათი წლის უნახავ ქვისლს უნდა შეხვედროდა. მისი ცოლი, ქეთო ათი წლის უნახავ დას ჩაიკრავდა გულში. სიძე ოსი იყო და მისი ოჯახი შიდა ქართლის ოკუპირებულ ნაწილში ცხოვრობდა. მწერალი განსაკუთრებით დრამატულად აღწერს ამდენი ხნის უნახავი ნათესავების შეხვედრას. „სასაფლაო გამოჩნდა, ხალხი ირეოდა, ოსები, ქართველები, ერთმანეთს მონატრებულები, კოცნიდნენ, ეხვეოდნენ. ჩვენებიც იქ იდგნენ. ნიკოო, ნიკოო, გამოქანდა ჩემი ქვისლი. ქეთოს და ნათელას დანახვაზე გული დაგეწვებოდა, ხან ტიროდნენ, ხან იცინოდნენ. ჩემი სიძეც იღიმოდა, მაგრამ მდულარება გადმოსდიოდა თვალებიდან. გორაკს გახედავდა, სადაც ჩვენი „ამშენებელი“ რუსები იდგნენ და ხან ქართულად გაუკურთხებდა, ხან ოსურად. სიზმარში მეგონა თავი“. (სოსიაშვილი, 2022:66-67) ნაწარმოების ამ ეპიზოდს თითქოს, წყევლასავით გასდევს სიტყვები, რომ მხოლოდ 4 საათამდეა შესაძლებელი

სასაფლაოზე ყოფნა. ამის შესახებ როგორც ქართველი, ასევე რუსი მესაზღვრეებიც რამდენჯერმე აფრთხილებენ მოსახლეობას და ნიკოს ცოლიც დაუსრულებლად იმეორებს, რომ გადაცილება არაფრით არ შეიძლება. ამ ფრაზის ასე ხშირად გამეორებით მწერალი თითქოს, იმთავითვე გვამზადებს იმ წუთისთვის, როცა ეს დათქმა უნდა დაირღვეს და ასეც ხდება. ათი წლის უნახავ ნათესავებს ერთად ყოფნა ისე გაუტკებდათ, რომ ქეთოს და ნათელას ჩხუბს ყურადღებას აღარ მიაქცევენ და ოთხი საათიც შესრულდება. „მე ... მხრები აიჩეჩა ნიკომ, ბევრჯერ დამიდანამაულებია თავი, ამოვიჭამე რო იტყვიან, რავი რა ვთქვა... ვერც გავიგე, როგორ წამოგვადგნენ. სადღეგრძელოს ვამბობდი. აემ სასაფლაოზე ქართველები და ოსები ერთად წვანან, ზოგის საფლავზე გაგორდა კვრცხი, ზოგიც მიტოვებულია, ყველა გაგვინათლოს მეთქი. ბოლო სიტყვამ დაბადება ვეღარ მოასწრო. ოთხნი დაგვადგნენ, ქალებს ენა ჩაუვარდათ“. (სოსიაშვილი, 2022:71) როდესაც ყველა ფეხზე წამოდგა და რუს სამხედროებს დროის გადაცილების გამო უბოდიშებდნენ, ამ დროს ხეფას ბიჭი არ განძრეულა, მოსულებისთვის არც კი შეუხედავს. და როდესაც როგორც სოსიაშვილი წერს, გველისთვალება რუსმა მისი უტიფრობა იუკადრისა, შეაგინა და კისერში კონდახი ჩასცხო, ხეფას ბიჭი წამოხტა. რუსს იარაღი წაართვა, მერე თვალის დახამხამებაში ძირს დააგდო და წიხლები დაუშინა. ამ ეპიზოდში მწერალი შესანიშნავად გვიხატავს იმ ადამიანის ფსიქოლოგიას, რომელმაც წლების განმავლობაში უამრავი უსამართლობა, ტკივილი, ტერიტორიების დაკარგვა, ოკუპანტის მხრიდან დამცირება, ცემა, ძვალ-რბილის გაერთიანება და საკუთარი და სამშობლოს ღირსების მიწასთან გასწორება იწვნია. „უცბათ ამოხეთქა ამდენი წლის ჩაგუბებულმა ბალდამმა. ვეღარ გაუძლო, ვეღარ აიტანა. მოთმინება ბასრი იარაღია, მაგრამ აყრილი ჰქონდა ეს იარაღი ხეფას“. (სოსიაშვილი, 2022:72) ადვილად სავარაუდო დასასრული არგუნა განგებამ ხეფას ბიჭს. მის კეფაში ორი ტყვია გაიჭედა. მაგრამ ამ ამბის მერე აშკარაა, რომ ის ხეფას ბიჭი აღარ იყო, ხეფა გახდა მისი მამა. „ისე იყო დამხობილი, გეგონება საფლავის ქვას ეხუტებო. ხეფას სისხლით დავსველდი, თითქოს ჩემი წილი სისხლიც იმან გაიღო. საფლავის ქვაზე იღვენთებოდა ხეფას ბიჭის სისხლი, ხავსგადავლილ წარწერას ჩამოსდევდა და მერე მიწაში მიჟონავდა. ორი სიტყვა ჩანდა ქვაზე, ხეფას იღლიის დაბლა. მომიხსენე, უფალო – თითქოს თავისი სისხლით დააწერა“. (სოსიაშვილი, 2022:73)

მწერლობას რომ უდიდესი და ხშირად შეუცვლელი ფუნქცია აკისრია დაპირიპირებულ ხალხებს შორის ურთიერთობის დარეგულირების საქმეში, ეს არახალია და არც კამათის საგანს წარმოადგენს. სწორედ ამ ტიპის თხზულებებს მიეკუთვნება გიორგი სოსიაშვილის ჩემ მიერ განხილული მოთხრობა „ხეფას ბიჭი“. ნაწარმოებში აშკარა და მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება იგრძნობა რუსული მხარის მიმართ, რასაც ვერ ვიტყვით ოსებთან დაკავშირებით. პირიქით, იკვეთება შემრიგებლური ტონი და ნაწარმოებში დადებითი ოსი პერსონაჟების ჭარბად შემოყვანაც ამის დასტურია. ასეთი პერსონაჟია მაგალითად რიტა, რომელიც ნიკოსა და ხეფას ბიჭს გაქცევაში ეხმარება. ასეთივეა ნიკოს ქვისლი ნარიკა, რომელიც ომის დაწყებამდე ურეკავს ქეთოს და საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად აფრთხილებს, რომ დატოვონ სოფელი, რომელსაც მალე რუსის ჯარი დაიკავებს. მკითხველის კეთილგანწყობას იმსახურებს ოსი მესაზღვრეც, რომელიც ნიკოს ბიჭის მეგობარი აღმოჩნდება და შეძლებისდაგვარად ეხმარება მეგობრის მამას. მეორეს მხრივ, თხზულებაში არ ფიგურირებს რუსი, რომელიც დადებითად იქნება მოხსენიებული ნაწარმოების ქართველი ან ოსი პერსონაჟების მიერ. ეს ყოველივე კი იმაზე მეტყველებს, რომ გიორგი სოსიაშვილი კარგად აცნობიერებს ქართულ-ოსური კონფლიქტის მაპროვოცირებელ ძალას ჩრდილოელი მეზობლის სახით და აშკარაა, მკითხველსა და კონფლიქტის მხარეებსაც სწორედ ამ უმთავრესი პრობლემისაგან თავის დაღწევის გზების ძიებისაკენ მოუწოდებს. ჩემს მოხსენებას კი დავასრულებ კონფლიქტოლოგ სოსო ვახტანგაშვილის სიტყვებით, რომლებსაც სრულად ვეთანხმები და ვიზიარებ: „არავითარი ეთნიკური კონფლიქტი არ არსებობს ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის, მით

უფრო, თუ გავითვალისწინებთ 40%-იან ნათესაურ კავშირს შერეული ოჯახების სახით. არსებობს მხოლოდ საუკუნეობრივი გეოპოლიტიკური ინტერესები, რომლის მთავარი აქტორი კავკასიის დიდ ფარდას ამოფარებული ევრაზიული იმპერიაა“! (ვანტანგაშვილი, 2020)

ბიბლიოგრაფია:

1. გოგილაშვილი ა, მინდიაშვილი ნ: „კულტურული დიალოგის კონცეპტები კრებულ „ალილუიას“ ავტორთა შემოქმედებაში“; 2019
2. ვანტანგაშვილი მ: „საქართველოში ოსების განსახლების ისტორიული და პოლიტიკური ასპექტები“; თბილისი, 2020
3. საქართველოს პარლამენტის დადგენილებები: 2016
<http://www.parliament.ge/>
5. სოსიაშვილი გ: „ზღვა და ალუბლები (ოთხი მოთხრობა)“; თბილისი, 2022.

Gogilashvili Ana
Tbilisi, Georgia

THE PARADIGM OF WAR IN THE STORY OF GIORGI SOSIASHVILI (“SON OF KHEPA”, “BARBED WIRE, “BUTTERFINGERED”)

Abstract

Imperishable marks were etched in the latest history of Georgia by tragedy events of August 2008. Lost territories, plenty of Georgian fellows, and thousands of homeless citizens abandoned with the pain of displacement and a wound, which is exasperated instead of cicatrizing by aggressive policy and fast-growing occupation of Russia every single day are the incomplete list of outcomes of the war.

A number of prose or poetic works were dedicated to the war in Georgian literature. Some authors attempt to reflect brutality in a natural way as much as possible, which is accompanied by military conflicts. Some arouse compassion in the reader by describing the stories of displaced and dead people, and some attempt to put the end to the conflict with peacekeeping.

Giorgi Sosiashvili is an author outcasting to the aforementioned category. Allegedly, he has no intention to attempt anything, at the same time, he most naturally describes the characters of Georgian men’s nature artlessly, breathtakingly, and cardinally, what the people feel who went through the sorrows of the war, what their psychic, fears, pains, expectations, standing on the edge of the door of the lost house now belonged to the occupants and considering whether to set fire to it is a solution are alike. What visiting a grave of a dead spouse beyond barbed wires, what allowed amount of time to see the family members per seven years, and finally, what inability of controlling the nursed anger released while seeing the grave occupied by the Russian military is like, and tragedy, after tragedy is added.

I will furtherly talk about what function literature has during such painful and profoundly significant events in the country, what the approaches and tendencies of the latest literature are like in this way, and what being bygone war means in my paperwork based on Giorgi Sosiashvili’s stories.

Keywords: Imperishable, furtherly, breathtakingly, butterfingered.

Горюшина Евгения М.
кандидат политических наук,
Южный научный центр РАН,
Ростов-на-Дону, Россия

МЕМОРИАЛЬНЫЙ ЛАНДШАФТ СОВРЕМЕННОЙ ГРУЗИИ: ОСОБЕННОСТИ ГЕОГРАФИИ ПАМЯТИ О СОБЫТИЯХ 1939-1945 ГГ.

В антропологическом измерении ландшафты представляют собой территории связности. Их виды и особенности описаны в работе американских антропологов Б. Бриджеса и С. Остерхаудт из Индианского университета в Блумингтоне [1]. Именно антропология позволяет рассматривать историческую память как совокупность индивидуальных и коллективных форм (памяти), различных способов ее маркировки, интерпретаций и даже нивелирования прошлого. Этнографические исследования подчеркивают теоретический потенциал изучения точек пересечения ландшафта и памяти, где ключевыми становятся место, масштаб, временные рамки, экология и способы существования в мире. Как утверждает Остерхаудт, ландшафт памяти включает в себя разные инструменты познания и запоминания, вплетение личного в процесс воспроизведения памяти с учетом более обширных политических и экономических контекстов истории [2: 263].

Сочетание памяти, культурных особенностей урбанизма и последствий войны обеспечивает теоретико-методологический конструкт для изучения ландшафта исторической памяти о Великой Отечественной войне в условиях полного или частичного ее нивелирования на официальном уровне в современной Грузии.

В заголовок настоящей статьи вынесены только даты Великой Отечественной войны, но не название события, поскольку институционализация исторической памяти в Грузии сопряжена с гегемонией (властью) официального дискурса о советском прошлом. Это выражено в форме ограничения на использование (вплоть до полного запрета) советской символики и закрепления на законодательном уровне в «Хартии свободы» 2011 г. Данные меры привели к нивелированию памяти о Великой Отечественной войне в Грузии в общественно-политическом дискурсе. Важным следствием «Хартии свободы» стала кампания по переименованию различных топонимических объектов, поскольку Хартия не допускает использование в географических названиях имен советских и коммунистических деятелей и иных отсылок к коммунистической идеологии. В результате этого ландшафт памяти о Великой Отечественной войне в Грузии подвергся значительным изменениям, постепенно превращаясь в ландшафт памяти о Второй мировой войне [8: 411] в целях углубления ассоциации с Европейским Союзом и военно-политическим блоком НАТО. Следовательно, справедливо говорить о разделении памяти в постсоветской Грузии о событиях 1941-1945 гг. В официальном дискурсе южнокавказского государства эти даты вписаны в контекст общеевропейской исторической памяти о Второй мировой войне (1939-1945 гг.). При этом в 2004-2013 гг. – в период правления М. Саакашвили – активно разрушается традиционная историческая память о Великой Отечественной войне [6: 41].

Автором статьи предполагается, что ландшафт памяти существует, если происходит коммеморация. Несмотря на то, что в официальном дискурсе Грузии нивелирована память о Великой Отечественной войне, в неофициальном дискурсе фиксируются коммеморативные акты.

В настоящем исследовании предпринимается попытка описания выборки ключевых точек ландшафта памяти о Великой Отечественной войне в современной Грузии, выраженных в форме мемориалов, памятников и других объектов. Обращение к различного рода исследованиям и материалам об отражении событий 1941-1945 гг. в мемориальном

пространстве постсоветской Грузии показывает, что существующая информация не отличается системностью. В большинстве случаев отсутствует развернутый перечень основных мемориальных объектов, а география исследований значительно редуцирована и ограничивается грузинской столицей – Тбилиси [4].

Ключевой точкой ландшафта памяти Грузии является Могила Неизвестного солдата, расположенная в г. Тбилиси, на территории парка Ваке. Архитектор: Н. Николов. Мемориальный объект посвящен сотням тысяч грузинских солдат, служивших и погибших в Красной Армии во время Великой Отечественной войны. Памятник был официально открыт Генеральным секретарем СССР Л. Брежневым и первым секретарем ЦК Компартии Грузинской ССР Э. Шеварднадзе в рамках бриллиантового юбилея республики в 1981 г. Здесь горит Вечный огонь, к которому ведут платановая, ореховая и дубовая аллеи.

Также на территории парка Ваке расположен скульптурный комплекс «Реквием», установленный вокруг Могилы Неизвестного солдата. Композиция посвящена воинам, погибшим в Великой Отечественной войне. На самом деле скульптуры изображают средневековых воинов, символизирующих всех погибших в войнах за всю историю Грузии. «Реквием» выполнен в 1981-1985 гг. архитектором Г. Очаури. В 2009 г. скульптуры сидящих воинов были перенесены к подножию Горийской крепости, что связано с политикой десоветизации М. Саакашвили.

Одно из старейших кладбищ грузинской столицы – Кукийское кладбище – также представляет собой значимую точку мемориального ландшафта Грузии, занимая 5,4 тысячи квадратных метров. Оно расположено на склоне холма Махата. На территории кладбища находится одно из крупнейших воинских захоронений Грузии времен Великой Отечественной войны (800 могил с мемориальной плитой, а в целом по записям – 1607 могил), поскольку рядом в годы войны находился госпиталь, откуда привозили умерших солдат. В память о воинах из 15 республик установлено 15 обелисков из камней, которые венчает обелиск Воинской славы. В самом начале боевых действий хоронили на старом кладбище в общей яме. Значительно позже здесь был перезахоронен гвардии майор, танкист Ш. Гогоришвили, погибший под Варшавой в августе 1944 г. Его похоронили в Бресте. На могиле Гогоришвили ранее без постамента было установлено самоходное орудие, достаточно редкий образец военной техники – СУ-85.

Еще одним мемориальным объектом современной Грузии является Петропавловское кладбище, расположенное в г. Тбилиси. В настоящее время законсервировано. Известно, что с 1 января 2018 г. Петропавловское кладбище приобрело статус мемориального. Некоторые могилы утеряны наряду со списком фамилий захороненных (1451 боец). Занимает территорию в 7,4 тысячи квадратных метров. На этом кладбище хоронили умерших в 29 тбилисских госпиталях. На территории находится обелиск.

Комплекс «Отец солдата», с. Гурджаани, регион Кахети. Данный объект был открыт 9 мая 1978 г. и является частью большого мемориального комплекса погибшим воинам, находящегося на холме над городом. Центральной точкой комплекса является пятнадцатиметровый памятник Г. Махарашвили. В известном фильме о Великой Отечественной войне – «Отец солдата» (1964 г.), снятого режиссером Р. Чхеидзе, главного героя сыграл С. Закариадзе. Это единственный памятник в Грузии, поставленный киногероем фильма. Местный крестьянин, прошедший войну и потерявший на ней сына, запечатлен в форме медной статуи с плащом и шлемом в руках, что олицетворяет скорбь всех родителей, потерявших детей на войне. Фигура отца солдата венчает четыре бастиона, сложенные из крупных камней и обозначающих четыре года войны. От каждого из них можно подняться по лестнице на верхний ярус, где расположены стены Вечности и Памяти, на которых выбиты имена всех погибших в войне кахетинцев, большая часть из них по фамилии Махарашвили. На мемориальном объекте горит вечный огонь. Скульптор: М. Бердзенишвили.

Еще один мемориал «Обитель героев» находится в с. Патардзеули в Сагареджойском муниципалитете, в Кахети. Он был построен односельчанами погибших на войне по проекту архитектора С.И. Ревшвили в 1975 г. Согласно кандидату искусствоведению Н.Л. Беручашвили, «в конце 1960-х и в начале 1970-х годов в Грузии появилось много сельских мемориалов. Некоторые из них отличаются оригинальностью художественного решения. Одним из подобных сооружений является камерный по характеру небольшой мемориал «Обитель героев» (арх. С. Рехвиявили, ск. Б. Чиквинидзе; ск. Патардзеули, 1975г.). Большой интерес в этой композиции представляет звонница, представленная в виде кряжестых стволов деревьев с подвешенными на них колоколами» [7].

Одной из особенностей мемориального пространства современной Грузии является сохранение различных обелисков и мемориалов в высокогорной Аджарии. Так, местные жители поддерживают памятник героям Великой Отечественной войны с. Махунцети Кедского района, а в окрестностях с. Цхмориси (во многих ближайших деревнях) сохранились памятники, в том числе на дорогах. Они встречаются на высоте около 550 метров над уровнем моря.

Изучение различных объектов мемориального поля Грузии сопряжено с разработкой и анализом ландшафта памяти в российском академическом дискурсе.

Исследование выполнено в рамках реализации проекта РФФИ №21-09-43112 в 2022 г.

Список источников и литературы:

1. Bridges B., Osterhoudt S. Landscapes and Memory // Oxford Research Encyclopedia of Anthropology, 2021. <https://doi.org/10.1093/acrefore/9780190854584.013.304>
2. Connolly W. E. The terms of political discourse. – Princeton: Princeton University Press, 1993. 272 p.
3. Osterhoudt S. Written with seed: the political ecology of memory in Madagascar // Journal of Political Ecology. 2016. Т. 23. №. 1. С. 263-278.
4. Sartania K., Bidzhoyan T. Memory Politics: The Post-Soviet Memory Landscape in Tbilisi // Journal of Conflict Transformation. Caucasus Edition. URL:
5. <https://caucasusedition.net/memory-politics-the-post-soviet-memory-landscape-in-tbilisi/> (дата обращения: 23.03.2022).
6. Schmidt V. A. Discursive institutionalism: The explanatory power of ideas and discourse // Annu. Rev. Polit. Sci. 2008. Т. 11. С. 303-326.
7. Wertsch J. V., Batiashvili N. Mnemonic communities and conflict: Georgia's national narrative template / Trust and conflict: Representation, culture and dialogue. 2011. С. 37-48.
8. Беручашвили Н.Л. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата искусствоведения «Мемориалы Грузии 1960х-1980х годов». Москва, 1991. URL: <https://cheloveknauka.com/memorialy-gruzii-1960h-1980h-godov> (дата обращения: 23.03.2022)
9. Рцхиладзе Г. В. Память о Великой Отечественной войне в современной Грузии // Постсоветские исследования. 2020. Т. 3. №. 5. С. 409-414.

Goryushina Evgeniya M.
PhD in Political Science,
Southern Scientific Center of Russian Academy of Sciences,
Rostov-on-Don, Russia

**MEMORIAL LANDSCAPE OF MODERN GEORGIA:
FEATURES OF THE MEMORY GEOGRAPHY, 1939-1945.**

Abstract

In the anthropological dimension, landscapes are territories of connectivity. Their types and features are described in the work of American anthropologists B. Bridges and S. Oosterhout. The memory landscape includes various tools for learning and remembering, weaving the personal into the process of memory reproduction, taking into account the broader political and economic contexts of history. The combination of memory, cultural characteristics of urbanism and the consequences of war provides a theoretical and methodological construct for studying the landscape of historical memory of the Second World War/Great Patriotic War, a polemical segment of research in contemporary Georgia.

Despite the fact that the memory of the Great Patriotic War is almost completely leveled in the official Georgia discourse, though commemorative acts are still recorded in the unofficial discourse. Appeal to various kinds of research and materials on the events of 1939–1945 reflection in the memorial space of post-Soviet Georgia shows that the existing information is not systematic. In most cases, there is no detailed list of the main memorial sites, and the geography of research is significantly reduced and is limited mainly to the Georgian capital – Tbilisi.

One of the features of the memorial space of modern Georgia is the preservation of various obelisks and memorials in the highlands of Adjara. Thus, local residents maintain in proper form a monument to the heroes of the Great Patriotic War in the village of Zeda-Makhuntseti, Keda region, and in the vicinity of the village of Tskhmorisi of the same region (as in many nearby villages), monuments to fallen fellow villagers during the war years have been preserved, including along various roads at an altitude of about 550 m above sea level.

The publication was prepared with the support of the RFBR grant No. 21-09-43112 in 2022.

Keywords: Anthropological, memorial, Georgia.

ელენე გოგიაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

ალექსანდრე მაკედონელი ოსურ ფოლკლორში

ალექსანდრე მაკედონელზე შექმნილი ლიტერატურული ტრადიციის ფუძემდებლად მიჩნეულია კალისტენე, რომელმაც ალექსანდრეს ბიოგრაფიაში შეიტანა მისი ლეგენდური თავგადასავლები. მომდევნო საუკუნეებში ფანტასტიკური თხრობა გაგრძელდა ალექსანდრეს ზღაპრული ისტორიით – ფსევდოკალისტენეს „ალექსანდრეს რომანიო“. სწორედ ეს თხზულება იქცა ხალხური გადმოცემების წყაროდ შუა საუკუნეებში. ალექსანდრე მაკედონელის როგორც ისტორიულ, ასევე ლეგენდულ თავგადასავალს კარგად იცნობდა ქართული საისტორიო მწერლობა. მისი ფრაგმენტების კვალი ჩანს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მათიანეში, „მეფეთა ცხოვრებაში“, ჯუანშერის „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“, დავით აღმაშენებლის და თამარის ისტორიკოსებთან, ჟამთააღმწე-

რელთან (გოგოლაძე 2008). მაგრამ „ალექსანდრიანის“ ძველ ქართულ ორიგინალურ თარგმანს ჩვენამდე არ მოუღწევია. არსებობს მხოლოდ ქართლის მეფე არჩილის თარგმანი XVII-XVIII სს. (ალექსანდრიანი 1980: 8).

გადმოცემები ალექსანდრე მაკედონელის ზღაპრულ თავგადასავლებზე უამრავ ქვეყანაში არის გავრცელებული, მათ შორის იმ ქვეყნების ზეპირსიტყვიერებაშიც კი, სადაც ალექსანდრეს არასოდეს ულაშქრია (Gero 1993). ხალხურ თქმულებათა სერიები არსებობს ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ, ბერძნულ, რუმინულ, სერბულ, ჩეხურ და სხვა ზეპირ თხრობით რეპერტუარში. ალექსანდრე მაკედონელის შესახებ ხალხური გადმოცემები შემოინახა ქართულმა და ოსურმა ფოლკლორმაც.

ალექსანდრეს ცხოვრების ლიტერატურული და ხალხური გადამუშავებები უამრავ ფანტასტიკურ მოტივს შეიცავს, განსაკუთრებით ზესკნელსა და ქვესკნელში მოგზაურობებს უკვდავების საძებნელად. ხშირად ხალხურ გადმოცემებს უფრო მეტი აქვთ საერთო ფოლკლორულ სიუჟეტებთან, ვიდრე ლიტერატურულ წყაროებთან (Костюхин 1972: 42).

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ალექსანდრე მაკედონელი ნოველისტურ ზღაპრებში ჩნდება (ღლონტი 1937, 203-204). ალექსანდრე მხატვრული სახეა პატივმოყვარე და ძლევამოსილი მეფისა. განსხვავებულად წარმოგვიდგენს ალექსანდრეს ოსური გადმოცემა, რომელიც ჯადოსნური ზღაპრის სტრუქტურითა და პოეტიკით მოგვითხრობს ლეგენდარული მეფის შესახებ.

ზღაპრისთვის კარგად ცნობილი რამის გახედვის მოტივი ოსურ ზღაპარში შერწყმულია ალექსანდრესა და ბუცეფალის ლეგენდასთან და ამავე დროს არც ჯადოსნურობას კარგავს. აქ და შემდგომ ტექსტი მოყვანილია მერი ცხოვრებოვას მიერ თარგმნილი „ალექსან მაჭიდონიდან“ (ოსური ზღაპრები 1973, 108-113):

ადრე, შორეულ წარსულში ცხოვრობდა საწყალი ბიჭი – ხელმწიფე, სახელად ალექსან მაჭიდონს ეძახდნენ. მას ერთი გიჟი კვიცი ჰყავდა.

კვიცი ძვალმსხვილი და ლამაზი იყო. იზრდებოდა ლაღად და ისეთი ვეება და ღონიერი დადგა, ვერც ერთი ცხენი ახლოს ვერ ეკარებოდა, რომელსაც კი თავისი ძლიერი მკერდით დაეტაკებოდა, ფეხზე ვეღარა დგებოდა. ვერც საუკეთესო მხედრები ეკარებოდნენ ამ კვიცს, ზოგს მკლავი წასჭამა, ზოგს ყური ააგლიჯა, ახლოს არავის იკარებდა და ზედ შეჯდომა ვერავის მოეხერხებინა. ხელმწიფემ სულ საუკეთესო ცხენოსნები დაიბარა, მაგრამ ვერავინ მოახერხა, რომ კვიცისათვის ლაგამი ამოედო. ძალიან გაბრაზდა ხელმწიფე და გაიმეტა თავი. სირცხვილში ყოფნას არჩია, თვითონ გაეხედნა თავისი ცხენი. აბრეშუმის თოკი შემოიხვია წელზე და ნელ-ნელა, ფერებ-ფერებით მიუახლოვდა ცხენს. მერე ერთი ისკუპა და ელვის უსწრაფესად კისერზე ჩამოეკიდა ცხენს.

დაიფრუტუნა ცხენმა და ყალყზე შედგა. ხელმწიფემ მაინც არ შეუშვა ხელი, კიდე უფრო მაგრად შემოაჭდო კისერზე მკლავები. მეორედ უფრო მაღლა შეხტა ცხენი და დაიქნია ხელმწიფე, მაგრამ ვერაფერი დააკლო. მესამედაც სცადა კისერზე ჩამოკიდებული კაცის მოშორება, მაგრამ ვერაფერს გახდა. არ გაუშვა ხელი ხელმწიფემ.

მაშინ ცხენი ადამიანის ენით დაელაპარაკა: – ვარგებულხარ მხედრად და მეც გამოგადგები მერნად. ახლა კი სამი დღით გამიშვი იალაღზე თავისუფლად. მერე როცა ჩემი თავი დაგჭირდეს, კვესი ჩამოჰკარი და აბედს მოუკიდე. სადაც არ უნდა ვიყო, აბედის სუნი მეცემა და შენთან გავჩნდები.

ფსევდოკალისტენეს „ალექსანდრიანის“ პერსონაჟი ალექსანდრე შუა საუკუნეების სარაინდო რომანების რაინდთა მსგავსად იბრძვის შორეულ ქვეყნებში. ხალხურ გადმოცემებში დრო და სივრცე შემოსაზღვრული არ არის. ლიტერატურული და ფოლკლორული მოტივებიც ერთმანეთში ჰარმონიულად გადადიან. ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით, ალექსანდრე სხვის მიწებს კი არ იპყრობს, არამედ მათ პატრონობს და თავის ვასალებად აქცევს. ოსურ გადმოცემაშიც ალექსან მაჭიდონი არ სჯის დამარცხებულ აღმოსავლეთის მეფეს:

გადარჩა ალექსანი, ქუდი მოიხადა და თქვა: – დღეს ჩემი ბედნიერების დღე ყოფილა! სიკვდილს გადავურჩი. არავის არ მოვკლავ და არავის არ დავსჯი. აღმოსავლეთის ხელმწიფეს წინ ისრის ნამტვრევები დაუყარა და უთხრა:

– მიპატიებია ეგ შეცდომა და არ მოგკლავ. დიდი სახელმწიფო გაბარია და შენს ხელქვეითთაგან ხალხს უსაქმურობას ნუ კი აჩვენ. ომის საქმეს შეეშვი, მიწის დამუშავებაზე დასაქმე ხალხი, ჭირნახული მოიყვანე, საქონელი მოამრავლე, შენ თვითონ გადამიხდი იმდენ ხარკს, რაც მე შემომითვალე – ათ საპალნე ოქროს ფულს ან არა და შენი შემოსავლის მეათედს. თუ სახელმწიფოში მშვიდობა არ გექნება და სამჯერ გიჩივლებენ ჩემთან, იცოდე, თვალეებს დაგთხრი, ბნელ ორმოში ჩაგაგდებ და სიკვდილამდე იქ გამოყოფებ!

ალექსანის განაჩენი ჯარს ძლიერ მოეწონა და სიხარულის ჟრიაბული ატეხეს. მოწინააღმდეგე ხელმწიფის ჯარიც ალექსანისაკენ გამოიქცა და თავი შეავედრა.

ის დღე მაჭიდონისათვის მეორედ დაბადების დღე იყო – მთელ დედამიწას მოედო მისი სახელი. მისი გონიერების, გულკეთილობის, ვაჟკაცობის ამბავი მთელმა ქვეყანამ შეიტყო.

ლიტერატურულ თხზულებებში ალექსანდრე მაკედონელის შესახებ ფილოსოფიური და ეთიკური საკითხები უფრო მეტად იწვევს წინა პლანზე, ვიდრე ისტორიული ფაქტების ასახვა. ალექსანდრე ხდება დადებითი ან უარყოფითი მაგალითი. ის ერთი მხრივ, დიდი სარდალია, მეორე მხრივ, ტირანი, რომელსაც წარმატებამ თავბრუ დაახვია და თავისმა სურვილებმა დაღუპვამდე მიიყვანა. ოსურ ზღაპარში ეს მომენტიც თვალსაჩინოა. ალექსანდრეს არ აკმაყოფილებს თავისი სამფლობელო, ის ეძებს ახალ გზებს, უნდა ყველა დაკეტილი კარის გაღება, ყველა დაფარული საიდუმლოს ახსნა.

კაცის თვალის ვერაფრით გაძლება და მაჭიდონსაც აღარ აკმაყოფილებდა, რაც მოიპოვა: ერთ ადგილზე აღარ დადგა და სულ მეტ და მეტ ქვეყნებს იმორჩილებდა. სულ მოკლე ხანში ლამის ყველა სახელმწიფო დაიპყრო და მიიჩიმა. მერე როგორც იყო, იფიქრა სახლში მობრუნება.

ბევრი იარა თუ ცოტა, თვითონ იცოდეს და ერთ მზიან დღეს მწვანე ველზე მორაკრაკე მდინარის პირას ბანაკი დასცა და ჯარი დასასვენებლად შეაჩერა. ალექსანს წყალი მოსწყურდა და იმ მდინარის წყალი მოართვეს. დალია და ისე ეამა, თითქოს იმ წყალზე გემრიელი მის დღეში არ დაელიოს. უცბად გადაწყვიტა, იმ მდინარის სათავე ეპოვნა და გაესინჯა. ორი ჯარისკაცი გაიყოლა და წყალ-წყალ ზევით შეუყვა. იქ დარჩენილ ჯარს კი უბრძანა:

– სანამ მოვბრუნდებოდე, შეისვენეთ, ნადავლსაც გაუფრთხილდით და საკუთარ თავებსაც!

მიდიან წყალ-წყალ, მიდიან და აღარ უჩანს დასაწყისი მდინარეს. როგორც იყო დღის ბოლოს მიაღწიეს ერთ უშველებელ მაღალ სასახლეს. სასახლეს ირგვლივ ხმლის პირები ჰქონდა დატანებული ისე, რომ ვერაფრით ვერ გადავიდოდა სულიერი. სასახლეს მაღალი ორმაგი რკინის კარები ჰქონდა დატანებული; რკინის კლიტით დაკეტილ კარებში ყარაულად მარტო ერთი კაცი იდგა და იმასაც იარაღიAდა მარტო ერთი შუბი ეკავა.

ალექსანმა შესძახა:

– კარები გაგვიღე!

– არც კარის გაღება შეიძლება და არც შიგ შესვლა! – უპასუხა მან.

ალექსანი გაბრაზდა და დაუყვირა:

– იცი, ვინა ვარ მე? ჩქარა გახსენ კარები, მე ალექსან მაჭიდონი ვარ!

მეკარემ ცეცხლივით თვალეები მიანათა და უთხრა:

– ვინც გინდა იყავი, სადაც დგებარ, მაგას აქეთ ერთი ნაბიჯის გადმოდგმაც არ შეიძლება და საიდანაც მოსულხარ, იქით გაბრუნდი!

მეკარის თვალებმა ისე მონუსხეს ალექსანი, რომ კინაღამ ცხენიდან ჩამოვარდა: გული შეუქანდა, ტანში სულ ჟრუანტელმა დაუარა. კარგა ხანს ენაც ველარ დაძრა. ცხენიც აკანკალდა და ყურები დაუშვა.

მერე გონს რომ მოეგო, მიხვდა, ეს უბრალო კაცი, უბრალო მეკარე რომ არ იყო. ცხენი შემოატრიალა და ესლა ჰკითხა:

– ის მაინც მასწავლე, რა გააძღობს კაცის თვალს_

მეკარემ ადამიანის თვალის ბუდის ძვალი გადმოუგდო და უთხრა:

– წაილე ეს და სასწორზე დადე, მაგისი წონა გააძღობს მხოლოდ კაცის თვალს.

ალექსანმა ჯიბეში ჩაიდო ძვალი და წამოვიდა. როცა თავის ბანაკს მიაღწია, სასწორი მოითხოვა და ცალ მხარეს ეს ძვალი დასდო, მეორე მხარეს თავისი მშვილდი. უყურებს და ძვრაც ვერ უყო მშვილდმა იმ პატარა ძვალს. გაუკვირდა გუნებაში და მეორე მშვილდიც დააწონა. მერე მესამეც, მერე სხვა მშვილდებიც დააწყო ზედ, მაგრამ ოდნავ ვერ დასძლიეს ძვალი. მაყურებლები გაოცებას იყვნიენ.

მოაწყდა და მოაწყდა ხალხი ამ საკვირველ სანახაობას. ზოგმა რა თქვა, ზოგმა რა, მაგრამ სინამდვილეში ვერაფერი გაეგოთ, რაში იყო საქმე.

ბოლოს მაჭიდონმა თავისი ხმალიც დააწონა, მაგრამ ვერც ამან გადმოსძლია ის ერთი ბეწო თვალის ბუდე.

ამ დროს გზაზე ერთი ჩამოგლეჯილ-ჩამოფლეთილი ფეხშიშველა მოხუცი კაცი მიდიოდა. ალექსანმა დაინახა და დაუძახა. აჩვენა სასწორზე დალაგებული ძვლის ნაჭერი და ამდენი საომარი იარაღი და კითხვით შეხედა სახეში.

მოხუცი დააკვირდა ძვალს, მიხვდა, კაცის თვალის ბუდე რომ იყო და სასწორიდან საომარი იარაღი ააკრეფინა. მერე აიღო თვალის ბუდე, მიწით გამოტენა, ეს მიწა სასწორის ცალ მხარეს დაცალა და ცარიელი ძვალი მეორე მხარეს დაუდო.

და ჰოი, საკვირველებაჲ!

სასწორი შექანდა, მალღა აისროლა ძვალი, მიწა კი ძირს თავის ადგილზე დაიპნა!

კაცის თვალს მიწის მეტი არაფერი გააძღობს! თვალი რაც მეტს ხედავს, მეტი უნდა. როცა მოკვდება და მიწას დააყრიან, მხოლოდ მაშინ ძლება, აღარაფერი უნდა.

ეს სასწორი წამლად ექცა მაჭიდონს, ამის შემდეგ სიკვდილამდე მშვიდად და უშფოთველად იცხოვრა.

ისტორიული ქრონიკა ხშირად იყენებს ზღაპრულ-ფანტასტიკურ მოტივებს თხრობის-თვის, ხალხური გადმოცემა კი ისტორიულ პირს ლეგენდისა და ზღაპრის პერსონაჟად აქცევს. ალექსანდრე მაკედონელი კავკასიურ ფოლკლორში შემოვიდა არა ისტორიული მესხიერების შედეგად, არამედ ლიტერატურული და ზეპირსიტყვიერი გზით. ქართულ ფოლკლორში სწორედ ის საზღაპრო სიუჟეტები გავრცელდა ალექსანდრე მაკედონელზე, რაც საერთოდ დამახასიათებელია აღმოსავლური და ევროპული ზეპირი თხრობითი გადმოცემებისთვის. მათი წყარო „ალექსანდრეს რომანია“.

ოსური გადმოცემა მთლიანად აგებულია ჯადოსნური ზღაპრის პრინციპებზე, რომელშიც გამოკვეთილია შუა საუკუნეების სარაინდო იდეალები და ამჟღავნებს პირდაპირ კავშირს ლიტერატურულ ტრადიციაში დამკვიდრებულ ალექსანდრეს სახესთან. ქართული და ოსური ხალხური გადმოცემები ალექსანდრე მაკედონელზე უნდა წარმოადგენდნენ ფსევდოკალისტენეს „ალექსანდრეს რომანის“ ფოლკლორულ გადამუშავებებს და მისი ქართული თარგმანის მეშვეობით უნდა გავრცელებულიყო როგორც ქართულ, ისე ოსურ ზეპირსიტყვიერებაში.

ლიტერატურა:

1. ალექსანდრიანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო რევაზ მირიანაშვილმა. თბილისი: „მეცნიერება“, 1980.
2. გოგოლაძე, ანდრო. ფსევდოკალისტენეს „ალექსანდრიანის“ მემკვიდრეობა ძველ ქართულ მწერლობაში („ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“). თბილისი: „მერიდიანი“, 2008.
3. ოსური ზღაპრები. თარგმნა მერი ცხოვრებოვამ. ცხინვალი: გამომცემლობა „ირისტონი“, 1974. გვ. 108-113.
4. ღლონტი, ალექსანდრე. გურული ფოლკლორი I. თბილისი: „სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1937.
5. Gero, Stephen. 'The Legend of Alexander the Great in the Christian Orient'. *Bulletin of the John Rylands Library*, 75, no. 1 (1993), 3–9.
6. Костюхин, Евгений А. Александр Македонский в литературной и фольклорной традиции. Москва: «Наука», 1972.

Elene Gogiasvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

ALEXANDER OF MACEDON IN OSSETIAN FOLKLORE

Abstract

In the folklore of many peoples is reflected the fabulous adventures of Alexander the Great, even in those countries where he never reached during his campaigns. Folk narrative tradition about Alexander of Macedon exists in oral narrative repertoires of French, Italian, Spanish, Czech, Greek, Romanian, Serbian and East-European folklore in general. The source of folk legends is the third-century “Alexander Romance” of Pseudo-Callisthenes, spread in Europe via translations. The “Alexander Romance” appeared in Georgian historical chronicles too. For Medieval Georgian historians, Alexander the Great is an example of ideal hero and king. The folktales and legends on Alexander the Great are popular in Georgian and Ossetian oral narratives.

The paper deals with an Ossetian folk legend on Alexander of Macedon. The text is structured as magic tale and shows connections to the literary figure of Alexander. After comparative research of Georgian and Ossetian texts, the paper gives a suggestion that they present folkloric interpretations of the Georgian translation of “Alexander Romance”.

Keywords: Folklore, Pseudo-Callisthenes, Ossetian, Georgian.

ქეთევან გოდერძიშვილი
ენათმეცნიერი-ონომასტიკოსი
ფაზისის აკადემიის წევრი
თბილისი, საქართველო

დადაბიტი შტრიხები ქართული და ოსი ეროვნების ხალხთა ურთიერთობებიდან

ცხინვალის რეგიონის მოკლე ისტორიული ექსკურსი. 80-იან წლებში ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ცხინვალის რ-ნში არაერთგზისი მივლინების შედეგად 2015 წელს გამოვეცი ცხინვალის რეგიონის ტოპონიმთა

ლექსიკონი (რედაქტ. – პაატა ცხადაია, მთავარი რედაქტ. ნაირა ბეჰიევი). თსუ ტოპონიმიკის ცენტრის მიზანი იყო სრულიად საქართველოს ტოპონიმთა აღწერა. არ უნდა დაკარგულიყო ქართული მიწის ქართული სახელები, ცხინვალის რეგიონში კი, ცხადაია, არც ოსური ტოპონიმები უნდა დაკარგულიყო, რადგან ესაა ჩვენი, ქართველი ერის, ისტორიის ნაწილი.

ცნობილია, რომ ამ ორ ერს შორის ზოგჯერ იყო უთანხმოება. მაგ., გორში შემოჭრა. გიორგი ბრწყინვალემ აღადგინა ისტორიული სამართლიანობა. რაც, მთავარია, იყო კეთილგანწყობაც, რასაც საკმაოდ ღრმა ფესვები აქვს. ეს ფესვები მუდამ ამბობდნენ თავის სიტყვას და მჯერა, რომ მომავალშიც ასე იქნება. ქართველ და ოს ხალხთა კეთილ ურთიერთობებს ჩვენი მეფეების – გიორგი I-ის, ბაგრატ IV-ის, გიორგი III-ის, თამარ მეფის, დავით ულუს ოჯახური მდგომარეობაც ადასტურებს. საქართველოს დედოფლებად არიან ხელდასხმულნი ოვსთა მეფეთა ასულნი: ბორენა (ბაგრატ IV-ის მეუღლე), ბურდუხანი (გიორგი III-ის მეუღლე), ალთუნი (დავით VII ულუს მისგან შეეძინა გიორგი. გიორგი I-ს ოვსთა მეფის ასულისგან, ალდესგან, ჰყავდა დემეტრე (ბაგრატ IV-ის ნახევარძმა), რომლის ხაზით ბაგრატიონების შთამომავალია დავით სოსლანი. ამ ორ ერს შორის სასიკეთო ურთიერთობის დასაბამი უფრო შორეული წარსულიდან, ძვ. წ. III ს-ის დასაწყისიდან, მოდის: გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ, ფარნავაზმა, თავისი ერთი და ქუჩის, მეორე და კი ოვსთა მეფეს მიათხოვა...

ეს ურთიერთობები აისახებოდა ქართველთა ბრძოლებში დიდი იმპერიების წინააღმდეგ. ჯერ კიდევ პირველი გაერთიანებული საქართველოს შექმნისას ფარ-ნავაზისა და ქუჩის ქართულ ლაშქარს მხარში უდგნენ ოსები და ლეკები დაქირავე – ბული ჯარის სახით. დიდგორის ომში (რომელსაც ეწოდა „ძლევაი საკვირველი“, რომელმაც საქართველოს ჰეგემონობა დაუმკვიდრა, და არაოდენ კავკასიაში), როქის სპას 500 ოსი შეადგენდა. ცნობილია, რომ ყივჩაღთა გადმოსაყვანად თავად დავითი გაემგზავრა ოსეთს, ჩრდ. კავკასიაში, რამაც განაპირობა ამ მომთაბარე ხალხის მშვიდობიანი გამოვლა ოსეთის ტერიტ-ზე. „საქართველოს ძლიერი მეფის სტუმრობა ოსთათვის დიდი მოვლენა იყო“, – წერს აკად. როინ მეტრეველი და იმოწმებს „ქართლის ცხოვრებიდან“ შემდეგ ფაქტს: მუვიდა თუ არა დავით აღმაშენებელი ოსეთ-ში, „მიეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი და, ვითარცა მონანი, დადგეს წინაშე მისსა“. ვფიქრობ, მემატინანის ამ ფრაზაში „ვითარცა მონანი“ – უდავოდ იგულისხმება მორჩილებაც და, რაც მთავარია, პატივისცემაც მსოფლიო ისტორიაში ჩართული ქართველი მეფის მიმართ. დავითი თავად იყო მონა ღვთისა, რომლის ფარ-ხმალი იცავდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელ კავკასიას. სწორედ დავითის ღვაწლით იქცა საქართველო ერთიანი კავკასიის გამაერთიანებლად და უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა მთელ აღმოსავლეთში.

გაცილებით ადრე, II საუკუნეში, იბერიის მეფემ, ფარსმან ქველმა, გაუგონარი გაბედულობა გამოავლინა და დაუპირისპირდა რომის იმპერიას, იმპერიას, რომელიც აზანზარებდა მთელ ევროპას (და არამარტო ევროპას). სწორედ ქართველი მეფის დაშვებით შეესივნენ ალან-ოსები რომის იმპერიის სამხრეთ პროვინციებს. როგორც ჩანს, იბერიის მეფეთა რეიტინგს ჯერ კიდევ ძვ. წ-ის პერიოდიდან ზრდიდა ის ფაქტი, რომ ისინი ფლობდნენ ჩრდ. კავკასიის ვიწრო გადმოსასვლელებს. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით გამოსაკვეთია ვახტანგ გორგასლის ღვაწლი. იბერიის მეფეებს რომ თვლიდნენ იმპერიები ჩრდ.კავკასიელთაგან თავდაუსხმელობის ერთადერთ გარანტად, კარგად ჩანს ჯერ კიდევ ძვ. წ-ის I ს-ში იბერიის მეფე არტაგთან დადებული გნეუს პომპეუსის „მეგობრობისა და მოკავშირეობის“ ზავის პირობიდან.

ჩრდ.კავკასიის ქვეყნებიდან ოსეთი ხშირად ოყო საქ-ს ყმადნაფიცი ქვეყანა, რაც მეგობრულ დამოკიდებულებასაც მოიაზრებდა. ისტორიულად ცნობილია ისიც, რომ აღმ-დან შემოჭრილი მტრის (მაგ., მონღოლების) წაქეზებითაც ირღვეოდა საზღვარი ჩრდ. კავკასიელთა მიერ, რასაც შედეგად მოჰყვებოდა ბრძოლები ქართული მიწის დასაცავად. მეორე მხრივ, საქართველოში, კერძოდ, შიდაქართლის მთიანეთში, ჩასახლებული ოსები,

როლანდ თოფჩიშვილის თქმით, თავად უწევდნენ წინააღმდეგობას რუსეთის იმპერიის ანექსიას საქ-ში. ავტორი ასახელებს 1802 წ. და იმ დოკუმენტს, რომელშიც ოსები მოხსენიებული ჰყავთ როგორც „Грузинские осетины“ („Осетины в Грузии“, 2015, 352-3).

სამი საუკუნის წინ ოსთა მასობრივი გადმოსახლების დასაწყისი თვით ქართველთა კეთილმა ნებამ განაპირობა, რამეთუ ოსების გადმოსახლებას არ ჰქონდა საბრძოლო ხასიათი. პირიქით, როგორც პროფ. კობა ხარაძე აღნიშნავს, ისინი შემოდის თავისუფალი გლეხების სტატუსით. ამას ქართველები თანაგრძნობით ეკიდებოდნენ, რისი შედეგიც იყო ორ ერს შორის კეთილი განწყობა: ქართულ მიწაზე თანაცხოვრების შედეგად იქმნებოდა ქართულ ენაზე მოლაპარაკე ქართულ-ოსური ოჯახებიც, რითაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა XX საუკუნე და რაც თვალში საცემად გვხვდებოდა ცხინვალის რეგიონში. საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის სოფ. თამარაშენის ერთი უბნის ტოპონიმი. უბანს ორი სახელი აქვს: „ნათლულების უბანი“ და „ოსების უბანი“. ამ ტოპონიმით აშკარად იკვეთება კეთილმეგობრული დამოკიდებულება ოსებსა და ქართველებს შორის, ნათელმრონობითაც რომ იყვნენ ერთმანეთთან და დაკავშირებული. ამ მოკლე ისტორიული ექსკურსის გათვალისწინებით, შეუძლებელია ყოველივე ეს (მეგობრულ-ნათესაური კავშირები) აღიგავოს პირისაგან მიწისა. ამის მოწოდებაა 1990 წ. ცნობილი ოსი მწერლის, ქალბ. მერი ცხოვრებოვას, წერილი „ვიყოთ იმედად ერთმანეთისა“ (გაზ. „კომუნისტი“), სადაც შემდეგი სიტყვებით მიმართავს თავის აღმზრდელს, პროფ. ალ. ღლონტს: „ჩემო ძვირფასო მასწავლებლო.“ უნდა ითქვას, რომ ოსი მოწაფისა და ქართველი აღმზრდელის ეს გულითადი ურთიერთობა არ არის მხოლოდ ერთი კერძი და მისაბაძი მაგალითი. ქალბ. მერი ცხოვრებოვას მადლიერება ერთი ძლიერი ხმაა, მოწოდებაა, ქართველ და ოსთა შორის ღირსეული ურთიერთობებისკენ.

ამგვარი შეგონების მაგალითად უნდა იქცეს ქალბ. ნაირა ბეპიევის საჯარო ლექცია, სადაც იგი იმონებს ზაქარია ჭიჭინაძის მიმოხილვას, რომლის მიხედვითაც ვლინდება – საუკუნეების განმავლობაში როგორ ზრუნავდნენ ქართველი მეფეები ოსთა ბავშვებისა და, საერთოდ, ოსების განათლებისათვის: „ქართველებმა ოსებს მრავლად გაუხსნეს სხვადასხვა სასულიერო სასწავლებელი და ოსთა შვილები სწავლობდნენ იქ ქართულ ენას, ოსურ ენას, ბერძნულს, რომაულს და განისწავლებოდნენ სხვადასხვა საგნებში. ბაგრატ IV-მ ოსთა შვილები შეკრიბა და სხვადასხვა სახის სკოლებში გაანაწილა. ერთ-ერთი, შიომღვიმის სასულიერო სასწავლებელი, იყო ოსთა სასწავლებელი, სადაც სწავლობდნენ ოსურ ენას. დავით აღმაშენებელმა და გიორგი ჭყონდიდელმა ოსი ბავშვები მთელ ბიზანტიას გააცნო. მათ, 40 ქართველთა შორის, იქ სასწავლებლად რომ გაიგზავნა, ოსებიც ჩართეს. გიორგი IV-მ ოსთა შვილები გაგზავნა ათონის მთაზე, ილია და ალ. ხანანაშვილი გზას ულოცავენ ოსებს განათლების გზაზე, ივ.ჯავახიშვილმა თსუ გახსნის პირველსავე სხდომაზე დააყენა საკითხი ოსთა სწავლაგანათლების შესახებ... სექტემბერშივე დაიწყო თსუ-ში ოსური ენის სწავლება. და ამ საქმეს სათავეში აკად. გიორგი ახვლედიანი ჩაუდგა. მიხეილ ყიფიანი კი გახლდათ ოსთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი წარმომადგენელი ვლადიკავკაზში“.

აქ დამოწმებული ჭიჭინაძისეული ციტატით წარმოჩენილია საქართველოს ისტორია და ქართველი კაცის ღირსეული ტოლერანტული ბუნების მეტად ხელშესახები ფაქტები, რისი გაქლერებაც აუცილებელია ოკუპირებული შიდა ქართლის ტერიტორიაზე, იმედი მაქვს: ეს ისტორიული ფაქტი გაივლის მავთულხლართებს და მიაღწევს ჩვენს ოს მეზობლებამდე, რათა კეთილ „მასპინძელ ექმნენ“ ამ სიტყვებს.

ალექსანდრე ღლონტისა და ოსი ხალხის მეგობრობა როგორც ქართველთა და ოსთა მეგობრობის ერთ მნიშვნელოვანი სიმბოლური ფაქტორი.

ამ ცნობილ ურთიერთობას არაერთი ავტორი შეხებია, მათ შორის, მერი ცხოვრებოვა, ნათელა ვასაძე, ელენე ბაშარული, ვასილ საბანისძე და ნანა განდიელი. წარმოვადგენ მათს წერილებს, რა თქმა უნდა, შემოკლებით.

ПРЕДАННЫЙ ДРУГ ОСЕТИНСКОГО НАРОДА – ასე ასათურებს ქალბატონი მერი ცხოვრებოვა იმ წერილს, რომელსაც უძღვნის ალ. ღლონტს დაბადების 75 წელთან დაკავშირებით (გაზ. «Советская Осетия», 1987). ქალბ. მერი გვაცნობს, როგორ ევლებოდა თავს ქართველი მეცნიერი ოსურ კულტურას და თავადაც ამ წერილში როგორი სიყვარულით საუბრობს თავის ქართველ მასწავლებელზე:

„Говорят, брат братом силен. О братских взаимоотношениях осетинского и грузинского народов с древнейших времен знают все. Мне хочется сказать несколько теплых слов в связи с 75-летием со дня рождения Александра Андреевича Глonti, профессора, заслуженного деятеля наук, видного филолога, сеятеля любви и дружбы между нашими народами. У профессора Глonti много заслуг перед филологией. В 23 года он поступает учиться в аспирантуру Ленинградского института языкознания Академии наук СССР.

Много лет он работал в Горийском пединституте, а в течение 15 лет заведовал кафедрой грузинского языка и литературы ЮОГПИ. Надо особо отметить, что Глonti был из пионеров распространения осетинского народного творчества на грузинском языке. В 1956 году он однажды сказал мне, студентке: «Цховребова, ты хорошо владеешь грузинским языком, давай возьмемся за перевод осетинских сказок на грузинский язык». Так я принялась за перевод осетинских сказок и легенд, собранных Дударом Бегизовым. Глonti отредактировал ее. Написал к ней предисловие и в 1957 году в печати впервые появились осетинские народные сказки на грузинском языке. Грузинский читатель с восхищением принял эту книгу. Издательство «Ирыстон» выпустила ее большим тиражом, но сегодня ее уже не найдешь.

Работая в Цхинвали, Глonti внимательно следил за развитием осетинской литературы и культуры... Глonti очень хотелось видеть напечатанными на грузинском языке произведения классиков осетинской литературы Арсена Коцоева, Созырыко Кулаева, Чермена Бегизова. И он всегда несказанно был рад при виде опубликованных их произведений в грузинской газете. Если даже перевод бывал слабой, он не огорчался: «Работай, работай, потом поймешь, какое хорошее дело делаешь», – так он учил меня, Ему очень хотелось бы, чтобы я перевела на грузинский язык осетинские поговорки и всегда напоминал об этом,

Глonti до конца имел тесные связи с нашим институтом и осетинской интеллигенцией. Наши успехи, будь-то в литературе, или вообще в жизни, радовали его.

დავასახელებთ ორ წერილს, რომელიც ერთ მთლიანობაში მოიაზრებს ოსურ გარემოსა და ალექსანდრე ღლონტს – ქართველ მეცნიერს.

1. ი.გაგლოითი: „პედაგოგიური კადრების სამჭედლო – ალ.ღლონტის მოღვაწეობა ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში („კომუნისტი“,1982,25 ივნისი).

2) Н. Васаძე: Ярче разгорайся огонь братства (მიმოხილვა ალ. ღლონტის მოღვაწეობისა ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში („პედაგოგი“,1982,15 თებ.).

ახლა წარმოვადგენთ ამონარიდს ელენე ბაშარულის წერილიდან: „მეხვედრა პროფ. ალექსანდრე ღლონტთან ცხინვალში“ (გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1988წ.).

აქ საუბარია იმაზე, თუ ცხინვალის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა რა დიდებული მეხვედრა მოუწყო თავის დიდ გულშემატკივარს პროფ. ალ. ღლონტს.

ავტორი აღწერს, როგორ უხაროდა ალ. ღლონტს ახლანდელ მასპინძლებთან მეხვედრა: „უმეტესობა მისი მეგობრები ან აღზრდილები იყვნენ. რამდენი მიძინებული მოგონება გაცოცხლდებოდა! – გზაში ამაზე სუბრობდა ბატონი საშა და მისთვის დამახასიათებელი ბავშვური ღიმილი ეღვრებოდა ტუჩის კუთხეებში.

აი... მანქანა ნაცნობი შენობის წინ შედგა. ბატონი ალექსანდრე მარდად გადმოვიდა მანქანიდან, ძვირფასი სტუმარი გულში ჩაიკრეს მასპინძლებმა. ხალხით გაჭედილი დარბაზი ტაშით შეეგება. მაგიდაზე წითელი მიხაკების თაიგული ბრიალებდა. ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა რუთენ კაბისოვმა შეხვედრა გახსნა და მოკლედ ილაპარაკა იმ დიდ ამაგზე, რომელიც ბატონ ალექსანდრე ღლონტს მიუძღვის ამ ინსტიტუტზე, შემდეგ პროფესორმა გ. ბურჭულაძემ ილაპარაკა დვანოსილი მეცნიერის შემოქმედებით მოღვაწეობაზე.

შ. ძიძიგურმა აღნიშნა: „მართო ნ. ჩუბინაშვილის მემკვიდრეობის მონოგრაფიულად შესწავლა და პუბლიკაცია ერთი კაცის სამეცნიერო მოღვაწეობისათვის სრულიად საკმარისი იქნებოდა“.

შემდეგ პროფესორმა შ. ქურდაძემ გაიხსენა ნაომარი მეცნიერი ჯარისკაცის ფარაჯით რომ მოვიდა ინსტიტუტში, დოცენტმა ო. ქაჯაიამ დამსწრეებს აცნობა იმის შესახებ, რომ თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ერთსულოვნად წამოაყენა ალ. ღლონტის კანდიდატურა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობის კანდიდატად. ამ ცნობას დარბაზი ტაშით შეხვდა.

პროფესორმა ლ. ჩიბიროვმა ბატონ ალ. ღლონტს მადლობა გადაუხადა იმ დიდი ამაგისათვის, რომელიც მან ცხინვალის ინსტიტუტს დასდო. ისაუბრა იმაზე, რომ დიდმა მეცნიერმა ასეთი დიდი ინტერესი გამოიჩინა ოსური ფოლკლორის გადმოქართულებაში, მისი ინიციატივით ორჯერ გამოიცა „ოსური ხალხური ზღაპრე ბი“, რომელიც ოსურიდან ქართულად თარგმნეს ბატონ ალ. ღლონტის აღზრდილებმა.

ბატონ ალ. ღლონტის მეცნიერულ დამსახურებაზე ილაპარაკეს აგრეთვე ლეო კვაჭაძემ, ვ. სომნიშვილმა, ვ. ახალაიამ ჟ. სორდიამ და სხვებმა.

ელენე ბაშარული ასევე იხსენებს: ომი რომ დაიწყო, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტსაც გაუჭირდაო, ანკი რა გასაკვირი იყო, ომის დაწყებისთანავე ლექტორებმა, ვისაც კი მკლავში ძალა ერჩოდა, იარაღი აისხეს. ინსტიტუტი დაცარიელდა და სულ მალე მისი ყოფნა-არყოფნის საკითხიც წამოტივტივდა. ომის დამთავრების შემდეგ სადღა იყო პედაგოგიური კადრები. თითო-ოროლაღა დარჩენილიყო. ალ ღლონტმა არ დაიზარა და კიდევ ერთი დიდი ვალდებულება იტვირთა. თავისებური ენერჯითა და მონდომებით მოჰკიდა საქმეს ხელი. ისევ გაცოცხლდა ცხინვალის ინსტიტუტში სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობა. ღლონტთან ერთად მაშინ ბევრმა ქართველმა მეცნიერმაც დახმარების ხელი გამოუწოდა მეზობლებს. ლექტორთა სამოცდაათი პროცენტი თბილისიდან ჩამოვიდა და ცხინვალის პედ.ინსტიტუტი წელში გაიმართა, დიდი და დაძაბული შრომის შედეგად მოხერხდა ინსტიტუტის შენარჩუნება. სამხრეთი ოსეთის კადრების სამჭედლომ თავისი საქმე გააგრძელა. ბატონ ალექსანდრე ღლონტს დიდი ამაგი მიუძღვის ამ საშვილიშვილო საქმეში,

საინტერესოა ვასილ საბანისძის წერილი „85 წელს გადაბიჯებული“(გაზ. „შიდა ქართლის“ მთავარი რედაქტორი).

ავტორი წერს: დაუვიწყარია 50-60-იანი წლები, როცა ბატონი ალექსანდრე ცხინვალში მოღვაწეობდა. შემართებული, მკვრივი აგებულების, მტკიცე ნებისყოფისა იყო... ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ სტუდენტები – ქართველები, ოსები, რუსები, სომხები, ებრაელები და სხვა ეროვნების წარმომდგენლები – ძმურად, მეგობრულად ყოფილიყვნენ ერთმანეთთან. ასეც იყო. იმ წლებში სუპარატისტული, ექსტრემისტული გამოვლინებები არ ყოფილა. საინტერესოა ისიც, რომ იმ პერიოდში ბატონი ალექსანდრე ღლონტი საფუძვლიანად, დიდი მონდომებით იკვლევდა ქართველი და ოსი ხალხის მჭიდრო მეზობლობისა და მეგობრული ურთიერთობის ხანგრძლივ ისტორიას.

ცხინვალში მოღვაწეობის პერიოდში მან ქართველებთან ერთად მრავალი ოსი ახალგაზრდა მეცნიერი აღზარდა. იგი მათ აძლევდა სიკეთისა და კაცთმოყვარეობის მაგალითს.

მეტად საინტერესოა ნანა განძიელის (გაზ. „შიდა ქართლის“ კორესპონდენტი) წერილი, რომელშიც თავად ალ. ღლონტის სიტყვებია, მისი ცხინვალის რეგიონთან დამოკიდებულება დაფიქსირებული. ესაა ინტერვიუ ალ. ღლონტთან.

წერილის სათაურია: „მეცნიერი, ცხინვალი და გალაკტიონი“.

ამ ღმერთისტოლა კაცს, წერს ავტორი, წარდგენა არ სჭირდება – საქართველოს სახელმწიფო პრემიის, ვაჟა-ფშაველას პრემიის, სახელმძღვანელოთა რესპუბლიკური პრემიების ლაურეატი, საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიისა და ეროვნული აკადემიის წევრი...

განსაკუთრებით საინტერესოა თავად ინტერვიუ:

ჟურნალისტი: ბატონო ალექსანდრე, ჩვენ ნაწილობრივ ვიცით იმ თქვენი ღვაწლის შესახებ, რაც ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული სექტორის დაარსებას ეხება. გთხოვთ დაწვრილებით გაიხსენოთ ეს პერიოდი.

ალ.ღლონტი: ჩემი ახალგაზრდობის საუკეთესო წლები გორისა და ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტებში გავატარე. სხვადასხვა დროს აქ ვმუშაობდი ქართული ენის კათედრის გამგედ, ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანად, წამყვანი საენათმეცნიერო დისციპლინების ლექტორად. ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში 15 წელიწადს დავყავი.

ოცდაათიანი წლების მიწურულს (1937-38 წლებში) გადაწყდა, რომ ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელსაც ჰქონდა რუსული და ოსური სექტორები, ქართული სექტორიც განსწილყო, თუმცა ყველას კარგად მოეხსენებოდა, რომ საამისოდ სპეციალისტთა კადრები მაშინ არა თუ ცხინვალში, თვით რესპუბლიკის დედაქალაქშიც საბოლოოდ საძებარი იყო.

და აი, ერთ დღეს გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში გამოიარა მაშინდელი განათლების სახალხო კომისარიატის უმაღლესი სკოლის სამმართველოს უფროსმა მ. ჩხეტიამ და მთხოვა, ცხინვალს წავყოლოდი: იქ ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ქართული განყოფილება უნდა გაეხსნათ და შენ ენათმეცნიერული დისციპლინების კურსი უნდა წაიკითხო.

პატივისცემით შეგვხვდნენ ინსტიტუტის დირექტორი ხეთაგუროვი, დირექტორის მოადგილე კორნაევი და ფაკულტეტის დეკანი გადიევი. გაიმართა საქმიანი საუბარი ფაკულტეტის სამომავლო პერსპექტივაზე. ინსტიტუტს მაშინ ძალიან უჭირდა, არ ჰქონდა შესაფერისი შენობა, სუსტი იყო მისი მატერიალური ბაზა, არ ჰყავდა ადგილობრივი კადრები, ჭირდა ცხინვალში მიმოსვლა. რკინიგზა არ იყო, ხოლო ერთადერთი პატარა ავტობუსი, რომელიც გორიდან დადიოდა, მგზავრებს ვერ აუდიოდა, ხშირად, განსაკუთრებით, თოვლიან ზამთარში, ავტობუსი ფუჭდებოდა და ტყვიავიდან ცხინვალამდის ქვეითად წასვლა გვიხდებოდა. მახსოვს, ერთხელ ქვეითად მიმავლებს ტირძნისის ჩრდილოეთით გაშლილ მინდორში შემოგვადამდა და თოვლიან ღამეში კინაღამ მგლების კრძადაც ვიქეცით...

მაშინ ჩამოყალიბდა ქართული და ოსური ენების კათედრა, რომლის ხელმძღვანელობაც მე დამეკისრა. ამის შემდეგ ცალ-ცალკე ჩამოვაყალიბე ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრები.

იმ ხანებში, ე.ი. ოცდაათიანორმოციან წლებში, ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწეობდა ქართველ მეცნიერთა შესანიშნავი პლეადა: თედო ბეგიაშვილი, გიორგი ნადირაძე, იპოლიტე ვართაგავა, იოსებ მეგრელიძე, აკაკი თოფურია, სამსონ ენუქიშვილი, ალექსანდრე ფრანგიშვილი, კარპეზ ღონაძე, შოთა გაფრინდაშვილი, ტიტე სარიშვილი, სიმონ და კოტე გაჩეჩილაძეები, დავით ჩხეიძე და სხვები.

В книге «Социалистический реализм сегодня. Проблемы суждения», вышедшей во второй половине 70-х годов авторским коллективом, где представлены мнения многих известных в тот период теоретиков социалистического реализма – Л. Г. Якименко, Г. И. Ломидзе, Г. Н. Поспелова, Д. Ф. Маркова, Ю. И. Суровцева, В. А. Дмитриева, Р. Р. Кузнецова, А. Г. Дубровина, М. Н. Пархоменко, А. П. Эльяшевич, В. В. Новикова, В. И. Сидорова, З. С. Кедринной, В. В. Дементьева, И. Е. Голика, Т. Л. Мотылёвой, Л. М. Земляновой, Е. П. Челышева, этот метод анализируется из разных ракурсов. В то же время основным лейтмотивом этого коллективного сборника является вопрос о торжестве социалистического реализма, как основного метода советской литературы, а также литератур развивающихся стран Зарубежного Востока. Вышеназванные авторы, дискутируя о предмете проблемы социалистического реализма в его отношении к другим художественным системам, обращая внимание на особенности типизации в искусстве социалистического реализма, типологии стилевых течений, об интернациональной миссии метода, обращая внимание на нравственную проблематику, как сферу проявления партийности, утверждая его как единственно действенным и верным методом, не полагали, что уже к середине 80-х годов основные концепции этого метода будут разрушаться. Эти учёные верили в победу данного метода в литературе и искусстве. Неслучайно, что в статье одного из известных теоретиков этого метода отмечалось: «Теория не может развиваться без обобщения опыта, накопленного искусством и литературой Советского Союза. Как только утрачивается эта прямая и благородная цель, начинаются споры о понятиях... наука не может развиваться без понятий, определений, дефиниций, ... взаимообусловленность, диалектическое единство теоретической мысли и живой практики – единственно возможный и плодотворный путь исследования [23, с. 12]. Нам кажется, что автор мыслит весьма трезво. Ибо без диалектического единства теоретической мысли и живой практики не только в исследовании вопросов социалистического реализма, но и в любой другой науке никакому важному результату прийти невозможно. Однако здесь ускользывается из поля зрения вопрос о том, что социалистический реализм опирался на практику социалистического искусства, на опыт советской литературы, опыт литературы стран социалистического содружества. Как распал Советский Союз и социалистическое содружество, распал и социалистический реализм, как концептуальный метод литератур. Какой бы длительный путь развития не проходила теория социалистического реализма, с развалом государств социалистического содружества и она была брошена в архив истории. Правда о нём не все забыли. Так, например, азербайджанский прозаик и литературовед Эльчин выступив сперва с серией статей в азербайджанской республиканской «525-ой газете», затем издал их отдельной книгой «Что дал нам социалистический реализм?», что распространился и в других изданиях [4]. В этой небольшой по-своему объёму работе автор

стремился быть более объективным и критичным в отношении социалистического реализма, главенствующего метода советской литературы в период социализма. Эльчин обратил внимание на такое обстоятельство, что именно в период социалистического реализма многие азербайджанские писатели, за исключением М.С.Ордубади и А.Шаика, создавшие свои произведения ещё до 1920-х годов, начиная от Г.Джавида, А.Джавада, С.Гусейна, Ю.В.Чеменземинли, от Кантемира до С.Мумтаза, А.Сабри и А.Рази или становились ярыми противниками, объектом критики, «осуждались», расстреливались, или были сосланы в Сибирь и т.д. [4, с. 63]. Это было так сказать «подарком» соцреалистической литературы и социалистического государства для талантливых азербайджанских писателей. Эльчин обращает внимание и на то, что писатели, придерживающиеся взглядов социалистической эстетики М.С.Ордубади и А.Шаик, С.Вургун и С.Рагимов, С.Рустам и Абульгасан, Р.Рза и Мир Джалал, А.Велиев и О.Сарывелли, М.Ибрагимов и М.Рагим, М.Дильбази и Н.Рафибейли, С.Рахман и А.Джамиль, учёные-критики Г.Араслы и М.Ширалиев, М.Ариф и Ф.Касумзаде, М.Джафар и Дж.Джафаров, А.Демирчизаде и М.Гусейнзаде, М.Г.Тахмасиб и Дж.Хандан, М.Гусейн и М.Рафили чудом спаслись от коварной игры системы расстрела и едва уцелели [4, с. 65]. В цитируемой работе Эльчин подчеркивает и позитивные стороны метода социалистического реализма. Говоря о положительном влиянии социалистического реализма, он отмечал, что сверх важным событием было то, что соцреализм сыграл чрезвычайно важную роль в формировании современного художественного азербайджанского языка. Это можно ярко проиллюстрировать на основе отличительных особенностей языка «Молла Насреддина» от языка «Фитюзат», М.Ф.Ахунзаде, М.Хади. с успехом проходило эстетические принципы становления языка, что нашло своё яркое отражение и применение в 1930-х г. в произведениях писателей соцреализма в азербайджанской литературе ведущих его представителей у М.Мушфика и С.Вургун, С.Рустама и Р.Рзы, О.Сарывелли и А.Джамилы, в прозе и драматургии Дж.Джаббарлы и М.С.Ордубади, А.Шаика и С.Рагимова, Мир Джалала и М.Гусейна, А.Велиева и Абульгасана, М.Ибрагимова и С.Рахмана и др. [4, с. 87].

Как мы видим, здесь азербайджанский учёный социалистическому реализму, как методу советской литературы, подходит из логически верных методологических позиций.

1989 году в Азербайджанском государственном университете был издан тематический сборник научных трудов, освещающие отдельные аспекты социалистического реализма. В них изучались вопросы истории и теории социалистического реализма, где авторы исследовали идейно-эстетические принципы советской многонациональной и азербайджанской литературы, проблемы типологии, жанрово-стилевой манеры творчества писателей, литературно-эстетические взгляды художников слова, а также историю формирования социалистического реализма в азербайджанском литературоведении. Ответственным редактором издания был глубокий сторонник и видный теоретик метода социалистического реализма проф. С.Г.Асадуллаев.

Он всеми силами и идеями защищал этот метод. В своей статье, говоря об эпохе глобальной перестройки, он настоятельно подчеркивал мысль о том, что писать о социалистическом реализме, как вообще о литературном процессе, о его прошлом, и современном состоянии надо по-новому» [1, с. 3]. Однако на этом этапе уже мало кого интересовал социалистический реализм, как художественный метод советской литературы. Другой азербайджанский учёный, проф. Т.Гусейнов в том же сборнике вступил также в защиту метода социалистического реализма, отмечая при этом мысль о том, что социалистический реализм, как творческий метод, по своему принципу является новой эстетической системой [8, с. 77].

Как мы видим, азербайджанские теоретики социалистического реализма и в конце 80-х годов всё ещё не отказывались от метода «социалистический реализм», считая, что именно в этом понятии выразились существенные особенности метода, который, безусловно, будет способствовать развитию художественной мысли человечества.

Итак, обобщая свои мысли относительно метода возникновения, становления, развития и дискуссий о методе социалистического реализма подчеркнём, что, если формирование этого метода в ранней советской, в том числе азербайджанской литературе, было выражением общей закономерности развития этих литератур, то с прохождением времени данный метод утратил свою силу воздействия на умы и сердца читателей и критиков, что подтверждается фактами появления замечательных художественных образцов, занявших своё подобающее место не только в советском, но и в мировом литературном процессе.

Литература:

1. Асадуллаев С.Г. О современном состоянии теории социалистического реализма // Социалистический реализм /тематический сборник научных трудов. Баки, Azərbaycan Universiteti nəşriyyatı, 1989.
2. Асадуллаев С. Становление социалистического реализма в ранней советской литературе. Баку, Азгосиздат, 1974, 295 с.
3. Сəfər М. "Aygün" poeması haqqında // "Ədəbiyyat qəzeti", 1952, 15 mart.
4. Elçin. Sosrealizm bizə nə verdi? // Humanitar elmlərin müasir durumu və ədəbiyyatşünaslığın nəzəri-metodoloji məsələləri. Beynəlxalq elmi konfransın materialları. Bakı, "Elm" nəşriyyatı, 2010, s. 58 – 100.
5. Ермолаева В., Толстых В. Социалистический реализм и штампы буржуазной эстетики. Полемика. М., «Советский художник», 1967, с. 14 – 15.
6. Əhmədov В. XX əsr Azərbaycan ədəbiyyatı tarixi. 3 c., 2 c. Bakı, 2010, 436 s.
7. Əlişanoğlu Т. XX əsr Azərbaycan nəsrinin poetikası. Bakı, "Elm", 2006, 312 s.
8. Hüseynov Т.Н. Sosialist realizmi və müasir ədəbi prosesin bəzi məsələləri // Sosialist realizmi (elmi əsərin tematik məcmuəsi). Bakı, "Azərbaycan Universiteti nəşriyyatı", 1989, s. 74 – 81.
9. Кедров К. Поэтический космос. М., Сов. писатель, 1989, 480 с.
10. Круглова Т.А. Искусство социализма как культурно-антропологическая и художественно-коммуникативная система: исторические основания, специфика дискурса и социокультурная роль // Автореф. докт. дисс. Екатеринбург, 2005, 46 с.
11. Quluzadə М. Səməd Vurğunun "Aygün" poeması haqqında // "Kommunist" qəzeti, 1952, 13 mart.
12. «Литературная газета», 1932, 23 мая.
13. Луначарский А.В. Социалистический реализм. // Журнал «Советский театр», 1933, № 2 – 3.
14. Некрасова Е.С. Социалистический реализм как культурный феномен // Дисс. канд. философ. наук. Санкт-Петербург, 2006.
15. Некрасова Е.С. Социалистический реализм как культурный феномен // Автореф. дисс. канд. филос. наук. Санкт-Петербург, 2006.
16. Общее и особенное в литературах социалистических стран Европы. М., 1977.
17. Овчаренко А.И. Социалистическая литература и современный литературный процесс. М., 1973.
18. Социалистический реализм // Философский энциклопедический словарь. М., «Советская энциклопедия», 1989, 815 с.
19. Социалистический реализм // Литературная энциклопедия терминов и понятий, 2001, 1596 с.
20. Социалистический реализм // Советский энциклопедический словарь. Гл. редактор А.М. Прохоров. Изд. 4-ое, испр. и допол. М., «Советская энциклопедия», 1989, 1632 с.
21. Социалистический реализм за рубежом. Разработка проблем теории и практики. М., «Радуга», 1985, 278 с.

22. Тимофеев Л.И., Тураев С.В. Социалистический реализм // Краткая литературная энциклопедия. М., Сов. энциклопедия, 1972, с. 92 – 101.
23. Якименко Л.Г. Эстетическая система социалистического реализма и проблема художественного мышления // Социалистический реализм сегодня. Проблемы и суждения. М., «Худож. лит.», 1977, с. 7 – 48.
24. Щербина В. О социалистическом реализме // Вопросы литературы, 1956.
25. bse.soi-lib.com/article104892html. Социалистический реализм.
26. Диссертация на тему...dissercat.com
27. О социалистическом... voplit.ru
28. Иллюзия оптимизма... prostranstvo.media
29. abram_terz_chno_takoe_soc_realizm.pdf
30. «Соцреализм» – про...culture.ru
31. Социалистический р...yunc.org.
32. Социалистический р...rushist.com
33. Социалистический реализм: проблемы веры и интерпретации sr-janrnal.ru

Nubar Ibrahimova Natik
 Head teacher of Azerbaijan State
 Pedagogical University,
 dissertant of Ganja State University
 Azerbaijan

DISCUSSIONS ABOUT THE METHOD OF SOCIALIST REALISM IN SOVIET AND AZERBAIJANI LITERATURE

Abstract

In the presented article, the object of analysis is the fate of socialist realism in Soviet and Azerbaijani literature, the dominant method in the period of socialism in the USSR, as well as in the literatures of the socialist community. Socialist realism therefore became a sharp object of criticism and discussion because it sought to create the illusion of equality between people and nations. The basis of the method was to glorify the rulers, to inspire optimism and faith in the steadfastness of the Soviet state system.

For a comprehensive study of this problem, not only the opinions of the major theorists of socialist realism A.V.Lunacharsky, A.I.Ovcharenko, L.G.Yakimenko, G.I.Lomidze, V.Shcherbina, E.S.Nekrasova, G.N.Pospelov, Yu., M.Riser, L.Arkhakisten, A.Stil and many others. etc. In the course of the study, it was established that, despite the fact that socialist realism was the conceptual method of Soviet literature, however, with the collapse of the Soviet Union, this theory, as the only true artistic method of socialist literature, was thrown into the archives of history. Along with other features, this was also due to the fact that throughout its existence, socialist realism as a method became the arena of fierce discussions and disputes among scientists. In the article we try to shed an objective light on the theory of socialist realism. When speaking at the conference, we intend to dwell on many controversial points in more detail.

Keywords: Socialist realism, proletarian realism, creative direction, method, post-Soviet criticism, ideology, illusion, typological format.

სერგო კერესელიძე
საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია
„ერთსულოვნების“ დირექტორის თანაშემწე,
გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის“, ჟურნალ „კარიბჭის“ ჟურნალისტი
თბილისი, საქართველო

„ჭონასა“ და „ალილოს“ ტრადიციები თანამედროვე საინჟინოში

მოხსენებაში არსებული სამეცნიერო წყაროების გაცნობითა და საინჟინოში ბოლო წლებში ჩემ მიერ მოსახლეობის გამოკითხვისა და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შევეცადე მიმომეხილა ამ ისტორიულ ქართულ კუთხეში მცხოვრები როგორც მუსლიმი, ისე ქრისტიანი ქართველების ზოგიერთი ტრადიცია, რაც დღემდე არ იყო სათანადოდ შესწავლილი და გამოქვეყნებული. ჩემი მოხსენება კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოში დღემდე შემორჩენილი სააღდგომო „ჭონის“ ტრადიციის, ისევე როგორც ზაქათალის რაიონის დაბა ალიაბადში ბაირამის დღესასწაულის განსხვავებული ტრადიციების შესწავლის პირველი მცდელობაა. მოხსენებაში ასევე მიმოხილულია ზოგიერთი ის ნაკლებად ცნობილი ჩვეულებაც, რაც მუსლიმი ინგილო ქართველებისთვისაა დამახასიათებელი. მოხსენებაში პირველად ქვეყნდება ჩემ მიერ მოძიებული იმ მუსლიმ ინგილოთა გვარები, რომლებსაც მუსლიმ ინგილოთა აბსოლუტური უმრავლესობისგან განსხვავებით აზერბაიჯანულ პასპორტებში ქართული გვარები დღემდე აქვთ შენარჩუნებული. მოხსენებაში ასევე წარმოდგენილია მუსლიმ ინგილოთა ზოგიერთი ძველი და ახალი გვარები, რომელსაც ისინი ატარებენ ან გადმოცემით იციან. აქვე წარმოდგენილია გამაჰმადიანებულ ყოფილ ინგილო ქართველთა ის სოფლები, რომლებშიც ქართული ენა თანადათან სრულიად ქრება და რომელთა შესახებ სტატიები არ გვხვდება არცერთ ქართულ ენციკლოპედიაში, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

ისტორიული ქართული კუთხე – საინგილო (ყოფილი ზაქათალის ოლქი) დღეისათვის აზერბაიჯანის რესპუბლიკის ზაქათალის, კახისა და ბელაქნის რაიონებს მოიცავს (იხ. ჩანგაშვილი გ., საინგილო, მეცნ. თბ. 1970:3).

1921 წლის 21 თებერვლის პირველი ქართული კონსტიტუციით, სოხუმისა და ზაქათალის ოლქებს ენიჭებოდა ავტონომია საქართველოს შემადგენლობაში (2, 2018:170), მაგრამ რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციიდან მალევე, 1921 წლის 5 ივლისს საქართველოს სსრ რევკომის თავმჯდომარემ ფილიპე მახარაძემ და აზერბაიჯანის სსრ მთავრობის თავმჯდომარემ ნარიმან ნარიმანოვმა თბილისში ხელი მოაწერეს დოკუმენტს სახელწოდებით „შიგა საზღვრების რეგულირების დადგენილება“, რომლის მე-4 პუნქტში ნათქვამი იყო: „საქართველოს სსრ უარს ამბობს ყოველგვარ პრეტენზიაზე ზაქათალის ოლქის მიმართ, რაზეც საქართველოს რევკომი გამოსცემს შესაბამის დეკლარაციას“ (6, 1980:49); ასევე გიორგი კალანდიას დოკუმენტური ფილმი „ჭერეთი“, ნაწილი I. 1921 წლიდან რეგიონი აზერბაიჯანის შემადგენლობაშია (5, 1984:663).

რეგიონში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელები ძირითადად შიიტი მუსლიმები არიან, ხოლო დაღესტნური წარმოშობის ხალხები – ავარები, ლეზგები, წახურები და ა. შ. ტრადიციულად სუნიტურ ისლამს აღიარებენ. იქიდან გამომდინარე, რომ რეგიონის ავტოქტონმა მოსახლეობამ – ეთნიკურმა ქართველებმა ისლამი XVII-XVIII საუკუნეებში დაღესტნიდან გადმოსახლებული ლეკებისგან მიიღეს, ისინიც სუნიტური ისლამის აღმსარებლები არიან (ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებში) (10, 2010:12). ძალდატანებითი ისლამიზაციის მიუხედავად, რეგიონში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებში XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე არსებობდა ფარული ქრისტიანობა და მათი საბოლოოდ გამაჰმადიანება 1860-იან წლებში მოხდა: „მოლების ჩაგონებით, 1863-1864 წლებში უარყვეს ქრისტიანობა შემდეგმა სოფლებმა: სოსკანმა, ლალაფამამ, თასმალომ, ძაგამმა, ვერ-

ხვიანმა, ალიაბადმა, ჰენგიანმა, მოსულმა, ბელაქანმა და მრავალთა სხვათა“ (1,1902:31). 1863-1864 წლებში „16 000 ინგილო გაამაჰმადიანეს“ (1,1953:255).

კახის რაიონში მცხოვრები ეთნიკური ქართველების უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია. მათ წინაპართა ძველი სარწმუნოება 1850-იან წლებში დაიბრუნეს გამაჰმადიანებისა და ფარული ქრისტიანობის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ (7, 1970: 54).

კახის რაიონში მცხოვრებ აზერბაიჯანის მოქალაქე ინგილო ქართველებს აზერბაიჯანულ პასპორტებში ძველი ქართული გვარები შენარჩუნებული აქვთ. მათგან განსხვავებით, ზაქათალისა და ბელაქანის რაიონებში მცხოვრებ მუსლიმი ქართველების აბსოლუტურ უმრავლესობას საბჭოთა ადმინისტრაციამ ჯერ კიდევ ხრუმჩოვის მმართველობის პერიოდში, 1950-იან წლებში მათი ნების საწინააღმდეგოდ პასპორტებში შეუცვალა ძველი ქართული გვარები. დღეისათვის ზოგ ინგილო ახალგაზარდას ადარც კი ახსოვს თავისი ძველი ქართული გვარი, ზოგმა კი წინაპრებისგან გადმოცემით იცის. ასე იქცა მაგალითად, იაშვილი „ჰუსეინოვად“, „აბდურახმანოვად“, ნადირაშვილი „ნადიროვად“, ქევხიშვილი „ველიევად“, ანდრიაშვილი „მურადოვად“, მამულაშვილი „სემედოვად“, ბიჭიკაშვილი „შაბანოვად“, რამაზაშვილი „რაგიმოვად“, ნაცვლიშვილი „ჰაჯიმურადოვად“, „მაჰმადევად“, ვაჩნაძე „ბალაჯაევად“ და ა. შ. აღსანიშნავია ისიც, რომ ზაქათალისა და ბელაქანის რაიონებში მცხოვრები ინგილოებიდან ძალზე მცირე ნაწილს აზერბაიჯანულ პასპორტებში დღემდე აქვს დაფიქსირებული თავისი ძველი ქართული გვარი (მაგ. ქვაჭრელიშვილები სოფელ მოსულში, გამხარაშვილები, დათუნაშვილები, ბაზაშვილები, ასისტავიშვილები, ქევხიშვილები დაბა ალიაბადში).

ზაქათალის რაიონის დაბა ალიაბადში (მოსახლეობა 15 ათასამდე), სოფელ მოსულსა (მოსახლეობა 3000-მდე) და ბელაქანის რაიონის სოფელ ითითალაში (მოსახლეობა 2200-მდე) მცხოვრებ მუსლიმ ინგილო ქართველებს ქართული ენა შენარჩუნებული აქვთ. მათგან განსხვავებით ქართული ენა თანდათან ქრება მაჰმადიან ყოფილ ინგილო ქართველთა მრავალ სოფელში – ჰენგიანი, მოთავარი, თასმალო, ზაგამი, სუსკენდი (ძველი სახელწოდება სოსიკაანთკარი), მარსანი, ყანდახი, ქაფანახჩი (ძველი სახელწოდება ლედვიანი), ალმალო (ძველი სახელწოდება ვაშლოვანი), ლალაფაშა (ძველი სახელწოდება ჩადივარი), ლექეთი (ძველი სახელწოდება ლექართი), გიულუგი (ძველი სახელწოდება ვარდიანი), ბეჰმეთლი (1992 წლამდე – ვერხვიანი), ფალდარო და სხვ.

საყურადღებოა, რომ არცერთ ქართულ ენციკლოპედიაში არაა შესული საინგილოში არსებულ ყოფილი ქართული სოფლების შესახებ სტატიები, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

საინტერესო და უნიკალურია საინგილოში დღემდე შემორჩენილი ტრადიციები.

ყველას გვახსოვს სააღდგომო „ჭონას“ ტრადიციის აღწერა აკაკი წერეთლის „ჩემ თავგადასავალში“ (8, 1989: 26-27). ეს ძველი ჩვეულება კარგად აქვთ შესწავლილი ქართველ ეთნოგრაფებსაც (4, 1987:404). საშობაო „ალილოს“ ძველი ტრადიციისგან განსხვავებით, რომელმაც 2000 წლიდან საქართველოში ახალი სიცოცხლე შეიძინა, სააღდგომო „ჭონას“ ტრადიცია ჩვენს ქვეყანაში უკვე ისტორიის კუთვნილებად იქცა. ამჟამად ქართული საზოგადოების, მორწმუნეებისთვის და თვით მეცნიერებისთვისაც კი პრაქტიკულად უცნობია და შეუსწავლელია ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ისტორიულ ქართულ კუთხეში – საინგილოში სააღდგომო „ჭონას“ ტრადიცია დღემდე შემონახული. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა იმ დროს, როდესაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იგი უკვე დაკარგულია.

საქართველოსგან განსხვავებით, შობის დღესასწაულზე „ალილოს“ ტრადიცია საინგილოში დღემდე შემონახული არ არის.

კახის რაიონის ყველაზე დიდ ქართულ სოფელში – ალიბეგლოში (ძველი სახელწოდება ქათმისხევი) ყოველ აღდგომას ადგილობრივი ქართველი ბავშვები ყველა ოჯახში კარდაკარ დადიან, ადამიანებს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ულოცავენ

და წითელ კვერხებს, ტკბილეულს, წინდებს და სხვა საჩუქრებს აგროვებენ. ჩემთვის უაღრესად მთამბეჭდავი და უნიკალური იყო „ჭონას“ ცოცხალი ტრადიციის გაცნობა კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოში. ეს ტრადიცია ალიბეგლოსგან განსხვავებით, ქალაქ კახში და სხვა ქართულ სოფლებშიც კი პრაქტიკულად უკვე დაკარგულია. იმედია, მომავალში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სააღდგომო „ჭონას“ ძველ, მივიწყებულ ტრადიციას ისევ აღადგენს, როგორც ეს სამობაო „ალილოს“ შემთხვევაში მოხდა.

უაღრესად საინტერესო და უნიკალურია ის ფაქტიც, რომ ამ რეგიონში მცხოვრები აზერბაიჯანელი და ლეკი (ავარი, ლეზგი, წახური და ა. შ.) მუსლიმებისგან განსხვავებით, ინგილო ქართველი მუსლიმები ყურბან და ორუჯ ბაირამს განსხვავებულად აღნიშნავენ, რისი მოწმეც თავადაც არაერთხელ გავხდი. ალიბეგლოში შემორჩენილი სააღდგომო „ჭონას“ მსგავსად, ქართველი ეთნოგრაფების კვლევის საგნად პრაქტიკულად დღემდე თითქმის არ ქცეულა მუსლიმ ინგილო ქართველებში არსებული უნიკალური ტრადიციები.

XIX საუკუნეში, გამაჰმადიანების პროცესის დასრულების მიუხედავად, თანამედროვე ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებში მცხოვრები ინგილო ქართველები, სხვა მუსლიმებისგან განსხვავებით, მიცვალებულის გლოვის ნიშნად შავებს იცვამენ, ორმოცს და წლისთავს აღნიშნავენ (რაც ამკარად ქართული და ზოგადად ქრისტიანული ტრადიციის გამოძახილია). ძველი ქართული და ქრისტიანული ტრადიციის ერთგვარ სახეცვლილებას წარმოადგენს ისიც, რომ გამუსლიმანებული ინგილო ჭირისუფლები მიცვალებულს ბოლო დრომდე დამეს უთევდნენ, ლოცულობდნენ მისი სულისთვის, ასევე მოლებიც დამეს ათენებდნენ სამაროვანზე და ლოცულობდნენ, თუმცა ეს ადგილობრივმა ადმინისტრაციამ წლების წინ აკრძალა და დღეისათვის დავიწყებულია (სხვათაშორის, როგორც ქრისტიანი, ისე მუსლიმი ინგილოები სასაფლაოს ტრადიციულად „სამაროვანს“ უწოდებენ).

ყურბან და ორუჯ ბაირამის დღესასწაულებზე მუსლიმი ინგილო ქართველები კვერხებს ტრადიციულად წითლად ღებავენ (სხვა ფერებში კვერცხის შეღებვა არ იყო მიღებული). ამასთან, ზოგიერთი მათგანი ძველ ჩვეულებას დღემდე იცავს და კვერცხის წითლად შეღებვის დროს მასზე ჯვრის გამოსახულებასაც გამოსახავს.

ყურბან და ორუჯ დღესასწაულების აღნიშვნისას მუსლიმი ინგილო ქართველები (არა მხოლოდ ბავშვები, არამედ უფროსებიც) წითელ კვერცხებს ერთმანეთს უჭახუნებენ (ვინც კვერცხს გატეხავს, გატეხილი კვერცხიც მას რჩება). ბაირამის დღესასწაულებზე ადგილობრივი მუსლიმი ინგილო ქართველი ბავშვები ჯგუფურად კარდაკარ დადიან, ოჯახებს ბაირამს ულოცავენ და წითელ კვერცხებს, ტკბილეულს, წინდებს და სხვა საჩუქრებს აგროვებენ.

თურქეთსა და ირანში მცხოვრებ გამაჰმადიანებულ ქართველებში არსებული ჩვეულების მსგავსად, მუსლიმ ინგილო ქართველებში დღემდეა შემონახული თონეში ჩასაკრავად გამზადებულ ლავამის პურის ცომზე ჯვრის გამოსახვა.

მუსლიმი ინგილო ქართველების უმრავლესობა ოჯახური ტრადიციის მიხედვით, ღვინოსაც სვამს (ბევრი მათგანი ღვინოს თავადაც წურავს) და ღორის ხორცსაც მიირთმევს. მუსლიმ ინგილო ქართველებში სრულიად მიუღებლად ითვლება და დღემდე არ ფიქსირდება ნათესავებს შორის ქორწინება და მრავალცოლიანობა (როგორც ცნობილია, მრავალცოლიანობის შემთხვევები დაფიქსირებულია ზემო აჭარელ მუსლიმ ქართველებში).

ჩემს მოხსენებაში ციტირებული სამეცნიერო წყაროებისა და საინგილოში ბოლო წლებში ჩემს მიერ მოსახლეობის გამოკითხვისა და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ამკარად ჩანს, რომ XIX საუკუნეში გამაჰმადიანებულ ინგილო ქართველებმა გარკვეული სახეცვლილებებით დღემდე შეინარჩუნეს ზოგიერთი ის ძველი ქართული და ქრისტიანული ტრადიცია, რაც მათი ყოფა-ცხოვრებისთვის საბოლოო გამაჰმადიანებამდე იყო დამახასიათებელი (ყურბან და ორუჯ ბაირამის დღესასწაულებზე წითელი კვერცხების შეღებვა და ამ კვერხებით ერთგვარი „შეჯიბრება“, სააღდგომო „ჭონას“

მსგავსად, ყურბან და ორუჯ ბაირამზე ბავშვების კარდაკარ ოჯახებში მისვლა, დღესასწაულის მილოცვა და წითელი კვერცხებისა და სხვა საჩუქრების მიღება (შედარებისთვის – ეს სრულიად უცხოა საქართველოში მცხოვრები სუნიტი მუსლიმებისთვის, მათ შორის აჭარელი მუსლიმი ქართველებისთვისაც), მიცვალებულისთვის პატივის მისაგებად შავებით შემოსვა, ინგილო მუსლიმი გარდაცვლილისთვის ორმოცისა და წლისთავის გადახდა და სხვ.). მუსლიმ ინგილო ქართველებში დღემდე შემორჩენილ წითელი კვერცხის შეღებვის ტრადიციის ქრისტიანულ საფუძველს ისიც ადასტურებს, რომ ზოგი მათგანი დღემდე წითლად შეღებილ კვერცხზე ჯვრის სიმბოლიკას გამოსახავს. ამასვე მოწმობს თონის პურის ცხობისას ცომზე ჯვრის გამოსახვის ჩვეულება, რომელიც მუსლიმი ინგილო ქართველების გარდა დასტურდება როგორც ირანის ფერეიდნელ ქართველებთან, ისე თურქეთის ქართველებთან. როგორც ჩანს ეს შთამბეჭდავი ტრადიციები მუსლიმმა ინგილოებმა წარსულში ძალდატანებითი გამაჰმადიანების მიუხედავად მაინც ვერ დაივიწყეს. ძველი ქართული და ქრისტიანული ტრადიციის გამოხატულებაა ისიც, რომ ინგილო მუსლიმი ქართველების უმრავლესობისთვის დღემდე დამახასიათებელია ღვინის დაწურვა და სმა და ღორის ხორცის ჭამაც, მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმ ინგილოთა სოფლებში ღორის მოშენების ტრადიცია დიდი ხნის წინ დაიკარგა.

სრულიად უნიკალური და დღემდე პრაქტიკულად შეუსწავლელია საადღგომო „ჭონას“ ცოცხალი ტრადიციის დღემდე არსებობა კანის რაიონის სოფელ ალიბეგლოში. საბჭოთა ათეისტური წარსულისა და ისლამური გარემოს მიუხედავად, საინგილოში დღემდე თითქმის ავთენტური სახით ამ უძველესი ქართული წეს-ჩვეულების შემონახვა მით უფრო საყურადღებოა, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საადღგომო „ჭონას“ ტრადიცია საბჭოთა პერიოდში დავიწყებას მიეცა და დღეისათვის დაკარგულია. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ 2000 წლიდან აღდგენილი საშობაო „ალილოს“ მსგავსად, მომავალში ჩვენს ქვეყანაში საადღგომო „ჭონას“ ტრადიციის აღორძინების შემთხვევაში თანამედროვე საინგილოში შემონახული „ჭონას“ ცოცხალი ტრადიცია შესაძლოა მაგალითად და ამ ტრადიციის ილუსტრაციად იქცეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დუმბაძე მ., აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, თბ., 1953.
2. კუპატაძე ბ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918–1921): ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ.: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018.
3. პაპუაშვილი თ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 8, თბ., 1984.
4. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 8, თბ., 1984.
5. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, თბ. 1987.
6. შელია კ., ვ. ი. ლენინი და საბჭოთა ხელისუფლების პირველი დონისძიებანი საქართველოში, თბ., 1980.
7. ჩანგაშვილი გ., საინგილო, მეცნ. თბ. 1970.
8. აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. 3, გამ. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1989.
9. ინგილო ჯანაშვილი, „მოგზაური“, #1, 1902.
10. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ქართველთა დენაციონალიზაცია, 2010.

Sergo Kereselidze
Patriarchal TV "Ertsulovneba"
Assistant to the Deputy Director,
Journalist of the "Patriarch's Department" newspaper,
"Karibche" magazine

"CHONA" AND "ALILO" TRADITIONS IN MODERN SAINGILO

Abstract

Unlike the old tradition of Christmas "Alilo", which has acquired a new life in Georgia since 2000, the practice of Easter "Chona" has already become part of history in our country. At present, the fact that in the Republic of Azerbaijan, in the historical Georgian corner – Saingilo, the tradition of Easter "Chona" has been preserved to this day, is practically unknown to Georgian society, believers, and even scholars. This is especially noteworthy at a time when it is already lost in different parts of Georgia.

It is an extremely interesting and unique fact that unlike the Azerbaijani and Lek (Avar, Lezgi, etc.) Muslims living in this region, the Ingilo Georgian Muslims keep the modified tradition of dyeing Easter eggs red to this day (for comparison – the practice of dyeing red eggs in Adjara Muslim Georgians (on the Bairam holiday) is completely foreign).

Despite the conversion to Islam, local Sunni Georgians in Saingilo still wear black as a sign of mourning, pay for the forties and anniversaries, etc., unlike other Muslims. They protect various traditions that have survived to this day in Georgia. Despite their conversion to Islam, the vast majority of them, according to family tradition, also drink wine (some even squeeze wine) and eat pork.

Some of the residents speak the Georgian language. For some of them, it is only known that they used to speak Georgian and some of them even remember their old Georgian surname. Some such rural schools even had Georgian sectors until the 1960s.

The paper researches in detail the villages of Saingilo, the names of which, unfortunately, are not recorded in any Georgian encyclopedia.

Keywords: Traditions, Saingilo, Easter "Chona", Georgian language.

მარიამ კობერიძე,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი
გორი, საქართველო

იოანე ქართველიშვილის პედაგოგიური და მთარგმნელობითი საქმიანობა

წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია იოანე ქართველიშვილის პედაგოგიური და მთარგმნელობითი საქმიანობის ძირითადი ეტაპები. იოანე ქართველიშვილი ქართული კულტურის ისტორიაში ცნობილია, როგორც მეთვრამეტე საუკუნის დასასრულის და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის მემუარისტი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, გამოჩენილი პედაგოგი, თავისი დროის თვალსაჩინო ენათმეცნიერი, სასულიერო და სამეცნიერო ლიტერატურის კარგი მთარგმნელი და გადამწერი (კობერიძე, 2022: 14).

იოანე ქართველიშვილის მოღვაწეობისა და შემოქმედების შესახებ მეტად მნიშვნელოვანი მსჯელობა ჰქონდათ აკადემიკოს მარი ბროსესა და პლატონ იოსელიანს. პლატონ იოსელიანი მარი ბროსესადმი მიწერილ პირად ბარათში ასახელებდა იოანე ქართველიშვილის ოთხამდე ხელნაწერ ნაშრომს: ესენი „კუთვნის იოანე ქართველს,...

მასვე უწერია სხვა წიგნნი, რომელნიცა დღეს მე მაქვან მოშოვნილნი. არა ჯერ არს, რათა დაეკარგოს თავისი ღვაწლი კაცსა ღირსსა და ისტორიულსაცა გუამსა უკანასკნელთა დროთა ქართუალთასა” (სმნგ, ფ., # 4797).

1952 წელს დაიბეჭდა „იოანე ქართველიშვილის მემუარები“ ავთანდილ იოსელიანის გამოკვლევით, რედაქციითა და შენიშვნებით. „მემუარების“ მიხედვით იოანე ოთარის ძე ქართველიშვილი დაიბადა 1772 წლის 20 სექტემბერს ქართლში, სოფელ ფხვენისში. 1792 წლის იანვარში კათალიკოს ანტონ მეორის მიერ ის ხელდასმულ იქნა მღვდლად თბილისში, ქრისტეს შობის ეკლესიაში.

იოანე ქართველიშვილი წერს: „ამისავე წლისა სივრცესა შინა ვკითხულობდი და ვისწავლე აღჰხნით ვარლამისაგან წიგნნი ესენი: დრამმატიკა, რიტორიკა, კატილორია, ლოდიკა და მეტაფისიკა და გარდავწერეცა წიგნნი ესენი თვინიერ კატილორიისა“. აქვე დასძენს: „გან[ვ]ლუ წელიწადიცა 1793 ქრონიკონსა უპა (481) ... კითხვითა და წერითა, ზემოჰწესებულთა წიგნთათა“ (ქართველიშვილი, 1952 : 70).

იოანე ქართველიშვილი 1794 წლიდან შესდგომია ფიზიკისა და ფილოსოფიის შესწავლას. მასწავლებლად ჰყოლია გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე და სახელოვანი მეცნიერი იოანე ოსეს ძე მიქაძე. იოანე ოსეშვილი 1780-იანი წლებიდან ვიდრე აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამდე ითვლებოდა თბილისის სემინარიის რექტორად. სწორედ იოანე ოსეშვილის ხელმძღვანელობით შეუსწავლია იოანე ქართველიშვილს „დამასკელის ოთხნაწილოვანი წიგნი“ (იოსელიანი, 1952 : 9).

ცნობილია ის ფაქტიც, რომ 1801 წლამდე იოანე ქართველიშვილი თითქმის განუყრელად ახლდა იულონ ბატონიშვილს, როგორც კარის მღვდელი და შვილების მასწავლებელი. დროდადრო მას ემსახურებოდა როგორც მდივანიც. 1802 წლის მარტიდან ახლავს დარეჯან დედოფალს. 1803 წლიდან სამეფო ოჯახს ჩამომორებულ იოანე ქართველიშვილს კათალიკოს ანტონ მეორისათვის მიუმართავს სამსახურის მისაღებად. მცხეთაში საპასუხისმგებლო საეკლესიო ხარისხი და თანამდებობა მიუღია. იგი იხსენიება საქართველოს საკათალიკოსოს დიგასტერიის წევრად და მცხეთის დიდი ეკლესიის პროტოიერად (Акты, 1868 : 180).

1804 წლის 16 იანვარს თბილისში სკოლის გახსნის სამზადისით დაინტერესებულ საქართველოს მმართველ პავლე ციციანოვს ანტონ II კათალიკოსისათვის უთხოვია იოანე ქართველიშვილის მცხეთიდან თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლად გადაგზავნა. „1804 წლის 1 მაისს სკოლაში განწესებულ ვიქმენ ქართული ენის პირველ მოძღურად, ჯამაგირი მომეცა ორმოცი თუმანი თეთრი ფული“ – წერს იოანე ქართველიშვილი თავის „მემუარებში“. წარმატებული პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მას მიუღია სახელმწიფო ჯილდო: „ჯუარი მებოძა ხელმწიფისაგან და მომემატა ათი თუმანი ჯამაგირი 1806 წელსა დეკემბრის 2-სა დღესა“ (ქართველიშვილი, 1952 : 96).

იოანე ქართველიშვილი პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად ეწეოდა საეკლესიო მღვდელმსახურებას. 1906 წელს კათალიკოს ანტონ მეორისაგან ახალი საეკლესიო ხარისხი მიუღია: „პროტოპაპად კურთხეულ ვიქმენ ამავე მარტის 25-სა დღესა კათალიკოზის ანტონისაგან“ (ქართველიშვილი, 1952 : 96).

1803 წლის 25 ივლისს მიღებული იქნა თბილისის ოთხკლასიანი კეთილშობილთა სასწავლებლის დებულების დებულება, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს აქ უნდა შესწავლათ რუსული და ქართული წერა-კითხვა, გრამატიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ისტორია, გეოგრაფია, კატეხიზმისი, სამხატვრო ხელოვნება, მოძღვრება ადამიანისა და მოქალაქის მოვალეობათა შესახებ. 1804 წელს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში 60 მოსწავლე ირიცხებოდა. ცალკეული დისციპლინების მიხედვით ამ სასწავლებლის მიმართ მზრუნველობას იჩენდნენ როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები, ისე ცალკეული პირები. პენზის არქივისკოპოსმა გაიოზმა (შემდეგში გაიოზ რექტორმა) სასწავლებელს საჩუქრად გამოუგზავნა ქართული ანბანისა და ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოს 600 ეგზემპლარი (Акты, 1868: 199).

გაიოზ რექტორის ქართული გრამატიკა იყო პირველი სახელმძღვანელო დაბეჭდილი ქართულ ენაზე. იგი გამოიცა თავისი დროისათვის საკმაოდ დიდი ტირაჟით. ქართველი ახალგაზრდობა ამ წიგნით სწავლობდა მშობლიური ენის გრამატიკას XIX ს. პირველ მეოთხედში (თავზიშვილი, 1948 : 261; ნიკოლაიშვილი, 1970 : 18-19).

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელს არ შეეძლო საჭირო სპეციალური განათლების მქონე პირთა მომზადება, ამიტომ 1803 წლიდან გამოიცა ბრძანება თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის კურსდამთავრებულ თავად-აზნაურთა შვილების უმაღლესი სპეციალური განათლების მისაღებად რუსეთის ცენტრალურ ქალაქებში გაგზავნის შესახებ (ПKKYО, 1880 : 8).

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის რუსი პედაგოგები (ბუკრინსკი, მალცევი, მარტინი) და სხვები გულმოდგინედ ახორციელებდნენ რუსული განათლების სისტემას. ასეთ რთულ პირობებში იოანე ქართველიშვილი მოსწავლეებს ასწავლიდა მშობლიურ ქართულ ენასა და ლოგიკას, აღვივებდა მათში პატრიოტულ შეგნებას. ამ მხრივ, სანიმუშო იყო მის მიერ შეთხულები თუ ნათარგმნი თხზულებები (იოსელიანი, 1952 : 23).

იოანე ქართველიშვილის პედაგოგიური საქმიანობიდან და საეკლესიო მღვდელმსახურებიდან შემოსავლის ნუსხაში არის მოხსენებული ტერმინები: „საწირავი“, „სამტვერიო“, „მარხვის სალოცავი“, „სანათლავი“ ... (ქართველიშვილი, 1952: 102).

იოანე ქართველიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ 1812 წლის შემდეგ აღარ მოგვეპოვება ცნობები. 1812 წლით წყდება მისი „მემუარებიც“. პლატონ იოსელიანს მოეპოვება იოანე ქართველიშვილის გარდაცვალების ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ხასიათის ცნობა: 1. იოანე 1795 წელს აღა-მაჰმად ხანის შემოსევისას მოკლეს (იოსელიანი, 1860: 199); 2. „იოანე ქართველიშვილი იყო მასწავლებლად თბილისის საკეთილშობილოსა, რომელიც გამართა კნიაზმან ციციანოვმა 1803 წელსა, და გარდაიცვალა 1816 წელს (იოსელიანი, 1893 : 184). ავთანდილ იოსელიანის აზრით, მეორე ცნობა უფრო სარწმუნო ჩანს. ამის საფუძველს მკვლევარს აძლევს ერთი საარქივო საბუთი (საქ. მსრ. მსს საარქივო სამმართველოს ისტორიული არქივი, ფონდი 16, საქმე # 1879, ფურცელი 3), რომელიც მიუთითებს იოანე ქართველიშვილის გარდაცვალების თარიღად 1816 წლის 9 თებერვალს. საფიქრალია, ავადმყოფობის გამო, ის ჩამოშორდა როგორც სამღვდლო სამსახურს და საკუთარ ოჯახზე ზრუნვას, ისე ლიტერატურულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1812 წლიდან ვერ ვხვდებით სხვა ლიტერატურულ ძეგლს, რომელიც იოანეს შეეთხზას, გადაეწეროს ანდა ეთარგმნოს (იოსელიანი, 1952 : 26).

იოანე ქართველიშვილი რუსული ენის კარგი მცოდნე ყოფილა. სკოლისათვის მას რუსულიდან უთარგმნია დელაპორტის შრომის ის ადგილები (გამოკრებით), რომელიც შეეხება ქართლსა და იმერეთს. ავთანდილ იოსელიანი შესაბამისი გამოკვლევის საფუძველზე აღნიშნავს: „ჩვენს სამეცნიერო მწერლობაში დელაპორტის ცნობებმა საქართველოს შესახებ პირველად, ვიდრე პლატონ იოსელიანი გამოაქვეყნებდა, მიიქცია იოანე ქართველიშვილის ყურადღება; მანვე პირველად თარგმნა ტექსტი რუსულიდან ქართულად ჯერ კიდევ 1811 წელს „თბილისის საკეთილშობილო სასწავლებლის სასარგებლოდ“, სადაც ეს თარგმანი ისწავლებოდა კიდევ, როგორც სახელმძღვანელო“ (იოსელიანი, 1952 : 31).

იოანე ქართველიშვილის მიერ თარგმნილი ტექსტები ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა მოწაფეთა და სხვა დაინტერესებულ პირთა შორის. ეს თარგმანები ოფიციალურად იყო მიჩნეული სასწავლებლად მოსწავლეებისათვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კეთილშობილთა სასწავლებელში ქართული ენა ისწავლებოდა გაიოზ რექტორის მიერ შედგენილი და გამოგზავნილი გრამატიკით. შემდეგ იოანე ქართველიშვილს შეუდგენია სასწავლო სახელმძღვანელო „ქართული დრამმატიკა“. ამ გრამატიკის შესახებ „ქართულ წიგნში“ გვხვდება ასეთი ცნობები: „1801-1815 წ.წ. არა გვაქვს არც ერთი თბილისში დაბეჭდილი წიგნი. გამონაკლისს წარმოადგენს იოანე

ქართველიშვილის უთარილო გრამატიკა, რომელიც ვარაუდით თბილისში 1815 წ. გამოცემულად ითვლება" (ქართული წიგნი, 1941 : 88-97).

იოანე ქართველიშვილის გრამატიკის ხელნაწერ ტექსტს გარეკანზე აქვს წარწერა: „ქართული ღრამმატიკა შეთხზული ტფილისის საკეთილშობილო სასწავლებლის მოძღვრის პროტოპაპის იოანე ქართველიშვილისაგან სახმარად მისსავე სასწავლებელსა 1809 წ. ტფილისი". გრამატიკას წამდვარებული აქვს წინასიტყვაობა „წინათუწყება მკითხველთათვის", სადაც ავტორი წერს: „თუმცა ცნობა კანონთა ღრამმატიკასათა კმად აღწერილ არს განსვენებულისა საქართველოს კათალიკოს პატრიარხისა ანტონისაგან მის მიერ ქმნილსა ღრამმატიკასა შინა. გარნა ვინაითგან სივრცისაგან მისა არა ადვილ ძალუძსთ ჰსწავლად იგი მცირეწლოვანთა ყრმათა, ამისათვის და გულმოდგინებისა ძალითაც თანამდებობისა ჩემისადმი, ეგრეთვე სასარგებლოდაცა ყრმათა თანამემამულეთა ჩემთათა დავშვერ შეთხზვასა შინა წინამდებარისა ამა წიგნისასა". აქვე დასძენს, რომ რუსული გრამატიკის მიხედვით აღვწერეო, მაგრამ „ლექსთწარმოებისა და ლექსთთხზულებისანი დავსდევ ყოველნივე ესრეთნი, ვითარცა მოითხოვდა თვისება ქართულისა ენისა" (ხელნაწერი ფონდი შ-4432; H-239). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1830-იან წლებამდე ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო თაობები იოანე ქართველიშვილის გრამატიკაზე იზრდებოდნენ.

იოანე ქართველიშვილის გრამატიკის პოპოულარობაზე მეტყველებს ხელნაწერთა სიმრავლეც. ალექსანდრე ფოცხიშვილმა საგანგებოდ გამოიკვლია იოანე ქართველიშვილის გრამატიკის ხელნაწერების და ნაბეჭდი გრამატიკების ურთიერთობის საკითხი. ალექსანდრე ფოცხიშვილის აღწერით იოანე ქართველიშვილის გრამატიკის 14 ხელნაწერი არსებობს: თერთმეტი ხელნაწერი კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში; ორი – ლენინგრადში (ერთი – სალტიკოვ – შჩედრინის ბიბლიოთეკის იოანესეულ ფონდში, ხოლო მეორე – აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის ფილიალის ბროსესეულ ფონდში), ერთიც – გორის ისტორიულ მუზეუმში (ფოცხიშვილი, 1979 : 260-261).

იოანე ქართველიშვილმა თავის გრამატიკაში შეძლებისდაგვარად გადმოიტანა ანტონისა და გაიოზის გრამატიკების დადებითი დებულებების თითქმის უმეტესი ნაწილი. ის გრამატიკას ჰყოფს სამ ნაწილად: 1. ეტიმოლოგიასა ზედა ანუ ლექსთწარმოებასა; 2. სინტაქსთა ზედა ანუ ლექსთთხზულებასა; 3. ორთოდრაფიასა ზედა ანუ მართლწერასა. გრამატიკიდან პირველად განიხილავს ეტიმოლოგიას (ანუ მორფოლოგიას) და სინტაქსს.

იოანე ქართველიშვილის გრამატიკაში ანტონ პირველის გრამატიკასთან შედარებით გარკვეული სიახლეა. ანტონთან ასოთა რიცხვი ორმოცია (მეორმოცე ს), იოანესთან – 39-ია. ისინი იყოფიან ხმოვნებად (ა, ე, ი, ო, უ); ორხმოვნებად (ჭ, ძ, ჰ, ჳ) და უხმოდ (დანარჩენი თანხმოვნებია). თანხმოვნების აღმნიშვნელი ტერმინი „უხმო" ანტონ I-დან მომდინარეობს: „ვერ შემძლებელ არიან გამოღებად ხმათა უხმობათა შინა თავით თვისით თვინიერ შეერთებისა ხმოვანთა ასოთა" [ანტონი, 1885 : 25].

იოანე ქართველიშვილის აზრით, ორხმოვნები იმიტომ ეწოდათ, რომ გამოთქმაში ორი ხმოვნის ასოს ბრჯგულ წარმოთქმით ხასიათდებიან: ჳ წარმოითქმის, როგორც ეე, კ-როგორც ეი, ძ-როგორც იე... ტერმინი „ორხმოვანი" გვხვდება გაიოზთან [ხელნაწერთა ფონდი შ-4432].

ქართული გრამატიკული აზრის ისტორიაში პირველად იოანე ქართველიშვილის გრამატიკაში მეტყველების ნაწილებად დაიყოფიან ლექსები (ე. ი. სიტყვები) და არა სიტყვის ნაწილები, თუმცა ცალ-ცალკე განსაზღვრისას ისინი მაინც სიტყვის ნაწილებად ითვლებიან. აქვე ჩანს ძირითადი სიახლე მეტყველების ნაწილთა ზოგად დახასიათებაში: „მეტყველების ნაწილთაგან ოთხი (სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა და მიმღეობა) იწოდებიან შეცვალებითად, ვინაითგან შეიცვლიან თავიანთ დაბოლოებას და დანარჩენი (ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, შორისდებული) – არაშეცვალებითად, რადგან არ იცვლიან დაბოლოებას" (ფოცხიშვილი, 1979 : 276-277).

იოანე ქართველიშვილს გამოყოფილი აქვს რვა ბრუნვა: წრფელობითი (ვინ?, რა?), ნათესაობითი (ვისი? რისა?), მიცემითი (ვის?, რისა?), შემასმენლობითი (ვინ? რა?), დაწყებითი (ვისგან? რისგან?), მოთხრობითი (ვინ? რაიმან?), მოქმედებითი (ვის მიერ? რაისა მიერ, რათა?), წოდებითი (არავითარი კითხვა არ დაესმის). ამ მხრივ, იოანე ქართველიშვილი ანტონ პირველისა და გაიოზის გრამატიკას მისდევს (ანტონი, I 885: 213; გაიოზი, 1970 : 58).

„იოანე ქართველიშვილი პირველი გრამატიკოსია, რომელმაც ერთიმეორის პარალელურად მოგვცა მრავლობითი რიცხვის ნართანიანი და ებიანი სახეობა, რითაც, საბოლოოდ სწორ საფუძველზე დააყენა მრავლობით რიცხვში ბრუნვის ნიშანთა საკითხი“ (ფოცხიშვილი, 1979 : 262).

იოანე ქართველიშვილი გვთავაზობს წინადადების წევრთა (სიტყვის ნაწილთა) განლაგების გარკვეულ წესს. მისი აზრით, წინადადებას აქვს სამი შემადგენელი ნაწილი: ქვემდებარე, შემასმენელი და კავშირი. აქვე აღნიშნულია, რომ წინადადება შეიძლება იყოს მარტივი და რთული. მარტივი წინადადება ერთი ქვემდებარისა და ერთი შესმენილისაგან შედგება, რთული – „ორთა ანუ მრავალთა ქვემდებარეთა და შესმენილთაგან შეერთებულთა ვითარითმე კავშირთა. მაგ.: „განცხრომა და უქმება მოაძღურებენ ხორცსა და სულსა და ჰყოფენ კაცსა არარაისადმი ღონის მექონ“ (ხელნაწერი ფონდი შ-4432).

იოანე ქართველიშვილის აზრით, წინადადების წევრთა (სიტყვის ნაწილთა) განლაგების შემდეგი წესის დაცვაა აუცილებელი: პირველ ადგილზე უნდა იყოს ზმნა (ზმნიზედებით და სხვა სიტყვებით), მის შემდეგ უნდა მოდიოდეს შესმენილი ანუ ძიება ზმნისა მათზე დამოკიდებული სიტყვებით. თუ წინადადება კითხვითია, ან ზმნიზედით იწყება, მაშინ ქვემდებარე მოსდევს ზმნას, ასევე ქვემდებარის წინ დაისმის ზმნა ბრძანებითის სქესისა. „ამკარაა, რომ ყველაფერი ეს განსხვავებულია იმისაგან, რაც მანამდე გვქონდა გრამატიკაში და, ისიც ფაქტია, რომ ამ მოსაზრებებში უნდა ვეძიოთ დღევანდელი რთული წინადადების სინტაქსის ფესვები, ამაზე მიუთითებენ ტერმინებიც „მთავარი“ და „დამეტებული“ (ფოცხიშვილი, 1979 : 308).

მართლწერისა და მართლწარმოთქმის საკითხებიდან გრამატიკაში განხილულია ასომთავრული ასოების დაწერილობის, ხმოვნებისა და თანხმოვნების ხმარების, სასვენი ნიშნების გამოყენების წესები. აქვე ლაპარაკია სტრიქონთზედა ნიშანთა ხმარებაზე. მოცემულია ბრჯგუს, მახვილის, კლებულის, ქარაგმათა (საუფლო, საასომთავრულო და საზოგადო) ხმარება – გამოყენების წესები (ხელნაწერთა ფონდი შ-4432).

იოანე ქართველიშვილმა ძველი გრამატიკოსებიდან პირველმა შემოგვთავაზა წინადადების წევრების განლაგების გარკვეული წესი, პირველმა ჩაუყარა საფუძველი წინადადების სტრუქტურული ტიპების კვლევას, გამოყო მთავარი და დამეტებული ანუ დამოუკიდებელი წინადადებები და პერიოდები (კობერიძე, 2017: 438).

ამავე დროს იოანე ქართველიშვილმა, ერთი მხრივ, გააგრძელა გაიოზ რექტორის დებულებები ზმნის უღლების საკითხთან დაკავშირებით და, მეორე მხრივ, გაამარტივა ისინი და შემოგვთავაზა საინტერესო დაკვირვება „მიყვარს ტიპის“ ზმნების უღლებასთან დაკავშირებით (კობერიძე, 2018: 147).

ამრიგად, იოანე ქართველიშვილი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე უდიდეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა. მისი სამეცნიერო, მთარგმნელობითი და პედაგოგიური საქმიანობა ფაქტობრივად აგრძელებს ანტონ პირველისა და გაიოზ რექტორის მემკვიდრეობას, მაგრამ გამოირჩევა საინტერესო დაკვირვებებითა და საკითხების ინდივიდუალური გაშუქებით, რაც ხაზს უსვამს მის მოღვაწეობას ქართული კულტურის ისტორიაში.

გამოყენებული ლიტერატურა და დამოწმებული წყაროები:

ანტონი, 1885 – ანტონ I, ქართული ღრამმატიკა, თბილისი, 1885.

გაიოზი, 1970 – გაიოზ რექტორი, ქართული ღრამმატიკა, თბილისი, 1970.

- თავზიშვილი, 1948 – თავზიშვილი გ., სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში (1801-1870), თბილისი, 1948.
- კობერიძე, 2017 – კობერიძე, მ., წინადადების წევრების განლაგების საკითხი იოანე ქართველიშვილის გრამატიკაში: გორის მეცხრე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გორი, 2017.
- კობერიძე, 2018 – კობერიძე, მ., ზმნის უღლების პარადიგმები იოანე ქართველიშვილის გრამატიკაში: გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების ჟურნალი, ტომი I, # 1, გორი, 2018.
- კობერიძე, 2022 – კობერიძე, მ., იოანე ქართველიშვილის ქართული გრამატიკის ხელნაწერები: VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები, თბილისი, 2022.
- ნიკოლაიშვილი, 1970: – ნიკოლაიშვილი ე., გაიოზ რექტორი და მისი ქართული გრამატიკა: გაიოზ რექტორი, ქართული დრამატიკა, თბილისი, 1970.
- იოსელიანი, 1860– Иоселиани П., Описание древностей города Тифлиса, 1860.
- იოსელიანი, 1893 – იოსელიანი პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბილისი, 1894.
- იოსელიანი, 1952 – იოსელიანი ა., იოანე ქართველიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბილისი.
- სმზგ, ფ., # 4797 – საქართველოს მუზეუმი, ხელნაწერთა განყოფილება, შ ფონდი, # 4797, წერილი მ. ბროსესადმი.
- ფოცხიშვილი, 1979 – ფოცხიშვილი ა., ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბილისი.
- ქართველიშვილი, 1952 – ქართველიშვილი ი., მემუარები, თბილისი, 1952.
- ქართული წიგნი, 1941 – ქართული წიგნი, I, თბილისი.
- ხელნაწერი ფონდი მ-4432 -კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი მ, #4432.
- ხელნაწერი ფონდი H-239 – კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი H, #239.
- Акты, 1868 — Акты, собранные Кавказского Археографического Комиссиею, II, 1868.
- ПКУО, 1880 --Памятная книжка Кавказского учебного округа на 1880 г., Тифлис.

**Mariam Koberidze,
Gori State University, Professor**

PEDAGOGICAL AND TRANSLATION ACTIVITIES OF IOANE KARTVELISHVILI

Abstract

The main stages of Ioane Kartvelishvili's pedagogical and translation activities are analyzed in the report. Ioane Kartvelishvili is known in the history of Georgian culture as a memoirist writer and public figure of the end of the eighteenth century and the beginning of the nineteenth century, an outstanding teacher, a prominent linguist of his time, a good translator and copyist of religious and scientific literature.

Until 1801, Ioane Kartvelishvili accompanied Yulon Batonishvili inseparably as a court priest and teacher of his children. Since 1804, he has been a teacher of the Georgian language at Tbilisi Noble School.

Ioane Kartvelishvili translated Delaporte's information about Georgia from Russian for the school. The texts translated by him were distributed in the form of manuscripts among students and other interested persons. These translations were officially considered for teaching purposes for students.

Ioane Kartvelishvili compiled "Georgian Grammar" as a study guide. It deals traditionally with issues of phonetics, morphology and syntax, but is also distinguished by interesting observations and original coverage of issues. Ioane Kartvelishvili's grammar is written more simply and comprehensibly.

Keywords: Ioane Kartvelishvili, Georgian Grammar, Georgian language.

Кокоева Лаура А.

ФГБОУ ВО «Кабардино-Балкарский государственный
университет им. Х.М. Бербекова»,
Нальчик, Россия

КАХУН В ГОДЫ ВЕЛИКОЙ ОТЕЧЕСТВЕННОЙ ВОЙНЫ

Аннотация. В многовековой истории России, Великая Отечественная война, ярко насыщенная разрушительными сражениями, явилась одним из самых значительных и трагических событий истории XX века. Она оставила тяжёлые последствия для наших народов, которые ощущаются по сей день. В статье рассматривается нелегкий путь героев – участников Великой Отечественной войны сельского поселения Кахун.

Великая Отечественная война была для нашего народа тяжчайшим испытанием, школой мужества. Народы нашей страны и его Вооружённые силы одержали историческую победу над коварным и сильным врагом человечества – германским фашизмом. Среди воинов были и уроженцы сельского поселения Кахун. Кахун является одним из среднестатистических сельских поселений Кабардино-Балкарии, несмотря на это оно сумела вписать в историю нашей страны страницы героизма, мужества и отваги.

История с. Кахун, плохо изучалось и практически не сохранились архивные фонды. Имена героев Великой Отечественной войны, в том числе из с. Кахун, можно найти в книге «Боевая слава Кабардино-Балкарии» [1]. В 2021 году, ко дню Победы, в школе № 2 был открыт музей, посвященный жителям села, участвовавшим в Великой Отечественной войне. Материалы для музея собирались со всего села, и находятся в открытом доступе для каждого. В выпусках газеты «Маяк-07» появляются отдельные статьи, посвященные ветеранам и героям войны. В выпуске от 30 октября 2017 года опубликована статья, посвященная солдату гвардии красноармейцев – И.Х. Тлапшокову [2]. От жителей села можно получить документы и воспоминания, оставшиеся от ветеранов.

На защиту Родины поднялись все советские люди от мала до велика, не жалея жизни. Из с. Кахун на фронт ушли 317 человек, погибли 118, пропали без вести 41, вернулись живыми 145. Военные действия земляков-кахунцев охватывают всю географию войны и страны: их письма шли из Сталинграда и Подмосковья, они защищали и освобождали Крым и Украину, Белоруссию и Прибалтику, Польшу и Австрию, Венгрию Чехословакию, многие дошли и до Берлина. В составе 115-й кавалерийской дивизии сражались: Х. Карданов, А. Камбачоков, К. Езиев, Н. Берикетов, М. Тлапшоков и др. Многие из них отличились мужеством и героизмом, и были награждены орденами разных степеней [3, с. 138].

Одним из таких был снайпер Жамборов Шауаль Суфович. В 1939 г. он был призван в армию и проходил службу в 20-м гвардейском Краснознаменном стрелковом полку 10-й гвардейской дивизии. Ещё до войны он научился хорошо и метко стрелять и получил значок «Ворошиловский стрелок». Многие думали, что в предвоенные годы он был профессиональным охотником. Жамборов Шауаль был первым в своём батальоне, кто изъявил желание стать снайпером.

Шауаль воевал в Заполярье, на Карельском фронте. Не боясь смерти, он всегда рвался вперёд, увлекая за собой солдат. Когда на счету было 25 уничтоженных немцев, Жамборова Шауаля представили к ордену Красного Знамени [4]. А за 75 уничтоженных фашистов он получил второй орден Красного Знамени. О мужестве и подвиге отважного снайпера из Кахуна в военное время писали армейские и республиканские газеты. Накануне гибели Шауаля на его счету было до 125 уничтоженных фашистов и несколько танков. Он погиб 8 мая 1944 г. от вражеского снаряда. На его похоронах начальник политотдела сказал: «Жамборов Шауаль был самым смелым и волевым воином, всегда проявлял инициативу при выполнении боевых действий. Пусть смерть ста фашистов от наших снайперских пуль станет достойной мстостью за гибель нашего боевого товарища» [5]. И боевые друзья отомстили фашистам за своего друга.

Для Камбачокова Али Кантемировича война началась в 1942 году. Боевое крещение наш земляк получил, сражаясь в составе 115-й кавалерийской дивизии, в 1942 г. 115-я кавалерийская дивизия была укомплектована за счёт средств колхозов и предприятий Кабардино-Балкарии. В мае 1942 г. 115-я кавалерийская дивизия была отправлена на фронт. Первые крупные столкновения с фашистскими захватчиками произошли в Ростовской области и под Сталинградом. О героизме воинов 115-й кавалерийской дивизии говорит тот факт, что она была брошена против танковых частей немцев. Но она понесла большие потери. Али Камбачоков вспоминал: «Лето 1942 г. Тяжелые бои на Дону, немцы рвутся к Волге» [6].

На берегу Дона утром стелется туман, и пока было темно, бойцы располагались под деревьями. Ночью предстояло небольшой группе выйти на охоту. Среди них был и Али. Снайперская группа 281-го стрелкового полка 56-й армии ползла по заминированному полю сквозь кустарники. К утру они заметили цель: немцы вели земляные работы, готовясь к наступлению. На следующий день все фашисты были уничтожены.

Дальше военная дорога повела Камбачокова в Таганрог, Киев, Житомир. Сражаясь на западных границах под Житомиром, 2 февраля 1944 г. Али получил сквозное пулевое ранение правого бедра. Его отправили на лечение, а 27 мая 1944 г. был демобилизован. За проявление в годы войны мужество и стойкость А.К. Камбачоков награждён высокими правительственными наградами: орденом Отечественной войны II степени, медалью «За победу над Германией» и многими юбилейными медалями [7].

საკვანძო სიტყვები: რუსეთი, უკრაინა, საქართველო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი.

Маллаева Зулайхат М.

Дагестанский Федеральный Исследовательский Центр РАН.

Институт языка, литературы и искусств им. Г. Цадасы.

Махачкала, Россия

ОСОБЕННОСТИ СИНТАКСИЧЕСКОГО ЧЛЕНЕНИЯ ПРЕДЛОЖЕНИЯ ЭРГАТИВНОЙ КОНСТРУКЦИИ

Вопрос о синтаксическом членении предложения является одним из противоречивых и неясных в грамматике. Строй предложения, и своеобразие его членов в дагестанских языках освещены только в общих чертах. Неясным остается даже число главных членов предложения. Разное число членов предложения связано с неразработанностью вопроса о соотношении логических и грамматических категорий. В качестве критерия разграничения членов предложения используются или чисто семантические или чисто формальные признаки. Авароведение не располагает на сегодняшний день специальными исследованиями, посвященными данному вопросу.

Чтобы решить проблему соотношения логических и грамматических категорий следует установить зависимость грамматической формы предложения от логического содержания предложения. Общеизвестно, что грамматические отношения, а именно – отношения, существующие между синтаксическими элементами предложения, могут иметь различную природу. А один и тот же элемент этих отношений, например, субъект, может быть членом нескольких отношений, например, логических, грамматических и психологических. **То есть, субъект суждения – это сложная функциональная категория.** Как правило, субъект суждения в предложении выражается подлежащим. Но возможны и другие соотношения. Хотя субъект и подлежащее, объект и дополнение определенным образом и соотносительны между собой, они ни в коей мере не являются тождественными понятиями. Поэтому необходимо провести четкое разграничение этих понятий: подлежащее и дополнение – это члены предложения, представленные определенными словами, а субъект и объект – это не члены предложения, не слова, а предметы мысли, которые находят отражение в предложении, но сами остаются вне структуры предложения.

Подлежащее, обладающее разным логическим содержанием, выявляет его формально в виде разных падежных форм. Впрочем, последнее вовсе не является универсальным свойством подлежащего, скорее, это особенность эргативных языков, в частности, и аварского.

В номинативных языках, например, в русском языке, подлежащее, обладая различным логическим содержанием, не располагает возможностью выражать его формально. В качестве общей формы подлежащего (будь то носитель состояния или производитель действия), как правило, выступает именительный падеж. То есть, в номинативных языках форма подлежащего не определяется логико-грамматическим содержанием предложения. В языках эргативного строя дело обстоит иначе. Здесь представлены разные логико-

грамматические типы предложений. В аварском языке, например, можно выделить следующие типы предложений:

- 1) предложения, выражающие активно направленное на объект действие (представлены эргативной конструкцией);
- 2) предложения, выражающие состояние и близкие к нему значения (представлены абсолютной конструкцией);
- 3) предложения, выражающие внешнее восприятие (представлены локативной конструкцией);
- 4) предложения, выражающие чувственное восприятие (представлены дативной конструкцией);
- 5) предложения, выражающие семантику принадлежности (представлены генитивной конструкцией).

Логико-грамматический тип предложения, выражающий активно направленное на объект действие представлен структурой: «имя в эргативе + имя в абсолютиве + финитный глагол». Данный тип выражает отношения производителя действия, объекта, на которое направлено действие и самого действия, т.е.: субъектно-объектно-предикативные отношения. Финитный глагол в данной конструкции всегда представлен глаголом переходной семантики. Обобщенное грамматическое содержание данного типа – это: «производитель действия – объект действия – действие», напр.:

1. а. *Васасс тлехь Босана*. мальчик (эрг. I гр.кл.) книга (абс. III гр.кл.) купить (аорист III гр.кл.) «Мальчик купил книгу».

1. б. *Йасаль чед Бежана*. девочка (эрг. II гр.кл.) хлеб (абс. III гр.кл.) печь (аорист III гр.кл.) «Девочка испекла хлеб».

Самым распространенным логико-грамматическим типом предложения в аварском языке является тип предложения, который оформлен сочетанием подлежащего в форме эргативного падежа, прямым дополнением в форме абсолютива и финитной формой глагола переходной семантики. Его обобщенным грамматическим значением является отношение производителя действия (агенса), объекта, на которого направлено действие (реальный объект, объект действия) и самого действия. Такой логико-грамматический тип предложения, выражающий активно направленное на объект действие, создают глаголы переходной семантики, которые для образования законченного предложения, естественным образом нуждаются в прямом дополнении.

Достаточно широко представлен в аварском языке также тип предложения, выражающий различные оттенки состояния, который располагает структурой: «имя в абсолютиве + финитный глагол непереходной семантики», например:

2. а. *Вас Воххун Вуго*. мальчик (абс. 1гр.кл.) радоваться (перфект 1 гр.кл.) «Мальчик рад».

2. б. *Вас Ворчлана*. мальчик (абс.1гр.кл.) проснуться (аорист 1гр.кл.) «Мальчик проснулся».

2. в. *Вас Вакъун Вуго*. мальчик (абс.1гр.кл.) голодать (констатив 1гр.кл.) «Мальчик голоден».

В качестве связок для образования логико-грамматического типа предложения со значением состояния и близкими к нему значениями используются глаголы, выражающие состояние в наиболее чистом виде, так называемые глаголы существования.

Иногда в предложениях со значением состояния, в которых состояние подлежащего является результатом действия извне, указывается источник действия. В таком случае деятель (агенса, источник действия) вводится в предложение в форме эргативного падежа (при орудийном значении деятеля), напр.:

3. а. *Дол ракъуцца хвана*. они (абс.) голод (эрг.) умереть (аорист)

«Они умерли от голода».

3. б. *Дов квачаяль унтана*. он (абс.) холод (эрг.) болеть (аорист)

«Он от холода заболел».

Ср.: 4. а. *Дол хвана*. они (абс.) умереть (аорист)

«Они умерли». в. *Дов унтана*.

он (эрг.) (за)болеть (аорист) «Он заболел».

Наличие в предложении имени в форме эргативного падежа, указывающего на источник действия, придает данным предложениям семантику процессуальности, приближая тем самым предложение по характеру к действию. Но не к действию, исходящему от подлежащего, а к действию, направленному на него. Сравните предложения (4), в которых не указан источник действия, здесь выступает в чистом виде одна из разновидностей семантики состояния – семантика изменения состояния.

В качестве одного из подтипов данного логико-грамматического типа могут быть квалифицированы предложения, выражающие перемещение в пространстве, они располагают такой же структурой: «Имя в абсолютиве + непереходный глагол», напр.:

5. а. *Вас рокъове ана*.

Мальчик (абс.) дом (лок.5) идти (аорист)

«Мальчик ушел домой».

К данному логико-грамматическому типу относятся также предложения, выражающие внешнее проявление эмоций и чувств, например:

5. б. *Вас Велъулев Вуго*.

мальчик (абс. 1гр.кл.) смеяться (презенс 1.гр.кл.)

«Мальчик смеется».

Предложения, констатирующие различные звукоподражания также являются одним из подтипов данного логико-грамматического типа, например:

6. *Цумур зваргъана*.

Колокольчик (абс) звенеть (аорист)

«Колокольчик зазвенел».

К логико-грамматическому подтипу, выражающему совместное действие, относятся предложения, выражающие взаимное (совместное) действие, направленное на самих действующих лиц, например:

7. а. *Лъимал рагъана*.

Дети (абс) драться (аорист)

«Дети подрались».

7. б. *Васги ясги къацандана*.

Мальчик (абс) девочка (абс) соревноваться (аорист)

«Мальчик и девочка соревновались».

В аварском языке представлено небольшое количество глаголов чувственного восприятия (или аффективных глаголов), типа: *бокъизе* «любить», *рихине* «ненавидеть», «возненавидеть», *суризе* «надоесть», *чалгъине* «надоесть», *чламучлъизе* «надоесть», а также и глаголы: *къваригъине* «быть нужным», «нуждаться», *баянлъизе* «стать ясным», «стать очевидным», «проясниться», которые образуют логико-грамматический тип предложения, выражающий чувственное восприятие

8. *Инссуе жиндирго вас Вокъула*.

отец (дат.) свой сын (абс.) любить (презенс)

«Отец любит своего сына».

Логико-грамматический тип предложения, выражающий внешнее восприятие, образуют немногочисленные глаголы, типа: *бичлъизе* «понимать», *рагъизе* «услышать», *бихъизе* «видеть», *лъазе* «знать», *батизе* «находить», *клочене* «забывать», *къвезе* «мочь», *ккезе*

«думать, полагать», «казаться» и некоторые другие, они образуют локативную конструкцию предложения:

9. а. *Дида хабар раглана.*

я (лок.) весть (абс.) слышать (аорист)

«Я услышал весть».

9. б *Дида сурат бихъана.*

я (лок.) картина (абс. ед. ч.) видеть (аорист ед. ч.)

«Я увидел картину».

К наиболее распространенному синтаксическому признаку, выражающему статус подлежащего, в индоевропейских языках относится глагольное согласование. Но этот признак оказался нерелевантным для ряда языков. В аварском языке глагол-сказуемое согласуется с именем в абсолютном падеже, независимо от того, какую функцию это имя в предложении выполняет. Имя в абсолютиве может выступать как в функции подлежащего (абсолютивная конструкция), так и в функции прямого дополнения (эргативная конструкция). И в том, и в другом случае глагол-сказуемое согласуется в классе и числе с именем в абсолютиве. Так что есть основание для утверждения, что в аварском языке глагольное согласование определяется статусом падежа, а не статусом того или иного члена предложения.

При определении статуса подлежащего современная лингвистика учитывает два уровня факторов: синтаксический и содержательный. По мнению У. Чейфа «синтаксические аргументы или, по крайней мере, некоторые из них легче поддаются классификации и вызывают меньше споров. Содержательные аргументы заводят нас в трясину неопределенности, из которой психологические эксперименты пока еще не указали удачного выхода» [1, с. 280].

В качестве одного из идентифицирующих признаков подлежащего Э. Кинэн называет семантическую роль. При этом Э. Кинэн уточняет, что «подлежащие обычно выражают роль агенса действия, если таковой имеется. Заметим, что это свойство не может быть использовано для идентификации подлежащих тех предложений, в которых агент отсутствует, а предложения этого типа образуют многочисленную группу базисных предложений языка» [2, с. 259].

В нашей работе этот признак может быть использован только в предложениях логико-грамматического типа, выражающих активно направленное действие, в них агент, т. е. субъект действия, представленный именем в эргативе, выступает всегда в функции подлежащего. Это, как раз тот случай, когда имеет место совпадение логических и грамматических функций.

А для предложений логико-грамматического типа, выражающих состояние и близкие к нему значения, этот признак нерелевантен.

Глагол-сказуемое в аварском языке согласуется не с прямым дополнением или подлежащим, а с именем в абсолютиве, вне зависимости от того, в функции какого члена предложения оно выступает. Способы выражения прямого дополнения неоднозначны. На логическом уровне данной структурной единице соответствует объект, охваченный действием. На синтаксическом (формальном) уровне термин «прямое» предполагает оформление имени абсолютивом. Однако, прямое дополнение может выражаться и другими падежами, например, локативом:

10. а. *Инсуцца дида гъарана.*

отец (эрг.) я (лок.) просить (аорист)

«Отец меня попросил».

10. б. *Инсуцца дида гъарулеБ Буклана.*

отец (эрг. 1 гр.кл.) я (лок.) просить (имперфект III гр.кл.)

«Отец меня просил».

10. в. *Инсуцца Васасссда малъана.*

отец (эрг.1 гр.кл.) сын (лок. I гр.кл.) наставлять (аорист III гр.кл.)

«Отец сына наставил».

10. г. *Инсуцца Васасссда малъулеб Буклана.*

отец (эрг. 1 гр.кл.) сын (лок. 1 гр.кл.) наставлять (имперфект III гр.кл.)

«Отец сына наставлял».

Как наглядно показывают примеры [10.б. и 10.г.] прямое дополнение в форме локатива не влияет на форму (классно-числовое оформление) предиката.

Глаголы possessивной семантики *буго* «есть», *буклине* «иметь» образуют не только possessивную конструкцию, но и локативную, например:

11. а. *Дир гларац Буго.*

я (ген) деньги (абс.) есть

«Я меня есть деньги».

11. б. *Дихъ гларац Буго.*

я (лок. II) деньги (абс.) есть

«У меня (при мне) есть деньги».

12. а. *Дир ихтияр Буго.*

я (ген.) право (абс.) есть

«У меня есть право», «Я имею право».

12. б. *Дихъ ихтияр Буго.*

я (лок. II) право (абс.) есть

«У меня есть право»

13. а. *Дир вас Вуго.*

я (ген.) мальчик (абс.) есть

«У меня есть мальчик».

13. б. *Дихъ вас Вуго.*

я (лок. II) мальчик (абс.) есть

«У меня (при мне) есть (находится) мальчик».

Несмотря на одинаковый перевод на русский язык, между предложениями [12.а. и 13. а] и [12. б. и 13. б.] существует определенное семантическое различие: примеры [12. а. и 13. а.] обладают обобщенным значением обладания «У меня вообще имеются деньги». Но в данный конкретный момент их может и не быть в наличии. А примеры [12. б. и 13. б.] обладают семантикой наличия в данный конкретный момент, но то, что имеется в наличии, вовсе не обязательно является его собственностью. Просто в данный момент находится у него.

Из вышеизложенного можно сделать следующий вывод: в аварском языке **синтаксические конструкции выполняют смысловозначительную функцию**, например, глагол *малъизе* в сочетании с абсолютивом имеет значение «считать», «пересчитывать», а в сочетании с локативом имеет значение «наставлять»:

14. а. *Инсуцца гларац малъулеб Буго.*

отец (эрг.) деньги (абс.) считать (презенс)

«Отец считает деньги».

14. б. *Инсуцца Васасссда малъулеб Буго.*

отец (эрг.) мальчик (лок.) наставлять (презенс)

«Отец мальчика наставляет».

Синтаксические конструкции выполняют смысловозначительную функцию не только в аварском языке, но и в других дагестанских языках эргативной типологии.

Посредством различных конструкций осуществляется также различие намеренного и ненамеренного действия, например:

15. а. *Дицца цлер Бекана.*

я (эрг.) стекло (абс.) разбить (аорист)

«Я разбил стекло».

15. б. *Дидассан цлер Бекана.*

я (трансл.) стекло (абс.) разбить (аорист)

«Я разбил стекло (нечаянно)».

Вопрос о том, какой член предложения является подлежащим, а какой прямым дополнением – далеко не праздный. В аварском языке от решения данного вопроса зависит залоговая характеристика предложения. Если имя в эргативе рассматривать как подлежащее, то предложение имеет активное значение, если имя в эргативе рассматривать как дополнение, то предложение приобретает пассивное значение.

В предложениях [15 а.] и [15 б.] наличествуют не только морфологические различия, но и различия с точки зрения синтаксической структуры, что обусловлено различиями языкового синтаксического содержания.

Литература:

1. Кинэн Э. К универсальному определению подлежащего // Новое в зарубежной лингвистике. Вып. XI. М., 1982. С. 236-276.
2. Чейф У.Л. Значение и структура языка. Пер. с англ. Изд. 3. URSS. 2009. 424 с.

Mallaeva Z.M.

Institute of Language, Literature and
Art Dagestan Federal Research Center
of Russian Academy of Sciences
Makhachkala

ON THE QUESTION OF THE SYNTACTIC PARTITION OF THE SENTENCE OF THE ERGATIVE CONSTRUCTION

Abstract

The question of the syntactic division of a sentence is one of the most controversial and unclear in grammar. The structure of the sentence and the originality of its members in the Dagestan languages are covered only in general terms. The number of main members of the proposal remains unclear. This happens due to the undeveloped question of the relationship between logical and grammatical categories. As a criterion for delimiting the members of a sentence, either purely semantic or purely formal features are used. In order to solve the problem of the correlation of logical and grammatical categories, it is necessary to establish the connection and dependence of the grammatical form of a sentence on its logical content. Grammatical relations, namely, the relations existing between the syntactic elements of a sentence, can be of a different nature. And one and the same element of these relations, for example, the subject, can be a member of several relations, for example, logical, grammatical and psychological. That is, the subject of judgment is a complex, multifaceted functional category. As a rule, the subject of a judgment in a sentence is expressed by the subject. But other ratios are also possible. Although subject and subject, object and object are in a certain way and correlative with each other, they are not identical concepts. Therefore, it is necessary to make a clear distinction between these concepts: the subject and object are the members of the sentence, represented by certain words,

and the subject and object are not members of the sentence, but objects of thought that are reflected in the sentence.

The subject, who has different logical content, reveals it formally in the form of different case forms. However, the latter is not at all a universal property of the subject; rather, it is a feature of ergative languages. In nominative languages, the subject, having a different logical content, does not express it formally, therefore, in all types of sentences; the subject is formalized in the nominative case.

Keywords: Controversial, Grammatical relations, Although subject.

ხვთისო მამისიმედიშვილი
ფილოლოგიის დოქტორი,
ოსუ ასოცირებული პროფესორი
თბილისი, საქართველო

შავი ჭირის გამავრცელებელი არსებები ქართულ და ოსურ ფოლკლორში (ქართული „ჟამნი“ და ოსური „ჟემინა“)

ოსურ ფოლკლორში რამდენიმე ვარიანტად გვხვდება მითოლოგიური გადმოცემა შავი ჭირის გამავრცელებელი არსების – ჟემინას – შესახებ. ვარიანტების უმრავლესობა XIX საუკუნის II ნახევარში არის ჩაწერილი. მათ შორის ყველაზე ავთენტურად შეიძლება მივიჩნიოთ გატუევისა და ტუკაევის ჩანაწერები, რომლებიც აკადემიკოსმა ვსევოლოდ მილერმა თავისი „ოსური ეტიუდებით“ შემოგვინახა (Милюк 1882: 283-284). ვარიანტები ერთმანეთისგან მხოლოდ ცალკეული დეტალებით განსხვავდება და ძირითადი სიუჟეტური ჩარჩო უცვლელია. გადმოცემებში მოქმედება ხდება ჩრდილოეთ ოსეთის მთიანეთში, დიგორიაში, კერძოდ აულ სთურ დიგორში. შესაბამისად ტექსტებშიც დიგორულ დიალექტზე არის ჩაწერილი. ოსური თქმულება შავი ჭირის გამავრცელებელ არსებას ხან ანთროპომორფული სახით, ხანაც მგლის, ძაღლის, ცეცხლის ან ცეცხლოვანი ბურთის სახით წარმოგვიდგენს. ის ეცხადება კონკრეტული გვარის წარმომადგენლებს, ზოგჯერ მთელ ხალხს და ჰქვია ჟემინა. თქმულება ადამიანებისა და შავი ჭირის გამავრცელებელი არსების ურთიერთობის თემაზეა აგებული. მასში მონაწილეობენ, ასევე, ზებუნებრივი არსებები, ანგელოზები და ილაუაგები, რომლებიც შავი ჭირის გამავრცელებელი არსებისგან იცავენ ადამიანებს.

ქართული ფოლკლორიც იცნობს შავი ჭირის გამავრცელებელ მითოსურ არსებებს. ოსური ტექსტების მსგავსად, ხევსურულ მითოლოგიურ გადმოცემებში ეს არსებები პერსონიფიცირებულია და მათ ჰქვიათ ჟამნი. შავი ჭირის ეპიდემია ქართულ წყაროებში ჟამიანობის სახელით ხსენდება. ჟამიანობის ამსახველი ზეპირსიტყვიერი ნიმუშები, სულ ათიოდე ტექსტი, ხევსურეთის თემ-სოფლებში გასულ საუკუნეში ჩაიწერეს ხალხური ტრადიციული ყოფისა და კულტურის აღიარებულმა აღმწერ-მკვლევარებმა: ალექსი ოჩიაურმა, რუსუდან ხარაძემ, თინათინ ოჩიაურმა და ნოდარ არდოტელმა.

ჩვენამდე მოღწეულ ხალხურ ტექსტებში „ჟამნის“ მოქმედების ასპარეზად სახელდება ხევსურეთის სოფლები: ატაბე, წინხაღუ, ხახაბო, ხონე, მუცო, არლოტი, ანატორი, არხოტის სოფლები – ამლა, ახიელი, ჭიმლა, ასევე – მთიანი ჩეჩნეთისა და ინგუშეთის აულები. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, შავი ჭირის ეპიდემიას ხევსურეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი გაუწყვეტია. ხევსურული თქმულებების მიხედვით, ჟამნი დადიოდნენ ჯორით, რომელზეც სამი ფერის ისრები ჰქონდათ გადაკიდებული, ვისაც თეთრ ისარს მოარტყამდნენ, ის გადარჩებოდა; ვისაც წითელ ისარს, ან გადარჩებოდა, ან არა; ხოლო ვისაც შავ ისარს მოარტყამდნენ, ის უეჭველად დაიღუპებოდა. როგორც ოსური, ისე ქართული ტექსტების მიხედვით, ჟამნი, სანამ რომელიმე სოფელში შევიდოდნენ,

მანამდე სოფლის რომელიმე მცხოვრებს ამოირჩევდნენ და მას ეჩვენებოდნენ. ასეთი „ჟამთგართული“ კაცი, ხევსურული გადმოცემების მიხედვით, არდოტელი ზვიედა ყოფილა (ანდრეუები 2009: 122-124), ხოლო ოსურ გადმოცემებში გიმი ხაიმანთი. ჟამიანობასთან დაკავშირებულ ქართულ თქმულებებში შემოდის აკრძალვის, საიდუმლოს გაგებისა და დასჯის მოტივები. ქართული და ოსური გადმოცემები მოგვითხრობენ შავი ჭირის გამავრცელებელი არსებებისა და ადამიანების ურთიერთობის, ჟამიანობისგან მოსახლეობის განადგურებისა და პრევენციის ზომების შესახებ. მათში მონაწილეობენ კონკრეტული გვარის ეთნარქები და წინაპრები, დემონური და ზებუნებრივი არსებები. მოქმედება ხდება განსაზღვრულ გეოგრაფიულ სივრცეში, კონკრეტულ სოფლებსა და მათ შემოგარენში. ჟამიანობასთან დაკავშირებულ ხალხურ გადმოცემებში გვხვდება ტოპონიმები და მიკროტოპონიმები, კონკრეტული ადამიანების გვარ-სახელები.

მეთოდოლოგია

უაღრესად მნიშვნელოვანია შავი ჭირის გამავრცელებელ არსებებზე ქართული და ოსური გადმოცემების შედარებითი ანალიზი, რომელიც ორი ხალხის ფოლკლორულ შემოქმედებაში კულტურული ფასეულობების გაზიარებისა და გენეტიკური კავშირების გამოვლენის საშუალებას იძლევა. ნაშრომში პრობლემა შესწავლილია ისტორიულ და კულტუროლოგიურ კონტექსტში კვლევის ინტერდისციპლინური და სტრუქტურული მეთოდის გამოყენებით. ნაშრომი ეყრდნობა ფოლკლორისტიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინისა და მისი მომიჯნავე დარგების: ეთნოლოგიის, ლინგვისტიკისა და ისტორიის მონაცემებს.

ჟემინას¹, როგორც შავი ჭირის გამავრცელებელი არსების გამოჩენას, მის ბრძოლას სოფლის მოსახლეობის წინააღმდეგ ეპიდემიის გავრცელების მიზნით და პრევენციის ზომებს ოსური თქმულება ხევსურული ანდრეუებისგან განსხვავებული დეტალებით წარმოგვიდგენს. თუმცა ორივე ტრადიციაში ზოგიერთი მსგავსი და ერთმანეთისგან გამომდინარე ელემენტიც იკვეთება.

„ჟამნი“ და „ჟემინა“

ოსური გადმოცემებისგან განსხვავებით, ხევსურულ ხალხურ ტექსტებში შავი ჭირის გამავრცელებელი არსებები არიან ბევრნი და მათი საერთო სახელი არის „ჟამნი“. ისინი ჯგუფურად გადაადგილდებიან ჯორით, რომელსაც ხურჯინში შავი ჭირის გამავრცელებელი თეთრი, წითელი და შავი ისრები უწყვია. ოსურ გადმოცემებში ჟემინა, ჯორისა და ისრების გარეშე, მარტოდ გადაადგილდება, მარტოდმარტო მოქმედებს და ავრცელებს ეპიდემიას.

ოსურ გადმოცემებში შავი ჭირის გამავრცელებელი არსების საკუთარი სახელი „ჟემინა“ ოსური ენის მონაცემებით არ იხსნება. ის ქართული, კერძოდ, ხევსურული ტრადიციიდან უნდა იყოს გადასული, სადაც იგი შავი ჭირის გამავრცელებელი არსებების ზოგად სახელს წარმოადგენს. შავი ჭირის გამავრცელებელი დემონური არსებების სახელი ხევსურულ ტექსტებში გადმოცემულია სიმრავლის გამომხატველი ნარიანი ფორმით – „ჟამნი“ (ჟამ -**ნ**- ი), რომელიც ოსურმა ენამ, როგორც ჩანს, ქართულიდან მრავლობითის მაწარმოებელ „-ნ“ სუფიქსიანად ისესხა – „ჟემი -**ნ**- ა“, თუმცა ამ სიტყვაში „-ნ“ სუფიქსს დაკარგული აქვს მრავლობითის გაგება და ოსურ გადმოცემაში ეს სახელი შავი ჭირის გამავრცელებელ ერთ კონკრეტულ არსებას ჰქვია.

ქართულ ენაში სიტყვა „ჟამი“, როგორც არქაიზმი, არაერთი მნიშვნელობით გვხვდება. ძველ ქართულში ჟამი ძირითადად დროს აღნიშნავდა. „ჟამი“, როგორც დროის აღმნიშვნელი სიტყვა, ქართულში სპარსული ენიდან შემოვიდა: ძამან (نامز) – ჟამი, დრო (საშუალო სპარსულში – „ძამანაკ“, აქედან სომხურში „ჟამანაკ“ -დრო).

¹ ლიეტოვურ გადმოცემაში „ჟემინა“ ჰქვია მიწის ქალღმერთს.

შავი ჭირის გამავრცელებელი არსებების გარდა, ქართულ ენაში „ჟამნი“ ჰქვია ლიტურგიკულ ტექსტს, რომელიც შეიცავს უცვლელ მასალას, დანიშნულს ყოველდღიური საეკლესიო ღვთისმსახურებისათვის სხვადასხვა ჟამს, ანუ საათს. რატომ ეწოდათ შავი ჭირის გამავრცელებელ არსებებს „ჟამნი“ ან რატომ დაერქვა ჟამიანობა ამ საშიშ ეპიდემიას, გარკვეული არ არის. „შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ჟამნი“, როგორც შავი ჭირის გამავრცელებელი არსებების სახელწოდება, ქართულ ენაში დამკვიდრდა ევფემიზმის სახით“ (მამისიმედიშვილი 2021: 39). მსოფლიოს ხალხთა ენებში, მათ შორის ქართულში, დადასტურებული პრაქტიკის მიხედვით, ენობრივი კოლექტივი ავადმყოფობასთან და სიკვდილთან დაკავშირებულ ლექსიკას შედარებით უვნებლად მიჩნეული სიტყვათქმებით ანაცვლებდა. სავარაუდოდ, ამ ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე ქართულ ტრადიციაშიც, როცა შავი ჭირის გამავრცელებელ არსებებს ეწოდათ „ჟამნი“. აქედან გამომდინარე, ეჭვგარეშეა, რომ ოსურ თქმულებაში შავი ჭირის გამავრცელებელი არსების სახელი „ჟემინა“ ქართული ტრადიციიდან, ქართული „ჟამნი“-დან არის გადასული.

ტექსტების სტრუქტურა, პერსონაჟები და საზრისი

სახელის გარდა, ოსურ და ქართულ თქმულებებს სტრუქტურული თვალსაზრისით ერთმანეთთან რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი აკავშირებთ. ჯერ ერთი, რომ როგორც ქართულ, ისე ოსურ გადმოცემაში შავი ჭირის გამავრცელებელი არსება პერსონიფიცირებულია. მეორე მნიშვნელოვან ელემენტს ამ მითოსური არსების ადამიანებთან ურთიერთობა წარმოადგენს. ხევსურული ანდრეზების მიხედვით, შავი ჭირის გამავრცელებელი არსებების დანახვა და მათთან საუბარი მხოლოდ „ჟამებთან გაფიცულ“ ადამიანებს ან „ჯვრის ხელკაცებს“ შეეძლოთ (ანდრეზები 2009: 87). ჟამიანობასთან დაკავშირებულ როგორც ქართულ, ისე ოსურ გადმოცემებში მონაწილეობენ მითიური წინაპრები და ეთნარქები თავიანთი კონკრეტული სახელებით. ხევსურული ანდრეზების მიხედვით, შავი ჭირის გამავრცელებელ არსებებთან ურთიერთობა ჰქონდათ არხოტიონ ალიათ მგელას, თათარა და კოკიტა ატაბიონებს, ზვიედა, მანგია და ანთა არდოტელებს. ოსური გადმოცემების ვარიანტების ერთ ციკლში ჟემინას, შავი ჭირის გამავრცელებელ არსებას, სოფლის სიახლოვეს ხვდება გიმი ხაიმანთი¹, სხვა ვარიანტებში მას ყურგოსათების კაცი ენაცვლება.

ხევსურული ანდრეზების მიხედვით, შავი ჭირის გამავრცელებელი არსებები, სანამ ხალხის დასახოცად სოფელში შევიდოდნენ, ჯერ ერთ კონკრეტულ კაცს ირჩევდნენ და გაეფიცებოდნენ. შემდეგ მას საფარველს ადებდნენ და ხან ჟამის გასავრცელებელ ისრებს აზიდვინებდნენ და ხანაც ჟამიანობის შიშით დამალული ხალხის საპოვნელად იყენებდნენ. როგორც ზ. კიკნაძე აღნიშნავს, „ჟამნი ადამიანის დახმარების გარეშე ვერ შევიდოდნენ სოფელში და ვერ აღასრულებდნენ მათზე დაკისრებულ საქმეს“ (კიკნაძე 2016: 266). ხევსურეთის სოფელ ხადუში ჩაწერილი ანდრეზის მიხედვით, ჟამთ ერთი ატაბიონი კაცი დაჰყვებოდა, სახელად თათარი. იმ ატაბელ კაცს ჟამთ საფარველი დაადეს და ყველგან თან დაატარებდნენ. ის ეუბნებოდა ჟამთ, თუ ხალხი სად იმალებოდა“ (ანდრეზები 2009: 88). სოფელ არდოტში ჩაწერილი ტექსტების მიხედვით, „ჟამთგართულები“ ანუ ჟამთან გაფიცული ადამიანები იყვნენ მანგია და ზვიედა, თუმცა ანდრეზი არაფერს გვეუბნება ღალატის მოტივზე, თუ რა მიზნით ღალატობდნენ ისინი სოფელს. ღალატის მოტივი, სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო შავი ჭირისგან თავის გადარჩენის ინსტინქტი ან მცირემიწიან მხარეში თანასოფლელთა მამულების ხელში ჩაგდების სურვილი.

უნდა ვიფიქროთ, რომ ოსურ გადმოცემაშიც ჟემინა საკუთარი მიზნების განსახორციელებლად ირჩევს გიმი ხაიმანთს, ე. წ. „მცნობ“ მამაკაცს და ხვდება მას შავ ტყეში, სთურ დიგორის მახლობლად, რათა შავი ჭირის გასავრცელებლად გამოიყენოს. მაგრამ ოსური ტექსტი, ქართულისგან განსხვავებით, არ იცნობს ღალატის მოტივს. გიმი ხაიმანთი არ

¹ გატუევის ჩანაწერების მიხედვით, გიმი იყო ჭკუიდან შემლილი (Миллер 1882: 283).

ღალატობს თანასოფლელებს. მეტიც, მან ჯერ თავის ოჯახს ამცნო მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, შემდეგ კი, სანამ შავი ჭირისგან დაიღუპებოდა, თანასოფლელებს ბანიდან დაუძახა და გააფრთხილა შავი ჭირის გამავრცელებელი არსების – ჟემინას – მოახლოების შესახებ. თუმცა გაფრთხილება გაფრთხილებად დარჩა. მართალია, გიმი ხაიმანთმა სახლის ყველა ფანჯარა და ნახვრეტი საიმედოდ ამოქოლა, მაგრამ პატარადაც, გიმის ახლადმოყვანილ ცოლს, რომელთანაც მამაკაცს ადათი საუბარს უკრძალავდა, ჟემინასთვის კარები გაუღია და სახლში შეუშვია, რადგან ქალს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ არაფერი სცოდნია. ამის გამო გიმი ხაიმანთის შვიდსულიან ოჯახში ყველას შავი ჭირით დასნეულდა და დაიღუპა. რატომ გახდა სთურ დიგორში გიმი ხაიმანთის ოჯახი შავი ჭირის პირველი სამიზნე? იქნებ იმიტომაც, რომ მან უარი თქვა ჟემინას სამსახურზე. როგორც ჩანს, მან ღალატს როგორც საკუთარი ოჯახის, ისე თანასოფლელთა ერთგულება და სიკვდილი არჩია.

ხევსურულ ანდრეუბებში ჟამთან დაახლოებული ადამიანებიც ზარალდებიან. დემონურ არსებებს უვნებლად ვერც ისინი გადაურჩებიან. ამის მიზეზი კი არის აკრძალვის დარღვევა. თვითონ ზვიედა, ჟამნთან დაახლოებული, „ჟამთგართული“ კაცი არღვევს ჟამთა აკრძალვას. შავი ჭირის გამავრცელებელმა არსებებმა მას ჯორზე შეჯდომა აუკრძალეს, რომლზეც დემონებს ხურჯინი ჰქონდათ გადაკიდებული და შავი ჭირის გასავრცელებლად ისრები დაჰქონდათ. მართოდ დარჩენილი ზვიედა, აკრძალვის მიუხედავად, ჯდება დემონების ჯორზე, საიდანაც მთელ ქვეყნიერებას დაინახავს. აკრძალვის დარღვევის გამო ჟამნი მას საყვარელ შვილს უკლავენ.

ისტორიული ცნობებიდან, მოგზაურთა ჩანაწერებიდან და ფოლკლორული გადმოცემებიდან ვიგებთ, რომ საქართველოში ეპიდემიის შესაჩერებლად უამრავ საშუალებას მიმართავდნენ. ჟამიანობის წინააღმდეგ ეფექტურად იყენებდნენ თვითიზოლაციასა და სოფლიდან განიზვნას. ოსურ გადმოცემაში პრევენციის ორივე ფორმას ვხვდებით. სთურ დიგორის მახლობლად ჟემინასთან შეხვედრის შემდეგ გიმი სახლში სულ სხვა გზით დაბრუნებულა: სასწრაფოდ კარები ჩაუკეტავს, სახლის ყველა ფანჯარა და ნახვრეტი ამოუქოლავს, თან ოჯახის წევრები გაუფრთხილებია, რომ სახლში არავინ შეეშვათ (Миллер 1882: 283). მეორე მხრივ, როცა აულის მცხოვრებლებმა გიმი ხაიმანთისგან შავი ჭირის შემოსვლის შესახებ შეიტყვეს, მათ სასწრაფოდ დატოვეს სოფელი და ტყეში გაიხიზნენ. ხევსურულ ანდრეუბებში სოფლიდან ხან მთელი მოსახლეობა იხიზნება, ხან მხოლოდ ერთი მოსახლე, რომელსაც, სავარაუდოდ, როგორც ზ. კიკნაძე ფიქრობს, არ სურდა ჟამთან სამსახური. გადმოცემის მიხედვით, ხევსურეთში დიდი ჟამიანობის დროს ვინმე ანთას, მურღვათ კაცს არდოტიდან, ტანსაცმელი გაუხდია და დედიშობილა ხონისჭალისკენ გაქცეულა, რადგან, ანდრეუბის მიხედვით, ხონის ჯვარი ადგილობრივ მცხოვრებლებს ჟამიანობისგან იცავდა და მფარველობდა. როგორც ამბობდნენ, „ის ჟამნი ხთით ყოფილან და ხონეს ჯვარს არ მიუშვიან“ (ანდრეუბები 2009: 123). რატომ გაშიშვლდა ანთა და რატომ გაიქცა არდოტიდან დედიშობილა ხონისჭალისკენ? იქნებ პრევენციის მიზნით? „ალბათ, არ უნდა ვიფიქროთ ისე, თითქოს ანთამ, ჟამის ნასროლ ისარს რომ დამალვოდა, გაიქცა და ტანსაცმლის ჩაცმა ვერ მოასწრო. როგორც ჩანს, მურღვათ ანთამ ჟამიანობისგან თავდაცვისა და გადარჩენის მიზნით, ამ საქციელით, ამ ერთგვარი დემარშით, უარი თქვა ყოველგვარ მატერიალურ ფასეულობაზე. ის დედიშობილა გაიქცა ხონისჭალისკენ და ხონეს ჯვარს შეეკედლა, რათა ახალი ცხოვრება დაეწყო“ (მამისიმედიშვილი 2021: 59). ანდრეუბი ლექსით მთავრდება:

„ანთა გავარდა ველთაო,

ტიტველთ გაიქნევს ყვერთაო!“ (ანდრეუბები 2009: 122-123).

ანთა ჟამს ცოცხალი გადაურჩა. თანადაყოლილმა უნარებმა, რწმენამ, სწორმა არჩევანმა და იღუმალების ცოდნამ ანთა შავი ჭირისგან დაიხსნა.

შავი ჭირის თავიდან ასაცილებლად მოსახლეობა ყველაზე მეტად მფარველ წმინდანებსა და ზებუნებრივ არსებებს სთხოვდა მფარველობას, რადგან, ეპიდემიასთან

საბრძოლველად წამალი ეფექტურ საშუალებად არ ითვლებოდა. ხევსურული ანდრე-
ზებისა და ოსური გადმოცემების მიხედვით, ჟამიანობა სწორედ ჯვარ-სალოცავებმა,
ძუარებმა და იღუაგებმა შეაჩერეს.

როცა სთურ დიგორის მცხოვრებლებმა აულში შავი ჭარის ეპიდემიის გავრცელების
შესახებ შეიტყვეს, სოფლიდან გაიქცნენ, მაგრამ მათ არ იცოდნენ რომელ ძუართან
მისულიყვნენ მფარველობის სათხოვნელად: ვასკერგისთან თუ იდაუაგთან. ზეციურ
არსებათა ნებას აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციულ საყმოებში ქადაგი
აცხადებდა. ანალოგიურ ვითარებას ვხვდებით სთურ დიგორის საზოგადოებაშიც.
ჟემინასგან შეშინებულ სთურდიგორელებს ქადაგად, ვინმე ბაითემირყო ყურდასათი
დაუსვიათ, რომელსაც ძველი მშვილდი აუღია და უთქვამს: „მე ვისვრი ისარს. თუ ის
იდაუაგის სალოცავისკენ გაფრინდება, ის იქნება ჩვენი მფარველი, ხოლო თუ ვასკერგის
სალოცავისკენ წავა, მაშინ ვასკერგი გვიშველის“ (Мишлер 1882: 283). როგორც ოსური
ფოლკლორის მკვლევარი დ. სოკაევა გადმოცემის სხვა ვარიანტებზე დაყრდნობით
აღნიშნავს, სწორედ ზეციური არსების – იდაუაგის შთაგონებით მისცა რჩევა ქადაგმა
სთურდიგორელებს, რომ ისარი ტყიდან ესროლათ იმ ხისთვის, რომელიც სალოცავის
მახლობლად მდებარეობდა. თუ ისარი მიზანში მოხვდებოდა, ისინი ამ ტყეში შავი
ჭირისგან დაცული იქნებოდნენ (Сокаева 2018: 113).

გასროლილი ისრით პრობლემის გადაჭრა მნიშვნელოვანი ელემენტია ფოლკლო-
რულ ნაწარმოებში. ამ საშუალებით ზოგჯერ დამნაშავეს ავლენენ და ყველას თვალწინ
სიკვდილით სჯიან. ჯადოსნურ ზღაპრებში მთავარი გმირი დამნაშავის გამოსარკვევად
ისვრის ისარს, რომელიც უეჭველად ანტაგონისტს ხვდება. ფშაურ მითოლოგიურ გადმოცე-
მებში წყაროსთავ წმინდა გიორგი ღევეს ისრით იბრძვის. ხევსურული ანდრეზების
მიხედვით, შავი ჭირის გასავრცელებლად ჟამნი თეთრ, წითელ და შავ ისრებს იყენებდნენ.

როგორც ოსური გადმოცემა მოგვითხრობს, ბაითემირყო ყურდასათის ნატყორცნი
ისარი იდაუაგის სალოცავის კვრივთან დაეცა. ხალხმაც თავი ამ ძუარის მახლობლად
მოიყარა. ჟემინამ ვერ შეძლო სალოცავთან შეკრებილ ხალხთან მიახლოვება, რადგან
იდაუაგმა იგი განდევნა. შემდეგ ჟემინა მოპირდაპირე მთიდან ცეცხლის ბურთის სახით
წამოსულა, მაგრამ იდაუაგმა სტყორცნა ისარი და ის სამ ნაწილად დაშალა: ერთი ნაწილი
ბილაგთან მიგორდა და იქ ჩაიწვა; მეორე – აღმოსავლეთით, ასინთასთან და იქ ფერფ-
ლად იქცა, ხოლო მესამე ნაწილი ადგილზე დარჩა და ბოლო დრომდე იდაუაგის კვრივში
ინახებოდა. ჟემინასგან გადარჩენის აღსანიშნავად სოფელმა დღესასწაული დააწესა.

ტუკაევის ჩანაწერში ცოტა განსხვავებულად არის მოთხრობილი სთურ დიგორში შავი
ჭირისა თუ ქოლერის ეპიდემიის შემოსვლა. გიმი ხოიმანთმა გააფრთხილა ოჯახის
წევრები, რომ მათ ოჯახს ქოლერა უახლოვდებოდა და მისთვის ხმა არ გაეცათ.
ხოიმანთები, მართალია, იცავენ ღუმილის აღთქმას და ეპიდემიას თავს დააღწევენ,
მაგრამ, სამაგიეროდ, ისინი დემონური არსების წყევლას დაიწევენ: „სულ ერთ კომლად
იყავით, თქვენს გვარში ორი კომლი ნუმც იქნებაო!“ როგორც ამბობენ, ხოიმანთების
გვარი, მართლაც, ერთ მამაზე მეტად არ მრავლდება. დემონური არსებების მიერ ოჯახის
დაწყევლა გავრცელებული მოტივია კავკასიის ხალხთა ფოლკლორში. ის განსაკუთრებით
ცნობილია მოშინაურებული ეშმაკის სიუჟეტზე აგებულ ხალხურ ნაწარმოებებში.
დემონური არსების მიერ გამოტანილი ვერდიქტი სამუდამოდ გაჰყვება საგვარეულოს და
მისი წყევლა ყველა თაობას დაატყდება.

ტუკაევის მიერ ჩაწერილი ვარიანტის მიხედვით, სთურ დიგორში მცხოვრებმა სხვა
ოჯახებმა ვერ დაიცვეს ღუმილის აღთქმა და შედეგად ეპიდემია მთელ სოფელს მოედო.
მხოლოდ გაცივების გვარში 28 სულიდან ყველა დაიღუპა. თავი რომ დაეხსნათ,
მოსახლეობამ დატოვა სოფელი და სხვადასხვა მხარეს გაიფანტა. მაგრამ ქოლერა
სთურდიგორელებს ყველგან პოულობდა და ხოცავდა. სოფლის მოსახლეობის მხოლოდ
ის ნაწილი გადარჩა, რომელმაც თავი გაზანდონს შეაფარა. როგორც ჩანს, გაზანდონი
საკრალურ სივრცეს წარმოადგენდა, რადგან ქოლერამ იქ ვერ შეაღწია. ქოლერა

სხვადასხვა საშუალებით ცდილობდა გაზანდონში შესვლას. მან, როგორც დემონურმა არსებამ, მგლის სახეს მიიღი, მაგრამ უეცრად, არავინ იცის საიდან, გამოჩნდა ასი ძაღლი, რომლებმაც ქოლერა ხალხთან არ მიუშვეს (Миллер 1882: 285). დემონური არსების მიერ მგლის გარეგნობის მიღება დრმა ქრისტიანული სიმბოლიკის შემცველია. ამ ტიპის სიუჟეტებში მგელი ცდილობს, კეთილ მწყემსს რჩეული კრავი მოსტაცოს. თქმულების ეს ნაწილი, რომელიც ტექსტის ფინალურ ნაწილს წარმოადგენს, სავსეა სხვადასხვა სახის სასწაულებით. ჟემინა ხან ცეცხლმოკიდებული ფიჭვის სახეს იღებს, რომელიც ხალხს ცეცხლში დაწვით ემუქრება. მაგრამ ზებუნებრივი ძალა ხალხს ამ განსაცდელს თავიდან აარიდებს: მთიდან გადმოეშვება მდინარე ურუხი, რომელიც მანამდე არ მოედინებოდა და აღმოდებულ ფიჭვს თავის ტალღებში მთანთქავს. ამ სახით ქოლერა იღუპება. თქმულების ფინალურ ნაწილში ერთმანეთს უპირისპირდებიან ზებუნებრივი და დემონური ძალები. ეს ბრძოლა ზებუნებრივი ძალების გამარჯვებით მთავრდება, რადგან ხალხის ის ნაწილი, რომელმაც თავი გაზანდონს შეაფარა, გადარჩა. შავი ჭირი, როგორც პერსონიფიცირებული ბოროტი ძალა, დამარცხდა. ხევსურული ანდრეზები მფარველ წმინდანებსა და შავი ჭირის გამავრცელებელ დემონურ არსებებს შორის ამგვარ დაპირისპირებას არ იცნობენ. შავი ჭირის ეპიდემია ხევსურეთში სამი წელი მძვინვარებდა, რადგან ჟამთ ეპიდემიის გასავრცელებლად სამწლიანი დრო, სამწლიანი ჟამი ჰქონდათ მიცემული. ერთი ანდრეზი მოგვითხრობს, რომ მესამე წლის გაზაფხულზე, როგორც კი თოვლი გაშრებოდა, როგორც კი სოფელში ხარებს შეაბამდნენ და ხნულში პირველ კვალს გაიტანდნენ, ჟამნი სოფელს დატოვებდნენ. გადმოცემის მიხედვით, შავი ჭირის გამავრცელებელ არსებებს ერთმანეთისთვის უთქვამთ: „ჯარ რო შაიბმის, თოვლ რო გამრების – ურნად გავიდვ... ეხლა დრო გავივიდავ, წავიდესავ, – თქვიან (ანდრეზები 2009: 87). ამრიგად, ხევსურული ანდრეზების მიხედვით, შავი ჭირის გასავრცელებლად მათთვის დადგენილი დრო – სამი წელი რომ გავიდოდა, ჟამნი თავისი ნებით ტოვებდნენ სოფელს და უჩინრად მიდიოდნენ. ისინი სოფელს ძირითადად გაზაფხულზე ტოვებდნენ. კიდევ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი. არდოტში არ აღინიშნება ისეთი ცნობილი დღესასწაული, როგორც არის ათენგენობა და რომელსაც ხევსურეთის ყველა სოფელში ზეიმობენ. როგორც ჩანს, ათენგენობის დღესასწაულს, რაღაც პერიოდში იქ დატიობის დღესასწაული ჩაენაცვლა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ყოველი წლის ივნისის დამდეგს სავარაუდოდ, ჟამნის მიერ სოფლის დატოვების აღსანიშნავად ზეიმობს.

რიტუალისა და დღესასწაულის მითოლოგიური სცენარი

სთურ დიგორში შავი ჭირის ეპიდემიის დასრულების შემდეგ ქადაგ ბაითემურყოს უქადაგია, რომ ჟემინას დამარცხების აღსანიშნავად სოფელს ქუვდი (საღვთო) გადაეხადა თავისი გადამრჩენლის სახელზე და ეწოდებინა მისთვის იდაუაგი, ხოლო დღესასწაულისთვის – ფაცბადანი“ (Миллер 1882: 282). ფაცბადანს გატუევი თარგმნის როგორც „ველად ჯდომას“. სავარაუდოდ, „ველად ჯდომის“ ანუ ფაცბადანის დღესასწაული იმეორებს შავი ჭირის ეპიდემიის დროს სთურდიგორელების მიერ სოფლის დატოვებასა და ველად გასვლას. ამით სთურდიგორელები შავი ჭირის ეპიდემიის საშინელებას იხსენებდნენ. რიტუალს საფუძვლად უდევს მითი, როგორც სცენარი. დღესასწაული თითქოს იმეორებს თქმულებაში გადმოცემულ ამბავს.

შავი ჭირის ეპიდემია ჩრდილოეთ ოსეთში რომ ნამდვილად უნდა ყოფილიყო, ამაზე ისტორიული დოკუმენტებიც მიუთითებენ. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა სვანეთის სეტისა და ლაღამის თემების სამ არშაიაზე მინაწერი საბუთები. მინაწერს ვ. სილოგავა XIV საუკუნის I ნახევრით ათარიღებს. „თემი უმკაცრეს გადასახადს უწესებდა იმათ, ვინც თემის უკითხავად ჩრდილოეთ კავკასიაში („ოსეთში“) წავიდა და იქიდან „ჰავი სენი“ ჩამოიტანა, რომელმაც მრავალი ადამიანი შეიწირა. ასევე, ორივე თემი მკაცრ გადასახდს უწესებდა მათ, ვინც სენით გარდაცვლილ თავის მიცვალებულს საკირეში არ დაწვავდა“ (კიკნაძე 2022: 43). „ჰავი სენი“, სავარაუდოდ, შავი ჭირის ეპიდემია უნდა

ყოფილიყო, რადგან XIV საუკუნეში შავი ჭირის ეპიდემიამ თითქმის მთელი ევრაზიის კონტინენტი მოიცვა.

3. მილერის ცნობით, სთურ დიგორში ფაცბადანის დღესასწაული 15 იანვრის მახლობელ დღეებში იწყებოდა და ხუთ დღეს გრძელდებოდა (Миллер 1882: 282). ოსური დღესასწაულისა და რიტუალის სტრუქტურა მთლიანად იმეორებს შავი ჭირის ეპიდემიის მიმდინარეობას, აკრძალვების მთელ წყებას, რომელიც, თქმულების მიხედვით, ჟამიანობის დროს სთურ დიგორში მოქმედებდა.

ფაცბადანის დღესასწაულის განმავლობაში სთურდიგორელები თავიანთ სოფელში არც არავის იღებდნენ და არც სოფლიდან არავის უშვებდნენ. ამ დროს სთურდიგორელები რიტუალურად გამოხატავდნენ თვითიზოლაციას, რომელსაც ჟამიანობის დროს სოფელი მიმართავდა. თუ ვინმე მგზავრი ფაცბადანის დღესასწაულს შეესწრებოდა, ის უნდა დალოდებოდა დღესასწაულის დასრულებას, ე. წ. გამოსაშვებ ხუთშაბათს. „გატუევის სიტყვებით, დღესასწაული იწყებოდა იანვრის ბოლო კვირა დღეს. ხუთშაბათიდან უკვე ნაბადართული იყო ერთმანეთთან სტუმრობა. ხუთშაბათს, პარასკევს, შაბათს და კვირას იმართებოდა საერთო ლოცვა და მსხვერპლშეწირვა“ (Миллер 1882: 283). სავარაუდოდ, ამგვარი აკრძალვის დაწესება იმ რეალობის გამოდახილია, როცა სთურ დიგორში მოსახლეობა თვითიზოლაციას მიმართავდა, ერთმანეთს აღარ სტუმრობდნენ და შავი ჭირის ეპიდემიის შემსწრე მგზავრებს სოფლიდან ეპიდემიის დამთავრებამდე აღარ უშვებდნენ.

გარდა ამისა, სტუმარი, სოფლის მცხოვრებთა მოთხოვნით, მონაწილეობას იღებდა ფაცბადანის დღესასწაულში. ყოველი ოჯახი ვალდებული იყო ფაცბადანის დღესასწაულზე დაეკლა მოზვერი ან ცხვარი, ედულებინა ლუდი და არაყი, მოამზადებინა სახატო საჭმელი. დღესასწაულის პირველი ოთხი დღის განმავლობაში ყოველი ოჯახი თავის სახლში იხდიდა საღვთოს. დღესასწაულის ფინალურ ეტაპზე, მეხუთე დღეს, მზადდებოდა საერთო ტრაპეზი. მთელი სოფლის მამაკაცები სასმლითა და საჭმლით, სიმღერის თანხლებით აულიდან მიდიოდნენ წმინდა ადგილზე, გაზანდონში, სადაც ოდესღაც, თქმულების მიხედვით, გაიხიზნა შავი ჭირისგან დევნილი მოსახლეობა და მფარველმა წმინდანმა ისინი დაღუპვისაგან იხსნა.

იქ, იდაუაგის ძუარის ახლოს, დღესასწაულის მონაწილენი მთელ დღეს საზეიმო ვითარებაში ატარებენ: მღეროდნენ, ცეკვავდნენ და ამით მფარველი წმინდანის ღმერთურ არსებაზე გამარჯვებას აღნიშნავდნენ. ისინი სახლებში მხოლოდ საღამოს ბრუნდებოდნენ. ამით მთავრდებოდა დღესასწაული და იმ დღიდან კარანტინი უქმდებოდა, მსურველებს შეეძლიათ როგორც აულიდან გამგზავრება, ისე აულში შემოსვლა, რადგან დღესასწაულის ჩატარებით, მფარველი წმინდანის დახმარებით სთურდიგორელებმა რიტუალურად კიდევ ერთხელ დაამარცხეს შავი ჭირი და სოფლის თითოეული მცხოვრები და სტუმარი თავისუფლდებოდა ყოველგვარი აკრძალვისგან.

3. მილერის შენიშვნით, დღესასწაულის დღეებში ასევე სასტიკად იკრძალებოდა მიცვალებულის ცხედართან შეხება და ამიტომ დღესასწაულის დამთავრებამდე დაუშვებელი იყო გარდაცვლილის დაკრძალვა (Миллер 1882: 283-284). ზოგადად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ღღემდე იკრძალება არა მხოლოდ მიცვალებულის პატრონის, არამედ მიცვალებულთან მისული ადამიანის სახატო დღესასწაულზე დასწრება. თუმცა ფაცბადანის დღესასწაულის აღნიშვნის დროს მიცვალებულის დამარხვისა და მასთან შეხების აკრძალვა შავი ჭირის ეპიდემიის გამოდახილი უნდა იყოს, რადგან, როგორც ცნობილია, ჟამიანობის დროს სასტიკად იკრძალებოდა არა მხოლოდ შავი ჭირით გარდაცვლილ ადამიანებთან შეხება, არამედ მათი დაკრძალვაც.

დასკვნა

შავი ჭირის გამავრცელებელი არსებები როგორც ქართულ, ისე ოსურ გადმოცემებში პერსონიფიცირებულია. შავი ჭირის გამავრცელებელი არსების სახელი „ჟემინა“ ოსურ

ენაში ქართული გზით შევიდა. ჟამიანობასთან დაკავშირებული ქართული და ოსური მითოლოგიური გადმოცემები ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებული ხალხური ტექსტებია, რომლებსაც გამითიურებული, მაგრამ რეალურად მომხდარი ამბები უდევს საფუძვლად. მათში აისახა ადგილობრივი გეოგრაფიული გარემო, ტოპონიმები და მიკროტოპონიმები, მითიური წინაპრებისა და ეთნარქების გვარ-სახელები.

ჟამიანობის თემაზე შექმნილი გადმოცემები ადამიანებისა და შავი ჭირის გამავრცელებელი არსებების ურთიერთობის თემაზეა აგებული. მათში, დემონური არსებების გარდა, მონაწილეობენ, ზებუნებრივი არსებები, ანგელოზები და იდაუაგები, რომლებიც შავი ჭირის გამავრცელებელი არსებისგან იცავენ ადამიანებს. ოსურ ტრადიციაში მისტიკის სახით არსებობდა შავი ჭირის დამარცხებასთან დაკავშირებული ხალხური დღესასწაული და რიტუალი, რომელსაც, როგორც სცენარი, საფუძვლად ედო თქმულებაში გადმოცემული ამბავი.

შავი ჭირის გამავრცელებელ არსებებთან დაკავშირებული ქართული და ოსური მითოლოგიური გადმოცემების შედარებითი ანალიზი ორი ხალხის ფოლკლორულ შემოქმედებაში კულტურული ფასეულობების გაზიარების ხანგრძლივ პროცესსა და გენეტიკურ კავშირებზე მიუთითებს.

ლიტერატურა:

ანდრეუზები 2009: კიკნაძე ზ., ანდრეუზები, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მითოლოგიურ-რელიგიური გადმოცემები, ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009.

კიკნაძე 2016: კიკნაძე ზ., ქართული მითოლოგია, ტომი 2, ფარნავაზის სიზმარი, ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016.

კიკნაძე 2022: კიკნაძე ვ., ახალი ცნობები სვანეთში შავი ჭირის ეპიდემიის გავრცელების შესახებ XIV საუკუნეში, კავკასიოლოგთა VI საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესის მასალები, მესტია, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2022.

მამისიმედიშვილი 2021: მამისიმედიშვილი ხ., შავი ჭირის გამავრცელებელი მითოსური არსებები ქართულ ფოლკლორში, *ქართული ფოლკლორი*, ტ. 10 (XXVI), შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2021.

Миллер 1882: Миллер В. Ф., Осетинские этюды, Осетинские тексты, Журнал: Ученые Записки Императорского Московского Университета, отдел историко-филологический, выпуск II, ч. II. 1882.

Сокаева 2018: Сокаева Д. В., Сакральные персонажи и символы фольклорной прозы осетин: генезис, семантика, этнографический контекст, Москва, 2018.

Khvtiso Mamisimedishvili

Associate professor at
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

CREATURES SPREADING THE PLAGUE IN GEORGIAN AND OSSETIAN FOLKLORE (Georgian “Zhamni” and Ossetian “Zhemina”)

Abstract

In Ossetian folklore, there are several versions of the mythological legend about the spreader of the plague – the creature Zhemina. Most versions of the legend were recorded in writing in the second half of the XIX century. In the legends, the action takes place in the mountains of North Ossetia, namely in the village of Stur-Digora. In the Ossetian legend, the creature that spreads the plague is presented either in an anthropomorphic image, or in the form

of a wolf, dog, fire or fireball. It is announced to representatives of a certain tribe, clan, sometimes to the whole people and is called Zhemina. Georgian folklore is also knows the mythical creatures that spread the plague. Like the Ossetian texts, in the Khevsurian mythological legends these creatures are personified and called Zhamni (geo. ჯამნი). In Georgian sources, the plague epidemic is mentioned under the name Zhamianoba (geo. ჯამიანობა).

Motives of prohibition, understanding of mystery and punishment are included in the Georgian legends associated with Zhamianoba. Georgian and Ossetian legends tell about the relationship between the creatures that spread the plague and people, about the extermination of the population during the period of Zhamianoba and preventive measures. Georgian and Ossetian mythological narratives associated with Zhamianoba are folk texts that arose on local soil and are based on events that turned into a myth, but really happened. They reflected the local geographical environment, toponyms and microtoponyms, surnames and names of mythical ancestors and ethnarchs.

Unlike the Ossetian legends, in the Khevsurian folk texts there are a large number of creatures that spread the plague and their common name is "Zhamni". They move in groups on a mule, which in a woolen bag (khurjini, geo. ხურჯინი) carries white, red and black arrows that spread the plague. In the Ossetian legends, Zhemina moves alone, without a mule and arrows, acts alone and sows an epidemic.

In Ossetian legends, the proper name of the creature that spreads the plague, "Zhemina", is not explained by the data of the Ossetian language. It must have been transferred from the Georgian, in particular, Khevsurian tradition, where it was a common name for creatures that spread the plague. The name of the demonic creatures that spread the plague is conveyed in the Khevsurian texts in the n-th form, expressing the plurality – "Zhamni" (Zham -n- i; geo. ჯამ -ნ- ი), which the Ossetian language, apparently, borrowed from the Georgian together with the plural suffix "-n": („-н"). – "Zhemi -n- a", however, the suffix "-n" in this word has lost its plurality meaning and in the Ossetian version this name is given to one specific creature that spreads the plague.

In order to prevent the plague, the population most of all asked for protection from saints patron and supernatural beings, because the medicine was not considered effective in controlling the epidemic. According to the Khevsurian Andreziys and Ossetian legends, it was the cross-shrines, Dzuars and Idaugas that stopped the Zhamianoba.

In the Ossetian tradition, in the form of a mystery, there was a folk holiday and ritual associated with the defeat over the plague, which were based, like a script, on the story told in the legend.

A comparative analysis of Georgian and Ossetian mythological legends associated with creatures that spread the plague reveals a number of similar folklore motifs and traditional elements, indicating a long process of exchange of cultural values in folklore and a genetic connection between the two peoples.

Keywords: Ossetian folklore, mythological legend, Georgian and Ossetian legends.

Мардеян Ноэми А.
Владикавказский институт управления,
канд. пед. наук,
доцент кафедры «Финансы и кредит»
Владикавказ, Россия

ПЕДАГОГИЧЕСКИЕ ИДЕИ И ОПЫТ СЕМЕЙНОГО ВОСПИТАНИЯ НАРОДОВ СЕВЕРНОГО КАВКАЗА И ЗАКАВКАЗЬЯ

Сегодня назрела необходимость в переосмыслении идей и опыта Кавказского воспитания, национального своеобразия педагогической культуры семьи, детско-родительских отношений и создании научно обоснованной концепции рассматриваемой практики семейного воспитания.

На Северном Кавказе и Закавказье, несмотря на возрождение таких элементов национального и общечеловеческого идеалов воспитания, как физическое развитие, духовность, трудолюбие, гуманность, житейская мудрость, тем не менее, наблюдаются утрата определенности традиционного понимания сущности семьи, связанную с внутренней динамикой ее развития, распространение неполных форм семьи, увеличение количества незарегистрированных гражданских браков, заметный рост числа разводов и т.д. Уходит в прошлое традиционная моногамная семья патриархального типа вместе с присущими ей семейными ценностями и моделями. Происходит процесс смены традиционных семейных ролей, и главное, наблюдается значительное снижение среди женщин престижа материнской роли. На фоне этих тенденциозных изменений и складывается представление о современной северокавказской семье.

В семейной педагогике северокавказских народов отражаются его идеалы, моральные ценности, представления о методах, средствах и целях воспитания, использование которых способствует формированию у подрастающего поколения лучших качеств национального характера. В условиях полиэтнического общества традиционная национальная семья отражает в своем функционировании, с одной стороны, национальные особенности современного общественного бытия, с другой — является носителем многовекового жизненного опыта. В зависимости от изменений структуры и типа семьи, обусловленных историческими особенностями культуры и конкретного общества, меняется также тип и механизм межпоколенного взаимодействия. Традиционная культура воспитания народов Северного Кавказа имеет логически структурированную систему устойчивых норм и правил, за которыми стоит духовная идеология народа с ее важнейшими нравственными принципами, такими как достоинство, уважение, вежливость, ответственность, строгость к самому себе, умеренность в образе жизни и т.д. Совокупность перечисленных качеств личности прививалась ребенку, прежде всего, в семье, и была закреплена соответствующими традициями, запретами, наставлениями, народными афоризмами. Ставя своей доминантой семью, народная педагогика располагала апробированным жизненным опытом, методами и средствами.

Территориальная близость, схожесть истории развития этносов и их традиционных культур и ценностей, общественной идеологии позволили выделить совокупность общих черт устройства семьи и семейных отношений у народов Северного Кавказа и в том числе Закавказья: культура общения, межэтническая интеграция, взаимоотношения в семье и обществе, идентичность пройденных народами этапов социально-экономического и духовного развития и т.д. Между тем нельзя не учитывать те отличительные признаки выстраивания семьи и семейных отношений, которые существуют у каждого из северокавказских народов: экзогамные и эндогамные принципы построения семьи,

различное статусное положение женщин в обществе; выраженность институциональных отношений.

Вековая мудрость народного воспитания как исторически проверенного педагогического опыта должна стать основой современных воспитательных систем, так как воспитательный потенциал этнопедагогики у всех народов и наций очень богат и разнообразен. Как показал анализ традиционной культуры семейного воспитания, этот опыт характеризуется почти одинаковыми требованиями к качествам формируемой личности и системе средств ее воспитания и обучения. Он представляет собой своеобразную народную мудрость, систему общечеловеческих ценностей, проверенных веками. Но это не означает, что надо использовать весь арсенал народных средств и факторов воспитания без изменений и критической оценки. Необходимо брать те из них, которые работают сегодня и соотносятся с нашими представлениями о гуманизме и общечеловеческих ценностях.

Воспитание детей в современной кавказской семье сохранило некий консерватизм во внутрисемейных отношениях, благотворно влияющий на формирование личности ребенка. Ведущее место в семейном воспитании отводится матери — основному воспитателю. Наблюдается рост количества семей, в которых вопросами воспитания детей занимаются оба родителя. Особых «методов» создания родительского авторитета в семье нет, он является результатом постоянного естественного образа жизнедеятельности матери и отца, зависит от стремлений, чувств, привычек, мотивов поведения, вида деятельности; характера взаимоотношений и общения родителей с детьми; их ответственности за воспитание.

Таким образом, семья как социальная ячейка общества, сложная многофункциональная система, находится в постоянной трансформации, меняется не только под воздействием внешних условий (потребности общества, общественных отношений и т.д.), но и в силу внутренних процессов своего развития (типа семьи, ее структуры, внутрисемейных отношений и т.д.). Поэтому все социальные проблемы современного общества, затрагивающие семью, преломляются в ее нравственно-ценностных ориентациях и прогрессивных традициях бытового поведения, отвечают духу времени, его условиям, потребностям, отличаются возрастанием сложности, противоречивостью и разнообразием. Трансформация семьи еще не закончена, и многие негативные моменты в ее развитии обусловлены этими обстоятельствами и условиями. Поскольку ослаблена регулирующая роль традиций и обычаев, в современной семье многое начинает зависеть от личностного фактора, умения принимать компетентные семейные решения, понимать друг друга, учитывать интересы и потребности других членов семьи.

Mardeyan N.A.

Vladikavkaz Institute of Management .

Financial University under the Government of the Russian Federation

Vladikavkaz, Russia

PEDAGOGICAL IDEAS AND EXPERIENCE OF FAMILY EDUCATION OF THE PEOPLES OF THE NORTH CAUCASUS AND TRANSCAUCASIA

Abstract

The article deals with modern pedagogical aspects and features of traditional seed education in the Caucasus, taking into account the trends of the modern Caucasian family.. The analysis of the traditional culture of family education in the Caucasus has shown that this experience is characterized by almost identical requirements for the qualities of the formed personality for all Caucasian peoples. Since the regulatory role of traditions and customs has been weakened, much

in the modern family begins to depend on the personal factor, the ability to make competent family decisions, to take into account the interests and needs of all family members.

Today there is a need to rethink the ideas and experience of Caucasian upbringing, the national identity of the pedagogical culture of the family, child-parent relations and the creation of a scientifically based concept of the considered practice of family education. In the North Caucasus and Transcaucasia, despite the revival of such elements of national and universal ideals of education as physical development, spirituality, diligence, humanity, worldly wisdom.

The traditional monogamous family of the patriarchal type, along with its inherent family values and models, is disappearing into the past.

There is a process of changing traditional family roles, and most importantly, there is a significant decrease in the prestige of the maternal role among women. Against the background of these tendentious changes, the idea of the modern North Caucasian family is formed. In a multiethnic society, the traditional national family reflects in its functioning, on the one hand, the national characteristics of the modern.

Keywords: Upbringing, morals, education, pedagogy, traditions, generations, family upbringing, education, family, humanity, culture, personality, Caucasian upbringing, intergenerational interaction

მარიამ მარჯანიშვილი

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი
ფილოლოგიის დოქტორი
ქუთაისი, საქართველო

ნართული ეპოსი – ნოდარ ბანძელაძის შემოქმედებაში

მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძე მდიდარი სულიერი სამყაროს გამორჩეული ხეღვით ბავშვობიდანვე იყო დაჯილოვებული.

მხატვრის მთლიანი და წრფელი სამყაროს წარმოჩენის ანა-ბანის შესწავლა მან ჯერ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში, შემდეგ კი თბილისის სამხატვრო აკადემიაში ისე განავითარა, როგორც უნდა განვითარებულიყო...

ასე რომ, მხატვრის ნიჭის სპეციფიკით, მახვილი თვალით, ადამიანური, მხატვრული ღირებულებებისა და აზროვნების ქანდაკებაში გაცოცხლებით ქართველ მოქანდაკეთა შემოქმედებით პალიტრაში ნაწრთობი ნოდარ ბანძელაძე მალე დამოუკიდებელ მოქანდაკეთ ჩამოყალიბდა... მაგრამ ბედის ირონიით ხელოვანმა მთელი ცხოვრება უცხო ერის სამსახურში გალია და ამიტომაც დარჩა უკვდავების ძეგლებად უზბეკეთის მიწაზე მისი შემოქმედება.

მამინ, უზბეკეთის საბჭოთა რესპუბლიკის აღმოსავლური კულტურის ძეგლებით ცნობილ უძველეს ქალაქ სამარყანდში ჩასული მოქანდაკე სახვითი ხელოვნების დარგში პირველი ქართველი აღმოჩნდა: „Так начался самостоятельный, трудный но радостный путь в большом творчестве.

Если бы я, работал в Грузии, это конечно было бы гораздо легче, потому что, знаешь свой край, свой народ, свои обычаи, ритуалы, свою историю искусства, и историю народа.

А Узбекистан для меня совершенно неизвестный край. Пришлось начать знакомится с Узбекистаном, узбеками, их жизнью, национальной культурой, бытом, обычаями и изучением типажей.

Два года понадобилось мне чтобы освоить формы национальной культуры . А через десять лет, все искусствоведы писали единогласно и показывали на мои скульптуры, на мои

работы и говорили: "Вот, от кого можно учиться, и знать что такое национальная скульптура"... („ავტობიოგრაფიული ნარკვევი“ გვ.16-17).

ათი წლის შემდეგ ნოდარ ბანძელაძის პირველმა კომპოზიციამ – „ბასმაჩების განადგურება“ – უზბეკეთის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს დაუთამს ათქმევინა: „შემოქმედებითი სიმწიფის სრული დინამიურობით ამ ნაწარმოებმა დაამტკიცა და ნათელყო მისი ავტორის დიდი ტალანტი“.

1967 წელს მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძე სსრ კავშირის მხატვართა კავშირის წევრი გახდა. ყველა სახის სახვითი შემოქმედების იერარქიაში მაშინ წამყვანი როლი მონუმენტურ და მონუმენტურ-დეკორატიულ ხელოვნებას ეკავა, რომელიც ყოველ რესპუბლიკაში კონკრეტული კანონზომიერებითა და ტრადიციებით ვითარდებოდა.

1985 წელს ტაშკენტის კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში საუკეთესო სკულპტურული პორტრეტის შექმნისათვის ნოდარ ბანძელაძეს პირველი პრემია მიანიჭეს. კონკურსში სულ 45 ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. ჟიურიმ გამარჯვებულად ჩვენი თანამემამულის მიერ წარდგენილი თურქმენი შემოქმედის ჯუმაჯუმადურდის ქანდაკება აღიარა.

უზბეკეთის საზოგადოებრიობა მოწონებით შეხვდა მოქანდაკეების ნოდარ ბანძელაძისა და ანზორ ჯიშიაშვილის ერთობლივ ნაშრომს „სამარადისო დიდება მეომრებს“, რომლის კომპლექსი 6 ჰექტარზე დაიდგა ბუხარის რაიონის დაბა კიზილში.

მნახველს აოგნებდა 7 მეტრი სიმაღლის შინმოუსვლელის დედის მძლავრი, თვალში საცემი სილუეტი. სკულპტურული ქმნილება გამოხატავდა მწუხარებითა და სიამაყით გამსჭვალული ქალის გმირულ სულისკვეთებას. ამ არქიტექტურულ-სკულპტურული ანსამბლში დედის სახება ადამიანურ ჭირთა თმენისადმი აღვლენილი ჰიმნიც გახლდათ.

მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძემ ასევე დიდი ნიჭი და პროფესიული ოსტატობა ჩააქსოვა ქალაქების ბუხარისა და სამარყანდის სასტუმროების ინტერიერების არქიტექტურულ და კომპლექსურ – მონუმენტურ გაფორმებაში, რომლებშიც ჩანდა არამარტო ხელოვანთა იშვიათი აღმაფრენა, არამედ ძველი ქართული ჭედურობის ძვირფასი ტრადიციების შერწყმა შუა აზიის ხელოვნების უძველეს ოსტატთა მოცდილებასთან.

1977 წელს ნოდარ ბანძელაძეს ბუხარის სასტუმროს კომპლექსის ინტერიერის გაფორმებისათვის ჰამზას პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა.

ქართველი ხელოვანის შემოქმედებას მხოლოდ მშვენიერების სამი პრინციპი – სისადავე, სიმართლე და ბუნებრიობა ამოძრავებდა. მისი ყოველი ქანდაკება გადმოგვცემს მოქმედებას, გრძნობებს, მოვლენებს... ქვაში, თიხაში, სპილენძსა თუ ბრინჯაოში შესრულებულ ათეულობით ნამუშევარს ამიტომაც აღფრთოვანებაში მოჰყავდა დამთვალიერებელი.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან კი ნოდარ ბანძელაძე, როგორც შემოქმედი ახალ ამბლუაში მოგვევლინა.

მონუმენტალისტმა მოქანდაკემ პირველად დაიწყო მცირე პლასტიკის ნამუშევრების შექმნა და მალე მისი შემოქმედება წარადგინეს ევროპისა და აზიის ქვეყნების საგამოფენო სივრცეებში.

ახლისაკენ მისწრაფება ადამიანის წარმოსახვის პირველი მოთხოვნაა. მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძემ საფუძველი ჩაუყარა უზბეკური ეპოსის მცირე პლასტიკაში ასახვის ტრადიციას. მისი ნამუშევრები წარდგენილი იყო მსოფლიო გამოფენებზე ინგლისში, იაპონიაში, საფრანგეთში, ბალგისა და მონგოლეთში.

„В Японии мои работы оценили так: "Это работы напоминают наш, японский "нецки". Когда я узнал об этом, я очень обрадовался, – потому что, этим сравнением надо гордиться. Японцы из моей мастерской купили 9 работ,“ – აღნიშნავდა თავის ავტობიოგრაფიულ ნარკვევში ნოდარ ბანძელაძე.

მცირე პლასტიკის ქანდაკებებიდან მისი ორი ნამუშევარი ასევე შეიძინა მოსკოვის აღმოსავლური კულტურის მუზეუმმა, ხოლო სამი კი ტრეტიაკოვის გალერეამ. დღეს ნ. ბან-

ძელადის მცირე პლასტიკის ქანდაკებების 30 ნამუშევარი დაცულია ტაშკენტის სამხატვრო მუზეუმში, ხოლო 20 ქანდაკება კი სამარყანდის ხელოვნების ისტორიის მუზეუმში. მსგავსი ქანდაკებებია დაცული ლატვიის მუზეუმშიც.

ამ ნამუშევრებით, როგორც გაზეთი „პრავდა ვოსტოკის“ კორესპონდენტი ვ. კარიმოვი წერდა: „მოქანდაკე დაუბრუნდა თავის ბავშვობას, სადაც მან საქართველოში, ერთ პატარა სოფელ დერჩის მინდვრებში ნაპოვნი მარმარილოს ქვის ნატეხში პირველად გამოსახა შოთა რუსთაველის შთამაგონებელი სახე.“

შთამბეჭდავ სახვით მანერაში შექმნილმა ამ ქანდაკებამ განსაზღვრა სწორედ მისი შემოქმედებითი გზის დასაწყისიც.

მცირე და დაზგური პლასტიკის ოთხასამდე ნამუშევრისგან შემდგარი უნიკალური კოლექციის შესაქმნელად მას ქვები საქართველოდან და ოსეთიდან მიჰქონდა უზბეკეთში. მაშინ ხელოვნების ამ მოცულობის ნიმუშები ახალი მოვლენა გახლდათ სახვით ხელოვნებაში, რომელიც რთული და უფრო მეტად გამომხატველობითი ხასიათისაა. ამ ნამუშევრებიდან აღსანიშნავია „ნასრედინი ასწავლის ვირს კითხვას“, „უზბეკები ხუმრობენ“, „ბედნიერება“, „გონჩარი“, „ნასრედინი სამარყანდში“, „ნასრედინს არა აქვს სახლი“ და სხვა.

იუმორის ნაპერწკლებს აფრქვევენ და ერთმანეთს ალერსით ებაახებიან პერსონაჟები კომპოზიციაში „უზბეკები იცინიან“, რომელიც ძალზე შთამბეჭდავია სახეების მიმიკური გამომეტყველებით, სამოსელთა ინდივიდუალურობით, პოზებისა და ჟესტების განუმეორებლობით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მცირე პლასტიკაში მუშაობისას მიღებულმა გამოცდილებამ საბოლოოდ განსაზღვრა მისი შემოქმედებითი გზის სიახლე, ორიგინალობა და საკუთარი ხელწერა.

დასამუშავებელი ქვები ნოდარ ბანძელაძეს მშობლიურ სოფელ დერჩის გარდა მაშინდელი ორჯონიკიძიდანაც (ვლადიკავკაზი) მიჰქონდა. მის სულიერ სამყაროში აღანია პირველად როზა ხუბეცოვამ შემოიყვანა.

და, იმ დღიდან მოყოლებული, რაკი ეროვნებით ოსი მეუღლე შეერთო, მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძემ ფუნდამენტალურად შეისწავლა ნართულ ეპოსში ასახული კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა ძირითადი მსოფლმხედველობა: შეხედულებები გარესამყაროსა და ცხოვრებაზე, ადამიანის დანიშნულებასა და ცხოვრების საზრისზე, ღმერთთან ურთიერთობასა და გმირობის იდეალზე. ასევე ნართულ ეპოსში გადმოცემული კავკასიის მთის ხალხთა ყოფა, ზნე-ჩვეულებები, ისტორიული, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალები. რადგან ნამდვილი ხელოვანი ისტორიკოსიც უნდა იყო, პოეტიც, მუსიკოსიც, ფილოსოფოსიც, მეცნიერიც, მკვლევარიც...

და, როგორც დიდრო შენიშნავდა: „რატომ არის ანტიკურ მხატვართა ნაწარმოები ესოდენ დიდებული? იმიტომ რომ ეს მხატვრები ფილოსოფიურ სკოლაში დაიარებიანო.“

1990 წელს, გამოჩენილი უზბეკი პოეტის, მოაზროვნის, სახელმწიფო მოღვაწისა და დიდი ჰუმანისტის ალიშერ ნავოის დაბადებიდან 550 წლის იუბილესთან დაკავშირებით ტაშკენტის ცენტრალურ პარკში აღიმართა 22 მეტრიანი მონუმენტი, რომელიც შადრევნის, ყვავილნარისა და მუსიკის ფონზე განუმეორებელ კომპოზიციას ქმნიდა. ბრძენკაცის ნათელ მზერაში იკითხებოდა მისი შემოქმედების მაღალი სულიერება. ქანდაკების შექმნაში ნოდარ ბანძელაძემ მთელი მისი ოსტატობა ჩააქსოვა.

მისი შესრულებული ნამუშევრებიდან მაღალ მხატვრულ დონეზე გაფორმებით ასევე ყურადსაღებია, ტაშკენტის მეტროპოლიტენის ორი სადგურის: „50 წლის სსრკ-ს“ და „ჩკალოვის“ ინტერიერი. სადაც ქართველი მოქანდაკის მიერ სპილენძში შესრულებული ჭედური ნამუშევარი „ცხენების რემის“ გადარბენა სკულპტურის ბუნებრივ – პლასტიკური ღირებულებებით გამოირჩევა...

ხელოვანის მიერ უბადლოდ შესრულებული ქანდაკებები უზბეკეთის გარდა ასევე დადგმულია მოსკოვში, ბელორუსიასა და თურქმენეთში. აღსანიშნავია მის მიერ შექმნილი

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის მ. კაუმოვის პორტრეტი და ქანდაკება „წყალი მოვიდა“.

დღეს, ჩვენდა სამწუხაროდ, მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძის მხოლოდ ერთადერთი სკულპტურული პორტრეტია საქართველოში და იგი მშობლიური სოფლის დერჩის სკოლის უბოში დგას. ავტორმა იგი სამაგალითო თანასოფლელს აკადემიკოსს გიორგი ახვლედიანის ხსოვნას მიუძღვნა. მთელი კომპოზიცია გადაწყვეტილია ლაკონურად და სიმეტრიულად. მეცნიერის გარეგნულ სიმშვიდეში დიდი შინაგანი ძალა და სიბრძნეა აღბეჭდილი. ავტორმა ხელოვანის სულის სიცოცხლე და ბუმბერაზი მეცნიერის აზრის მოძრაობა ამ ძეგლში ერთმანეთთან ისე შეაწნა და შეასისხლხორცა, რომ იგი ორივე თანასოფლელის უკვდავების ძეგლად იქცა. სკულპტურული პორტრეტი ავტორმა სამარყანდიდან ჩამოიტანა.

სულ სხვა პიროვნება და გარდასახვაა გამოსატული სინამდვილეში გულდია, დიდი ადამიანური სითბოთი და იუმორით აღსავსე, ქართული ტოლერანტობით გამორჩეული მოქანდაკის მიერ შექმნილ ავტოპორტრეტში. მასში იმდენად მძაფრია მიმიკური დახასიათება ხელოვანის გაორებულ ფიზიკურ მდგომარეობაზე, რომ ამკარად იქმნება შეგრძნება ჰამლეტისეული „ყოფნა – არყოფნის“ ტრაგიზმსა და წარმავალი წამის შეჩერების წყურვილზე..

„Если меня спросили бы счастливый Вы человек, я ответил: – Да, могу с уверенностью сказать. Имею прекрасную жену, прекрасных детей, прекрасную сноху, отличного зятя, красивых внуков.

Добился признания народа – в изобразительном искусстве.

А не счастлив тем, что не жил на своей родине, и ещё тем, что оторван от своих работ. Работа художника, это его детище тысяча раз облюбванное каждое произведение.

Когда я жил и работал в Самарканде тогда я не чувствовал, и даже не подозревал что так я буду скучать о своих творениях. Когда я приехал в Владикавказ жить, тогда я почувствовал внутреннюю пустоту, отсутствие своего духовного наследства.“

საბჭოთა ერების ძმურ ოჯახად ერთად ყოფნის ხუნულას დანგრევისა და ჩამოშლის შემდეგ ნოდარ ბანძელაძემ ოჯახთან ერთად უზბეკეთი დატოვა და 1995 წელს სამშობლოს მოაშურა, მაგრამ საქართველოში ჯერ კიდევ არასტაბილური ვითარების გამო დროებით ვლადიკავკაზში შეჩერდა.

ოსეთში მოქანდაკეს თითქმის თავიდან მოუხდა შემოქმედებითი საქმიანობის დაწყება, რადგან, როგორც დიდი ილია ამბობდა: „ყოველი ერი თვისის ისტორიით სულდგმულობს, იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თვისის სულის ღონეს, თვისი სულის ბგერას, თვისის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას.“

თავისთავად, ნოდარ ბანძელაძეც გაიტაცა ნართების ეპოსმა, რომლის ისტორია დაახლოებით ძვ. წ. VII-IV საუკუნეებიდან მოდის. ცნობილია, რომ ნართების ეპოსი თითქმის მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში იყო გავრცელებული, რომლის ხალხურ ტექსტებს, ყაბარდოელები, ოსები,

ჩერქეზები, აბაზები, ადიღეელები, ყარაჩაელები, ბალყარელები, ჩეჩნები და ინგუშები იცნობდნენ. ნართები ნახსენებია ასევე საქართველოს მთიანეთის სვანეთის, რაჭის, ხევსურეთის ზეპირ ტექსტებში.

ნართული ეპოსის აფხაზური ვერსიის გაზღაპრებული ტექსტები დასტურდება სამეგრელოშიც.

ასე რომ, ნართების მორალურ – ადათობრივი სამართალი და ეთიკური კოდექსი ოდითგანვე კავკასიელი ხალხის სიბრძნის წყარო იყო.

სწორედ, ეს ადათ-წესები, ზნეობისა და ქცევის ნორმები, ურყევი ეთიკური თუ მორალური დაუწერელი კანონები წარმართავდა კავკასიელ ხალხთა ურყევ ძმობა-მეგობრობას.

და, დღეს გარე ძალთა მიერ მართული, კავკასიელ ხალხთა ხიდჩატეხილობაზე ჭეშმარიტებას ისევ ნართულ ეპოსშია გაქდერებული: „დადგება დრო, როდესაც ყველაზედ უმორესი ხალხები გახდებიან ერთი მეორისათვის ღვიძლ ძმებად და უბედურებაში დაეხმარებიან ერთმანეთს.“

შეიძლება ითქვას, რომ ნართული ეპოსი იმდენად გათავისებული იყო ქართველი ხალხის ცნობიერებაში, რომ იგი პირველად ჯერ კიდევ 1868 წელს ჩანაწერების სახით გამოაქვეყნა მწერალმა დანიელ ჭონქაძემ.

1942 წელს ნართების ეპოსის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი კრებული პირველად საქართველოში, ქალაქ ცხინვალში ოსურ ენაზე დაიბეჭდა. ხოლო 1947 წელს ნართული ეპოსი პირველად ქართულ ენაზე გ. ლეონიძემ, ვ. გორგაძემ და ს. ფაშალიშვილმა თარგმნეს პწკარედიდან. ორიგინალიდან, უშუალოდ დედნიდან მერი ცხოვრებოვას მიერ ქართულ ენაზე თარგმნილი ნართული ეპოსი ორჯერ 1977 და 1988 წელს გამოქვეყნდა.

2014 წელს ნართების ეპოსი ქართულ ენაზე მეოთხედ დაიბეჭდა. „ნართების“ ბოლო გამოცემის სამეცნიერო მნიშვნელობა ღიდა, რადგან იგი მოიცავს ისეთ თქმულებებს, რომლებიც პირველად ითარგმნა დედნიდან ქართულ ენაზე, ნ. ბეპიევმა წიგნებს (ოსურ და ქართულ რედაქციებს) დაურთო შესაბამისი სამეცნიერო აპარატი: ტექსტების ინდექსი, მენიშვნები და ლექსიკონი.

კრებულის მოსამზადებლად შეიქმნა სპეციალური საგამომცემლო ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ქართველი და ოსი მეცნიერები: ნაფი ჯუსოითი, ზურაბ კიკნაძე, ტ. გურიევი, ნ. პოპიაშვილი, მ. ცხოვრებოვა, რ. ქუმარიტოვი. წიგნი შეადგინა და ქართულ ენაზე თარგმნა ნაირა ბეპიევამ. იგი გაფორმებულია ფერადი ილუსტრაციებით, რომლებიც ასახავენ ნართულ სიუჟეტებსა და პერსონაჟთა ჰეროიკულ ქმედებებს.

ნართული ეპოსის თემატიკაზე არაერთი ილუსტრაციაა შექმნილი. ნართული ეპოსის ილუსტრაციებზე მუშაობდნენ შალვა ბედოევი, ლევან სილაგაძე, დავით პოპიაშვილი, ასლან-გირეი ხოხოვი, ვადიმ ფუხაევი, მურად ჯიქაევი და სხვები.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნართების თქმულებები ქვაში პირველმა მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძემ აამეტყველა. 1997 წელს ჩრდილოეთ ოსეთის დეკადაში, რომელიც მოსკოვში გაიმართა ქართველმა ხელოვანმა ნოდარ ბანძელაძემ წარადგინა ამ ეპოსის ამსახველი 7 ნამუშევარი, რომელსაც ემატებოდა ნართული ეპოსის ამსახველი ხუთი მცირე ზომის ქანდაკებაც.

რაკი ხელოვნება აზრის გამოხატვის განსხვავებული ფორმაა, მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძე ნართულმა ეპოსმა ცოდნასთან ერთად ხელოვნების ნიმუშების შექმნის კიდევ ერთ ახალ გზას აზიარა. რაც გამოიხატა ჩრდილოეთ ოსეთის დეკადის დღეებში ნართული ეპოსის ცოდნის დემონსტრირებით.

ვლადიკავკაზის საზოგადოებამ ნოდარ ბანძელაძის შემოქმედება ჯერ კიდევ 1995 წელს გაიცნო, როცა მან ოსეთის სამხატვრო კავშირის მიერ მოწყობილ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა.

გამოფენებზე წარდგენილმა ხელოვნების ნიმუშებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ თითოეული ადამიანის ისტორია ეპოქის ისტორიაცაა.

1992 წელს მსოფლიოში აღიარებულ მხატვართა გვერდით ნოდარ ბანძელაძეც, ლაიფციგში გამოსულ „მხატვართა საერთაშორისო ლექსიკონშია“ შეყვანილი (გვ.572).

ასე რომ, ქართული სულისკვეთებითა და ტემპერამენტით გამსჭვალული მისი ნამუშევრები სამუდამოდ დარჩება უზბეკეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის ხელოვნების ოქროს საგანძურში. ეს ეხება როგორც მონუმენტურ, ისე მცირე ზომის ქმნილებებს. საოცარი დახვეწილობითა და ფორმათა სრულყოფილი უტრირებით რომ გამოირჩევა ყოველი მათგანი. დასანანია, რომ ნოდარ ბანძელაძის ნიჭი გარკვეულ წილად დააკლდა ქართულ კულტურას, მაგრამ ვინაიდან ხელოვნება ურთიერთობის საერთაშორისო ენაა, ამიტომ მას საზღვრები არ გააჩნია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მარჯანიშვილი მ. „დერჩის ქვების დაღადისი“, თბილისი, 2021 წ.
2. Ka. Wikipedia.org /wiki/ნარტული_ეპოსი.

Mariam Marjanishvili
Doctor of Philology

A WOVEN EPIC – IN THE WORK OF NODAR BANDZELADZE

Abstract

"A nation cannot be forgiven for forgetting what it is entrusted with by some of its children."

In this article, we present our fellow countryman, who is mentioned on page 572 of the "International Dictionary of Artists" published in Leipzig in 1992; it is written in black and white: "Bandzeladze, Nodar, Georgian sculptor, born in 1937 in the village of Derch, Tskaltubo district; since 1963 he has lived in Samarkand; in 1952-57 he studied at Tbilisi Art Institute; in 1957-63 at Tbilisi Art Academy. He has been honored Art Worker of the Uzbek SSR, Hamza State Prize laureate. He makes small sculptures on the theme of Uzbekistan and from the literature of Uzbekistan, as well as portraits in stone (sculptors Zumzadurdi and Aliyev). His works are exhibited in the Moscow Tretyakov Gallery, the Museum of Art (source: personal information of the artist)".

With the specificity of the artist's talent, sharp eye, human, artistic value and thought brought to life in the sculpture, Nodar Bandzeladze, who was drawn into the palette of the creations of Georgian sculptors, soon became an independent sculptor... But ironically, the artist spent his whole life in the service of a foreign nation, and that is why his creations remained immortal monuments on the land of Uzbekistan.

Since 1995, Georgian sculptor Nodar Bandzeladze has been introduced to Vladikavkaz community by participating in the exhibition organized by the Art Union of Ossetia.

While living and working in North Ossetia, Nodar Bandzeladze was captured by the story of the yarn epic. Since art is a different form of expression, the sculptor shared another new way of creating works of art.

He was the first Georgian sculptor who expressed the stories of yarn in stone. In 1997, in the Decade of North Ossetia, which was held in Moscow, the artist presented 7 works depicting this epic, to which five small sculptures depicting the embroidered epic were added.

So, the works of Nodar Bandzeladze, imbued with the Georgian spirit and temperament, will forever remain in the golden treasure of the art of Uzbekistan and North Ossetia

Keywords: North Ossetia, Nodar Bandzeladze, Georgian sculptor.

მიხეილ მახარაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი
ბათუმი, საქართველო

ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხები ქართულ ფილოსოფოსთა შრომებში

*ფილოსოფია ეპოქისა და კულტურის თვითცნობიერებაა
ოთარ ჯიოთი*

ქართულ ფილოსოფიას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ქართველი ფილოსოფოსები მუდამ დროულად ეხმაურებოდნენ, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ

ვთქვათ, – ეპოქის გამოწვევებს. ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელის, ანტონ ბაგრატიონის, სოლომონ დოდშვილისა და XX საუკუნის ქართველ ფილოსოფოსთა შემოქმედება ამის ნათელი დადასტურებაა.

ქართველი ფილოსოფოსები ფილოსოფიის კარდინალური საკითხების კვლევის პარალელურად ეწეოდნენ მთარგმნელობით საქმიანობას, ლიტერატურული ნაწარმოებებისა და ხელოვნების ძეგლების ანალიზსა და შეფასებას, მეცნიერების მონაპოვართა მსოფლმხველობრივ განზოგადებას. ნაშრომსი განვიხილავთ ქართველი ფილოსოფოსების მიერ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების შესწავლას, ანალიზსა და შეფასებას. ამგვარ კვლევას საქართველოში სათავე დაუდო ანტონ ბაგრატიონმა (კათალიკოსი ანტონ პირველი). სამწუხაროდ, დღემდე ჩვენთან ეს საკითხი სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა.

ნაშრომი ორი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში წარმოდგენილია ლიტერატურასა და ხელოვნების შესახებ ანტონ ბაგრატიონის, სოლომონ დოდშვილის, დიმიტრი უზნაძის, შალვა ნუცუბიძისა და შალვა ხიდაშელის შეხედულებათა ანალიზი და შეფასება; მეორე ნაწილი კი ეთმობა აღნიშნულ თემაზე სერგი დანელიასა, კონსტანტინე კაპანელის, მოსე გოგიბერიძის, ზურაბ კაკაბაძის, ავთანდილ პოპიაშვილისა და რაულ ჩანტლაძის შეხედულებებს.

პირველი ნაწილი ანტონ ბაგრატიონი (1720-1788)

დასაწყისშივე გავცეთ პასუხი კითხვას – რა ნიშნით შეგვყავს კათალიკოსი ანტონ ბაგრატიონი ქართველ ფილოსოფოსთა რიცხვში? საქმე ის არის, რომ ანტონ ბაგრატიონი ღვთისმეტყველი და აქედან გამომდინარე შორს არ იდგა ფილოსოფიისგან. ამასთან, მან საქართველოში ჩამოაყალიბა მთარგმნელობითი სკოლა, სადაც ქართულად თარგმნიდნენ ევროპულ ფილოსოფოსთა შრომებს. ასე რომ, ანტონ ბაგრატიონი თავისი შემოქმედებით სრულიად კანონზომიერად არის შეყვანილი ქართველ ფილოსოფოსთა სიაში.

ანტონ ბაგრატიონის შეხედულებები ქართველ მწერლებზე, სასულიერო მოღვაწეებსა და ფილოსოფოსებზე გადმოცემულია მისი „წყობილსიტყვაობის“ მეშვიდე ნაწილში, სადაც ის ჯერ საეკლესიო მოღვაწეებს და მათ შემოქმედებას ახასიათებს, შემდეგ კი საეროს (მწერლები, ფილოსოფოსები). ჩვენი ინტერესის სფეროში ძირითადად შედის ანტონ ბაგრატიონის მხრიდან მწერლების შეფასება. ვუძვებთ ერთ გამონაკლისს, კერძოდ, იოანე პეტრიწის ფილოსოფიის ანტონისეულ შეფასებას. საქმე ის არის, რომ პეტრიწს ანტონ ბაგრატიონი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, უძღვნის ყველაზე მეტ – 12 იამბიკოს და, ამასთან, პეტრიწი, როგორც მთარგმნელი გარკვეულწილად მოიაზრება მწერლების რიცხვში.

დავიწყით მწერლობით. ანტონ ბაგრატიონი იამბიკოებს უძღვნის იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელებს (მთაწმიდელებს). ეს ჩვენი გამოჩენილი სასულიერო მოღვაწეები ამავე დროს იყვნენ მწერლები, ეწეოდნენ მთარგმნელობით საქმიანობას. იოანე ათონელს ის ახასიათებს, როგორც ღვთისმეტყველს, საღმრთო ფილოსოფოსს, სიბრძნის მარად მოყვარულს, რომელმაც სიბრძნე განავრცო, წიგნები ამრავლა, შეამცირა უმეცრება (**ბაგრატიონი, 1980: 260**).

ეფთვიმე ათონელს(იოანე ათონელის შვილს) ახასიათებს, როგორც ღვთისმეტყველს, რომელიც წერდა ეპისტოლეებს, მოიხსენიებს მას ეფიტეტიტ – „ოქრო-ტაკუკი“ (ოქროს სარწყული), რომელიც გამობდა ბოროტებას, იყო ათონის მამათა წინამძღვარი (**ბაგრატიონი, 1980: 261**).

ანტონი ასევე ქებას აღავლენს გიორგი ათონელისადმი. მას მოიხსენიებს, როგორც ბრძენ მამას, სახარების მქადაგებლად და ქრისტიანობის დამცველად, ფილოსოფიის მოყვარულად, წიგნების გამამრავლებლად, ქრისტეს მრევლთა მწყემსად და ობოლთა მზრუნველად (**ბაგრატიონი, 1980: 264**).

ახლა უშუალოდ მწერლებზე. ანტონ ბაგრატიონი ეხება შავთელს, შოთა რუსთაველს, სარგის თმოგველს, ჩახრუხაძეს და სულხან საბა ორბელიანს. აღნიშნავს, რომ თვით შოთა რუსთაველი ლაპარაკობს იოანე შავთელზე, „უქესო ლექსი შავთელსა“, ასევე რუსთაველს იმორჩმებს ანტონ ბაგრატიონი სარგის თმოგველზე („თუ შოთა იტყვს: დილარგეთ უქია მას“) საუბრისას, ხოლო ჩახრუხაძეს მიიჩნევს პოეტად, სიბრძნის მოყვარულად, ვისი შაირიც უკეთესია რუსთაველისაზე („შოთას შაირთა, თუ სთქუა, უკეთესთაცა“). სულხან საბა ორბელიანის შაირს უქებს, მაგრამ აკრიტიკებს იმის გამო, რომ ის განუდგა ქართულ ეკლესიას (ბაგრატიონი, 1980: 275-282).

ანტონ ბაგრატიონის დამოკიდებულება რუსთაველი შემოქმედებაზე საგანგებო განსჯას საჭიროებს. ის რუსთაველის შემოქმედების შეფასებისას ერთი იამბიკოთი კმაყოფილდება. ანტონის აღნიშვნით, შოთა რუსთაველი იყო სიბრძნის მოყვარული, ფილოსოფოსი, საჭიროების შემთხვევაში მაღალი დონის ღვთისმეტყველიც, გასაოცარი პოეტი, „მაგრა ამაოდ დაჰშურა, საწუხ არს ესე“, აღნიშნავს რუსთაველისადმი მიძღვნილ იამბიკოში:

თუ შოთა რუსთაველისა

*„შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის-მოყვარე ფრიად,
ფილოსოფოსი, მეტყუელი სპარსთა ენის;
თუ სამ სწადოდა, – ღმრთის-მეტყუელიცა მაღალ;
უცხო საკვრელ პიიტიკოს-მესტიხე;
მაგრა ამაოდ დაჰშურა, საწუხ არს ესე“ (ბაგრატიონი, 1980: 281).*

რუსთაველის მიმართ ანტონ ბაგრატიონის სწორედ ეს ნათქვამი – „ამაოდ დაჰშურა“ აჩენს კითხვას – რა იყო ამ მკაცრი საყვედურის მთავარი მიზეზი?

ამ კითხვაზე არსებობს ასეთი პასუხი: „რუსთაველიდან 500 წლის შემდეგ, კათალიკოსმა ანტონ პირველმა სცადა განეახლებინა ძველი რიტორიკული ტრადიცია, რომელიც მთლიანად დავიწყებულიყო და ადგილი დაეთმო სპარსული პოეზიის გავლენის ქვეშ მყოფი ქართული პოეზიისათვის. თავისი რიტორიკა, რომელსაც „წყობილსიტყვაობა“ დაარქვა, კათალიკოსმა დავიწყებული იამბიკოებით დაწერა. ანტონს უნდოდა, „[...] დაენგრია ის ლიტერატურული კანონი, რომელიც რუსთაველმა დაამკვიდრა და რომელიც 500 წლის განმავლობაში ქართულ ლიტერატურაში უკონკურენტოდ ბატონობდა“.

აქ მე მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავ და ვერ შევალ ფილოლოგიურ კვლევა-ძიებებში. რაც შეეხება ჩემს პოზიციას, იგი ასეთია: რუსთაველის შემოქმედებაზე ანტონ ბაგრატიონის მაღალი აზრის მიუხედავად, მისი სიტყვებს – „ამაოდ დაჰშურა“, თავისი სერიოზული მიზეზი აქვს. ვფიქრობ, ქრისტიანობის რელიგიური და მსოფლმხედველობრივი ზეობის ხანაში ისეთი საერო ნაწარმოების შექმნა, როგორიც არის „ვეფხისტყაოსანი“, სადაც ნახსენები არ არის იესო ქრისტე, სამება, მოციქულები და სხვ., საკმარისი იყო იმისთვის, რომ ანტონ ბაგრატიონს ეს საყვედური გამოეხატა. არც ის უნდა დაგვაზიწყდეს, რომ რუსთაველი, ვინც ერიდება ავტორიტეტების მოხმობას, იმორჩმებს წარმართ პლატონს და საეკლესიო წრეებისთვის არც თუ ისე მისაღებ „ბრძენ დივნოსს“ – ფსევდო-დიონისე არეოპაგელს.

ჩემი აზრით, შოთა რუსთაველისადმი ანტონ ბაგრატიონის ასეთი მკაცრი დამოკიდებულების მთავარი მიზეზი სწორედ ეს უნდა იყოს, კერძოდ, რუსთაველის მხრიდან ქრისტიანული რელიგიისადმი ასეთი, სასულიერო მოღვაწისთვის სრულიად მიუღებელი პოზიცია, რასაც ადგილი აქვს „ვეფხისტყაოსანში“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ იოანე პეტრიწი თავისი შემოქმედებით იმსახურებს ქართველ მწერალთა რიცხვში მოხსენიებას. პეტრიწის გარდა, ანტონ ბაგრატიონი ეხება, უფრო სწორად იამბიკოებს უძღვნის ორ ღვთისმეტყველს და ამავე დროს ფილოსოფოსსა და მთარგმნელს – ეფრემ მცირესა და არსენ იყალთოელს. ორივე მათგანისადმი

მიძღვნილ იამბოკოებში მათ მოიხსენიებს ბრძენებად, ლოგიკოსებად და სხვ. ეფრემ მცირეს მისამართით აღნიშნავს, რომ ის იყო მშვენიერი რიტორიკოს-მოუბარი, პაექრობაში უძლეველი, მთარგმნელი და ფილოსოფოსი (ბაგრატიონი, 1980: 270). აქ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მართალია ანტონი ეფრემ მცირეს იხსენიებს, როგორც მთარგმნელსაც, მაგრამ არაფერს ამბობს მის მთავარ თარგმანზე – არეოპაგიტულ თხზულებებზე. მაშინ როცა, დაწვრილებით საუბრობს პეტრიწის მიერ პროკლეს შრომის თარგმანზე.

აქ ბუნებრივია კითხვა – ანტონ ბაგრატიონის მხრიდან არეოპაგიტული თხზულებების ეფრემ მცირესეულ ქართულ თარგმანზე დუმილი ხომ არ იყო გამოწვეული საეკლესიო წრეებში არეოპაგიტიკის ავტორისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულებით?

არსენ იყალთოელს კი ანტონ ბაგრატიონი უქებს ღვთისმეტყველობას, ფიზიკოსობას, ბიოლოგობას (ანატომიას) და ფილოსოფოსობას, აგრეთვე, მას ახასიათებს, როგორც პოეტს, ეს ყველაფერი არსენისა „ყოვლად საკვრვოდ ჩანს ყოველთადმი თემთა“ (ბაგრატიონი, 1980: 272).

იოანე პეტრიწის შემოქმედება განსაკუთრებულია ანტონ ბაგრატიონისთვის და არ არის შემტხვევითი, რომ მხოლოდ მას უძღვნის ყველაზე ბევრ – 12 იამბიკოს. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ პეტრიწის მიზანი იყო ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის დახვეწა, თარგმანის კულტურის ამადლება და კომენტარების ხარისხის გაუმჯობესება. თუმცა, როგორც ცნობილია, ის გარკვეულ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ამიტომაც გულდაწყვეტილი აღნიშნავს, რომ თანამემამულეები ხელს მიშლიდნენ, რათა „მეარისტოტელურაო“. ესე იგი, ამბობს პეტრიწი, რომ არა თანამემამულეთა მხრიდან შური და ამის საფუძველზე ხელის შეშლა, არისტოტელეს დარ საქმეებს გავაკეთებდიო.

საუკუნეების შემდეგ პეტრიწის დამსახურება ქვეყნისა და საკუთარი ხალხის წინაშე შეაფასა ანტონ ბაგრატიონმა. სავარაუდოდ ის არ ეთანხმება პეტრიწს, თითქოსდა ბოლომდე ვერ გააკეთა თავისი გასაკეთებელი. ანტონი ხაზგასმით აღნიშნავს მის როლსა და დამსახურებას ქართული ფილოსოფიის წინაშე, რაც გამოიხატა ფილოსოფიის „მოქართულებასა“ და საქართველოს „ათინად“ ქცევაში:

*„შენ ფილოსოფოსთ საქმე მონასმინანი,
შენ სტოიკებრნი სიტყვთ სჰკალ-მინანი,
შენ პერიპატოს ცნობანი სალხინანი,
მოქართულენ, ქართლი ჰქმენ ათინანი,
ჭირნი წარგჳადენ უმეცარ-საწყინანი“ (ბაგრატიონი, 1980: 270).*

იოანე პეტრიწზე მსჯელობისას ანტონი თითქმის ყველა იამბიკოში ხაზს უსვამს მის ფილოსოფოსობას. ამ მხრივ საყურადღებოა პლატონთან პროკლეს მიმართებაზე ხაზგასმა და თავის მხრივ მან იგივე როლი შეასრულე პროკლეს მიმართო, აღნიშნავს ანტონი:

*„ღიადოხოსებ, პროკლეს განსაკვრებო:
ვით იგი პლატონს ენაცვალა, იოანე,
ეგფერ შენ პროკლეს ეღიადოხოსე ღირსად“ (ბაგრატიონი, 1980: 269).*

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ანტონ ბაგრატიონმა მაღალ დონეზე შეაფასა ქართველ სასულიერო პირების, მწერალების და ფილოსოფოსების ღვაწლი და დამსახურება ქართული კულტურის წინაშე და ამით სათავე დაუდო ჩვენი სასიქადულო საერო და სასულირო მოღვაწეების შემოქმედების ფილოსოფიურ ანალიზს.

სოლომონ დოდშვილი (1805-1836)

მეორე ქართველი მოღვაწე, ვინც გააგრძელა ანტონ ბაგრატიონის საქმე იყო ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე სოლომონ დოდშვილი. იგი, როგორც მაღალი დონის ფილოსოფოსი, ქვეყნის პატრიოტი და საზოგადო მოღვაწე საყოველთაოდ არის ცნობილი. წარსულის კულტურული მემკვიდრეობისადმი მისი დამოკიდებულება, ანალიზი და

შეფასება გადმოცემულია წერილში – „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“.

ეს წერილი გამოქვეყნდა გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ დამატებაში – ჟურნალ – „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. ეს ჟურნალი თვით დოდაშვილის ინიციატივით დაარსდა, ის იყო ჟურნალის რედაქტორი და მიმართულების მიმცემი. სულ რამდენიმე გვერდიან წერილში დოდაშვილი მოკლედ, ლაკონურად და ღრმასაფუძვლიანად ალაგებს და აფასებს ქართული ლიტერატურის, ფილოსოფიის და საერთოდ ქართული კულტურის განვითარების ძირითად ტენდენციებს.

დოდაშვილი დიდად სწუხს იმის გამო, რომ ქართულ ენას სათანადოდ არ იცნობენ, ქართულ ენას უიმედოდ უყურებენ თვით ქართველები. „ჩვენ შეგვემთხვა სძენა დამტკიცებითა სჯათა მრავალთა კეთილმზრახველთა კაცთაგან ქართულისა ენისათვის, რომელ იგი გლახაკ არს თხზულებათა მიერ სალიტერატუროთა არა განვითარებულ არს და შესახებელადცა გარმონიისადმი არავითარისამე მექონ არს სიამოვნისა“ (დოდაშვილი, 2001: 214).

დოდაშვილი ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზნად ისახავს იმ დროისთვის ჩრდილში მოქცეულ ქართული ლიტერატურის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას. ამაზე მეტყველებს მისი წერილის ეს ადგილიც: „[...] ხოლო შემდგომად აღვრიცხოთ წვრილნი და თვინიერ პირმოთნეობისა ფასდებულ ვჰყოთ ქმნილებითურთ თვითეულნი აქვსონნი ღირესებისამებრ მათისა, რომელთაგანცა მოყვარენი საზოგადოების განვითარებისანი იხილვენ ძველსა ადგილსა შინა კავკასიის ამიერ მცხოვრებთასა მდიდარსა ნივთიერებასა სალიტერატუროსასა რომელიცა აქამომდე წყვილიადა შინა სიბნელისასა დაფარულ იყო მხედველობათაგან განათლებულის ევროპიისათა“ (დოდაშვილი, 2001: 214).

დოდაშვილი XI-XII საუკუნეებში გამოარჩევს ილარიონ ქართველს, წმიდა მამა იოანეს, წმიდა მამა ექვთიმეს, იოანე პეტრიწსა და სტეფანეს. ხოლო XII საუკუნის ქართველები გამოირჩეოდნენ „სიმხნევითა, სიბრძნითა, სათნოებითა და პოეზიითა“.

დოდაშვილი ქართული კულტურის მოღვაწეთა შემოქმედების შეფასებისას რჩეულთა შორის რჩეულებს გამოარჩევს, ესენი არიან – იოანე პეტრიწი და შოთა რუსთაველი.

დოდაშვილის აზრით, საქართველოში ფილოსოფიური აზროვნების აღმავლობა პეტრიწით იწყება, მისი ღვაწლი აღიარებული იყო არა მხოლოდ თამედროვეთა მიერ, არამედ განათლებული შთამომავლებისგანაც (დოდაშვილი, 2001: 216). ის შთამომავალთაგან სანიმუშოდ ასახელებს ანტონ ბაგრატიონს, რომელიც აღტაცებული იყო პეტრიწის აზროვნების სიღრმით. დოდაშვილს იმდენად მოსწონს ანტონის მიერ პეტრიწის შეფასება, რომ ამ პატარა წერილში სრულად იმოწმებს პეტრიწისადმი მიძღვნილ ანტონის თორმეტივე იამბიკოსს.

დოდაშვილს ასე აფასებს აქებს ანტონს: „ღირსება დიდისა მის მწერლისა იოანე პეტრიწისა შესაძლებელ არს ვჰსცნოთ ანტონი კათალიკოსის მიერ თქმულსა ლექსსა შინა, რომელიც აღტრფობილი თხზულებათა მიერ მისთა ჰსწერს შემდგომსა“ (დოდაშვილი, 2001: 216). ამის შემდეგ კი დოდაშვილი სრულად იმოწმებს პეტრიწისადმი მიძღვნილ ანტონის იამბიკოებს.

თამარ მეფის ეპოქაში, რომელსაც დოდაშვილი „ოქროვან საუკუნეს“ უწოდებს, გამოარჩევს მოსე ხონელსა და სარგის თმოგველს, რუსთაველსა და ჩახრუხაძეს. მისი მოსაზრება „ვეფხისტყაოსანზე“ ღრმასაფუძვლიანი და მრავლისმეტყველია: „დასამტკიცებლად მისსა, რომელ სიტყვიერება ჩვენი ყოფილა მათალსა ხარისხსა ზედა სრულებისასა, საკმაო არს წარუდგინოთ განათლებულსა სჯასა ლექსი რუსთაველისანი ‘ვეფხისტყაოსანი’“ (დოდაშვილი, 2001: 219).

დოდაშვილს ამ წერილს ქართველი ფილოლოგები მიიჩნევენ ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის პირველ ცდად. ჩვენის მხრივ კი დავამატებდით, რომ ეს წერილი ამავე დროს არის ქართული კულტურის ისტორიის ფილოსოფიის პოზიციიდან შეფასება.

დიმიტრი უზნაძე (1886-1950)

დიმიტრი უზნაძე პირველი ქართველი ფილოსოფოსია, ვინც XX საუკუნის პირველ ათწლეულში ლიტერატურული ნაწარმოებების ფილოსოფიური ანალიზი მოგვცა. ისიც აღვნიშნოთ, რომ უზნაძე განათლებით ფილოსოფოსი იყო და ამ დროისთვის პროფილი მეცვლილი, ესე იგი ფსიქოლოგიური კვლევები ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაწყებული. ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზის გარდა, ალექსანდრე აბაშელი პოეზიაზე მსჯელობისას გვთავაზობს საინტერესო თვალსაზრისს ხელოვნების არსზე, მის სპეციფიკაზე, ხელოვანისა და ფილოსოფოსის დანიშნულებაზე. უზნაძის წერილები ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირის მოტივებზე, განდევნილობის პრობლემაზე ილია ჭავჭავაძესთან და ალექსანდრე აბაშელის პოეზიაზე გამოქვეყნებულია შესაბამისად 1909, 1911 და 1913 წლებში.

დავიწყოთ ქართველ მწერალთა შემოქმედების განხილვით. უზნაძის აზრით, „გრძნობა არარაობისა ან ამაღლებისა და ლტოლვა მარადისობისაკენ ყოველი ადამიანის არსში მარხია“ (უზნაძე, 1984: 80). ამასთან, უზნაძის აზრით, ასეთ ადამიანში „გრძნეული“ კი არ უნდა იყოს მთავარი, არამედ შემოქმედი მოაზროვნე. ამის გარდა, ამ შემოქმედ-მოაზროვნეში მყარად უნდა იყოს ბუნებრივი ელემენტი და გრძნება უნდა იყოს მყარი. გრძნება იწვევს ამაოების გრძნობას /განცდას/, მაგრამ გონება მარადიული შემოქმედებაა და გრძნების წინააღმდეგობის ფონზე უფრო [მყარად] მიისწრაფვის მარადისობისკენ.

უზნაძე მის მიერ ჩამოყალიბებული თვალსაზრისის უტყუარ ილუსტრაციას ხედავს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებში – „მერანი“ და „შემოღამება მთაწმინდაზე“. მერანის რბენა „მერანში“ სულის ლტოლვაა დასრულებულ აბსოლუტად იქცეს, ხოლო შავი ყორანი გარე გრძნებანია, დროული და წარმავალი ელემენტია (უზნაძე, 1984: 81).

უზნაძის აზრით, ბარათაშვილს უჭირს თავის გრძნებათა დაკარგვა, მაგრამ ამავე დროს არ შეუძლია მას დაუმარჩილოს, დაუმონოს აბსოლუტური სული: „თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი“ (უზნაძე, 1984: 81).

ამავე სტილში იხილავს უზნაძე ლექსს – „შემოღამება მთაწმინდაზე“ და საბოლოოდ აკეთებს შემდეგ დასკვნას: ბარათაშვილის შემოქმედება – „... ბრძოლაა შემოქმედ და ამიტომ უსაზღვრო სულის ელემენტის გონებასა და გარე ბუნებრივ, ამიტომ შეუღედულ, დროულ ელემენტის, გრძნებათა სამეფოს შორის“ (უზნაძე, 1984: 84).

თუკი ბარათაშვილის შემოქმედების განხილვისას უზნაძე წინ წამოსწევს მარადიულისა და წარმავალის ბრძოლას, ილია ჭავჭავაძის „განდევილს“ ღირებულებითი პოზიციიდან ანალიზებს.

უზნაძე ჯერ იძლევა ღირებულებათა კლასიფიკაციას (ფიზიკური, რელიგიური, ეთიკური, ესთეტიკური, ინტელექტუალური) და იქვე დასძენს, რომ ღირებულებათა ძიების გზაზე ადამიანი როდი კმაყოფილდება რომელიმე მიღწეული ღირებულებით. ადამიანი, „[...] ისწრაფვის არა განსაკუთრებული ღირებულებისაკენ, არამედ სისრულისაკენ; და აი ეს სისრულეა სწორედ მისი მიზანი“ (უზნაძე, 1984: 248). ამასთან, უზნაძის აზრით, ღირებულებათა ძიების გზაზე, ჩვენ ვესწრაფვით ჩვენი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და ვქმნით ღირებულებებს, მაგ., სიკეთის, ხელოვნების და ა.შ. „და აი, სწორედ ასეთი ღირებულება არის მასალა, რომელშიც მკლავდება ჩვენი ნების მოქმედება“ (უზნაძე, 1984: 249).

უზნაძე შენიშნავს, რომ სწორედ ამიტომაც ნება თავის აბსოლუტური აქტივობით „სრულყოფას ვერ წვდება“. ეს კი ზოგიერთი დიდბუნებოვანი პიროვნების არსებაში სამინელი ტრაგედიის სახეს იღებს.

უზნაძე სწორედ ასეთი ჩამოყალიბებული პოზიციით უდგება ამა თუ იმ მხატვრულ ნაწარმოებს, კონკრეტულ შემთხვევაში ილიას „განდევილს“ და აქედან გამომდინარე აჩვენებს ნაწარმოებში მოცემული ტრაგედიის მიზეზსა და არსს: „განდევილი ხომ ისე ცხოვრობდა ერთ დროს, როგორც ყოველი ადამიანი. მასაც სურდა ადამიანური კეთილ-

დღეობის, ადამიანური ბედნიერების დამკვიდრება, მაგრამ მისი ნება იმდენად ძლიერი იყო, რომ იგი არც ერთმა ჩვეულებრივმა ადამიანურმა ღირებულებამ არ დააკმაყოფილა და მან მწვავედ იგრძნო, რომ მთელი ხროვა ამ ღირებულებათა, რომელიც ამ ცხოვრებაში ხორციელდება, ამაოა, რომ იგი მხოლოდ თავის მოტყუებაა. და, აი სწორედ ამიტომ მოსცილდა იგი ამ ღირებულებათა დამკვიდროს – ჩვეულებრივი სოფლის ცხოვრებას და თავისი ძლიერი ნებით მხოლოდ ზეციურისაკენ იწყო ლტოლვა“ (უზნაძე, 1984: 249-250).

უზნაძემ ილიას „განდგეილში“ მხოლოდ ქართველი კაცის სვე-ბედი კი არ ამოიკითხა, არამედ საკაცობრიო ტრაგედია. ეს კი ერთი მხრივ პოემის ღრმა აზრობრივი დატვირთვის მაჩვენებელია, ხოლო მეორე მხრივ უზნაძის ხედვის განსაკუთრებული სიღრმისა და სიმადლის მაჩვენებელია.

ალექსანდრე აბაშელის პოეზიის უზნაძისეულ შეფასებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ფილოსოფიისა და ხელოვნების, ფილოსოფოსისა და ხელოვანის შედარებითი ანალიზი. მისი აღნიშვნით, „[...] ფილოსოფიური ნაწარმოები და ხელოვნებითი შემოქმედების ნაყოფი, ორივე ერთ დღერთს უკმევს გუნდრუკს“ (უზნაძე, 1984: 253). მაგრამ, ამავე დროს, მათ შორის არსებითი განსხვავებაა, კერძოდ: ფილოსოფოსი გამსჭვალულია შემეცნებისადმი ლტოლვით და დასახული მიზნის მიღწევას ლოგიკურ ფორმებში ცდილობს, ხელოვანი კი ამ ამოცანის გადაჭრას მხატვრულ სახეებში აყალიბებს.

ამასთან, უზნაძე ხაზს უსვამს ნამდვილ და მოჩვენებით ხელოვნებას შორის განსხვავებას. როცა ხელოვანი მოვლენების ზედაპირზე ტივტივებს და მასში სამყაროს ფარული ამოცანების განცდა არ არის, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ხელოვნებასთან, არამედ თამაშთან. უზნაძის შენიშვნით, „საზოგადოდ, ნამდვილად კი მორითმობა კი არ ხდის ადამიანს ხელოვანად, არამედ გულწრფელი ღრმა განცდა სამყაროს იღუმალებისა, ტკივილის გამომწვევი სიძლიერე ჭეშმარიტებისაკენ ლტოლვილებისა“ (უზნაძე, 1984: 253-254).

უზნაძე უფრო აკონკრეტებს ფილოსოფოსისა და ხელოვანის ხედვებს შორის არსებულ განსხვავებას და გვთავაზობს მათი მიმართების შედარებით ანალიზს, სადაც სიახლე არის ხელოვანის, როგორც **ახლის შემოქმედის** წარმოჩენა.

უზნაძის აღნიშვნით, ფილოსოფოსისგან განსხვავებით, ხელოვანის ლტოლვა ვერ კმაყოფილდება სამყაროს ფარული არსის ლოგიკური არგუმენტაციით მიღებული ცოდნით. ხელოვანი ლოგიკის დაუხმარებლად სწვდება სამყაროს ფარულ არსს, „ხელოვნებით აღფრთოვანებას უწოდებენ იმ მომენტს, როდესაც ხელოვანი გონების დაუხმარებლად ლამობს ცხოვრების არსის წვდომას, და ი ნ ტ უ ი ც ი ა ს – იმ ძალას, რომლის საშუალებითაც იგი თავის ლტოლვას აკმაყოფილებს“ (უზნაძე, 1984: 265).

რაც მთავარია, შენიშნავს უზნაძე, ფილოსოფიისგან განსხვავებით, სადაც ფილოსოფიური აზროვნების შედეგია შემეცნება, ამის ნაცვლად ხელოვნებაში საქმე გვაქვს ცხოვრების იღუმალი არსის განცდასთან (უზნაძე, 1984: 265).

საინტერესოდ განიხილავს უზნაძე ჭეშმარიტების საკითხს ხელოვნებაში. ხელოვანი მიღებული ცხოვრების განცდილი პრინციპის საფუძველზე ქმნის ახალ ცხოვრებას და მისი როლი სრულდება ხელოვნების ნაწარმოების დასრულებით. ამის შემდეგ საქმეში ერთვება კრიტიკა, რომელმაც უნდა აჩვენოს თუ რამდენად შეეფერება ხელოვნების სინამდვილე ანუ სამყაროს ფარული არსის განცდის შედეგი, ცხოვრების ფარული არსის გამოხატულებას.

უზნაძის აზრით, თუკი ხელოვანის შექმნილი სახეები არსებული სინამდვილის სახეებს შეეფერებიან, მაშინ ჩვენ წინაშეა მსოფლიო ჭეშმარიტი არსის განცდა. თუკი პირიქითაა, მაშინ ხელოვანი ვერ ჩამწვდარა სამყაროს ნამდვილ არსს და არც ის განუცდია (უზნაძე, 1984: 266).

უზნაძის აზრით, ხელოვნების დანიშნულებაა ცხოვრების ფარული არსის განცდის ჭეშმარიტების გამოამჟღავნება და „ამგვარად, ხელოვნების ნაწარმოების ფორმას იგივე

მნიშვნელობა აქვს, რაც ლოგიკურ არგუმენტაციას ფილოსოფიური ქმედებების სიმტკიცისათვის“ (უზნაძე, 1984: 266).

ამ შენიშვნების გათვალისწინებით უზნაძე განიხილავს აბაშელის პოეზიის რამდენიმე ნიმუშს.

აბაშელის პოეზიაში უზნაძე გამოარჩევს იმ ლექსებს, „რომლებიც პოეტის სულის იღუმალ ზრახვათა პირდაპირ, გულწრფელ ამოძახილს წარმოადგენს“ (უზნაძე, 1984: 254).

ეს იღუმალი ზრახვა კი სიკვდილ-სიცოცხლის არსზე ჩაფიქრებული ადამიანის განცდებია, რაც გამოწვეულია ცხოვრების „ორსახეობით“, რაც შემდეგს გულისხმობს: „მზე და უკუნი ბნელი, გაზაფხული და დემონური ხარხარი, უკვდავებისკენ ლტოლვა და ცხოვრების ფრენა უფსკრულისაკენ“ (უზნაძე, 1984: 255). ეს დაპირისპირებული სახეები და მათზე ჩაფიქრებით გამოწვეული გაორებული განცდები გამხდარა პოეტის ტანჯვის წყარო. და უზნაძის შენიშვნით, აღნიშნული პრობლემა სხვადასხვა კუთხით ცხადად იკითხება აბაშელის ლექსებში – „ამონაკვნესი“ და „გამოძახილი“.

ამ მიმართებით უზნაძის კვლევები და მიღებული შედეგები უფრო დაწვრილებით შესწავლას და მრავალმხრივ გამოკვლევას საჭიროებს.

შალვა ნუცუბიძე (1888-1969)

შალვა ნუცუბიძე განსაკუთრებული მოვლენაა ქართულ ჰუმანისტურ მეცნიერებაში, საერთოდ ქართული კულტურის ისტორიაში. მისი მეცნიერული მოღვაწეობის სფეროები ფართო იყო: ფილოსოფია, რენესანსის საკითხები, რუსთველოლოგია, ლიტერატურული და მთარგმნელობითი საქმიანობა.

სტატიის დანიშნულებიდან გამომდინარე ჯერ მოკლედ შევხებით ნუცუბიძის ლიტერატურულ და მთარგმნელობით საქმიანობას და ამის შემდეგ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ მის კვლევებს რუსთველოგიაში, რასთანაც უშუალო კავშირშია რენესანსის საკითხები.

ნუცუბიძე „ქართული ფილოსოფიის ისტორიის“ პირველ ტომში განიხილავს „სიბრძნე ბალაჰვარიანის“ ავტორობის საკითხს და, აგრეთვე, ფილოსოფიური იდეების არსებობას ამ ნაწარმოებში.

ნუცუბიძე „სიბრძნე ბალაჰვარიანისში“ ხედავს არისტოტელეს ფილოსოფიის კვალს. ამასთან, არ გამოირიცხავს მასში ინდურ სიბრძნისა და ზოგადად ბერძნული ფილოსოფიის გამოვლინებებს: „მრავალი საკითხი, რაც ბალაჰვარს აინტერესებდა იოდასააფის აღზრდისას, შეიძლებოდა ყოფილიყო ინდურ სიბრძნეშიც და ბერძნულ ფილოსოფიაშიც ელემენტებით დაწყებული, ვიდრე ნეოპლატონიკოსებამდე“ (ნუცუბიძე, 1956: 329).

განსახილველ ნაწარმოებში მარადიული ყოფნის განსაზღვრებას ნუცუბიძე აღნიშნავს, რომ მასში ეს ნაცადია თეოლოგიური და ფილოსოფიური ატრიბუტებით. თუმცა, ეს ატრიბუტები არ გამოირცევა სიმწყობრით, აქ არეულია დადებითი და უარყოფითი ატრიბუტები, ლოგიკური და საეკლესიო-რელიგიური, ცოდნისა და რწმენის და სხვა მომენტები.

ნუცუბიძე განსახილველ ძეგლში აღნიშნავს სამ ნაკადზე – არისტოტელეს, ნემესიოს ემესელისა და არეოპაგიტული თვალსზრისები. საბოლოოდ ნუცუბიძე „სიბრძნე ბალაჰვარიანის“, მიიჩნევს იმ მნიშვნელოვან ძეგლად, რომელშიც ერთგვარად შეჯამებულია ქართული კულტურის მიღწევები IV-VII საუკუნეებში (ნუცუბიძე, 1956: 331-332).

მეორე მწერალი ვისი შემოქმედებაც გახდა ნუცუბიძის კვლევის ობიექტი სულხან საბა ორბელიანია. სულხან საბას ფილოსოფიური რწამის გასაგებად იგი განიხილავს ლექსიკონსა და „სიბრძნე სიცრუისას“. ნუცუბიძე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სულხან საბა თავის ლექსიკონში ფილოსოფიური ნაწილის მომზადება კი არა აქვს მიზნად

დასახული, არამედ იღებს და განიხილავს იმ ქართუკ ძეგლებს, რომლებშიც მოცემულია ქართული ფილოსოფიური საქმიანობა (ნუცუბიძე, 1958: 244).

ფილოსოფიაში სულხან საბა ორბელიანის საქმიანობის მიმართულება განსაზღვრული არსებული ვითარებით. ამ დროისთვის ფილოსოფიური კულტურა დამცვრობილი იყო და ნუცუბიძის აღნიშვნით საქმე იქამდე იყო მისული, რომ საუკუნეების განმავლობაში საზოგადოება საზრდოობდა იოანე პეტრიწისა და შოთა რუსთაველის ირგვლივ ატეხილი დავითო

აღნიშნული საკითხის განხილვისას ნუცუბიძე ასეთ საყურადრებო დასკვნას აკეთებს: „ს. ს. ორბელიანი მშვენივრად მიხვდა, რომ ჰირველი საქმე ამ ჰირობებში იყო ჯერ ისტორიული ფერფლისთვის სულის გადაბერვა, აქა-იქ მიმქრალი ნაკვერცხლების გამოჩენა და სხვ.“ (ნუცუბიძე, 1958: 245). ნუცუბიძეს მიაჩნია, რომ სულხან საბას ასეთი მიდგომით ღირსეულად შეასრულა თავისი მისია და ამითაა მოხაზული მისი ისტორიულ-ფილოსოფიური ადგილი ქართული აზროვნების ისტორიაში.

ნუცუბიძის აზრით, სულხან საბამ კარგად იცის ფილოსოფიური ძეგლები და მათ ჩამოთვლის არა შემთხვევითი აღწერი გზით, არამედ გარკვეული თანმიმდევ-რობით და წესრიგით. სულხან საბას სახით ჩვენ საქმე გვაქვს არა მხოლოდ ქართული ფილოსოფიის უბრალოდ მცოდნესთან, არამედ ფილოსოფიის ისეთ ისტორიკოსთან, რომელმაც ამავე დროს კარგად იცის ფილოსოფიის ძეგლები, მათი თანმიმდევრობა და ადგილი. ამასთან, ის ცდილობს ამ ძეგლების აღდგენას და გაცოცხლებას, დროის შესაბამისად ამას აკეთებს გასაგებად ტერმინებისა და ცნებების განმარტებით (ნუცუბიძე, 1958: 246).

ნუცუბიძის საბოლოო დასკვნის თანახმად, სულხან საბა ორბელიანის მთავარი ინტერესი ფილოსოფიურია, რაც ნათლად ჩანს მისი „ლექსიკონიდან“, სადაც ყველაზე ვრცლად ფილოსოფიური ცნებებია, ხოლო დასახელებულ და გამოყენებელი წყაროებიდან, საღმრთო წერილის, გამოკლებით, ყველა დანარჩენი ფილოსოფიურია.

ნუცუბიძე საკმაო ადგილს უთმობს სულხან საბას „სიბრძნე სიცრუისას“ ანალიზს და მიდის იმ დასკვნამდე, რომ წიგნს სათაურად გამოტანილი სიტყვათშეთანხმებები – „სიბრძნე-სიცრუისა“ და „სიბრძნე სიცრუისა“ გადის ლიტერატურულ-ფილოლოგიური ფარგლებიდან და ფილოსოფიურ სიბრძნეს ეუზიარება (ნუცუბიძე, 1958: 251).

ნუცუბიძის საბოლოო აზრით, სულხან საბას ფილოსოფიური საქმიანობა უნდა შეფასდეს ისტორიულად, რაც საშუალებას მოგვცემს განვსაზროთ მისი ადგილი ქართულ აზროვნებაში.

ნუცუბიძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მთარგმნელობით საქმიანობას, რაც, აგრეთვე, ლიტერატურული მოღვაწეობის ნაწილია. მან რუსულად თარგმნა: შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ჩახრუხადის „თამარიანი“ და შავთელის „აბდულმესია“.

ნუცუბიძის ფილოსოფიურ-ლიტერატურული საქმიანობის მთელი სღრმე-სიგანე გამომჟღავნდა რუსთველოგიაში.

რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ მხატვრული ნაწარმოების გარდა, ყურადღებას იმსახურებს, აგრეთვე, როგორც ფილოსოფიური პოემა. ამ მიმართებით კვლევას სათავე დაუდო ნუცუბიძემ.

რუსთაველის შემოქმედების კვლევისას ერთ-ერთი მთავარი საკითხია „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობრივი წყაროების გარკვევა. ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართებით მთავარი აქცენტი ნეოპლატონიზმზე, უფრო ზუსტად, მის ქრისტიანულ რედაქციაზე – არეოპაგიტულ მოძღვრებაზე კეთდება.

ნუცუბიძემ არაერთ ნაშრომში სპეციალურად გამოიკვლია არეოპაგიტის გავლენები ქართულ კულტურაზე და, კერძოდ, „ვეფხისტყაოსანზე“. მათგან უნდა გამოვყოთ ორი: „Руставели и восточный Ренессанс“ (Тб., 1947) და „Творчество Руставели“ (Тб., 1959), რომლებშიც სხვა საკითხებთან ერთად გამოკვლეულია ქართულ კულტურაზე არეოპაგიტის მრავალმხრივი გავლენა.

ნეოპლატონიზმში, არეოპაგიტულ მოძღვრებასა და XI-XII საუკუნეების ქართულ ფილოსოფიაში მთავარი საკითხი სიკეთისა და ბოროტების მიმართებაა. როგორც ერთ, ისე მეორე და მესამე შემთხვევაში ბოროტება უარსებოა, ის არასუბსტანციურია. ეს იდეა რუსთაველთან არეოპაგიტიკიდან გადმოდის და ამ საკითხში არეოპაგიტულ მოძღვრებასთან ქართული რენესანსის პოეზიის კავშირის თვალნათლივ მაგალითად ნუცუბიძეს მიაჩნია „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგი ცნობილი სტროფი:

*„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს:
დმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს,
ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს,
თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს“.*

ნუცუბიძის აღნიშვნით, „ამ ოთხ ტაეპში რუსთაველი გვადღევს ყველაფერს, რაც კი ქართულმა რენესანსმა აითვისა არეოპაგიტული იდეების შესახებ პეტრიწის ნაწერებიდან“ (ნუცუბიძე, 1976: 179).

ამასთან, ნუცუბიძე ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ პეტრიწთან არეოპაგიტიკის ავტორი მოხსენიებულია დიონისეს სახელით, ჩახრუხაძესთან – დიონოსოთი, ხოლო რუსთაველთან ამ სახელის ქართული ფორმით – დივნოსით. რაც მთავარია, ნუცუბიძის აზრით, არც პეტრიწი და არც ჩახრუხაძე ამ სახელს არ უკავშირებენ არეოპაგიტულ მოძღვრებას და ამ შეხედულებებს სხვა პიროვნებას მიაწერენ. რუსთაველი კი პირიქით – სწორედ იმ „დივნოსზე“ ლაპარაკობს, რომელმაც პროკლესთან დაკავშირებული იდეები გამოთქვა, რაც ავტორის შენიშვნით: „მთლიანად შეესაბამება პეტრიწს და მისი ფილოსოფიური საქმის პოეტური ფორმით ასახვას რუსთაველის მიერ“ (ნუცუბიძე, 1976: 179).

აქ ნუცუბიძეს იმის თქმა უნდა, რომ სიკეთისა და ბოროტების მიმართების თვალსაზრისი ნეოპლატონიზმიდან გადადის ქრისტიანულ ნეოპლატონიზმში, უფრო ზუსტად ნეოპლატონიზმის ქრისტიანულ რედაქციაში – არეოპაგიტიკაში, სადაც, მისივე სიტყვებით – ნეოპლატონიზმი „გადარგულია“ ქრისტიანულ ნიადაგზე და საუკუნეების შემდეგ ამ საკითხზე არეოპაგიტულ თვალსაზრისს პეტრიწისეული რედაქციით „პოეტური ფორმით“ გადმოსცემს რუსთაველი.

ნუცუბიძემ მონოგრაფიაში – „რუსთაველის შემოქმედება“ უფრო დააკონკრეტა არეოპაგიტული მოძღვრების გავლენა – რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“. ეს საკითხი ავტორს განხილული აქვს გამოკვლევის მე-3 თავში – „რუსთაველის შემოქმედების ფილოსოფიური ძირები“, სადაც უკვე კონკრეტულად არის მსჯელობა არეოპაგიტული იდეების ასახვაზე „ვეფხისტყაოსანში“.

უპირველესად, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ახალ გამოკვლევაში, რომელიც სპეციალურად რუსთაველის შემოქმედებას ეძღვნება, სხვა არსებით საკითხებთან ერთად ნუცუბიძემ გამოკვეთა რუსთაველის შემოქმედების სათავეები, ხალხური, ლიტერატურული და ფილოსოფიური ძირები. გამოკვლევის სწორედ ბოლო თავშია ჩვენთვის საინტერესო არეოპაგიტიკის გავლენებზე მსჯელობა.

ნუცუბიძე საკითხის განხილვას იწყებს იმით, რომ „ვეფხისტყაოსანს“ განიხილავს, როგორც ფილოსოფიურ პოემას და იქვე განმარტავს ამგვარი მხატვრული ნაწარმოების არსს: „მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში არის ეგრეთ წოდებული ფილოსოფიური პოემები. მათი განმასხვავებელი ნიშანი

ისაა, რომ ისინი აგებულია გარკვეულ მსოფლგაგებაზე, რომელიც გარკვეულ ეპოქაში შემუშავებულა, ფილოსოფიის სისტემაში გამოსახულა, ფილოსოფიის ცნობილ ძეგლებში აღბეჭდილა“ (ნუცუბიძე, 1980: 98).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ რუსთაველი არ არის ფილოსოფოსი, ხოლო მისი პოემა მხატვრული ნაწარმოებია და, ამდენად, რუსთაველთან ფილოსოფია სისტემის სახით მოცემული არ არის. ამიტომაც რუსთაველის შემოქმედების ძირები პოემაში ჩაწნულ ფილოსოფიურ ელემენტებში უნდა ვეძიოთ, აღნიშნავს ნუცუბიძე. ამასთან, „ვეფხის-

ტყაოსნის“ იდეური საფუძველია სიკეთისა და ბოროტების ბრძოლა, მიზანი კი იმის ჩვენება, თუ როგორ ამარცხებს სიკეთე ბოროტებას. მაგრამ ეს ბრძოლა შინაგანი სიმტკიცის, „ჭირთა თმენის“ საფუძველზე გვეძლევა, „უბედურება გზაა ბედნიერებისაკენ, ბოროტი კეთილის დადგინების საშუალებაა“ (ნუცუბიძე, 1980: 99).

აღნიშნული საკითხების გარკვევისას, ნუცუბიძე მაღალ შეფასებას აძლევს გამოჩენილი ენათმეცნიერის ნიკო მარის (1864-1934) მოღვაწეობას პეტრიწისა და რუსთაველის შემოქმედების შესწავლის საქმეში. მაგრამ, მისი აზრით, მარს მხედველობიდან გამორჩა არეოპაგიტული მოძღვრება და გვერდი აუარა თვით რუსთაველის მითითებას „ბრძენ დივნოსზე“, რომელიც სიკეთის აბსოლუტურობასა და ბოროტების არასუბსტანციურობის თვალსაზრისს იზიარებდა (ნუცუბიძე, 1980: 109). ეს ბუნებრივიც იყო, შენიშნავს ნუცუბიძე, რადგანაც XX ს-ის დასაწყისისთვის ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, თუ ვინ იმალეობდა არეოპაგიტული თხზულებების უცნობი ავტორის სახელის ქვეშ, რუსთაველის „ბრძენ დივნოსში“.

ნუცუბიძე ახალ გამოკვლევაში კვლავ უბრუნდება „ვეფხისტყაოსნის“ იმ ცნობილ სტროფს, რაზედაც მას ვრცელი მსჯელობა ჰქონდა ამ თემაზე მიძღვნილ პირველ მონოგრაფიულ გამოკვლევაში – „Руставели и восточный Ренессанс“, სადაც სიკეთის აბსოლუტურობასა და ბოროტების არასუბსტანციურობას ეხება. ავტორი ყურადღებას ამახვილებს პოემის იმ ადგილზე, სადაც რუსთაველი პირდაპირ მიუთითებს ამ უმნიშვნელოვანესი თვალსაზრისის ავტორზე – „ბრძენ დივნოსზე“ (ფსევდო-დიონისე არეოპაგელზე):

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს:

ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს...“.

ნუცუბიძე დაწვრილებით განიხილავს ამ საკითხს და ორ დებულებას გამოყოფს სტროფში, რომლებიც ღმერთის მიერ კეთილის მოვლინებასა და ბოროტების წარმოუშობლობას ეძღვნება (ნუცუბიძე, 1980: 121-123).

ნუცუბიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ამ საოცრად შინაარსიანი და ტევადი სტროფის დასაწყისში მოცემული „დაფარული საქმის“ („ამ საქმესა დაფარულსა“) სათავესაც არეოპაგიტულ მოძღვრებაში ხედავს. მას მიაჩნია, რომ რუსთაველმა თავისი ღრმა განსწავლულობის წყალობით ამოხსნა დივნოს-პეტრეს „დაფარული“ და ღმერთთან მიმართებაში გამოიყენა. კერძოდ, ეს კარგად ჩანს ავთანდილის ლოცვაში ტარიელთან მეორედ გამგზავრების წინ:

„ილოცავს, იტყვის: მაღალო ღმერთო ხმელთა და ცათაო, ...

უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო“ (ნუცუბიძე, 1980: 126).

აქ, რუსთაველის შემოქმედების სიახლოვე და კავშირი არეოპაგიტულ მოძღვრებასთან ეჭვგარეშეა, რაც კარგად აქვს შენიშნული ნუცუბიძეს.

ნუცუბიძე „ვეფხისტყაოსანში“ არეოპაგიტულ გავლენას ხედავს, აგრეთვე, ღმერთზე მოძღვრების საკითხში. ავტორი თავის მოსაზრებას არეოპაგიტული მოძღვრებიდან და „ვეფხისტყაოსნიდან“ შესატყვისი ადგილების დამოწმებით, შედარებითა და ანალიზით ასაბუთებს.

ნუცუბიძე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ არეოპაგიტიკის გავლენები არის დანტეს შემოქმედებაშიც, თუმცა არაპირდაპირ, კერძოდ: დანტე თავის იდეურ მასწავლებელს (ფსევდო-დიონისეს – მ.მ.) მხოლოდ ზიგიერ ბრაბანტელის შემოქმედებით იცნობდა და აქედან აითვისა მისთვის საჭირო თვალსაზრისი. სწორედ ამის გამო დანტემ „ღვთაებრივი კომედიის“ მოქმედება „იმქვეყნად“ გადაიტანა (ნუცუბიძე, 1980: 151). ამიტომაც არიან, – ნუცუბიძის აზრით, – დანტეს გმირები უსიცოცხლონი და მკრთალნი.

ამ მომენტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნუცუბიძე, რადგანაც იგი მიუთითებს „ვეფხისტყაოსნისა“ და „ღვთაებრივი კომედიის“ როგორც იდეურ ნათესაობაზე, ისე განსხვავებაზე. ამ ორ ქმნილებას შორის იდეური ნათესაობის მიზეზია არეოპაგიტული მსოფლმხედველობის გამოყენება, ხოლო განსხვავება გამოწვეულია იმით, რომ რუსთაველი

არეოპაგიტიკას უშუალოდ იცნობს, ხოლო დანტე ზიგიერ ბრაბანტელის მეშვეობით (**ნუცუბიძე**, 1980: 151).

ნუცუბიძის საბოლოო დასკვნით, არეოპაგიტიკასთან რუსთაველისა და დანტეს აქ აღნიშნულ დამოკიდებულებას შეუძლია პასუხი გასცეს იმათ, ვისაც არ სჯერათ არეოპაგიტულ მოძღვრებასთან წინარენესანსული და რენესანსული პოეზიის კავშირი. მისი აზრით, იმ ეპოქისთვის ეს კავშირი არათუ შესაძლებელი, არამედ აუცილებელიც იყო. „*რუსთაველმა პანთეისტური მატერიალიზმის იდეები გამოიყენა სრულიად რეალისტური პოემის შესაქმნელად, რომელშიც ისეთი სიძლიერითაა გამოსახული ადამიანები და მათი ვნებები, რომ ამით, როგორც ჰ. ჰუპერტი მიუთითებდა, რუსთაველმა დიდ შექსპირს დაასწრო*“ (**ნუცუბიძე**, 1980: 152).

ნუცუბიძე არეოპაგიტიკასთან რუსთაველის შემოქმედების მიმართებაზე მსჯელობისას ხშირად იყენებს „პანთეისტური მატერიალიზმის“ ცნებას, რომელიც, მისი აზრით, არეოპაგიტიკიდან მომდინარეობს. როგორც ახლა ვნახეთ, ნუცუბიძის მიხედვით, ეს ცნება მარჯვედ გამოიყენა რუსთაველმა „სრულიად რეალისტური პოემის შესაქმნელად“.

შეიძლება ითქვას, რომ ნუცუბიძე სხვა ბევრ მეცნიერულ სიახლესთან ერთად, ქართულ კულტურაზე არეოპაგიტიკის გავლენის საფუძვლიანი კვლევის დამწყებია მეცნიერებაში.

როგორც ვნახეთ ნუცუბიძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლიტერატურულ-ფილოსოფიურ და მთარგმნელობით საქმიანობას. ამ საქმიანობის ცენტრი კი რუსთაველის შემოქმედებაა დაწყებული „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნით და რუსთაველის შემოქმედებაში რენესანსის უტყუარი არსებობის დასაბუთებით დამთავრებული.

შალვა ხიდაშელი (1911-1994)

შალვა ხიდაშელის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მწერლების შემოქმედებისა და ხელოვნების ძეგლების ანალიზსა და შეფასებას. ამ მიმართებით თავისი მრავალმხრივობით ის ქართველ ფილოსოფოსთა შორის გამორჩეულია. შალვა ნუცუბიძის მსგავსად ხიდაშელთანაც უპირველესი განსჯის საგანია რუსთაველის შემოქმედება.

ხიდაშელმა გააგრძელა ნუცუბიძის დაწყებული საქმე და „ვეფხისტყაოსნის“ მრავალმხრივი ანალიზით აჩვენა პოემაში მოცემული ფილოსოფიური მსოფლმხედველობის არსი და მისი იდეური კავშირი არეოპაგიტიკასთან. ამ საკითხებს მან არაერთი ნაშრომი მიუძღვნა და საბოლოო სახე მისცა მონოგრაფიაში – „ქართული ფილოსოფიის ისტორია“ (1988).

ხიდაშელის აზრით, „ვეფხისტყაოსანზე“, როგორც ფილოსოფიურ პოემაზე მსჯელობისას, არსებობს ერთი მთავარი საშიშროება, რომ რუსთაველზე ვილაპარაკოთ, როგორც ფილოსოფოსზე. მაშინ როცა, რუსთაველისა და მისი შემოქმედების არსება და მთავარი ხიბლი მის მხატვრულ შემოქმედებაშია. ამიტომაც ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსთაველის მიზანს სულაც არ შეადგენს ფილოსოფიური თეორიის პოეტური განსახიერება და მის შემოქმედებაში ფილოსოფიური თეორია წინ არ უსწრებს მხატვრულ ასახვას. რუსთაველის „...მთავარ მიზანს სინამდვილის ასახვა, მხატვრული განზოგადება შეადგენს და თავის მსოფლმხედველობას გამოხატავს, პირველ ყოვლისა, მხატვრული აზროვნების საშუალებით. შემოქმედების ამ სფეროშია რუსთაველის ადგილი და მისი გენიალობისა და ორიგინალობის ფარგლებიც უმთავრესად მხატვრული აზროვნებით არის განსაზღვრული“ (**ხიდაშელი**, 1988: 247).

ხიდაშელის აღნიშვნით, „ვეფხისტყაოსანში“ ფილოსოფიური იდეებისა და მათი წარმომავლობის ძიება არ ნიშნავს პოემის ფილოსოფიური თეორიით „გაღუქვას“. კონკრეტულად იგი იხილავს „ვეფხისტყაოსნის“ სტროფებიდან ისეთ ადგილებს, რომელთა

კავშირი ნეოპლატონიზმის ქრისტიანულ რედაქციასთან – არეოპაგიტულ მოძღვრებასთან, ეჭვგარეშა.

„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა,
მით ვისწავლებდით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“.

„არ ცოცხალ ვიყო, რას მაქნევ, რა დავრჩე, ხელსა მხდი რასა?
დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევრთვივარ სულთა სირასა“.

ხიდაშელის აზრით, ამ სტრიქონებში კარგად ჩანს რუსთაველის შეხედულების – არსის, როგორც „მწყობრთა წყობის სირას“ ნეოპლატონურ-არეოპაგიტული წარმომავლობა.

„ვეფხისტყაოსანში“ ერთ-ერთი მთავარი საკითხია სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე – „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“, ამბობს რუსთაველი. ამ საკითხის განხილვისას ხიდაშელი საინტერესო და ორიგინალურ თვალსაზრისს გვთავაზობს და ერთ სიბრტყეში წარმოადგენს ნეოპლატონიზმს, არეოპაგიტულ მოძღვრებას, პეტრიწის ფილოსოფიას და რუსთაველის შემოქმედებას.

მთავარი აქ, ხიდაშელის აზრით, არის ის, რომ ნეოპლატონიზმში, არეოპაგიტიკასა და პეტრიწთან სიკეთე იგივე პირველსაწყისია – ღმერთია. „პირველმთხუზის მიმართება სამყაროსადმი პირველყოვლისა სიკეთის მიმართებაა, რომელიც პირველმთხუზის არსებიდან გამომდინარეობს და სამყაროზე სიკეთეს ავრცელებს“ (ხიდაშელი, 1988: 262). სწორედ იმის გამო, რომ სიკეთე ღმერთისგან მომდინარეობს, ის სუბსტანციურია და განაპირობებს ბოროტებაზე, როგორც შემთხვევითზე, არსის არმქონეზე გამარჯვებას. ეს აზრი, – აღნიშნავს ხიდაშელი, – გადმოსულია რუსთაველთან და იგი გამოიხატულია გამოთქმებით – სიკეთის „არსება გრძელია“ და „ვცან სიმოკლე ბოროტისა“.

ხიდაშელის შეხედულებებში ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც რუსთაველის „მზიანი ღამისა“ და „უჟამო ჟამის“ ცნების მისეული ანალიზია. ხიდაშელის აზრით, რუსთაველი იმდენად ღრმადაა გაცნობიერებული მოძღვრებაში, საიდანაც „მზიანი ღამე“ მომდინარეობს, რომ ამოდის ამ თვალნათლივი სახის მოაზრების ყველაზე რთული და ამავე დროს თავისებური შეხედულებიდან ნათელისა და ბნელის, „მზიანისა“ და „ღამის“ გაერთიანების შესახებ.

ხიდაშელის აზრით, „რუსთაველის ‘მზიანი ღამე’ არაა არც ცალკე აღებული ნათელი (მზე) და მისი წარმოდგენა, არც ცალკე აღებული ბნელი (ღამე) და მისი წარმოდგენა. ესაა ერთი მთლიანი წარმოდგენა, რომელშიც ნათელი და ბნელი ერთმანეთს ემთხვევა, ისევე როგორც ღმერთში ერთმანეთს ემთხვევა არსებობა და არარსებობა, ცოდნა დამყარებული მის არსებობაზე ყოველივეში, ცოდნას დამყარებულს არ-არსებობაზე არსად“ (ხიდაშელი, 1988: 288).

რუსთაველის ეს თვალსაზრისი, ხიდაშელის შენიშვნით, პირდაპირ კავშირშია არეოპაგიტულ მოძღვრებასთან, რომ ამ მოძღვრებაში მოცემული ღმერთის დადებითი (კატაფატიკური) და უარყოფითი (აპოფატიკური) დახასიათება სწორედ ასეთად წარმოადგენს ღმერთს. დადებითი დახასიათების მიხედვით, ღმერთი ნათელია, ხოლო აპოფატიკური მეთოდით დახასიათებული ღმერთი არის გაურკვეველი და ბნელი. ხიდაშელი აქ არ ჩერდება და მრავალმხრივ საყურადღებო დასკვნას აკეთებს: „მაგრამ ამით არ ამოიწურება საბოლოო ჰასუხი კითხვაზე. ცალ-ცალკე აღებული ‘ნათელ’ და ‘ბნელი’ დაპირისპირებულ მიმართებათა გამოხატულებაა. ‘მზიანი ღამე’ კი ერთი ცნებაა და პრობლემა დაპირისპირებული წარმოდგენების გაერთიანებაში და მისი ონტოლოგიური საფუძვლების დასაბუთებაში. ეს ნიშნავს ამავე დროს იმის დასაბუთებას, რომ ‘მზიანი ღამე’ არის *coincidentia oppositorum* და არა *contradictio in adjecto*“ (ხიდაშელი, 1988: 289).

ხიდაშელის აზრით, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული „მზიანი ღამე“ გამოხატავს ღმერთს, რომელიც, როგორც უმაღლესი არსება, თავის თავში მოიცავს დაპირისპირებულ მხარეებს და საკუთრივ მაღლა დგას ყოველგვარ დაპირისპირებაზე. მსგავსი ვითარებაა არეოპაგიტიკაში, სადაც ღმერთი მაღლა დგას ყოველგვარი დადებითი

და უარყოფითი დახასიათებით მიღებულ ცოდნაზე (პეტრე იბერიელი, 1961: 224). ამ საკითხში რუსთაველი ამოდის არეოპაგიტიკიდან და პოემის ცნობილ სტროფში იტყვის:

*„ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა და მისად,
ერთ-არსებისა, ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად,
ვის გმორჩილებენ ციერნი, ერთის იოტის წამისად,
ბედსა ნუ მიცვლი, მიაჯე შეყრამდის ჩემად და მისად!
ვის სხატად ღმრთისად გიტყვიან
ფილოსოფოსნი წინანი“.*

რუსთაველი თვითონ მიუთითებს მისი ამ პოეტური მეტაფორები წყაროზე, „ფილოსოფოსნი წინანიზე“. საკმარისია, გავიხსენოთ, თუ ვინ იყვნენ ეს ფილოსოფოსები, რომლებიც მზეს ღმერთის ხატად თვლიდნენ, და ძნელი არ იქნება იმის გარკვევა, თუ ვინ იგულისხმებიან „ფილოსოფოსნი წინანიში“.

მზეს ღმერთის ხატად მიიჩნევდნენ ნეოპლატონიკოსები და მათ შორის, ქრისტიანული ნეოპლატონიზმის წარმომადგენელი ფსევდო-დიონისე არეოპაგელი. ამასთან, ღმერთისა და მზის ანალოგიის ცნობილი თვალსაზრისი ფსევდო-დიონისემ განსაკუთრებულ სიმაღლეზე აიყვანა. იმის გათვალისწინებით, რომ „ვეფხისტყაოსანში“ კარდინალურ საკითხზე დამოწმებულია „ბრძენი დივნოსი“ – ფსევდო-დიონისე არეოპაგელი – და არა სხვა ვინმე, საფუძველს გვაძლევს „ფილოსოფოსნი წინანიში“ ვიგულისხმობთ ნეოპლატონიკოსები, ზოგადად და ფსევდო-დიონისე, კერძოდ.

მსგავსი ვითარებაა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ „უჟამო ჟამის“ ცნებასთან მიმართებითაც. საერთო თვალსაზრისით, „ვეფხისტყაოსნის“ „უჟამო ჟამი“ არის ღმერთი და ამგვარად გაგებულ „უჟამო ჟამს“ პირდაპირი კავშირი აქვს არეოპაგიტიკასთან.

არეოპაგიტიკაში დაპირისპირებული პრედიკატები, ხიდაშელის მართებული აღნიშვნით, ღმერთის მისტიკური წვდომის საფეხურზე „მოიხსნება“, როცა ღმერთი ხასიათდება „არცა საუკუნე, არცა ჟამი“, „არცა სიდედე, არცა სიმცირე“, იგი „არცა დგას, არცა იძვრის“ და ა. შ. აქედან ხიდაშელი ასეთ შემაჯამებელ დასკვნას აკეთებს: „მაგრამ ამას რუსთაველის 'უჟამო ჟამის' გარკვევისათვის ის მნიშვნელობა ენიჭება, რომ რუსთაველის დამოკიდებულებას არეოპაგიტიკისგან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვალსაზრისით ადასტურებს. აქ კი საკმარისია იმის დადგენა, რომ 'არეოპაგიტიკაში' 'უჟამო' და 'ჟამი' გარკვეულია, როგორც ერთი მეორის საპირისპირო ცნებები და ორივე მათგანი მიეწერება პირველმიზეზს; გამართლებულია და დასაბუთებული ღმერთის წარმოდგენა, როგორც 'უჟამოსი' და როგორც 'ჟამისა'“ (ხიდაშელი, 1988: 97).

ხიდაშელის ბოლო ორ წიგნში – „ფიქრები საქართველოზე“ (1993) და „უსათაურო მოგონებანი“ (1994) სხვადასხვა რაკურსით არიან წარმოდგენილი მწერლები – დავით კლდიაშვილი, ტერენტი გრანელი, გერონტი ქიქოძე, ვლადიმერ მაიაკოვსკი, გიორგი შატბერაშვილი და ანა კალანდაძე. თოთოეულ მათგანზე ავტორს მონახული აქვს მისთვის ინდივიდუალურად დამახასიათებელი შტრიხი.

ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს დავით კლდიაშვილისა და ტერენტი გრანელის პიროვნული განსაკუთრებულობის ავტორისეული ხედვა. აი მისი ცოცხალი შთაბეჭდილება დავით კლდიაშვილის საიუბილეო სხდომიდან: „არავითარი პოზა, არც ფარული და არც გამოვლენილი; არავითარი ხაზგასმა მისი საზოგადოებრივი და სამწერლო დამსახურებისა. პირიქით, ქართული პროზის ეს შესანიშნავი ოსტატი თითქოს გაკვირვებული იყო იმით, რაც საიუბილეო სხდომაზე მოისმინა.“ დიდი მწერლის ასეთ პოზიციას ხიდაშელი ასე აფასებს: „ეს სიტყვები იყო ხმა მეცხრამეტე საუკუნიდან, ხმა ილიას ეპოქიდან, რომელიც უკვე მაშინ ჟღერდა სრულიად უცხოდ (და მით უმეტეს, უცხოდ ჟღერს დღეს, როცა ეს სტრიქონები იწერება)“ (ხიდაშელი, 1994:101).

ტერენტი გრანელის შესახებ კი ხიდაშელი აღნიშნავს: მისი „პირადი ტრაგედიის მიზეზი მისი ფსიქიკის თავისებურებიდან არ გამომდინარეობს. მისი 'მე'-ობიდან მისი დიდი ტალანტი გამომდინარეობს, რომელიც მას დიდ პოეტად აქცევს“. ტერენტი გრანელს,

– წერს ხიდაშელი, – ერთი ლექსი რომ მიეძღვნა ამ ქვეყნის ძლიერთათვის ან ინდუსტრიაზე და „ზაჰესზე“, მას არც პატივი მოაკლდებოდა და არც ყურადღება, „მაგრამ არ დაწერა, ვერ დაწერა და ალბათ არც უფიქრია დაწერა“ (ხიდაშელი, 1994: 105).

აი როგორ ახასიათებს ხიდაშელი გერონტი ქიქოძეს. ის არც მეცნიერი იყო, არც მწერალი, არც მორალისტი და არც ხელოვანი. სამაგიეროდ, „გერონტი ქიქოძემ შექმნა ერთი მთლიანი და განუყოფელი, ამავე დროს, ინდივიდუალური გერონტი ქიქოძისეული სინამდვილე, სინამდვილე აზრებისა და შთაბეჭდილებებისა, განცდებისა და სახეებისა, რომლებიც მის მრავალრიცხოვან ნაწერებში ამოიკითხება“. ამის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ გერონტი ქიქოძე ერთსა და იმავე დროს იყო მეცნიერიც, მწერალიც და ეთიკოსიც (ხიდაშელი, 1993: 30).

მაიაკოვსკიზე წერილში ხიდაშელი განიხილავს მის ლექსებს, უფრო სწორად, ცალკეულ სტროფებს მისი ლექსებიდან. ამ განხილვებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ ღრმად იყო ჩახედული პოეზიაში ხიდაშელი. წერილში ხაზგასმულია მაიაკოვსკის პიროვნების არაორდინალურობასა და მისი პოეზიის სიღრმეზე.

გიორგი შატბერაშვილზე წერილში ხიდაშელი იზიარებს პროფესორ მერი ჭელიძის აზრს იმის თაობაზე, რომ „მკვდრის მზეში“ მწერალი დასავლეთის თანამედროვე ფილოსოფიური აზროვნების დონეზე მალღდება და ექსისტენციალიზმის მთავარი საკითხის – ადამიანის საზრისის გარკვევას უახლოვდება (ხიდაშელი, 1993: 55).

ახალგაზრდა ანა კალანდაძის ერთ შესანიშნავ ლექსს ხიდაშელი ასოციაციით მიჰყავს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებასთან, ტერენტი გრანელთან და გიორგი შატბერაშვილის მოთხრობასთან – „მკვდრის მზე“. ხიდაშელი იმედოვნებდა, რომ ქართული ლიტერატურული კრიტიკა შესაბამისად შეაფასებდა ამ ბრწყინვალე ლექსს. მაგრამ მოხდა პირიქით. ლექსს მაშინ ასეთი გამოხმაურება ჰქონდა: „ფორმალიზმი, უიდეობა და აპოლიტიკურობა ამაზე შორს ვერ წავა“. იმავე ავტორის მიერ ანა კალანდაძის პოეზია შეფასებულია, როგორც „სიმთვრალისა და ლოთობის აპოლოგია“, „ასეთია ამ ქალის (! შ. ხ.) პოეტური ლექსიკა“ (ხიდაშელი, 1993: 252).

რუსეთში მსგავს ვითარებაში ყოფილა ანა ანმატოვა. უპირველესი საბჭოთა იდეოლოგიის ანდრეი ჟდანოვის აღნიშვნით, ანა ანმატოვა დაავადებული იყო – პირად, ვიწრო სამყაროში ჩაკეტილი „სენით“. აქვე ხიდაშელის მახვილი რეპლიკა: „ან. ჟდანოვის სიტყვები უხება 'იმ ქალბატონს' (ანა ანმატოვას), ხოლო ჩვენი კრიტიკოსის სიტყვები 'ამ ქალბატონს' (ანა კალანდაძეს)“ (ხიდაშელი, 1993: 254).

ასევე დასამახსოვრებელია ხიდაშელის წერილის ფინალი: ანა კალანდაძის ლექსები სწრაფად ვრცელდებოდა, მათ დაბეჭდვამდე ადგილობრივმა ოფიციალებმა მას ისეთი ზიანი ვერ მიაყენეს, როგორც ჩრდილოეთიდან წამოსულ სუსხს შეეფერებოდა. ასე რომ, „პოეზიის ქვეყანა“, – ხიდაშელის აღნიშვნით, „– ღმობიერი აღმოჩნდა თავისი შესანიშნავი და განუმეორებელი პოეტი ქალის მიმართ“ (ხიდაშელი, 1993: 256).

ხიდაშელი საინტერესო პარალელს ავლებს იმხანისა და მარტვილის ჯვარცმას შორის, აანალიზებს გიორგი მერჩულეს შემოქმედებას.

„იმხანის ჯვარცმაში“ ხიდაშელს აინტერესებს ძეგლის იდეური შინაარსი, ჯვარცმული ქრისტეს განცდები, თუ როგორ არის გადმოცემული ეს განცდები ძეგლში. „ქრისტე აქ გამოსახულია 'დახუჭული, ჩაცვივნილი თვალებით მახვილ სახეზე, რომელიც სავსეა სევდით, ატანილი წამებით, დაქანცულო-ბით'. თავი მას მსუბუქად აქვს დახრილი, რაც კიდევ უფრო აძლიერებს გადატანილი სევდისა და ტანჯვის შთაბეჭდილებას“ (ხიდაშელი, 1988: 95).

იმხანის ჯვარცმისგან სრულიად განსხვავდება მარტვილის ჯვარცმა, სადაც არავითარი ტანჯვა, წამება, ემოციური გამოხატულება და ხიდაშელი აკეთებს საყურადღებო დასკვნას: აქ საქმე გვაქვს ჯვარცმის აქტის ორ განსხვავებულ ინტერპრეტაციასთან, „იმხანის ჯვარცმის მქანდაკეებელი ჯვარცმაში ბუნებრივ, ადამიანურ აქტს ხედავს – ქრისტეს სიკვდილს, გადატანილ ფიზიკურ ტკივილებს და სულიერ წამებას (ჩამოვარდნილი ფი-

გურა, დახუჭული თვალები); მარტვილის ჯვარცმის ოსტატისთვის, ჰირიქით, ქრისტეს ჯვარცმა გამოხატავს სიკვდილზე გამარჯვების საზეიმო აქტს (მოზეიმე, თავაწეული, თვალგახე-ლილი ფიგურა)“ (ხიდაშელი, 1988: 95).

საზგასამელია ის გარემოება, რომ იშხანის ჯვარცმა შესრულებულია 973 წელს, ხოლო მარტვილისა – 1050 წელს. რენესანსული თვალსაზრისით და ჰუმანიზმის პოზიციიდან სწორედ იშხანის ჯვარცმა იმსახურებს ყურადღებას, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ის უფრო ადრეა შექმნილი, ვიდრე მარტვილის ჯვარცმა.

ხიდაშელი მიიჩნევს, რომ იშხანის ჯვარცმის იდეური შინაარსი დროის მოთხოვნილებას შეესაბამება და ადასტურებს მისი შემქმნელის მხრიდან ღოგმატური ინტერპრეტაციისგან გადახვევის შესაძლებლობას. აქვე ავტორის მრავლისმეტყველი დასკვნა: „ხელოვნების ამ ძეგლის შემოქმედისთვის ქრისტე წარ-მოადგენს არა იმდენად ტრიუმფატორს, რომელმაც სიკვდილით სიკვდილი დათრგუნა და გამარჯვებულია, რამდენადაც ადამიანს, რომელმაც დიდი ადამიანური – ფიზიკური და სულიერი წამება გადაიტანა და მისი წამება დასრულდა ისე, როგორც ადამიანისთვის უნდა დამთავრებულიყო“ (ხიდაშელი, 1988: 97).

რაც შეეხება გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“, აქ ხიდაშელი აღნიშნავს, რომ ნაწარმოების ავტორს, როგორც ამას ივანე ჯავახიშვილი წერდა – „[...] გულში უღვიოდა ბუნების მშვენიერების ტრფიალება, იგი აღტაცებით შეჰხაროდა ბუნების ლამაზსა და მომხიბლავ სურათებს“ და ეს თხზულება შეიძლება მცირე ჟანრის „საერო“ ნაწარმოებად ჩაითვალოს (ხიდაშელი, 1988: 79-80).

მეორე მხრივ კი „გიორგი მერჩულეს თხზულების ერთ-ერთი ძირითადი მსოფლმხედველობრივი იდეა ზეცისა და მიწის დუალიზმი და მათი დაპირისპირებაა“. ამ ორი სამყაროს, ორი სამეფოს საფუძველს ხიდაშელი პლატონის ფილოსოფიაში ხედავს: „ცნობილია, რომ ამგვარი შეხედულებების ანტიკურ წყაროს პლატონის მოძღვრება შეადგენს და გიორგი მერჩულეს, როგორც შუა საუკუნეების მოაზროვნის დამოკიდებულება ან-ტიკური მემკვიდრეობისადმი, მონოთეისტური და კრეაციონისტული პოზიციითაა განსაზღვრული“ (ხიდაშელი, 1988: 81).

აი ასეთია ქართულ ფილოსოფოსთა ერთი ნაწილის შეხედულებები ლიტერატურულ ნაწარმოებებსა და ხელოვნების ძეგლებზე.

ლიტერატურა:

ბაგრატიონი, 1980. ბაგრატიონი ანტონ: – წყობილსიტყვაობა. თბილისი.

დოდაშვილი, 2001. დოდაშვილი სოლომონ: – თხზულებანი. თბილისი.

ნუცუბიძე, 1976. ნუცუბიძე შალვა: – რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი. შრომები. ტ. IV. თბილისი.

ნუცუბიძე, 1956. ნუცუბიძე შალვა: – ქართული ფილოსოფიის ისტორია. ტ. I, თბილისი.

ნუცუბიძე, 1958. ნუცუბიძე შალვა: – ქართული ფილოსოფიის ისტორია. ტ. II, თბილისი.

ნუცუბიძე, 1980. ნუცუბიძე შალვა: – შოთა რუსთაველის შემოქმედება. შრომები. ტ. VII, თბილისი.

პეტრე იბერიელი, 1961. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი): – შრომები. თბილისი.

უზნაძე, 1984. უზნაძე დიმიტრი: – ფილოსოფიური შრომები. თბილისი.

ხიდაშელი, 1994. ხიდაშელი შალვა: – უსათაურო მოგონებანი. თბილისი.

ხიდაშელი, 1993. ხიდაშელი შალვა: – ფიქრები საქართველოზე. თბილისი.

ხიდაშელი, 1988. ხიდაშელი შალვა: – ქართული ფილოსოფიის ისტორია. თბილისი.

Mikheil Makharadze

Professor at Batumi Shota Rustaveli State University

ISSUES OF LITERATURE AND ART IN WORKS OF GEORGIAN PHILOSOPHERS

Abstract

Issues of literature and art have always been an object of analysis of Georgian philosophers. This tradition was founded by **Solomon Dodashvili**.

At the beginning of the 20th century analysis of the legacy of Georgian literature occupied a serious place in **Shalva Nutsubidze's**, **Dimitri Uznadze's** and Constantine Capaneli's works. Later this tradition was continued by **Mose Gogiberidze** and **Shalva Khidasheli**.

In the second half of the 20th century **Zurab Kakabadze**, **Tamaz Buachidze**, **Avtandil Popiashvili** and **Mikheil Makharadze** offered prominent studies in this direction.

Keywords: Georgian philosophers, Solomon Dodashvili, Dimitri Uznadze, Shalva Khidasheli.

Мерзляков Михаил П.

Раздорский этнографический музей-заповедник

Директор

Ростов, Россия

ОПЫТ РЕКОНСТРУКЦИИ ВОИНСКОГО ДОСПЕХА АЛАНСКОГО ВОИНА И ПРОБЛЕМА ИНТЕРПРЕТАЦИИ

В современных реалиях исторической науке приходится под страиваться под тот или иной политический режим. Зачастую причины, процессы появления и существования народов переделываются, идентичность определяется согласно политического заказа. В данный момент возросла роль вне научных исторических представлений, которые формируют общественные и политические практики, новые знания которые взаимодействуя влияют на современного человека, его взгляды и жизнь. Проблема моего исследования постоянно находятся в сфере внимания историков, археологов, этнографов. Средневековая культура Юго-Востока Европы не мыслима без Аланского народа. Учеными еще царской России был поставлен вопрос о «исконных обитателях Дона и Донца» Разбираясь с временем возникновения ученые исследовали близкие к Хазарским(Салтовским) материалы из катакомб Северного Кавказа. Очевидная близость Салтовских (Хазарских) могильников к аланским могильникам привела ученых Спицына А.А. и Готье Ю.В.) к выводу об этнической близости этих народов. Новый этап в исследовании Средневековья 8-9 в связан с именем Артамонова М.И. Вывод к которому он пришел был в том, что он считал В Подонье и Приазовье масса племенных групп состояло в основном из ираноязычных алан и тюркоязычных болгар. Причем тюрский язык в те столетия был распространен и на алан. Развитие раннесредневековых этнокультурных общностей Восточной Европы невозможно изучить в полной мере, без Аланского периода на Донской земле. В середине VIII в. в лесостепной зоне бассейна Среднего Дона, появился значительный массив алано-асского населения, переселившийся из предгорий Северного Кавказа и принесший с собой салтово-маяцкую культуру (хазарскую) а точнее аланскую культуру на ее салтово-маяцком хронологическом этапе. Первые подтверждения пребывания алан мы находим во втором веке нашей эры. Наиболее яркими были два столетия. С 7-9 в н.э. жизнь бурлила на поселениях Хазарской земли. На территории Нижнего Дона выявлен ряд памятников Хазарского периода, связанных с Аланами. Уникальным является захоронение на

Матюхином бугре на острове Поречный в станице Раздорской. Воинское захоронение с копьем, мечом в ножнах, орнаментированными золотыми солярными знаками, тяжелым панцирем, кольчужное оголовье коня. Также там была найдена шкура коня, остатки жертвенной пищи, геральдический пояс. Моя попытка реконструкции воинского доспеха открывают новый вид воина живущего на Донской земле. Аланские воины на Нижнем Дону в своей массе были тяжеловооруженные всадники, защищённые тяжелым панцирем. В доспехе использовалось несколько видов пластин. Панцирь был собран из одного вида пластин, а подол и оплечья из другого. Ламеллярные полосы собирались таким образом, что пластины расходились в разные стороны от панциря и набраны в одну сторону. Это довольно технологичное решение. Так как всадник зачастую получал удар в грудь и казалось бы, логичней было бы сделать монолитным, а застежки сбоку. Но решение древних мастеров было иное, застежка была спереди, а запах был на две пластины. Это увеличивало бы шансы воина при встрече со стрелой, или копьем. Прямоугольные пластины были изготовлены из стали 1мм. Каждую заготовку шлифуют, чтобы убрать заусеницы. Отдельно сверлилось 13 отверстий диаметром 2 мм, отверстие шлифовалось обязательно, чтобы не перетерлись шнурки. Финальная часть изготовления доспеха чистка пластин, шлифовка, и покрытие антикоррозийной обработкой. Один из сложных этапов является этап связывания пластин 2 мм шнурком в полосы. Всего в панцире оказалось 6 рядов по 55 шт. Подол 6 рядов разделенных на 3 части. Панцирь имеет вид халата с Т образными застежками. 7 месяцев длилась работа по изготовлению доспеха. Было изготовлено 856 пластин разных форм и размеров, 300 метров шнура.

Итогом реконструкции стало решение вопроса оплечьев к корпусу. Также был изготовлен 3-х частный подол, который защищал ноги всадника и круп коня. Панцирь был воссоздан опираясь на фонды Раздорского этнографического музея-заповедника в котором хранятся археологические находки из захоронения аланского воина и статьи Ишаева и А.Р Смоляка.

Шлем состоит из нескольких деталей: купола набранного из узких пластин, налобной пластины с наносником и цельнометаллическим навершием, пластинчатых ламинарных наушей, кольчужной бармицы.

Высота купола вместе с навершием 23 см, диаметр около 20 см. Купол состоит из вертикальных узких пластин (13 коротких длина каждой из них 14 см, ширина в нижней части 1,9 см, в верхней 0,6 см, 41 длинных длина 18,5 см ширина в нижней части 1,8 см в верхней 0,6 см. Толщина пластин около 1,5 мм. Изогнутая налобная пластина по форме близка к трапеции, верхняя сторона имеет длину 15 см, нижняя 16,2 см, высота 5 см по краям и 4,5 в центральной части, толщина пластины 1,5-2 мм. По нижней сделаны фигурные вырезы для крепления при помощи трех заклепок надбровной пластины с наносником, которая имела ширину 0,8 см, высота фигурного выступа наносника около 2,5 см. Навершие цельнометаллическое полусферической формы диаметром около 9,3 см, высотой 8,5 см, с приклёпанным изнутри массивным шпилем. Шпиль квадратного сечения 0,9x0,9 см, высотой 2,8 см

Конструкция находки — ламеллярная, набранная из железных пластин, скреплённых ремешками из органических материалов (вероятнее всего кожи). Купол собирался по четырем рядам отверстий, верхний соединял пластинчатый купол с навершием с помощью 51 отверстия в нем, второй ряд сверху скреплял каждую пластину примерно в 6 см ниже через четыре парных отверстия. Третий ряд, расположенный ниже на 6,5 см, соединял длинные пластины также четырьмя парными отверстиями, а короткие через три отверстия, расположенных в ряд по нижней части пластины. Нижний ряд крепил длинные пластины купола в нижней их части с помощью трех отверстий в каждом. Налобная пластина крепится

по верхнему и боковым краям 27 и 6 отверстиями соответственно. Диаметр всех отверстий около 2 мм.

Процесс изготовления.

Изначально по археологическим данным были сделаны выкройки пластин, из которых собирается купол. После данные выкройки переносятся на металл и вырезаются. После чего готовые полосы шлифуются и подгоняются по форме. Следующий этап – это разметка и сверловка отверстий в соответствии с археологическим описанием, а после сверловки отверстия зинкуются, для того чтобы не повреждался шнурок.

После изготовления основных пластин, происходит сборка купола, посредством связывания пластин между собой шнурком в 4-х точках.

Следующим этапом изготавливается надобная пластина вместе с наносником, который крепится на три заклёпки к надобной пластине, а та в свою очередь привязывается к куполу шлема.

Последним этапом в сборке купола является изготовление и выколотка верхней крышке шлема, которая фиксирует пластины купола в верхней точке шнурком, а так же в эту крышку уставляется шпиль для плюмажа.

После того как купол шлема полностью готов, к его основанию пришивается кожаная полоса на которой крепиться кольчужная бармица сзади для защиты шеи воина, и пластинчатые наушы спереди по бокам, для защиты лица воина.

Науши изготавливаются из набранных пластин в виде трапеции. Пластины соединяются подвижным креплением (шнурком продутый через центральные отверстия пластин) и кожаным кантом по бокам для жесткого крепления.

В заключение следует указать, что проблема пребывания алан на Донской земле требует еще изучения. В археологической науке остались не заполненные лакуны по изучению материальной культуры Аланского народа.

Merzlyakov Mikhail P.
Razdorsk State Museum
Rostov, Russia

THE EXPERIENCE OF RECONSTRUCTION OF THE MILITARY ARMOR OF THE ALAN WARRIOR AND THE PROBLEM OF INTERPRETATION

Abstract

In modern realities, historical science has to adapt to one or another political regime. Often, the causes, processes of the emergence and existence of peoples are remade, identity is determined according to the political order. At the moment, the role of non-scientific historical concepts that form social and political practices, new knowledge that interact with affect modern man, his views and life, has increased. The problem of my research is constantly in the field of attention of historians, archaeologists, ethnographers. The medieval culture of the South-East of Europe is inconceivable without the Alan people. Scientists of tsarist Russia raised the question of the "primordial inhabitants of the Don and Donets", Dealing with the time of occurrence, scientists studied materials close to the Khazar (Saltovsky) materials from the catacombs of the North Caucasus. The obvious proximity of the Saltov (Khazar) burial grounds to the Alan

the burial grounds led scientists A.A. Spitsyna and Yu.V. Gauthier) to the conclusion about the ethnic proximity of these peoples. A new stage in the study of the Middle Ages 8-9 is associated with the name of Artamonov M.I. The conclusion to which he came was that he believed In the Podonye and the Azov Sea the mass of tribal groups consisted mainly of Iranian-speaking Alans and Turkic-speaking Bulgarians. Moreover, the Turkic language in those centuries

was also spread to the Alans. The development of early medieval ethno-cultural communities of Eastern Europe cannot be studied in full, without the Alan period on the Don land. In the middle of the VIII century. in the forest-steppe zone of the Middle Don basin, a significant array of the Alan-Ass population appeared, who migrated from the foothills of the North Caucasus and brought with them the Saltovo-Mayak culture (Khazar), or rather the Alan culture at its Saltovo-Mayak chronological stage. The first evidence of the stay of the Alans we find in the second century AD. The most striking were two centuries. From 7-9 A.D., life raged on the settlements of the Khazarii. A number of monuments of the Khazar period associated with the Alans have been identified on the territory of the Lower Don. The burial on Matyukhin Hill on Porechny Island in the village of Razdorskaya is unique. A military burial with a spear, a sword in a scabbard, ornamented with golden solar signs, a heavy shell, a chain mail headband of a horse. A horse skin, the remains of sacrificial food, and a heraldic belt were also found there. My attempt to reconstruct the military armor reveals a new kind of warrior living on the Don land. The Alan warriors on the Lower Don were heavily armed horsemen, protected by a heavy shell. Several types of plates were used in the armor. The carapace was assembled from one type of plates, and the hem and shoulder straps from another. Lamellar bands were assembled in such a way that the plates diverged in different directions from the shell and dialed in one direction. . This is quite a technological solution. Since the rider often received a blow to the chest and it would seem more logical to make it monolithic, and the fasteners on the side. But the decision of the ancient masters was different, the clasp was in front, and the shell was on two plates. This would increase the chances of a warrior meeting with an arrow, or a spear. Rectangular plates were made of 1 mm steel. Each workpiece is ground to remove burrs. 13 holes with a diameter of 2 mm were drilled separately, the hole was necessarily ground so that the laces would not be worn. The final part of armor manufacturing is plate cleaning, grinding, and coating with anti-corrosion treatment. One of the difficult stages is the stage of binding the plates with a 2 mm cord into strips. In total , there were 6 rows of 55 pieces in the shell . The hem is 6 rows divided into 3 parts. The shell has the appearance of a robe with T-shaped clasps. The work on making the armor lasted 7 months. 856 plates of various shapes and sizes, 300 meters of cord were made

.The result of the reconstruction was the solution of the issue of shoulder straps to the body. Also, a 3-piece hem was made, which protected the rider's legs and the horse's croup. The shell was recreated based on the funds of the Razdorsky Ethnographic Museum-Reserve, which stores archaeological finds from the burial of the Alan warrior and articles by Ishaev and A.R. Smolyak. The helmet consists of several parts: a dome made up of narrow plates, a frontal plate with a nanosheet and an all-metal pommel, laminar laminar earpieces, a chainmail barmice. The height of the dome together with the top is 23 cm, the diameter is about 20 cm. The dome consists of vertical narrow plates (13 short length of each of the bottom 14 cm, width at the bottom 1.9 cm, at the top 0.6 cm, 41 long length 18.5 cm width at the bottom 1.8 cm at the top 0.6 cm The thickness of the plates is about 1.5 mm. The curved frontal plate is close to a trapezoid in shape, the upper side is 15 cm long, the lower side is 16.2 cm, the height is 5 cm at the edges and 4.5 in the central part, the plate thickness is 1.5-2 mm. On the bottom, curly cutouts were made for fastening with the help of three rivets of the brow plate with a nanosheet, which had a width of 0.8 cm, the height of the figured protrusion of the nanosheet is about 2.5 cm. The pommel is an all-metal hemispherical shape with a diameter of about 9.3 cm, a height of 8.5 cm, with a massive spire riveted from the inside. The spire has a square cross-section of 0.9x0.9 cm, 2.8 cm high

The construction of the find is lamellar, made of iron plates fastened with straps made of organic materials (most likely leather). The dome was assembled in four rows of holes, the upper one connected the plate dome to the top with 51 holes in it, the second row from above fastened each plate about 6 cm below through four paired holes. The third row, located 6.5 cm lower, connected the long plates also with four paired holes, and the short ones through three holes

arranged in a row along the bottom of the plate. The lower row fastened the long dome plates in their lower part with three holes in each. The forehead plate is attached to the upper and side edges with 27 and 6 holes, respectively. The diameter of all holes is about 2 mm. The manufacturing process. Initially, according to archaeological data, patterns of plates were made from which the dome is assembled. After these patterns are transferred to the metal and cut out. After that, the finished strips are ground and adjusted to the shape. The next stage is marking and drilling holes in accordance with the archaeological description, and after drilling the holes are zinc, so that the cord is not damaged. After the manufacture of the main plates, the dome is assembled by binding the plates together with a cord at 4 points. The next step is to make the necessary plate together with the nanosheet, which is attached by three rivets to the necessary plate, and that in turn is attached to the dome of the helmet. The last step in the dome assembly is the manufacture and knocking out of the top cover of the helmet, which fixes the dome plates at the top point with a lace, as well as a spire for the plume is fixed into this cover. After the dome of the helmet is ready at midnight, a leather strip is sewn to its base, on which a chainmail barmice is attached from behind to protect the warrior's neck, and plate earpieces from the front on the sides to protect the warrior's face. The earpieces are made of typed plates in the form of a trapezoid. The plates are connected by a movable fastening (a cord blown through the central holes of the plates) and a leather edging on the sides for rigid fastening. In conclusion, it should be pointed out that the problem of the Alans' stay on the Don land requires further study. In archaeological science, there are gaps left unfilled for the study of the material culture of the Alan people.

Keywords: Modern realities, historical science, political regime, historians, archaeologists, ethnographers.

ალექსანდრე მღებრიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი,
გორი, საქართველო,

ოსური თანავარსკვლავედი ქართულ-ოსურ ლიტერატურულ და კულტურულ ურთიერთობებში

(XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ ათწლეულებში)

ცხინვალის რეგიონის ისტორიული წარსული ყველაზე მეტად მაჩაბელთა საგვარეულო სახლთან არის დაკავშირებული. ეს ადგილი, გარკვეულ პერიოდში, ერთგვარ ცენტრს წარმოადგენდა.

მეფის რუსეთის მიერ საქართველოში ფეხის მოკიდების კვალდაკვალ ოსური ელემენტი თანდათანობით ორგანული ხდება ცხინვალისა და მისი შემოგარენისთვის. ცხინვალში ძირითადი სალაპარაკო და საურთიერთობო ენა ქართული იყო და ადგილობრივი მოსახლეობის პატივისცემით სარგებლობდა.

ენასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენდა სარწმუნოების თემა. თუკი ქართული ენა პოპულარობით სარგებლობდა საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებულ ოსთა შორის, იგივეს თქმა რთულია ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთიდან ჩამოსახლებულ ოსებზე, ასევე, რთულადაა საქმე მათ შორის ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების კუთხითაც. „სამაჩაბლოს მოსახლეობას შეადგენდა: ოსები და მთიდან ჩამოსხვეწილი ელემენტები, დაკავშირებულნი საქართველოსთან ეკონომიურად, პოლიტიკურად და რელიგიითაც, მაგრამ აქ, ჩრდილოეთში, სადაც ქრისტიანობა უმეტესად მახვილით ვრცელდებოდა, სადაც საშუალო საუკუნეებშიც ჰყვავდა წარმარ-

თობის კულტი, ამ მრისხანე და მეომარ თემში, ეკლესია შესამჩნევ როლს არ თამაშობდა“ (ჟურნ. „მნათობი“, 1924, №2, გვ. 160).

ამგვარი პრობლემების მოსაგვარებლად და იმავე დროს ჩრდილო კავკასიელებზე საკუთარი პოლიტიკური გავლენის გასავრცელებლად მეფის რუსეთის სამოქმედო არსენალიდან განსაკუთრებული მონდომებით გამოყენებულ ისეთი სტრატეგიებს, როგორებიც იყო სამხედრო და მიგრაციული პოლიტიკა, XIX საუკუნის პირველი წლებიდანვე კვლავ დაემატა მისიონერული საქმიანობა. ვგულისხმობთ გორის არქიეპისკოპოს დოსითეოს ფიცხელაურის პროექტის საფუძველზე 1814 წლიდან „ოსეთის სასულიერო კომისიის“ აღდგენის ფაქტს.

„ვინ იცის რამდენი ბრძოლა გადაუხდია ოს ხალხს, რომ გაეძლო თავზე დამტყდარი ავბედითი გრიგალებისთვის და თავი ეხსნა ფიზიკური განადგურებისაგან, მაგრამ ოსი ხალხი სულით არასოდეს დაცემულა. მისი ნიჭი გამობრწყინდა ფოლკლორში, კერძოდ, ნართების ეპოსში სადაც აისახა რაინდული სული–ვაჟკაცობა, შეუპოვრობა, ტრადიციების ერთგულება“ც. თინიკაშვილი, შენ უფრო მშვიდი და ლაღი ხარ ზღვაო, გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1980, #10, (12279).

როგორც ცნობილია, პირველი ლექსის ოსურ ენაზე შექმნა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ნავარაუდევია. ამ პირველი პოეტური ნიმუშების ავტორად დასახელებული განლავთ თემირბოლათ მამსუროვი.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ თემირბოლათ მამსუროვი თავისი დედის ძმის გენერალ მუსა კუნდუხოვის ხელშეწყობით 1865 წლიდან მიემგზავრება თურქეთში.

მოცემულ პერიოდში ქართველი და ოსი ხალხის დაახლოებასა და კულტურულ ფასეულობათა განვითარებაში საყურადღებო წვლილი შეაქვს ცნობილ მწერალს და საზოგადო მოღვაწეს – კოსტა ხეთაგუროვს. მისი და სხვა ცნობილი ქართველი მოღვაწეების თბილი, მეგობრული ურთიერთობების წამოწევა, ერთგვარად ნათელი ფერებით ავსებს ქართულ-ოსურ კულტურულ ურთიერთობათა პალიტრას.

მას ისეთივე ადგილი უჭირავს ოსი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, როგორც საქართველოში ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს. კ. ხეთაგუროვი ილიას სახელოვან თაობას ენათესავება თავისი სულიერი ზრახვებით, ჰუმანიზმით და პატრიოტიზმით. ოსი ხალხი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა თავისი სახელოვანი კლასიკოსის ტრადიციებს.

XIX საუკუნის მიწურულის ქართული პრესა დიდ ყურადღებას და სითბოს იჩენდა ქართულ-ოსური ურთიერთობის შეფასებისას.

კოსტა ხეთაგუროვის შემოქმედება ყოველთვის აინტერესებდა ქართველ მკითხველს. ამიტომაც სხვადასხვა დროს ქართველ მწერალთა და მოღვაწეთაგან ბევრი იყო დაკავებული მისი თხზულებების ქართულ ენაზე თარგმნით.

ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობის გადრმავებაში შესამჩნევი კვალი დატოვა ცხინვალელმა მწერალმა დავით ელიოზიშვილმა. მოძმე ოსი ხალხისადმი, მისი გენიალური შვილის, კოსტა ხეთაგუროვისადმი გულწრფელი გრძნობებია გამოხატული დავით ელიოზიშვილის ლექსში „კოსტას“.

კ. ხეთაგუროვის ლიტერატურულ თანამებრძოლთა და ტრადიციების განმვრცობთა შორის XX საუკუნის დასაწყისიდან შეიძლება დავასახელოთ ოსი მწერლები და პოეტები: სეკა გაღიათი, ასლამირზა ყაითმაზთი, სოზირიყო ყულათი, ცომაყ გაღიათი, არსენ ქოცოთი, ჩერმენ ბეჯიზათი და სხვ.

ც. გაღიევსა და ა. ქოცოვეს ოსური კულტურული ცხოვრების განვითარებაში თავისი მოკრძალებული წვლილი შეჰქონდათ იმ პერიოდის პრესაში გამოქვეყნებული საკუთარი პოეტური ქმნილებებით.

ამ პერიოდში ოს მოღვაწეთა შორის საგულისხმო ადგილი უკავია ჩ. ბეჯიზათს, რომლის შესახებ მნიშვნელოვანი ნაშრომი შექმნა ოსმა მწერალმა ჰაჯი-მურად ძუნათმა.

ჩერმენ ბეჯიზათი თითქმის ერთნაირი წარმატებით მოღვაწეობს როგორც სამწერლო, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე. იგი გახლდათ ნიჭიერი პროზაიკოსი, დრამატურგი,

პოეტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი. სხვადასხვა დროს მუშაობდა გაზეთ „ხურზარინის“ რედაქტორად, ცხინვალის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად, საქართველოს მწერალთა კავშირის ე.წ. სამხრეთ ოსეთის განყოფილების მდივნად, ჟურნალ „ფიდიუაგის“ რედაქტორად.

რაც შეეხება ოს პოეტს მისოსთ ყამბერდიევს – მან მეტეორივით გაიბრწყინა ჩვენი ლიტერატურის ცაზე, მაგრამ ნათელი კვალი დატოვა...

ზემოთ ჩვენ ვისაუბრეთ საუკუნის დამდეგის ქართულ-ოსურ ლიტერატურულ-კულტურულ ურთიერთობებში მიმდინარე საგულისხმო პროცესებზე. ხაზი გავუსვით საინტერესო შტრიხებს ამ პერიოდის მოღვაწეთა ცხოვრებიდან. რაც შეეხება მომდევნო პერიოდს, შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება სრულიად ახალი საფეხური ქართულ-ოსური ლიტერატურულ-კულტურული განვითარების ისტორიაში. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის სრულიად ახალი შეხედულებების და ახალი გემოვნების მქონე თაობა. ამ თაობაში ჩვენ ძირითადად ვგულისხმობთ: ვ. ძუგაევს, კ. ფარნიევს, დ. მამსუროვს, გ. ფლიევს და სხვ.

ძირითადი ნაწილი/განხილვა: ცხინვალის რეგიონის ისტორიული წარსული ყველაზე მეტად მაჩაბელთა საგვარეულო სახლთან არის დაკავშირებული. ეს ადგილი, გარკვეულ პერიოდში, ერთგვარ ცენტრს წარმოადგენდა. სოფრომ მგალობლიშვილის მიერ „მაჩაბლების სადგურად“¹. მოხსენიებული თამარაშენის შესახებ გიორგი ლეონიძე წერდა: „თამარაშენი-ქალაქი დაარსებულია მეთორმეტე საუკუნეში მეფის თამარისაგან, რომელიც ყოფილა მისი ერთ-ერთი საზაფხულო რეზიდენცია და სულ მალე გამხდარა მსხვერპლი ჯალალ-ედ-დინის მძვინვარების. მაგრამ ეს ჩრდილო სტრატეგიული და კომერციული პუნქტი შემდეგაც ყოფილა მნიშვნელოვანი და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ისევ იხსენიება ქალაქად. თუმცა „მცრედ“ ქართველობასთან ერთად სომხური და ებრაული მოსახლეობით.

თამარაშენი, იყო დიდი ლიახვის ეკონომიური ცენტრი, რომლის ფარგლებშიც შედიოდა: ხევსკარი და რაჭის მთიულეთი.

თამარაშენიდან ექსპორტი გადიოდა დვალეთში.

თამარაშენი ერთეულია იმ მძლავრი ფეოდალური ოლქის, რომელსაც ძველი საქართველოს ადმინისტრაციულ წყობილებაში სამაჩაბლო ერქვა და, რომლის ტერიტორიასაც შეადგენდა: დიდი ლიახვის და ფაცის ბასეინები, კავკასიონი მთავარი ხეობებით“².

მეფის რუსეთის მიერ საქართველოში ფეხის მოკიდების კვალდაკვალ ოსური ელემენტი თანდათანობით ორგანული ხდება ცხინვალისა და მისი შემოგარენისთვის. ცხინვალში ძირითადი სალაპარაკო და საურთიერთობო ენა ქართული იყო და ადგილობრივი მოსახლეობის პატივისცემით სარგებლობდა³.

ენასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენდა სარწმუნოების თემა. თუკი ქართული ენა პოპულარობით სარგებლობდა საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებულ ოსთა შორის⁴, იგივეს თქმა რთულია ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთიდან ჩამოსახლებულ ოსებზე, ასევე, რთულადაა საქმე მათ შორის ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების კუთხითაც. „სამაჩაბლოს მოსახლეობას შეადგენდა: ოსები და მთიდან ჩამოხვეწილი ელემენტები, დაკავშირებულნი საქართველოსთან ეკონომიურად, პოლიტიკურად და რელიგიითაც, მაგრამ აქ, ჩრდილოეთში, სადაც ქრისტიანობა უმეტესად მახვილით ვრცელდებოდა, სადაც საშუალო საუკუნეებშიც

¹ გაზ. „დროება“, 1884, №166;

² ჟურნ. „მნათობი“, 1924, №2, გვ. 159;

³ გაზ. „დროება“, 1876, №126;

⁴ ოსთა შორის ქართული ენის პოპულარობაზე მიუთითებს ა. სონდულაშვილი ნაშრომში – „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?!, თბილისი 2009; ამავე საკითხს არაერთხელ ეხებიან XIX საუკუნის ისეთი რუსული წერილობითი წყაროები, როგორებიცაა: 1. О. Евцкий, Статистическое описание Закавказского края, Санкт-Петербург 1835; 2. П. Надеждин, Опыт географии Кавказского края, Тула 1891; და სხვ.

ჰყვარდა წარმართობის კულტი, ამ მრისხანე და მეომარ თემში, ეკლესია შესამჩნევ როლს არ თამაშობდა“¹.

ამგვარი პრობლემების მოსაგვარებლად და იმავე დროს ჩრდილო კავკასიელებზე საკუთარი პოლიტიკური გავლენის გასავრცელებლად მეფის რუსეთის სამოქმედო არსენალიდან განსაკუთრებული მონდომებით გამოყენებულ ისეთი სტრატეგიებს, როგორებიც იყო სამხედრო და მიგრაციული პოლიტიკა, XIX საუკუნის პირველი წლებიდანვე კვლავ დაემატა მისიონერული საქმიანობა. ვგულისხმობთ გორის არქიეპისკოპოს დოსითეოს ფიცხელაურის პროექტის² საფუძველზე 1814 წლიდან „ოსეთის სასულიერო კომისიის“ აღდგენის³ ფაქტს.

„ვინ იცის რამდენი ბრძოლა გადაუხდია ოს ხალხს, რომ გაეძლო თავზე დამტყდარი ავბედითი გრიგალებისთვის და თავი ეხსნა ფიზიკური განადგურებისაგან, მაგრამ ოსი ხალხი სულით არასოდეს დაცემულა. მისი ნიჭი გამობრწყინდა ფოლკლორში⁴, კერძოდ, ნართების ეპოსში სადაც აისახა რაინდული სული–ვაჟკაცობა, შეუპოვრობა, ტრადიციების ერთგულება“⁵.

როგორც ცნობილია, პირველი ლექსის ოსურ ენაზე შექმნა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ნავარაუდევია. ამ პირველი პოეტური ნიმუშების ავტორად დასახელებული განლავთ თემირბოლათ მამსუროვი⁶. მის შესახებ ნაფი ჯუსოითი წერდა: „ჯერაც ძალზე ცოტა რამ ვიცით თემირბოლათ ოსმანის ძე მამსურათის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

მისი ერთ-ერთი ნაწარმოები „ფიქრები“ ოსეთში თურქული ხალხური სიმღერის სახით დაბრუნდა და აკად. ვსევოლოდ მილერმა 1881 წელს გამოაქვეყნა თავის „ეტიუდებში“. ამის შემდეგ კიდევ ათი ლექსი მოხვდა ოსეთში, მეცდომებით სავსე და შერყვნილი.

¹ ჟურნ. „მნათობი“, 1924, №2, გვ. 160;

² მ. ტყავაშვილი, ქსნის ერისთავების მამულების საკითხი დოსითეოს ფიცხელაურის „ოსეთის სასულიერო კომისიის“ პროექტში, კრებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები (ა. სონღულაშვილის რედ.), №2, თბილისი 2009, გვ. 295;

³ ე. ბუბულაშვილი, „ოსეთის სასულიერო კომისიის“ მოღვაწეობის ისტორიიდან, კრებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები (ა. სონღულაშვილის რედ.), №2, თბილისი 2007, გვ. 234;

⁴ ამ მიმართულებით საინტერესო ნაშრომებს წარმოადგენენ: ა) ნაირა ბეპიევის და მერი ცხოვრებოვას მიერ 2005 წელს შედგენილი და გამოცემული „ოსური ზეპირსიტყვიერება“. პროფ. ზურაბ კიკნაძის შეფასებით, ფოლკლორული ტექსტების თარგმნა ენობრივ სიფაქიზესა და ტაქტს მოითხოვს – არც ზედმეტი განაღმურება, არც გალიტერატურება. ეს ზომიერება მთარგმნელებს შესანიშნავად დაუცავთ; მერი ცხოვრებოვის „ნართებს“ ქართული მკითხველი კარგად იცნობს მისთვის დამახასიათებელი ტონალობით. ეს დარბაისლური ქართული „ნართებია“. პოეტური ნაწილი ქალბატონ ნაირა ბეპიევის აღმოჩენაა. პოეტური თარგმანები შესრულებულია ფოლკლორის უნივერსალური პოეტიკის წესების დაცვით, რაც სავსებით უთავსდება ქართულ ზეპირსიტყვიერ ტრადიციას. ენის უცოდინარიც კი ხვდება, რომ თარგმანი დედნის ადექვატურია – ვკითხულობთ ქართულად, გვესმის ოსური (ნ. ბეპიევი, მ. ცხოვრებოვა, ოსური ზეპირსიტყვიერება, თბილისი 2005, გვ. 19); ბ) ნაირა ბეპიევისა და ნინო პოპიაშვილის „ოსური თქმულებები“, რომლის წინასიტყვაშიც ნათქვამია, რომ პირველად გამოქვეყნებული ის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნიმუშები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია შეკრებილი. „მართალია, ზოგიერთი ე.წ. ვარიანტული სახესხვაობაა ოსური თუ ქართული ზღაპრისა და თქმულებისა, მაგრამ უმეტესობა დამოუკიდებელი, ინდივიდუალურად შექმნილი და წარმოდგენილი მასალაა. რა თქმა უნდა, ერთმანეთის ტოლფასი ვერ იქნება ეს მასალა, ზოგჯერ სრულიად ორიგინალური და დასრულებული თხზულებებია წარმოდგენილი, ზოგჯერ კი ძალიან მარტივ სიუჟეტთან გვაქვს საქმე, უბრალოდ, სოფლის სახელის წარმოშობაზე საუბრობს მთქმელი, მაგრამ ესეც ფასეულია, ეს ხომ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის ისტორიაა ხალხის გონების პრიზმაში არეკლილი და მათი თვალთახედვით წარმოჩენილი (ნ. ბეპიევი, ნ. პოპიაშვილი, ოსური თქმულებები, თბილისი 2009, გვ. 3);

⁵ ც. თინიკაშვილი, შენ უფრო მშვიდი და ლაღი ხარ ზღვაო, გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1980, #10, (12279);

⁶ ლ. ბრეგაძის შეფასებით, თ. მამსუროვმა საკუთარი შემოქმედებით სამშობლოს მიტოვებით გამოწვეული გულისტკივილი ისეთი ხელოვნებით გამოხატა, რომ პოეტურ სახეებად გარდაქმნილი მისი სევდა დღესაც გულის შემძვრელად მოქმედებს მკითხველზე (თ. მამსუროვი, ოსური სიმღერები (მთარგმნ. ნ. ბეპიევი, რედაქტ. ნ. ჯუსოითი, ნ. პოპიაშვილი), თბილისი 2007, გვ. 47);

ოსი ინტელიგენცია დიდი ინტერესით მოეკიდა ჩვენი პირველი პოეტის, ჩვენი სიმღერის დამწყობის სიტყვას, ცდილობდა მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ირგვლივ ახალი ცნობების მოძიებას. სიმართლე უნდა ითქვას, დღემდე ბევრი ვერაფერი გაკეთდა ამ მიმართებით.

ცომაყ გადიათმა და ალექსანდრე თიბილოვმა წერილები გამოაქვეყნეს. 1926 წელს პროფ. ბარისბი ალბორთიმ მოზრდილი წიგნი დაწერა მამსუროვზე და გამოაქვეყნა კიდეც. მის მიერ პოეტის შესახებ შეგროვილ ცნობებს ჩვენს ლიტერატურაში დღემდე არაფერი შემატებია. მოგვიანებით თემირბოლათის შესახებ ხშირად წერდნენ ჩვენი კრიტიკოსები, მაგრამ ბ. ალბორთის მიერ მოძიებულ ცნობებს დიდი ვერაფერი მიუმატეს ვერც ფაქტობრივად, ვერც ისტორიულ-ლიტერატურული და ესთეტიკური ანალიზის თვალსაზრისით. ყურადსაღებია მხოლოდ ხაძიბათირ არდასენთისა და ალექსანდრე ბიაზირთის სტატიები¹.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ თემირბოლათ მამსუროვი თავისი დედის ძმის გენერალ მუსა კუნდუხოვის² ხელშეწყობით 1865 წლიდან მიემგზავრება თურქეთში. XIX საუკუნის სამოციან წლებში მთიელთა თურქეთში გადასახლების დროს განსახლებულ ოსთა შორის გენერალ კუნდუხოვის ოჯახის წევრების ყოფნის ფაქტზე მიაჩნებენ პროფ. ნ. პოპიაშვილიც³.

მოცემულ პერიოდში ქართველი და ოსი ხალხის დაახლოებასა და კულტურულ ფასეულობათა განვითარებაში საყურადღებო წვლილი შეაქვს ცნობილ მწერალს და საზოგადო მოღვაწეს – კოსტა ხეთაგუროვს. მისი და სხვა ცნობილი ქართველი მოღვაწეების თბილი, მეგობრული ურთიერთობების წამოწევა, ერთგვარად ნათელი ფერებით ავსებს ქართულ-ოსურ კულტურულ ურთიერთობათა პალიტრას.

მას ისეთივე ადგილი უჭირავს ოსი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, როგორც საქართველოში ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს. კ. ხეთაგუროვი ილიას სახელოვან თაობას ენათესავება თავისი სულიერი ზრახვებით, ჰუმანიზმით და პატრიოტიზმით. ოსი ხალხი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა თავისი სახელოვანი კლასიკოსის ტრადიციებს⁴.

კოსტა ლევანის ძე ხეთაგუროვი (ხეთაგათი) დაიბადა 1859 წელს სოფ. ნარში. 1871-1881 წლებში სწავლობდა სტავროპოლის გიმნაზიაში. მოგვიანებით, 1881-1885 წლებში „პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. თუმცა უსახსრობის გამო მიატოვა სწავლა, დაბ-

¹ თ. მამსუროვი, ოსური სიმღერები(მთარგმნ. ნ. ბეპიევი, რედაქტ. ნ. ჯუსოითი, ნ. პოპიაშვილი), თბილისი 2007, გვ. 19;

² რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ჩრდილო-კავკასიელი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ XIX საუკუნეში არაერთი სახელოვანი პიროვნება წარმოაჩინა. ერთ-ერთი მათგანია მუსა-ფაშა კუნდუხოვი, რომელმაც, მიიღო რა, თავისი დროის შესაფერისი განათლება, ჯერ რუსეთის არმიის გენერალი გახდა, შემდეგ რუსების ნამოქმედარისადმი პროტესტის ნიშნად თავის თანამოძმებთან ერთად თურქეთის მხარეს გადავიდა, სულთნის ქვეშევრდომობა და ლივ-ფაშას (ბრიგადის გენერალი) თანამდებობა მიიღო, რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში ჩადგა და ემიგრაციაშივე გარდაიცვალა. თუმცა, მუსა კუნდუხოვის შესახებ არის სხვა მოსაზრებაც. თითქოს ჩეჩნების თურქეთში გადასახლება კუნდუხოვმა რუსეთის ინიციატივით განახორციელა გენერალ ლორის-მელიქოვის დავალებით და იგი ამ შემთხვევაში ჩეჩნებისათვის რუსების „ტროას ცხენი“ იყო. მან დაარწმუნა ჩეჩნები, რომ სამშობლოში დარჩენას ალტერნატივა არ ჰქონდა. ან უნდა გადასახლებულიყვნენ მცირე ყაბარდოში, ხოლო მათგან გათავისუფლებულ მიწებზე იგეგმებოდა კაზაკების ჩასახლება, ამ შემთხვევაში ისინი საკუთარ მიწაზე უცხოელებად იქცეოდნენ, მეორე შესაძლებლობა რუსების წინააღმდეგ აჯანყება და უთანასწორო ბრძოლაში დაღუპვა იყო, ან – გადასახლება თურქეთში. თითქოს კუნდუხოვმა ამ პაქტის სანაცვლოდ რუსებისგან 2800 ჰექტარი მიწა ოსეთში და 45 ათასი ვერცხლის რუბლი მიიღო (Айдамиров Абузар, Долгие ночи, <http://Zhaima.com/history/Сетевая версия>). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უფრო დეტალურად იხ. ი. აღიბბარაშვილი, თურქი გენერალი ქართველი ემიგრანტის თვალით (ჩრდილო კავკასიელი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან XIX საუკუნეში), გორის სს უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია „ქართულ-თურქული ურთიერთობები“ თბილისი 2014, გვ. 7-11.

³ თ. მამსუროვი, ოსური სიმღერები(მთარგმნ. ნ. ბეპიევი, რედაქტ. ნ. ჯუსოითი, ნ. პოპიაშვილი), თბილისი 2007, გვ. 31;

⁴ ს. ჭილაია, წინაპრები და მეგობრები, თბილისი 1964, გვ. 299;

რუნდა ოსეთში და სწორედ ამ პერიოდიდან იღებს სათავეს მისი მგზნებარე შემოქმედებითი მოღვაწეობა. ამ პერიოდში ოსურ ენაზე ბეჭდვითი გამოცემის არარსებობის გამო მისი თხზულებები, მეტწილად ლექსები, ძირითადად ზეპირად ვრცელდებოდა ხალხში. სამაგიეროდ, აქტიურად თანამშრომლობდა, ფაქტობრივ რედაქტორობას უწევდა სტავროპოლში გამომავალ გაზეთს „სევრნი კავკაზი“ (1893-1902), აგრეთვე გაზ. „კაზბეკი“ (ვლადიკავკაზი)¹.

ქართველ და ოს ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის უდიდესი ქომაგის, ოსი პოეტის, მხატვრისა და სალიტერატურო ენის (ოსური) ფუძემდებლის კოსტა ხეთაგუროვის მიერ 1895 წელს სტავროპოლში რუსულ ენაზე გამოცემული კრებული „ლექსების“ წინა პერიოდში, კერძოდ, 1889 წელს, ვლადიკავკაზში ოსურ ენაზე გამოიცა პოეტის თხზულებათა კრებული „ირონ ფანდირი“. საზოგადოება თავიდანვე დიდი მოწონებით შეხვდა ახალი პოეტური კრებულის დაბადებას.

„ოსი ხალხის ცხოვრებაში ამ დიდ მოვლენას ქართული პრესა მაშინვე გამოეხმაურა. „ირონ ფანდირს“ ილია ჭავჭავაძის ჟურნალმა „ივერიამ“ პირველმა უძღვნა წერილი სათაურით „მოძრაობა ოსეთში განათლებისაკენ“. წერილის ავტორმა, ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ ალექსანდრე ხახანაშვილმა საზოგადოებას აუწყა ამ წიგნის განუსაზღვრელი მნიშვნელობა ოსური სამწერლო ენისა და ლიტერატურის განვითარებისთვის. სიხარულით აღსავსე ქართველი პროფესორი წერდა: „ვისაც ეს წმინდა ცნება (სიყვარული და სათნოება, შეუგნია, იმისათვის მეზობლის და თანამოდმის ბედნიერება სასიხარულოა და მისი მწუხარება სავალალო. ერთი სასიამოვნო მოძრაობა აღინიშნა ჩვენს მოსაზღვრე ხალხში, რომელთანაც საქართველოს უცხოვრია მრავალი საუკუნე, და ეს მოძრაობა გულისხმიერია ჩვენთვისაც: მე მოგახსენებთ ოსების განათლებისაკენ მისწრაფების შესახებ...“

...შინაარსი ამ კრებულისა მრავალფეროვანია: იგი შეიცავს ლექსებს, ლეგენდებს, ანდაზებს და სხვა. ლექსთწყობა ოსებს ტონური აქვთ, ე.ი. ისეთი, როგორც რუსებს და არა ჩვენ, იგი აგებულია ხმის ამადლებათაზე. პირველ ნაწილში ბატონ ხეთაგუროვს მოაქვს ლექსები, რომელნიც ელიგიურის კილოთი და მამულიშვილური გრძნობით არის გამსჭვალული“².

გარდა იმ გულწრფელი თანადგომისა, რასაც მკითხველი საზოგადოება ამჟღავნებდა ნახსენები კრებულის მისამართით, არსებობდა საკმაოდ სერიოზული პრობლემებიც. მეფის ცენზურა შეძლებისდაგვარად ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია, როგორც შეეფერხებინა „ირონ ფანდირის“ გამოცემა. ბუნებრივია, გამოცემის შემდეგაც ლექსების ავტორი და მისი თაყვანისმცემელი ცარიზმის მოხელეთა სასტიკ დევნას განიცდიდნენ“³.

როგორც ცნობილია, კრებულის ცენზორად დაინიშნა ოსური ენის მცოდნე, ერევნის გიმნაზიის პედაგოგი ქრისტეფორე ჯიოევი და საცენზურო კომიტეტისგან ავტორმა გამოცემის ნებართვაც მიიღო (საცენზუროდ მიღებული მასალებიდან ამოღებულ იქნა მხოლოდ ერთი ლექსი „აზრი“, რომელიც საეჭვოდ იქნა მიჩნეული).

ორიოდე სიტყვით უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოხერხდა „ირონ ფანდირის“ როგორც ქართულ, ისე სხვა ხალხთა ენებზე თარგმნა. ბუნებრივია, მხოლოდ თარგმანით არ შემოიფარგლებოდა ქართველი ხალხის დაინტერესება ოსი კლასიკოსის შემოქმედისადმი. ჩვენ მიერ ნათქვამის უდავო დადასტურებაა ცნობილი კომპოზიტორის დიმიტრი არაყიშვილის ღვაწლი. მან კ. ხეთაგუროვის შემოქმედებაზე შექმნილი მუსიკალური ნაწარმოებები გამოსცა მოსკოვში. ქართულ-რუსულენოვანმა მნიშვნელოვანმა ნაშრომმა უდიდესი კვალი გაავლო ქართულ-ოსური კულტურული ურთი-

¹ ძირითადი ბიოგრაფიული ცნობები აღებულია „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიიდან“, ტ. XI, თბილისი 1987, გვ. 452-453;

² ა. ცოტნიაშვილი, ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, ცხინვალი 1968, გვ 127-128;

³ ა. ცოტნიაშვილი, მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული პერიოდიკა ქართულ-ოსური ურთიერთობის შესახებ, ცხინვალი 1990, გვ. 11;

ერთობის შემდგომ განვითარებაში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ მასალების სამზუნველ გამოტანის შემდეგ როგორც ქართველ, ისე რუს ფართო საზოგადოებრიობას პირველად მიეცა საშუალება, გასცნობოდა ოსურ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებას.

XIX საუკუნის მიწურულის ქართული პრესა დიდ ყურადღებას და სითბოს იჩენდა ქართულ-ოსური ურთიერთობის შეფასებისას.

ზემოთ ვამბობდით, რომ კოსტა ხეთაგუროვს უაღრესად ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა იმ პერიოდის ქართველ მოღვაწეებთან. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიხმობთ კოსტა ხეთაგუროვის გამოსვლას მინ. ყიფიანის გარდაცვალების გამო 1891 წლის 4 მარტს გამართულ სამგლოვიარო მიტინგზე: „დიდის გრძნობით წარმოსთქვა ლექსი ჯერ ოსურად და შემდეგ მეორე ლექსი რუსულად კოსტა ხეთაგუროვმა. შინაარსი ოსური ლექსისა მოკლედ ასეთი იყო: „გზა მშვიდობისა, ჩვენთვის აღარ ზრუნავ ახლა. ქვეყნად გვრჩება შენი სახელი. შენი მომღურავი ერთიც არ არის ჩვენს შორის. სახელი შენი საუკუნოდ ცოცხალი იქნება. თვით სიცოცხლე შენი საუკუნე იყო. მარტო შენ შესძელ და ერს შესწირე კეთილდღეობა შენი. სიყრმიდან სიბერემდე ნატვრით გვქონდა მწუხარება ერისა. ანთებული ლამპარი გეჭირა და გვინათებდი ბნელ გზას. საცა საჭირო იყო იბრძოდი, მაგრამ უფრო ხშირად ალერსი გეხერხებოდა. დედასავით გიყვარდა სამშობლო. კეთილი მწყემსი იყავ ღარიბისთვის. რით გადაგიხადოთ სიკეთის სამაგიერო? საუკუნოდ იყოს ხსენება შენი: უბედურნი ვართ ჩვენ. ასჯერ უბედურია ის, ვინც უშენოდ სტირს აქა“¹.

ეს სიტყვა დაბეჭდილია 1891 წლის „ივერიის“ 53-ე ნომერში. ქართულ-ოსური ურთიერთობის საკითხებს სხვა გამოცემებთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობდა ჟურნალი „მოამბე“ და განსაკუთრებით „აკაკის თვიური კრებული“. ეს უკანასკნელი სისტემატურად ბეჭდავდა საინტერესო მასალებს ცხინვალის რეგიონიდან². განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართულ-ოსური კულტურული ურთიერთობის გაღრმავებაში იმ პერიოდის მოღვაწემ ნესტორ ბაკურაძემ. იგი აქტიურად თანამშრომლობდა როგორც აკაკის „კრებულში“ ისე თავისი ღროის თითქმის ყველა წამყვანი პერიოდული გამოცემების რედაქციებთან. ნ. ბაკურაძის მასალები ძირითადად იბეჭდებოდა ფსევდონიმით „ქართველი ოსებში“.

საგულისხმოა, რომ კოსტა ხეთაგუროვს სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად, საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდა ალექსანდრე ყაზბეგთან, ქართულ მწერლობაში მთიდან ჩამოფრენილ არწივთან, რომელიც წერდა: „მე მინდა ვიყო ღირსეული შვილი საქართველოსი... არც ცოლი, არც შვილი, არცთუ სხვა რომელიმე გულშემატკივარი არ დამრჩება, მე ვისურვებ დამრჩენოდეს საქართველოს პირველი გულშემატკივარის სახელი, ამას კი იოლად არ დავთმობ, არავის დავანებებ...“³ აკი ეს აზრი გაიხადა კიდევ თავისი ცხოვრების უმაღლეს მიზნად და ამ მიზნის მისაღწევად უკომპრომისო ბრძოლას შეაღია თავისი ღრმა ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრება. სამშობლოს კეთილდღეობისკენ მიმავალი ნარეკლიანი გზიდან არ გადაუხვევია ზესთასოფელში დასახლებამდე.

ალ. ყაზბეგის სიცოცხლის ბოლო პერიოდში გულის ამაჩუყებელ წერილებს აქვეყნებენ ის ადამიანები, რომლებმაც სიცოცხლე მოუწამლეს და ახალგაზრდა კაცს ამქვეყნიური ყოფის ხალისი დააკარგინეს.

ალბათ იგრძნეს...

ასეთი წერილების გვერდით იბეჭდებოდა ჭეშმარიტი გულისტკივილით და სიბრაღულით სავსე მასალებიც. ამჯერად, მხედველობაში გვაქვს კოსტა ხეთაგუროვის სტრიქონები, რომლებიც გრგვინვასავით გაისმა კავკასიის ცაზე, მოწოდება, რომელიც მთლიანად კავკასიას ეკუთვნოდა და იქ მცხოვრებ ყველა ხალხს უხმობდა ალექსანდრე ყაზბეგის საქმაგებლად.

¹ გაზ. „ივერია“, 1891, #53;

² იხ. „აკაკის თვიური კრებული“, 1899, #1, 5, 6, 9;

³ ალ. კალანდაძე, ცეკვა ხანჯლებით, თბილისი 1988, გვ. 289-290;

„ყველას, ვინც კი ცოტაოდენ მაინც დაინტერესებულია კავკასიის მოღვაწეებით, წაუკითხავთ და გაუგონიათ იმ მწარე ხვედრის შესახებ, რომელიც წილად ხვდა ქართველ მწერალს ალექსანდრე ყაზბეგს. ყველას, ვინც რამდენადმე მაინც იცნობს ამ მართლაც უბედური სახალხო მომღერლის ცხოვრებას, არ შეიძლება ეჭვი არ შეეპაროს ყველაფერ იმაში, რაც მის შესახებ იწერება. ამიტომ ჩემს თავს ნებას ვაძლევ მივმართო მწერალ სანდროს უახლოეს ნათესავებს, რათა ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით უარყონ ან დაადასტურონ ის უკანასკნელი ცნობები მის შესახებ, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთ „ტიფლისკი ლისტოკის“ #94-ში. წერილში „ორი ჯილდო“ წერია: რომ ის (ალექსანდრე ყაზბეგი), ვინც დაკარგა ღვთით მინიჭებული ძვირფასი ნიჭი, შეიძლება იმიტომ, რომ ძალიან ბევრი მისცა თავის ხალხს, იმყოფება საგიჟეთში, სხვა შემთხვევებთან ერთად საერთო პალატაში, იკვებება, როგორც უღარიბესი კაცი, არა აქვს ისეთი არსებითი საჭიროების საგანიც კი, როგორცაა ჩაი და ისეთი უმნიშვნელო სიამოვნება, რასაც პაპიროსი წარმოადგენს. მაგრამ ამ მდგომარეობის შენარჩუნებაც არ ძალუძს მას. ალექსანდრე ყაზბეგს საშუალება არა აქვს ფული გადაუხადოს საავადმყოფოს. ამ დღეებში, როგორც უსარგებლო ნივთს, ქუჩაში გადააგდებენ. კიდევ კარგი, რომ ჩუმი შემთხვევით აქვს და არავის ზიანს არ მიაყენებს.

ნუთუ ალექსანდრე ყაზბეგს, რომლის შესანიშნავ ყლებში ჩასმულ ნაწარმოებებს უდიდესი სიამოვნებით კითხულობენ, რომლის ბრწყინვალე სახლში უამრავი ხალხი ჭამდა და სვამდა, ისეთი ჯილდო უნდა ხვდეს წილად, რომ ქუჩა-ქუჩა იაროს და სადმე ღობის ძირას შიმშილით მოკვდეს?...“¹

მძიმედ განიცადა ქართველმა საზოგადოებრიობამ როგორც ყაზბეგის, ისე კ. ხეთაგუროვის გარდაცვალება. კოსტას მთელი შემოქმედება ორგანულად ერწყმის იმ პერიოდის ქართული ლიტერატურული ცხოვრების მაჯისცემას, ზემოთ ჩვენ ვნახეთ, როგორ ალალი ცრემლით დაიტირა ხეთაგუროვმა მიხ. ყიფიანი, რომლის საშუალებით, იგი თავიდანვე უახლოვდება ქართული საზოგადოებრივ-ლიტერატურული წრეების თვალსაჩინო წარმომადგენლებს. თანამედროვეთა გადმოცემით, კოსტას სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ცნობილი იყო ილია ჭავჭავაძისთვის, აკაკი წერეთლისთვის, ალ. ხახანაშვილისთვის; ისინი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს მის ზრდას და გავლენას კავკასიის მოძმე მთიელ ხალხთა შორის².

კოსტა ხეთაგუროვის გარდაცვალებისას კიდევ ერთხელ დაფიქსირდა ის დიდი პატივისცემა და სიყვარული, რომელსაც ქართველი ერი გრძნობდა ოსი კლასიკოსის მიმართ. გაისმოდა გულწრფელი სინანულის ხმები. პროფ. შალვა გოზალიშვილს, დასახელებულ ნაშრომში კოსტა ხეთაგუროვის შესახებ, მოყავს ცნობილი საზოგადო მოღვაწის ლუარსაბ ბოცვაძის წერილი, სათაურით „კოსტა ხეთაგუროვის ხსოვნას“. მოვიყვანთ მოკლე ამონარიდს ამ პუბლიკაციიდან: „კავკასიის ცის კამარას მოსწყდა ერთი შუქურა ვარსკვლავი, რომელიც თავის ნათელ სხივს ფენდა სამშობლო ქვეყნის ყოველ ტევრსა და ქოხს. აღარა გვყავს ერთ-ერთი იმ მცირეოდენთაგანი, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან ნათელი თვალებით რომ ხედავდნენ ცისა და დედამიწის მთელ საიდუმლოებას, ესმოდეთ მომაჯადოებელი ხმები, სწორედ განსაზღვრონ ხალხის მაჯისცემა, მისი გულის ტკივილი და ყოველივე ამას ხორცი შეასხან პოეზიის საუცხოო ბგერებით...

ღიახ, მძიმე დანაკლისი განიცადა ძვირფასი კოსტას სახით არა მარტო სამშობლო ოსეთმა, არამედ მთელმა კავკასიამ და რუსეთმაც კი. მისი პოეზია არის არა მარტო პირადი გრძნობებისა და ძმებისათვის, ხალხისათვის ტანჯვის გამოხატულება, არამედ საზოგადოებრივი საქმის გამოხატულებაც, დროის საჭიროებისათვის სამსახური და უკეთესი ცხოვრებისაკენ მოწოდება. უეჭველია, როდესაც ყველა გაიგებს, რომ კოსტას პოეზია აღსავსეა ხალხის გაჭირვებისადმი გულითადი თანაგრძნობით, რომ მას მხედველობაში აქვს უმთავრესად მისი კეთილდღეობა, იგი უფრო შეუყვარდებათ და მას უფრო დააფასებენ. მის სი-

¹ შ. გოზალიშვილი, კოსტა ხეთაგუროვი, სტალინირი (ცხინვალი) 1960, გვ. 61-62;

² შ. გოზალიშვილი, კოსტა ხეთაგუროვი, სტალინირი (ცხინვალი) 1960, გვ. 55;

ცოცხლეში ჩვენ ვერ დავაფასეთ კოსტა, ამაში ბრალი მიუძღვის მთელ ჩვენს საზოგადოებას, რომელმაც ვერ შეძლო მისი დროზე დაფასება. სამწუხაროდ, კოსტას მსგავს ადამიანებს ბუნება განსაზღვრული რაოდენობით იძლევა...“¹

მგოსნის გარდაცვალების შემდეგ ქართველი ხალხი ყოველთვის აღნიშნავდა კ. ხეთაგუროვის საიუბილეო თარიღებს, რაც კიდევ უფრო ბრწყინვალე დასტური გახლავთ ჩვენი ისტორიული დამოკიდებულებისა ოს ხალხთან.

კოსტა ხეთაგუროვის ნიჭი, ოსი ხალხის ეროვნებად ჩამოყალიბების, ოსური ეროვნული კულტურის შექმნის საწყის ეტაპზე მოევლინა ქვეყანას. თავისი შემოქმედებით იგი ეხებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს. მისი მხატვრული პერსონაჟები ხალხის წიაღიდან გამოსული გმირები არიან და ხალხის ტიპურ ხასიათს გამოხატავენ. კ. ხეთაგუროვის მთელი შემოქმედება უდიდესი სიყვარულის გრძნობითაა გაჯერებული, სამშობლოსადმი, მოყვასისადმი სიყვარულით. მისი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა ერთგვარად დაემთხვა ოსი ერის ჩამოყალიბების მომენტს. ამიტომაც შეიძინა მისმა შემოქმედებებმა ხმამ უდიდესი მნიშვნელობა.

კავკასიელ ხალხთაგან კოსტა ყველაზე მეტად დაკავშირებული იყო ქართველებთან, ახლოს იცნობდა მწერალ ალექსანდრე ყაზბეგს, პუბლიცისტს და საზოგადო მოღვაწეს მიხეილ ყიფიანს, კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილს და სხვა სახელოვან ადამიანებს. იგი ორჯერ ჩამოვიდა თბილისში. საქართველოს დედაქალაქი რომ ძლიერ მოსწონდა, ეს იქიდან ჩანს, რომ მისი ნაწარმოების გმირი – „მეფანდურე ყუბადი“ ბატონს გაეცა და თბილისს ჩამოვიდა, რომელსაც მოფერებით „დიდებულ ქალაქს“ ეძახის, სადაც გულის სითბო და სიმშვიდე იპოვა.

კოსტა ხეთაგუროვის შემოქმედება ყოველთვის აინტერესებდა ქართველ მკითხველს. ამიტომაც სხვადასხვა დროს ქართველ მწერალთა და მოღვაწეთაგან ბევრი იყო დაკავებული მისი თხზულებების ქართულ ენაზე თარგმნით.

1936 წელს აღინიშნა კ. ხეთაგუროვის გარდაცვალებიდან 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელმაც ფართო ასახვა ჰპოვა ცხინვალის იმდროინდელ ერთადერთ ქართულენოვან გაზეთში „საბჭოთა ოსეთი“. მოზრდილ საგაზეთო მასალაში „ოსეთის სახალხო პოეტი–კოსტა ხეთაგუროვი“ აღწერილია ზოგიერთი ეპიზოდი პოეტის ცხოვრებიდან. იქვე იბეჭდება მისი ლექსები: „წინასწარმეტყველად ნუ მიგულებთ“, „ღარიბის სიმღერა“, „ნანა“².

უნდა აღინიშნოს, ხეთაგუროვის ჩამოთვლილ ლექსთა თარგმანები დავით კასრაძეს ეკუთვნის.

ჯერ კიდევ ცარიზმის თვითმპყრობელობის უღელქვეშ მგმინავი ოსი ხალხის დუხჭირი ცხოვრებით გულდამძიმებული კოსტა ხეთაგუროვი წინ გაუძღვა საკუთარ ხალხს. დროულად იტვირთა რჩეულის, ერის წინამძღოლის უაღრესად საპასუხისმგებლო მისია, საკუთარი პოეზია ტრიბუნად აქცია და პოეტის სრულიად ახალი სახე შექმნა:

*„წინასწარმეტყველად ნუ მიგულებთ მწირ უდაბნოში,
ბოროტების ხმა ჩემს ოცნებას არ ეყურება
გრგვინავდეს კაცთა მძულვარება უმეცარ ბრბოში,
ბრბო ვეღარ შეძლებს ჩემი ტაძრის განადგურებას.
ამ ქვეყნის ძლიერთ არ გაუწვდის ხელს არასოდეს
არც მეგობრობას დამიძიმებს ძმური ნუგეში.
არ მეშინიან განშორების, – ვინღა მახსოვდეს?
რისთვის ვიტვირთო ანგარების გრძნობა უხეში?
სიკვდილის ჯაჭვი ვერ შებორკავს ჩემს აღმაფრენას,
ყოველთვის მზად ვარ სიცოცხლისთვის ვაჟდერო ჩანგი,*

¹ შ. გოზალიშვილი, კოსტა ხეთაგუროვი, სტალინირი (ცხინვალი) 1960, გვ. 80-82;

² გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1936, 18/V;

*მინდა სიმართლე დავადულო პოეტის ენას,
ძალმომრეობას ჩავუნგრეო მკერდი ნაჟანგი...“*

კ. ხეთაგუროვის ლექსის „წინასწარმეტყველად ნუ მიგულებთ“ დ. კასრაძისეული თარგმანი ოსი პოეტის თხზულებათა თარგმანებს შორის ერთი საინტერესო ნიმუშია. დ. კასრაძის თარგმანები თავისებური პოეტური ღირსებებით გამოირჩევა. სათქმელის გაშლითა და აზრის მკვეთრად გადმოცემით კიდევ უფრო უახლოვდება ორიგინალს.

დ. კასრაძისეულ ხეთაგუროვის თხზულებების თარგმანთა შორის საგულისხმო ნიმუშია „ნანა“. ჩანს დავითი პასუხისმგებლობით მოკიდებია მას. „ნანა“ თითქოს „ერთი ამოსუნთქვით“ იკითხება. თარგმანი მოქნილი და ელასტიურია:

*„ხელი შენს რწევას ჩვევია
მთვარე კრთის აკვანთანაო.
დავაჟვაცდები, მოძალხენ,
ნანინა, ნანა, ნანაო.
სიმღერის ხმებში ჩამაქსოვ
იმედის სხივებს თანაო.
ბატკანს გამოგზრდი მარჩენლად,
ნანინა, ნანა ნანაო!
ნეტამც დღეგრძელი მეყოლო
ყოველთვის, ყოველგანაო.
სიცოცხლეს ახლად ვიგრძნობდი
ნანინა, ნანა, ნანაო.
სიკვდილის პირზე მიმდგარსა
მიმიყვან შენს გულთანაო,
ანდერძად სიტყვას გიტოვებ
სახატეს კანდელთანაო,
გიყვარდეს შენი ქვეყანა,
ნანინა, ნანა, ნანაო“.*

ბუნებრივია, კ. ხეთაგუროვის შემოქმედების ცალკეულ ეტაპებზე მის პოეზიაში არის რუს კლასიკოსთა პოეზიისთვის დამახასიათებელი ცალკეული ელემენტები (პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის, კრილოვის).

ჰ-მ ძუცათი წერდა: „რუსი პოეტების „მიბაძვა“ გვხვდება ოსურ ნაწარმოებებშიც (ლექსებში – „ორი ყვავი“, „ღარიბის სიმღერა“, იგავ-არაკებში – „ყვავი და მელა“, „მგელი და წერო“, „ბატები“). მაგრამ ესენი იმდენად ღრმად ეროვნული და ინდივიდუალურად პოეტური არიან, რომ ძნელად თუ მიაშგავსებ იმ ნაწარმოებებს, რომელთაც „ჰბაძავენ“¹.

ჩამოთვლილ ოსურ ლექსთაგან ერთ-ერთის დ. კასრაძისეულ თარგმანს დავიმოწმებთ საილუსტრაციოდ:

*„ზამთარი მოდის მსუსხავი,
ქარით და თოვლით მყეფარი,
ყინულის ლოდზე მდებარი.
დღე უსინათლოდ დამდება,
ბოლო არ უჩანს ღამესა
კვარი ხრჩოლებით თვალსა სთხრის
ცრემლებით მოკამკამესა.
ან ფასი როდის უნახავს, ღარიბის ნამუშევარსა,
ჯავრს და ვაება-წყევასა...“*

სამწუხაროდ, ზემოთ მოტანილი თარგმანი ერთგვარად დამძიმებულია და არადამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას ტოვებს. ფაქტის გადმოსაცემად არც ისე მოხდენილი

¹ ჰ.მ. ძუცათი, კოსტა ხეთაგუროვი, თბილისი 1979, გვ. 10;

ფორმებია მოძებნილი, თუმცა იდეა ნაცნობია—სოციალური მოტივი და მცდელობა ერის გამოფხიზლების, დაფიქრების და უკეთესი მერმისის საძიებლად დარაზმვის გარდაუვალი აუცილებლობა.

ყოველივე ეს განაპირობებდა იმ ფუძემდებელ ლიტერატურულ უთიერთობებს, რომლებიც ქართულ-ოსური ხანგრძლივი თანაცხოვრების პირობებში იწრთობოდა. მხოლოდ ზოგიერთი მათგანის დასახელებით შემოვიფარგლებით. ცხინვალის რეგიონის პრესაში და არა მხოლოდ, პერიოდულად იბეჭდებოდა კ. ხეთაგუროვის პოეტურ ქმნილებათა თარგმანები: „იმედი“ (თარგ. ივ. ყიფიანისა), „გოდება“ (თარგ. ვ. გაფრინდაშვილისა), „მერცხალი“ (თარგმ. მიქ. პატარიძის), „მონის სიმღერა“ (თარგმ. დავ. გაჩეჩილაძის), „ობლების დედა“, „ღარიბის გული“, „სასამართლოს წინაშე“ (თარგმ. ვ. გორგაძის), „არ დავიჯერო, არ მახსოვდეს“ (თარგ. შ. აფხაიძის), „მიმართვა“ (თარგ. ს. შანშიაშვილისა) და ა.შ.

მიუხედავად თქმულისა, ქართველთა ღვაწლი მხოლოდ მთარგმნელობითი საქმიანობით არ შემოიფარგლება, როგორც ზემოთ მივანიშნეთ, თვითონ კოსტა ხეთაგუროვს უადრესად თბილი, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა: ალ. ყაზბეგთან, დ. არაყიშვილთან, ი. გოგებაშვილთან და სხვებთან. ესენი იყვნენ ადამიანები, რომელთაც არაერთხელ უდიდესი სიკეთე გაუწევიათ ოსი ხალხისთვის. სწორედ ამიტომ, მაღლიერების გრძნობით სავსემ იკითხა კ. ხეთაგუროვმა ერთ-ერთი მათგანის, მ. ყიფიანის გარდაცვალებისას:

*„ბევრი თუ იყო, სიყვარულით მასავით სავსე
ვისაც ხალხისთვის თავდადების ჰქონდა უნარი,
თავისუფლების გულისთვის რომ იბრძოდა ასე,
ქონში ლამპარი შემოჰქონდა გაუხუნარი?“
(თარგმანი აკ. გელოვანისა)*

ქართულ-ოსურ ფუძემდებელ ლიტერატურულ ურთიერთობათა შესახებ საუბრისას მხოლოდ იმ გარემოების გახსენება რად ღირს, რომ სახელმძღვანელოების მკვეთრი დეფიციტის გამო გასული საუკუნის გარიჟრაჟზე ოსურ სკოლებში შემოღებულ იქნა იაკობ გოგებაშვილის მიერ შექმნილი რუსული ენის სახელმძღვანელო „Русское слово“ და მრ. სხვა.

ოსური მწერლობის მამამთავარი, სახალხო პოეტი და ოსური სალიტერატურო ენის ფუძემდებელი კოსტა ხეთაგუროვი გახლდათ პირველი ოსი მხატვარიც, დაზგური ფერწერის საფუძველის ჩამყრელი. იგი „დიდ ინტერესს იჩენდა უძველესი და თანამედროვე ქართული კულტურისადმი, როგორც ცნობილია, 1887 წელს მან შექმნა საქართველოში ქრისტიანობის გამავრცელებელის წმინდა ნინოს სურათი. სანამ სურათს საქართველოში ჩამოიტანდნენ, იგი გამოფენილი იყო ძაუჯიყაუში“¹ და რამდენიმე კვირის განმავლობაში მნახველი არ ელეოდა. კ. ხეთაგუროვის სახელის უკვდავსაყოფად 30-იანი წლების მეორე დეკადის დამდეგს ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით გამოიყო 75 ათასი მანეთი. იმავე წლებში პოეტის სახელი მიენიჭა ე.წ. სამხრეთ ოსეთის სამხატვრო სტუდიას, წუნარის სრულ საშუალო სკოლას და სოფელ ფრინევს.

1936 წლის მაისის ბოლოს გაზეთი („საბჭოთა ოსეთი“) კვლავ გამოეხმაურა კ. ხეთაგუროვისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოს, რომელიც გაიმართა ცხინვალის სახელმწიფო თეატრში². საღამოს აუარებელი ხალხი დაესწრო, იგი შესავალი სიტყვით გახსნა მაშინდელმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ივ. ჯიჯოევმა. პოეტის შემოქმედებაზე მოხსენებით წარსდგა საქართველოს მწერალთა კავშირის წარმომადგენელი იოსებ იმედაშვილი. სხვათა შორის, იოსებ იმედაშვილი პირადად იცნობდა კოსტა ხეთაგუროვს. მათი მეგობრული ურთიერთობა 900-იანი წლების კავკავიდან იღებს სათავეს, ხოლო კ. ხეთაგუროვის გარდაცვალების შემდეგ ი. იმედაშვილი ყოველმხრივ ცდილობს დამსახურებულ პატივი მიაგოს ოს მეგობარს. ზემოხსენებულ (გარდაცვალები-

¹ ჰ.მ. ძუცათი, კოსტა ხეთაგუროვი, თბილისი 1979, გვ. 23;

² გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1936, 25/V;

დან 30 წლისთავი) თარიღთან დაკავშირებით ცხინვალის სახელმწიფო თეატრმა დადგა ი. იმედაშვილის პიესა „კოსტა“, რომელმაც დიდი გამოხმაურება გამოიწვია.

ორი წლის შემდეგ, ცხინვალის ქართული გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“ კვლავ აღნიშნავს¹, რომ 32 წლის წინათ 1906 წლის პირველ აპრილს გარდაიცვალა კ. ხეთაგუროვი. აღნიშნული საგაზეთო მასალიდან გამომდინარე, იმავე (1938) წლის ოქტომბერში ოსი კლასიკოსის დაბადებიდან სამოცდათხუთმეტი წლის აღსანიშნავად ხელისუფლებას განზრახული აქვს ხეთაგუროვის ძეგლის დადგმა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, იმ პერიოდის იუბილეთა შორის, რომლებიც კოსტა ხეთაგუროვის ხსოვნას უძღვნა ქართველმა საზოგადოებრიობამ, გრანდიოზულობით გამოირჩევა ის მრავალმხრივი კულტურული ღონისძიებანი, რომლებიც 1939 წ. გაიმართა და კოსტას დაბადებიდან 80 წლისთავის საზეიმო აღნიშვნას მიეძღვნა.

საქართველოს მწერალთა კავშირში შეიქმნა კ. ხეთაგუროვის საიუბილეო კომისია (ა. აბაშიძე, რ. გვეტაძე, ვ. გორგაძე, კ. კალაძე, ს. ჩიქოვანი) ი. მოსაშვილის თავმჯდომარეობით. ამ ფაქტთან დაკავშირებით ქართულ ენაზე დაიბეჭდა კოსტა ხეთაგუროვის ლექსებისა და პოემების საიუბილეო კრებული, რომელშიც შევიდა: ვ. გაფრინდაშვილის, დ. კასრადის, ი. გრიშაშვილის, ს. შანშიაშვილის, შ. აფხაიძის, ი. მჭედლიშვილის და სხვათა მიერ თარგმნილი კ. ხეთაგუროვის პოეტური ნიმუშები.

განსაკუთრებით საზეიმო ვითარებაში ჩაიარა საიუბილეო დღეებმა ცხინვალში. აქ გამართული საზეიმო ღონისძიება ვრცლად გააშუქა გაზ. „ლიტერატურულმა საქართველომ“². იმავე პერიოდის „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე დაიბეჭდა პროფ. შ. გოზალიშვილის³, ვ. გორგაძის⁴ კ. ხეთაგუროვისადმი მიძღვნილი მასალები.

მსგავსად გაზ. „ლიტერატურული საქართველოსი“ გაზ. „საბჭოთა ოსეთმა“ დიდი ადგილი დაუთმო თავის ფურცლებზე დიდი ოსი მწერლის საიუბილეო მასალის პუბლიკაციას. 1939 წლის 18-19 მაისს გაზეთებში დასტამებულია ხეთაგუროვის ლექსები: „სიმღერა“ (თარგ. ვ. გორგაძისა), „განდევნილი“ (თარგ. ვ. გაფრინდაშვილისა) და ა.შ. კოსტას ლექსებია დაბეჭდილი ივლისის ნომერშიც⁵, ხოლო ოქტომბრის თვიდან ქვეყნდება ვრცელი მასალა – „დიდი სახალხო მგოსანი – კოსტა ხეთაგუროვი“⁶. მასში ძირითადი ადგილი ეთმობა ბიოგრაფიულ ცნობებს. იქვე დაბეჭდილია საინტერესო პოეტური ნიმუშები კ. ხეთაგუროვის შემოქმედებიდან, რომლებიც ქართულ ენაზე ააქლერეს შ. აფხაიძემ და ს. შანშიაშვილმა.

25 ნოემბერს (1939) ცხინვალის სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა ხეთაგუროვის, როგორც თავისუფლებისთვის მომღერალი მხატვრის, გამოფენა⁷. უნდა აღინიშნოს ერთობ საინტერესო ფაქტიც, 1939 წელსვე ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო ინსტიტუტს (რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით) მიენიჭა კოსტა ხეთაგუროვის სახელი.

ჩამოთვლილი საიუბილეო ღონისძიებების ერთგვარი დაგვირგვინება გახლდათ 1939 წლის ნოემბრის მიწურულს გამართული დასკვნითი საღამო, რომლის შესახებ გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“ წერდა: „სტალინის (ცხინვალის) სახელმწიფო თეატრში გაიხსნა საზეიმო კრება, მიძღვნილი დიდი ოსი მწერლის, ოსური ენის, ლიტერატურისა და მხატვრობის ფუძემდებლის, ნიჭიერი პუბლიცისტის, მგზნებარე რევოლუციონერ-დემოკრატის კოსტა ხეთაგუროვის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი“⁸.

¹ გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1938, 6/IV;

² გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1939, 2/XII;

³ გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1939, 20/XII;

⁴ გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1939, 14/X;

⁵ გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1939, 15/VII;

⁶ გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1939, 22/X;

⁷ გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1939, 27/XI;

⁸ გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1939, 28/XI;

სალამოზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ ყოფილი სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების პრეზიდუმის მდივანი ა. ფადეევი, აკადემიკოსი ლუპოლი, ა. მაშაშვილი (საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით), მოსენკო (უკრაინა), ვესპერი (სასომხეთი), ავრო (უზბეკეთი), კალასენოვი (კარელია), ცადასო (დაღესტანი), გოჩიევი (კალმიკის ოლქი), იანდიევი (ჩეჩნეთ-ინგუშეთი), მოციევი (ჩრდილოეთ ოსეთი).

დასასრულ გაიმართა საზეიმო კონცერტი.

მსგავსი საზეიმო განწყობილება სუფევდა კ. ხეთაგუროვისადმი მიძღვნილ საიუბილეო დღეებში საქართველოს დედაქალაქშიც. ოსი პოეტის ხსოვნის უკვდავსაყოფად შეკრებილ ინტელიგენციას უმასპინძლა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრმა 1939 წლის 29 ნოემბერს. უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი სიტყვით წარსდგნენ დამსწრე საზოგადოების წინაშე: ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ა. მირცხულავა, ს. იორდანიშვილი და სხვ.

კოსტა ხეთაგუროვისადმი მიძღვნილი საიუბილეო თარიღი ფართოდ აღინიშნა 1959 წელსაც და, საერთოდ, ქართველი საზოგადოების ინტერესი ოსი მოღვაწის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი არც მომდევნო წლებში განელებულა.

ორიოდე სიტყვით აქვე გვსურს მივანიშნოთ კ. ხეთაგუროვის პედაგოგიურ შეხედულებებზე, მის მეგობრულ ურთიერთდამოკიდებულებაზე ჩვენი ქვეყნის უდიდეს მოამაგესა და საზოგადო მოღვაწესთან იაკობ გოგებაშვილთან.

იაკობ გოგებაშვილი საკუთარ მრავალრიცხოვან წერილებში არაერთგზის საუბრობს ოსურ სკოლებში განათლების მიღების თავისებურებათა შესახებ.

კ. ხეთაგუროვი ყოველთვის უდიდესი პატივისცემით ეკიდებოდა ქართველი განმანათლებლის პედაგოგიურ შეხედულებებს და გაზ. „სევერნი კავკაზში“ აღფრთოვანებული აცნობებდა საზოგადოებას ოსურ სკოლებში ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოს დანერგვის შესახებ: „ჩრდილოეთ ოსეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთა ყრილობამ სასკოლო ცხოვრების მეტად რთული საკითხები წამოაყენა. ცოტად თუ ბევრად გამოსადეგი სახელმძღვანელოების უქონლობის გამო ყრილობამ დაადგინა, ოსურ სკოლებში შემოღებულ იქნეს ცნობილი სახელმძღვანელო რუსულის ენისა – იაკობ გოგებაშვილის „რუსსკოე სლოვო“¹.

ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს მაღალ შეფასებას აძლევდა და პრაქტიკაში მათ დანერგვას მიესალმებოდა საქართველოში განათლებამიღებულები, ქართული კულტურის მოტრფიალე, ცნობილი მოღვაწე ხ. ურუიმაგოვი. ერთ-ერთ საგაზეთო წერილში იგი წერს: „რაში უნდა ვეძებოთ იმის მიზეზი, რომ ოსი ბავშვები სწავლების ხუთწლიანი კურსის დამთავრების შემდეგ მალე ივიწყებენ რუსულ წერასა და ლაპარაკს? ვიმეორებ, შესაბამისი სახელმძღვანელოების უქონლობაში და ამის მიზეზით, უსისტემო სწავლებაში... ოსი მასწავლებლები უნდა გააცნონ ი. გოგებაშვილის ამ ძვირფას სახელმძღვანელოს და იგი უნდა დანერგონ სკოლებში“².

თვითონ იაკობ გოგებაშვილი სახალხო სკოლების მუშაობის წარმატების ერთ-ერთ ძირითად საყრდენს სწავლების დედაენაზე მოწყობაში ხედავდა³.

მას სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ღრმად და, ვფიქრობთ, სავსებით მართებულად სწამდა, რომ ნორმალური დაწყებითი განათლების მიღება მხოლოდ მშობლიურ ენაზე სწავლებით მიიღწევა. თუმცა „მოსვენებას აკარგვინებდა საქართველოსაგან რომელიმე კუთხის ჩამოცილებაზე გაფიქრებაც კი, საამჟამოზე გამოყავდა ქართველი ერის მტრები,

¹ კ. ხეთაგუროვი, საეკლესიო-სამრევლო სკოლები ოსეთში, გაზ. „სევერნი კავკაზ“, 1901, #88;

² ხ. ურუიმაგოვი, სახელმძღვანელოები ოსურ სკოლებში, გაზ. „კაზბეკი“, 1900, #717;

³ მაგალითისთვის დავასახელებდით ი. გოგებაშვილის წერილებს: „შინაური მიმოხილვა“ (1879 იანვარი), „განათლების მდგომარეობა საქართველოში 1880 წელს“, „ახალი ნაბიჯი ხალხის განათლებაში“, „შევიწროვება ქართული ენისა და ქართველებისა სწავლა-განათლების სფეროში“, „უცნაური ცვლილებები“, „ეროვნული სენის მიზეზი და წამალი“ და სხვ. იხ. ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, პროფ. გ. თავიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, ტ. II, თბილისი 1940;

რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობდნენ საქართველოს დაქუცმაცებისათვის, შუასაუკუნოვანი სეპარატისტული განწყობილების აღორძინებისათვის, მისი ეროვნული სხეულიდან სხვა და სხვა ეთნოგრაფიული ნაწილების ჩამოცილებისათვის“¹.

ი. გოგებაშვილი საქართველოში მცხოვრებ ყველა ხალხს ერთიანობისა და შეკავშირებისკენ მოუწოდებდა ყოველთვის².

ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობის გადრმავებაში შესამჩნევი კვალი დატოვა ცხინვალელმა მწერალმა დავით ელიოზიშვილმა. დ. ელიოზიშვილი აქტიურად თანამშრომლობდა თავისი დროის ქართულ პრესასთან. პირადი ნაცნობობა ჰქონდა დიდ აკაკისთან, ვაჟასთან.

დოც. ა. ცოტნიაშვილი დ. ელიოზიშვილის შესახებ წერდა: „სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ დავით ელიოზიშვილის შემოქმედებაში, სათაყვანებელ საქართველოსთან ერთად, საპატიო ადგილი უჭირავს ოსეთის თემას, იგი ოსი მწერლების ახლო მეგობარია, ხანგრძლივი დროის მანძილზე თანამშრომლობდა ოსურ პრესაში, მისი ნაწერები იბეჭდებოდა როგორც ჩრდილოეთ ოსეთის, ისე სამხრეთ ოსეთის ლიტერატურულ ჟურნალებში.

მომძე ოსი ხალხისადმი, მისი გენიალური შვილის კოსტა ხეთაგუროვისადმი გულწრფელი გრძნობებია გამონატული დავით ელიოზიშვილის ლექსში „კოსტას“³.

ოცდაათიან წლებში ცხინვალის მწერალთა განყოფილების ქართულმა სექტორმა მოისმინა ინფორმაცია დ. ელიოზიშვილის პოეტური მოღვაწეობის შესახებ. აღინიშნა, რომ პოეტის ლექსები უმრავლეს შემთხვევაში მიძღვნილი, მიმართვის ხასიათისაა რომელიმე პიროვნების, ისტორიული მოვლენის თუ სხვა რაიმე მნიშვნელოვანი ფაქტისადმი, რაც ერთგვარ პოეტურ მუხტს, პოეტურ ემოციას ადძრავს მასში.

აქვე უნდა ითქვას, რომ ცხინვალელი შემოქმედის პოეტური ნიმუშები „პირველი მაისი“, „შემოდგომა“, „გაზაფხული“, „გიგლას სიმღერა“ დაიბეჭდა 1921 წ. გამოცემულ კრებულში „შემოდგომა“. აქედან, ლექსი „პირველი მაისი“ შეტანილია 1945 წელს გამოცემულ „დედა ენის“ მეორე ნაწილში, ხოლო ლექსი „შემოდგომა“ შეტანილია ზოგიერთ საბავშვო სახელმძღვანელოში.

კ. ხეთაგუროვის ლიტერატურულ თანამებრძოლთა და ტრადიციების განმვრცობთა შორის XX საუკუნის დასაწყისიდან შეიძლება დავასახელოთ ქართული მზით ნასაზრდოები ოსი მწერლები და პოეტები: სეკა გადიათი⁴, ასლამირზა ყაითმაზთი⁵, სოზირიყო ყულათი⁶, ცომაყ გადიათი¹, არსენ ქოცოითი², ჩერმენ ბეჯიზათი³ და სხვ.

¹ კ. ტოტოჩავა, იაკობ გოგებაშვილი საქართველოს ერთიანობის შესახებ, გაზ. „განათლება“, 1994, #6, გვ. 1;

² უ. ბლაგაძე, ოჯახის აღმზრდელობითი ფუნქციის პრობლემა იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში, თბილისი 1990, გვ. 16;

³ 203. ა. ცოტნიაშვილი, ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, ცხინვალი 1968, გვ. 179;

⁴ ოსი პოეტი, პროზაიკოსი, ოსური მხატვრული პროზის ერთ-ერთი ფუძემდებელი სეკა გადიათი დაიბადა 1855 წელს სოფ. განისში (ყუდის ხეობაში). 18 წლისა იყო ქართველმა მღვდელმა წერა-კითხვა რომ ასწავლა. მას სასულიერო განათლება თბილისში მიუღია, რის შემდეგაც 10 წლის განმავლობაში ყუდის ეკლესიაში მსახურობდა. 1882 წლიდან გადასახლებულა ჩრდილოეთ ოსეთში. ლექსებისა და მოთხრობების წერა 1880-იან წლებში დაიწყო. ს. გადიათის ლექსების პირველი კრებული „ოსი მწყემსი“ 1905 წელს გამოიცა მთიელთა ღუბუჩი ცხოვრება მთელი სიმძაფრითაა ასახული მის პოემაში „მარტოსული“. იგი წერდა მოთხრობებს, დრამატულ ნაწარმოებებს, ლექსებს. ხალხური ზეპირსიტყვიერებით ნასაზრდოები მისი ნაწარმოებები დიდი პოპულარობით სარგებლობდა ოს ხალხში. გარდაიცვალა 1915 წელს(ოსური მწერლობის ანთოლოგია, შემდგენლები: ნაირა ბეპიევი, ნაფი ჯუსოითი, მერი ცხოვრებოვა, თბილისი 2007, გვ. 225);

⁵ პოეტი და მთარგმნელი ასლამირზა ყაითმაზთი დაიბადა 1866 წელს მაღალმთიან სოფ. ზარამაგში, ალაგირის ხეობაში. გორის სამასწავლებლო სემინარიის დამთავრების შემდეგ იგი მასწავლებლად მუშაობდა ზარამაგში, ლაბაში, არმავირში, ყაბარდოს სოფლებში. ახლოს იცნობდა კოსტა ხეთაგუროვს. ა. ყაითმაზთი იყო ერთ-ერთი პირველი შემკრები ოსური ხალხური შემოქმედების ნიმუშებისა. მისი ლექსები პოეტის სიცოცხლეშივე იქცა ოსი ხალხის საყვარელ სიმღერებად. ა. ყაითმაზთის ლექსების კრებული გამოიცა 1961 წელს. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1925 წლის 25 იანვარს (ოსური მწერლობის ანთოლოგია, შემდგენლები: ნაირა ბეპიევი, ნაფი ჯუსოითი, მერი ცხოვრებოვა, თბილისი 2007, გვ. 226);

⁶ დაიბადა 1900 წელს ჯავის რაიონის სოფ. ზღუბირში. ობოლი სოზირიყო ყულათი ბიძამ გორის სასულიერო

ც. გადიევსა და ა. ქოცოევს ოსური კულტურული ცხოვრების განვითარებაში თავისი მოკრძალებული წვლილი შექჷონდათ იმ პერიოდის პრესაში⁴ გამოქვეყნებული საკუთარი პოეტური ქმნილებებით.

ამ პერიოდში ოს მოღვაწეთა შორის საგულისხმო ადგილი უკავია ჩ. ბეჯიზათს, იგი დაიბადა 1898 წელს სოფ. ედისაში (ჯავის რ-ნი) და მოიაზრება, როგორც ოსური მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. სწავლობს ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში. შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში(1914-1917). 20-იანი წლებიდან გამოდის შემოქმედებით ასპარეზზე და პრესაში იწყებს მოთხრობების, ლექსებისა და ნარკვევების გამოქვეყნებას. „1933 წელს გამოსცა ლექსების პირველი კრებული „ხმალამოწვდილი“. ავტორია მოთხრობებისა „მგლები“, „კომკების დადადისი“(1934), „სამი შემოხედა“(1935), „გრიგალმა გადატეხა ტირიფი“(1936) და სხვ. დაუმთავრებელი დარჩა რომანი „სხვა გზა არ არის“, ქართული ორი მოთხრობა გამოქვეყნდა „ოსური პროზის ანთოლოგიაში“(1957), ხოლო ცალკე გამოიცა მოთხრობა „კომკების მხარე“(1971)⁵.

ჩერმენ ბეჯიზათის შესახებ მნიშვნელოვანი ნაშრომი შექმნა ოსმა მწერალმა ჰაჯი-მურად ძუწათმა⁶.

ჩერმენ ბეჯიზათი თითქმის ერთნაირი წარმატებით მოღვაწეობს როგორც სამწერლო, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე. იგი გახლდათ ნიჭიერი პროზაიკოსი, დრამატურგი, პოეტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი. სხვადასხვა დროს მუშაობდა გაზეთ „ხურზარინის“ რედაქტორად, ცხინვალის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად, საქართველოს მწერალთა კავშირის ე.წ. სამხრეთ ოსეთის განყოფილების მდივნად, ჟურნალ „ფიდიუაგის“ რედაქტორად.

გიმნაზიაში მიაბარა, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ცხინვალში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. რედაქტორობდა ჟურნალ „ფიდიუაგს“. წერდა მოთხრობებს, ნოველებს, პუბლიცისტურ ნაწარმოებებს. უმაღლესი განათლება ს. ყულათიმ მიიღო მოსკოვში. 1928-1929 წლებში გამოიცა მისი ნაწარმოებების ორი წიგნი. 1936 წელს გამოიცა მისი რჩეული ნაწარმოებები. ყულათის პიესებს ხშირად დგამდნენ ოსური თეატრის სცენაზე. იგი 1937 წელს რეპრესიებს შეეწირა (ოსური მწერლობის ანთოლოგია, შემდგენლები: ნაირა ბეპიევი, ნაფი ჯუსოითი, მერი ცხოვრებოვა, თბილისი 2007, გვ. 232);

¹ პოეტი, დრამატურგი, პროზაიკოსი, მთარგმნელი და ლიტერატურათმცოდნე სეკა გადიათის შვილი ცომაყ გადიათი დაიბადა 1882 წელს ყუდის ხეობის სოფელ განისში. ბავშვობა გაატარა ჩრდილოეთ ოსეთში, სადაც მისი ოჯახი გადასახლდა 1889 წელს. დაამთავრა ტარტუს უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1906-1907 წლებში მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში. 1910 წელს იგი დაუპატიმრებიათ და მუდმივი გადასახლება მიუსჯიათ ციმბირში. იქაც განაგრძობდა ლიტერატურულ მოღვაწეობას. დაბრუნდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ. ცომაყ გადიათმა დიდი როლი შეასრულა ოსური მხატვრული ლიტერატურის განვითარებაში. გარდაიცვალა 1931 წლის 24 ოქტომბერს (ოსური მწერლობის ანთოლოგია, შემდგენლები: ნაირა ბეპიევი, ნაფი ჯუსოითი, მერი ცხოვრებოვა, თბილისი 2007, გვ. 227);

² ოსური პროზის ფუძემდებელი, პოეტი, დრამატურგი და პუბლიცისტი არსენ ქოცოითი დაიბადა 1872 წლის 16 იანვარს სოფელ გიზელში. 1923 წელს იგი ცხინვალშია. სწორედ მისი დიდი შრომის შედეგად დაარსდა ჟურნალი „ფიდიუაგი“ 1927 წელს, იყო ამ ჟურნალის პირველი რედაქტორი. 1919 წლიდან ბრუნდება ვლადიკავკაზში და ეწევა ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას. ა. ქოცოითის ნაწარმოებები რამდენჯერმე გამოიცა ცალკე წიგნად. 1971 წელს დაიბეჭდა ნაწარმოებების ორტომეული. გარდაიცვალა 1944 წლის 4 თებერვალს (ოსური მწერლობის ანთოლოგია, შემდგენლები: ნაირა ბეპიევი, ნაფი ჯუსოითი, მერი ცხოვრებოვა, თბილისი 2007, გვ. 226);

³ ჩერმენ ბეჯიზათი დაიბადა 1898 წელს ჯავის რაიონის სოფ. ედისში. ლექსების წერა ადრეულ ასაკში დაიწყო. სხვადასხვა დროს გამოიცა მისი ნაწარმოებების კრებულები: „ამოდებული ხმალი“(1935), მოთხრობები, ნოველები (1934) და სხვ. ჩ. ბეჯიზათის პიესები: „ვინ-ვის“ და „შრიალებენ დროშები“ წარმატებით იდგმებოდა ოსური თეატრის სცენაზე. იგი 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი გახდა(ოსური მწერლობის ანთოლოგია, შემდგენლები: ნაირა ბეპიევი, ნაფი ჯუსოითი, მერი ცხოვრებოვა, თბილისი 2007, გვ. 231);

⁴ მხედველობაში გვაქვს გაზეთები „ნოგ ცარდი“ (ოსურ ენაზე), „კავკაზი“, „ტიფლისკი ლისტოკი“ და სხვ.

⁵ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი 1977, ტ. II, გვ. 351-352;

⁶ იხ. ჰ.მ. ძუწათი, ჩერმენ ბეჯიზათის შემოქმედება, ცხინვალი 1967;

„საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1934 წელს მოსკოვში გამართულ მწერალთა საკავშირო ყრილობაზე საქართველოს დელეგაციაში იყო ჩერმენ ბეგიზოვიც. შემდეგში ჩერმენი არაერთ მოგონებაში ყვებოდა ქართველ მწერლებთან გატარებულ დღეებზე. რამდენიმე ლექსიც მიუძღვნა მოსკოვურ დღეებს“¹.

აქვე დავსძენთ, ჩ. ბუჯიზათს ჯერ კიდევ თბილისის სასულიერო სემინარიიდან საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდა გ. ლეონიძესთან.

სამწუხაროდ, ჩერმენ ბუჯიზათი ახალგაზრდა, 39 წლის ასაკში შეიწირა 30-იანი წლების ტრაგედიაში.

რაც შეეხება ოს პოეტს მისოსთ ყამბერდიევს – „მან მეტეორივით გაიბრწყინა ჩვენი ლიტერატურის ცაზე, მაგრამ ნათელი კვალი დატოვა, ლექსების ერთადერთ კრებულს მან „ცისარტყელა“ უწოდა... მისი პოეზიისათვის უცხოა შიშველი რიტორიკა, მან იცოდა თავისი აზრებისა და განცდების ხატოვნად, კონკრეტული სახეებით გადმოცემა. ის ინტონაციის პოეტი იყო...“²

ქართულ-ოსურ კულტურულ ურთიერთობათა კეთილი დამოკიდებულების განმტკიცების საქმეში წინგადადგმული ნაბიჯია ნ. ბეპიევის, ნ. ჯუსოითის და მ. ცხოვრებოვას მიერ შედგენილი „ოსური მწერლობის ანთოლოგია“ (თბილისი 2007), რომლის წინასიტყვაობაში ნ. ჯუსოითი წერს: „ადრე თუ გვიან უნდა მოვაგვაროთ ჩვენი ურთიერთობა და ამ საქმეში ლიტერატურის, ხელოვნების მუშაკებზე და მათ სიტყვაზე ბევრი რამაა დამოკიდებული“³.

ზემოთ ჩვენ ვისაუბრეთ საუკუნის დამდეგის ქართულ-ოსურ ლიტერატურულ-კულტურულ ურთიერთობებში მიმდინარე საგულისხმო პროცესებზე. ხაზი გავუსვით საინტერესო მტრინებს ამ პერიოდის მოღვაწეთა ცხოვრებიდან. რაც შეეხება მომდევნო პერიოდს, შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება სრულიად ახალი საფეხური ქართულ-ოსური ლიტერატურულ-კულტურული განვითარების ისტორიაში. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის სრულიად ახალი შეხედულებების და ახალი გემოვნების მქონე თაობა. ამ თაობაში ჩვენ ძირითადად ვგულისხმობთ: ვ. ძუგაევს, კ. ფარნიევს, დ. მამსუროვს, გ. ფლიევს და სხვ.

1918 წლის 1 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მიერ ჩრდილოეთ ოსეთის მასწავლებელთა საბჭოსადმი გაგზავნილი წერილიდან მოხმობილი სტრიქონით გვინდა დავასრულოთ: „მომავალი კიდევ მეტად ავალდებულებს ორივე ხალხს მჭიდრო ერთიანობისა და კულტურული თანამშრომლობისათვის“⁴.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზ. „დროება“, 1884, №166;
2. ჟურნ. „მნათობი“, 1924, №2;
3. გაზ. „დროება“, 1876, №126;
4. ა. სონდულაშვილი, „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?!, თბილისი 2009;
5. О. Евецкий, Статистическое описание Закавказского края, Санкт-Петербург 1835;
6. П. Надеждин, Опыт географии Кавказского края, Тула 1891;
7. ჟურნ. „მნათობი“, 1924, №2, გვ. 160;
8. მ. ტყავაშვილი, ქსნის ერისთავების მამულების საკითხი დოსითეოს ფიცხელაურის „ოსეთის სასულიერო კომისიის“ პროექტში, კრებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები (ა. სონდულაშვილის რედ.), №2, თბილისი 2009;

¹ გაზ. „ცხინვალის მაცნე“, 2000, #5;

² ოსური პოეზიის ანთოლოგია, თბილისი 1957, გვ. 350;

³ ოსური მწერლობის ანთოლოგია, შემდგენლები: ნაირა ბეპიევი, ნაფი ჯუსოითი, მერი ცხოვრებოვა, თბილისი 2007, გვ. 4;

⁴ გაზ. „შიდა ქართლი“, 1999, #303;

9. ე. ბუბულაშვილი, „ოსეთის სასულიერო კომისიის“ მოღვაწეობის ისტორიიდან, კრებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები (ა. სონდულაშვილის რედ.), №2, თბილისი 2007;
10. ნ. ბეპიევი, მ. ცხოვრებოვა, ოსური ზეპირსიტყვიერება, თბილისი 2005;
11. ნ. ბეპიევი, ნ. პოპიაშვილი, ოსური თქმულებები, თბილისი 2009;
12. ც. თინიკაშვილი, მენ უფრო მშვიდი და ლაღი ხარ ზღვაო, გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1980, #10, (12279);
13. თ. მამსუროვი, ოსური სიმღერები (მთარგმნ. ნ. ბეპიევი, რედაქტ. ნ. ჯუსოითი, ნ. პოპიაშვილი), თბილისი 2007;
14. Айдамиров Абузар, Долгие ночи, [http: Zhaima.com/history/](http://Zhaima.com/history/) Сетевая версия.
15. ი. აღიმბარაშვილი, თურქი გენერალი ქართველი ემიგრანტის თვალთ (ჩრდილო კავკასიელი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან XIX საუკუნეში), გორის სს უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია „ქართულ-თურქული ურთიერთობები“ თბილისი 2014.
16. ს. ჭილაია, წინაპრები და მეგობრები, თბილისი 1964;
17. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. XI, თბილისი 1987;
18. ა. ცოტნიაშვილი, ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, ცხინვალი 1968;
19. ა. ცოტნიაშვილი, მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული პერიოდიკა ქართულ-ოსური ურთიერთობის შესახებ, ცხინვალი 1990;
20. გაზ. „ივერია“, 1891, #53;
21. ჟურნ. „აკაკის თვიური კრებული“, 1899, #1, 5, 6, 9;
22. აღ. კალანდაძე, ცეკვა ხანჯლებით, თბილისი 1988;
23. მ. გოზალიშვილი, კოსტა ხეთაგუროვი, სტალინირი (ცხინვალი) 1960;
24. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1936, 18/V;
25. ჰ.მ. ძუცათი, კოსტა ხეთაგუროვი, თბილისი 1979;
26. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1936, 25/V;
27. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1938, 6/IV;
28. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1939, 2/XII;
29. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1939, 20/XII;
30. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1939, 14/X;
31. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1939, 15/VII;
32. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1939, 22/X;
33. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1939, 27/XI;
34. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1939, 28/XI;
35. კ. ხეთაგუროვი, საეკლესიო-სამრევლო სკოლები ოსეთში, გაზ. „სევერნი კავკაზ“, 1901, #88;
36. ნ. ურუიმაგოვი, სახელმძღვანელოები ოსურ სკოლებში, გაზ. „კაზბეკი“, 1900, #717;
37. ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, პროფ. გ. თავზიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, ტ. II, თბილისი 1940;
38. კ. ტოტოჩავა, იაკობ გოგებაშვილი საქართველოს ერთიანობის შესახებ, გაზ. „განათლება“, 1994, #6;
39. უ. ბლაგაძე, ოჯახის აღმზრდელობითი ფუნქციის პრობლემა იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში, თბილისი 1990;
40. ოსური მწერლობის ანთოლოგია, შემდგენლები: ნაირა ბეპიევი, ნაფი ჯუსოითი, მერი ცხოვრებოვა, თბილისი 2007;
41. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი 1977, ტ. II;
42. ჰ.მ. ძუცათი, ჩერმენ ბეჯიზათის შემოქმედება, ცხინვალი 1967;

43. გაზ. „ცხინვალის მაცნე“, 2000, #5;
44. ოსური პოეზიის ანთოლოგია, თბილისი 1957;
45. გაზ. „შიდა ქართლი“, 1999, #303;

Aleksandre Mghebrishvili
Doctor of Philological Sciences,
Gori State University
Deputy Rector, Professor,
Gori, Georgia

**OSSETIAN CONSTELLATION IN GEORGIAN-OSSETIAN LITERATURE
AND IN CULTURAL RELATIONS
(in the second half of the 19th century and the first decades of the 20th century)**

Abstract

The historical past of the Tskhinvali region is mostly connected with the family house of Machabeli. This place, in a certain period, represented a kind of center.

In the wake of Tsarist Russia setting foot in Georgia, the Ossetian element gradually becomes organic to Tskhinvali and its surroundings. Georgian, was the main spoken and communication language in Tskhinvali and it was respected by the local population.

Along with language, the issue of faith was of particular importance. If the Georgian language was popular among the Ossetians who settled in the territory of Georgia, it is difficult to say the same about the Ossetians who settled from the mountains of the North Caucasus, and it is also difficult to spread the Christian faith among them. In order to solve such problems and at the same time to spread its political influence on the North Caucasians, such strategies as military and migration policy, which were used with special instruments from the operational arsenal of the Tsar's Russia, were again added to missionary activity from the first years of the 19th century. We are referring to the fact of restoration of the "Ossetian Theological Commission" since 1814 based on the project of Gori Archbishop Dositheos Pitskhelauri.

"Who knows what kind of battle the Ossetian people have had to fight against the thunderstorms?" but the Ossetian people did not give up. Their talent was developed in folklore, in particular, in the epic of Narthebi, where the knightly soul and the traditions of the people is vividly seen." (Ts. Tinikashvili, Sea, you are lighter and more pleasant sea, Newspaper "Sabchota Oseti (Soviet Ossetia)", 1980, #10, (12279);

As is known, the first poem that was written in the Ossetian language, was in the second half of the 19th century. The author of these first poetic samples is Temirbolat Mamsurov.

It is significant that Temirbolat Mamsurov has been traveling to Turkey since 1865 with the support of his uncle (mother's brother), General Musa Kundukhov.

In the current period, the famous writer and public figure – Kosta Khetagurov makes a significant contribution to the development of the relations and cultural values of the Georgian and Ossetian people. His and other famous Georgian figures' promotion of warm, friendly relations fills the palette of Georgian-Ossetian cultural relations with bright colors.

He has the same place in the spiritual life of the Ossetian people as Ilia Chavchavadze and Akaki Tsereteli in Georgia. K. Khetagurov is related to the famous generation of Ilia with his spiritual intentions, humanism and patriotism. The Ossetian people were very careful about the traditions of their famous classicist.

The Georgian press of the end of the 19th century showed great attention and warmth in evaluating the Georgian-Ossetian relationship.

Georgian readers were always interested in Kosta Khetagurov's work. That is why at different times, many Georgian writers and figures were busy translating his works into Georgian language.

Tskhinvali writer Davit Elioizishvili left a noticeable mark in the deepening of Georgian-Ossetian literary relations. Davit Elioizishvili's poem "Kosta" expresses sincere feelings towards his brotherly Ossetian people, towards their genius son, Kosta Khetagurov.

Among K. Khetagurov's literary comrades and spreaders of traditions from the beginning of the 20th century, we can name Ossetian writers and poets: Seka Gadiati, Aslamirza Kaitmazti, Sozirizo Kulati, Tsomak Gadiati, Arsen Kotsoiti, Chermen Bejizati and others.

Ts. Gadiev and A. Kotsoev made a modest contribution to the development of Ossetian cultural life with their own poetic creations published in the press of that time.

During this period, Ch. Bejizati, about whom the Ossetian writer Haji-Murad Dzuzati wrote an important work.

Chermen Bejizati's works had almost equal success both in the literary and public spheres. He was a talented prose writer, playwright, poet, publicist, translator. At different times, he worked as an editor of "Khurzarin" newspaper, director of Tskhinvali Scientific Research Institute, so-called member of the Writers' Union of Georgia. As the secretary of the South Ossetia department, editor of the "Fidiuga" magazine.

As for Ossetian poet Misost Kamberdiyev – he shone like a meteor in the sky of our literature, but left a clear trace...

Above we talked about the significant processes taking place in Georgian-Ossetian literary-cultural relations at the end of the century. We have highlighted interesting features from the life of the figures of this period. As for the next period, it can be said that from the 30s of the 20th century, a completely new stage in the history of Georgian-Ossetian literary-cultural development begins. A generation with completely new views and new tastes is emerging in the official arena. In this category we mainly mean: V. Dzugaev, K. Parniev, D. Mamsurov, G. Pliev et al.

Keywords: Ossetian, poet, Misost Kamberdiyev, Georgian-Ossetian literary-cultural development.

Плиева Лана Т.
Владикавказ, СОШ № 7
Владикавказ, Россия

МАМСЫРАТЫ ТЕМЫРБОЛАТ – ФЫЦЦАГ ИРОН ПРОФЕССИОНАЛОН ПОЭТ, ИРОН АИВ ДЗЫРДЫ ДÆСНЫ, ЙÆ АИВАДОН ÆНКЪАРÆНТЫ ХИЦÆНДЗИНÆДТÆ

Райгуырæн бæстæ зынаргъ кæй у, уый алчидæр зоны, фæлæ дзы адæймаг куы фæхицæн вæййы, уæд ын йе`цæг аргъ базоны. Ирон адæмы царды дæр уыд ахæм историон цау. Уый уыди ирон адæмы трагеди. Бирæ зындзинæдтæ бавзæрстой фæндагыл, тынг фæсмон кодтой сæ балцыл, кæй ныууагътой сæ зæхх, сæ бæстæ æмæ ацыдысты ног цард, ног амонд агурæг.

Уыцы лигъдæттимæ уыдис сомбоны поэт Мамсыраты Темырболат дæр.

Райгуырд 1845 азы Джызæлдоны былыл, Осмæны хъæуы. Йæ фыд Осман хъæздыг, фæрæзджын лæг уыдис, æлдарыл æй нымадтой йæ рæстæджы. Осман дæргъæвсаг уыд, фæлæ йын инæлар Ермолов зæххы хай радта Джызæлмæ хæстæг æмæ Дæргъæвсæй уырдам ралыгъд цæрынмæ, йемæ ракодта йæ дæлбар адæмы дæр. 1855 азы Темырболаты радтой Бетьырбухы кадеты корпусмæ æмæ рацыд кæстæр афицерæй. Уыцы аз бацыд Чугуевы горæты бæхджын æфсадмæ æмæ фæслужбæ кодта 1865 азмæ, стæй йæ ныууагъта, уымæн æмæ паддзахы инæлар Къуындыхаты Муссæ агитаци кодта ирон æмæ Цæгат

Кавказы хæххон адæмты дæр, цæмæй сæ райгуырæн уæзæг ныууадзой æмæ Туркмæ, «се 'мдингæнæг æфсымæртæм» алидзой. Муссæ уыд Темырболатæн йæ мады`фсымæр. Уый аххосæй йæ мад æмæ дыууæ`фсымæримæ æвæндонæй алыгъд Туркмæ, фæлæ йын кæйдæр зæххыл цард ад нал скодта. Йæ цардæй ахицæн 1899 азы.

Куыд цард Темырболат Турчы, цы куыста, цæмæй дардта йæхи, йæ бинонты? Тынг цымыдисаг фарстатæ сты, фæлæ сын дзуапп нырма дæр нæма ис. Æрмæстдæр бæрæг у уый, æмæ йæхи дардта зæххы куыстæй, цард, хуымæтæг ирон адæм куыд цардысты, афтæ. Фæлæ иу миниуæгæй уыдонæй хицæн кодта. Бауарзта ирон хъисфæндырæй цæгъдын æмæ-иу йæ зарæджы ныхæсты мысыд йæ райгуырæн Ирыстоны зæхх, йæ ирон дзыллæйы.

Цæмæн хонæм Темырболаты фыццаг профессионалон поэт? Кæд йæ размæ фысджытæ уыд, зæгъæм, Колыты Аксо, фыста дини`взагыл,

Æгъуызаты Иуане фыста гуырдыаг æвзагыл, фæлæ Темырболат та фыста сыгъдæг ирон æвзагыл, равдыста йе`мдзæвгæты йæ маст, йæ зын, кæй фæхицæн Ирыстонæй. Мамсыраты Темырболат уыд стыр æрдзон курдиат æмæ зонды хицау, æцæг патриот. Уый уыд ирон аив дзырды фыццаг дæсны.

Цард тынг диссаг у. Истори къухæй фыст куы нæ æрцæуа, уæд йæ сусæгдзинæдтæ зын раргомгæнæн сты æмæ афтæмæй тархæды хуызæнæй баззайы адæмы зæрдæты. Мамсыраты Темырболат дæр цас сусæгдзинæдтæ фæхаста йемæ йе 'нусон бынатмæ. Ныр æй зæрдиагæй фæмысæм, фæлæ æцæгæй чи уыдис, цы уыдис? Æнæнымæц фарстатæ, æнæнымæц æмбæхст хъуыдытæ. Темырболат... йæ диссаджы ныхæстæ – «уæ нæ хæхтæ, нæ бæстæ, куыд ма цæрæм уæ фæстæ!»

Цымæ кæд ныффыста ацы диссаджы хъуыдытæ? Кæм сæ фыста: йæ райгуырæн Ирыстоны æви æцæгæлон бæсты, Турчы? «Къостайы загъдау, цырагъдарæй фæхатти Темырболат йæ „адджын бæстæн“ æмæ зæрдæйы цырагъ, йæ поэзийы рухс махмæ Анатолийы сыгъд быдыртæй куыд æрхæццæ, афтæ хуысгæ дæр никуы акæндзæн, цалынмæ ирон æвзагыл дзурæг уа, уæдмæ»

Ирыстон æмæ ирон адæмæй æнæрæвдыд кæй баззад, уый зæгъын фæг нæу — зонгæ дæр æрæгмæ куы бакодтой ирон адæм, сæ фыццаг поэт кæй уыд, уый. Йе 'мдзæвгæтæ Туркæй Ирыстонмæ раджы æрхæццæ сты, фæлæ сын сæ авторы ничи зыдта. Йæ иу æмдзæвгæ «Сагъæстæ» йын нымадтой адæмон зарæгыл. 1881 азы йæ Всеволод Миллер йæ чиныг «Осетинские этюды»-мæ дæр бахаста. Зарæгæн йæ мидисмæ гæсгæ, ахуырдынад цы ирæттæм уыд, уыдонæй бирæтæ хъуыды кодтой, йæ автор инæлар Къуындыхаты Муссæ кæй у. Фæлæ 1922 азы Дзæуджыхъæумæ æрцыд Муссæйы фырт, Советон Уæрæсеимæ цæдис скæныны фæдыл Турчы миссийы сæрдар Къуындыхаты Бечырби (Бекир-Бей-Сами) æмæ загъта, зæгъгæ, «Сагъæстæ» у йæ фыды хойы лæппу Мамсыраты Темырболаты фыст. Бечырби ма йемæ æрхаста Темырболаты иннæ æмдзæвгæтæй дæр цалдæр. Мыхуыр уыдысты французаг дамгъæтæй. Хъаныхъуаты Иналыхъ сæ рафыста уырдыгæй æмæ сын сæ къопи радта Æлборты Барысбийæн. 1926 азы Барысби ныффыста чиныг Темырболаты тыххæй — «Первый осетинский поэт Темирболат Османович Мамсуров». Фæстæдæр, 1946 азы, Темырболаты æмдзæвгæтæ фыццаг хатт хицæн чиныгæй рацыдысты уырыссагау Хуссар Ирыстоны чингуыты рауагъдады, Гегелашвилиийы тæлмацæй, чиныгæн разныхас ныффыста Биазырты Алыксандр. Нæ фыццаг поэты уацмыстæ мадæлон æвзагыл иууыл-иумæ æмбырдæй фæзындысты æрмæстдæр 1965 азы, Цхинвалы, «Ирон зарджытæ», зæгъгæ. Чиныг мыхуырмæ бацæттæ кодта, разныхас æмæ йын фиппаинæгтæ ныффыста Джусойты Нафи.

დაწერილში სხვადასხვა ქონების შეძენისას, რომელთა შორის უმეტესი ნაწილი შეეხება: ყანის, სხვადასხვა მდგომრეობაში არსებული მიწის, და ყმა-გლეხების შესყიდვას, უმეტეს წილად სყიდვის დროს, მონასტრის წინამძღვრის მიერ საფასურის სახით გადახდილია: ხარი, ძროხა, სახნისი, ცხენი და ჯორი. ამსთანავე. სხვადასხვა სასოფლო დანიშნულების იარაღი, სურსათი, თანხა და სხვა. ყველაზე ხშირად 16-ჯერ მოხსენიებულია ხარი. ეს ფაქტი შესაძლოა მიგვითითებდეს იმაზე, რომ მოცემულ რეგიონში სოფლის მეურნეობის დარგებიდან შედარებით უკეთ განვითარებულია მეცხოველეობა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბუთში საკმაოდ ხშირად, 12 ჯერ, ნახსენებია სახნისით ქონების შეძენა. იგი მიგვითითებს მოცემულ რეგიონში მემინდვრეობის, როგორც სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგის დაწინაურებულ მდგომარეობაზე. მიწის დამუშავებისათვის, რა თქმა უნდა, აუცილებელი სახსარია ხარი და სახნისი, რადგან მათ გარეშე მიწის შესაბამისი კულტივაცია შეუძლებელი იქნებოდა. ვფიქრობ სწორედ ამიტომ არის, რომ ხშირად მიწის ან ყანის შეძენისას ხარი და სახნისი ერთდროულად არის ნახსენები. „მიწაი ა და მისთვის მივეც ჰარი ა საჭნისი ა“, მივეც ჰარი ა საჭნისი ა“² ეს და სხვა მაგალითები ამასთანავე ასახავს მონასტრის განვითარებულ სამეურნეო ორგანიზაციასა და მის მატერიალურ შესაძებლობებს.

მ. ბერძნიშვილის ვარაუდით, საბუთში სყიდვის დროს, მრავლად მოხსენიებული რკინის იარაღებისა და ნივთების, ასევე მათი დამზადებისათვის საჭირო რკინის ნედლეულის მოხსენიება გვაფიქრებინებს, რომ მონასტრის ხელი მიუწვდებოდა იმ დროისათვის წედისში არსებულ რკინის საბადოებზე და ასევე მას ჰყავდა რკინის ნივთების, ამ შემთხვევაში სახნისის, დამზადების მცოდნე ხელოსანი.³ ცხადია, რომ მონასტრის ერთობაში აუცილებლად იქნებოდნენ სხვადასხვა ხელსონური დარგის ოსტატები, რადგან მათ გარეშე აღმშენებლობით საქმიანობის წარმოება შეუძლებელი იქნებოდა. საბუთში კი გარკვევით ჩანს, წინამძღვრის მიერ სხვადასხვა, საკმაოდ ფართო, აღმშენებლობითი საქმიანობა, რომელიც შეეხება ხით-ხურობას. აღნიშნულ პერიოდში უმეტესი მათგანის სულ მუდამ დაქირავება რთული იქნებოდა მონასტრისთვის. მაგარმ ამ შემთხვევაში მონასტრის საკუთრებაში რკინის მადნის საბადოების არსებობა და მისი აქტიური გამოყენების საკითხი, შესაბამისი ინფორმაციის სიმწირის გამო ცოტა საეჭვოა.

საბუთში მოცემული ქონების შეძენისას გადახდილი სხვადასხვა ნატურალური საქონლის, ფასების ერთად დაანგარიშება, დაგვანახებს მონასტრის არასრულ ქონებრივ მდგომარეობას, დროის ერთ გარკვეულ მონაკვეთში.

მოცემულ ეპოქაში ხარის ფასი საშალოდ 2-3 ოქროს მონეტა (პერპერა/დინარი/დრაჰკანი) ღირდა.⁴ აქედან გამომდინარე მონასტრისთვის ქონების შეძენისას 32-48 ოქროს მონეტის ფასის ტოლი პირუტყვის სახით მხოლოდ, ხარი გაუციათ. XI საუკუნეში სახნისის ფასი, რომელიც სახვნელი იარაღის მთავრ დეტალს წამოადგენდა, 2 დრაჰკანამდე უნდა ყოფილიყო.⁵ საბუთში წარმოდგენილი სყიდვის აქტში სახნისი ნახსენებია 12-ჯერ, რაც გვიჩვენებს, რომ საერთო ჯამში სხვადასხვა ქონების დაუფლებისთვის 24 დრაჰკანის ღირებულების, მხოლოდ სახვნელი იარაღისათვის აუცილებელი, რკინის დეტალი იქნა გადახდილი. ამასთანავე, მონასტრის წინამძღვრის მიერ სხვა ნივთებთან ერთად ხარის გარდა, ნახსენებია ძროხის და ფურის გადახდა. საბუთში 13-ჯერ გვხვდება ძროხის, მათ შორის, ფურის მოხსენიება. ხარ-კამეჩთან შედარებით ძროხის ფასი

¹ ნ. მოშიაშვილი, ქართული ისტორიული საბუთების კორპისი, I. თბ. 1984, გვ. 39.

² ნ. მოშიაშვილი, ქართული ისტორიული საბუთების კორპისი, I. თბ. 1984, გვ. 41.

³ მ. ბერძნიშვილი, ნიკორწმინდის „დაწერილი“ მე-11-ტე საუკუნისა, როგორც საისტორიო წყარო, თბ. 1952, გვ. 120.

⁴ ა. თაბუაშვილი, ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში (X-XVIII სს), თბ. 2019, გვ. 125.

⁵ ა. თაბუაშვილი, ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში (X-XVIII სს), თბ. 2019, გვ. 85.

აღნიშნულ ეპოქაში ორჯერ დაბალი იყო, რაც 1-1,5 დრაჰკანს მოიცავდა.¹ ცამეტი სული ძროხის შემთხვევაში მათი საერთო ღირებულება შესაძლებელია 13-19.5 დრაჰკანამდე ყოფილიყო. მათ შორის მოხსენიებული რამოდენიმე ფურის გათვალისწინებით მათი საერთო ფასი კიდევ უფრო დაბალი იქნებოდა.

ფეოდალურ ეპოქაში შემოსავლების მთავარ ეკონომიკურ წყაროს წარმოადგენდა მიწის ფართობი, რომელიც შეადგენდა სახასო მამულებსა და ფეოდალთა ზვარ-ხოდაბუნებს. ასევე მათი ნაწილი საგლეხო ფუძეზე იყო გადანაწილებული. მიწის დამუშავება და მისგან შესაბამისი მატერიალური სარგებლის მიღება კი გლეხების საშუალებით ხდებოდა. ფეოდალთა სისხლის ფასს, სახელმწიფო თანამდებობას, სოციალურ სტატუსს უმეტეს შემთხვევაში მათი ყმა-გლეხების რაოდენობა და შესაბამისი ქონებრივი მდგომარეობა განსაზღვრავდა. მათი სოციალური სტატუსი და სისხლის ფასი მცირდებოდა ფეოდალური ოჯახის გაყოფის შემდგომ.² ეს ყოველივე კი მიგვიტოვებს თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ფეოდალურ ეპოქაში, ისევე როგორც სხვა ფეოდალური ოჯახებისთვის, ასევე ეკლესია-მონასტრებისთვის, მრავალრიცხოვანი ყმა-გლეხებისა და ფართო მიწის ფონდის ფლობა.

მ. ბერძნიშვილი საკანდიდატო დისერტაციაში აღნიშნავს, რომ საბუთში მიწის სყიდვის 28 შემთხვევაა. სწორად უნდა მივიჩნიოთ, რომ საბუთში მოხსენიებული ყანის (ზოგ შემთხვევაში სანახევრო) სყიდვის 28 შემთხვევაა, სხვადასხვა საშუალებებით, განსხვავებულ ადგილებში. როგორც ვიცით, მოცემულ ეპოქაში ყანის საშუალო ფასი 2 დრაჰკანი კონსტანტინატი.³ ნიკორწმინდის წინამძღვრის მიერ შედგენილი საბუთიდან გამომდინარე, მონასტრის ქონება მხოლოდ, დასამუშავებელი მიწის, ყანის სახით ფულად ერთეულში გამოხატული, სულ მცირე 56 დრაჰკან კონსტანტინატი უნდა ყოფილიყო.

წინამძღვრის საბუთში გვხვდება გლეხის სყიდვის 6 შემთხვევა, რომელთა ჩამოთვლისას ნახსენებია იმ ადგილების სახელები, სადაც მოხდა გლეხების შესყიდვა.⁴ იგი უნდა მიგვიტოვებდეს, რომ წინამძღვრის მიერ ნაყიდ გლეხებს გააჩნდათ მიწის შესაბამისი ნაკვეთები, (საგლეხო ფუძე, საკომლო) ეს ყოველივე გვიდასტურებს, იმ ფაქტს რომ გლეხის გაყიდვა უმეტეს შემთხვევაში ხდებოდა მიწიანად. მოცემული გლეხები მათ საგლეხო ფუძის შემავალი ნაწილის საშუალებით მონასტრის მატერიალურ შემოსავლებს მატებდნენ. საგლეხო ფუძის გარეშე, XI-XIII საუკუნეებში გლეხის ფასი წამროადგენდა, 18 დრაჰკანი ღუკატს, საგლეხო ფუძის შემავალი სხვადასხვა ნაწილებთან ერთად მისი ფასი გაცილებით მაღალია, იგი უნდა ყოფილიყო 38 დრაჰკანი ღუკატი.⁵ მოცემულ შემთხვევაში წინამძღვრის მიერ ნაყიდი გლეხები მხოლოდ ამ კონკრეტულ შემთხვევაში 228 დრაჰკანი ღუკატის ტოლი იქნებოდა. ამასთანავე, წინამძღვარი დაწერილში ასახელებს მონასტრისადმი შეწირულ გლეხებს, რომელთა რაოდენობა 11 შეადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ შეწირულობა მისი პირობითი საკუთრების ფორმიდან გამომდინარე ქონების დროებით ფლობას ასახავდა, (რადგან შესაძლოა შეწირული ყმა გლეხების უკან გამოწირვა მომხდარიყო) მაგრამ მონასტრის ეკონომიკური მდგომარეობისთვის შეწირულობა, საკმაოდ მნიშვნელოვანია. ამტომაც მოცემული რიცხვიც უნდა დავასახელოთ. საერთო ჯამში შემოწირული გლეხების ფასი, რაც საბუთში ჩანს საგლეხო ფუძისა და გლეხის ფასის გათვალისწინებით, მხოლოდ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, 616 დრაჰკან ღუკატზე ნაკლები ვერ იქნებოდა. ამასთანავე საბუთის ბოლოში წინამძღვარი აღნიშნავს, მისი მოღვაწეობის პერიოდში, შემოწირულ და შესყიდული გლეხების რაოდენობას. „რომელ ჩემობ(ა)სა

¹ ა. თაბუაშვილი, ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში (X-XVIII სს), თბ. 2019, გვ. 83

² ა. თაბუაშვილი, ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში (X-XVIII სს). თბ. 2019, გვ. 249

³ ა. თაბუაშვილი, ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში (X-XVIII სს.), თბ. 2019, გვ. 186.

⁴ მ. ბერძნიშვილი, ნიკორწმინდის „დაწერილი“ (ტექსტის გამოცემისთვის) მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის, ნაკვეთი 34 თბ. 1962, გვ. 96.

⁵ ა. თაბუაშვილი, ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში (X-XVIII სს.), თბ. 2019, გვ. 195.

გლენი შემოწირულ არიან და რომელნი მე თვით მიყ[იდიან] რიცხვთ ოცდაათი.“¹ აღნიშნული რიცხვი არ ემთხვევა საბუთში დასახელებულ გლენტა სყიდვისა და შემოწირულობის საერთო რაოდენობას. დასახელებულ გლენტა რაოდენობის საერთო რიცხვიდან (30) საბუთში მხოლოდ 17 გლენი ჩანს, რაც მიგვანიშნებს იმაზე რომ მისი მმართველობის ჟამს კიდევ 13 გლენის შეძენა მოახერხა წინამძღვარმა. დარჩენილი 13 გლენის ღირებულება საგლენო ფუძის გათვალისწინებით კი შესაბამისად, 728 დრაჰკანი დუკატი უნდა ყოფილიყო.

როგორც ვხედავთ, ზემოთ წარმოდგენილი გლენების რაოდენობის, საგლენო ფუძისა და მასში შემავალი ნაწილების რაოდენობითა და ფასის გათვალისწინებით ნიკორწმინდის მონასტერი ეკონომიკურად დაწინაურებულ ფეოდალურ ორგანიზაციად წარმოგვიდგება. მოცემული რიცხვების დასახელება მონასტრის ქონებრივი მდგომარეობის სურათის აღსადგენად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. ზემოთ მოცემული ყმა-გლენები და სამეურნეო ერთეულები სწორედ ფეოდალური ორგანიზაციის ეკონომიკური სტრუქტურის უმთავრესი შემადგენელი ნაწილია. ნიკორწმინდის მონასტერი კი ამ მხრივ მოცემულ პერიოდში საკმაოდ დაწინაურებული და ეკონომიკურად ძლიერი ორგანიზაცია.

როგორც ვახსენეთ, ნიკორწმინდელი წინამძღვრის დაწერილში ასახულია წინამძღვრის საადმინისტრაციო საქმიანობაც, რაზე დაკვირვება გვიჩვენებს მონასტრის ქონების მოცულობას. იგი სხვადასხვა ადგილას აგებს შენობა-ნაგებობებს, რომელებიც განსხვავებული დანიშნულებისაა. მათი დასახელებისაა კი აღნიშნულია, რომელი მასალით და რა დანიშნულებისთვისაა აგებული, კონკრეტულ ადგილას მოცემული შენობა-ნაგებობა. „ნიკოლასო წმიდასა შევქმენ სახლი ქვითკირი ა და ზედა სახლის მუხისა კარგი ა ..., სხ(უა)ე სახლი სახუცოი მუხისა ა და ნაძვისა ა ..., შევქმენ საწირეს ქვითკირი ბოსელი ა ზ(ედ)ა სახლი სამამასახლისოა ა ...“.² ყველაზე ფართო მშენებლობას წინამძღვარი ახორციელებს, სწორედ ნიკორწმინდის სოფელში.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ადგილას მარნის აშენების დროს იგი 16 ჭურს ასახელებს, რომელიც მარანში განუთავსებიათ. წინამძღვარი საწირეშიც საკმაოდ ვრცელ მშენებლობას ეწევა, სადაც 10 ჭური გვაქვს მოცემული .

როგორც მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავდა, საქართველოში მევენახეობის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მარნები განლაგებული იყო, როგორც საცხოვრებელ კომპლექსებში, ასევე ღრობით და სახიზრად აშენებულ მიუვალ მღვიმესა და საცხოვრებლებში.³ ფეოდალურ ეპოქის ადმიანისტვის ღვინო ერთ-ერთი ყოველდღიური მოხმარების პროდუქტს წარმოადგენდა. ღვინის როლი იმ დროის საზოგადოებაში, საკამოდ მაღალი იყო. მოცემულ ეპოქაში სხვადასხვა პროდუქტის ფასების გათვალისწინებით, საგლენო ფუძის ვენახიდან მოწეული ღვინის მოსავლის ფასი, 5.5-8 ჯერ აღემატებოდა დღიური ყანიდან მოწეული ხორბლის მოსავლის ღირებულებას. უნდა აღინიშნოს, რომ ღვინის მაღალი ფასის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ ეპოქაში ვენახი და მისგან ღვინის სახით მიღებული შემოსავალი სიმდიდრის დაგროვების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა.⁴ დაახლოებით მოცემულ პერიოდში მდ. ჭივჭივას ხეობისა და ბედენას ყველა სოფელში, რომლებიც ისეთ კლიმატურ ზონაშია სადაც ყურძენი არ ხარობს არქეოლოგიური მონაცემებით თითოეულ ოჯახში ყველა გლენს ჰქონდა მარანი. წარმოდგენილ მონაცემებით კი მარანში არანაკლებ სამი ქვევრი-დაახლოებით 600 ლიტრი ღვინო უნდა ყოფილიყო.⁵ აღნიშნული რიცხვის

¹ ნ. შოშიაშვილი, ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ. 1984, გვ. 44.

² ნ. შოშიაშვილი, ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ. 1984, გვ. 40-43.

³ მ. ლორთქიფანიძე, გლენობის ეკონომიკური მდგომარეობა (VI ს. – XIII ს. დამდგამდე), ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლენობის ისტორიიდან, თბ. 1967, გვ. 37.

⁴ ა. თაბუაშვილი, ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია, თბ. 2020, გვ. 85.

⁵ ი. გრძელიძე, რუსთაველის ეპოქის ქართული სოფელ. კრებ. "საქართველო რუსთაველის ხანაში", თბ., 1966, გვ. 193.

გათვალისწინებით, მიახლოებით შეიძლება განისაზღვროს საერთო ჯამში, ნიკორწმინდის მოცემულ ორ დიდ მარანში რა ტევადობის იყო ქვევრები. სულ მცირე ოცდაექვსი 200 ლიტრიანი ქვევრების არსებობის შემთხვევაში, ღვინით სავსე ქვევრების მოცულობა 5 200 ლიტრი მაინც იქნებოდა. სავარაუდოდ ქვევრების ტევადობა სხვადასხვაგვარი შეიძლება ყოფილიყო. რაც გვაფიქრებინებს, რომ მოცემულ რიცხვთან შედარებით მონასტერს შედარებით მეტი ღვინო გააჩნდა მარნებში.

საბუთში ნიკორწმინდის წინამძღვრის მიერ ვენახის ყიდვისა და მოგების ასევე ერთ შემთხვევაში შეწირვის სულ 8 ფაქტი გვაქვს. საგლეხო ფუძეში შემავალი ვენახი დაახლოებით 0.3-0.5 ჰექტარი ფართობის იყო.¹ აღნიშნულ 8 ვენახს შორის ერთი მათგანი „ნაოთხალი“ სახელით არის მოხსენიებული, თუმცა საშუალოდ საბუთში მოცემული ნიკორწმინდის საკუთრებაში არსებული ვენახების საერთო ფართობი, საშუალოდ 2.5-4.2 ჰექტარი უნდა ყოფილიყო.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული დროისთვის, ნიკორწმინდის მონასტრი საკმად ღიდი ქონების მფლობელი უნდა ყოფილიყო. როგორც ვნახეთ, იგი ფლობს მამულებს სხვადასხვა რეგიონში. ყმა-გლეხებისა და მიწის ნაკვეთის გათვალისწინებით, რომელთა არასრული ჩამონათვალაც წინამძღვრის მიერ შედგენილ დაწერილში გვხვდება, მონასტერის შემოსავალი დალისა და კულუხის გადასახადების სახით საკმაოდ მაღალი უნდა ყოფილიყო. ამაზე მეტყველებს მონასტრის საკუთრებაში არსებული მარნების მოცულობა. ამასთანავე, ნიკორწმინდის მაღალ შემოსავლებსა და ქონებრივ მდგომარეობაზე მეტყველებს წინამძღვრის მიერ განხორციელებული სააღმშენებლო საქმიანობა. მონასტრის ქონებრივი მდგომარეობა და მისი ეკონომიკური ფონი ნაწილობრივ კარგად ჩანს საბუთში ჩამოთვლილ სხვადასხვა სოფლებში წინამძღვრის მიერ შესყიდული ქონების მაგალითზე. ჩვენამდე მოღწეული საბუთის ნაწილის საშუალებით შესაძლებელია ითქვას, რომ მონასტრის გამართული ეკონომიკური სტრუქტურა უზრუნველყოფდა მონასტრის მამულების, ყმა-გლეხებისა და სხვადასხვა ქონების გამრავლებას სამონასტრო შემოსავლებისაგან დაგროვებული თანხით, ასევე მატერიალური ქონების მეშვეობით. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ ეპოქაში ნიკორწმინდის მონასტერი, როგორც დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის ეკონომიკურად დაწინაურებულ და გამორჩეულ სასულიერო ცენტრს წარმოადგენდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ა. თაბუაშვილი, ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში (X-XVIII სს), თბ. 2019.
- ა. თაბუაშვილი, ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია, თბ. 2020.
- ი. გრძელიშვილი, რუსთაველის ეპოქის ქართული სოფელ. კრებ. "საქართველო რუსთველის ხანაში", თბ., 1966.
- მ. ბერძნიშვილი, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 34, თბ. 1962.
- მ. ბერძნიშვილი, ნიკორწმინდის „დაწერილი“ მე-11-ტე საუკუნისა, როგორც საისტორიო წყარო, სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო შრომა, თბ. 1952.
- მ. ბერძნიშვილი, ნიკორწმინდის „დაწერილი“ (ტექსტის გამოცემისთვის), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის, ნაკვეთი 34, თბ. 1962,
- მ. ლორთქიფანიძე, გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობა (VI ს. – XIII ს. დამდეგამდე), ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, თბ. 1967.
- ნ. შოშიაშვილი, ქართული ისტორიული საბუთების კორპისი, I. თბ. 1984.

¹ ა. თაბუაშვილი, ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია, თბ. 2020, გვ. 81.

Vazha Santeladze,
PhD Student,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia

**PROPERTY CONDITION (INCOMPLETE) OF NIKOTSMINDA MONASTERY
IN THE LAST QUARTER OF THE XI CENTURY
(Based on historical documents)**

Abstract

Medieval Georgia is characterized by various quite complex political events, which of course were accompanied by social and economic ups and downs. The study of the economic history of the monasteries of the middle Ages, to the extent that it is available to us, is important and interesting from several points of view. It should be noted that the economic situation of the church shows the level of development of the country. At the same time, the study of this issue allows us to observe the influence of the church on the public consciousness of the mentioned era. In this regard, the church documents of the XI century are very important. Historical documents, unfortunately, have reached us in an incomplete form. The majority were destroyed due to enemy invasions, internal feudal wars, and other causes. However, in this regard, it is worth mentioning the accounts compiled by the forefathers of the monastery, from which we obtain important information.

The present paper deals with the Nikortsminda monastery, which like many others, is presented as a vast and multifaceted monastic organization. It owned large properties and estates. Abbot constantly managed to increase and develop the monastic property through various sources. Therefore, the monastic property expressed in specific amounts will allow us to see its economic situation and resources. According to the writings of Nikortsminda, it is possible to determine the incomplete amount of the monastery's serfs and estates. This issue is important because Nikortsminda Episcopate was one of the extensive and developed monastic complexes in Racha, which bordered Mtianeti and Dvaleti of Shida Kartli. The comparison between the monasteries of the mentioned period once again shows their economic capabilities.

Keywords: Nikortsminda, monastery, Mtianeti, Dvaleti, Shida Kartli.

ლელა სარალიძე

ისტორიის დოქტორი, რეგიონალიზმის კვლევის ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი,
თბილისი, საქართველო

**საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ოსეთის
პოლიტიკური სტატუსის ისტორიიდან (1918-1921 წწ.)**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება უზრუნველყოფდა საქართველოში მცხოვრები ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და განვითარების თავისუფალ ასპარეზს უხსნიდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ერის წარმომადგენელს. 1918 წლის 26 მაისს მიღებული „დამოუკიდებლობის აქტი“-ს მე-5 მუხლში ნათქვამია: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანსწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა“ [გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №1,1918:5]. საქართველოში მცხოვრები ეროვნუ-

ლი უმცირესობის წარმომადგენლები სიხარულით შეხვდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. აღსანიშნავია, 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველივე სხდომაზე ოსების წარმომადგენლის, გიორგი გაგლოევის სიტყვა: „ამხანაგებო და მოქალაქეო! ამ ტრიბუნაზე მე განვიცდი იმავე გრძნობებს, რომელსაც განიცდით თქვენ. ეს გასაგებიც არის. მე ვარ წარმომადგენელი არა მარტო ოსების, არამედ საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრიც. თვით ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ ამ ორ ერს შორის არის ისეთი კავშირი, რომელიც აერთებს მათ. ჩვენ გვწამს, რომ საქართველოს დემოკრატია თავის დრომას დაბლა არ დაუშვებს. საქართველოს დემოკრატიასთან ერთად ამ დრომის ქვეშ ივლის ჩვენი დემოკრატიაც. ამ იმედით აღჭურვილი მივესალმები ამ კრებას. იმედია საქართველო აიცილდეს იმ განსაცდელს, რომელიც მას მოელის გარეშე მტრისაგან“ **[გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №114, 1919:2].**

ეროვნულ უმცირესობებს თავისუფალი სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესაძლებლობა მიეცათ. საქართველოში მცხოვრებ ყველა ეთნიკურ უმცირესობას ეროვნულ საქმეთა გასაძღოლად საკუთარი ეროვნული საბჭო ჰქონდათ. ეთნიკური ნიშნით აღმოცენებული პოლიტიკური ორგანიზაციები და გაერთიანებები ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოღვაწეობდნენ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, საქართველოს ტერიტორიაზე პირველი ავტონომიური რესპუბლიკები შეიქმნა. ყოველივე ეს აისახა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაშიც, სადაც ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს ცალკე მე-14 თავი მიეძღვნა.

1918 წლის 16 ივლისს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულმა საბჭომ და მთავრობამ მიიღო კანონით მოქალაქეობის შესახებ, რესპუბლიკაში მცხოვრები მკვიდრი მოსახლეობა საქართველოს მოქალაქეებად გამოაცხადა, რითაც ქვეყანაში წოდებრივ განსხვავებულობას ბოლო მოეღო. საბოლოოდ დამფუძნებელმა კრებამ „მოქალაქეობის შესახებ“ შეჯერებული კანონპროექტი 1919 წლის 27 მაისს დაამტკიცა, სადაც კიდევ უფრო დააკონკრეტა რესპუბლიკის მოქალაქედ განდომის პირობები. პირის ეთნიკური წარმომავლობისა თუ რელიგიური კუთვნილების განუჩევლად, საქართველოს მოქალაქე შეიძლებოდა გამხადარიყო ყოფილი რუსეთის იმპერიის ყველა ქვეშევრდომი, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკაში ჰქონდა რაიმე უძრავი ქონება ან თავს ირჩენდა „საქირაო შრომით“, არანაკლებ სამი წლისა, განუწყვეტლივ ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე და ამ კანონის მიღებიდან სამი თვის განმავლობაში განაცხადებდა, რომ სურს საქართველოს მოქალაქეობა **[სცსა, ფ. 1833, ს. 191:14].** ოსები ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე საქართველოს მოქალაქეებად გამოცხადდნენ, რაც ამასთანავე მათი შესაბამისი უფლებების და პასუხისმგებლობების აღიარებასაც ნიშნავდა.

შიდა ქართლში მცხოვრები ოსების ერთ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულად გაერთიანების მცდელობას, ჯერ კიდევ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მიეცა გასაქანი **[სარალიძე, 2010:135].** დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1918 წლის ივნისში, ოსების წარმომადგენლებმა, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გერმანიის კავკასიური ექსპედიციის დიპლომატიურ წარმომადგენელს, ფრიდრიხ ვერნერ ფონ დერ შულენბურგს შუამდგომლობა სთხოვეს საქართველოს მთავრობის წინაშე, რათა ოსები საქართველოს ფედერაციულ საფუძვლებზე შეერთებოდა. შულენბურგმა საქართველოს ხელისუფლების წინაშე შესაბამისი შუამდგომლობა აღძრა **[გაზ. „საქართველო“, №117, 1918:3],** თუმცა პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური კურსი ინგლისური ორიენტაციით შეიცვალა.

1918 წლის ოქტომბერში ოსმალეთის იმპერიასთან დადებული მუდროსის ზავით,

სამხრეთ კავკასია ბრიტანეთის მოქმედების ზონად გამოცხადდა, აღნიშნული ტერიტორია ინგლისის ჯარმა დაიკავა. თავდაპირველად დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება ანტიბოლშევიკურ ძალებს აქტიურად უჭერდა მხარს და რუსეთში წესრიგის აღდგენას დენიკინის, კოლჩაკისა და სხვა თეთრგვარდიელთა მეშვეობით ვარაუდობდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებაში, სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით, პროპორციული სისტემით არჩეული იყვნენ ოსი დეპუტატები – გიორგი გაგლოევი და ალექსანდრე ფარნიევი **[მაცაბერიძე, ოჯონიკიძე, 2019:14-15]**. ისინი, თავიანთი კვალიფიკაციის შესაბამისად, დამფუძნებელი კრების სხვადასხვა კომისიის მუშაობაში აქტიურად იყვნენ ჩართული. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ოსთა ეროვნულ საბჭოსთან აქტიურად თანამშრომლობდა. 1918 წლის 2 აგვისტოს, ეროვნული საბჭოს 26-ე სხდომაზე ალექსანდრე ლომთათიძემ (საბჭოს წევრი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან) განაცხადა: „...მე პირადად ერთი დოკუმენტი მაქვს ხელში, რომელიც გამოხატავს შეგნებული ოსობის აზრს. ერთი კვირის წინათ აქ, თბილისში კრება გამართეს აქ მცხოვრებმა ოსებმა და აი რა რეზოლუცია მიიღეს (კითხულობს რეზოლუციას). მხოლოდ ორმა კაცმა შეიკავა თავი. რეზოლუციის პირველი დებულება არის: „ვცნობთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას“, შემდეგ კითხულობთ: „ჩვენ მოველით, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრება დააკმაყოფილებს ჩვენს კულტურულ მოთხოვნებსაც. აი მოისმინეთ გადაწყვეტილება აქ ჯიოეების და მის სწორთა აზრები არ გამოიხატება. ამ კრებაზე თავმოყრილნი იყვნენ ოსი ხალხის სურვილების საუკეთესო გამომხატველნი და აი თქვენ დაინახეთ, თუ რას ფიქრობენ ისინი საქართველოზე... ამასთან გადაჭრით უნდა ითქვას ამ ტრიბუნიდან, რომ ოსეთი თუ შუდის ჩვენს რესპუბლიკაში, ოსები უნდა დაემორჩილონ ჩვენს სახელმწიფოს, ჩვენს მთავრობას... ჩვენი პოლიტიკა ოსებისადმი ისეთივე უნდა იყოს, როგორც ქართველებისადმი... ამნაირი პოლიტიკით შეძლება მხოლოდ ადგილობრივი წესიერების დამყარება. სახელმწიფოში ყველა მოქალაქე უნდა იყოს კანონიერი შვილი და არა გერი“ **[გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №29, 1918:3]**.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მკაცრი ზომებებს ატარებდა როგორც ოსების, ასევე, აჯანყებული ქართველების წინააღმდეგ, რადგან რესპუბლიკის წინააღმდეგ მოღალატური გამოსვლა მოახდინეს არა მარტო ოსებმა, არამედ ქართველებმაც ლეჩხუმში, რაჭაში, სამეგრელოში, დუშეთში, თიანეთში და სხვა ადგილებში.

გ. ვეშაპელი აკრიტიკებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და აცხადებს: „...ბატონებო! ჩვენ არც თქვენი გულუბრყვილობა გვინდა და არც თქვენი მაკიაველისტობა. პირდაპირ სთქვით, რაც ხდება. ჩვენ იმდენად გვწამს ქართველი ერის სახელმწიფოებრივი ძალა, რომ რეალურ ცხოვრებას ვერ დაველაპრაყნებთ ხალხს; ხალხმა უნდა იცოდეს, ვინ არის საქართველოს მტერი და მოყვარე... ქართველი მწერალი, ია ეკალაძე (იაკობ ცინცაძე – ლ. ს.) დედით ოსი, ასე აღწერს გაზეთ „ჩვენ ქვეყანაში“ ოსურ საფრთხეს: „როცა საქართველოს მიწა-წყალზე, ქართველი ხალხის წინააღმდეგ აამხედრეს ჩვენში სამადლოდ ჩამოხიზნულ ოსებს მათი ინტელიგენციის ერთი ნაწილი, ეს არამც თუ უმადურობაა, დიდი უსამართლობა დაიწყო ამ ოცი-ოცდაათი წლის წინათ. ინიციატორებად შეიქმნენ ჯერ რუსის მოხელეები, ცნობილ ვოსტორგოვის (რუსი საეკლესიო მოღვაწე, ამიერკავკასიაში რუსეთის იმპერიის საეკლესიო და საერო სკოლების ზედამხედველი ივან ივანეს ძე ვოსტორგოვის (1864-1918), 2000 წელს რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა – ლ. ს.) მეთაურობით და მერე ოსის ის ნასწავლი ახალგაზრდობა, რომელიც გამოიზარდა რუსის სკოლებში, როგორც რუსების სტიპენდიანტები. ვოსტორგოვი და ამ ახალგაზრდებმა მოშხამეს საქართველოს ოსების მასა და ეს

მხამი არ გადაერეცხებათ გულიდან იქამდე, ვიდრე თავისუფალი საქართველო არ ალაგმავს ხალხის მტრებს და არ დაანახებს საქართველოს ოსებს მათ შეცდომას“ [გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №160, 1918:2].

გ. ვეშაპელმა საქართველოს მთავრობას განუმარტა, რომ არც ცხინვალის და არც საჩხერის მოძრაობა აგრარულ ხასიათს არ ატარებდა, იგი პოლიტიკური შინაარსის იყო და მთავრობას მეტი დაფიქრებისკენ და აქტიურობისკენ მოუწოდებდა [გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №160, 1918:2].

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მიიჩნევდა, რომ „ოსის მშრომელი ხალხი, გლეხობა და მუშები ოს ნაციონალ-დემოკრატიების მოქმედებაზე პასუხს ვერ აგებდნენ. გაზეთი „ერთობა“ წერდა: „მუუძღებელია ვიფიქროთ, რომ ოსობა დამოუკიდებელ სახელმწიფოს ეტრფოდეს. ასე იქცეოდა ჩვენი ხალხი: განა ქართველი ხალხი თანახმა განდებოდა რუსეთის ჩამოშორების, რუსის ჯარი თითონ არ წასულიყო? ოსებში შეიძლება ადგილი ქონდეს კვლავ შეუერთდნენ რუსეთს, მაგრამ ასეთს მისწრაფებას ზოგიერთ ალაგას ხომ ქართველი გლეხებიც იჩენენ? რა შუაშია აქ საერთოდ ოსობა, ოსეთის ხალხი?... ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ოს აჯანყებულებთან ერთად ლაგამი ამოედებათ, აგრეთვე, იმ პროვოკატორებს, რომელნიც ეროვნული შუღლის გაღვივებას უწყობენ ხელს; ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ქართველი დემოკრატია არ წამოეგება ნაციონალ დემოკრატიების პროვოკატორულ ანკესზე და ოსის დემოკრატიასთან მეგობრულ ურთიერთობას არ დაარღვევს ოსების აჯანყება საშიშია საქართველოს რესპუბლიკისათვის, მაგრამ ის კიდევ უფრო საშიშია თვით ოსებისათვის“ [გაზ. „ერთობა“, №164, 1918:1].

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ნებართვით, 1918 წლის 8 დეკემბრისთვის ცხინვალში ოსური გიმნაზია დაარსდა, რომლის პირველ დირექტორად და იმავდროულად გერმანული და ოსური ენების მასწავლებლად ღვთისმეტყველების კანდიდატი ბიძინა კოჩიევი დაინიშნა [მღებრიშვილი, 2019:211].

რუსეთის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ დაარღვია საქართველოსთან 1920 წლის 7 მაისს გაფორმებული ხელშეკრულება. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ საქართველოს ტერიტორიაზე ოსი ბოლშევიკების შეიარაღებული რაზმები გაგზავნა, რომელთაც ღია მხარდაჭერა გამოუცხადა.

შეიარაღებული კონფლიქტების მიუხედავად, 1918-1921 წლებში, დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, ოსებს ეთნიკური ნიშნით ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული არ ჰქონიათ. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ კი, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქი, 1922 წლის 20 აპრილს, ბოლშევიკური რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია-ანექსიის შემდეგ შეიქმნა, რომლის შემადგენლობაში სრულიად უკანონოდ შეიყვანეს 40 ქართული სოფელი, ასევე, ქალაქი ცხინვალი. საბჭოთა ისტორიოგრაფია ავტონომიური ოლქის შექმნის ისტორიას შეგნებულად აყალბებდა, ხოლო ამ ისტორიის ამსახველ დოკუმენტებს სასტიკად კრძალავდა. რეალურად, ბოლშევიკებს თავიდან ძალიან გაუჭირდათ ქართული ტერიტორიაზე ხელოვნურად შექმნილი ავტონომიური ოლქისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭება, რასაც მოწმობს ბოლშევიკების შინაგან საქმეთა მაშინდელი სახალხო კომისრის, პროფესიით იურისტ ბესარიონ კვირველიას დასკვნა, რომელშიც გარკვევით იყო აღნიშნული, რომ „სამხრეთ ოსეთის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფა სამაზრო ერთეულის უფლებით, გეოგრაფიული და ეკონომიკური მოსაზრებებით, საკითხის დეტალურად შესწავლის შემდეგ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს შეუძლებლად მიაჩნია“ [სარალიძე, 2016:295].

ბოლშევიკების მიერ აღნიშნული ოლქის შექმნას, როგორც ქართველი, ისე ოსი მოსახლეობის მხრიდან, დიდი უკმაყოფილება მოჰყვა.

ამ ორი ერის ისტორიას თუ გადავხედავთ, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ქართველებს და ოსებს სიყვარული და ძმობა მეტად აკავშირებთ, ვიდრე წყენა და სინანული. დღეს საქართველოში მრავალი შერეული ქართულ-ოსური ოჯახი ცხოვრობს. ისტორია ადასტურებს, რომ ქართველებს და ოსებს, მესამე ძალის ჩარევის გარეშე, შეუძლიათ თანაარსებობა, ერთმანეთის მხარდაჭერა ჭირსა და ლხინში. უდავოა, რომ კონფლიქტი, რომელსაც სათავე მანკიერმა საბჭოთა მემკვიდრეობამ, ორივე მხარის მიერ დაშვებულმა მძიმე შეცდომებმა, ასევე, გარეშე ძალის პოლიტიკამ დაუდო, ისტორიას ჩაბარდება, როგორც ტრაგიკული და სამარცხვინო ლაქა ოსთა და ქართველთა მრავალსაუკუნოვანი ძმური თანაცხოვრების მატთანავე. ამ ორი ერის მომავალი ერთმანეთის კულტურის და მშვიდობიანი თანაცხოვრების გარეშე წარმოუდგენელია.

ლიტერატურა:

- გაზეთი** „საქართველო“, შაბათი, 15 ივნისი, №117, თბილისი, 1918.
- ეროვნული საბჭო**, 2 აგვისტო 1918 წ., გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №29, პარასკევი, 30 აგვისტო, თბილისი, 1918.
- ეროვნული საბჭო**, „გრიგოლ ვეშაპელის სიტყვა საჩხერის ოსთა აჯანყების შესახებ“, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №159, ოთხშაბათი, 13 აგვისტო, თბილისი, 1918.
- ეროვნული საბჭო**, „გრიგოლ ვეშაპელის სიტყვა საჩხერის ოსთა აჯანყების შესახებ“ (დასასრული), გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №160, 14 აგვისტო, თბილისი, 1918.
- ვადაჭკორია** შოთა, „ოსური სეპარატიზმი და ქართული სინამდვილე (1917-1925 წწ.)“, თბილისი, 2017.
- მაცაბერიძე** მალხაზ, ორჯონიკიძე თამარ, „ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები საქართველოს დამფუძნებელ კრებაში (1919-1921)“, „ქართული პარლამენტარიზმი“, ტომი I, თბილისი, 2019.
- მღებრიშვილი** ალექსანდრე, „ცხინვალი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრესის ფურცლებზე (საგანმანათლებლო ასპექტი)“, კრებულში: „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები“, V საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება, თბილისი, 2019.
- „ნაციონალ-დემოკრატების შეკითხვა და ოსები“**, გაზეთი „ერთობა“, №164, 4 აგვისტო, კვირა, თბილისი, 1918.
- საქართველოს** დამოუკიდებლობის აქტი, გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, №1, ხუთშაბათი, 25 ივლისი, გვ. 5, თბილისი, 1918.
- საქართველოს** ეროვნული საბჭოს პირველი სხდომა, კვირა, მაისის 26, 1918, ტფილისი, ოსების წარმომადგენლის სიტყვა, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №114, 26 მაისი, თბილისი, 1919.
- საქართველოს** ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1833, საქმე 191.
- სარალიძე** ლელა, „ე. წ. სამხრეთ ოსეთის შექმნის ისტორიიდან (1917-1922 წწ.)“, კრებულში: „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 1(7), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2010.

სარალიძე ლელა, „ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა“, წიგნში: „საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში, (სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით)“, ავტორები: დ. ჭუმბურიძე, ვ. კიკნაძე, ხ. ქოქრაშვილი, ლ. სარალიძე, წიგნი II, გვ. 295, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016.

Lela Saralidze

PhD of History, Chief Scientist-researcher of the
Regionalism Research institute,
Tbilisi, Georgia

**FROM THE HISTORY OF THE POLITICAL STATUS OF OSSETIA IN
THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA (1918-1921)**

Abstract

During the existence of the Democratic Republic of Georgia, the first autonomous republics were created on the territory of Georgia. On the basis of the "Act of Independence", adopted on May 26, 1918, the national minorities were given the opportunity for free socio-economic and cultural development. The Government of Georgia equally ensured the civil and political rights of all citizens of the republic, regardless of nationality, religion, and opened a free arena for development to representatives of all nations living on the territory of Georgia. All this was reflected in the Constitution of the Democratic Republic of Georgia, where a separate chapter 14 was devoted to the rights of national minorities.

In the constituent assembly of the Georgian Democratic Republic, Ossetian deputies were elected on the list of the Social Democratic Party and took an active part in the work of various commissions. The government of the Democratic Republic actively cooperated with the Ossetian National Council.

The external power, in particular the Russian factor, played a particularly negative role. At the instigation of the Bolsheviks, in 1918-1920, the Ossetians living in Shida Kartli organized more than one uprising, demanding the establishment of the Soviet Union and the joining of the so-called South Ossetia to Bolshevik Russia. It should be noted that the population of the Ossetian nationality of different regions was categorically against the separatist forces, they considered such demonstrations disastrous for the Ossetian people, since the demonstrations contributed to the food crisis. The government of the Democratic Republic called on the rebels to respect the law, warning them that they would be severely punished for violating public order.

The South Ossetian Autonomous District was created on April 20, 1922, after the occupation-annexation of the Democratic Republic of Georgia by Bolshevik Russia, into which 40 Georgian villages, as well as the city of Tskhinvali, were illegally included. Soviet historiography deliberately falsified the history of the creation of the South Ossetian Autonomous Region and banned real documents describing this history. The opinion of the then People's Commissar of Internal Affairs of the Bolsheviks, a lawyer by profession, Bessarion Kvirvelia, in which it was clearly stated that the People's Commissariat of Internal Affairs considered it impossible to separate South Ossetia into as separate administrative unit, even with the right of a territorial unit, due to geographical and economic considerations.

The creation of this region by the Bolsheviks caused dissatisfaction with both the Georgian and Ossetian populations.

If we look at the history of these two nations, for a long time, Georgians and Ossetians have been connected by love and brotherhood more than resentment and regret. Today, many mixed Georgian-Ossetian families live in Georgia. History proves that Georgians and Ossetians, without the intervention of a third force, can co-exist, support each other in times of trouble and in good

times. Undoubtedly, the conflict, rooted in the vicious Soviet legacy, grave mistakes made by both sides, and third power politics, will be consigned to history, as a tragic and shameful stain in the history of the centuries-old fraternal coexistence of Ossetians and Georgians. The future of these two nations without each other's culture and peaceful coexistence is unimaginable.

Keywords: Georgia, Georgian-Ossetian, Undoubtedly, constituent assembly.

Сефербеков Руслан И.

Институт истории, археологии и этнографии
Дагестанского федерального исследовательского центра РАН.
доктор исторических наук
Махачкала, Россия

ОБ ОДНОМ ПРЕДСВАДЕБНОМ ОБРЯДЕ АВАРЦЕВ ГУМБЕТА: КУКОЛЬНЫЙ ДАРООБМЕН

Статья посвящена одному из предсвадебных обрядов аварцев Гумбета, в ходе которого стороны жениха и невесты обменивались «грязевыми» и «тряпичными куклами». Как нам кажется, эти символически замещавшие людей куклы являются олицетворениями образа *Богини-матери* и отражают существовавший у аварцев и в Дагестане культ плодородия.

Ключевые слова: аварцы Дагестана, обряды жизненного цикла, свадебные обряды, Богиня-мать.

Одним из важных обрядов жизненного цикла одной из субэтнических групп аварцев – гумбетовцев – был свадебный ритуал, который состоял из предсвадебных, собственно свадебных и послесвадебных этапов. Следует отметить, что свадебные обряды аварцев неплохо изучены [1; 2; 3; 4; 5]. Однако это не коснулось аварцев Гумбета. Целью данной статьи является описание одного из оригинальных предсвадебных обрядов гумбетовцев.

Предсвадебные обряды («ригьин бахьи» – «начать сватовство») гумбетовцев начинались с выяснения матерью или сестрой юноши у матери понравившейся девушки реакции на предложение о породнении. Если она оказывается положительной, то на обряд «взятие слова» («раги боси») отправляются дяди юноши. В доме девушки их встречают ее близкие родственники, а положительный или отрицательный ответ на предложение о породнении дает ее дядя по отцу. Отец девушки на этом мероприятии не присутствует. Фактически этот обряд является сватовством («яс аби» – «сговор девушки»).

При получении положительного ответа во время сватовства, через 1–2 недели после него, в дом девушки направляются мать, сестра и другие родственницы юноши. Этот обряд называется «Гъари» («Испрошение»). С собой они берут золотое кольцо и поднос с козинаки («гозо гъадаро»). После того, как гости рассаживаются, мать юноши надевает на палец девушки кольцо. После этого стороны обмениваются подарками (женские головные платки и мужские сорочки). По сути, этот обряд является обручением. Время от обручения до свадьбы может длиться от нескольких месяцев до одного года.

За неделю до свадьбы проводят обряд «кройки одежды» («ретлел лъутли»): близкие родственницы жениха («бахларав») направляются в дом невесты («бахларай»), неся с собой подарки для нее – комплекты женской одежды и обуви, головные платки и отрезки материи. До 2000-х гг. во время этого обряда происходило «открытие лица невесты» («бадисан клаз борхи»): принесенные стороной жениха комплекты одежды, головные платки и отрезки материи бросали ей на ее голову. Сейчас платки и отрезки заменяются содержимым так называемого «чемодана» невесты.

У гумбетовцев были и другие предсвадебные обряды. Вплоть до 80-х гг. XX в. у них было принято перед свадьбой строить дом для новобрачных. При возведении фундамента и

крыши жилища, обмазки полов и стен глиной устраивался «гвай» – обычай взаимопомощи, когда на помощь родителям невесты приходили на помощь родственники и соседи. При обмазке глиной полов и стен жилища, женщины лепили из нее «грязевую куклу» («хларшул ясикло») и молча отправляли ее в дом родителей невесты. Те принимали куклу, а в ответ посылали участвовавшим в «гвае» поднос с едой – вареное мясо, пироги с творогом и мясом, мучную халву.

В доме невесты тоже устраивала «гвай» для подготовки постельных принадлежностей для молодоженов. При его завершении из лоскутков материи готовили «тряпичную куклу» («члартиил ясикло») и так же молча отправляли ее в дом жениха. Родители жениха принимали эту куклу и отправляли женщинам такой же поднос с яствами.

Таким образом, как это видно, во время подготовки к свадьбе, при возведении жилища для новобрачных, и подготовке им постельных принадлежностей, стороны жениха и невесты молча обменивались «грязевой» и «тряпичной» куклами, а также подносами с едой.

Помимо указанных кукол, у аварцев имелись также «хлебные куклы» («ясикло»), которые дарились девочкам во время одного из важных календарных обрядов – праздника первой борозды («оц бай»).

Как нам кажется, все эти куклы являются олицетворениями образа *Богини-матери* и отражают существовавший культ плодородия. В некоторых обрядах куклы символически замещали людей.

Следует отметить, что современный брак и семейно-бытовые обряды гумбетовцев под влиянием глобализации и социокультурных трансформаций новейшего времени подверглись определенным трансформациям. Однако в них имеется немало традиционных элементов, вселяющих надежду и уверенность на сохранение этнической и культурной идентичности аварцев Гумбета в эпоху глобализации.

Литература:

1. *Никольская З.* Свадебные и родильные обряды аварцев Кахибского района // Советская этнография (далее – СЭ). 1946. № 2. С. 193–197.
2. *Агларов М.А.* Формы заключения брака и некоторые особенности свадебной обрядности андийцев в XIX в. // СЭ. 1964. № 6. С. 130–137.
3. *Дибиров М.А.* Традиционные обряды и обычаи в современной гидатлинской свадьбе // Брак и свадебные обычаи народов современного Дагестана / отв. ред. М.А. Агларов, сост. Б.М. Алимова: Сб. ст. Махачкала: Институт ИЯЛ Даг. филиала АН СССР, 1988. С. 118–130.
4. *Алигаджиева З.А.* Современная свадебная обрядность аварцев (традиции и инновации). Махачкала: ИИАЭ ДНЦ РАН, 2015. 210 с.
5. *Сефербеков Р.И.* Современный брак и семейно-бытовые обряды аварцев-гидатлинцев: традиции и инновации // Вопросы истории. 2022. № 8 (1). С. 187–196.

Seferbekov Ruslan I.
Makhachkala

A PRE-WEDDING RITUAL OF GUMBET-AVAR: DOLL EXCHANGE Abstract

Avars of Gumbet are a sub-ethnic group of Avars, which in the past was part of the “Bakalulal” Union of Rural Societies (18 villages). After the end of the Caucasian War in the North-Eastern Caucasus and the establishment of the Dagestan region in 1860, Gumbet entered the

newly formed Andean district. After the proclamation of the autonomy of the Dagestan Socialist Soviet Republic on November 13, 1920 and the formation of the Dagestan Autonomous Soviet Socialist Republic on January 20, 1921, the Gumbetovsky district was formed with its center in the village of Mechelta.

Up to the 80s of the XX century it was customary for Gumbet residents to build a house for the newlyweds prior the wedding. During the construction of the foundation and roof of the dwelling, coating the floors and walls with clay, “gwai” was arranged – a custom of mutual assistance, when relatives and neighbors came to the aid of the bride’s parents. When plastering the floors and walls of the dwelling with clay, women molded a “mud doll” (“khlarsul yasiklo”) from it and silently sent it to the house of the bride’s parents. They accepted the doll, and in return they sent a tray with food to those who participated in the “gwai”, consisting of boiled meat, pies with cottage cheese and meat, flour halva.

In the bride’s house, they also arranged the “gwai” to prepare bedding for the newlyweds. At its completion, a rag doll (“chlartlil yasiklo”) was made from pieces of cloth and was also silently sent to the groom’s house. The groom’s parents accepted this doll and sent the same tray of food to the women.

Thus, as it can be stated, during the preparation for the wedding, the construction of the dwelling for the newlyweds, and the preparation of their bedding, the parties of the bride and groom silently exchanged mud and rag dolls, as well as trays of food.

In addition to these dolls, the Avars also had “bread dolls” (“yasiklo”), which were given to girls during one of the important calendar rituals – the festival of the first furrow (“ots bai”).

These dolls seem to be the personifications of the image of the Mother Goddess and reflect the existing cult of fertility. In some rituals, dolls symbolically replaced people.

Keywords: Gumbetovsky, Mother Goddess, Dagestan, Gumbet-Avars, Caucasian War.

მარი სიმონიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

გივი მარგველაშვილის ნოუმენები ანუ ყველაფერი ტექსტია

გივი მარგველაშვილის ბიოგრაფია იმთავითვე იპყრობს მკითხველი საზოგადოების ყურადღებას. ის მეორე თაობის ემიგრანტია, მისი შემოქმედება კლასიკური ემიგრანტული პროზისგან შორსაა, მაგრამ საერთო ნიშნებიც მაინც აქვს: ბილინგვიზმი, ბიკულტურიზმი. მწერალი ბერლინში დაიბადა 1927 წელს; „იგი გვევლინება იმ შემთხვევის განსახიერებად, როდესაც შვილის ბედისწერა მამისეულმა ბედისწერამ თუ არჩევანმა განსაზღვრა. შვილი გაეკრა იმ სინამდვილის ჯვარზე, რომელიც არ მიიღო მამამ (გელაშვილი 2018: 213).

მამამისმა, ტიტე მარგველაშვილმა, განათლება გერმანიაში მიიღო, 1921 წლის მოვლენების შემდგომ მეუღლეს, შვილი წლის ქალიშვილთან, ლიზისთან, და ათასობით ქართველთან ერთად გერმანიაში გადაიხვეწა; აღსანიშნავია, რომ ქართველი ემიგრანტების ერთმა ნაწილმა საფრანგეთში, ლევილში, დაიდო ბინა, ხოლო მეორე ნაწილმა ბერლინში განაგრძო ცხოვრება. ტიტე მარგველაშვილი აქტიურად მუშაობდა ქართულ-კავკასიური კულტურის პოპულარიზაციისთვის, იგი დაუფარავად ამხელდა ბოლშევიზმის მანკიერებებს. გივი ოთხი წლის იყო, როცა დედამისმა მარიამ ხეჩინაშვილმა ნოსტალგიას ვეღარ გაუძლო და მძიმე დეპრესიის გამო სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა; ბავშვს გერმანელი ძიძები ზრდიდნენ, მამა, მუდმივად დაკავებული, ვერ ახერხებდა მასთან შესაბამის კომუნიკაციას და ამის გამო პატარას არ ესმოდა ქართული ენა. ტიტე

მარგველაშვილის ოჯახში თავს იყრიდნენ ემიგრანტი ქართველები, სამშობლომონატრებული ინტელიგენტები, რომლებიც ოცნებობდნენ ახალ რეალობაზე. ბისმარკის სახელობის ჰუმანიტარული გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა გივი ცხოვრების ასპარეზზე გამოსასვლელად ემზადებოდა. ნაცისტური ძალმომრეობა სუსტდებოდა, მაგრამ წინ სხვა მომავალი იმზირებოდა – 1945 წელს ტიტე მარგველაშვილს უცნობი ქართველი ეწვევა, რომელიც მას ქვეყნის აღმოსავლეთ ზონაში მეგობრებთან შეხვედრის შესახებ აუწყებს, მამა ეჭვს ვერ შეიტანს და თვრამეტი წლის ვაჟსაც თან გაიყვლება. შავ ლიმუზინში მსხდომნი კი ყველაფერს მიხვდებიან, სამოქალაქო ტანსაცმლის ქვეშ სამხედრო ფორმა ილანდებოდა და მანქანას მამა-შვილი კომენდატურაში გადაჰყავდა. ის დამე უკანასკნელი აღმოჩნდა, მათ ერთმანეთი აღარ უნახავთ, ტიტე მარგველაშვილის შესახებ წლების შემდეგ ის შეიტყო შვილმა, რომ იგი თბილისში გადმოიყვანეს და ხანგრძლივი დაკითხვების შემდეგ დახვრიტეს. გივის კი ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში უკრეს თავი (გელაშვილი ნ., ოფიცერი პემბრი, თბ., „კავკასიური სახლი,“ 2018).

ეკეპარდ მაასი, მწერალი და ბერლინში ერთ-ერთი ლიტერატურული სალონის მასპინძელი იხსენებს, რომ გივი მარგველაშვილი რომანში „მუცალი“ ბარათაშვილისეულ შავ ყორანს გამოიხმობს, ამ სახესიმბოლოში ავტორი მამას გულისხმობს და ამბობს, რომ მას არ აღმოაჩნდა პოლიტიკური ინსტინქტი, ის ვერ მიხვდა, რომ სტუმრად კი არ მიჰყავდათ, არამედ იმ რეალობასთან პირისპირ შესახვედრად, რომელსაც ასე გაურბოდა მთელი ცხოვრება (<https://youtu.be/5DgklENNpKM>).

გივი მარგველაშვილმა „ფაქტობრივად, ორი დიქტატურის პირობებში იცხოვრა – ფაშიზმსა და კომუნიზმში. რეპრესიებს შეწირული ოჯახი... ცხოვრების საუკეთესო წლების ზეწოლაში გატარება... მუდმივი დევნა და შევიწროება... ყოველივე ამის გადატანის შემდეგ მწერლის სიტყვები, რომ ის თავისი წიგნის გმირია და მართოდ წიგნში აქვს ბინა, ბედისწერის ლოგიკურობის განცდას კიდევ უფრო ამძაფრებს. ამიტომაც მიიჩნევენ, რომ მისი პროზა არ არის თავშესაქცევი, ის სავსეა ტკივილით. ფილოსოფოსი გიგა ზედანია ერთგან შენიშნავს, რომ ემიგრაცია ერთგვარად ორმაგ დაუსწრებლობას გულისხმობს: ლიტერატურასა და ცხოვრებაში ამის თვალსაჩინო დადასტურება გივი მარგველაშვილია, რომელმაც ვერც საქართველოში იცხოვრა ბოლომდე და ვერც გერმანიაში; მიუხედავად ამისა, მას მაინც აქვს იდენტობა და ეს არის ქართულ-გერმანული. ამდენად, ჰაიდეგერი-სეული ფილოსოფიის ერთ-ერთი ამოსავალი კონცეპტი – უცხო გარემოში აღმოჩენის შესახებ¹, ბრწყინვალედ დასტურდება გივი მარგველაშვილის ცხოვრებითაც და შემოქმედებითაც.

გივი მარგველაშვილს თანამედროვეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოაზროვნეთა რიცხვს მიაკუთვნებენ, მის შემოქმედებაზე საუბრისას კი პარალელების ძებნას უმბერტო ეკოსა² და იტალო კალვინოსთან მივყავართ. ქართველი პოსტმოდერნისტი ავტორის გატაცების საგანი ფრანგი ფილოსოფოსის ჟილ დელიოზის კონცეფციაა, რომლის მიხედვითაც ჩვენ წერტილებს არ ვსვამთ, არამედ ხაზებს ვავლებთ. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ ლიტერატურული გმირები ოდენ საკუთარ ტექსტებში კი არ „იმარხებიან, არამედ ისინი გარბიან ტექსტებიდანაც კი! გაქცევა სიმხდალის სინონიმი როდია ყოველთვის (მარგველაშვილი 1991:5)... საკუთარი ცხოვრებისთვის წერტილის დასმას გაურბიან მარგველაშვილის პერსონაჟები და მიეშურებიან იქითკენ, სადაც შეიძლება ხაზების გავლება. აკი ამბობს კიდევ ავტორი „მუცალის“ წინათქმაში: „მკვლელობა ქისტი მუცალის ცხოვრებაში მხოლოდ ფინალურ წერტილს კი არ სვამს, არამედ ქეთელაურის ახლებურად აზროვნებისა და მისი ღრმად მონანიე ცხოვრების წესის ამოსავალი წერტილის

¹ ყოფიერების ინტეგრალი ან ხელოვნების ქმნილებისგან „განზე დგომა“ მისივე გამოამჟღავნების უარყოფას ნიშნავს. გამოჩენა და დაფარვა – შუქი და უკუნი – პერმანენტული ცნებებია ჰაიდეგერისეული „ჭმბარი-ტების“ სამეფოში – „პოსტმოდერნი, როგორც „ასეთი“, 1999, გვ.164;

² უმბერტო ეკო – ავტორი ბესტსელერისა „ვარდის სახელი“ – ეს უკანასკნელი პოსტმოდერნული ტექსტია, რომელიც ორმაგი კოდირების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს;

მნიშვნელობასაც იძენს. ეს არის გაქცევის ხაზის დასაწყისი საზოგადოებიდან – საკუთარი თემიდან, სადაც არ ესმით მოკლული ქისტის მიმართ ქეთელაურის მოწიწება და ის სინანული, რომელსაც იგი მომხდარის გამო განიცდის“ (მარგველაშვილი 1991:5)...

გივი მარგველაშვილზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჰაიდეგერის და ჰუსერლის ფილოსოფიამ, ცნობიერების ნაკადის თეორიის საშუალებით იგი თითქოს გამადიდებელი შუშით აკვირდება ადამიანის ცნობიერებას და ობიექტურად ააანალიზებს მას. იგი ქმნის უნიკალურ სამყაროს, მიკროკოსმოსს, მისი ლიტერატურა არსებითად სხვა განზომილებაა, მისი პროზა ლახავს ყოველგვარ რეალისტურ საზღვარს, ამიტომაცაა, რომ მისკენ ასე ძალუმად იზიდება მკითხველი, ზოგჯერ გამოცდილი და თამამი, ზოგჯერ კი დამფრთხალი; იორგ ზუნდენმაიერი, ლიტერატურათმცოდნე და გამომცემელი, აღნიშნავს, რომ მარგველაშვილის წიგნები ძალიან რთული წასაკითხია, კარგი იქნებოდა ავტორის დაუხმარებლად გაჰყოლოდნენ ფიქრში მკითხველები ჰაიდეგერს, დერიდას. ჰუსერლს... თუმცა მის პროზას მხოლოდ ასაკოვანი მკითხველი არ ჰყავს, ამ ლიტერატურას კითხულობენ ახალგაზრდები, რომელთათვისაც მარგველაშვილის შემოქმედება მძაფრსიუჟეტიან ტრილერად აღიქმება(<https://youtu.be/5DgklENNpKM>).

გივი მარგველაშვილის პროზის ამოსავალ დებულებად ალბათ ეს ფრაზა გამოდგება – შეაჩერე სიკვდილი ტექსტებში! კანტისეული მაქსიმების გათვალისწინებით ის გულწრფელია მკითხველთან და გვთავაზობს იმ უმაღლეს პრინციპს, რომლის დაცვაც იქნებოდა სასურველად საყოველთაო ხასიათის. მისი პროზა ტექსტის ტექსტია, მეტაპროზაა, თავად ონტოტექსტს უწოდებს და მიიჩნევს, რომ წიგნის პერსონაჟები იგივე ლირიკული გმირები დეტერმინირებულნი არიან, ისინი ხელფეხშეკრულნი უცდიან მკითხველს და ვერაფერს აკეთებენ იმის გარდა, რაც თავად ავტორმა განსაზღვრა. მარგველაშვილი წიგნის გმირების მხსნელად იქცევა, მათ ყოფიერებას იკვლევს და მიიჩნევს, რომ ადამიანები ტექსტით ვართ განსაზღვრულები. ყველა დიდი რომანი, რომელიც მისი ხელიდან გამოვიდა, სწორედ, რომ წიგნის გმირების განსაკუთრებული თვისებების კვლევას ეძღვნება.

წინამდებარე ნაშრომის მიზანდასახულობას წარმოადგენს იმის ჩვენება, თუ როგორი მკითხველი ჰყავს მარგველაშვილისეულ პერსონაჟთა აუდიტორიას, ვინ არის მისი გაგებით მკითხველი, რა მეტაფორულ განწყობებს გვთავაზობს ეს უკანასკნელი და როგორია მკითხველისა და წიგნის გმირების ურთიერთობის დიქოტომია.

გივი მარგველაშვილი კარგად იცნობს ფუკოსა და დერიდას ფილოსოფიურ კონცეფციას; ქართველი პოსტმოდერნისტი ავტორის მთელი ნაწარმოები ცნობიერების ნაკადის საბურველითაა შემოსილი და არ გვიკვირს, როცა თავად შემოქმედისთვის „თემა“ და „თემი“ ერთ სააზროვნო სიბრტყეზე აღმოჩნდება და მერანზე ამხედრებული ვაჟაფშაველა იარაღიან ალუდა ქეთელაურს გადააწყდება; მხატვრულ-სიუჟეტურ ქარგაში აშიშვლებს ავტორი ტოტალიტარული რეჟიმის სახეს და ეგზისტენციალურ უპერსპექტივობაზე მიანიშნებს მკითხველს. გივი მარგველაშვილის „მუცალი“ იძლევა საშუალებას, გადამერს თუ დავესესხებით¹, უფრო ღრმად შევიდეთ წიგნისმიერ რეალობაში, უფრო მივუახლოვდეთ დამალულ ჭეშმარიტებას, რათა კოდები მოვხსნათ იმ ქმნილებას, რომელიც თავისთავში ატარებს ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციას; ამისთვის საჭიროა სათანადო ფონური ცოდნა და ენის შეგრძნება, იმ ენისა, რომელიც ყოფიერების სახლად და ჭეშმარიტი ურთიერთობების -ავტორისა და მკითხველის (ხაზგასმა ჩემია , მ.ს.) , საშუალებად ქცეულა.

მუცალისა და მარგველაშვილის სხვა პერსონაჟების მთავარი საწუხარი არის ის, რომ მკითხველები სულ უფრო ნაკლებად სტუმრობენ წიგნებს. ტირანი ავტორის მიერ

¹ „ესთეტიკა“, ყულიჯანიშვილი ა., თბ. 2006 წ. გვ. 312;

საბედისწერო ნარატივში გამომწვევდელნი მოჯადოებულ წრეზე ტრიალებენ და წლების განმავლობაში ცხოვრობენ იმ რეალობით, რომლისგანაც თავის დაღწევა ასე რთულია.

მარგველაშვილის პროზაში პერსონაჟები ცოცხლებიან, იტანჯებიან, განიცდიან, ტირიან, დელავენ, შიშობენ, ეიმედებათ...წიგნის ორ ყდას შორის ჩარჩენილი ფანქარი თითქოს ცხრაკლიტულის კარს აღებს და გათავისუფლებში ეხმარება მათ. ლირიკული გმირები ვერ ეგუებიან აკრძალვებს, უმხედრდებიან ბედს და სხვა, უცხო რეალობაში გადმონაცვლებას ცდილობენ... ყველაფერი თავდაყირა დგება, სიუჟეტური განვითარების ხაზი ირღვევა, პერსონაჟები მწერალთან საბრძოლველად ეშხადებიან და მკითხველისგან ელიან შველას. და ვინ არის ეს მკითხველი? „პერსონაჟები ჩუმ-ჩუმად უჭვრიტინებენ და ათვალეირებენ მათი წიგნის თავზე დახრილი მკითხველის ვეება სახეს: აბა, თუ გვითანაგრძნობსო. დავიწყებული წიგნის გმირები გაუთავებლად უხმობენ მკითხველებს, რას აღარ იგონებენ, თავიანთ ტექსტებში შესატყუებლად...“ (გელაშვილი 2018:7)

ნაირა გელაშვილი აღნიშნავს, რომ გივი მარგველაშვილის წიგნის სამყაროს თავისი კანონები აქვს, მწერლის მთავარი იარაღი შემოქმედებით ფანტაზიასთან ერთად ფილოსოფიური სიზუსტე და თანმიმდევრობაა. ეს გულისხმობს იმას, რომ თუ რეალურად ერთი კონკრეტული ადამიანის დაბადება ქმნის მხოლოდ ერთჯერად ისტორიას, წიგნის გმირის ცხოვრება მარადიულობასთანაა წილნაყარი და მისი სიცოცხლე დამოკიდებულია სხვაზე, მკითხველზე, რადგან ეს უკანასკნელი უბერავს გმირებს სულს. შესაბამისად, მარადიულ წრებრუნვას ემორჩილება ლირიკული გმირი და უსასრულოდ ელის წამკითხველს (გელაშვილი ნ., „მე წიგნის გმირი ვარ,“ თბ., ქართული გამოცემა, შპს ალონი, 2018).

გივი მარგველაშვილის პერსონაჟებისთვის მკითხველს, თავად წაკითხვის პროცესს მოაქვს სინამდვილის შემეცნების განცდა. მათი გაგებით ტექსტისმიერი რეალობა შორსაა იმ „რეალობისგან,“ რომელიც წიგნის ყდებს მიღმაა, ამიტომ ებრძვიან მუდამ ამ ფატალურ მოცემულობას და სურთ, შეცვალონ ის დეტერმინირებული სიუჟეტი, დიქტატორმა ავტორმა რომ შექმნა მათთვის.

ჩაკეტილი, მოჯადოებული, თემების გამხსნელია გივი მარგველაშვილი და ამიტომაა მისი პროზა დაუმორჩილებლობის ნამდვილი მანიფესტი. მისი შემოქმედების – რომანების, მოთხრობების, მინიატურების, პიესების, ფილოსოფიური თუ ენათმეცნიერული თხზულებების მთავარი თემა ყოფიერებასა და მუნყოფიერებას შორის ორთაბრძოლა, მცდელობა, გადაწყვეტილება, შემართება, დაუცხრომლობა და მუდმივი მზაობაა – განწყობა იმისა, რომ ლიტერატურულად „ითამაშო.“

წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით, განვიხილოთ გივი მარგველაშვილის ის მინიატურები, რომლებშიც ლირიკული გმირები ეძებენ მკითხველს, ეს უკანასკნელი კი პერსონაჟების სასურველად შესაძლებელი ახალი სინამდვილის შექმნას ცდილობს.

„აღქმის ჯვარზე“

ნახატის ორი გმირი – დედა და ჩვილი – უჩვეულო მღელვარებას შეუპყრია. შეშინებული დედა უყურადებს ხმაურს და ცდილობს ატირებული პატარა დაამშვიდოს. სადღაც დარბაზის სივრცეში ჩაქუჩის ხმა გაისმება და ქალი გრძნობს, რომ ოქროს ვარაყში გამომწვევდელს სადაცაა სული საბოლოოდ შეეხუთება. პაწია კი შეუმჩნევლად ურტყამს დედას ფეხებს. მშობელი ცდილობს, ახალი დამთვალეირებლის უგრძნობ მზერას გაექცეს, პირი იბრუნოს, თუმცა უშედეგოდ – „მისი ნახატთემატური პოზა ხომ უცვლელია!“

რეზო ყარალაშვილი წერილში „მხატვრული ნაწარმოების აღქმა“ შენიშნავს, რომ სინამდვილის დავიწყებას და ცნობიერების გადართვას ხელს უწყობს მხატვრული სისტემის ორგანიზაციის ხასიათიც, „როდესაც მხატვრული რეალიები თითქოს ჩარჩოს მსგავსი ზღუდითაა განოყოფილი რეალური სინამდვილისგან“ (ყარალაშვილი 2008:33).

აქვე ავტორს მაგალითისთვის მოჰყავს ტიციანის „მონანიე მაგდალინას“ მაგალითი. ნახატი მდიდრულ ჩარჩოშია ჩასმული, ამ უკანასკნელსა და ფერწერულ ტილოს ერთგვარი კომიკური ეფექტი უნდა მოეხდინა მნახველზე, ვინაიდან აქ გამოსახულნი არიან ნახევრადმიშველი, უღვაძებაპრეხილი მამაკაცები. კომიზმის არსს ვერ ხვდება დამთვალიერებელი, იგი მხოლოდ ჩარჩოს აღიქვამს და როგორც კი შეხედავს პერსონაჟებს, მაშინვე „სურათი იღებს ჩარჩოს ფუნქციას და უჩინარდება ცნობიერებიდან“ (ყარალაშვილი 2008:34).

მოგვეხსენება, სენსუალიზმი შემეცნების პროცესში უდიდეს როლს ანიჭებს შეგრძნებებს. ინფორმაციული თვალსაზრისით ადამიანი ყველაზე მეტს იღებს მხედველობისა და შეხების შეგრძნებებიდან. შეგრძნებაა ადამიანის პირდაპირი და უშუალო კავშირი სინამდვილესთან. აღქმის საშუალებით მოგვეცემა მთლიანი საგნები და არა ცალკეული თვისებები, შესაბამისად ჩვენ მხოლოდ იმის აღქმა შეგვიძლია, რაც აქ და ახლათ (ბრაჭული ი., ზაქარიაძე ა., რამიშვილი ვ., ჯალაღონია დ., ფილოსოფიის შესავალი, თბ., „მერიდიანი,“ 2009). ამდენად, ამ მინიატურის მთავარი სათქმელი თავად ტექსტის ბოლოსაა გაცხადებული – არადჩაგდებული და ვერშეცნობილი ნახატის გმირები დარჩენილან მნახველის (მკითხველის ხაზგასმა ჩემია მ.ს.) ცარიელი აღქმის ამარა და რადგან სხვა გამოსავალი არ არსებობს და ჭეშმარიტი რეციპიენტი იგვიანებს, დედა ჯიუტად განაგრძობს მარტვილობას, ბედსდამორჩილებული წარბშეუხრელად აწოვებს ძუძუს ჩვილს და ღმერთს შესთხოვს ისეთი დამთვალიერებლის გამოგზავნას, რომელიც მხოლოდ კი არ აღიქვამს, არამედ შეიგრძნობს კიდეც.

„თავისუფალი სიზიფე“

მოგვეხსენება, რომ სათაური ნაწარმოების განუყოფელი ნაწილია, იგი ორგანულად უკავშირდება ტექსტის იდეასა თუ მოტივს. ზოგჯერ კითხვის დაწყებამდე ცხადი ხდება ნაწარმოების მიზანდასახულობა და მკითხველიც ავტორის სურვილისამებრ წარმართავს კითხვის პროცესს; გივი მარგველაშვილის ამ მინიატურის სათაურის წაკითხვისთანავე გონებაში უკვე ირთვება შესაბამისი სიგნალი და ჩვენ ვიხსენებთ, რომ არსებობს ძველი ბერძნული მითი სიზიფეზე, ღმერთებმა რომ დასაჯეს და ლოდის თრევა მიუსაჯეს. ბედისწერის შეცვლის ტრადიციული როლი მოირგო მარგველაშვილმა და „სრულიად არათემატური რამ მოხდა უცებ“ (მარგველაშვილი 2018:68) – სიზიფეს მწვერვალამდე ატანილი ლოდი ემორჩილება და იგი საშინელი წყევლისგან თავისუფლდება. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ფინალი. იბიკუსის წეროები შემოჰყივლებენ გათავისუფლებულ გმირს და ამცნობენ გამყინავი ხმით: ბედისწერის ბორკილების მსხვრევას ეწირება ყველა ღმერთი და მოკვდავთა მოდგმა; მართალია, სრულდება დიდი ხნის ნანატრი, ბოლო ედება ტანჯვას. ოლიმპოზე გამოტანილი განაჩენი (თემა – ხაზგასმა ჩემია მ.ს.) იცვლება და გმირი მზადაა დატკბეს თავისუფლებით, მაგრამ ამ დროს კენტავრი და ორი ფავნი მუხლმოდრეკილი ევედრება მას, განაგრძოს თავისი ჯაფა, კვლავ ლოდის თრევა, რათა ამ თავგანწირვით სიცოცხლე აჩუქოს კაცთა მოდგმასა და ოლიმპოს მკვიდრთ. გაფითრებული სიზიფე გაოგნებული უარობს, დაუბრუნდეს პირვანდელ მდგომარეობას, საკუთარი ნებით დათმოს ძლივს მოპოვებული გამარჯვება, მაგრამ იმის წინასწარმეტყველებით, რომ გმირის სიჯიუტე მოკლავს ყველა არსებას, „დაეფინებათ მათ ჰადესის შავი ჩრდილები,“ ტრაგიკულობის განცდას უფრო ამჟღავნებს და ტექსტის ბოლოს ჩვენ ვხედავთ აღმართზე შემდგარ კაცს, თავისუფალი ნების გამოვლენით რომ უხსნია წიგნის სამყარო (რადგან თავგანწირვის საფასურად გადაურჩენია პერსონაჟები დაღუპვისგან).

რა არის ამ ინტერპრეტირებული ტექსტის მთავარი სათქმელი? ცხადია, ნების თავისუფლების თემა, მკითხველის არჩევანი, დაშლიდა თუ არა სიზიფესა და ლოდის დიქტომიურ წყვილს. ცხადია ისიც, რომ მარგველაშვილი შეგნებულად არ გვიქმნის

მოთხრობილი ამბის ნამდვილობის ილუზიას, იგი გვაძლევს შანსს, რომ ტექსტში გადმოცემული ამბავი არის არა როგორც ერთადერთი ჭეშმარიტება, არამედ, როგორც ერთ-ერთი ვერსია. იგი უარს ამბობს, იყოს ერთადერთი ჭეშმარიტების მონოპოლისტი და ამით ხაზს უსვამს იმ რთულ და წინააღმდეგობებით სავსე მოცემულობას, რომელსაც თან გავურბივართ და თან ვერა. ერთია კია, მხატვრული ნაწარმოების რამდენიმე პლანიანი სტრუქტურა რეციპიენტს იმის საშუალებას აძლევს, რომ ამოხსნას ესთეტიკური ღირებულების საიდუმლო.

„ესთეტიკური დაუნდობლობის შესახებ“

ესთეტიკა არ არის ეთიკა – განაჩენივით გაიჟღერებს მინიატურის ბოლოს და ორ-სტროფიანი ლექსის გზაზე გათოშილი ლირიკული მე ამაოდ ემუდარება მკითხველებს, შეჩერდნენ და სიცოცხლე აჩუქონ წაუკითხავ, უყურადღებოდ დატოვებულ, მომლოდინე პერსონაჟებს, რომელთაც წაკითხვის გარშე გარდაუვალი სიკვდილი ელით. გულქვა მკითხველი კი გესლიან დიმილს არ იშორებს სახიდან და დასაღუპად წირავს წიგნის გმირს.

გივი მარგველაშვილის პროზაში ტექსტს ფატალური ფუნქცია აკისრია, მისი სიუჟეტების, თემების, გმირების ხასიათში გარკვევა ხშირად უჭირს მკითხველს. გავიხსენოთ მინიატურა „ორი მკითხველი:“ „რა სახიფათო იქნებოდა მკითხველისთვის ლექსის უდაბნოები, იგი რომ მართლა განიცდიდეს, რასაც კითხულობს“ (მარგველაშვილი 2018:62).

მოგვეხსენება, ადამიანური ყოფის განსაკუთრებული მოვლენაა ენა. ჰაიდეგერი ხომ ყოფიერების სახლსაც უწოდებს მას. შემოქმედი ბრმად არ გვაწვდის ცნობებს, მას სურს მიზანმიმართულად გამოხატოს განცდები, ემოციები, განწყობები, დამოკიდებულებები. ტექსტი ენის თავისებური, სპეციფიკური სახეა. იგი საუბრობს, ამიტომ მხატვრული ნაწარმოების გაგება გულისხმობს ამ კონკრეტული ტექსტის სამეტყველო დისკურსთან ზიარებას.

გაო სინჯიენი წერს: „მე მჯერა იმისა, რასაც „ცივ ლიტერატურას“ ვუწოდებ: ეს არის გაქცევისა და სიცოცხლის შენარჩუნების ლიტერატურა. მე მჯერა მომენტის ლიტერატურის, ლიტერატურისა ცოცხალი ადამიანებისთვის. უნდა შეგვეძლოს თავისუფლების გამოყენება“ (ვასაძე 2008:71).

ბედის ჩარხი წადმა რომ დატრიალდეს, ყველა ჩაკეტილი სიუჟეტი რომ გაიხსნას, საჭიროა საგანგებოდ მომზადებული მკითხველის პოვნა, იმგვარი მკითხველისა, რომლისთვისაც ლირიკული გმირის „ონტოკონტექსტოლოგიური საყვედური“ (ხაზგასმა გ.მ.) სრულებით უცხო იქნება და მას არასდროს დაუსვამს კითხვას პერსონაჟი: „რატომ არ მკითხულობ, რატომ არ გიყვარვარ“ (მარგველაშვილი 2018:55)?

რეზო ყარალაშვილის აზრით, „იმისთვის, რომ ტექსტმა მკითხველის წარმოსახვაში ადეკვატური დაკონკრეტება განიცადოს, მკითხველს უნდა გააჩნდეს შესაბამისი ცოდნის მარაგი, რომელიც კითხვის პროცესში რეაგირებას მოახდენს ტექსტის სიგნალებზე და ხორცს შეასხამს მხატვრულ სინამდვილეს. შესაბამისად, რაც უფრო განსწავლული და მდიდარი ერუდიციის პატრონია მკითხველი და დეკოდირების რაც უფრო მეტ ხერხს ფლობს იგი, მით უფრო დიდ ინფორმაციას მიიღებს ის მხატვრული სისტემიდან“ (ყარალაშვილი 2009:36).

ცხადია, დეკოდირების პროცესი საკმაო მომზადებას მოითხოვს და ტექსტიც მხოლოდ მაშინ შეიძლება გავიგოთ, თუ კითხვის ტექნიკის პროცესში ჩართულია მთელი რიგი ლოგიკური მექანიზმები, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდი და მთელისა და ნაწილის ურთიერთქმედების მეტაფიზიკა.

„კითხვა დინების წინააღმდეგ“

ლექსის სამყაროს ბნელ ხეობაში მთის წყარო მირაკრავებს, ხეობის თავზე ბუნების ხილია გადებული. ლირიკული მე სატრფოსკენ მიიჩქარება, მაგრამ სიუჟეტური შეფერხება აქ იჩენს თავს – ხილზე ერთმანეთს ხვდებიან პერსონაჟი და მკითხველი, გვერდის აქცევა შეუძლებელია. ლირიკული მე იბნევა მკითხველის დანახვისას და გზის დათმობისკენ მოუწოდებს; მკითხველი კი ჯიუტად არ იცვლის ფეხს და მიუგებს, რომ მის კითხვა-ყოფაში უკან არ იხევენ; გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი წიგნი პერსონაჟისთვის უჩველოა მსგავსი შეხვედრა, აქამდე მხოლოდ ის იცოდა, რომ „წიგნის სამყაროს ადამიანები იმდენად არსებობენ მხოლოდ, რამდენადაც მუდამ წინ მიდიან თავიანთი თემატური მიზნების შესახვედრად“ (მარგველაშვილი 2018:81). ახლა კი რა ხდება? ვიღაცას ბუნების ხილზე ბუნებზე დაუკიდია მისი მომავალი (ხაზგასმა ჩემია მ.ს.), აქამდე მორჩილად ფეხდაფეხ ადევნებული მკითხველი ახლა უხეშად იჭრება თხრობაში და კითხვა-ყოფის ყოველგვარ წესებს არღვევს.

კვლავ კითხვების კორიანტელი... რა ესაქმება ამ ვიღაც მკითხველს აქ და ახლა? რატომ დგას ის მკითხველის წინ და რატომ უკან არ მისდევს მას? ლირიკული გმირი ხვდება, რომ თემატურ აჩქარებას აზრი აღარ აქვს, კითხვა-ყოფის ყოველგვარი წესები დარღვეულია და მას ისლა დარჩენია, მრისხანედ შეჰყვიროს წინ აყუდებულ მკითხველს გზის დათმობის მოთხოვნით; საპასუხოდ კი რას ისმენს? თურმე დაასწრეს. სატრფოს (მის თვალის ჩინს) უკვე სხვა ეწვია და ეს „სხვა“ მედიდურად გაჭიმული მკითხველი აღმოჩნდა, რომელსაც გულმა ვეღარ მოუთმინა და თემატური დინების წინააღმდეგ ცურვა განიზრახა, დაასწრო მოვლენებს და ბუნებრივად აქცია ის, რაც პერსონაჟისთვის არაბუნებრივად თემატურ მოულოდნელობას ქმნიდა – „მკითხველი ამჯერად ბოლოდან დასაწყისისკენ ანუ უკნიდან წინ კითხულობს“ (მარგველაშვილი 2018:83).

ერთგვარი ესთეტიკური პერფორმანსი შემოგვთავაზა გივი მარგველაშვილმა აღნიშნულ მინიატურაში. პოსტმოდერნულ სააზროვნო სიბრტყეზე ტექსტი გაშლილია და მხატვრული თამაშის პრინციპით მწერლისეული სათქმელის ამგვარი გადაწყვეტა სულ უფრო მეტად გვაგონებს ე.წ. ფუკოს ქანქარას მოძრაობას, როდესაც ზღვარი წარსულსა და მომავალს შორის შლის კონკრეტული სააზროვნო სივრცეს ზუსტად განსაზღვრის შესაძლებლობას (ყულიჯანიშვილი ა., ესთეტიკა, თბ., „მერიდიანი,“ 2006).

მკითხველის სიამაყენარევი განცხადება, რომ „მე ვკითხულობ სადაც, როდესაც, როგორც და ვისაც მინდა“ (მარგველაშვილი 2018:82) ხაზს უსვამს არა წიგნისმიერი რეალობის აღმოჩენას, არამედ მეორე რიგის რეალობის შექმნას (ხაზგასმა ა.ყ.). ეს მეორე რიგის რეალობა კი თავისთავად მხოლოდ წარმოსახვით კონსტრუირდება და კლასიკური ტექსტის დეკონსტრუქციის პროცესიც სახეზა.

მარგველაშვილილთან ტექსტის ნიშანთა სისტემა იმითაცაა გამორჩეული, რომ ის ხსნის არა აბსტრაქტულ, არამედ კონკრეტულ მნიშვნელობებსაც. ბნელი ხეობის ვიწრო სიღრმის, ბუნების ხიდის, თემატური აჩქარების, თვალის ჩინის, თემატური დინების მეტაფორული სახეების შექმნით მწერალი ახერხებს იმას, რომ ამ ტერმინებს ახალ სიცოცხლეს სძენს და გაგვაცნობიერებინებს, რომ მეტაფორის ბუნების ორმაგობა საჭიროა არა მხოლოდ სახელდებისთვის, არამედ აზროვნებისთვისაც. ამ მეტაფორული სახეების საშუალებით მწერალი ოსტატურად ახერხებს, ტექსტის ესთეტიკური ფენომენის საზრისს ღრმად ჩავწვდეთ და ვაქციოთ ეს ერთი შეხედვით უხილავი ნაწილები მთელის დანახვის უტყუარ საშუალებად.

მწერალი, რომლის ბედი განსაზღვრა ორმა ტირანულმა იდეოლოგიამ, ახერხებს და საოცარი ოსტატობით მორალური გზით მაინც (ფიზიკურად თუ ვერა) ხელიდან უსხლტება დიქტატურას. ის გარბის და ამ გაქცევით ამსხვრევს იდეაში სამუდამოდ მისჯილი ბედისწერის ბორკილებს. მისი თავშესაფარი წიგნებია, მისი ერთადერთი რეალობა წიგნისმიერი სამყაროა და როგორც შემოქმედი სახელდებით იწყებს სამყაროს ქმნას, ის

ემსგავსება უზენაესს და აშენებს ახალ რეალობას, ყველაფერ იწყებს თავიდან და ადამიანს აბრუნებს კიდევ მუნყოფიერებაში. მწერლის ფსიქიკა უმკლავდება ყოველგვარ გარეგნულ სიძნელეებს, გაჭირვებას; ის ახერხებს და საოცარი ტალანტის ძალით სრულიად მარტოსული უშიშრად ეჭიდება სხვა, უცხო ყოფის ჯერ გაუცნობიერებელ სირთულეებს. მისი სამეტყველო ენა ამართლებს ჰაიდეგერისეულ ყოფიერების სახლის სიმბოლისტურ გადაწყვეტას და გერმანული ფრაზეოლოგიით მარგველაშვილის პროზა სრულ მწერლურ შეურიგებლობას უცხადებს მოქმედ, თანადროულ რეალობას. ამიტომაცაა, რომ ის კლასიკური ლიტერატურული ტენდენციების მატარებელი ავტორი არ გახლავთ. ის წერს იმაზე, რაც სურს და წერს ისე, როგორც სურს. ეს იშვიათი შემთხვევაა. ცენზურის მკაცრი კანონებისგან თავისუფლდება ავტორი და მკითხველსაც ასეთს ელოდება – თავისუფალს ყოველგვარი კლიშეებისგან.

ორმაგი ემიგრანტი, ავტორი, რომელიც წიგნებში გადასახლდა და პერსონაჟების მსხსნელად, მეტაპროზის მამამთავრად იქცა. როგორ მოახერხა და ამდენი აკრძალვის პირობებში შექნა იმგვარი ლიტერატურა, როცა გამოგონილი სიუჟეტი ახალ სინამდვილეს, ახალ რეალობას ქმნის.

გივი მარგველაშვილის პროზა შეგვიძლია შევაფასოთ, როგორც ზეგრძნობადის გრძნობადში გაცხადება. რადგან მასთან უკვე იდეად ქცეული სახეები ისხამენ ხორცს და ამგავრად ესთეტიკურად გამოვლენილნი უკვე ფენომენოლოგიის ძალით ხდებიან ღირებულნი. ამ ავტორის ტექსტებს არ აქვთ მხოლოდ წმინდა ლიტერატურული, ისტორიული, ფილოსოფიური მიკუთვნებულობა. აქ ყველაფერი ერთად ქმნის ახალ ენობრივ დისკურსს, ახალ სააზროვნო ჰორიზონტს ხსნის და ამ ენის გამგები მკითხველის ძიების საკითხს აყენებს ჩვენ წინაშე. წინამდებარე ნაშრომის მიზანდასახულობაც ეს განლვათ ზუსტად – აჩვენოს ვინ არის მისი გაგებით მკითხველი, სად არის ეს უკანასკნელი და როგორია მისი პერსონაჟებთან ურთიერთობის მეტაფიზიკა.

გივი მარგველაშვილის პერსონაჟები ახალი მკითხველის დახმარებით აღწევენ თავს წიგნისმიერ საპყრობილეს, ორ ყდას შორის გაჭედდებიან ელოდებიან, როდის გაიგებს მათ სასოწარკვეთილ ხმას მკითხველი.

საგულისხმო გარემოება, რომელიც მისი მინაიტურების განხილვამ აღმოგვაჩინა, გახლავთ შემდეგი: მოგვეხსენება, გივი მარგველაშვილი კლასიკური ტექსტების დეკონსტრუქციით ახერხებს თვისობრივად ახალი პროზის შემქნას. მას ავტორი ტირანად, დიქტატორად ჰყავს წარმოდგენილი, მიიჩნევს, რომ მან (ავტორმა) გმირები გაიმეტა მოჯადოებულ წრეზე სატარებლად და წიგნისმიერი განპირობებულობით ხსნის მათ მოთქმა-გოდებას არსებული რეალობიდან თავის დაღწევის თაობაზე. სწორედ, ამიტომ მივიჩნევთ, რომ კლასიკური ტექსტების გადამწერი გივი მარგველაშვილი თავადაც აღარ არის ოდენ ავტორი, იგი ერთ რიგით გონიერ მკითხველად ქცეულა და ის ნანატრი ხმაც გაუგონია, წიგნის მტკიცე კედლები რომ ახშობდნენ აქამდე. ეს სხვა რანგისა და გამოცდილების მკითხველია, რომელიც თხრობის მწვერვალზე აღის და ჭეშმარიტი ლიტერატურული გატაცებით იწყებს კითხვას კლასიკური, გატკეპნილი კითხვის დინების საწინააღმდეგოდ. ზურაბ ქარუმიძე ერთგან ასე აფასებს მარგველაშვილის სტილს: ესაა პროზა, როცა მწერალი ამბის თხრობისას თხრობის ამბავსაც გვიამბობსო; ჩვენ კი დავამატებდით, რომ ესაა ამავდროულად მკითხველი, რომელიც ამბის კითხვისას წაკითხვის ამბავსაც გვიყვება.

ციტირებულ ლიტერატურის სია:

1. ვასაძე თ., მუზაშვილი ნ., ჩუბინიძე ნ., ქართული 12, თბ., დიოგენე, 2008
2. ლიოტარი ჟან ფრანსუა, „პოსტმოდერნიზმი, როგორც „ასეთი“; თბ.1999, გვ.39;
3. მარგველაშვილი გ., „მუცალი“, თბ.1991, გვ. 5;
4. მარგველაშვილი გ., „მე წიგნის გმირი ვარ,“ თბ., კავკასიური სახლი, 2018
5. ყულიჯანიშვილი ა. „ესთეტიკა,“ თბ. 2006, გვ.

ბიბლიოგრაფია:

1. ბარამიძე გ., *ფანტაზიადამსოფლმხედველობა*, თბ., გონი, 1993.
2. ბუნრიკიძე დ., *წერტილები და ხაზები: გივიმარგველავილი – დაბრუნება დროსა და სივრცეში ხეტიალის შემდეგ*, ცხელი შოკოლადი, თბილისი, 2012. – ISSN 1512-2220. – ივნისი. – N80. – გვ.118-119.
3. გასეტი ო.-ი., *ხელოვნების დეჰუმანიზაცია*, თბ., ლომისი, 1992.
4. გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ., *ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები*, თბ., „მერიდიანი“, 2014.
5. ლიოტარი, ჟ. ფ., *პასუხი კითხვაზე – რა არის პოსტმოდერნი?* – ჟურნალი „პოლილოგი“, თბილისი, 1994, N4, გვ. 195-207.
6. ტენი ი., *ხელოვნების ფილოსოფია*, თბ., საქართველო, 1990.
7. ფუკო მ., *სიტყვები და საგნები*, თბ., დიოგენე, 2004.
8. ცინცაძე გ., *გაგების მეთოდი ფილოსოფიაში და პიროვნების პრობლემა / ფილოსოფიის ინ-ტი*. – თბ., მეცნიერება, 1975
9. ყულიჯანიშვილი ა., *ესთეტიკა*, თბ., მერიდიანი, 2006.
10. ჰაიდეგერი მ., *დასაბამი ხელოვნების ქმნილებისა*, თბ., „გონი“, 1992.
11. ჰაიდეგერი მ., *ყოფიერება და დრო*, თბ., 1989.
12. Делез Жиль, *Фантазм и современная литература, Логика смысла*, Москва, 1998, Стр. 366-440.
13. Делез Жиль, Гваттари Феликс, *Анти-Эдип*, Екатеринбург: У-Фактория, 2007.
14. Eco Umberto, *Zeichen / Einführung in einen Begriff und seine Geschichte*, übers. Aus Ital. Von Günter Memmert, Suhrkamp Verlag, Frankfurt am Main, 1977
15. Gadamer H.-G., *Der Anfang der Philosophie*, uebers. Aus Italienisch von Joachim Schulte, – Stuttgart 1993 (= Reclam Universal-Bibliothek Nr. 9495)
16. Margvelashvili G., *Ontotextualität in Philosophie und Kunst*, aus: Giwi Margvelashvili, *Leben im Ontotext*, Neubrandenburg: 1993.

Mari Simonishvili,
PhD student
Tbilisi State University
Tbilisi, Georgia

GIVI MARGVELASHVILI'S NOUMENI, THAT IS, EVERYTHING IS TEXT

Abstract

Givi Margvelashvili is a famous German-speaking Georgian writer and philosopher. He is a second generation immigrant. He was born in Berlin, in the family of Tite Margvelashvili and Mariam Khechinashvili. "He appears to us as the embodiment of the case when the fate of the son was determined by the fate or choice of the father (Margvelashvili 2018:213)." In 1945, father and son were taken to the Soviet occupation zone of Berlin. Tite Margvelashvili was shot soon after, while Givi was first shot in Sachsenhausen concentration camp, and later brought to Tbilisi with his relatives.

Givi Margvelashvili has been writing since 1961. He was greatly impressed by the philosophy of Heidegger and Husserl. The theory of stream of consciousness allows the author to observe human consciousness through a magnifying glass and objectively analyze it. The writer creates a unique world, his literary cosmos is constantly updated, developing and inexhaustible. Margvelashvili's prose creates a unique network system with the works of other writers and is in full compliance. What he writes about is relevant in all times and seems to be foreseen.

Givi Margvelashvili created a brilliant combination of philosophy and literature. In his books, a different plot develops, not the one that the author wants, but the one that is free from any conditions. The writer hates the manifestation of dictatorship in any form, because he bears all the weight of the regimes on himself. For him, a specific plot is a dictatorship, so his idea is that the characters behave differently after the book is closed.

The aim of the present work is to show how the author changes the story conditioning and how he manages to free the text from all the hindering factors that hinder the perception of the authenticity of the text by the method of deconstruction.

Keywords: Givi Margvelashvili, dictatorship, deconstruction, stream of consciousness

ქეთევან სიხარულიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი საქართველო

სამონადირეო თემა ოსურ ფოლკლორში

მონადირეობა ადამიანის საქმიანობის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა. მიწათ-
მოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებამდე ნადირობა ადამიანისთვის საარსებო
საშუალების მოპოვების ძირითადი წყარო იყო. დროთა განმავლობაში ნადირობამ
თანდათან დაკარგა ეკონომიურად წამყვანი როლი, მაგრამ კიდევ დიდხანს არსებობდა
კავკასიის მკვიდრთა ყოფაში თავისი საუკეთესო ტრადიციებით.

კავკასიის ტერიტორიაზე ნაპოვნ არქეოლოგიურ ძეგლებში უხვად არის ნადირობის-
თვის საჭირო იარაღი. გარდა ამისა, უძველესი ხელოვნების ნიმუშებისთვის დამახასია-
თებელია სამონადირეო მოტივები და სცენები, გარეული ცხოველების გამოსახულებები.
ასევე მდიდარი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალაც მეტყველებს, რომ სამონადი-
რეო თემა მნიშვნელოვანი იყო კავკასიელთა მითოლოგიაში. აქ უძველესი ხანიდან
ჩამოყალიბდა მონადირეობის ინსტიტუტი თავისი ტრადიციებითა და მითოსით. სხვა-
დასხვა რეგიონში სამონადირეო ზნე-ჩვეულებებსა და შეხედულებებს გარკვეული თავისე-
ბურებანი გააჩნიათ, მაგრამ ამავე დროს იმდენი აქვთ საერთო, რომ ამკარაა მათი ზოგად-
კავკასიური წარმომავლობა. ერთ-ერთი ასეთი სახეა აფსათი. ამ სახელის მქონე ღვთაება
კავკასიაში მცხოვრები რამოდენიმე ხალხის ფოლკლორში გვევლინება ნადირთმფარ-
ველად. ეს ღვთაება განაგებს ნადირს ოსურ მითოლოგიაშიც და მათი ტრადიციული
სარწმუნოების ერთ-ერთი სახეა.

მონადირეობას ოსების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. შესაბამისად, აქ
ჩამოყალიბდა ამ საქმიანობასთან დაკავშირებული წესები, ტრადიციები, მითოლოგიური
წარმოდგენები. ეს ყველაფერი აისახა მათ ზეპირსიტყვიერებაში. ოსური ფოლკლორის
საინტერესო პერსონაჟები არიან ნადირობის ღვთაება აფსათი და ტრაგიკული ბედის
მქონე მონადირეები.

კავკასიურ მითოლოგიაში ნადირთღვთაებებს აქვთ თავიანთი სამფლობელო,
რომელიც ადამიანთა საცხოვრისისგან მოშორებულია. ისინი მუდმივად იქ იმყოფებიან,
არ ტოვებენ თავიანთ სამყოფელს და არ ეტანებიან ადამიანს. უკიდურეს შემთხვევაში
ნადირის სახით მოდიან სოფელში მოღალატე მონადირის დასასჯელად. ადამიანი მიდის
მათთან, რადგან საარსებოდ სჭირდება მათი კუთვნილი ნადირი. შესაბამისად, მან უნდა
დაიცვას ის წესები, რომელსაც ნადირთპატრონები უწესებენ ადამიანს.

აფსათის, როგორც კავკასიის ხალხთა სხვა ნადირთღვთაებებს, არ აქვს ცალკე
სამლოცველო. ალბათ იმიტომ, რომ მათი სამფლობელო ველური ბუნებაა და არა ერთი

რომელიმე კონკრეტული ადგილი. საზოგადოდაც, კავკასიელთა სარიტუალო პრაქტიკის დიდი ნაწილი ღია ცის ქვეშ სრულდებოდა (სიხარულიძე 2006:244).

სანადიროდ მიმავალ ოსებს თან მიჰქონდათ სამი ხაჭაპური. ეს შესაწირი თავად აფსათის მიერ იყო დაწესებული. მონადირეები ჩერდებოდნენ იმ ადგილთან ახლოს, სადაც შიძლება ნადირი ყოფილიყო. ისინი სწირავდნენ აფსათის ხაჭაპურებს და ევედრებოდნენ, მიეცა მათთვის თავისი ჯოგიდან ირემი, თხა ან სხვა ნადირი. ყოველი მოკლული ცხოველი აფსათის საჩუქრად ითვლებოდა. მონადირეები მადლიერების ნიშნად უძღვნიდნენ მას ლოცვებს და ნანადირევის შემწვარ გულსა და ფილტვებს (ძათიათი 1971:249).

ოსების სამონადირო ტრადიციის მიხედვით, არ შეიძლებოდა თითის გამჟვრა (რამეზე ან ვინმეზე მითითება). ეს აფსათის შეურაცხყოფად ითვლებოდა. თუ მონადირე შემთხვევით ამას გააკეთებდა, თითზე ჯოხს ირტყამდა და ამბობდა: „აფსათიმ წყალობა მოგცეს, შენ ხომ აფსათის თვალს თხრი“.

აფსათი თეთრწვერა მოხუცია, ცხოვრობს მაღალ მთაზე, რომელსაც ჰქვია ადაი ხობ. ის ადვილად არ იმეტებს ნადირს მოსაკლავად და მკაცრად მეთვალყურეობს თავის ჯოგს. (ცალაგოვი 2009:226). აფსათი მონადირეს აძლევდა ნადირს, რომელიც თვითონ უკვე დაკლა, შეჭამა, მერე კი გააცოცხლა. ეს სიუჟეტი კავკასიაში საკმაოდ ცნობილია და ქართულ ფოლკლორშიც გვხვდება მისი ვარიანტები (ოჩიაური 1955:43).

ნადირობის ღვთაებები იმ ნადირით იკვებებიან, რომელსაც მფარველობენ და მერე აცოცხლებენ მას. როგორც ჩანს, ეს არის ბუნების აღორძინებასთან დაკავშირებული საკრალური აქტი. რასაკვირველია, მონადირისათვის ის პირველარსი მიუწვდომელია, მას მოსაკლავად უძლევა ღვთაებების მიერ ხელახლა გაცოცხლებული ნადირი. მონადირე მოწმე ხდება ნადირის გაცოცხლების აქტისა. იგი ესწრება ღვთაებათა ნადიმს, სადაც მას უმასპინძლებიან ხორციით, ოღონდ ძვლის დაბრუნებას სთხოვენ. შემთხვევით ან შეგნებულად მონადირე ერთ ძვალს აკლებს. ღვთაებები ნაკლულ ადგილს (ბეჭს ან ნეკნს) ხის მასალით ავსებენ და ისე ამთელებენ ნადირს. მერე მონადირე პოულობს თავის ნანადირევში ხის ბეჭს ან ხის ნეკნს. ოსური თქმულება ჰგავს ხევსურულს. მონადირე დამბულათს შემოალამდა და ღამეს ხის ქვეშ ათენებდა. აფსათის სხვა ღვთაებები ეპატიჟებოდნენ ნადიმზე. მან დამბულათიც წამოიყვანა. სიუჟეტი აქაც ტრადიციულად ვითარდება. დამბულათმა ერთი ძვალი დამალა, რომელიც ღვთაებებმა ხის ნაწილით შეცვალეს. ეს ნადირი შემდეგ დამბულათმა მოკლა და ძვლის ნაცვლად ხის ნაჭერი აღმოაჩინა.

მე-19 საუკუნეში გაზეთში „Терские Ведомости“ (1870წ. N49) გამოქვეყნდა ფოლკლორული მოთხრობა აფსათის შესახებ. იგი კონტამინირებულია და სხვადასხვა სიუჟეტს აერთიანებს. ამ ტექსტში მოთხრობილია ხაბიციზე, რომელმაც ბავშვობაში გველი გადაყლაპა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ იგი სახელოვანი მონადირე გახდებოდა. ამას მოსდევს გაცოცხლებული ნადირის ამბავი. ერთ-ერთი ნადირობისას ხაბიცი ისვენებდა ხის ქვეშ. ტყის მფარველი უზარმაზარი ქალი ქალი-უს-ბარატჩი დაჰპატიჟა აფსათიმ. ქალმა თან წაიყვანა ხაბიცი და დაარიგა, რომ აფსათისთვის გამოეთხოვა ნადირის უხვად ხოცვის ნება. იგი ასეც მოიქცა და მიიღო მონადირის ძალა. კავკასიელთა სამონადირო მითოსზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ თავდაპირველად ნადირთმფარველი ქალი იყო. დროთა განმავლობაში მთავარი პატრონის ფუნქცია მამაკაც ღვთაებას დაეკისრა, თუმცა მის გვერდით ქალღვთაებებიც არიან მისი შვილების ან დამხმარეების სახით. ამის მაგალითს ოსურ წარმოდგენებშიც ვხედავთ. აფსათის გვერდით იხსენიებოდა ქალიც, როგორც ტყის მფლობელი, თუმცა თანამედროვე მთქმელები მას სახელდებით არ ახსენებენ. 2000 წელს არის ჩაწერილი ტექსტი „სიზმარი“, რომელშიც ასევე ფიგურირებს სამი მითიური პერსონაჟი: აფსათი, უსახელო ტყეების მფარველი და უსახელო ნადირთმფარველი ქალი.

აფსათის ნადიმზე ხაბიციც შემწვარი ირემი მოართვეს. მან ნეკნი დამალა, აფსათიმ ხის ნაჭრით შეცვალა ნეკნი და ირემი გააცოცხლა. ბოლოს მოთხრობილია, რომ აფსათის

ქალიშვილი მოიტაცა ტყის კაცმა, ხაბიძმა კი იგი გაათავისუფლა (სოკაევა 2021:50– 53). ეს სიუჟეტი დამოუკიდებლად არსებობს ოსურ ფოლკლორში, კერძოდ, საგმირო-მითოლოგიურ სიმღერებში „როგორ გაათავისუფლა აფსათის ასული კომაის ვაჟმა“, „სიმღერა კომაის ვაჟისა და აფსათის შესახებ“ და სხვა. ამ სიმღერების შინაარსი ასეთია: აფსათის ქალიშვილი საქორწინო ასაკის გახდა. მასთან დასანიშნად მოვიდნენ მზისა და მთვარის ვაჟები. ამასობაში ტყის კაცმა ქალი მოიტაცა. აფსათიმ ღამით დაუკრა ოქროს სალამურზე და ამ გზით მოიხმო თავისი მეგობარი მონადირე კომაის ვაჟი. კომაის ვაჟმა გაათავისუფლა აფსათის ქალიშვილი და ისინი და-ძმად გაიფიცნენ (სიმღერები... 1974: 41).

ამ შინაარსის მქონე გადმოცემებიდან ვიგებთ, რომ აფსათს ურთიერთობა აქვს განთქმულ მონადირეებთან. მათი სახელიანობა იმითაა გაპირობებული, რომ აქვთ აფსათის წყალობა და უხვად ხოცავენ ნადირს, თუმცა მოტივაცია დაკარგულია. არ ჩანს, რამ განაპირობა აფსათის არჩევანი. აფსათის ასევე ურთიერთობა აქვს ტყის მფარველ ქალთან, რომელსაც ხანდახან ნადირთღვთაებადაც იხსენიებენ, მაგრამ არ ვიცით თავის დროზე როგორი ფორმა და შინაარსი ჰქონდა ამ ურთიერთობას, რადგან ტექსტებში ამ პერსონაჟის მონაწილეობა ეპიზოდურია და მას სერიოზული ფუნქცია არ გააჩნია.

კავკასიელთა ერთი ჩვეულებაა აღსანიშნავი. როცა მონადირე ნანადირევით ბრუნდებოდა, თუ მას გზაში სხვა ხელცარიელი მონადირე შეხვდებოდა, აუცილებლად უნდა გაეყო მისთვის ნადავლი. როგორც ჩანს, ეს იყო იმ გულუხვობის ანალოგიური, რაც მის მიმართ ნადირთღვთაებამ გამოიჩინა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ხელი არ მოემართებოდა ნადირობაში. ამიტომ როცა ვაჟა-ფშაველას პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“ ჯოყოლა უუბნება ზვიადაურს:

„თუ გინდ, ეხლავე გავიყოთ
როგორც ამხანაგთ ორადა,
ჩიჩქიც არ მინდა მე მეტი,
გავინაწილოთ სწორადა“,

მხოლოდ მისი სიკეთის გამოვლენა კი არ არის, არამედ კავკასიაში დამკვიდრებული ტრადიციის ერთგულებაცაა. ანალოგიურ წარმოდგენებს ვხვდებით ოსებშიც. თუ მონადირე მოკლავდა ირემს, ხორცის რაღაც ნაწილი უნდა მიეცა პირველი შემხვედრისთვის აფსათის პატივისცემის ნიშნად. ხალხურ ლექსებში აღნიშნულია, რომ იგი ღარიბი მონადირეების შემწეა (აბაევი 1958:109).

სამონადირეო მითოსი ოსურ ზეპირსიტყვიერებაში წარმოდგენილია როგორც პროზაული, ისე პოეტური ძეგლებით. აღსანიშნავია, რომ სამონადირეო სიმღერების ერთი ნაწილი სრულდებოდა ფერხულებში დღესასწაულების დროს, რაც ამ მითოსის რიტუალთან უშუალო კავშირზე მეტყველებს და გვიჩვენებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ეს თემა კავკასიელთათვის. თუმცა დროთა განმავლობაში მითო-რელიგიური სისტემა შესუსტდა, რასაც მოჰყვა ღვთაებათა სახის დემითოლოგიზაცია. ეს პროცესი ჩვენ მიერ დასახელებულ ტექსტებშიც ჩანს. აფსათის უკვე ადამიანური ნიშან-თვისებები მიეწერება. მას ჰყავს ოჯახი, ბერდება და უძღურდება. როცა ტყის კაცმა -ლაგსირდმა ქალიშვილი მოსტაცა, ამ დროისთვის იგი უკვე დაუძღურებული იყო, თითქმის დაბრმავებული და ამიტომ მოუწოდა ძმობილს დასახმარებლად. აფსათის სახე ზღაპრებშიც გვხვდება, რაც ასევე დემითოლოგიზაციის შედეგია. ასეთებია ზღაპრები „საწყალი ქალის ვაჟი ქაბული და ოქროს რქიანი ირემი“, „აღდარი და ახსინი“ და სხვა (სოკაევა 2021:57).

ოსურ ფოლკლორში სამონადირეო თემას უკავშირდება დაღუპული მონადირის ამბავი. ეს სიუჟეტიც საერთო კავკასიური ხასიათისაა, რადგან იგი გვხვდება აქ მოსახლე ხალხთა გადმოცემებში. თუ მონადირე არასწორად იქცევა, არღვევს ტრადიციას, კლავს განსაკუთრებული ნიშნების მქონე ნადირს, ამით განარისხებს ნადირთღვთაებას და აუცილებლად ისჯება. დაღუპული მონადირის ციკლის გადმოცემები ასეთ სიუჟეტზეა აგებული. ოსურ ფოლკლორში ამ სიუჟეტში ჩართულია დალატის თემა. „სიმღერა

გუიმანზე“ მოგვითხრობს, რომ იგი კარგი მონადირე იყო, მაგრამ მამის გაფრთხილებას ყური არ უგდო და უზომოდ ხოცა ოქროს რქიანი ირმები. მისი თოფის ხმის გრიალმა ხალხი შეაშფოთა. მთაში გუიმანის მეგობარი კასპოლათი წავიდა ვითომ ამბის გასაგებად. სინამდვილეში მას ბოროტი განზრახვა ჰქონდა და გუიმანი კლდიდან გადააგდო. კასპოლათი გუიმანის ცოლზე დაქორწინდა. წლების შემდეგ გაიგო ქალმა, რომ კასპოლათმა მოუკლა ქმარი და შური იძია მასზე (სიმღერები... 1974: 46). ეს სიუჟეტი გამოიყენა ოსმა პოეტმა გ. მალიევმა და შექმნა პოემა „უახაგას ვაჟი პატარა გუიმანი“. მის ნაწარმოებში ბრძენი თანასოფლელები ამხელენ კასპოლატის ვერაგობას და მას ღვთიური ძალა სჯის. ამდენად, ტრაგიკული ბედის მქონე მონადირე ლიტერატურულ გმირად იქცა.

აფსათის თემა აისახა კოსტა ხეთაგურის შემოქმედებაშიც. მის ლექსში „აფსათი“ ნადირთღვთაება ღუპავს მდიდარ ქედმაღალ მონადირეებს, რომლებიც ღარიბებს ართმევენ ლუკმას. ღარიბი მონადირეები კი მისთვის ძვირფასი სტუმრები არიან და მათთვის უხვად იმეტებს ნადირს. პოეტმა გამოიყენა ხალხური ლექსის სიუჟეტი და წინა პლანზე წამოსწია სოციალური საკითხი.

როგორც ვხედავთ, სამონადირეო თემა იმდენად აქტუალური იყო ოსებისთვის, რომ იგი მხატვრულ ლიტერატურაშიც აისახა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაევი 1958: Абаев В.И. Историко-этимологический словарь осетинского языка, т. 1. М.-Л., 1958.
2. ოჩიაური 1955: ოჩიაური თ. ხევსურეთის მითოლოგიიდან (ხის ბეჭი), მსე, VII, 1955. სიმღერები... 1974: Песни далеких лет, Орджоникидзе, 1974.
3. სიხარულიძე 2006: სიხარულიძე ქ. კავკასიური მითოლოგია, თბ., 2006.
4. სოკაევა 2021: Сокаева Д.В. Сакральные персонажи и символы фольклорной прозы у осетин: генезис, семантика, этнографический контекст, М., 2021.
5. ცალაგოვი 2009: Цаллагов В. Афсати // Материалы республиканской научно-практической конференции, Владикавказ, 2009.
6. ძათიათი 1971: Дзатиатты Г.П. Образ Афсати в осетинской народной песне и в одноименном стихотворении Коста Хетагурова // Известия ЮОНИН Академии Наук Грузинской ССР, Цхинвали, 1971.

Ketevan Sikharulidze
Tbilisi State University
Tbilisi, Georgia

HUNTING THEME IN OSSETIAN FOLKLORE

Abstract

Hunting had an important place in the life of Ossetians. Accordingly, the rules, traditions, and mythological representations related to this activity were formed here, which was reflected in their folklore. Interesting characters in Ossetian folklore are the hunting deity Apsat and hunters with tragic fates. A successful hunt depended on Apsat's will, so the hunters preached to him, made requests, and followed the established rules. These traditions are uniform in different regions of the Caucasus. Most of the texts related to Apsat are cultic in nature, although there are some poems in which the religious-mythological motifs are weakened.

In 1974, a collection of samples of Ossetian folk poetry "Songs of distant years" was published in Russian. Here, attention is drawn to two poems dedicated to Apsat, in which the hunting deity is presented in an unconventional way. The ballad "Song of Apsat" tells us that the

hunting deity does not listen to the pleas of rich hunters and kills them while helping the poor hunter to get prey. In the second poem, "Apsat and Komia's son", Apsat is a blind and helpless old man who mourns his abducted daughter.

The story of the hunter who died tragically was reflected in the Ossetian folklore, which can be found in the works of other peoples of the Caucasus as well. In the customs of the Caucasians, it can be seen that the killing of the beast was regulated. Anyone who violated this rule or killed a beast with special marks would certainly be punished. This is a major theme in the tales and poetry of the Dead Hunter cycle.

The name of the hunter Guiman is known, he was a good hunter, but he did not listen to his father's warning and killed the deer in abundance. Because of this, he slipped off the cliff. There are also variants of Guiman's story, including the betrayal of a friend. This motif is also known in the folklore of Caucasians. The story of Guiman was written by the poet G. Meliev who called him "Little Guiman, the Son of Uakhagag". Thus, the hunter with a tragic fate became a literary hero.

Keywords: Ossetian folklore, Accordingly, Caucasus, Guiman's story.

გიორგი სოსიაშვილი

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
გორი, საქართველო

შოტლანდიელი ექიმი, ბოტანიკოსი და მოგზაური რობერტ ლაიელის ცნობები ოსების შესახებ

რობერტ ლაიელი დაიბადა შოტლანდიის ქალაქ პეისლიში¹ 1789 წლის 26 ნოემბერს. ტექსტილის მწარმოებელთა ქალაქის მაცხოვრებელთა უმრავლესობას ფეიქრები წარმოადგენდნენ, თუმცა, რობერტ ლაიელი საშუალო ფენის შეძლებულ ოჯახს ეკუთვნოდა. იგი გახლდათ უილიამ ლაიელის და ჯენეტ ტასინის ვაჟი.² XVII-XVIII საუკუნეებში ქ. პაისლი ტექსტილის წარმოების თვალსაზრისით ქვეყნის ცენტრად იქცა. რობერტ ლაიელი განცვიფრებული იყო ქალაქის სწრაფი ინდუსტრიალიზაციით, სადაც სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა პოლიტიკური რადიკალიზმი, რამაც საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში (1789-1799 წ.წ.) მოსახლეობის დიდი ნაწილის გადატაკება გამოიწვია. ამის მიუხედავად, XVIII საუკუნის II ნახევარში, ქალაქის მაცხოვრებლებს საკმაოდ მაღალი შემოსავალი ჰქონდათ. პაისლიში მრავლად იყვნენ წერა-კითხვის მცოდნე მოქალაქეები, რამაც ქალაქი მიმზიდველი გახადა.³ ინდუსტრიალიზაციის განვითარებამ პაისლიში ფეიქართა ცხოვრების დონე გააუარესა. ტექსტილის წარმოებაში დასაქმებულებს ხელფასი თითქმის 50%-ით შეუმცირდათ. სოციალური ფონის დამძიმების მიუხედავად რობერტ ლაიელის მამას აღმოაჩნდა ფინანსური რესურსი, რომ შვილის განათლებისათვის პაისლის სკოლა-გიმნაზიაში კვარტალურად 58 შილინგი გადაეხადა.⁴ აღნიშნულ სასწავლებელში საკმაოდ მაღალი დონის პედაგოგები მოღვაწეობდნენ. ლიტერატურის და მეცნიერებების გარდა, რობერტი აქ სწავლობდა ლათინურ და ფრანგულ ენებს. უცხო ენების მიმართულებით მისი მასწავლებელი იყო მანგო ჰენრი, რომელიც 1757-1797 წლებში აღნიშნული გიმნაზიის დირექტორი გახლდათ. რობერტ ლაიელი დაუფლა ასევე გერმანულ ენას, რომელიც, სავარაუდოდ, კერძო რეპეტიტორმა შეასწავლა. 1802 წელს 12 წლის რობერტ ლაიელი ედინბურგის უნივერსიტეტში ჩაირიცხა (უნივერსიტეტში შემსვლელთა საშუალო ასაკი 14 წელი იყო). აღნიშნულ სასწავლებელში იმ დროისთვის 1000 სტუდენ-

¹ პაისლის დაარსება უკავშირდება VI საუკუნეში მოღვაწე ირლანდიელ ბერს-წმ. მირინს, რომელიც ამავე ქალაქში არსებული ეკლესიის დამფუძნებლადაც ითვლება. Gwyn Campbell, *The Travels of Robert Lyall, 1789-1831 Scottish Surgeon, Naturalist and British Agent to the Court of Madagascar*, PALGRAVE MACMILLAN, 2020, p. 1.

² წყაროებში რობერტ ლაიელის დედამამიშვილები არ გვხვდება.

³ Ibid, p. 1-2.

⁴ 1801 წელს, ერთი წლით ადრე, ვიდრე რობერტ ლაიელი ედინბურგის უნივერსიტეტში ჩაირიცხებოდა, ქალაქ პაისლიში ახალი, კიდევ უფრო უკეთესი გიმნაზია დაარსდა.

ტი ირიცხებოდა. აქედან 400 სამედიცინო მიმართულებაზე სწავლობდა. სტუდენტების უმეტესობა გაწევრიანებული იყო რამდენიმე სამეცნიერო საზოგადოებაში, მათ შორის: ფიზიკის სამეფო საზოგადოებაში, მედიცინის საზოგადოებაში და სხვ. როგორც რობერტ ლაილი აღნიშნავდა, ედინბურგის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლა ერთ-ერთი საუკეთესო იყო.¹ რობერტ ლაილმა შეისწავლა: მედიცინა, ანატომია, ქიმია და სხვ. მედიცინის თეორიული დაუფლების შემდეგ, მან ედინბურგის საავადმყოფოში პრაქტიკაც გაიარა. ² იმ დროისათვის, ედინბურგის უნივერსიტეტში დოქტორის ხარისხის მისაღებად სწავლის საფასური 20 ფუნტ სტერლინგს შეადგენდა, თუმცა ბევრი სტუდენტის მსგავსად რობერტ ლაილს ხარისხის მიღებაზე არ უფიქრია, რადგან აღნიშნულ უნივერსიტეტში სწავლა იმდენად პრესტიჟული იყო, რომ განათლებამიღებული მედიკოსები დიპლომების გარეშე იწყებდნენ სამედიცინო საქმიანობას.³ რობერტ ლაილი, მართალია, 1809 წლის მდგომარეობით კვლავ ედინბურგის უნივერსიტეტის სტუდენტად ითვლებოდა, თუმცა მან 1808 წელს დატოვა აღნიშნული ქალაქი და მშობლიურ პაისლიში დაბრუნდა, სადაც იმავე წლის სექტემბერში სახლი შეიძინა. ედინბურგის უნივერსიტეტში შეძენილი სანაცნობო წრის მეშვეობით ლაილი მალე მანჩესტერში⁴ გადავიდა და სამედიცინო განათლების გადრმავება გააგრძელა. 1808 წლის სექტემბრიდან-1809 წლის ივლისის ჩათვლით იგი მანჩესტერის სამედიცინო დაწესებულებაში ქირურგის პოზიციაზე მუშაობდა,⁵ სადაც კარგი გამოცდილება დაუგროვდა და სახელიც გაითქვა, როგორც დამწვრობის უბადლო მკურნალმა. 1811 წელს რამდენიმე ჟურნალმა (მედიცინის და ფიზიკის მიმართულებით) ლაილის მანჩესტერში მოღვაწეობის შესახებ სტატიები გამოაქვეყნა. 1812 წელს რობერტ ლაილმა მერი ეითონზე იქორწინა.⁶ მათი ქორწინების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა პაისლის და გლაზგოს გაზეთებში, სადაც მითითებული იყო, რომ ქირურგმა რობერტ ლაილმა ცოლად შეირთო ჯონ ეითონის უფროსი ქალიშვილი მერი.⁷ რობერტის და მერის პირველი შვილი ჯონ ეითონ ლაილი 1813 წლის 23 აპრილს შეეძინათ ქ. პაისლიში, რომელიც იმავე წლის 30 მაისს მონათლეს. ⁸ წარმატებული კარიერის მიუხედავად, რობერტ ლაილს შოტლანდიაში გარკვეული პრობლემები შეექმნა (წყაროებში კარგად არ ჩანს, რატომ დატოვა მშობლიური ქვეყანა) და როგორც თვითონვე მიუთითებდა ამ პრობლემათა გამო ორჯერ მოუწია თავისი ცხოვრების საუკეთესო წლების რუსეთში გატარება. ⁹ გ. კემპბელის აზრით, რობერტ ლაილის რუსეთში გამგზავრების მიზეზი შესაძლებელია 1812 წელს მოსკოვში ნაპოლეონის შეჭრა ყოფილიყო. ამ დროისთვის მისი სიდედრ-სიმამრი რუსე-

¹ „Dr. Lyall, s Answer to the Quarterly Review“, The Edinburgh Magazine and Literary Miscellany 16 (mar. 1825), p. 307.

² Gwyn Campbell, The Travels of Robert Lyall, 1789-1831 Scottish Surgeon, Naturalist and British Agent to the Court of Madagascar, PALGRAVE MACMILLAN, 2020, p. 9; [Samuel] P[asfield] O[liver], „Robert Lyall“ in Dictionary National Biography vol. 34, (London: Smith, Elder, and Co, 1893), p. 304; Meehan, s Monthly. A Magazine of Horticulture, Botany and Kindred Subjects, vol. 4, 1894, p. 79.

³ Gwyn Campbell, The Travels of Robert Lyall, 1789-1831 Scottish Surgeon, Naturalist and British Agent to the Court of Madagascar, PALGRAVE MACMILLAN, 2020, p. 10; J. B. Morell, „The University of Edinburgh in the Late Eighteenth Century: its Scientific Eminence and Academic Structure“ Isis 62.2, 1971, p. 519. ედინბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ ქირურგებზე XVIII საუკუნის ბოლოს განსაკუთრებული მოთხოვნა იყო. მათი დიდი ნაწილი უდიპლომოდაც ახერხებდა სამედიცინო მოღვაწეობის დაწყებას.

⁴ DICTIONARY NATIONAL BIOGRAPHY, edited by SIDNEX LEE, VOL, XXXIV, NEW YORK, 1893, p. 304; <https://archive.org/stream/dictionarystation57stepgoog#page/n316/mode/2up>

⁵ Gwyn Campbell, The Travels of Robert Lyall, 1789-1831 Scottish Surgeon, Naturalist and British Agent to the Court of Madagascar, PALGRAVE MACMILLAN, 2020, p. 10.

⁶ Gwyn Campbell, The Travels of Robert Lyall, 1789-1831 Scottish Surgeon, Naturalist and British Agent to the Court of Madagascar, PALGRAVE MACMILLAN, 2020, p. 14; James Stark, „Contribution to the Vital Statistics of Scotland“, Journal the statistical Society of London, 14. 1, 1851, p. 70.

⁷ Gwyn Campbell, The Travels of Robert Lyall, 1789-1831 Scottish Surgeon, Naturalist and British Agent to the Court of Madagascar, PALGRAVE MACMILLAN, 2020, p. 14; Anon, „Marriages-Deaths“, Scots Magazine and Edinburg Literary Miscellany, Vol. 74, Aug. 1812, p. 645; <https://www.inverclyde.gov.uk/community-life-and-leisure/heritage-services/collections/watt-library/family-history/intimations%201800-1825.pdf>.

⁸ Gwyn Campbell, The Travels of Robert Lyall, 1789-1831 Scottish Surgeon, Naturalist and British Agent to the Court of Madagascar, PALGRAVE MACMILLAN, 2020, p. 14.

⁹ Ibid. p. 14; Samuel Pasfield Oliver, „Dr. Robert Lyall“, The Gardeners, Chronicle, 29 oct. 1892, p. 519.

თის დედაქალაქში ცხოვრობდა და, სავარაუდოდ, მერის მშობლებმა ომის დროს დაზიანება მიიღეს, რის გამოც რობერტმა (მათი მკურნალობის და პატრონობის გამო) რუსეთში გამგზავრება გადაწყვიტა. მეორე მიზეზი მკვლევრის დაკვირვებით შესაძლოა დასაქმების სურვილი ყოფილიყო. იმ დროისთვის, როგორც ჩანს, რუსეთი მიმზიდველი ქვეყანა იყო შოტლანდიელებისთვის.¹ თუმცა, არ გამოვიცხავთ, რომ შოტლანდიელი ექიმი ბრიტანეთის მთავრობის დავალებით აგენტურულ საქმიანობას ეწეოდა და რუსეთში სწორედ ამიტომ გაემგზავრა.

რობერტ ლაიელის მეუღლე მერი ეითონი, გ. კემპბელის აზრით, სავარაუდოდ, მოსკოვში, ან სანკტ-პეტერბურგში იყო დაბადებული.² მერის მამა შოტლანდიელი ჯონ ეითონი 1747 წელს (სხვა ვერსიით, 1751 წელს) ედინბურგში, ან გალსტონში დაიბადა. მისი ბიძა— უილიამ ეითონი(1731-1793 წ.წ.), 1783 წელს ინგლისის მეფის ჯორჯ III-ის(1738-1820 წ.წ.)³ მეზღვე გახდა. ⁴ სწორედ ბიძის რჩევით დაეუფლა მეზღვის პროფესიას ჯონ ეითონი, რომელიც სულ მალე გრიგოლ პოტიომკინის (1739-1791 წ.წ.) მიწვევით, რუსეთში გაემგზავრა. იმ დროისთვის რუსეთის იმპერატორიცამ, ეკატერინე II-მ (1729-1796 წ.წ.) გრიგოლ პოტიომკინს ბელორუსში, მოგილოვოს რეგიონში, კრიჩოვში მიწის ნაკვეთი აჩუქა. პოტიომკინმა რობერტ ლაიელის მომავალი სიმამრი სწორედ იქ მიიწვია მეზღვედ.⁵ ეკატერინე II კრიჩოვში 1787 წელს უნდა ჩასულიყო და ამისათვის გრიგოლ პოტიომკინი საგანგებოდ ემზადებოდა. პოტიომკინს დიდი სურვილი ჰქონდა ულამაზესი ბაღებით განეცვიფრებინა რუსეთის მონარქი.⁶ რობერტ ლაიელი კრიჩოვში სიმამრთან ერთად იმყოფებოდა და ჯონ ეითონისგან მან ბევრი რამ შეიტყო გრიგოლ პოტიომკინის შესახებ. ⁷ რობერტ ლაიელის სიდედრ-სიმამრის ბრიტანეთში დაბრუნების შესახებ ცნობები არ არის შემონახული. როგორც ჩანს, ისინი რუსეთში გარდაიცვალნენ და, სავარაუდოდ, მოსკოვის გარეუბანში დაკრძალეს.⁸ რობერტ ლაიელი გარკვეული დროის განმავლობაში მოსკოვში ცხოვრობდა, ხოლო მოგვიანებით, სანკტ-პეტერბურგში გადავიდა, სადაც ბევრი შოტლანდიელი მუშაობდა. ლაიელი ერთ-ერთი რუსი დიდგვაროვნის ოჯახის ექიმი გახდა. აქ დაუმეგობრდა იგი ედინბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, ალექსანდრ კრიხტონს (1763-1856 წ.წ.), რომელიც ექიმის რანგში 1804 წელს, იმპერატორ ალექსანდრე I-ის (1777-1825 წ.წ.) მოწვევით ჩავიდა რუსეთში.⁹ რობერტ ლაიელმა რუსეთშიც გაიღრმავა სამედიცინო განათლება. 1816 წელს, მან საიმპერატორო სამედიცინო ქირურგიული აკადემია დაამთავრა და მედიცინის დოქტორის ხარისხიც მიიღო.¹⁰ რობერტ ლაიელს მიეცა პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების უფლება სანკტ-პეტერბურგის სამხედრო-სანაოსნო ჰოსპიტალებში, სადაც უცხოელი ექიმები მოღვაწეობდნენ.¹¹ რობერტ ლაიელმა 1816 წელს, რუსეთის საიმპერატორო სამედიცინო ქირურგიული აკადემიის დირექტორის, უაილისაგან შემოთავაზება მიიღო — ბარონესა ანა ალექსის ასული ორლოვა-ჩესმენსკაიას (1785-1848 წ.წ.) უმდიდრეს ოჯახში ექიმად მიწვევის შესახებ.¹²

¹ Gwyn Campbell, *The Travels of Robert Lyall, 1789-1831 Scottish Surgeon, Naturalist and British Agent to the Court of Madagascar*, PALGRAVE MACMILLAN, 2020, p. 14.

² Ibid, p. 15.

³ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, თბ., 1987, გვ. 574.

⁴ Gwyn Campbell, *The Travels of Robert Lyall, 1789-1831 Scottish Surgeon, Naturalist and British Agent to the Court of Madagascar*, PALGRAVE MACMILLAN, 2020, p. 15.

⁵ Ibid. p. 15; Antony Cross, „Russian Gardens, British Gardeners“, *Garden History* 19. 1, 1991, p. 18-19; Ian P. Christie, *Samuel Bentham and the Western Colony at Krichiev, 1784-1787*, *Slavonic and East European Review* 48.111, 1970, p. 234-40.

⁶ Gwyn Campbell, *The Travels of Robert Lyall, 1789-1831 Scottish Surgeon, Naturalist and British Agent to the Court of Madagascar*, PALGRAVE MACMILLAN, 2020, p. 15.

⁷ Ibid.

⁸ Ibid. p. 21.

⁹ Ibid. p. 21.

¹⁰ Ibid. p. 23. იმ დროისთვის რუსეთის იმპერიაში სამედიცინო ხარისხს ანიჭებდა ხუთი სასწავლებელი: მოსკოვის, კიევის, ყაზანის, დორპატის და ხარკოვის.

¹¹ Gwyn Campbell, *The Travels of Robert Lyall, 1789-1831 Scottish Surgeon, Naturalist and British Agent to the Court of Madagascar*, PALGRAVE MACMILLAN, 2020, p. 23.

¹² Ibid. p. 23-24. როგორც ირკვევა, რუსულ არისტოკრატიულ საზოგადოებაში განსაკუთრებული მოთხოვნა იყო ედინბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ ექიმებზე. ბარონესა ანა ორლოვა-ჩესმენსკაია უმ-

1816-1820 წლებში რობერტ ლაიელი გრაფინია ანასთან მოსკოვთან ახლოს არსებულ ერთ-ერთ რეზიდენციაში მსახურობდა, სადაც ჰოსპიტალი იყო განთავსებული. ლაიელი თავისუფალ დროს ანა ალექსის ასულის უმდიდრესი ბიბლიოთეკით სარგებლობდა. აქ მან უამრავი წიგნი წაიკითხა, რაც გამოიყენა თავისი მომავალი ნაშრომის: „The Character of The Russians and A Detailed History of Moscow“¹ შესაქმნელად. მითითებულ ნარკვევში ზოგიერთი ფაქტი, მაგ. 1808 წლის წყალდიდობა, ასევე 1812 წლის ხანძარი მოსკოვში ლაიელის სიდედრ-სიმამრის ცნობებს ეფუძნება.² რუსეთში ყოფნისას რობერტ ლაიელი სოფლის მეორეობის და ბუნებისმცოდნეობის საზოგადოებებში გაწევრიანდა. 1819 წელს მეუღლესთან ერთად შოტლანდიელი ექიმი მცირე ხნით ინგლისში ჩავიდა. სამეფო ბოტანიკურ ბაღისათვის კიუში* მან არაერთი მცენარის თესლი ჩაიტანა.³ 1820 წელს რობერტ ლაიელმა გრაფინია ანა ორლოვას სახლი დატოვა და კარლ ლუდვიგ გოლდბახთან (1793-1824 წ.წ.) ერთად ადგილობრივი სოკოების შესახებ ინფორმაციის შეგროვება დაიწყო. ეს მასალები მან მოგვიანებით ბრიტანეთ-

დიდრესი რუსი დიდგვაროვნის, ალექსი ორლოვის ერთადერთი ქალიშვილი იყო. ალექსი ორლოვმა მონაწილეობა მიიღო ჩესმეს ყურის ბრძოლაში ოსმალების წინააღმდეგ. ცნობილია, რომ 1768-1774 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, 1770 წლის 7 ივლისს, ჩესმეს ყურის ჩრდილო-დასავლეთით (ეგეოსის ზღვა, ქიოსის სრუტე) რუსულმა ფლოტმა ოსმალეთის ფლოტს შეუტია და მოწინააღმდეგის ხომალდი ჩაძირა. ოსმალეთის საზღვაო ძალების შენაერთმა ჩესმეს ყურეს შეაფარა თავი. რუსულმა ფლოტმა კონტრ-აღმირალ ს. გრეიგის მეთაურობით ცეცხლი წაუკიდა ოტომანთა იმპერიის ხომალდებს. ოსმალეთის ფლოტი თითქმის მთლიანად დაიწვა. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, თბ., 1987, გვ. 104. ამ ბრძოლაში მონაწილეობდა ალექსი ორლოვიც, რომელმაც როგორც ჩანს აქედან მიიღო მეორე გვარი-ჩესმენსკი. Naval Wars in The Levant 1559-1853 by R. C. Anderson, Litt.d. Rinceton University Press, 1952, p. 288. იგი ძალზე დაახლოვებული იყო ეკატერინე II-სთან. მონაწილეობდა პეტრე III-ის ტახტიდან ჩამოგდებაში. გარდაცვალების შემდეგ ალექსი ორლოვს უზარმაზარი ქონება დარჩა, მათ შორის 5 მლნი. რუბლი. მისი ერთადერთი ქალიშვილი იურლეს მონასტრის ბერის ფოტიუს სპასკის (1792-1832 წ.წ.) გავლენის ქვეშ მოექცა და მათ შორის ურთიერთობა გაიბა. Gwyn Campbell, The Travels of Robert Lyall, 1789-1831 Scottish Surgeon, Naturalist and British Agent to the Court of Madagascar, PALGRAVE MACMILLAN, 2020, p. 24.

¹ აღნიშნული წიგნი გამოიცა ლონდონში 1823 წელს. <http://www.raruss.ru/rossica/1950-lyall-moscow.html>. უნდა ითქვას, რომ ბრიტანეთში არსებული რუსეთის საკონსულო ამ წიგნის გამოცემას უარყოფითად შეხვდა. http://www.darial-online.ru/material/2019_3-layel/ ნაშრომი, მართალია, რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე I-ს ეძღვნებოდა, მაგრამ იმის გამო, რომ ლაილის მოგზაურობის ამსახველ ჩანაწერებში რუსი დიდგვაროვნების კორუფცია და სხვა უმსგავსოებები იყო მხილებული, სანკტ-პეტერბურგის საზოგადოების მაღალმა წრემ ამ წიგნის შესახებ გულისწყრომა გამოხატა. Gwyn Campbell, The Travels of Robert Lyall, 1789-1831 Scottish Surgeon, Naturalist and British Agent to the Court of Madagascar, PALGRAVE MACMILLAN, 2020, p. 32. 1824 წელს ჟურნალში „კვარტალური მიმოხილვა“ რობერტ ლაიელმა რუსეთზე დაწერილი ნაშრომის შესახებ საგანგებო წერილი გამოაქვეყნა სათაურით: „რუსეთის კოლონიების ორგანიზაცია, ადმინისტრაცია და ამჟამინდელი მდგომარეობა“. DICTIONARY NATIONAL BIOGRAPHY edited by SIDNEX LEE, VOL, XXXIV, NEW YORK, 1893, p. 304;

<https://archive.org/stream/dictionarynatio57stepgoog#page/n316/mode/2up> და პასუხი გასცა კრიტიკოსებს. თუმცა, აღნიშნულ ნაშრომთან დაკავშირებით არსებული სკანდალი, ამით არ დასრულებულა. ლაიელმა რუსეთზე გამოცემული მისი ნაშრომის განმაქიქებელი ჯონ ბაროუ (სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი) დუელში გამოიწვია. გ. გელაშვილი, ინგლისელი მოგზაური რობერტ ლაიელი თბილისის შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2(15), 2014, გვ. 320. აღსანიშნავია, რომ ლაიელმა 1826 წელს, იმპერატორ ალექსანდრე I-ის გარდაცვალებას სამი სტატია მიუძღვნა. მათ შორის ერთი ეხებოდა მეფეს, ერთი დიდ მთავარ კონსტანტინეს და ერთი – მეფე ნიკოლოზს. რობერტ ლაიელი როგორც გ. გელაშვილი წერს: „ხაზს უსვამდა მათ დესპოტიზმს და ინკვიზიტორულ პოლიტიკურ ვითარებას.“ იქვე, გვ. 20.

² Gwyn Campbell, The Travels of Robert Lyall, 1789-1831 Scottish Surgeon, Naturalist and British Agent to the Court of Madagascar, PALGRAVE MACMILLAN, 2020, p. 28; Robert Lyall, The Character of The Russians and A Detailed History of Moscow, London, 1823, p. 39, 63, 64.

* კიუს სამეფო ბოტანიკური ბაღები ლონდონში დაარსებულია 1759 წელს. 1771 წელს ბაღების გაფართოების მიზნით, მეფე გეორგ III-მ ბოტანიკოსები უალიამ ეითონი და სერ ჟოზეფ ბენქსი მიიწვია. კიუს ბაღები იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლია. <https://whc.unesco.org/ru/list/>

³ გ. გელაშვილი, ინგლისელი მოგზაური რობერტ ლაიელი თბილისის შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2(15), 2014, გვ. 319.

ში რუსეთის შესახებ გამოცემულ წიგნში შეიტანა.¹ 1821 წელს რობერტ ლაიელი, მოსკოვთან ახლოს სემიონოვსკოეში, რუსი გენერლის ნაშჩოკინის* ოჯახის ექიმად მუშაობდა.² რუსეთში დამკვიდრებულ შოტლანდიელ მედიკოსს, როგორც ჩანს, ძალზე იტაცებდა მოგზაურობა. ამას ადასტურებს რუს მეგობართან დიმიტრი პოლტორაძისთან ერთად მისი ვოიაჟი მოსკოვის სამხრეთით კალუგისა და ორიოლის შესასწავლად. 1822 წელს რობერტ ლაიელი ორ იტალიელ დიდგვაროვანს დაუახლოვდა. ესენი იყვნენ: მარკიზი ორაციო ემილიო პუჩი (1774-1824 წ.წ.) ფლორენციიდან და გრაფი ლორენცო დე სალაზარი-ნეაპოლიდან.³ მათთან ერთად გაიცნო ასევე ინგლისელი დიდგვაროვანი ედვარდ პენრინი.⁴ დამეგობრებულმა ევროპელებმა გადაწყვეტეს, რომ რუსეთის სამხრეთ პროვინციებში ემოგზაურათ, მათ შორის ყირიმსა და საქართველოში. როგორც ი. ბოჩაროვა აღნიშნავს, გავლენიანმა უცხოელებმა გამოაცილეს თარჯიმანი და მოყვარული ბოტანიკოსი, ექიმი და, რაც ყველაზე მთავარია, ბრიტანეთის დაზვერვის აგენტი რობერტ ლაიელი.⁵ XIX საუკუნის I მეოთხედში კავკასიაში რუსეთის იმპერიის გარდა ოსმალეთის და ირანის პოლიტიკური ინტერესები იკვეთებოდა. ევროპის წამყვანი სახელმწიფოები რუსეთის საწინააღმდეგოდ სწორედ ოსმალეთსა და ირანს უჭერდნენ მხარს. მათ, ცხადია, თავიანთი ინტერესები ჰქონდათ კავკასიაში, ამიტომ ნათელი ხდება, რამ მიზნით იქნა გამოგზავნილი შოტლანდიელი ექიმი რობერტ ლაიელი.⁶ იმ დროისათვის ბრიტანეთის ხელისუფლების დავალებით არაერთი მოგზაური ჩავიდა რუსეთის იმპერიაში, რომლებსაც საიდუმლო ინფორმაციის შეგროვება ევალებოდათ, მათ შორის იყო მხატვარი რობერტ კერ პორტერი. ინგლისელმა ხელოვანმა 1817-1820 წლებში კავკასიის გავლით აზიის ქვეყნებში იმოგზაურა და საინტერესო ცნობები დაგვიტოვა საქართველოს შესახებ. რობერტ ლაიელი მოსკოვში 1822 წლის აგვისტოში დაბრუნდა. აქედან იგი მცირე ხნის შემდეგ სანკტ-პეტერბურგში ჩავიდა, სადაც ერთი წელი დარჩა. 1823 წლის ზაფხულში შოტლანდიელი ექიმი კრონშტადიდან ლონდონში გაემგზავრა.⁷ 1826 წელს რობერტ ლაიელმა მაგადასკარზე დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი, ჯეიმს ჰესტი ჩაანაცვლა. მომდევნო წლის ზაფხულში იგი ოჯახთან ერთად ჩავიდა წმ. მავრიკის კუნძულზე. რობერტ ლაიელი გარკვეული დროით მადაგასკარის დედაქალაქში დარჩა და ბოტანიკური კვლევებით დაკავდა. 1829 წლის მარტში შოტლანდიელ ექიმს ნება დართეს, რომ ტამატავაში გამგზავრებულიყო. როგორც ირკვევა, მას ადგილობრივი მაცხოვრებლები ეჭვის თვალით უყურებდნენ და აქედან წასვლა გარდაუვალი გახდა. იმავე წლის 29 მარტს ანტანანარივოს მკვიდრებმა რამაჰავალის კერპით* ხელში ლაიელის სახლი ალყაში მოაქციეს, შემდეგ კი უზოში შევიდნენ და ტომრებიდან ქვეწარმავლები დაყარეს, რაც მისი აქედან წასვლის შესახებ გაფრთხილება იყო. მცირე ხანში ხელისუფლებამ განუცხადა, რომ მათი კერპი ლაიელის გამო უკმაყოფილებას გამოხატავდა, რადგან იგი წმინდა ადგილებში მცენარეებს და რეპტილიებს აგროვებდა.⁸ ლაიელი და მისი

¹ Robert Lyall, *The Character of The Russians and A Detailed History of Moscow*, London, 1823, p. 556-562.

* ვ. ვ. ნაშჩოკინი (1742-1806 წ.წ.), გენერალ-ლეიტენანტი, წმინდა ანას ორდენის კავალერი. Биографический словарь. Высшие чины Российской Империи (22.10.1721-2.03.1917), Сост. Е. Л. Потемкин, Т. II, М., 2017, стр. 446-447.

² DICTIONARY NATIONAL BIOGRAPHY edited by SIDNEX LEE, VOL, XXXIV, NEW YORK, 1893, p. 304; <https://archive.org/stream/dictionarynatio57stepgoog#page/n316/mode/2up>

³ Gwyn Campbell, *The Travels of Robert Lyall, 1789-1831 Scottish Surgeon, Naturalist and British Agent to the Court of Madagascar*, PALGRAVE MACMILLAN, 2020, p. 31.

⁴ http://www.darial-online.ru/material/2019_3-layel/.

⁵ Роберт Лайелл, Путешествие на Кавказ, Перевод с Английского Екатерины Цагараевой. Исторический комментарий Ирины Бочаровой, http://www.darial-online.ru/material/2019_3-layel/

⁶ http://www.darial-online.ru/material/2019_3-layel/

⁷ Gwyn Campbell, *The Travels of Robert Lyall, 1789-1831 Scottish Surgeon, Naturalist and British Agent to the Court of Madagascar*, PALGRAVE MACMILLAN, 2020, p. 32; http://www.darial-online.ru/material/2019_3-layel/

* „რამაჰავალი“ – „ის, ვისაც პასუხის გაცემა ძალუძს“. მადაგასკარზე მცხოვრები ქურუმის სახელი, რომელიც კუნძულის მკვიდრთა წარმოდგენით „დედამიწის ჭიპად“ მიჩნეულ ადგილზე, გამოქვაბულში ცხოვრობდა. <https://his.1september.ru/2001/01/10.htm>

⁸ Ibid.

ვაჟები ¹ ტამატავადან 6 მილის მოშორებით არსებულ სოფელ ამბოჰიპენოსკენ ფეხით გაემართნენ. მალე მათ ლაიელის მეუღლე მარიაც შეუერთდათ, რომელსაც ჯანმრთელობა ჰქონდა შერყეული. 22 აპრილს, მითითებული სოფლიდან, ოჯახი ისევ ტამატავაში ჩავიდა, საბოლოოდ კი პორტ-ლუისში დამკვიდრდა. მადაგასკარიდან ლაიელმა უამრავი მცენარის ნიმუში წამოიღო. მისი კოლექციები დაცულია: ედინბურგში, ნიუ-იორკში, მავრიკიზე, კიუში.²

რობერტ ლაიელი 1831 წლის სექტემბერში, წმ. მავრიკის კუნძულზე მალარიისაგან გარდაიცვალა.³

რობერტ ლაიელის მოგზაურობა 1822 წლის აპრილში მოსკოვიდან დაიწყო. მან თავის მხლებლებთან ერთად თავდაპირველად რუსეთის იმპერიის სამხრეთ-დასავლეთით არსებული პროვინციები მოინახულა, შემდეგ კი ყირიმი.⁴ აქედან გადავიდა ჩრდილოეთ კავკასიაში,⁵ სადაც დაახლოებით ორი კვირა დაჰყო. ის ჯერ გეორგიევსკში შეჩერდა, შემდეგ მოზდოკში ჩავიდა, მოზდოკიდან კი ეკატერინგრადში(ყაბარდო), საიდანაც გზა გააგრძელა ვლადიკავკაზში და აქედან დარიალის ხეობით საქართველოსკენ გამოემურა.⁶ როგორც ლაიელი აღნიშნავს, თერგის პირას არსებულ გზას, რომელიც მდინარის ზემოქმედებით ძალზე დაზიანებული იყო ასეულობით რუსი ჯარისკაცი წმენდდა, რათა მგზავრობა უსაფრთხო ყოფილიყო.⁷ თავის სამ მხლებელთან ერთად რობერტ ლაიელმა თერგზე არსებული ხიდით ისარგებლა და დარიალის ხეობაში არსებულ გზას დაადგა: „ჩვენ გადავკვეთეთ შესანიშნავი ხიდი, ამჟამად ერთადერთი გადასასვლელი თერგზე დარიალის მახლობლად. ოსებმა ერთხელ გაანადგურეს ის, როდესაც შეიტყვეს, რომ საგადასახადოს მუშაკები აპირებდნენ მათთან სტუმრობას“.⁸ თერგზე გადასასვლელი ხიდი, როგორც ირკვევა, უსაფრთხო არ იყო, ამას ბრიტანელი მოგზაურის რობერტ კერ პორტერის ცნობაც ადასტურებს. მას შემდეგ, რაც იგი დარიალის საგუშაგოს რაზმის თანხლებით ხიდზე გადავიდა⁹ ოსები, რომ თერგზე გადასასვლელებს აკონტროლებდნენ, ამის შესახებ XVIII საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში ნამყოფი გერმანელი მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტიც წერდა. მისი გადმოცემით, იმ დროისათვის თერგზე არსებული ხუთი გადასასვლელიდან ხიდი არც ერთს არ ჰქონდა. ამ ხუთი ადგილიდან სამს ხევში მცხოვრები ქართველები დარაჯობდნენ, ხოლო ორს – თაგაურის ოსები. იმისათვის რომ მგზავრებისთვის ხილები გაეწყობოთ, ოსები გასამრჯელოს ითხოვდნენ.¹⁰ რობერტ ლაიელის ცნობით, ერთი პერიოდი თერგის ხეობაში მცხოვრებ ოსებს დარიალის ციხე-სიმაგრეც კი ჰქონდათ აღებული და მთელ ხეობას აკონტროლებდნენ: „ჩვენ გვაცნობეს, რომ რამდენიმე ოსმა ხელში აიღო ხეობის მართვა რუსების მრავალრიცხოვანი საჯარისო კორპუსის მიუხედავად.“¹¹ რობერტ ლაიელი ყაზბეგში ჩავიდა. როგორც მოგზაური აღნიშნავს, ადგილობრივი დიდგვაროვანი ყაზბეგი იმ დროისთვის გარდაცვლილი იყო, მისი ვაჟი რუსე-

¹ როგორც ზემოთ მივუთითებდით რობერტ ლაიელს და მის მეუღლეს მერი ეითონს 1813 წლის 23 აპრილს ვაჟი ჯონ ეითონ ლაიელი შეეძინათ. ირკვევა, რომ მათ მეორე ვაჟიც ჰყავდათ, თუმცა მისი სახელი ვერ დავადგინეთ.

² გ. გელაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 321.

³ DICTIONARY NATIONAL BIOGRAPHY edited by SIDNEX LEE, VOL, XXXIV, NEW YORK, 1893, p. 304; <https://archive.org/stream/dictionarynatio57stepgoog#page/n316/mode/2up>

⁴ Travels in Russia, The Crimea, The Caucasus and Georgia, By Robert Lyall, Vol. I, London, p. 1-390; Деремедведь Е. Н., Крым глазами английского путешественника Р. Лайелла, <http://dspace.nbuv.gov.ua/bitstream/handle/123456789/76095/36-Deremedved.pdf?sequence=1> <http://new.crimiz.ru/rubriki/101-istoriya/17828-zhivut-bez-pretenzij-spokojno-spravedlivo-i-bogato>; Авсенева С. М., Записки Путешественников Первой Половины XIX Века о. Крыме: Керчь и ее Окрестности в Описании Роберта Лайелла, file:///C:/Users/User/Downloads/1424-Article%20Text-2509-1-10-20210709.pdf;

⁵ https://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Kavkaz/XIX/1820-1840/Lyall_Robert/text1.htm; N. V. Doronina, The literature of Travelling in The Context of intercultural communication in the North Caucasus, <https://scieuro.com/wp-content/uploads/2017/01/148-153-2.pdf>

⁶ http://www.darial-online.ru/material/2019_3-layel/; <http://lib.pushkinskijdom.ru/Default.aspx?tabid=6910>;

<http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00007959/>; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6. თბ., 1983, გვ. 110.

⁷ Travels in Russia, The Crimea, The Caucasus and Georgia, By Robert Lyall, Vol. I, London, p. 470.

⁸ Travels in Russia, The Crimea, The Caucasus and Georgia, By Robert Lyall, Vol. I, London, 1825, p. 471.

⁹ გ. სოსიაშვილი, რობერტ კერ პორტერი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 43.

¹⁰ გ. სოსიაშვილი, გერმანელი მოგზაურები ოსების შესახებ, თბ., 2007, გვ. 59.

¹¹ Travels in Russia, The Crimea, The Caucasus and Georgia, By Robert Lyall, Vol. I, London, p. 472-473.

თის სამსახურში იდგა.¹ შოტლანდიელი მოგზაური იხსენიებს ყაზბეგის ქვრივს, რომელსაც ვერ შეხვდა. ყაზბეგის ოჯახის შესახებ ცნობები დაგვიტოვა ასევე რობერტ კერ პორტერმაც.² რობერტ ლაიელის ცნობით, ყაზბეგში ქართველებთან ერთად ოსებიც ცხოვრობდნენ. ამ ორ ხალხს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. ოსების დიდი ნაწილი მართლმადიდებელი აღმსარებლობის იყო: „ყაზბეგის ძირითად მოსახლეობას ოსები წარმოადგენენ, მათი უმრავლესობა ქრისტიანია. ისინი ქართველების მოკავშირეები არიან, რომელთანაც მეგობრულ ურთიერთობებს ინარჩუნებენ, რაც მათი მთიელი ძმების გაღიზიანებას იწვევს რელიგიის და უფრო მეტად რუსეთისადმი ერთგულების გამო.“³ ყაზბეგში მცხოვრებ ოსებს იხსენიებს რობერტ კერ პორტერიც მისი ცნობით ყაზბეგელი ოსები იყვნენ ქრისტიანებიც, მუსულმანებიც და წარმართებიც.⁴ აღნიშნული მოგზაურობის შთაბეჭდილებები მან ოდნავ მოგვიანებით, 1825 წელს, ბრიტანეთში, კერძოდ, ლონდონში ორ ტომად გამოსცა სახელწოდებით: „მოგზაურობა რუსეთში, ყირიმში, კავკასიასა და საქართველოში“.⁵ ლაიელის მოგზაურობის ამსახველი ჩანაწერების ორ წიგნში საქართველოს რამდენიმე თავი ეთმობა. შოტლანდიელმა ექიმმა საქართველოში დაახლოებით ორი კვირა დაჰყო, თუმცა, მიუხედავად დროის სიმცირისა, მან მოასწრო არაერთი ქალაქის და სოფლის მონახულება, შეისწავლა ჩვენი ქვეყნის ისტორია და იმდროინდელი მდგომარეობა, საზოგადოებრივი ცხოვრება და კულტურა. მის ჩანაწერებში განსაკუთრებით დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს დედაქალაქს. დაწვრილებით არის აღწერილი თბილისის გარეგნული იერ-სახე; მოსახლეობის ეთნიკური მრავალფეროვნება; ქართველების ხასიათი და ყოფა-ცხოვრება; დედაქალაქში არსებული სხვადასხვა კონფესიების კუთვნილი საკულტო ნაგებობები; ვაჭრობა და ფულის მიმოქცევა; ქარვასლები... რობერ-

¹ Travels in Russia, The Krimea, The Caucasus and Georgia, By Robert Lyall, Vol. I, London, p. 476. გარდაცვლილი ყაზბეგის სახელი ლაილის ტექსტში ნახსენები არ არის, თუმცა იგი გაბრიელ ყაზბეგს უნდა გულისხმობდეს. იხ. შენ.

² გ. სოსიაშვილი, რობერტ კერ პორტერი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 2015, გვ. 51.

³ Ibid. ოსებში ქრისტიანული რელიგია საქართველოს მხრიდან ვრცელდებოდა. ამის შესახებ უამრავი ფაქტის მოხმობა შეიძლება. როგორც გერმანელი მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი წერს: „ქართველთა ბატონობის დროს გავრცელებული იქნა ბერძნული ქრისტიანული რელიგია, რომელსაც ბევრი ქართველი ქვეშევრდომი აღიარებს; ამას გარდა რუსი მისიონერები ამ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში თავაურში, ქურთათში, ვალაგირსა და ნარში არწმუნებდნენ ოსებს, რომ მონათლულიყვნენ.“ გ. სოსიაშვილი, გერმანელი მოგზაურები ოსების შესახებ, გვ. 67; იაკობ რაინეგის ცნობით, ოსების ერთი ნაწილი მაჰმადიანი იყო, მათი უმეტესობა წარმართი, ხოლო მცირე ნაწილი ქრისტიანობას აღიარებდა. როგორც მოგზაური წერს, ოსებში ქრისტიანობა თამარ მეფის მიერ იქნა გავრცელებული. ოსეთის მთებში აქა-იქ შემორჩენილი იყო ქვის ეკლესიები და მცირე სამლოცველოები, მაგრამ ოსები თავიანთ წარმართულ ჩვევებს დაუბრუნდნენ და ქრისტიანობა დაივიწყეს. იქვე, გვ. 83. ოსებში ქრისტიანული სარწმუნოების გასავრცელებლად დიდი როლი შეასრულა ქართველი სასულიერო პირების მიერ 1745 წელს შექმნილმა „ოსეთის სასულიერო კომისიამ.“ გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XVII-XVIII სს. თბ., 1969, გვ. 237. XIX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში ნამყოფი გერმანელი მოგზაური ედუარდ აიხვალდის ცნობით, რუსეთის ხელისუფლება ოსების გასაქრისტიანებლად ყოველ წელს დაახლოებით 15 000 მანეთს ხარჯავდა. გ. სოსიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 43. ხელისუფლების ძალისხმევის მიუხედავად, ოსებში როგორც გერმანელი მოგზაური იოჰან კოლი აღნიშნავს: „თვით ქრისტიანობა, რომელმაც მათში საქართველოდან გაიდგა ფესვები, მთლიანად მოისპო... ქრისტიანობა ამჟამად (იოჰან კოლი კავკასიაში 1828 წელს იმყოფებოდა-გ. ს)დაცემის ძალზე საოცარ მდგომარეობაშია.“ გ. გელაშვილი, იოჰან კოლი ოსების შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, № 1(9), 2011, გვ. 298. ოსებში როგორც რობერტ ლაიელი აღნიშნავს განსაკუთრებულ ცხოვრებად თვლიდნენ ძაღლს და კატას. ამას ადასტურებს გერმანელი მოგზაური აუგუსტ ჰაქსტაუზენი, რომელიც საქართველოში 1843 წელს იმყოფებოდა, ლაიელის მსგავსად ჰაქსტაუზენიც აღნიშნავს რომ ოსები ძაღლს, კატას და ვირს ჯადოსნურ ცხოველებად მიიჩნევდნენ. გ. გელაშვილი, ჰაქსტაუზენის ცნობები ოსების შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, №1 (5) 2009, გვ. 385.

⁴ გ. სოსიაშვილი, რობერტ კერ პორტერი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 49; გ. სოსიაშვილი, რობერტ კერ პორტერი ოსების შესახებ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, შრომების კრებული, თბ., 2016, გვ. 240.

⁵ Travels in Russia, The Krimea, The Caucasus and Georgia , By Robert Lyall, Vol. I, London, 1825; Travels in Russia, The Krimea, The Caucasus and Georgia, By Robert Lyall, Vol. II, London, 1825.

ტმა ლაიელმა თავის თხზულებაში საკმაოდ ვრცელი ადგილი დაუთმო ოსებს. უკან დაბრუნებისას, როგორც ჩანს, მოგზაური ოსების ყოფა-ცხოვრებით და ადათ-წესებით დაინტერესდა და ძალზე საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ალანთა შთამომავლების შესახებ, რომელთა ძირითადი ნაწილი მოგზაურის ცნობით მდ. ფიაგსა და მდ. თერგს შორის მოსახლეობდა.¹ რობერტ ლაიელის ჩანაწერებში აღწერილია: ოსების გარეგნობა, მათი ჩაცმულობა, ქორწინების და დაკრძალვის რიტუალები, სისხლის ადების წესი და სხვ. ჩანაწერიდან როგორც ირკვევა, რობერტ ლაიელს ოსების შესახებ უსარგებელია გერმანელი მოგზაურის კლაპროტის ცნობებით. ის არ უდრმავედბა ოსების ისტორიას, როგორც ჩანს, შოტლანდიელ ექიმს ოსების თანამედროვე ყოფა უფრო აინტერესებდა. მოგზაურის ცნობით ოსთა საცხოვრებელი ყაბარდოს ველები იყო და მათ ტერიტორიას კავკასიონის ქედი ესაზღვრებოდა: „ოსებს ადრე მართავდნენ მათი მთავრები, ისინი დასახლდნენ ყაბარდოს დიდ და პატარ ველებზე და მათი სამოსახლოს საზღვრების ნაწილის წარმოადგენდა კავკასიონის მთათა კომპლექსი. მრავალი ცვლილებისა, თუ სამეზობლოში მომხდარი ამბების მიუხედავად, მათი საცხოვრებელი ამ დრომდე იგივე დარჩა.“² ვლადიკავკაზის შემოგარენში მცხოვრები ოსები მგზავრების ძარცვით, თუ გატაცებით იყვნენ დაკავებული და რუსებისგან გამოსასყიდს ითხოვდნენ: „თუმცა, მგზავრმა უარი არ უნდა თქვას დაცვაზე. უამრავი მგზავრი ლაპარაკობს ოსებზე, რომლებიც ცხოვრობენ ვლადიკავკაზის მახლობლად, ისინი ელოდებიან მგზავრებს, რომლებსაც იჭერენ და ტყვედ მიჰყავთ, სანამ არ მიიღებენ გამოსასყიდს რუსებისაგან. ეს ფულის შოვნის საშინელი პრაქტიკა არსებობს უკვე 40 წელია და ისე ხშირად გამოიყენება, რომ სამი თვეც არ გადის, ერთი მგზავრი მაინც არ იყოს გატაცებული მათ მიერ.“³

ამრიგად, შოტლანდიელი ექიმის, რობერტ ლაიელის ჩანაწერები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის კავკასიაში დამკვიდრებული, ალანთა შთამომავალი ოსების ყოფა-ცხოვრების, რელიგიური წეს-ჩვეულებების, თუ სხვა ტრადიციების შესახებ. მოვლენათა თვითმხილველი მოგზაურის ცნობები კიდევ უფრო ავსებს სხვა ევროპელ მოგზაურთა დაკვირვებებს ოსებზე, რაც აფართოვებს საკითხის ირგვლივ ჩვენი ცოდნის თვალსაწიერს.

ტომი II, თავი XVII

სამწუხაროა, რომ მიუხედავად მრავალი მოგზაურის შრომისა, ჩვენი მაინც იგნორირებას ვუკეთებთ კავკასიის მკვიდრ მოსახლეობას. ტოკეს¹ (Tooke) ნამუშევრები იძლევა მცდარ ინფორმაციას ამ ხალხების შესახებ. არის კიდევ ორი ნაშრომი, რომელიც ინგლისურ ენაზეა, ისინი შეიცავენ კარგ ინფორმაციას, მაგრამ ფართოდ გავრცელებული არცერთი მათთაგანი არ არის. ერთ-ერთია „ელისის მოგონებები კავკასიის მკვიდრთა შესახებ“, ის ძირითადად შედგენილია გიულდენშტედტის² ნაშრომის მიხედვით, რომელიც უკვე მოხსენიებულია და მეორე – „კავკასიის მთის ზოგადი ისტორიული და ტოპოგრაფიული აღწერილობა“ თარგმნილი დოქტორ რაინეგის და მარშალ ბიბერშტეინის³ ნაშრომებიდან⁴. ბოლო ნამუშევარი, რომელიც პირველად საქართველოში ვნახე, შეიცავს უამრავ საინტერესო დეტალს, მაგრამ ამავე დროულად ისინი საკმაოდ დამაბნეველ ინფორმაციას გვაწვდიან.

კლაპროტი ფიქრობს, რომ ოსები კავკასიის მთის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ხალხია, რომლებიც განსხვავდებიან ყველა დანარჩენისგან, ენითაც და ფიზიონომიითაც, თუმცა სხვებს წააგვანან უხეში მანერებითა. ის ვრცლად აღწერს ამ ხალხს, რომელსაც ის „comme etant les“ Sarmates-Medes des anciens, et comme les Alanes et les Asses du moyen age“ (უძველესი სარმატებისა და შუასაუკუნეების ალანების შთამომავლებად) თვლის.

ოსებს ადრე მართავდნენ მათი მთავრები, ისინი დასახლდნენ ყაბარდოს დიდ და პატარ ველებზე და მათი სამოსახლოს საზღვრების ნაწილს წარმოადგენდა კავკასიონის მთათა კომპლექსი და მიუხედავად მრავალი ცვლილებისა, თუ სამეზობლოში მომხდარი მოქმედებებისა, მათი საცხოვრებელი ამ დრომდე უცვლელი დარჩა. ოსების მრავალწლოვანი ისტორიის

¹ Ibid, p.

² Ibid, p. 169.

³ Travels in Russia, the Krimea, the Caucasus and Georgia by Robert Lyall V.D.F.L.S. vol. I, London, 1825, p. 502. ლონდონი. ორტომეული. დაბეჭდილია ტეილორის, ჰატონ გარენის და კომპანიის მიერ.

მესწავლის მიზნით მკითხველმა შესაძლოა მიმართოს კლასროტის ნაშრომებს, თუმცა მე მათ ვიყენებ მხოლოდ ოსების ამჟამინდელი მდგომარეობის აღსაწერად.

ოსები ხასიათდებიან სხეულის ძლიერი ფიზიკური მახასიათებლებით და მათი უმეტესობა საშუალო სიმაღლისაა. ისინი გამოირჩევიან განსხვავებული გარეგნობით, რაც, მაგალითად, დამახასიათებელია ევროპელებისთვის. ცისფერი თვალები, ქერა ან წითური თმა, მათ შორის ძალიან გავრცელებულია. ზოგიერთ მათგანს სრულიად შავი თმა აქვს. ისინი არიან ჯანსაღი და ნაყოფიერი რასის წარმომადგენლები. ქალები ძირითადად არიან მომცროები და ნაკლებად ლამაზები. მათ ბრტყელი ცხვირები და მრგვალი სახეები აქვთ. ისინი ჯანმრთელები არიან, ხოლო ფიზიკური შრომა და კალორიული საკვები მათ კიდევ უფრო აძლიერებს. თავაურის ტერიტორიის მცხოვრებლები ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენენ, რადგან გამოირჩევიან სილამაზითა და სუსტი აღნაგობით. ისინი ქართველებს ჰგვანან, რომლებთანაც ქორწინება, წარსულში მიღებული პრაქტიკა იყო.

ოსები იცვამენ და იარაღდებიან ისევე, როგორც ჩერქეზები და როგორც მათი მეზობლების უმეტესი ნაწილი.

ოსები იარაღს კარგად ისვრიან. თუ იარაღი დამიზნებული აქვთ, თითქმის არ აცევენ, თუმცა ძალიან დიდხანს უნდებიან მათ დატენვას.

ცხენზე ჯირითისას ისინი იშვიათად ცდილობენ გასროლას. ელოდებიან შესაბამის მომენტს, რათა შეძლონ და საფარში აღმოჩნდნენ, საიდან საჭიროების შემთხვევაში გაისვრიან კიდევ. მათი თავდაცვის მეთოდი ინდივიდუალურია. ისინი განლაგებულნი არიან გვერდიგვერდ მდებარე სიმაღლეებზე და თითოეული ადამიანი პასუხისმგებელია საკუთარ თავზე. უკან დახევისას, პირველი ყველაზე წინ მყოფი მსროლელი უკან იხევს და შემდეგ მიჰყვებიან დანარჩენები, მანამ სანამ არ მაიდწევენ მთის ბილიკებს, სადაც ისინი სწრაფადვე უჩინარდებიან, რადგან ამ გზების ცოდნაში მათ ბადალი არ ჰყავთ.

ოსები, ისევე როგორც ყველა სხვა ხალხი კავკასიაში, მკაცრად იცავენ სტუმართმოყვარეობის (ე.წ. Koonak, როგორც ადრე აღინიშნა) ტრადიციებს და იშვიათად ყოფილა ამ ტრადიციის დარღვევის მაგალითი. თუ ვინმე მხილებულია ასეთი დანაშაულის ჩადენაში, მაშინ მთელი სოფელი იკრიბება მის გასასამართლებლად. დამნაშავეს დასჯისას, ხელ-ფეხს უკრავენ და კლდიდან პირდაპირ წყალში აგდებენ.

ოსები პატიმრებს ცუდად არ ეპყრობიან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი გაქცევას ცდილობენ.

როდესაც უცხო ადამიანი მივა სახლში, ოსი მასპინძელი უმალ კლავს ცხვარს, წვავს მას და მთლიანად მიართმევს სტუმარს. სანამ ის ჭამს, სახლის პატრონი რჩება კართან ჯოხით ხელში და საერთოდ არ მიდის მაგიდასთან. ის ყველაფერს გააკეთებს, რომ დაიცვას თავისი სტუმარი, თუნდაც ეს ვინმეს მოკვლას გულისხმობდეს. სისხლის აღების წესი საკმაოდ გავრცელებულია კავკასიის ხალხთა შორის, მაგრამ ოსებში ეს ტრადიცია ყველაზე მეტად ჭარბობს. როდესაც ოსი შურს იძიებს საკუთარი მშობლების, ან სტუმრის მკვლელობაზე, ის მიდის მათ საფლავზე და ხმამაღლა აცხადებს, რომ მათი სიკვდილის გამო შური იძია. ამგვარი შურისძიება მემკვიდრეობითია. იგი პაპიდან შვილიშვილზეც კი გადადის და ხშირად სოფლებს შორის დაპირისპირების მთავარი მიზეზი ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს წესი არ არის გაუქმებული, იგი ზოგჯერ შეჩერებულია, რაც განპირობებულია დაზარალებული მხარისთვის საჩუქრების გადაცემით.

მკვლელი თავის ზოგიერთ თანამოაზრესთან ერთად თავს აფარებს გამაგრებულ კოშკს, ანუ თავს იცავს მოკლულის ნათესავების თავდასხმებისგან. იქიდან აგზავნის სოფლის უხუცესთან ადამიანს და სწორედ ამ უხუცესის დახმარებით ცდილობს, დროებითი შეთახმება გააფორმოს დაპირისპირებულ მხარესთან. შეთანხმებისას მკვლელი ვალდებულია დაზარალებულ მხარეს მისცეს გარკვეული რაოდენობის ცხვარი, ან ხარები. ისინი შეკრულნი არიან ფიციით, რომ შეთახმების პერიოდში მათ შორის მშვიდობა იქნება. ზოგჯერ ურთიერთშეთახმების საფუძველზე ეს ხელშეკრულება ახლდება.

ოსებში მრავალცოლიანობის რამდენიმე მაგალითია. მხოლოდ მდიდრებს, იქნებიან ესენი მაჰმადიანები, თუ ქრისტიანები, ჰყავთ ორი ცოლი, ხშირ შემთხვევაში სამიც.

როდესაც ოსს სურს დაქორწინება, ის აგზავნის მის ერთ-ერთი ახლობელს ან მეგობარს მამასთან, რომ ითხოვოს მისი ქალიშვილის ხელი. თუ მხარეები შეთანხმდნენ მზითვზე, რო-

მელიც ძირითადად შედგება ცეცხლსასროლი იარაღისგან, ხმლებისგან და პირუტყვისაგან, სამდღიანი ღზინი იმართება.

ოსების რელიგია იგივეა, რაც ყველა მთის ხალხის. ეს არის მაჰმადიანობის, ქრისტიანობისა და კერპთაყვანისმცემლობის ნაზავი. აშკარაა, რომ ოსები საკმაო ყურადღებას აქცევენ ქრისტიანული ეკლესიის ზოგიერთი დღესასწაულს.

იმ შემთხვევაში, თუ ეჭვიმტანილი მეზობელია, მაშინ ის მიჰყავთ საკუთარი მამის, დედის, ან ძმის საფლავთან ახლოს, სადაც ის იძახის: „თუ ქურდი მე ვარ, მინდა სხვა სამყაროში ვემსახურო როგორც ცხენი მამაჩემს, დედაჩემს, ან ჩემ ძმას, მაგრამ თუ უდანაშაულო ვარ, მაშინ საშინელი სასჯელი დაეკისროს დამნაშავეს.“

როდესაც ოსი კვდება, მთელი მისი სანათესავო იკრიბება. მამაკაცები თავს და თეძოებს იშიშვლებენ და ირტყავენ ამ ადგილებზე მანამ, სანამ სისხლი არ გამოჩნდება, ხოლო ქალები სახეს იხოკავენ, მკლავებზე იკბენენ და საშინელი სახით ტირიან. გარდაცვლილის ცოლი ტირილისას ყველაზე ხმამაღლა უნდა მოთქვამდეს, ვიდრე დანარჩენები და ერთი წლის განმავლობაში თავი უნდა შეიკავოს ყველა სახის ხორცისგან და მარხვის დროს აკრძალული სხვა კერძების მირთმევისგან. საზოგადოდ, გარდაცვლილი მამაკაცის მეუღლე, ოჯახის ქონების შენარჩუნების მიზნით ხდება გარდაცვლილი ქმრის ძმის ცოლი.

ყველა ოჯახს აქვს თავისი საგვარეულო სასაფლაო, რომელიც ზოგიერთ ოჯახის შემთხვევაში წარმოადგენს უზარმაზარ კვადრატული ფორმის შენობას, ძალიან ვიწრო შესასვლელით. მასში ორი კაცი შედის, შეაქვთ გარდაცვლილის ცხედარი, რომელიც ფიცარზე მოთავსებული. როდესაც გარდაცვლილის ცხედარი მთლიანად იხრწნება, ისინი ურევნ მის ძვლებს ოჯახის სხვა წარმომადგენლების ძვლებს.¹

ბევრი ზემოაღნიშნული დაკვირვება შესაძლოა იდენტური იყოს კავკასიის სხვა ხალხებშიც, მაგრამ მე დიდი ეჭვი მაქვს, რომ არცერთ ავტორს არ აქვს საჭირო ცოდნა, რათა მან სრულად განასხვავოს ამ ხალხებისთვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებები და ტრადიციები.

სერ რ. კ. პორტერის⁵ რამდენიმე შენიშვნა ოსებთან მიმართებაში განსხვავებულია, იმასთან შედარებით რაზეც ჩვენ ქვემოთ ვისაუბრებთ.

ამ უბნის მკვიდრნი, (ყაზბეგი) არიან ოსური ტომიდან, შერეული რწმენის, ქრისტიანები, მაჰმადიანები და წარმართები. სოფელი ყაზბეგი, ისევე როგორც მის უშუალო სიახლოვეს მდებარე რამდენიმე სხვა სოფელი დასახლებულია იგივე რწმენისა და მორჩილების ქრისტიანებით, როგორც ქართველები არიან“. – ნათქვამია, რომ ოსი ხალხი ყველაზე ცივილიზებულია მთიელთა შორის. ეს შეიძლება ასე იყოს, მაგრამ მიუხედავად მათი რწმენისა და კანონმორჩილებისა, ისინი არანაკლებ გაწაფულები არიან ძარცვასა და მკვლელობაში, ვიდრე მათი მაჰმადიანი და წარმართული სარწმუნოების მიმდევარი ძმები. მამაკაცები ძლიერები, აქტიურები და ფიზიკურად კარგი აღნაგობისანი არიან, რომელთა უმრავლესობას მუქი ფერის კანი აქვთ.

„ოსები, ჩერქეზების მსგავსად იცვამენ და იარაღებიან და თითქმის არასოდეს ჩნდებიან ტრადიციული კავკასიური იარაღის, ხანჯლის გარეშე. ხანჯლის ფორმა სახელურთან ახლოს ფართოა. მისი სიგანე წვერამდე მცირდება, ხოლო სრული სიგრძე დაახლოებით თვრამეტი ინჩია. როდესაც ჩვენ ასეთი რეტროგრადული ტიპის ხალხებზე ვსაუბრობთ, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ნაბიჯზე გვხვდება თავდაცვისა და თავდასხმის საშუალებების დემონსტრირება, რადგან იქ კანონის ძალა, ჯერ ძალმომრეობაზე მაღლა ვერ დგას და, შესაბამისად, „თითოეული ადამიანი შეიარაღებულია, ხოლო ყველა ოჯახი წარმოადგენს პატარა თავდაცვით ციხე-სიმაგრეს.“

შენიშვნები:

1. **ტოკე** – ვერ დავადგინეთ.

2. **იოჰან ანტონ გიულდენშტედტი** (1745-1781 წ.წ.) – გერმანელი მეცნიერი, მოგზაური. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1771 წ.), „თავისუფალი ეკონომიური საზოგადოების“ პრეზიდენტი (1780 წლიდან).

3. **ფიოდორ ბიბერშტეინი** (გერმან. ფრიდრიხ ავგუსტ ფრეიჰერ მარშალ ფონ ბიბერშტეინი) (1768-1826 წ.წ.) – გერმანელი ბოტანიკოსი, მოგზაური. ორი წლის განმავლობაში (1798-1799

¹ მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში, ტომი 2, გვ. 223.

წ.წ.) მან იმოგზაურა კავკასიაში, ძირითადად თერგის ქვედა მიდამოებში და წარმოადგინა სახელმწიფო ეკონომიკის იმდროინდელი ექსპედიციის დეტალური მოხსენება – რეგიონის აღწერა, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას ტოპოგრაფიის, ისტორიის, ეკონომიკის, მოსახლეობის, აგრეთვე ფლორისა და ფაუნის შესახებ.

4. **სისხლის აღების წესი მთიელებში** – სისხლის აღება მთის მოსახლეობაში ფართოდ იყო გავრცელებული. სისხლის გადაუხდელობა ჩრდილო-კავკასიელ მთიელთა დიდ ნაწილში (ადიღეში, ჩერქეზეთში, დაღესტანში, ხუნძეთში, ღარგოელებში, ლაკებში, ჩეჩენ-ინგუშეთში, კუმუკებში, ოსებში და სხვ.) დიდ სირცხვილად ითვლებოდა, რადგან მიაჩნდათ, რომ მათი მიცვალებული საიქიოში იტანჯებოდა, სანამ „სისხლი – სისხლის წილ“ არ მიუვიდოდა. „მე-სისხლე“ აქ შეიძლება ყოფილიყო არა მარტო ცალკეული ოჯახი, ან თოხუმი, არამედ მთლიანი სოფელიც კი. სისხლის დაღება მრავალი მიზეზით შეიძლებოდა: ოჯახის, ან ნათესავის შეურაცხყოფა, ქალის მოტაცება, მიწაზე, ან ნადავლზე დავა, სტუმრის შეურაცხყოფა და სხვა. სისხლის აღების ტრადიცია ჩრდილო-კავკასიასა და საქართველოს მთიანეთში გავრცელებული და ერთნაირი წესი იყო, თუმცა ცალკეული დეტალები მაინც განსხვავდებოდა. რ. თოფჩიშვილი, *კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა*, თბ., 2007, გვ. 129; მ. ალბუთაშვილი, *ჰანკისის ხეობა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს პროფესორებმა გიორგი და ნიკო ჯავახიშვილებმა*, თბ., 2005; Б. Калоев, Агули, в кн. *Кавказский этнографический сборник, т. III, отв. ред. Л. Лавров, Москва-Ленинград 1962, 143 стр. 100*; Н. Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказ, т. I, книга I, СПб., 1871, стр. 359*; გ. სოსიაშვილი. *ნარკვევები შიდა ქართლის ისტორიიდან*, თბ., 2011, გვ. 22-28; ი. ალიმბარაშვილი, *საქართველო-კავკასიის ქვეყნების ურთიერთობის ისტორიიდან*, თბ., 2014, 230-238; ი. ალიმბარაშვილი, *საქართველოს მთიანეთისა და ჩრდილო კავკასიის ხალხთა ზოგიერთი ადათისა და ტრადიციის შესახებ, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული №8, თბ., 2015, გვ. 198-211.*

5. **რობერტ კერ-პორტერი** – (1777-1842 წ.წ.) – ინგლისელი დიპლომატი, მოგზაური, მხატვარი და მწერალი.

Giorgi Sosiashvili
Professor of Gori State University

SCOTTISH DOCTOR, BOTANIST AND TRAVELER ROBERT LYALL'S SOURCES ABOUT OSSETIANS

Abstract

Robert Lyall was born on the 26th November, in 1789 in the town of Paisley, Scotland. It was the city of textile production and the majority of its residents were weavers. Though, Robert Lyall was from the middle class rich family. He was the son of William Layall and Janet Tasil. According to G. Gampell, – the Canadian researcher of Robert Lyall's life and activity, Robert's father William maybe the same William who was mentioned as one of the successful merchants from Paisley in 1800.

Robert Layall's travelling started in April, 1822 from Moscow. At first, he and his companions visited the south-west provinces of Russia, then, – the Crimea. From there he moved to the North Caucasus where he had stayed nearly for two weeks. On his way, he stopped in Georgievski and later arrived in Mozdoki and from Mozdoki he visited Ekaterinograd (Kabarda), from where he continued his way to Vladikavkaz and from there he went to Georgia via Dariali Gorge. According to Layall, hundreds of Russian soldiers were cleaning the road on the bank of the Tergi river, which was badly damaged by the river, in order to be it safe for travelling. Robert Layall together with his three companions used the Dariali bridge and started the way in Dariali Gorge: " We crossed a magnificent bridge, at present the only crossing on the Tergi river , near Dariali. Ossetians once destroyed it when they learned that the tax inspectors planned to visit them".

As it turns out, the bridge on the Tergi river was not safe. According to British traveler Robert Ker Porter, after he had crossed the bridge accompanied by the Dariali checkpoint detachment, there was a threat of an attack by local marauders (probably Ossetians), the Russian officer sent an infantry detachment in advance to neutralize them. The German traveler Johann Anton Gldenstedt, who visited

Georgia in the 70s of XVII century, wrote about Ossetians controlling the crossings on the Tergi river. At that time, none of the five crossings on the Tergi river had a bridge. Three of these five places were guarded by Georgians living in the ravine and two were controlled by Tagauri Ossetians. In order to build bridges for passengers, people had to pay Ossetians a certain salary. According to Robert Lyall, Ossetians living in the Tergi valley had even occupied the Dariali fortress and controlled the entire valley for a period of time: „We had been informed that some Ossetians had taken control of the ravine in spite of the numerous Russian army corps and used to kill anyone who tried to pass there; until, at last, because of lack of food, they abandoned their position. To prevent similar attempts in the future, the Russians destroyed the fortress."

Robert Lyall devoted a lot of attention to the Ossetians in his work. On his way back, it seems that the traveler became interested in the life and customs of the Ossetians and left us very interesting notifications about the descendants of the Alans living in the North Caucasus, the main part of which, according to the traveler, was inhabited between the River Piagsa and Tergi. The Ossetians' appearance, their clothes, the rules and customs of their marriages and burial, the rule of blood feud killing and etc. are described in Robert Lyall's records. As it is clear from his records, Robert Lyall used the German traveller's, -Klaproth's notifications about the Ossetians. As he points out, he does not delve into the Ossetian history. The Scottish doctor was more interested in their modern life. Due to the traveller's notification, the Ossetians lived in the valleys of Kabarda and their territory was bordered by the Caucasus Range: ""The Ossetians were previously ruled by their princes, they settled on the large and small fields of Kabarda and the Caucasus mountain complex was part of their borders and despite a lot of changes and occurrences in their neighbourhood, their residence has remained the same until now"".

The Ossetians living in the outskirts of Vladikavkaz used to rob or kidnap passengers and demanding ransom from the Russians: ""However, the passenger should not refuse protection. A lot of passengers speak about the Ossetians living near Vladikavkaz, they wait for passengers to catch and capture them until they get a ransom from the Russians. This appalling money-making practice has been around for 40 years and is used so frequently that not three months go by without at least one passenger being kidnapped by them."

Thus, the Scottish doctor and traveler, Robert Lyall's records are one of the interesting sources about the social-economic, political and cultural life of Georgia in the 20s of XIX century. The impressions of the doctor's travels who was born in Paisley, significantly adds to the knowledge about the history of the indicated period of our native country.

The complete text of the records is published in the Georgian language for the first time. We hope it will help the researchers of the epoch and will be interesting for the general public of readers.

Keywords: Ossetians, Caucasus, Dariali, Georgia.

Сугаров Давид А.
архитектор-градостроитель,
аспирант ФГБУ «ЦНИИП Минстроя России»,
Москва, Россия

РАЗВИТИЕ ПРОМЫШЛЕННОСТИ ВО ВЛАДИКАВКАЗЕ И ТБИЛИСИ КАК ФАКТОР ИХ ГРАДОСТРОИТЕЛЬНОГО ФОРМИРОВАНИЯ: 1917-1991 годы*

Промышленное развитие двух исторических городов Владикавказа и Тбилиси – важный экономический аспект формирования Грузии и Осетии. История промышленности в обеих ведущих городах и странах определяет собственные пути развития для каждой из них, но находит и общие вехи в их становлении. Промышленность, как градообразующий фактор, несомненно, оказал существенное влияние на развитие торгово-экономического потенциала городов. Более того, промышленные предприятия явились основой формирования

архитектурно-планировочной структуры и пространственной композиции столичных городов Владикавказа и Тбилиси.

Пreamбула. Какое место среди факторов формирования и развития двух столичных городов – Владикавказа и Тбилиси занимает промышленность? – Важнейший вопрос, определяющий направление научного исследования.

Архитектура промышленных предприятий в ряде случаев существенно изменяет окружающую человека природу, ландшафт, как в положительную, так и в отрицательную стороны. В своем лучшем виде пустынные и безжизненные территории превращаются в цветущие пространства, в результате мер гидротехнического и мелиоративного строительства. На базе предприятий выросли десятки благоустроенных индустриальных городов. Строительство промышленных предприятий преобразует и суровые северные районы и степные, и болотистые места. Несомненно, промышленность несет главенствующую градообразующую роль. Тем не менее последние десятилетия показали, в виду экономического кризиса, и как следствие отсутствие эксплуатации промышленных предприятий, заводы и промышленные города пришли в упадок, неся за собой нарушенный ландшафт, зоны отчуждений и безработицу. Такие города получили название «постиндустриальные» или города «ржавого», «серого» пояса.

У истоков советского промышленного зодчества стоят крупнейшие архитекторы, академики, профессора. Среди них А. Кузнецов, В. Веснин, А. Самойлов, Г. Бархин. Развитию промышленной архитектуры в СССР посвятили свою жизнь многие мастера и ученые. Этот список открывают такие крупные имена как: В. Мовчан, Е. Попов, Г. Орлов, И. Николаев, А. Фисиенко, В. Мыслин, К. Яковлевас-Матецкис, Б. Истомин. Неоценимый вклад в продолжение развития промышленной архитектуры оказали коллективы крупнейших проектных институтов, таких как: ЦНИИпромзданий и ЦНИИП градостроительства [6].

Генеральная тема I-VIII Международных научных конференций «Перспективы развития грузино-осетинских отношений», организованных и регулярно проводимых 13-15 октября с 2015 года Научно-исследовательским центром грузино-осетинских отношений Тбилисского государственного университета им. И.А. Джавахишвили, обязывает автора научной статьи выявить и истолковать вехи исторического развития промышленности Владикавказа и Тбилиси, как фактора общих закономерностей и ведущих особенностей градостроительного формирования и развития обеих столиц. Развитие промышленности как основы градообразующего каркаса, оказала существенное влияние на развитие столиц двух соседних республик. Все промышленные связи способствовали стремительному росту городов и стабильному развитию торгово-экономических отношений, интенсивным взаимоотношениям двух братских народов и значимых республик.

Статья, подготовленная по теме доклада, представляет собой вторую часть исследуемой автором темы, хронологически охватываемой с 1917 года основания крепости «Владикавказ» и по 2022 год развития города Владикавказ – прежде центра Терской области, а потом столицы Республики Северная Осетия-Алания. В научном исследовании охвачен весь, 235-летний исторический период градостроительного формирования и архитектурного развития Владикавказа: в первой части рассмотрен начальный период 1784-1917 годы, во второй части рассмотрен период правления Советской власти с 1917 по 1991 годы, в третьей части завершающий период с 1991 года по настоящее время.

Историко-сравнительный анализ, проведенный в первой статье, показал, как оба столичных города – Владикавказ и Тбилиси, несмотря на свои градостроительные различия и исторический путь, посредством общих принципов размещения объектов промышленности и явного сходства в направленности промышленного производства, благодаря столь разумным действиям градоначальников достигли архитектурно-планировочного совершенства.

Мощные градостроительные преобразования и интенсивное развитие двух столичных городов – Владикавказа и Тбилиси совершались по той элементарной причине, что с процессом развития промышленности во второй половине XIX – начале XX века все промышленные города подвергались реконструкции. Совершаемая в странах Западной Европы, США и России промышленная революция решительно коснулась и таких крупных городов, как Владикавказ на Северном Кавказе, и Тбилиси на Южном Кавказе.

В двух городах во Владикавказе и в Тбилиси развитие промышленности стало решающим фактором в их архитектурно-планировочном формировании и обретении выразительного эстетического облика и, по сути, явилась надежной экономической основой для их градостроительного развития.

I. Градообразующая и градоформирующая роли промышленности во Владикавказе. Общие закономерности размещения промышленных предприятий в планировочной структуре города.

В состав городских промышленных зон входят значительные территории, занятые производственными предприятиями и связанными с ними объектами, транспортом, инженерными сооружениями и т. п. В некоторых индустриальных городах и селах производственные зоны занимают до 50-60 % территорий. Владикавказ в этом отношении является ярким примером – половина территорий города промышленные.

К градостроительным проблемам промышленной архитектуры следует относить вопросы, являющиеся стыковыми между градостроительством и промышленной архитектурой, а именно – градообразующая и градоформирующая роль промышленности.

Рассмотрим процесс развития промышленности во Владикавказе, как его градообразующей функции в следующих исторических этапах:

- ранние годы Советской власти (1917-1940 гг.);
- годы войны и период восстановления (1940-1965 гг.);
- последние годы советской власти (1965-1991 гг.).

1.1. Важные особенности градообразующей роли промышленности в дореволюционный период развития Владикавказа. Прежде чем приступить к раскрытию заданной темы, вкратце осветим основные положения градообразующей роли промышленности в исследуемом городе в дореволюционный период, которому была посвящена первая часть статьи. Здесь промышленное строительство в основном носило стихийный характер, определялось частной собственностью на землю, погоней за прибылью, не учитывало санитарно-гигиенические требования.

Производственный процесс города Владикавказ носил, прежде всего, обеспечивающий характер, необходимый для скромного уровня жизни и активной деятельности военного гарнизона крепости. И за этот период развития, вплоть до начала второй половины XIX века, крепость «Владикавказ» не смогла обрести градообразующие черты. Лишь в дальнейшем на основе всех существующих производственных мастерских стала развиваться легкая промышленность.

Владикавказ в 1860 году получил статус города, впоследствии промышленное развитие его привело к тому, что к началу XX века он стал самым крупным городом и центром Терской области. К этому времени Владикавказ был уже вполне сложившимся городом, ведущим центром развития легкой и тяжелой промышленности и городского коммунального хозяйства, средоточием высокой культуры и подлинного просвещения всей многонациональной интеллигенции Северного Кавказа;

На основании принципов планировки и застройки города дореволюционного Владикавказа были выявлены и классифицированы промышленные объекты двух типов: *внутригородские* (находящиеся непосредственно в городской застройке) и *приграничные* (находящиеся в окрестности городской застройки). Установлено, что размещение внутригородских объектов

промышленности происходило, несмотря на стихийность размещения, по следующим планировочным закономерностям: *линейным* и *узловым*. Эти закономерности исходили прежде всего из географических особенностей места, экономической эффективности и доступностью (Рис.1).

К началу нового века Владикавказ стал самым крупным городом в Терской области. Здесь проживало свыше 50 тыс. человек, а уже в 1915 г. – свыше 75 тыс. человек. [9]. К этому времени Владикавказ был уже вполне сложившимся городом, ведущим центром развития легкой и тяжелой промышленности и городского коммунального хозяйства, средоточием высокой культуры и подлинного просвещения всей многонациональной интеллигенции Северного Кавказа.




Рисунок 1. Карта размещения производственных объектов в планировочной структуре Владикавказа на 1911 г.

1.2. Планирование и развитие промышленности в городе Владикавказ за период Советской власти (1917-1941гг.). В период Первой мировой и гражданской войн хозяйство Владикавказа пришло в упадок. Резко сократилась выработка электроэнергии, трамвайное движение прекратилось, была разрушена значительная часть промышленных предприятий и жилого фонда. Не было сырья, энергии, не хватало продовольствия.

Необходимо было в первую очередь восстановить промышленность города. Большое внимание было уделено восстановлению свинцово-цинкового завода «Алагир» и крахмального завода, так как продукция этих предприятий была очень нужна хозяйству страны. В 1922 году было организовано Кавказское свинцово-цинковое объединение, в которое вошли все предприятия бывшего горно-химического общества «Алагир». Завод получил новое название – «Кавцинк» – и стал первым в стране металлургическим предприятием, дававшим РСФСР цинк и свинец [14].

Вскоре возобновили работу Владикавказские железнодорожные мастерские, мельницы, макаронная фабрика, кирпичные и пивоваренные заводы, гостиницы. Банки, городской трамвай.

Вместе с тем были закрыты несколько предприятий. Среди них Табачная фабрика и некоторые типографии. Типографии были закрыты «ввиду излишнего и вредного для дела

обилия типографий во Владикавказе» [8]. В то же время, были запущены в 1927-1928 гг. в эксплуатацию пивоваренный завод (б. Тененбаума) и мельница (б. Полонского).

Загрузка некоторых предприятий осуществлялась не в полном объеме. Тем не менее, в целом наблюдался промышленный рост. Уже к концу 1927 г. Валовая продукция городской промышленности превзошла дореволюционный уровень, заработная плата рабочего увеличилась на 21% [8].

Пришедший советский строй в корне изменил как социально-экономическое, так и пространственное положение промышленных предприятий в городе. Началась перекомпоновка и перестройка промышленного комплекса. Тем не менее в этот период строительства «нового города» наблюдается сильная инертность. Прошли десятилетия, прежде чем эти процессы приобрели масштабное значение.

Динамику пространственного развития промышленности во Владикавказе в Советский период можно проследить на рисунке (Рис. 2). На плане 1928 года выделяется одна крупная промышленная зона (территория завода «Кавцинк» и вагоноремонтного завода) и одна малая. Прочие предприятия, как и в дореволюционном Владикавказе, разбросаны по территории города.




Рисунок 2. Динамика пространственного развития промышленных зон в городе Владикавказ. Планы за: 1928-1956-1984 годы. Красным цветом выделены промышленные зоны.

Важное значение в формировании крупнейшего промышленного узла республики и города имеет вышеупомянутый завод «Кавцинк». В первой части статьи мы подробно осветили его градообразующее значение и градоформирующее влияние на Владикавказ и отдельные районы республики, роль бельгийцев в использовании комплексного подхода в организации процесса производства [12]. Дореволюционное горнопромышленное общество «Алагир» объединяло завод, электростанцию и трамвайное хозяйство во Владикавказе, рудник и электростанцию в Садоне, обогатительные фабрики в Мизуре и Фаснале. Оно способствовало облагораживанию города озеленением улиц, аллей и скверов, улучшению и развитию природного каркаса города, в виде живописных парков и зеленых массивов.

Именно территория завода «Электроцинк» (Алагирского серебро-цинко-свинцо-химического завода) является исторической, исконно и поныне промышленной территорией Вла-

дикавказ. Она положила начало формирования крупнейшего промышленного узла республики (ныне около 1000 га).

В августе 1931 г. Владикавказ был переименован в Орджоникидзе, а в 1934 г. стал административным центром Северо-Осетинской автономной области.

В эти годы в городе были построены и введены в эксплуатацию чугунно-литейный завод, автотракторные и электромеханические мастерские, асфальтобетонный и молочный заводы, паркетно-мебельная, швейная и трикотажная фабрики. Для обеспечения пищевой промышленности тарой был построен завод «Стеклотара». Он снабжал тарой почти всю консервную промышленность Северного Кавказа.

Завод «Кавцинк» в 1934 году был переименован в «Электроцинк». Изменение названия завода было связано с важным событием – пущен в строй электролитный цех. Завод дал впервые в СССР электролитный цинк. Пуск электролитного цеха открыл новую страницу в истории развития цветной металлургии СССР.

В 1939 году С. Колчин так описывает промышленное состояние Владикавказ: «Город Орджоникидзе стал индустриальным. Построен новый оборудованный первоклассной техникой, завод электролитного цинка. Механизированный хлебокомбинат заменил грязные кустарные пекарни. Железнодорожные мастерские превратились в крупнейший вагоноремонтный завод, в многочисленных цехах которого установлены сложнейшие автоматы, заменившие старые станки. Швейная фабрика, комбинат национальных изделий, мебельная фабрика, мясокомбинат, десятки мастерских кустарно-промысловых артелей – всего этого не было в дореволюционном Владикавказе» [11]. Всего в этот период во Владикавказе было построено около 70 новых предприятий.

Местная промышленность города объединяла небольшие предприятия по производству строительных материалов (кирпичный завод «ИР», известковый завод, завод цинковых белил, мраморно-мозаичное производство), металлообрабатывающие мастерские и др.). Было налажено мебельное производство. Оно было представлено фабриками: мебельно-музыкальной, корпусной, гнутой мебели. Были организованы обувные и шляпные мастерские, комбинат нацизделий. [5].

1.3. Состояние промышленности города Владикавказ в годы Великой Отечественной войны и в период восстановления Советского государства (1941-1955гг.). В годы войны сильно пострадала промышленность Владикавказ. Полностью или частично было уничтожено 117 производственных зданий и сооружений, 49 хозяйственных построек. Подвергся частичному разрушению вокзал и 25 других производственных построек железнодорожного транспорта, 9 производственных сооружений связи; полностью или частично разрушены 19 торгово-складских помещений.

На заводе «Электроцинк» вражеской бомбардировкой был разрушен ряд строений и сооружений. На вагоноремонтном заводе от прямых попаданий бомб пострадали производственные здания, жилой дом, подсобное хозяйство. На «Стеклотаре» прямыми попаданиями и взрывной волной полностью разрушено здание распиловочного цеха, частично разрушены общежитие, гараж, склады цеха гурты, детсад; повреждены множество цехов. На кожзаводе разрушены главный корпус, котельная и различные отделения завода. На молзаводе сильно разрушены производственные здания. На крахмальном заводе полностью разрушены зернохранилище, частично цеха и склады. Можно указать, что в городе не осталось ни одного более или менее крупного предприятия, которое не пострадало бы от бомбежек [13]. В 1944 году город Орджоникидзе был переименован в город Дзауджикау.

Важным этапом развития советской промышленной архитектуры явился период восстановления предприятий, разрушенных немецко-фашистскими захватчиками в годы Великой Отечественной войны.

Во Владикавказе были предусмотрены большие работы по восстановлению и дальнейшему развитию города, улучшению материально-бытовых и культурных условий жизни населения. Значительный рост получила промышленность на основе полного восстановления, реконструкции и расширения промышленных предприятий, роста производительности труда и в результате механизации, улучшения технологий и рационализации производственного процесса, лучшего использования сырья и оборудования, а также строительства ряда предприятий.

Этот период знаменовал окончательный отказ от старой стихийной модели развития. Радикальные постулаты советского градостроительства требовали «собрать» разбросанные по городу предприятия в единые промышленные зоны и узлы. Во многих случаях промышленные образования начали формироваться на базе крупных предприятий, расположенных на окраине жилых районов, а также на специально выделенных территориях, удалённых от жилой застройки. В это время большинство городов имело возможность территориально развиваться в любом направлении, поэтому выбор альтернативы территориального роста подчинялся зачастую композиционным задачам, и город приобретал сравнительно законченную, достаточно компактную планировочную структуру замкнутого типа.

В период 1955-1965 гг., когда темпы роста градообразующей базы стали существенно возрастать, появляются новые промышленные предприятия, требующие все больших территорий, энергообеспечения, транспортных коммуникаций. На данном этапе планировочная структура города подвергается серьезным изменениям, приобретает иные качества и масштабы, возникают динамические тенденции ее преобразования [1].

В этот период из жилых кварталов в промышленные районы были вынесены следующие предприятия: Кожзавод, Мельницы, Фруктовооварочный завод, Техжиркомбинат, Обозостроительный завод, Фабрику корпусной мебели, Химкомбинат, Лесзавод «Красное Знамя», Авторемонтный завод и пр. [15].

Промышленное перераспределение не коснулось лишь крупнейшего предприятия республики и города – завода «Электроцинк». Наоборот, его на тот момент окраинное расположение, за путями железнодорожного сообщения, послужило хорошей основой для расширения промышленных территорий на север и восток для размещения новых предприятий.

В 1954 году город Дзауджикау вновь был переименован в город Орджоникидзе. План 1956 года наглядно демонстрирует градостроительные изменения, описанные выше. Отчетливо видны новые образования промышленных предприятий и расширение старой северо-восточной промышленной зоны (Рис. 2). К началу 60-х годов в городе насчитывалось 66 крупных промышленных предприятий, со средним числом рабочих в 20 тыс. человек [4].

Кавказский хребет, к северу от него наблюдается обилие атмосферных осадков, зима бывает сырой, холодной, иногда снежной, а летом воздух все же прогревается, становится тепло, иногда бывает даже невероятно солнечно и жарко. К югу от города Владикавказ ежедневно можно наслаждаться живописным антуражем: покрытые лесом горные массивы по высоте переходят в высокогорные альпийские луга, затем видны громадные скалы и ледяные вершины гор Казбек и Эльбрус, покрытых вечными снегами.

IV. Главные архитекторы города, инвесторы и олигархи – это варвары, уничтожающие исторически ценный архитектурно-градостроительный организм Владикавказа. Общеизвестно о том, что проспект Мира города Владикавказ стал терять былую гармоническую цельность и стилистическое единство начиная с 60-х годов XX века. Именно тогда варварски уничтожили ценные особняки и на их месте возвели чуждые по архитектурному образу и стилю Дом моды и Дом быта, тем самым своим грубым и бестактным вторжением оборвали метро-ритмический строй и, тем самым, исказили масштабность застройки проспекта Мира.

Крайне досадно, что этот варварский процесс продолжается поныне, в 2000-х годах, и безжалостно искажается художественный строй проспекта Мира и кощунственно нарушается вся территория главного городского парка, являющегося изумительным творением ландшафтного дизайна и искусства паркостроения. Также на проспекте Мира явные промахи отражены при модификации, реновации и трансформации под гостиницу бывшего здания ЦУМа – важного акцента в организации Театральной площади, а также в возвышении над историческими зданиями объема и покрытия, из современного кровельного материала, реконструируемого В.А. Гергиевым старинного особняка.

Проявляемые местными архитекторами, непонимающими значимости проспекта Мира, досадные искажения и непростительные оплошности в исторически ценном проспекте Мира – градоформирующем стержне столицы Республики Северная Осетия-Алания городе Владикавказ непозволительны никому, ни градоначальнику, ни зодчему, ни тем более инвестору и олигарху.

Вопреки всем и всему, крайне важно сохранять архитектурные облики и градостроительные особенности исторических центров старинных и, более того, столичных городов, каковыми являются город Тбилиси в Грузии и город Владикавказ в Северной Осетии-Алании. В каждом исторически ценном городе впечатляет его художественная особенность и эстетическая выразительность, оседает в памяти зрителя его неповторимый облик и оригинальный стиль, нередко отличающийся мажорным звучанием.

Р е з ю м е. Выбирая тему доклада, нам было интересно проследить и понять методы формирования двух проспектов – двух архитектурно-планировочных ансамблей проспекта Руставели в Тбилиси и проспекта Мира во Владикавказе, чтобы извлечь ценное и полезное для осмысления имманентной сущности и художественных закономерностей создания гармонической цельности ансамбля.

1. Постепенно вникая в сущность планировочной структуры и в характер пространственной композиции каждого проспекта нетрудно заметить незыблемый факт: зодчие выявили отличительные особенности образа зданий на основе творческого принципа достижения художественного единства при разнообразии архитектурных стилей.

2. По настоящее время удивляет и восхищает творческий такт известных русских и иностранных зодчих, воспринимаемая как изначальная основа достижения гармонической цельности каждого проспекта – уникальных ансамблей исторических центров городов Тбилиси и Владикавказ.

3. Выдающиеся архитекторы и градостроители минувших эпох создали незыблемые образцы сочетания старого и нового в застройке проспекта, площади и города, поныне являющиеся реалиями проявления творческого такта мастерами архитектуры и градострои-

тельства, авторами проектов одно или двухэтажных особняков и более высоких многоквартирных жилых домов, а также и общественных зданий, преимущественно торгового назначения (магазины различного назначения, чайные, закусочные, кафе, рестораны) на проспекте Руставели в городе Тбилиси и на проспекте Мира в городе Владикавказ.

Библиографический список

I. Издания по архитектуре и градостроительству города Владикавказ

1. Бесолов В.Б. Важнейшие вехи эволюции и стратегия эффективного развития архитектуры и градостроительства Владикавказа в контексте формирования российского города // Современные города: проблемы и перспективы развития / Материалы Всероссийской научной конференции, посвященной 100-летию ученого-географа, профессора Г.Ф. Калоева (26 – 27 апреля 2013 г., г. Владикавказ. Республика Северная Осетия-Алания). – Владикавказ: Изд-во СОГУ, 2013. – С. 72-86.
2. Бесолов В.Б. Стратегические принципы и критерии развития архитектуры и градостроительства Владикавказа в контексте российского творческого процесса (К 230-летию крепости и города: 1784-2014гг.) // Современные проблемы истории и теории архитектуры / Сборник материалов IV Всероссийской научно-практической конференции (14-15 ноября 2018г., СПбГАСУ). – Санкт-Петербург: Изд-во СПбГАСУ, 2018. – С.80-112.
3. Ларина В.И. Города Северной Осетии. – Орджоникидзе, 1962.
4. Семенов Л.П., Тотоев М.С., Кусов Г.И. Орджоникидзе-Владикавказ: Очерки истории города. – Орджоникидзе, 1968. – 2-е изд. – Владикавказ, 1992.
5. Цаллагов С. Ф. Владикавказ – летопись в камне. – Владикавказ, 2008.
6. Владикавказ: Южный форпост России. 1784-2014гг. – Владикавказ, 2014. – 282с.: ил., карт.

II. Издания по архитектуре и градостроительству города Тбилиси

9. Джанберидзе Н.Ш., Карбелашвили М.Ш., Кинцурашвили С.Ш. Архитектура Тбилиси. – Тбилиси, 1967.
10. Джанберидзе Н.Ш. Архитектура Советской Грузии. (Обзор) – М.: ЦНТИ по гражданскому строительству и архитектуре, 1971. – 64с.: ил.
11. Кинцурашвили С.Ш. Главная артерия старого Тбилиси и некоторые предложения по ее регенерации. – Тбилиси, 1977.
12. Квирквелия Т.Р. Особенности исследования средневекового ядра Тбилиси в связи с проблемой его реконструкции и регенерации. – Тбилиси, 1977.
13. Квирквелия Т.Р. Архитектура Тбилиси. – М.: Стройиздат, 1985. – 310, [1] с.: ил.; – Библиогр.: с. 311 (28 назв.).
14. Квирквелия Т.Р., Н. М. Мгалоблишвили. Архитектура Советской Грузии. – М.: Стройиздат, 1986. – 319с.: ил.; 321 ил. – Библиогр.: 27 назв.

Terteryan Ashkhen G.
Architect-Bachelor, Master student
Departments of Urban Planning
Moscow Architectural Institute.
Moscow, Russia.

Besolov Vladimir B.
Oriental architectural studies and byzantolog,
Professor and corresponding member of IAAM, Advisor of RAACS,
Honorary architect of the Russian Federation,
Vladikavkaz, Russia

THE PLANNING STRUCTURE OF THE HISTORICAL CENTERS OF THE CAPITAL CITIES OF VLADIKAVKAZ AND TBILISI: PRINCIPLES, PATTERNS, FEATURES

Abstract

The article traces the history of architectural formation and stages of urban development of two capital cities located to the north and south of the Main Caucasian Ridge – Vladikavkaz and Tbilisi. Despite the fact that both cities are located in the Caucasus, they arose at different historical times, radically differ in planning structure and spatial composition, because the process of formation and development took place and continues to this day in completely different natural, ecological and geomorphological conditions. It is important to note that it is the features of landscape and climatic conditions, ethno-cultural traditions and national specifics that have completely affected the urban planning structure and architectural appearance of each of the two analyzed cities – Vladikavkaz and Tbilisi. Each of them is distinguished by the specifics of the artistic image and aesthetic expressiveness.

Keywords: Russia, Republic of North Ossetia-Alania, Vladikavkaz, Republic of Georgia, Tbilisi, historical capital cities, state of the historical city center, planning of the historical city center, urban planning, regeneration of the historical city center, city planning and development, general principles of planning structure, patterns of development of the historical city center, specific features of the historical center cities, the architectural appearance of the city.

შორენა შავრეშიანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
თბილისი, საქართველო

**“ნიკო ფიროსმანისა და ხაფოს სამოქმედო სივრცე, ტექსტის ქრონოტოპოსი
(აკა მორჩილაძის ნაწარმოების „ქართულის რვეულები – XIX საუკუნის სურათები“
და მადათოვის ტრილოგიის პირველი ციკლის „გადაფრენა მადათოვზე და უკან“
მიხედვით)“**

ისტორია განსხვავებულად აისახებოდა ლიტერატურის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. კლასიკური, ტრადიციული მწერლობა მოითხოვდა ისტორიული ფაქტების სიზუსტის დაცვას და მაქსიმალურად უცვლელად გადმოტანას მხატვრულ ნაწარმოებში. მწერალი ცდილობდა ყველა დეტალისა და ნიუანსის დაცვით წარსულის გამოკვლევას; ნაწარმოების მოქმედი გმირები უნდა ყოფილიყვნენ ავთენტური პირები და მოვლენას, რომელზეც აიგებოდა ნაწარმოები, აუცილებლად ავთენტურობასთან, რეალურ გარემოებებთან უნდა ჰქონოდა მიმართება. დროთა განმავლობაში, ლიტერატურის მოთხოვნე-

ბის ცვლილების კვალდაკვალ ისტორიისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა და XX საუკუნის ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში ერთგვარ ტენდენციად იქცა ისტორიული რომანის, ისტორიული ნარატივის განახლება და გამრავალფეროვნება; გაჩნდა რომანები, რომელშიც ისტორიული სიმართლე მინიმუმადეა შემცირებული და ისტორია მხოლოდ ფონია, რომლის გამოყენებით თანამედროვე საზოგადოებრივი პრობლემებია გადმოცემული. ისტორიული რომანი, ისტორიული ნარატივი ბუნებრივად შეიცვალა ისტორიოგრაფიული მეტარომანით, ისტორიოგრაფიული მეტანარატივით.

ამ თვალსაზრისით გამორჩეულია აკა მორჩილაძე, რომლის შემოქმედებაც პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს ატარებს. აქ ვხვდებით ცნობილ პიროვნებებს მათთვის უჩვეულო და არადამახასიათებელი თვისებებით რეალურისაგან სრულიად საპირისპირო გარემოსა და სიტუაციებში; ირონიას, სარკაზმს, კარნავალიზაციას და პაროდias. შეცვლილ ცნობილ, მზა ტექსტებს ახალი იდეისა და სათქმელის გადმოსაცემად და სხვ. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ნიკო ფიროსმანისა და ხაფო – „ხაფო ხულოჟნიკ“-ის სამოქმედო სივრცისა მსგავსებასა და განსხვავებაზე და ტექსტის ქრონოტოპოსზე მადათოვის ტრილოგიის პირველი ციკლის „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ და „ქართულის რვეულები – XIX საუკუნის სურათებზე“ დაყრდნობით.

ერთ-ერთი პირველი ნიშანი, რაც თვალშისაცემია გახლავთ ქალაქის ორად გაყოფის პრინციპი:

ნაწარმოებში „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ ქალაქი ორადაა გაყოფილი: ზემო და ქვემო, მაღლა და დაბლა, ძველი და ახალი ქალაქი“. “ზემოთ ქალაქს ქვემოთას ამბავი არ გაეგებოდა, ქვემოთ ზემოთასი არ იცოდნენ“ [მორჩილაძე, 2018: 16].

პირველი ნაწილის სათაურით: „მღებავი კაცის ბიოგრაფია. აქ გაიცანით ხაფო მხატვარი და დაიმახსოვრეთ იმის ცხოვრება ორ ქალაქში“ [მორჩილაძე, 2018:11] მიუთითებს ორი ქალაქის არსებობაზე.

ხაფო “იდგა ხოლმე ორ ალაგას: ქვემოთ – მეიდნის კიდეზე და ზემოთ – ერივნის პლოშადზე, კოჯრის გზის გადმოდმა... [მორჩილაძე, 2018:12]

„დაბლა“ და „მაღლა“ – ძველსა და ახალ ქალაქში ნიკო ფიროსმანის ცხოვრების შესახებ ინფორმაციას ვხვდებით ნაწარმოების „ქართულის რვეულები – XIX საუკუნის სურათები“ ქვეთავში „ნიკალა“, რომელიც მხატვრის ბიოგრაფიაა. საზღვარი ძველსა და ახალ ქალაქს შორის „გადის შუა ბაზარზე, დაახლოებით იქ, სადაც ახლა ლესელიძის ქუჩაა [მორჩილაძე, 2014:211-212]“.

„ქართულის რვეულები – XIX საუკუნის სურათები“ კლასიკურ Non-Fiction -ს განეკუთვნება. Non-fiction ითვლება არაბელეტრისტიკული ლიტერატურის ჟანრად, რომელიც იყენებს ლიტერატურულ ტექნიკასა და ხერხებს. აღწერს მოვლენებს, ფაქტებს, ლოკაციას, პიროვნების ცხოვრებას შესაძლო სიზუსტით. Non-fiction – ის შინაარსი, თემა შესაძლოა გაშუქებული იყოს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური პოზიციიდან. შინაარსი შესაძლოა იყოს ზუსტი ან არაზუსტიც.

ნაწარმოები ბიოგრაფიული, ისტორიული, ეთნოგრაფიული, დოკუმენტური ხასიათისაა. გადმოცემულია XIX საუკუნის საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფიული მომენტები და არა მარტო საზოგადო მოღვაწეთა ცხოვრება და მოღვაწეობა, არამედ ქართული ჟურნალ-გაზეთების, ოპერისა და თეატრის შენობების დაარსების, ფუნქციონირებისა და არსებობის ისტორია, რევოლუციური მოძრაობა და მისი შედეგები. მწერალი მაქსიმალური სიზუსტით გადმოსცემს მოვლენებს.

თავად აკა მორჩილაძე „ქართულის რვეულები, XIX საუკუნის სურათების“ წინასიტყვაობაში აცხადებს, რომ ნაწარმოებში გადმოცემული ამბები, შესაძლოა, სიმართლეს არ შეესაბამებოდეს, რადგან იგი გადმოსცემს იმას, რაც მის გონებას შემორჩენია, გულის სიდრმეში დაღუქილია, „გულს სამუდამოდ დააჩნდა“. ამდენად, მკითხველმა იმთავითვე იცის, რომ საქმე აქვს მწერლის მხატვრული ფანტაზიის მორიგ ნაყოფთან: „ერთი ხნის წინათ ბევრს ვკითხულობდი ასი წლის წინანდელი ქართველების მოგონებებსა და

ჩანაწერებს. იმ წაკითხულიდან რაც დამელექა თავში, იმის ერთი ნაწილი ასეთი გამოდგა. ეგებ ამ ნაწერებში ბევრი რამ ზუსტი არ იყოს, მაგრამ ამბად ასე დამრჩა გონებაში და აღარ გამოვედევნე“ [მორჩილაძე, 2014:3]. ცხადია, ამ სიტყვებით ავტორი ხაზს უსვამს თავის სუბიექტურ დამოკიდებულებას ადამიანებისა და მოვლენების მიმართ, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ ავტორის ეს სუბიექტური დამოკიდებულება გამყარებული და გამართლებულია რეალური ფაქტებით.

„ახალსა“ და „ძველ“ ქალაქში გასხვავებულია „მხატვრის“ განმარტებაც.

„ნიკალას“ მიხედვით მხატვარი ლესელიძის „ქუჩის დაბლა და ამ ქუჩის მაღლა, სულ სხვადასხვა რამეს ნიშნავდა ძველ თბილისში. ქუჩის მაღლა, ანუ ახალ ქალაქში, რომელიც რუსების დროს შენდებოდა და აშენდა, მხატვარი იყო ნასწავლი კაცი, აკადემიური განათლებით, შემოქმედი, ინტელექტუალი და ასე დაუსრულებლად“ [მორჩილაძე, 2014:211-212].

ქუჩის დაბლა, ძველ ქალაქში, მხატვარი იყო უსწავლელი, რომელსაც ხშირად წერაკითხვა იმისთვის ჰქონდა ნასწავლი, რომ აბრებზე კოხტად დაეწერა შეკვეთილი სიტყვები, ეს იყო კაცი, რომელიც თავისი ბუნებრივი ნიჭის წყალობით ახერხებდა დაედო თუნუქზე და მუყაოზე ფერები და შეესრულებინა ნაირგვარი შეკვეთა [მორჩილაძე, 2014:211-212].

ეს შეკვეთები იყო სულ ნაირ-ნაირი, არა მარტო დუქნების აბრების დახატვა, არამედ სამიწვალეებულ განცხადებების ხატოვნად წერა და გამოკვრაც და სხვა ათასი... მხატვარი იმავდროულად იყო მღებავიც და ეს ყველაფერი ერთიანდებოდა ამ სიტყვის ქვეშ“ [მორჩილაძე, 2014:211-212].

„მხატვარი არის სიტყვა სწორედ დაბლა ქალაქიდან და ის სწორედ შუა ბაზრის გავლით ავიდა მაღლა და დაერქვა აკადემიურ მხატვრებს“ [მორჩილაძე, 2014:213]

„თბილისელი მხატვრი იყო თვითნასწავლი“

„შეკვეთა მაინცდამაინც ტილოს და შინაარსიან ნახატს არ გულისხმობდა, უფრო აბრების ხატვას და გაფორმებას, ან სახლის კედლების, ამიტომ ეს ხელობა ახლოს იყო რუსულიდან შემოსულ სიტყვა „მალიართან“, ანუ მღებავთან“ [მორჩილაძე, 2014: 213].

ნიკო ფიროსმანი თვითნასწავლი მხატვარი იყო, ბავშვობიდან გამორჩეული ხატვის ნიჭით. ხატავდა ყველგან, ხატავდა სახლის კედლებს, აბრებსა და სურათებს.

“გადაფრენა მადათოვზე და უკან“ მღებავი, малая-ი და მხატვარი ერთიდაიგივე ცნებაა. პირველი ნაწილის სათაურიდანვე: „მღებავი კაცის ბიოგრაფია. აქ გაიცანით ხაფო მხატვარი და დაიმახსოვრეთ იმის ცხოვრება ორ ქალაქში“ [მორჩილაძე, 2018:11], კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მხატვრისა და მღებავის ერთიდაიგივეობას.

“ხიდის უბანში ცხოვრობს მხატვარი, ანუ малая-ი ხაფო, სოდომურ ცოდვათა დიდი გამავრცელებელი“ [მორჩილაძე, 2018: 17].

ხაფოს „მღებავობას“ და „მალიარობას“ ვერავინ უწუნებდა. „ბიჭობაში მხატვრის შეგირდობით დაეწყო და სახელიც შორს წასვლოდა. ფერის იმგვარად ამოდება შეეძლო, რო დარდი იყო – ოპერასაც დაახატვინებდა კაციო. ამის გაღებილი კედელი მშვიდი იყო. იცოდა იმგვარად მქრქალი და თივთიკი ყვავილების დასმა ჭერზე, რო სახლის პატრონებს ჰურისა ეგონებოდათ... ასე დახატულ კედლებს ვერ დაითვლიდი სოლოლაკში და ვერც იქეთ, ნემენცების ქუჩებზე [მორჩილაძე, 2018:13].

ნიკო ფიროსმანი „მაღლა“ ქალაქის მხატვარი, „დაბლა“ ქალაქში უფრო კარგად გრძობდა თავს, „ხაფო დაბლა ქალაქის კაცი იყო და მაღლა ქალაქში მხატვრობდა“ [მორჩილაძე, 2018:13].

ხაფო ამ ქალაქების შესაბამისად ორგვარად ცხოვრობდა. იგი „დაბლა ქალაქში არ უყვარდათ, ან რა საყვარელი იყო. ის მაღლა ქალაქისკენ გასწევდა ხოლმე. სამუშაო ადგილები იქა ჰქონდა და იცნობდა კიდევ ბევრ ხალხსა. კედლების გამღებავი კაცის პირობაზე იქ გვარიანი ნაცნობობა ჰქონდა გაბმული და თუ ვიზიტით ვერავისთან დაიარებოდა, მრავალ დაწესებულებაში შესვლა შეეძლო და იქ, ძველი ნაცნობობით, საჭირო საქმეების მოგვარებაც გამოუდიოდა“ [მორჩილაძე, 2018:15].

ნიკო ფიროსმანს „მეცხლეობდა ყველგან... უხაროდათ მისი ნახვა“. ნიკო „შეიყვარა უბრალო ხალხმა, ხელოსნებმა, მჭედლებმა, მიკიტნებმა, თავისიანად მიიჩნევდნენ ნიკოს, მაგრამ იმასაც გრძნობდნენ რომ ნიკო „სხვა“ იყო [ჯაფარიძე თ., ელექტრონული რესურსი: 06:12:2022].

ხაფო ჩაცმის ორგვარ სტილსაც იცავდა: „თუ მაღლა ქალაქში ადიოდა სამუშაოდ, ერთს რუსულ შლაპას დაიხურავდა, თეთრ პერანგს მოირგებდა მწვანე ხვანჯრით და ფიჩაკსაც შემოიცმევდა. თუ მეიდანში, ბაზარზე გავიდოდა, ყოველთვის მოღელთი ჰქონდა ალის ფერის პრიალა ხალათი... მეორე სამოსით მორთული და აგრე მდგომი, ხაფო ცხენების დალაღსა ჰგავდა. ამხელა იყო, კინტოს ვერ ეტყოდი, ვერც ჩარჩსა და ბაზრის კაცსა, მაგრამ იერიც ისეთი ადგა, რომ ხელოსანი კაცი არ ჩანდა. ყარაჩოღლის ჩოხა ეცვა, ქამარიც უჩანდა შიგნიდან და ეს იყო: ვიწრო შალვარი და აპრიალბული ჩექმა გამოამზეურებდა: ამქრის კაცი არ არისო. ხაფო ამქრიდან ამოძირკვეული კაცი იყო“ [მორჩილაძე, 2018:11:12-13].

ნიკოს გარდერობი ასეთი მრავალფეროვანი არ ყოფილა. „მხატვარი სახატავ მასალად ნავთის ნამწვს აგროვებდა. თვითონაც მთელი ტანსაცმელი გამავებული ჰქონდა ნამწვავით [ნიკო ფიროსმანი, ელექტრონული რესურსი, 2013].

„ნაცრისფერი პიჯაკი, საღებავიანი ჭუჭყიანი მარვალი“ [გუდიაშვილი ლ., ელექტრონული რესურსი, 2013]

ნიკო „საჭმლისა და სასმლის სანაცვლოდ ხატავდა და აფორმებდა ყველაფერს, თან ხატავდა ძალიან სწრაფად და ხატავდა ყველანაირი შეკვეთით“ [მორჩილაძე, 2014: 213].

ხაფოს მოსწონდა ყარაჩოღლის ჩოხა, ნიკოს კი „ერთხელ ვიღაცამ ბაღდადი გადაჰკიდა მხარზე ხუმრობით და მოიშორა, არა ვარ ყარაჩოღელი და თქვენნაირი არა ვარ, ეგ არ მჭირდებაო... [მორჩილაძე, 2014: 215-216]. „ყოველთვის იცოდა არჩევა ძალიან დახვეწილი ტანისამოსის და უნდოდა, რომ გამორჩეული ყოფილიყო... უცნაურობა მის ტანსაცმელში არის ისიც, რომ ხშირად ეცვა ძველი, ნაკემსი და ჩამოძენილი, მაგრამ იმავდროულად უხდებოდა, კარგად ჰქონდა მომდგარი... თავისი მეგობარი მეღუქნეების და ყარაჩოღლების წრეში ის ხშირად ამბობდა, რომ ტანსაცმელს მნიშვნელობა არა აქვს. ხშირად ფეხსაცმელიც არ ჰქონდა ისეთი, რომ თავისუფლად ევლო ქუჩაში. მაგრამ როგორც კი ის ერთი-ორჯერ მოხვდა მაღალი ქალაქის მხატვრებში, იქ თქვა, მიჭირს თქვენთან სიარული, იმიტომ რომ ტანსაცმელიც კი არ მაქვსო“ [მორჩილაძე, 2014: 215-216].

„მე რომ ასი მანეთი მაინც მქონოდა, კარგ ტანსაცმელში გამოვეწყობოდი, ოთახს დავიქირავებდი, მაშინ კი ვხატავდი და ვხატავდი“ – შეუჩივლია ილია ზდანევიჩისთვის ნიკოს“ [ჯაფარიძე თ., ელექტრონული რესურსი, 2020].

ამ ყველაფერთან ერთად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალია უცხოელთა როლი მათ ცხოვრებასა და პოპულარიზაციაში:

ფიროსმანის, როგორც მხატვრის აღმოჩენაში, სურათების მოძიებასა და შემოქმედების პოპულარიზაციაში დიდი წვლილი მიუძღვით ძმებს, მხატვარ კირილ და პოეტ ილია ზდანევიჩებს, მხატვრებს მ. ლე დანტიუს, ლ. გუდიაშვილს, დ. კაკაბაძეს და სხვებს, უფრო გვიან გიორგი ლეონიძეს, რომელმაც მნიშვნელოვანი ცნობები მოაგროვა მისი ბიოგრაფიისთვის [ნიკო ფიროსმანი, ელექტრონული რესურსი, 2022].

„1912 წელს ფიროსმანის პირველი ნამდვილი აღმომჩენელიც გამოჩნდა. ეს იყო რუსეთში მცხოვრები ფრანგი ახალგაზრდა მხატვარი მიშელ ლე დანტიუ. იგი პეტერბურგიდან თბილისში წამოყვა დედით ქართველ ძმებს ზდანევიჩებს ილიას და კირილს... [ჯაფარიძე თ., ელექტრონული რესურსი, 2020]. სამიკიტნო „ვარიაგში“ მოსასვენებლად შესული ამ უცხოელ სამეუღლეთაგან პირველმა მიშელ ლე დანტიუმ შეამჩნია კედლებზე ჩამოკიდებული საუცხოო ნახატები. „ეს ხომ ჯოტოა, ნამდვილი ჯოტო“. ამ ფრაზამ იხსნა ფიროსმანის ცხოვრება. იგი შესაფერისად დანახულ იქნა... იმ წამშივე იკითხეს მხატვრის ვინაობა. სამიკიტნოში მყოფებმა თქვეს, რომ „მღებავი ნიკალას“ მისამართი არავინ

იცოდა, რადგან მხატვარს საცხოვრებელი ოთახი არ ჰქონდა. როცა მიკიტანმა მიშელ ლე დანტიუს აღტაცებული სიტყვები მოისმინა ნიკოს მხატვრობის შესახებ, უთხრა სტუმრებს, რომ თბილისის სამიკიტნოები სულ ნიკოს მოხატული იყო. მერე კი თხოვნით მიმართა მათ, მოეძებნათ ნიკო და რაც იქ ილაპარაკეს, პირადად მისთვის ეთქვათ. „ძალიან გაუხარდება, ეძებთ ნიკალა“... რამდენიმე დღეში ფიროსმანის კვალის მიდევნებამ ისინი მაღაკნების ქუჩაზე მიიყვანა. ერთ-ერთ სახლთან უჩვენეს იქვე მდგომი ფიროსმანი... ახალგაზრდებმა ის სამიკიტნოში მიიპატიჟეს სასაუზმოდ და სასაუბროდ. მიშელ ლე დანტიუმ უთხრა ნიკოს: „იცით, რომ თქვენ დიდი ოსტატი ხართ და თქვენი სურათები ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშებია“... [ჯაფარიძე თ., ელექტრონული რესურსი, 2020].

ხაფოს, როგორც მხატვრის აღმოჩენაშიც უცხოელის ხელი ურევია. ხაფო კუნძულ მადათოვზე გაურკვეველ ვითარებაში ნორვეგიელმა კნუტ ჰამსუნმა შენიშნა. მეორედ მაღაკნებზე თავად „ხაფომ ნახა და თავისთან დაპატიჟა: „აქ იყო გასაოცარი ნატურმორტები. პირდაპირ იატაკზე, ან კედელზე. რაც აქ იყო, ვერ დაარქმევ ხელოვნებას, მაგრამ ფანტაზიის სიღიადეს კი ნამდვილად უწოდებ [მორჩილაძე, 2018:57]. ცოტა ხანში ბიჭის ზურგზე დახატულმა საკვირველმა ქალაქმა – კომკებით, კომკებზე მაღალი ადამიანებით, ლამპრიდან ამოსული ჯინებით და ყვავილებით მორთულმა, რომელიც ადამიანის სახეს წარმოადგენდა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. „ბატონ პედერსენს არასოდეს ენახა ამგვარი რამ. მან გაიფიქრა, რომ ეს კაცი ფუნჯით უამბობდა ჯადოსნურ, ქირმანის გზებით მოხატულ ზღაპარს“ [მორჩილაძე, 2018 : 59].

ამას მოჰყვება ასევე მათი პარიზული ამბები:

მიშელ ლე დანტიუ დაუყოვნებლივ შეუდგა ნიკოს მხატვრობის მსოფლიო კულტურაში დამკვიდრების საქმეს. ერთ-ერთ ფრანგულ გაზეთში სტატია გამოაქვეყნა ნიკოს შემოქმედების შესახებ. მოსკოვში მხატვრები შეკრიბა და ვრცელი მოხსენება წაიკითხა ფიროსმანის მხატვრობის შესახებ. გამოფენაც მოაწყო“... როცა ილია ზდანევიჩმა ნიკოს ამცნო, თუ როგორ იღვწოდა მიშელ ლე დანტიუ მისთვის, ნიკოზე ყველაზე მეტად იმან იმოქმედა, რომ მიშელ ლე დანტიუმ საფრანგეთის გაზეთში (პარიზში) დაწერა მის შესახებ. ამ ფაქტით ხშირად ამაცობდა ხოლმე. როგორც ჩანს მიშელ ლე დანტიუს პარიზული სტატია მისთვის პროფესიონალიზმის დამადასტურებელი სერიოზული ამბავი იყო... [ჯაფარიძე თ., ელექტრონული რესურსი, 2020].

„მე საფრანგეთშიც მიცნობენ“ – უთქვამს ბავშვური სიამაყით „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ სხდომაზე მისაწვევად გაგზავნილი გიგო ზაზიაშვილისათვის [ჯაფარიძე თ., ელექტრონული რესურსი, 2020].

კნუტ ჰამსუნის შეფასებით კი ხაფოს „ნახატები და დეკორაციები უნატიფესი გემოვნებიანობით გამოირჩევა და ხსენებული ხაფო რომ პარიზში დაბადებულიყო, მას დიდი წარმატება ექნებოდა“ [მორჩილაძე, 2018:128].

იგივე ხაფოს კნუტ ჰამსუნისეული დახასიათება მოგვიანებით ვიქტორ ბაიარდს საგანგებო დანართში გადაჰქონდა: “ხაფეზ მხატვარს კი, რომლისაც მხოლოდ სახელი ჰქონდა ჩაწერილი უბის წიგნაკში, ძალიან აქებდა. უწოდებდა მას დიდ მხატვარს და ამბობდა, ასეთ ხალხს მალე ხელისგულზე ტარებას დაუწყებენ პარიზშიო“ [მორჩილაძე, 2018 : 117].

მათმა პოპულარობამ გაზარდა ინტერესი მათი ნამუშევრების მიმართ:

მიშელ ლე დანტიუ მონდომებით ეძებდა ნიკოს ნამუშევრებს. მან გვარიანი კოლექციაც შეაგროვა. “ფიროსმანის ნახატები ერთი გამოფენიდან მეორე გამოფენაზე გადადიოდა. ისინი თანდათან უფრო სასურველნი და პოპულარულნი იყვნენ“... [ჯაფარიძე თ., ელექტრონული რესურსი, 2020].

მოთხოვნა იყო ხაფოს ნამუშევრებზეც: “აკალადჩიკმა პისუნოვმა მოკლულის ლუქახსნილ სახლში რაღაცეები მოქექა და ორ დღეში გაყიდა ბორდელის პატრონს პარაჟიანსა და ვიდაც უცხოელზე, რომლის ვინაობაც ახლა დგინდება. გუშინ, ლუსტრირებულ იქნა

წერილი პეტერბურგიდან, სადაც ანტიკვარ ზელცერს, ჰაფეზ მხატვრის მიერ მოხატული თუნგის შოვნას თხოვენ და შვიდას მანეთს სთავაზობენ“... [მორჩილაძე, 2018:129].

გარკვეული მსგავსი დეტალები ფიგურირებს მათი გარდაცვალების საქმეშიც:

„ნიკო ფიროსმანი გარდაიცვალა თავის კიბის ქვეშა სათავსოში, 1918 წელს. იგი დაკრძალულ იქნა სხვა უპატრონო გვამებთან ერთად საერთო სასაფლაოზე. მის საფლავს დღემდე ეძებენ“ [ჯაფარიძე თ., ელექტრონული რესურსი, 2020].

ხაფო მოკლული იპოვეს კუნძულ მადათოვზე, დაკრძალეს კუკიის სასაფლაოზე. მისი სახლი უგზო-უკვლოდ გაქრა, არც მისი პირადი ნივთები შემორჩენილა, „არც მისი ნაკეთობანი, საბუთები კი დაიწვებოდა 1917 წელს, როცა ძველებმა ახლების შიშით ქაღალდების წვა იწყეს“ [მორჩილაძე, 2018:01]. ხაფო გაქრა როგორც მხატვრული პერსონაჟიც, რადგან მკითხველი აღმოაჩენს, რომ მადათოვის ტრილოგიის სამივე ციკლში მოთხრობილი ისტორიები ამერიკულ კომპიუტერულ თამაშში „მეჯიქ-პოლისში“ იშლება, ვითარდება, იხსნება და ქრება.

აკა მორჩილაძემ „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ ტრადიციული კლასიკური მხატვრული ნაწარმოებისაგან განსხვავებით ანტი-გმირის, უზნეო ხაფოს მრავალგანზოილებიანი სახე შემოგვთავაზა, რომელიც რატომღაც გარკვეული ნიშნებით ნიკო ფიროსმანს გვაგონებს. აქვე ისიც უნდა დავაკონკრეტოთ, რომ მსგავსება ეხება მხატვარ-შემოქმედთა მხოლოდ სამოქმედო სივრცეს, ტექსტის ქრონოტოპოსს („ზემო“ და „ქვედა“ ქალაქს) და არავითარ შემთხვევაში -პერსონალურ პორტრეტს. საკმარისია, დავიწყოთ „ქართულის რვეულები, XIX საუკუნის სურათების“-ის კითხვა, რომ მაშინვე ცხადი ხდება ავტორის სიყვარულოთა და პატივისცემით გამსჭვალული დამოკიდებულება ნიკალასა და საქართველოს ყველა საზოგადო მოღვაწის, გულშემატკივრის მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გუდიაშვილი ლ., ნიკო ფიროსმანი, 2013. ელექტრონული რესურსი: <http://www.reading.ge/ka/books-by-level/313-niko-pirosmani>.
2. მორჩილაძე ა., გადაფრენა მადათოვზე და უკან, 2018.
3. მორჩილაძე ა., ქართულის რვეულები – XIX საუკუნის სურათები, 2014.
4. ნიკო ფიროსმანი, 2013. ელექტრონული რესურსი: <http://www.reading.ge/ka/books-by-level/313-niko-pirosmani>, 2013.
5. ნიკო ფიროსმანი, 02:06:2022. ელექტრონული რესურსი https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%99%E1%83%9D_%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98.
6. ჯაფარიძე თ., ნიკო ფიროსმანი – ცხოვრება და შემოქმედება, 1998. 06:12:2022 ელექტრონული რესურსი: <https://scroll.ge/24737/themo-japharidze-niko-phiro/>

Shorena Shavreshiani

Doctor of Philology,
Tbilisi Georgia

THE ACTION SPACE OF NIKO FIROSMAN AND KHAFO, THE CHRONOTOPE OF THE TEXT (ACCORDING TO THE WORK "GEORGIAN NOTEBOOKS – 19TH CENTURY PICTURES" AND THE FIRST CYCLE OF MADATOV'S TRILOGY "FLIGHT OVER MADATOV AND BACK")

Abstract

Historical past was presented differently at different stages of the development of fiction. In classical works writers were required to carefully protect historical facts and reflect them with the utmost accuracy in work of art. Over time, attitudes towards the historical past has changed and,

during the last quarter of the 20th century, it has become trend to update and diversify the historical novel to find new forms and stylistic features. In view of the above, there were novels in which historical facts were minimized. The classic historical novel has been replaced in the postmodern era by the historiographical meta-novel.

From this point of view, Aka Morchiladze is outstanding, whose work is undeniably distinguished by the characteristic features of postmodernism: irony, sarcasm, carnivalization, parody, intertextuality, allusion...

In the report, we will focus on the action space of Khafo and Niko Firozman, the chronotope of the text, and not on their personal portrait. We highlight such signs, similarities and differences characteristic of their action space, such as the images of their life in the "old" and "new" city; realization of their artistic talent; the role of foreigners in their life, the different definition of the word "artist" in "old" and "new" city; the boom of barrelhouse; their disappeared graves, etc.

Keywords: Aka Morchiladze, outstanding, irony, sarcasm, carnivalization, parody, intertextuality, allusion.

მორენა შამანაძე,
ნათელა ჩიტაური
თბილისი, საქართველო

**საბჭოთა წარსულის რეცეფცია ახალი 'Weltliteratur'-ის ჭრილში
(რუსკა ჟორჟოლიანის „შენი აქ ყოფნა, როგორც ქალაქი“
და კატია ჰეტროვსკაიას „აღბათ ესთერი“)**

გლობალური მიგრაციული პროცესების გააქტიურების ფონზე მწერლობაც გასცდა ნაციონალურ მოდელებს, შეიქმნა გეოგრაფიული და თვისობრივი (მენტალური, თემატური და ენობრივი პრაქტიკები) თვალსაზრისით შეცვლილი ლიტერატურული სამყარო, რამაც თავის მხრივ მოითხოვა ლიტერატურათმცოდნეობაში შესაბამისი აღქმის გააქტიურება. ამას აქვს თავისი კონკრეტული მიზეზები:

წიგნის ბაზარზე მე-20 საუკუნის წლები სამოციანი წლებიდან არსებობს და 1980-იანი წლებიდან ძლიერდება ისეთი ნაწარმოებების ბუმი, რომლებიც ძნელად თავსდება ტრადიციულ ნაციონალურ ლიტერატურაში, რადგან ენობრივად და შინაარსობრივად ისინი აფეთქებენ ეროვნულ ჩარჩოებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი ტრანსნაციონალურ და დამაინტრიგებლად ინოვაციურ ტექსტებს გვთავაზობენ.

უნივერსიტეტებში გაურკვეველია ამ ლიტერატურის სწავლების კონტექსტი და მიმართულები. აზადე სეიჰანი აღწერს ამ „ტრანსნაციონალურ ლიტერატურას, როგორც მწერლობის ჟანრს, რომელიც მოქმედებს ნაციონალური კანონის მიღმა, ეხება დეტერიტორიალიზებული კულტურების პრობლემებს და საუბრობს მათ მხარდასაჭერად, რასაც მე „პარანაციონალურ“ თემებსა და ალიანსებს ვუწოდებ“. [სეიჰანი 2001: 10]. ის ასახავს ტრანსნაციონალურ ლიტერატურულ დისკურს ამერიკული ჩიკანო (Chicano-Literatur) ლიტერატურისა და გერმანულენოვანი თურქი ემიგრანტების ტექსტების მაგალითზე და ამით იკვლევს ლიტერატურას „outside the nation“ და თავის კვლევასაც ასე ასათაურებს. „გაიტანო .ასეთი ტექსტები ერის გარეთ და განათავსო თითქოსდა განსხვავებულ გარემოში – ეს ერთი შესაძლებლობაა; მეორე შესაძლებლობაა მათი განთავსება ნაციონალური ლიტერატურის შიგნით „უმცირესობათა ლიტერატურის“ ან „ინტერკულტურული ლიტერატურის“ კატეგორიაში, რომლებიც ისედაც ნაციონალური ლიტერატურის განაპირას არსებობენ“ [ტრიგონაკისი 2007: 7].

თუ გადავხედავთ ბოლო ორი ათწლეულის მიგრაციული ლიტერატურის ევროპულ დისკურსს, აღსანიშნავია ამ სახის ლიტერატურის დეფინაციათა სიმრავლე (ინტერ/ტრანს-

კულტურული, მიგრაციული, პოსტმიგრაციული, მოძრაობის, ტრანსარეალური და სხვ.). თუმცა ბოლო პერიოდში მას სულ უფრო და უფრო ხშირად უწოდებენ 'ახალ Weltliteratur'-ას. მთავარი არგუმენტი არის ის, რომ მიგრაციის ლიტერატურა უკავშირდება გლობალიზებულ სამყაროში ყოველდღიურ ყოფას და ეს ვლინდება სხვადასხვა კულტურათა კავშირისა და მრავალენოვანების კონტექსტში. ოტმერ ეტტე აღნიშნავს, რომ გარდა მრავალენოვანი და გლობალიზაციურ-მიგრაციული შინაარსისა, ახალმა მსოფლიო ლიტერატურამ ეს ნარაციისა და პოეტიკის სტრუქტურულ დონეზეც უნდა ასახოს [ეტტე 2005: 42].

მიგრაციული ლიტერატურის, როგორც ახალი პოსტკოლონიური ლიტერატურის, ახალ Weltliteratur-ად მოაზრების სტიმული მოდის ჰომი ბაბას მიერ გოეთეს Weltliteratur-ის ახლებური აქტუალიზაციიდან.

თავის ნაშრომში „The Location of Culture“ ჰომი ბჰაბჰა წერს: „მსოფლიო ლიტერატურის შესწავლა შეიძლება იყოს შესწავლა იმისა, თუ როგორ ცნობენ კულტურები საკუთარ თავს „განსხვავებების“ მეშვეობით. იქ, სადაც მსოფლიო ლიტერატურის მთავარი თემა ოდესღაც ეროვნული ტრადიციების გადაცემა იყო, ახლა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მიგრანტების, კოლონიზებული ან პოლიტიკური ლტოლვილების ტრანსნაციონალური ისტორიები – მათი მოსაზღვრეობა და ზღვარზე არსებული პირობები – შეიძლება იყოს ლიტერატურული სამყაროს მთავარი პეიზაჟები“ [ბჰაბჰა 1994: 75].

ახალი „Weltliteratur“-ის უმთავრეს მახასიათებლად იქცა კულტურათაშორისი ანუ „მესამე სივრცის“ არსებობა. ამ სივრცეს ქმნიან უმეტესად ტექსტები, რომლებიც იქმნება არა „ადგილზე“, არამედ საზღვარგარეთ, ან მასში ასახულია მიგრაციული თემები. აქტუალური ხდება თანამედროვე ლიტერატურული პროცესების შეფასება ინტერ/ტრანსკულტურული პერსპექტივიდან, როდესაც ავტორები ამა თუ იმ მიზეზის გამო აქტიურად იცვლიან საცხოვრებელ ადგილებს და ნაწარმოებებს ქმნიან სამშობლოს დაკარგვისა და შეგუება/ვერშეგუების კრიტიკულ და ამავე დროს პროდუქტიულ დინამიკაში. ისინი გამუდმებით გახსენებასა და დავიწყების შორის მოძრაობენ და ეს გამოიხატება წერის ტრანსნაციონალურ მანერაში, რომელიც გულისხმობს სხვადასხვაგვარ მრავალენოვანებას, იქნება ეს მიმღები ქვეყნის ენაზე დაწერილ ტექსტში ჩართული მშობლიურ ენაზე დაწერილი ტექსტები, ასევე მიმღები ქვეყნის ენაზე დაწერილ ტექსტებში მშობლიური აზროვნების კვალი, გამოსატული იდიომებში, მეტაფორებში.

იდეა ახალი მსოფლიოს ლიტერატურის შესახებ, რომელიც ეკუთვნის ელკე შტურმ-ტრიგონაკისს, მეცნიერებს სთავაზობს ახალი პერსპექტივიდან განიხილოს მიგრაციული ლიტერატურის ადგილი და გვერდი აუარონ კამათს იმის შესახებ, ეკუთვნის თუ არა ესა თუ ის ლიტერატურა ამა თუ იმ ნაციონალურ ლიტერატურას.

ელკე შტურმ-ტრიგონაკისის წიგნის „Global playing in der Literatur: ein Versuch über die Neue Weltliteratur,“ დასაწყისში აქცენტი კეთდება ტერმინ „მსოფლიო ლიტერატურაზე“, როგორც თავად გოეთეს მიერ შემოღებული ტერმინის, ასევე მისი ინტერპრეტაციების გათვალისწინებით. ტერმინის ისტორიის ჩვენებით ცხადი ხდება როგორც მისი ამჟამინდელი გამოყენების საწყისი პუნქტები, ასევე ის საზღვრები, საიდანაც იწყება ამ ტერმინის, როგორც კატეგორიზაციის ინოვაციური ინსტრუმენტის, როგორც „ახალი Weltliteratur-ის“ გამოყენება.

ამ ტერმინის აქტუალიზაციის კიდევ ერთი საფუძველია, ავტორის აზრით, გერმანული, ინგლისური, ფრანგული, ესპანური და პორტუგალიური ენების ფილოლოგიის კვლევის ამჟამინდელი მდგომარეობა და მათი ურთიერთობა ნაციონალური ლიტერატურის დადგენილ უმცირესობათა, ჰიბრიდულ, ინტერკულტურულ ან ანალოგიურად განსაზღვრულ ქვეჯგუფებთან, სადაც წინა პლანზეა ისეთი მტკივნეული მომენტები, როგორებიცაა ლიტერატურული კანონის ფორმირება, აქსიოლოგია ან დესკრიპციულ მეთოდთა ერთობლიობა. „ამ პროცესში ამკარად კრისტალიზდება როგორც ტრადიციული ფილოლოგიის დეფიციტი, ისე მისი განვითარების პერსპექტიული ხაზები, რომლებიც დაემყარება ლიტერატურის ჰიბრიდულ ფორმებს შორის მეტ სინოპტიკურობას, რაც

ყველაზე კარგად შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში განხორციელდება“ [შტურმ-ტრიგონაკისი 2007: 7].

ასევე ერთ-ერთ საფუძველს ჰქმნის გლობალიზმის კვლევის მდგომარეობა და სისტემური თეორიის ამჟამინდელი განვითარება, რასაც სოციოლოგია ახორციელებს; გამოდის, რომ სისტემების თეორია, ოპერაციული სისტემების ფორმირების თეორიული კონფიგურაციები შეიძლება მომგებიანად გადავიდეს ლიტერატურათმცოდნეობაში.

მაშინაც კი, თუ ეს მხოლოდ ეკონომიკის ან საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფენომენებია, ამ სფეროებში აღმოჩენები მაინც ამდაფრებს თვალსაზრისს ძალიან მსგავს მოვლენებზე ლიტერატურაში და ამიტომაც სასარგებლოა ლიტერატურათმცოდნეობისთვისაც.

დაბოლოს, წიგნში გაერთიანებულია ეს საფუძვლები, რათა ჩამოყალიბდეს ჰიბრიდული ლიტერატურის ფიქტიური სივრცის სისტემური რეორგანიზაცია, ასევე ცოდნა სამეცნიერო სფეროებში არსებული დეფიციტის შესახებ, ხოლო ექსპერტიზის სოციოლოგიური სფეროდან ლიტერატურათმცოდნეობაში გადატანა ქმნის ინოვაციური თეორიული დიზაინისა და საკუთარი, კარგად განსაზღვრებადი კატეგორიის შექმნის საშუალებას [შტურმ-ტრიგონაკისი 2007: 8].

სანამ უშუალოდ ახალი Weltliteratur-ის ჟრილში წარსულის რეცეფციაზე გადავიდოდეთ, აუცილებლად უნდა განვმარტოთ ერთი საკითხი:

უკვე რამდენიმე წელია ჩვენი სამეცნიერო ჯგუფი (ნათელა ჩიტაური, შორენა შამანაძე, ნინო პოპიაშვილი) პროფ. ალექსანდრე კარტოზიას ხელმძღვანელობით მუშაობს შემდეგ სამეცნიერო პროექტზე „ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობა ახალი Weltliteratur-ის ჟრილში და ნაციონალური იდენტობა“. ამ პროექტის ფარგლებში დღემდე შევისწავლეთ ქართული ემიგრაციული მენტალურ-ლიტერატურული სივრცე (მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე). ამჟამად ვიკვლევთ ქართულ დიასპორულ მენტალურ-ლიტერატურულ სივრცეს – საზღვარგარეთ შექმნილ თანამედროვე ტექსტებს (მე-20 საუკუნის ბოლოდან დღემდე). ამ ტექსტის ავტორთა აღსანიშნად შემოვიღეთ ტერმინი „ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობა“.

ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობა ახალ Weltliteratur-ის ჟრილში ერთვება სწორედ ამ დიდი ტალღით, რასაც საბჭოთა წარსულის რეცეფცია ჰქვია. საქმე ეხება საბჭოთა ტოტალიტარული წარსულის შესწავლას, საბჭოთა მემკვიდრეობის პოლიტიკური, სამართლებრივი და მორალური პასუხისმგებლობის გააზრებას და მის ასახვას ლიტერატურაში.

ამ ქმედების აუცილებლობას კარგად აცნობიერებენ საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მწერლები. გავიხსენოთ ნინო ხარატიშვილი: „პირველად ამ რამდენიმე წლის წინ დავფიქრდი, რომ ჩვენი საუკუნის ისტორიას დასავლეთევროპული პერსპექტივიდან უკეთ ვიცნობ, ვიდრე აღმოსავლეთევროპულიდან. თუნდაც ნაციზმზე ბევრად მეტი ვიცი, ვიდრე სოციალიზმის შესახებ, რადგან გერმანიამ ეს ეპოქა გაანალიზა, შეაფასა, მოინანია და მხოლოდ შემდეგ შესძლო ისტორიის ახალი ფურცლის გადაშლა. საქართველოში, ისევე როგორც ბევრ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, ეს არ მომხდარა. აქედან გამომდინარე, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ბოლო 25 წელია წრეზე დავდივართ, ვიმეორებთ იმავე შეცდომებს, ვერ ვარღვევდით წრეს და ახალი ფურცლის გადაშლას ვერ ვახერხებთ“ [კარტოზია 2016: 222].

აღსანიშნავია, რომ საქართველოში წარსულის შესახებ მსგავსი სწორხაზოვანი და ერთხმოვანი დამოკიდებულება, ძირითადად, საზოგადოების ელიტარული ფენის ხედვას და თვითაღქმას იმეორებს, სადაც ხშირად გამორიცხულია უბრალო ხალხის და რიგითი ადამიანების გამოცდილებები. ამ მიდგომით, წარსული ერთ დიდ მონოლითურ და ერთგვაროვან დროით მონაკვეთად სადდება, სადაც პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული მრავალმრიანობა მარტივდება და მარტივ ამხსნელებამდე დაიყვანება. ისტორიის შესახებ მსგავსი უნივოკალური ხედვის კონსტრუირება კი სპობს შესაძლებ-

ლობას, გაჩნდეს სივრცე ალტერნატიული ხმებისა და პერსპექტივების მოსასმენად. არსებობს კიდევ უფრო მწვავე სისტემური გამოწვევებიც, როგორებიცაა გენდერული, ეთნიკური თუ რელიგიური იერარქიების კვლავწარმოება და ჩაცემენტება.

რაც შეეხება გერმანულ გამოცდილებას, რაზეც ნინო ხარატიშვილი საუბრობს, ესაა წარსულის დაძლევა ან წარსულის გადამუშავება.

როგორც ვიცით, კონცეპტუალურად, წარსულის გადამუშავებისას მთავარი აქცენტი პასუხისმგებლობის განსაზღვრაზე მოდის. გარდა ამისა, წარსულის გადამუშავებისას იგი განიხილება, როგორც როგორც ხსოვნის კულტურის პროცესი. მე-20 საუკუნის ბოლოდან ასევე გამოიყენება ტერმინები, როგორიცაა ისტორიული პოლიტიკა ან წარსულის პოლიტიკა. გერმანიასა და ავსტრიაში ტერმინი „წარსულის დაძლევა“ განსაკუთრებით გამოიყენება ნაციონალ-სოციალიზმთან და მის გამოვლინებებთან დაკავშირებით. ესენია, სხვა საკითხებთან ერთად, ტირანია, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებები, გენოციდი, ჰოლოკოსტი, რასიზმი, ომის დანაშაული. ნაცისტური წარსულის დაძლევა დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნიურნბერგის სასამართლო პროცესებით და შემდგომში მთავარი ომის დამნაშავეების სასამართლო პროცესებით გაგრძელდა. მათ შორის, 1968-იანელთა მოძრაობა მოუწოდებდა წარსულის კოლექტიური დაძლევისაკენ და ჩიოდა, რომ მათი აზრით, ეს არ უნებოდა ნაცისტურ ისტორიას. ეს ნაწილობრივ გადაიზარდა ბრალდებაში, რომ ფედერაციული რესპუბლიკის სისტემაში შესაძლებელი იყო ახალი ფაშიზმის გაჩენა.

გღრ-ში მშვიდობიანი რევოლუციის შემდეგ გერმანიაში დაიწყო წარსულის დაძლევის ახალი ეტაპი. შტაზის დოკუმენტებმა აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ბევრი ადამიანისთვის საკუთარი წარსულის დაძლევა: მათ სურდათ სცოდნოდათ, ვინ და როდის ჩაუშვა ისინი; მათ სურდათ ჩადენილი უსამართლობის გარკვევა და, ზოგიერთ შემთხვევაში, დანაშაულის გამოსყიდვა.

ახალი 'Weltliteratur'-ის ავტორები იტალიელ-ქართველი რუსკა ჟორჟოლიანი, გერმანულ-უკრაინელი კატია პეტროვსკაია და გერმანულ-ქართველი ნინო ხარატიშვილი წარმატებული ქალი ავტორები არიან, რომლებმაც თავიანთი პირველივე ნაწარმოებებით ევროპული კრიტიკის ყურადღება მიიპყრეს და მნიშვნელოვანი ჯილდოებიც დაიმსახურეს. სამივენი მათთვის საერთო საბჭოთა წარსულზე წერენ, წინაპრებს კვალში უდგანან, საკუთარი თუ საზოგადო ოჯახის ისტორიის მაგალითზე ცდილობენ გადმოსცენ ქვეყნისა თუ საზოგადოების ისტორია, მოიცვან ბევრი მოვლენა, მათ შორის სტალინიზმი და ჰოლოკოსტი.

ამასთანავე, მათი ნარატიული თვითკონსტრუქცია ასახავს მათი, როგორც იდენტობის შეცვლის დინამიური პროცესის მონაწილის ცნობიერებას.

თუ ჟანრის მიხედვით განვსჯით, კატია პეტროვსკაიას რომანი უფრო ნაკვალევის ძიების ან გახსენების რომანია, მაშინ როცა ნინო ხარატიშვილის, ისევე როგორც რუსკა ჟორჟოლიანის რომანები დიდი საოჯახო საგა ან უფრო ფართოდ, საოჯახო ისტორიის ლიტერატურაა.

რუსკა ჟორჟოლიანი მესტიიდანაა. ოთხმოცდათიანებში აფხაზეთის ომთან დაკავშირებით თბილისში გამოქცევა მოუხდა. ორიათასიანების დასაწყისში სხვა ლტოლვილ ბავშვებთან ერთად ჰუმანიტარული მისიით პალერმოში, ირტალიაში მოხვდა და 2007 წლიდან იქ საბოლოოდ დამკვიდრდა. შეისწავლა იქაურ უნივერსიტეტში ფილოსოფია. ერთ დღესაც იქაურ ლიტერატურულ კონკურსში იტალიურად დაწერილი ლექსით რომ გაიმარჯვა, გადაწყვიტა იტალიურად დაეწყო წერა.

მისი რომანი "შენი აქ ყოფნა, როგორც ქალაქი" 2016 წელს დაიწერა და იტალიაში ბევრი პრემიის ნომინანტი გახდა. ასევე წარმატებული იყო მისი გერმანული თარგმანი. მისი მოქმედება საბჭოთა კავშირში, ერთ-ერთ გამოგონილ ქალაქში ვითარდება, მთავარი თემა კი სტალინური რეპრესიებია, რატომ კონკრეტულად საბჭოთა კავშირის პერიოდი?

„ეს იყო რეალობა, რომელსაც ასე თუ ისე ვიცნობდი. სინამდვილე, რომელიც მაწუხებდა. საბჭოთა კავშირში დავიბადე, ახალგაზრდობისას მის ნანგრევებს მოვესწარი. შეიძლება ითქვას, უარესიც კი იყო ამ ნანგრევებში ცხოვრება.“

რეალურად, გამოგონილი ქალაქის პროტოტიპი საქართველოა, მაგრამ ისიც არ მინდოდა, ვინმეს ეფიქრა, მე საქართველოზე ვწერდი და ყურადღების მიქცევას ამით ვცდილობდი – ჩემი დევნილობით ან წარსულით. არაპირდაპირ კი ბევრი რამ მიუთითებს, რომ ავტორი ქართველია“ [ქორჟოლიანი 2019]

წიგნში მოქმედება საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ გამოგონილ ქალაქში ვითარდება, წარმოდგენილია ცარისტული ეპოქის დასასრული, რევოლუცია ლენინის, სტალინის და საბჭოთა კავშირის დროს. ორი თაობის მამაკაცების ბედით, მათი ფესვები ღრმა რუსულ ლიტერატურაშია, მაგრამ ისინი ჩაფლულნი არიან საბჭოთა რეალობის უიმედობაში, რომელიც სვამს ეგზისტენციალურ კითხვებს: „რა მოგდის, როცა რეპრესიები განსაზღვრავს შენს მთელ ცხოვრებას? როგორი ადამიანი გახდებოდი, ასე რომ არ მომხდარიყო? როგორი ადამიანი გახდი, ასე რომ მოხდა?“ [ქორჟოლიანი 2016: 132]. რომანის თითოეული თავი ამ კითხვებს სხვადასხვა პერსპექტივიდან განიხილავს, იქნება ეს წერილები, მოგონებები, სიზმრები თუ დიალოგები.

"შენი აქ ყოფნა, როგორც ქალაქი" ასევე არის ოჯახური საგა, რომელიც მოიცავს ოთხ თაობას, ბებია-ბაბუას, შვილებს და შვილიშვილებს და შვილთაშვილებს. რისი სჯერა ამ ხალხს? რისი პატიება შეიძლება? რატომ მოიტყუეს? რუსკა ქორჟოლიანი მკითხველს ატარებს ომს, დალატს, უიმედობასა და სტაგნაციას შორის. ეს არის მეტაფორებით სავსე ტექსტი, სავსე რომანტიკით, მელანქოლიით და მომხიბვლელით. „რა აკავშირებს ადამიანებს ერთმანეთთან? სახელმწიფო? ოჯახი? მეგობრობა? თუ ეს ჰაერია, რომელსაც მათთან ერთად ვიზიარებთ?“ [ვაგნერი 2018]

მწერალ კატია პეტროვსკაიას სურდა შეექმნა ერთგვარი საგვარეულო ხე, რათა გამოესახა თავისი ნათესავები, რომლებიც მიმოფანტულნი იყვნენ, მრავალ ქვეყანასა თუ კონტინენტზე ცხოვრობდნენ (და ზოგიერთ შემთხვევაში კვდებოდნენ). მათ გამოიარეს მე-20 საუკუნის მრავალი უბედურება, მათ შორის სტალინიზმი და ჰოლოკოსტი. მაგრამ როგორ უნდა ისაუბრო იმაზე, რაც არ შეგიძლია იცოდე და როგორ უნდა გააცოცხლო წარსული? პეტროვსკაია ასახავს ფრაგმენტულ და ტრავმირებულ საუკუნეს, გვიზიარებს ისტორიებს მისი მოგზაურობის შესახებ რუსეთში, უკრაინაში, გერმანიაში, პოლონეთსა და შეერთებულ შტატებში და აშუქებს ოჯახის ფიგურებს, რომლებიც სხვაგვარად შესაძლოა გაურკვევლობაში დარჩენილიყვნენ. „შესაძლოა ესთერი“ არის ერთ ოჯახზე ისტორიის გავლენის მძაფრი, შემზარავი გამოკვლევა, ისევე როგორც მეხსიერების ღრმა შესწავლა.

„ვიფიქრე, რომ თუ მხოლოდ იმ რამდენიმე ადამიანზე მოყვები, რომლებიც ჩემი ნათესავები იყვნენ, მთელს მეოცე საუკუნეს მოვიცავ“, წერს კატია პეტროვსკაია, რადგან იცის, რომ ეს იდეა გულუბრყვილო, მაგრამ აუცილებელი იყო მოგზაურობის დასაწყებად. ავტორი თავის თავს ეკითხება: „საიდან ვიცი ამ ამბის დეტალები? სად მოვისმინე? ვინ გვიჩურჩულებს ისტორიებს, რომლებსაც მოწმეები არ ჰყავთ და რატომ? [პეტროვსკაია 2014: 13]“

პეტროვსკაიას „ჩვენ“ მხოლოდ მის ოჯახზე არ ვრცელდება, ის სცდება იმ კატეგორიებს, რომლებიც მე-20 საუკუნის ისტორიაში აისახა. „ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ მხოლოდ გერმანელები, ებრაელები, ნაცისტები, კომუნისტები, უკრაინელები, საბჭოელეები, ავტოქტონები, გადასახლებულები არ ვართ, არამედ ყველა ჩვენ ვართ კაენის შთამომავლები.“ [პეტროვსკაია 2014: 47]. ეს კი კიდევ ერთხელ ასახავს ტრადიციის ამოცანას და ფუნქციას მათთვის, ვინც მოგვიანებით დაიბადება.

„შესაძლოა ესთერი“ კატია პეტროვსკაია ქმნის ხელოვნების ნიმუშს, რომელიც იშვიათად გვხვდება გერმანულენოვან ლიტერატურაში: ოჯახურ ისტორიას, რომელიც არც ლიტერატურული კონვენციებითაა გადატვირთული და არც მოთხრობილი მასალის ისტორიული სიმძიმით.

მიუხედავად იმისა, რომ კიევთან კავშირი შენარჩუნდა, სანამ კატია პეტროვსკაია ბერლინში გერმანულს სწავლობდა, მან გამოტოვა მშობლიურ ქვეყანაში უკრაინული ერის მშენებლობის ეტაპი, რომელშიც რუსულენოვანმა კიევის ინტელიგენციამ ხელახლა შეიძინა უკრაინული ენა, რომელიც პეტროვსკაიას დღეს ესმის. მაგრამ ვერ ლაპარაკობს. მისი გადაწყვეტილება, წასულიყო გერმანიაში, დიდწილად დაკავშირებული იყო პოსტსაბჭოთა სივრცისადმი მის უპირობო მიკუთვნებულობასთან. „ესტონეთში მე ვარ რუსი ოკუპანტი, მოსკოვში მე ვარ უკრაინელი პროვინციელი. ყველგან ნახევრად უცხო ყოფნა რთულია. მაშინ მე მირჩევნია ვიყო უცხო გერმანიაში“.

იგი ყველაფერ ამას იკვლევდა საძიებო სისტემების დახმარებით და საოჯახო ჩანაწერებში და არქივებში კიევს, ბერლინს, ვარშავასა და მანუტჰაუზენს შორის. საკუთარი ოჯახის ისტორიის კვალის ძიებაში ავტორი, თავისი პროტაგონისტის მეშვეობით, მიემგზავრება პოლონურ სოფელში და იქ იკვლევს თავის საბჭოთა-რუსულ-ებრაულ ფესვებს.

მან არ იცის ზუსტად საკუთარი დიდი ბუბის ნამდვილი სახელი – მას "ალბათ ესთერი" ერქვა, მაგრამ სახლში ყველანი ბაბუშკას ეძახდნენ. ეს დეტალი, ჩვენი აზრით, ადასტურებს მოსაზრებას, რომ ისტორიის რეცეფციისას მხოლოდ ტრადიციას და მეხსიერებას ვერ დაეყრდნობი. ის შეიძლება იყოს არასრული, მიკერძოებული და სუბიექტური. წინამდებარე რომანი ასევე ეხება იმას, თუ რა ენობრივ ტრადიციას პოულობს ავტორი თავისთვის და, შესაბამისად, ეს რომანი მიუხედავად დოკუმენტური ნარატიული ხასიათისა, არის „ლიტერატურა საუკეთესო გაგებით“.

რასაც ავტორი კატია პეტროვსკაია ტექსტის სახით ქმნის, არის ავტობიოგრაფიული, მითოლოგიური მეტაფრაქცია, რომელიც გამდიდრებულია ფოტოებით და საარქივო აღმოჩენებით, მაგრამ ჩვენი აზრით, იგი ასევე ეფუძნება ნარატიულ პრინციპს, რომელიც მთლიანად ლიტერატურულია.

დასასრულს, უნდა ითქვას, რომ ინტერკულტურულ-მიგრაციის პოსტსაბჭოთა, ანუ ახალი მსოფლიო ლიტერატურის ავტორები გაცილებით ღრმად და მკვეთრად ფიქრობენ საბჭოთა წარსულზე. ამასი მათ ეხმარება შეცვლილი გარემო, გარედან ხედვა, ასევე ყოფნა მიგრაციის ლიმიანალურ სიტუაციაში.

რუსკა ჟორჟოლიანის რომანი „შენი აქ ყოფნა, როგორც ქალაქი“ და კატია პეტროვსკაიას რომანი "ალბათ ესთერი" მოიცავს ბევრ ძალიან განსხვავებულ ისტორიას: ეს ტექსტები იკითხება, როგორც წარსულის რეკონსტრუქცია, როგორც ოჯახის კვლევის ანგარიში ან როგორც სააზროვნო სივრცე კოლექტიური და ინდივიდუალური იდენტობის ფორმირებისათვის, ასევე საბჭოთა წარსულის, როგორც კოლექტიური მეხსიერების ისტორიულად და კულტურულად ცვალებადი ფორმების ჩამოსაყალიბებლად, აგრეთვე იმის წარმოსაჩენად, თუ როგორ ექცევა ინდივიდი თუ საზოგადოება თავის წარსულს თუ ისტორიას, რამდენად კრიტიკულად და პირუთვნელად გაიაზრებს მას.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბჰაბჰა: Bhabha, Homi K. *The Location of Culture*. 1994. London: Routledge.

ვაგნერი: Senta Wagner, Interview mit Verlegerin Daniela Koch, shorturl.at/beiz4

ეტტე: Ottmar Ette, *ZwischenWeltenSchreiben. Literaturen ohne festen Wohnsitz (Über Lebenswissen II)* (Berlin: Kadmos 2005).

კარტოზია: ალ. კარტოზია, ნ. ჩიტაური, შ. შამანაძე... ქართული მწერლობის ინტერკულტურული მოდელი და ნაციონალური იდენტობის პრობლემა“, 2016, გამომც. „უნივერსალი“.

პეტროვსკაია – Katja Petrowskaja, *Vielleicht Esther*. Suhrkamp, 2014.

სეიჰანი: Seyhan, Azade (2001): *Writing Outside the Nation*. Princeton University Press

ჟორჟოლიანი – ჟორჟოლიანი რუსკა, ინტერვიუ, ჟურნალი *Diplomat*, 2019 shorturl.at/IDMQ2

ჯორჯოლიანი – Ruska Jorjoliani: Du bist in einer Luft mit mir. A. d. Ital. v. Barbara Sauser. Rotpunkt, Zürich 2018. 216 S.

შტურმ-ტრიგონაკისი – Elke Sturm-Trigonakis, Global playing in der Literatur: ein Versuch über die Neue Weltliteratur Königshausen & Neumann, 2007 – Globalization in literature – 275 p.

**Shorena Shamanadze,
Natela Chitauri**
Tbilisi, Georgia

**RECEPTION OF THE SOVIET PAST IN THE CONTEXT OF NEW 'WELTLITERATUR'
(Ruska Zhorzholiani's novel *Your Being Here as a City* and
Katya Petrovskaya's novel *Perhaps Esther*)**

Abstract

Italian-language Georgian Ruska Zhorjoliani and German-language Ukrainian Katya Petrovskaya are successful female authors who have attracted the attention of European literary critics from their very first works and have also become nominees/winners of important prizes. Both of them write about their common Soviet past, they try to convey the history of the country or society using the example of their own/public family history, covering many events, including Stalinism and the Holocaust. And finally, both are authors of the New 'Weltliteratur'.

Against the backdrop of the activation of global migration processes, writing also went beyond national models; a geographically and qualitatively (mental, thematic and linguistic practices) changed literary world was created. The main characteristic of the New "Weltliteratur" has become the presence of intercultural or "third space". This space is created mostly by texts that are not created "at home", but abroad, or that depict migration themes. It becomes relevant to evaluate modern literary processes from an inter/transcultural perspective, when authors actively change their places of residence for one reason or another and create works in the critical and at the same time productive dynamics of loss of homeland and adaptation. They are constantly moving between remembering and forgetting, and this is expressed in the transnational manner of writing, which implies various kinds of multilingualism, be it texts written in the native language included in the text written in the language of the receiving country, as well as traces of native thought in texts written in the language of the receiving country, expressed in idioms, metaphors.

Ruska Zhorzholiani's novel *Your Being Here as a City* and Katya Petrovskaya's novel *Perhaps Esther* cover many very different stories: these texts can be read as a reconstruction of the past, as a family research report, or as a thought space for the formation of collective and individual identity, and the Soviet past as To establish historically and culturally changing forms of collective memory, as well as to show how an individual or a society deals with its past or history, how critically and personally it understands it.

Keywords: European literary, Ruska Zhorzholiani, Perhaps Esther.

გიორგი ჯალაბაძე –100. მეცნიერი და სამუზეუმო მოღვაწე



ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, ისტორიკოსმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, ეთნოლოგმა და სამუზეუმო მოღვაწემ გიორგი ჯალაბაძემ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართულ სამეცნიერო სამყაროში. გიორგი ჯალაბაძეს არასოდეს უძებნია განსაკუთრებული პატივი და დიდება. ფუტკარივით მშრომელი და მოფუსფუსე მეცნიერი თავისი კეთილსინდისიერი საქმიანობით, ყოველდღიური დაუღალავი შრომით, სამეცნიერო მემკვიდრეობით, სამუზეუმო ექსპოზიციების მოწყობითა და მომავალი ეთნოლოგი თაობების აღზრდით ყოველთვის მისაბაძი იყო კოლეგებისა და იმ საზოგადოებისათვის, სადაც და ვისთანაც კი უხდებოდა ურთიერთობა.

შთამბეჭდავია გიორგი ჯალაბაძის სამეცნიერო მემკვიდრეობა. იგი მოიცავს 15 მონოგრაფიას და ასზე მეტ სამეცნიერო სტატიას, რომლებიც მოიცავენ ქართველი ხალხის ისტორიის, ყოფისა და კულტურის სფეროს.

გიორგი ჯალაბაძემ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს დაუკავშირა. აქედან დაიწყო მისი სამეცნიერო და სამუზეუმო საქმიანობა და გარდაცვალებამდე ამ მუზეუმის ერთ-ერთი მთავარი ბურჯი და ჭკუისსაკითხავი პიროვნება იყო.

საინტერესო ცხოვრებისეული და სამეცნიერო გზა განვლო გიორგი ჯალაბაძემ. დაიბადა 1922 წლის 28 ნოემბერს შიდა ქართლში, გორის რაიონის სოფელ ქორდში.

ბატონი გიორგი მეორე მსოფლიო ომშიც მონაწილეობდა. ახალგაზრდა მფრინავი მეომარი 1941-1943 წლებში იცავდა გროზნო-ვლადიკავკაზის მისადგომებს. აქვე დაიჭრა, იძულებული გახდა დაეტოვებინა ფრონტი და დაბრუნებოდა მშობლიურ კუთხეს, მშობლიურ ქორდს, სადაც ნიჭიერმა და უკვე ფრონტმოვლილმა სახელიანმა ახალგაზრდამ დაიწყო პედაგოგობა და ახალგაზრდებს ასწავლიდა ქვეყნის სიყვარულსაც. პარალელურად ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, სადაც მიიღო საფუძვლიანი განათლება.

თავიდან საქართველოს ისტორიის გვიანი შუა საუკუნეების ეპოქით დაინტერესდა და რამდენიმე სტატიაც გამოაქვეყნა ვახტანგ VI-ის ეპოქაზე. მაგრამ შემდგომ ეთნოგრაფიამ გაიტაცა და ამ გადაწყვეტილების მიღებაში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მუშაობის დაწყება დაეხმარა. სწორედ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი მიიჩნეოდა

მომავალ ეთნოგრაფ-ეთნოლოგების სამჭედლოდ, სადაც დიდი ეთნოგრაფების – აკადემიკოს გიორგი ჩიტაიასა და ვერა ბარდაველიძის ყურადღების ქვეშ იწრთობდა მომავალი თაობა. მოგვიანებით, გიორგი ჩიტაიასა და ვერა ბარდაველიძის „ეთნოგრაფიულ წყვილს“ პროფესორ გიორგი ჯალაბაძისა და აკადემიკოს თინა ოჩიაურის წყვილიც მიემატა, რომელთაც ეთნოლოგთა არაერთი თაობა აღზარდეს.

ყველაფერი კი დაიწყო 1950 წელს, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა გიორგი ჯალაბაძემ შეაღო მუზეუმის კარები, დაიწყო პრეპარატორად მუშაობა და ამ დღიდან საბოლოოდ დაუკავშირა ამ ეროვნულ დაწესებულებას თავისი ბედ-იღბალი. ამრიგად, გიორგი ჯალაბაძე სწორედ იქ მოხვდა, სადაც მისი ნამდვილი ადგილი იყო! სწორედ ეთნოგრაფობა აღმოჩნდა მისი მოწოდება. უკვე მუზეუმის თანამშრომელმა ჩააბარა ასპირანტურაში და დაიწყო კვლევა თემაზე „აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან“. საფუძვლიანი კვლევის შედეგად დაიწერა აღნიშნული ნაშრომი და წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია 1955 წელს. შემდგომშიც გააგრძელა ამ მიმართულებით კვლევა და უკვე 1972 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „საქართველოს სამიწათმოქმედო კულტურა“.

განსაკუთრებით დიდია გიორგი ჯალაბაძის დამსახურება სამუზეუმო სფეროში. ეთნოგრაფიული ფონდების საფუძვლიანი ინფორმაცია გიორგი ჯალაბაძემ საზოგადოებასაც გააცნო. 1979 წელს გამოიცა მისი „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გზამკვლევი“. ფონდების გზამკვლევი 80-იან წლებშიც დაიბეჭდა შევსებული სახით ქართულ და რუსულ ენებზე. მკვლევარი აცნობიერებდა იმ ფაქტს, რომ ახალ ეპოქაში ინტენსიურად ქრებოდა ყოფისა და კულტურის ამსახველი ექსპონატები და ფონდების დახასიათებასთან ერთად, მსჯელობდა ყოფაში შემორჩენილი ექსპონატების მოძიების აქტუალობაზე.

განსაკუთრებით დიდია მუზეუმის როლი ეთნოლოგ//ეთნოგრაფების მეცნიერულად ჩამოყალიბების საქმეში. ამ გარემოებას ყოველთვის ხაზს უსვამდა გიორგი ჯალაბაძე. ამ ფაქტში იგი გულისხმობდა ეთნოგრაფიულ პრაქტიკას, ნივთებთან უშუალო ურთიერთობას. სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „მუზეუმში მუშაობა იყო და რჩება მეცნიერული მთაგონებისა და პრაქტიკული გამოცდილების საუკეთესო სკოლად“ (ჯალაბაძე, 1979 გვ. 7).

გასული საუკუნის 50– იანი წლებიდან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით გაიმართა „ქართველი ხალხის ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენა“. ეს იყო უნიკალური ექსპოზიცია, რომლის განხორციელებაშიც აქტიურად მონაწილეობდა გიორგი ჯალაბაძე. შემდგომში კი სამ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში თანამშრომლებთან ერთად, ეს გამოფენა იყო მისი მუდმივი ზრუნვის საგანი. აქ იგულისხმება ექსპონირებული ნივთების ფიზიკური მოვლა-პატრონობა, დროდადრო ახალი ექსპონატებით ჩანაცვლება და სხვ.

ეთნოგრაფთა და ანთროპოლოგთა მსოფლიო კონგრესი გაიმართა მოსკოვში 1964 წელს. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ამავე ქალაქში, გიორგი ჯალაბაძის ხელმძღვანელობით, მოეწყო კავკასიის შინამრეწველობის ნიმუშების გამოფენა, რომელსაც დიდი რეზონანსი მოჰყვა. შესანიშნავი იყო 1964 წელს მოწყობილი გამოფენა „ხალხური შემოქმედების ნიმუშები ფშავ-ხევსურეთიდან“; არანაკლები მნიშვნელობისა გახლდათ 1971 წელს ლენინგრადში მოწყობილი ექსპოზიცია – ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშების „მოძრავი გამოფენა“ და სხვ.

მნიშვნელოვანი ღვაწლი დაიღო გიორგი ჯალაბაძემ აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით თბილისში დაარსებულ ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის, როგორც ხალხში უწოდებენ – ღია ცის ქვეშ ან უბრალოდ, ეთნოგრაფიული მუზეუმის საქმიანობაში. აქაური თანამშრომლებისთვის მუდმივად აწყობდა ლექციებს, სემინარებს, სამეცნიერო მიმართულებებისა და სამუზეუმო საქმის

სპეციფიკასთან დაკავშირებით. ეთნოგრაფიულ მუზეუმში მისი ხელმძღვანელობით მოეწყო ქართული ხალიჩ-ფარდაგების გამოფენა.

ფაქტობრივად ეთნოგრაფიის განყოფილების ყველა ფონდს კურირებდა ბატონი გიორგი ჯალაბაძე, მაგრამ კონკრეტულად მასზე ხალიჩ-ფარდაგების ფონდი იყო გაპიროვნებული და შესაბამისად, ეს სფეროც გახდა მისი კვლევის ერთ-ერთი მიმართულება. ამ ფონდში მუშაობა მეტად საინტერესო იყო, მაგრამ ამავე დროს დიდ ფიზიკურ დატვირთვასაც უკავშირდებოდა. ყოველ გაზაფხულს, საჭირო იყო აქ დაცული ექსპონატების: ხალიჩების, ფარდაგების, მაფრაშების, ასალ-ხურჯინებისა და სხვათა დამუშავება სხვადასხვა სახის ქიმიური ნივთიერებებით, განსაკუთრებით ნაფტალინით, რომელიც მუზეუმში ტომრებით შემოჰქონდათ და როგორც შემდგომ დადასტურდა, კანცეროგენული ნივთიერება ყოფილა და ამჟამად საერთოდ ამოღებულია ხმარებიდან. ამ და სხვა სამუზეუმო საქმიანობაში ბატონ გოგის გვერდით ედგნენ მისი მოწაფეები, განყოფილების თანამშრომლები.

დიდი მნიშვნელობის იყო ბატონი გიორგის გამოკვლევა „აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან“, სადაც განხილულია იარაღები, რომელთაც იყენებდნენ ხორბლეულის ასაღებად და გასალეწად. ავტორმა დაადგინა ხორბლეულის აღება ხელით, მნაკვით, ნამგლითა და ცელით. ხორბლეულის ლეწვა კი პირუტყვის ფეხით, ბერტყვითა და კვერის გამოყენებით. დანიშნულების მიხედვით დაადგინა ნამგლების ოთხი სახესხვაობა. უარყო ზოგიერთი მოსაზრება საქართველოში ნამგლების სხვა ქვეყნებიდან შემოსვლის შესახებ. გიორგი ჯალაბაძემ შეისწავლა და წარმოგვიდგინა მასალები წინა აზიის ხალხთა ეთნოგრაფიულ ყოფაში კვერის სარიტუალო დანიშნულებით გამოყენებასა და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე სამარხეული კვერების შესახებ. ავტორმა ამით დაამტკიცა, რომ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამარხეული კვერები გარკვეულწილად უკავშირდება მიცვალებულის კულტს და იგი შემთხვევითი ხასიათისა არ არის.

საინტერესოა გიორგი ჩიტაიას მოტანილი პასაჟი საქართველოში საანულო ფორჩხთან დაკავშირებით, რომელთაც მონოგრაფიის ავტორმა მოუძებნა ანალოგები კავკასიის, წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ხალხთა მეურნეობაში. გიორგი ჯალაბაძის დასკვნით, ფორჩხი საანულო ხვნის სისტემას უკავშირდება. საანულო სისტემა კი შესაბამისად – მარცვლეულის მაღალხარისხოვან კულტურას.

მრავალმხრივი იყო გიორგი ჯალაბაძის სამეცნიერო ინტერესები და კვლევის მიმართულებები, რომლებიც მოიცავს სამეურნეო იარაღებს, სამიწათმოქმედო კულტურას, ხალიჩ-ფარდაგების კვლევას, ტრადიციულ ტანსაცმელს, სამუზეუმო საქმისა და ფონდების თეორიულ და პრაქტიკულ შესწავლას...

ცხადია, მუზეუმის მუშაკისთვის უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ ფონდების მოვლა, აღრიცხვა-დაცვა, არამედ აქ დაუნჯებული კოლექციების გასაჯაროება. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი საინტერესო გამოკვლევა-კატალოგია, რომელიც ცნობილ ეთნოლოგ ლეილა მოლოდინთან თანაავტორობით მომზადდა. ეს გახლავთ „საქართველოს სახელწიფო მუზეუმის დროშების კატალოგი“. აქვე ვიტყვით, რომ უნიკალურია კატალოგში წარმოდგენილი კოლექცია. გარდა სამეფო, სამხედრო და რელიგიური დროშებისა, მუზეუმში დაცულია ხელოსნობის სხვადასხვა დარგის ამქრებისა და მოხელეების დროშები. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ – ოქრომჭედლები და დაბადები, მეიარაღეები და „ბრილიანტიკები“ (ძვირფასი თვლების დამმუშაველები), ხუროები და მხერხავები, ჭონები (ტყავის ოსტატები) და დალაქები, ნალბანდები და ზეიკლები, მეჭურჭლეები და კალატოზები, მეეტლები, „მელამფეები“, პურის მცხობელები, აზიური და ქართული ჩექმების მკერავები და სხვ.

ამქრების დროშების შესწავლისას, პასუხია გაცემული ისტორიის გამყალბებელ ჩვენი სამხრეთელი მეზობელი მეცნიერებისადმი. ბატონი გიორგი აღნიშნავს, რომ „ამქრის შესახებ არასწორი მოსაზრებაა გამოთქმული ვ. აბრამიანის ნაშრომში „სომხური ამქრული

ორგანიზაციები ამიერკავკასიის ქალაქებში“, შეცდომა სათაურშივე იწყება. საქართველოს ქალაქებში თბილისში, თელავში, გორში, სიღნაღში, ახალციხეში არსებულ ამქრულ ორგანიზაციებს იგი სომხურ ამქრულ ორგანიზაციებს უწოდებს, რაც მხოლოდ შეცდომა კი არ არის, არამედ საკითხის უცოდინარობაა; თბილისის ამქრის დროშებზე წარმოდგენილი ორენოვანი და სამენოვანი წარწერები იმის უტყუარი დოკუმენტია, რომ არც თბილისში და არც საქართველოს რომელიმე ქალაქში ეროვნებათა მიხედვით, ცალკე, განკერძოებული ამქრული ორგანიზაცია არ არსებობდა.

დასკვნა ასეთია. თუ ამქრულ ორგანიზაციას რაიმე ეროვნული გააჩნდა, ეს ეროვნული მხოლოდ ქართული იყო. ქართული ეროვნული ნიშნები თბილისში არსებულ ამქრების ორგანიზაციებში გამოიხატებოდა დროშების მხატვრული გაფორმებით, დროშის ქსოვილზე მფარველი დვთაების გამოხატვით, რომელიც ტრადიციით მოდიოდა, მედროშის სპეციალურ ჩაცმულობაშიც გამოიხატებოდა და სხვ. (გ. ჯალაბაძე, საქართველოს სახელწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული ფონდების გზამკვლევი, თბ., 1979).

ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის, ისტორიის და საერთოდ, ქართული ეთნოკულტურის შესწავლის პრობლემატიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეროვნულ ჩაცმულობას. სწორედ ამ საკითხს ეძღვნება გიორგი ჯალაბაძის ნაშრომი „ქართველი ხალხის ჩაცმულობა“ ეთნოლოგ ციალა ბეზარაშვილთან თანაავტორობით. ამ მცირე მოცულობის გამოკვლევაში სამართლიანადაა აღნიშული, რომ ხალხურსა და საერთოდ, ეროვნულ ჩაცმულობას ხანგრძლივი განვითარების გზა აქვს გავლილი.

ნაშრომში განხილული და კლასიფიცირებულია ქართველი ხალხის ტრადიციული ჩაცმულობა ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხეების მიხედვით, ქართველ მთიელთა და ბარელთა სამოსი, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ჩაცმულობის მსგავსი ნიშნები და განსხვავებანი კლიმატური პირობების ხაზგასმით.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს გახლავთ ქართულ ხალხურ ტანსაცმელთან დაკავშირებული ერთადერთი ეთნოგრაფიული ნაშრომი, სადაც კომპაქტურად, ერთიან სისტემაშია მოქცეული ტრადიციული სამოსი ეპოქებისა და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხეების მიხედვით. ამავე დროს, ხაზგასმულია მათი ერთიანი გენეტიკური ხაზი და განმასხვავებელი ნიუანსები.

გამორჩეულად გამოვყოფთ საინტერესო და საყურადღებო დასკვნებს ხევსურული ტანსაცმლის კომპლექსის შესახებ, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება კავკასიის მასშტაბით. კერძოდ, ხევსური ქალის ჩაცმულობაში წამყვანი ადგილი ენიჭება აჭრილობასა და ნაქარგობას. ხევსური ქალის ჩაცმულობის შესწავლამ გამოავლინა, რომ ანალოგიური აჭრილობის ტანსაცმელი უნდა ეტარებინათ მეზობელ ფშაველ და თუმ ქალებსაც ძველად, ხოლო უძველეს ხანაში მსგავსი ტანსაცმელი უნდა სცმოდათ საქართველოს ბარის რაიონებშიც. როგორც ავტორები აღნიშნავენ, ხევსურული ტალავარის სახით საქართველოში შემორჩენილია ისტორიული ხანის ჩაცმულობის იშვიათი კომპლექსი (ბეზარაშვილი, ჯალაბაძე, 1988, გვ. 6).

საქართველოში მემინდვრეობის კულტურის მრავალწლიანი კვლევა გიორგი ჯალაბაძემ წარმატებით დაასრულა და 1972 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მოგვიანებით დისერტაციაში წარმოდგენილი საკითხები შევსებული და ახალი გამოკვლევებით გამდიდრებული ორ წიგნადაც გამოიცა: 1986 წელს „მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში“ და 1990 წელს „მემინდვრეობის კულტურა დასავლეთ საქართველოში“ (ჯალაბაძე 1986; ჯალაბაძე 1990). დასახელებულ ნაშრომებში ფაქტობრივად საქართველოს ყველა კუთხის მაგალითზე განხილულია ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ეს უმნიშვნელოვანესი მხარე; წარმოდგენილია უამრავი ფაქტობრივი მასალა და გამოტანილია უაღრესად მნიშვნელოვანი დასკვნები. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ზოგიერთ მათგანზე.

გიორგი ჯალაბაძემ მესხეთის კვლევისას დაადასტურა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა პურეულის ერთ-ერთი ჯიში – ფასენი! ეს იყო სამემოდგომო ხორბალი. გასული

საუკუნის მეორე ნახევარში ხორბლის ამ ძველ ქართულ ჯიშს უკვე აღარ თესდნენ. აღნიშნული პურეული მანამდე არსად, არც ერთ სპეციალურ ლექსიკონშიც კი დაფიქსირებულია. კვლევის შედეგად ავტორი გამოთქვამს და სამეცნიერო ლიტერატურაში ამკვიდრებს საინტერესო მოსაზრებას, რომ ეს ტერმინი, უშუალოდ ხორბლის მთესველ-მომყვანთა ვინაობა-სადაურობაზე უნდა მიუთითებდეს. ფასენი იმავე ფასიანს და შესაბამისად, ბასიანს უნდა ნიშნავდეს (ჯალაბაძე, 1986, გვ. 201).

ამ შემთხვევაში ავტორს არგუმენტად მოჰყავს აკადემიკოს კორნელი კეკელიძის მოსაზრება ფასიანისა და ბასიანის იგივეობისა და ქართული წარმოშობის შესახებ. ამ გარემოებას ამყარებს პავლე ინგოროყვას გამოკვლევაც, რომელიც ასკვნის, რომ „მთელ ისტორიულ პერიოდებში ბასიანის მხარენი მესხეთის საზღვრებში იყო მოქცეული“ (პ. ინგოროყვა, 1954, გვ. 45).

ამრიგად, ფასიანი//ბასიანი მკვლევართა მოსაზრებით სატომო სახელი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, გიორგი ჯალაბაძე ასკვნის, რომ რაკი ასეა, თვით ფასენი სწორედ სატომო სახელიდან გამომდინარე პურეულის ჯიშის გამომხატველი უნდა იყოს; მეცნიერის ვარაუდით, ფასენის გავრცელების არეალი მტკვარ-არაქსის ენეოლითური კულტურის სამყაროს განეკუთვნება.

მონოგრაფიაში სისტემურადაა ნაჩვენები ერთი საინტერესო საკითხიც დასახლების ტიპთან დაკავშირებით. კერძოდ, კარული ანუ მონოგენური დასახლების პოლიგენურად გადაქცევის პროცესი; ასევე გამორჩეულად საინტერესოა ავტორის მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების დადასტურებული, მიწის ერთი კატეგორიის გამოყოფა „დედულის“ სახით და ამ მიწის სამართლებრივი კატეგორია დიდი ოჯახების გაყოფის დროს.

დაბოლოს, მონოგრაფიაში წამოწეულია ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხიც. ესაა სამცხე-ჯავახეთში მოქმედი, ე. წ. უნივერსალური სახვნელის – ჯილდის თემა. შესაბამისი მასალის ანალიზის საფუძველზე ობიექტური დასკვნებია მიღებული. ავტორის შეფასებით, ჯილდა სწორედ აღნიშნული რეგიონის პირობებისთვისაა ჩამოყალიბებული-შექმნილი. ჯილდა, რომელშიც 4-5 უღელი გამწევი ძალა ებმევა, არც დიდი გუთანვიით ღრმად ხნავს (თესლი რომ ტენიან გაზაფხულზე არ ჩაღპეს) და არც მცირე სიღრმეზე, რომ არ გამოშრეს. ამდენად, ჯილდა იდეალური იყო ამ პირობებისთვის.

სხვათა შორის, თეთრიწყაროს რაიონში, სოფელ ჭივჭავაძეში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა დაახლოებით XV-XVI საუკუნეების საფლავის ქვა სახვნელის გამოსახულებით. სწორედ გიორგი ჯალაბაძემ მოახდინა ამ სახვნელის იდენტიფიცირება ჯილდასთან და ამ თემას სპეციალური სტატიაც მიუძღვნა.

გიორგი ჯალაბაძე ეკამათება სომეხ მეცნიერ ვ. ბლოიანს, რომელსაც ჯილდა არზრუმის მხარიდან ემიგრირებული სომხების მიერ მოტანილ მატერიალური კულტურის ობიექტად მიაჩნია (ბლოიანი, 1968). ლოგიკურად და მეცნიერული კამათით ქართველმა მკვლევარმა დაადასტურა, რომ სახვნელი ჯილდა, ისევე როგორც ფორჩხი, ადგილობრივ ნიადაგზეა წარმოქმნილი საუკუნეების წინ და პირიქით, მოსულმა სომხებმა გადაიღეს ეს სახვნელი. მეტიც, საქართველოდანაა შეტანილია სომხეთში არა მარტო ჯილდა, არამედ ფორჩხიც! მათ მიერ არა მხოლოდ ეს სამეურნეო იარაღები, არამედ მათი დასახლებაც ქართული ენიდანაა გადაღებული. და არა მხოლოდ ეს იარაღები თავისი ტერმინებით, არამედ „საგულისხმოა ისიც, რომ ამ იარაღთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის სახელიც „მოდგამი“ საქართველოდან გავრცელდა სომხეთსა და აზერბაიჯანის დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში“ (ჯალაბაძე, 1986, გვ. 206).

გიორგი ჯალაბაძის კიდევ ერთ სამეცნიერო და ორგანიზატორულ საქმიანობაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. მან ჩაიფიქრა და წლების განმავლობაში ეთნოგრაფიული განყოფილების თანამშრომელთა ძალებით, წარმატებით განახორციელა საქართველოს რეგიონული ეთნოგრაფიული შესწავლა ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხეების მიხედვით.

ამ მიმართულებით წლების განმავლობაში განხორციელდა რამდენიმეწლიანი ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: სვანეთში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, ლეჩხუმში, შიდა და ქვემო ქართლში, კახეთში. ამ ექსპედიციების შედეგად შეგროვდა სრულიად ახალი სავსე მასალა. ექსპედიციების მონაწილეთა მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით იწერებოდა სამეცნიერო სტატიები ამა თუ იმ საკითხზე, რომელთა საფუძველზე თითოეულ ამ კუთხეზე გამოიცა შესაბამისი ეთნოგრაფიული კრებულები („სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, „სამცხე-ჯავახეთი“, „იმერეთი“, „გურია“, „სამეგრელო“, „ლეჩხუმი“, „შიდა ქართლი“, „ქვემო ქართლი“,

ლიტერატურა:

1. ბეზარაშვილი ციალა, ჯალაბაძე გიორგი. ქართული ხალხური ტანსაცმელი, თბ., 1988
2. ინგოროყვა პავლე. გიორგი მერჩულე, თბ., 1954
3. მოლოდინი ლეილა, ჯალაბაძე გიორგი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დროშების კატალოგი, თბ., 1969
4. ჯალაბაძე გიორგი. მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1986
5. ჯალაბაძე გიორგი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული ფონდების გზამკვლევი, თბ., 1979
6. ჯალაბაძე გიორგი. მემინდვრეობის კულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1990
7. ჯალაბაძე გიორგი. მიწათმოქმედება ფშავ-ხევსურეთში (ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1963

Nodar Shoshitashvili
Tbilisi Georgia

GIORGI JALABADZE, GEORGIAN SCIENTIST-ETHNOLOGIST AND MUSEUM WORKER
(In relation to his 100th birthday)
Abstract

Giorgi Jalabadze, a well-known scientist-historian, doctor of historical sciences and ethnologist, has left an important impact on the Georgian scientific community. The meritorious researcher spent much of his adult life working at the National Simon Janashia Museum of Georgia, which is where his scientific and museum-related career began. Until his death, he was one of the most important pillars of the museum.

Giorgi Jalabadzes spheres of interest are varied and contain scientific, collectible, expository, and educational works. The meritorious scientist thoroughly researched the Georgian agriculture. Of utmost interest are his monographs, which are concerned with East Georgian agricultural tools, and field care in Georgia, as well as his works on the museum flag collection research, traditional Georgian costumes and carpets, additionally, he worked on publishing the museum foundation guides.

Keywords: Giorgi Jalabadze, collectible, expository, educational, museum.

დამარცხებული ქალღვთაება ჯადოსნურ ზღაპარში

უძველესი ჯადოსნური ზღაპრების მთავარი გმირი ქალია და ის გენეტიკურად მითოსური წარმოშობის მზის ღვთაების დესაკრალიზებულ სახესიმბოლოს წარმოადგენს (ჩოლოყაშვილი 2004: 36). მზე რომ თავდაპირველად ქალღვთაებად გაიზარებოდა, ამაზე ქართულ მითოსურ პოეზიაშიც არის მინიშნება:

მზე დედაა ჩემი, მთვარე – მამაჩემი,
მოციმციმე ვარსკვლავები და და ძმა ჩემი.
(ჩიქოვანი... 1972: 81)

მზეს რომ კაცი მიუვიდა, მზე ძალიან გაჯავრდესა:
„მე და ვარ და ის ძმა არის, რად ვძულდებით ერთმანეთსა“
(ჩიქოვანი...1972:83).

ამ პერიოდის ჯადოსნური ზღაპრების ღვთაებრივი წარმოშობის მთავარი გმირი საკუთარ დებთან დაპირისპირებული სამსახოვანი ქალია, რომელიც ამ მიზეზით სამყაროს სამივე სკნელის (ზესკნელის, შუა სკნელისა და ქვესკნელის) მომვლელია და, შესაბამისად, მისი მთლიანობის განმასახიერებელი. ყოველივე ამას ქალი მეტამორფოზული გარდასახვების ძალით ახდენს და იბრუნებს დების მტრობით დაკარგულ ბედნიერების – მეუღლესა და ოქროს ქოჩრიან ვაჟს. თუმცა ქალის როლი ზღაპრებში მუდამ მიმზიდველი და წარმატებული არ არის. შემდგომი პერიოდის ჯადოსნურ ზღაპრებში ის უკვე დამარცხებული კაციჭამია კუდიანი დედაბერია, ან – საკუთარი ბიჭების გადამყლაპავი დედა; ასევე მოძალადეა ყველა სულიერი არსების, განსაკუთრებით კი საკუთარი ძმის, მტერი – ახალშობილი გოგო. ამ ტიპის ზღაპრების დასასრულს კი ეს სამივე თაობის წარმომადგენელი ქალები ეწირებიან თავიანთ დაუნდობლობას.

ზღაპრის გმირი გენეტიკურად ღვთაებაა (ჩოლოყაშვილი 2004: 107) და არის რა ის აგებული დაპირისპირებულ ძალთა ჭიდილზე, მასში მუდამ მისი შემქმნელი საზოგადოების ეპოქისათვის შესაბამისი რწმენისა და იდეალის მატარებელი ღვთაებრივი წარმოშობის გმირი იმარჯვებს, მისი მეტოქე კი მარცხდება. ასეა ამ სამივე ტიპის ზღაპრებშიც, სადაც ავი დედაბერიც, შვილების გადამჭმელი დედაც და ახალშობილი გოგოც ვაჟთან დაპირისპირებისას მარცხდებიან და იღუპებიან. ეს აგრესიული ქალებიც, მართალია, ღვთაებრივი წარმოშობისაღნი არიან, მაგრამ უკვე ვადა გასულნი და ძალაუფლების შესაწარმუნებლად ვაჟთან დაპირისპირებისას ყოველგვარ ბოროტებაზე წამსვლელნი. დედაბრის ღვთაებრივ წარმოშობაზე მინიშნებაც არის ტერმინ „დედაბერში“, სადაც „ბერი“ ღვთაებას ნიშნავს (ონიანი 1969, ბრეგაძე 2004: 248). ი. სურგულაძის მიხედვითაც ბერს სოციალურთან ერთად შემორჩენილი აქვს რელიგიური ასპექტი (სურგულაძე 1981: 117).

ამ უძველეს ზღაპრებში დედაბერიც, დედაც და გოგოც მუდამ ვაჟს ემტერება და სასიკვდილოდ იმეტებს, თუმცა, საბოლოოდ სასურველ მიზანს ვერ აღწევს და სხვისთვის ავის მსურველნი თავად იღუპებიან. დედაბერი, როგორც ქალღვთაება, რომ უკვე ვადაგაცულია, ამაზე მისი ასაკიც მეტყველებს. ე.ი. ის ამ ტიპის ზღაპრის შექმნის პერიოდისათვის უკვე საზოგადოებისათვის მიუღებელია, დრომოჭმული და ამდენად – შესაცვლელი; დედაც, როგორც უკვე ძალადაკარგული ქალღვთაება, ამგვარი სისასტიკით ცდილობს ძალაუფლების შენარჩუნებას; ახალშობილი გოგოს მოძალადედ წარმოჩენა და ვაჟთან დაპირისპირებისას მისი დაღუპვა კი იმაზე მიანიშნებს, რომ ქალღვთაება უკვე ასეთად

იბადება – ყველა ცოცხალი არსების გადამჭმელი. სწორედ ამიტომ მარცხდებიან სამივენი ახალგაზრდა ვაჟთან – მომავლის ღვთაებასთან შეჭიდებისას. ე.ი. ისინი როგორც ვადაგასულნი უკვე გარდასახვას საჭიროებენ. შესაბამისად, ამ ტიპის ზღაპრების შექმნის პერიოდისათვის ქალღვთაების განმასახიერებელ პერსონაჟებს, განურჩევლად მათი ასაკისა, საზოგადოება უკვე მიუღებლად თვლიდა.

ამდენად, ზღაპრები, სადაც ქალები მუდამ ვაჟთან დაპირისპირებისას მარცხდებიან, იმაზე მიგვანიშნებს, რომ სამყაროს გამგებლის ადგილი საზოგადოებამ ამიერიდან უკვე ვაჟღვთაებას მიაკუთვნა. იმ ზღაპრებში, რომლებშიც ვაჟის სასიკვდილოდ გამმეტებული მოძალადე დედაბერი, მშობელი დედა, თუ დაბადებისთანავე ყოველი ცოცხალი არსების გადამჭმელი ახალშობილი გოგო მარცხდება, ნათელია, რომ ქალღვთაება ზღაპრის მთქმელისთვის უკვე მიუღებელია. ე.ი. საბოლოოდ მიზანმიუღწეველ ქალღვთაებათა ამგვარი ბუნებით წარმოჩენა და ზღაპრის ფინალში მათი ვაჟთან სასტიკად დამარცხება და დაღუპვა იმაზე მეტყველებს, რომ ხალხი უკვე განუდგა ქალღვთაებას და ის ვაჟი ღვთაების მხარეს არის.

ეს დრომოჭმული – კაციჭამია, უფრო სწორედ, ვაჟების მჭამელი დედაბერი ვიზუალურადაც საშინელია – ღრჯოლებიანი და კუდიანი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მას ქვესკნელურ ბნელ ძალებთან კავშირი არ გაუწყვეტია. ე.ი. შუა სკნელის ბინადარ ამ ღრჯოლებიან ქალს, მხოლოდ ქვესკნელის არსებათათვის ნიშანდობლივი კუდი აქვს შემორჩენილი, ღვთაებრივი ძალმოსილებისათვის აუცილებელ ციურ სამყაროსთან კი მას აღარაფერი აკავშირებს. შესაბამისად, მიუხედავად თავისი წარმოშობისა, ის ვედარ ფლობს ღვთაებრივ სრულყოფილებას. ამ ზღაპრებში ის უკვე ბოროტ ძალად არის წარმორჩენილი და მარცხდება კიდევ. შემზარავი გარეგნობის გარდა ყოფაშიც მიუღებელია მისი ქმედებები, როცა ხან ქვევრზე, ხან კი ცოცხზე გადამხდარი დაფრინავს. ყოველივე ამით უკვე ნათლად არის მინიშნება საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულებაზე ამ ქალღვთაების მიმართ და ხაზგასმია მისი შეცვლისა და დავიწყების აუცილებლობაზე. ამიტომაც ზღაპარში მათი მძლეველიც გამოჩნდა, რომელთან დაპირისპირებისას იღუპებიან კიდევ. ქალის დამმარცხებელი მუდამ ახალგაზრდა ვაჟია, ე.ი. განახლებული ენერგიით აღვსილი და სამყაროსათვის სიკეთის მომნიჭებელი.

ზღაპარში „ცხრა ძმა“ აკვნიდან წამომდგარი გოგოს მძლეველი ვაჟი მისივე ძმა – თავისავე მშობლების შვილი. ე.ი. ამ გაუმაძღარ – ღვთაებრივი წარმოშობის არსებას თავისივე ოჯახის წევრი, – გენეტიკურად ისიც ღვთაებრივი წარმომავლობისა ენაცვლება. ამ გოგოს დამარცხება იმ აუცილებლობით იყო განპირობებული, რომ მის აგრესიულობას საზღვარი არ ჰქონდა: იყო რა ყველა სულიერის – საქონლის, სოფლის მთელი მოსახლეობის შემჭმელი, საკუთარი მშობლებისა და რვა ძმის ჩათვლით. ბოლოს ის თავის მეცხრე ძმასაც გამოუდგა შესაჭმელად. ამ საბოლოო დაპირისპირებისას ის უკვე სასტიკად დამარცხდა და დაიღუპა. ძმამ კი ამ გამარჯვებას მას შემდეგ მიაღწია, რაც თავის კაციჭამია დას ალვის ორ ხეზე ასვლის შემდეგ მესამეზეც აასწრო. გამწარებულმა გოგომ კი ორი ხის ძირის გადაღრღნის შემდეგ მესამეს ვედარაფერი მოუხერხა და, ამგვარად, საბოლოოდ დამარცხდა. ხე ღვთის სამყოფელია, მსგავსად – მთისა, კოშკისა, ტაძრისა... და მასზე ასვლით ვაჟმა საბოლოოდ დაიმკვიდრა იქ ადგილი. მესამე ხის ძირის ვერ გადამღრღნელ გოგოს კი ამის ძალა აღარ აღმოაჩნდა. ე.ი. ამ მინიშნებით ნათელია, რომ სამყაროში ქალღვთაებას ვაჟი ღვთაება ჩაენაცვლა. თუმცა გოგოც მთლად უძლური რომ არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ მან ორი ალვის ხის გადაღრღნა მოახერხა. ე.ი. ვაჟმა სამყაროს სამივე სფერო გაითავისა, გოგომ კი მესამე დაბრკოლება ვედარ დაძლია და დამარცხდა კიდევ. თუმცა ზღაპარი აქ არ თავდება. მასში საბოლოოდ გამარჯვება მხოლოდ მეტოქის სიკვდილის შემდეგ მიიღწევა. ამჯერადაც ასე მოხდა, ხეზე მყოფმა ბიჭმა დაბლა ჩამოგზავნა თავის ჯიბეში მსხდომი დამეგობრებული ორი პატარა დევი და სწორედ მათ მოუღეს საბოლოოდ ბოლო კაციჭამია გოგოს (ვირსალაძე 1958: 59-63). ე.ი. ალვის ხეზე ცამდე ასულ ვაჟს ქვესკნელის არსებებიც (პატარა დევები) თან ახლდნენ. ამდენად, ამ სამ

აღვის ხეზე ასვლით, ცასა და ქვესკნელთან მჭიდრო კავშირით ის სამივე სკნელის – მთელი სამყაროს გამგებელი ხდება. მისმა დამ კი ორი აღვის ხის წაქცევის – ე.ი. ორი სკნელის გათავისების შემდეგ მესამე სკნელი ვეღარ დაძრია და, შესაბამისად, მთელ სამყაროზე ბატონობის შესაძლებლობა დაკარგა. თავის დროზე ისიც რომ ღვთაებრივი წარმომავლობის არსება იყო, ამაზე აღრინდელი სიძლიერის გარდა მისი ერთი წვეთი სისხლიც მეტყველებს, რომელიც ვაჟს დის დაღუპვის შემდეგ შენახული ჰქონდა და საჭიროების შემთხვევაში მუდამ ხელს უმართავდა. ე.ი. ვაჟმა საკუთარი დის – თავისი წინამორბედი ღვთაების დამარცხებით მისი ძალმოსილებაც გაითავისა და მის მეტამორფოზულ სახესხვაობად მოგვევლინა.

ამავე ტიპის ზღაპარში «სამი ძმა და მათი და» „სამ ძმას ერთი და და ურიცხვი ხარი და ძროხა ჰყავდათ. «ის და გამხეცებული ვინმე იყო, მუდამ ტყეში ცხოვრობდა. მიეჩვია ძმების ჯოგს. ყოველ დამე ჯოგში საუკეთესოს ირჩევდა, ტანს ჭამდა, თავს კი სადღაც შორს გადააგდებდა ხოლმე ... ის აღქაჯი დაერია ჯოგს, ყველას მოერია ... ძმა მივიდა შინ და ნახა, რომ მის მხეც დას ჯერ ჯოგი შეუჭამია და მერე – ძმები. ძმების თავები ხელში აქვს სათამაშოდ...” მესამე ძმასაც გამოუდგა, რომელსაც თავგმა «მისცა ერთი სალესი, სამი თითისტარი» და უთხრა: შენი და როდესაც დაგეწიოს, ეს სალესი მიწას დაარტყი და უშველებელი კლდე გაჩნდება. მას ვერაფერი უძლებს და გახვრეტს. როდესაც გეწოდეს, ერთი თითისტარი მიწას დაარტყე, ის აღვის ხედ იქცევა და იმაზე ადი. ის ხის ხვრას დაიწყებს, როცა წაქცევაზე მიიყვანს, მეორე თითისტარი ჩამოაგდე, მერე – მესამე“. და გაეკიდა ძმას, რომელიც უკვე მესამე აღვის ხეზე იჯდა... ბოლოს ეცნენ მწევრები მხეც ქალს. იმდენი სისხლი დაიდვარა მისი გვამისაგან, რომ იქაურობა აავსო“ (ლლონტი 1964: 136-141). ე.ი. კაციჭამია გოგოს საბოლოოდ ყოველთვის იღუპება, თუმცა მას ძმა თვითონ არ კლავს.

კაციჭამია გოგოსთან დაკავშირებულ ამ ჯადოსნურ ზღაპრებში, როგორც ვხედავთ, არსებითი მნიშვნელობა ენიჭებისაა ხის როლი, რომელიც საერთოდ ზღაპარში ღერძის ფუნქციას ასრულებს (ჩოლოყაშვილი 2004: 48). ასევეა მითშიც, არის რა სამყაროს ცენტრში აღმართული და მის სამივე სკნელსაც აერთიანებს და – მის ოთხივე მხარესაც. გოგოს თუ ღვთის სამყოფელზე – ხეზე აასწრო ვაჟმა, ტყის ბინადარს, ე.ი. „იმქვეყნიურ“ არსება – კუდიან დედაბერს უკვე ვაშლის ხიდან ძალის გამოყენებით ჩამოჰყავს ბიჭი. ის ტყეში თავის ქოხში, ე.ი. „იმ“ ქვეყანას, მიჰყავს, რომ მოხარმოს და შეჭამოს. ზღაპარშიც «კუდიანი დედაბერი და ოქროს თმიანი ბიჭი» დედაბერი სასტიკია, დაუნდობელი და ყველანაირად ცდილობს ბიჭის დაღუპვას: გზაზე მიმავალმა ბავშვმა ვაშლით დახუნძლული ხე დაინახა, აძვრა ზედ და დაიწყო ვაშლის ჭამა. «სად იყო და სად არა, იქვე გაჩნდა მოკუზული კუდიანი დედაბერი». ის ბიჭს ფეხში სწვდა, ძირს ჩამოიყვანა, ჩასვა გულში და «კუნკულით შინისაკენ გაარბენია». გზაზე, როცა დედაბერმა გუდა მოიხსნა და გვერდზე გავიდა, ბიჭი ამოძვრა გულიდან ... ისევ ვაშლის ხეზე ავიდა. დედაბერმა ისევ ჩამოიყვანა და გულით მიიყვანა შინ. რძალს დაუბარა: – ეგ ბიჭი დაკალი და სადილად მოხარმეო. ბიჭმა მოახერხა, რძალს დაუსხლტა და ჭერში აძვრა. დაბრუნებული დედაბერი როცა მიხვდა, რაც მოხდა, თავადაც შეეცადა იქ აძრომას, მაგრამ ამ მცდელობისას გახურებულ თონეში ჩავარდა და ჩაიფერფლა. (დავითური...2012: 74-76). ე.ი. ორჯერ ხეზე ნამყოფი ბიჭი მესამე ცდაზე ჭერზე ასვლით აღწევს თავს გასაჭირს და მოიპოვებს საბოლოო და ამდენაბ უკვე ღვთაებრივ ძალმოსილებას. ე.ი. კუდიანი დედაბერი ცდილობს მეტამორფოზის ძალით თავად გარდაისახოს ამ ბავშვად და ტყის ქოხის ბინადარი უკვე ხეზე – ღვთის სამყოფელზე თვითონ დამკვიდრეს. ამგვარად, დედაბერი ამორებს რა ბიჭს ხეს, ცდილობს მისი შეჭმით თავად აღივსოს იმ ღვთაებრივი სიკეთით, რასაც ვაჟი ხეზე ყოფნით უზიარა. ამგვარად, ის იბრძვის განიახლოს ღვთაებრივი ბუნება და სამყაროზე აღრინდელი ძალაუფლება მარადიულად შეინარჩუნოს. თუმცა ბიჭის დაღუპვის მსურველმა ეს ვეღარ შეძლო და ამ ავ ზრახვას თავად ემსხვერპლა.

ზღაპარში «ორი მონადირე» (ვირსალაძე 1958: 178 -187) კი ისევ ტყის ბინადარი – „იმქვეყნიური“ კუდიანი დედაბერი ვაშლით, მზის სიმბოლოთი, გაჩენილ ძმებს დაუპირის-

პირდა. ერთ მათგანს – სანადიროდ წასულ ხელმწიფის სიძეს ის ირმის სახით ტყეში გამოეცხადა და თავისთან მიიტყუა. იქ კი ნარდის თამაშისას ვაჟს ნიძლავი მოუგა და გააქვავა, რათა ის მიცვალებულთა სამყაროში ჩაეტოვაბინა, ცოცხალთა სამეფოს გამგებლობა კი თავად სურდა მარადიულად. თუმცა ეს დამარცხებული მონადირე ორსახოვანი იყო, მას ძმა ჰყავდა. ის უბედურების მომასწავებელი ნიშნის ნახვისთანავე გაუყვა ძმის კვალს და ტყეში მიაგნო ამ კაციჭამია დედაბერს. ნარდის თამაშისას უკვე მან მოუგო დედაბერს ნიძლავი და მისივე ჯადოსნური წკეპლით ძმა გააცოცხლა (სხვა ვარიანტის მიხედვით გაუჭრა დედაბერს მუცელი და იმის მუცლიდან უვნებლადაც გამოიყვანილი გადაყლაპული ძმა). რასაკვირველია, საბოლოოდ ზღაპარი სხვისთვის ავის მსურველის გამარჯვებით არ გათავდება და ამის შემდეგ ძმამ დედაბერი სიცოცხლესაც გამოასალმა. „ამ“ ქვეყანას დაბრუნებულ – გაცოცხლებულ სიძეს კი ხელმწიფემ თავისი ტახტი უბოძა და ვაჟი გამეფდა. ეს უკვე ღვთაებრივ ძალმოსილებას ნაზიარები გმირის ხელახლა შობაა, გარდასახვა მისი – მეტამოროზა, ფერმეცვლილი სახითა და შესაძლებლობებით ადვსილის სამყაროს გამგებლად დაბადება. ე.ი. აქაც ადრინდელ ქალღვთაებას ვაჟღვთაება ჩაენაცვლა და ახლა უკვე მან ჩაიბარა სამყაროს გამგებლობა. ამგვარად, ქალღვთაებამ ვაჟღვთაებად განიცადა მეტამორფოზა.

როგორც ამ ზღაპრების განხილვისასაც ვნახეთ, გმირთა ურთიერთ დაპირისპირებისას მხოლოდ მეტოქის დამარცხება არ არის საკმარისი, ის აუცილებლად უნდა მოკვდეს კიდევ. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ზღაპარში, მსგავსად მითისა, ღვთაებრივი წარმოშობის მეტოქეთა თანაცხოვრება გამორიცხულია. ე.ი. მათგან მხოლოდ ერთი უნდა შემორჩეს სამყაროს. მეტიც, ამ უძველესი ზღაპრების მოძალადედ ქცეული კუდიანი დედაბრისთვის მეტოქის მოკვლაც კი არ არის საკმარისი, ის ვაჟს ჭამს კიდევ ან უშედეგოდ ცდილობს მის შეჭმას. მიუხედავად იმისა, რომ მეტამორფოზის ძალით ღვთაებრივი წარმოშობის გმირის მკვლელი მოკლულის ძალმოსილებით ისედაც ძლიერდება, ამ მიზნით მეტოქის შეჭმა იმ უძველეს პერიოდში, როგორც ჩანს, უფრო საიმედოდ ითვლებოდა.

ბიჭს სასიკვდილოდ საკუთარი დედაც იმეტებს და გაჩენისთანავე ყლაპავს. ზევსის დაბადების მითთან დაკავშირებით საუბრისას მ.ჩიქოვანი ყურადღებას ამახვილებს ქართულ ზღაპრებში არსებულ დედაბრის მიერ ახალშობილი ბიჭების შეჭმის მოტივზე (ჩიქოვანი 1971: 11-17) და თვლის, რომ შვილის შეჭმის მოტივი უცხო არ არის ქართული ფოლკლორისთვისაც. ის ამ საკითხთან დაკავშირებით სათანადო ზღაპრებსაც იმორჩმებს. მაგალითად: ზღაპარში „გენჯე – შვილების მყლაპავი“ ქალი ქორწილში დაერია მაცრებს და ყლაპავდა; მეზობლის შვილებსაც არ ინდობდა და საკუთარ შვილებსაც შობდა თუ არა, მაშინვე ჭამდა. გამწარებულმა დედამთილმა ბოლოს რძალი მალა დააწვინა და ნაბადზე დაბლა ჩამოგორებული ჩვილი ასე გადაარჩინა. მთაზე გადამალულ ბავშვს კი ირემი აწოვებდა ძუძუს. შემდეგ ქალმა უკვე სახლში დაბრუნებული სწრაფად გაზრდილი ბიჭის შეჭმა მოინდომა, მაგრამ დავაჟკაცებულს ვედარაფერი დააკლო (ძიძიგური 1956: 271). ზღაპარში „ალავგანი“ კი ალავგანმა დევის ქალი შეირთო. კაცი გააფრთხილეს, რომ ქალი მოლოგინებისას ლებიშის თავზე დააწვინე, თორემ შვილებს გადაყლაპავსო. მართლაც, ბავშვი რომ დაიბადა, ქალმა ვერ შეჭამა, რადგან მამას ჰყავდა დამალული. დედა დაეძებდა ბავშვს გადასაყლაპად, მაგრამ ვერ იპოვა. ახალმთვარეობამ რომ გადაიარა, ბავშვი უკვე გაზრდილი იყო და დევმა უკვე ვედარაფერი დააკლო (ჩიქოვანი 1971:15). სხვა სვანური ვარიანტის მიხედვით კი, კაცის ცოლს შვილი ეყოლა თუ არა, ბავშვი მაშინვე გადაყლაპა. ახალი ძეგობის ჟამს ქალი უკვე მეორე სართულზე დააწვინეს, იატაკს ფიცარი ახსნეს, ბავშვი გაჩენისთანავე ძირს ჩავარდა და დედას აღარ აჩვენეს. მამამ შორს წაიყვანა ბიჭი, კლდეზე შეაგდო და ღმერთს შესთხოვა მისი სიძლიერე. ბიჭი, მართლაც, უძლიერესი გაიზარდა. მამის ნების წინააღმდეგ ვაჟი მაინც შინ დაბრუნდა. დედამ მაშინვე გადაყლაპა, მაგრამ ელბათურს ცალი ხელი გარეთ დარჩა. ვაჟმა დედას წაუჭირა ყელში ხელი და ამოვიდა. ვაჟს ასეთი დედა რომ ჰყავდა, სხვებიც შეწუხებულები იყვნენ. იმანაც დაავლო ხელი დედამისს და წყალში გადააგდო (ჩიქოვანი 1971: 16).

სწორედ ამგვარი დაუნდობელი ფორმით არის გადმოცემული ჩვენს მიერ აქ განხილულ ზღაპარებში დაპირისპირებულ ძალთა ჭიდილი. ჯადოსნურ ზღაპარში ადამიანის სახის მქონე არსებებიდან, სწორედ, ეს ქალები – კუდიანი დედაბერი, მოძალადე დედა და ახალშობილი და არიან კაციჭამიები.

როგორც ვნახეთ, ახალი – გამარჯვებული გმირის დაბადება გარდუვალად იწვევს მისი მშობლის სიკვდილს. ე.ი. ერთი რომ იყოს, მეორე არ უნდა იყოს. თუმცა არის რაღვთაება უკვდავი, მისი დესაკრალიზებული სახე-სიმბოლო საბოლოოდ არ ქრება და ის განახლებული სახით, სახელითა და შესაძლებლობებით განაგრძობს სამყაროზე ზრუნვას. ამგვარად, შერკინება ზღაპის გმირთა შორის მუდამ ხდება ყავლგასული – საზოგადოებისათვის უკვე მიუღებელი ღვთაებრივი წარმომობისა და ახალი მრწამსის მქონე გმირებს შორის, სადაც, როგორც წესი, ახალი იდეის მატარებელი იმარჯვებს და ენაცვლება წინამორბედს.

ზღაპარი, საერთოდ, ურთიერთ დაპირისპირებულ ძალთა ჭიდილის გარეშე არ არსებობს. ეს მეტოქენი არიან რა ერთმანეთის მეტამორფოზული სახესხვაობანი ერთდროულად მხოლოდ ერთმანეთთან შეხების მომენტში – ერთმანეთად ფერისცვალების მომენტში ჩანან, ე.ი. – ძველი მრწამსის დამცველის განახლებული იდეის მატარებელ გმირად გარდასახვის მომენტში, რამეთუ, ერთი რომ იყოს, მეორე არ უნდა იყოს.

აქ განხილული ზღაპრების მიხედვით, მოძალადე ქვეული ქალღვთაება მუდამ ახალგაზრდა ვაჟთან დაპირისპირებისას მარცხდება. ამდენად, ეს ზღაპრები იმ პერიოშია შექმნილი, როცა ხალხს ქალღვთაებისა აღარც სიკეთისა სწამდა და აღარც მისი ძლევა მოსილებსა სჯეროდა. ე.ი. ზღაპარში ქალღვთაებაზე ვაჟის გამარჯვებით ნაჩვენებია, რომ მატრიარქატის ეპოქა დასრულდა და საზოგადოებამ სამყაროს მფარველად უკვე ვაჟი ღვთაება აღიარა. ამგვარად, ამ ტიპის ზღაპრები იმ პერიოდშია შექმნილი, როდესაც კაცობრიობამ მატრიარქატიდან შეაბიჯა პატრიარქატის ეპოქაში. საზოგადოებისათვის ამ რთული და მტკივნეული პროცესის გადმოცემისას ზღაპარს მაინც საზეიმო ელფერი ახლავს, რამეთუ გამარჯვება ახალი მრწამსის მომტანს დარჩა. გამარჯვებული კი ყველას უყვარს და ამიტომაც ის მუდამ დახატულია როგორც ყოველგვარი სიკეთით შემკული არსება – საპირისპიროდ დამარცხების სიმბოლოსაგან.

ლიტერატურა:

1. ბრეგაძე 2004: ნ.ბრეგაძე, საქართველო – მიწათმოქმედების დამოუკიდებელი კერა, თბ.: «სამშობლო», 2004.
2. დავითური ...2012: დავითური ლ., ხეცურიანი ი. (შემდგენლები), რჩეული ქართული ზღაპრები, თბ.: „გამომცემლობა თბილისის სიახლენი“, 2012.
3. ვირსალაძე 1958: ვირსალაძე ელ. (შემდგენელი), რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, თბ.: «სახელგამი», 1958.
4. ონიანი 1969: ჯ.ონიანი, ქართველთა უძველესი სარწმუნეობის ისტორიიდან (სვანური მურყვამობა-კვირიაობა), საკანდიდატო დისერტაცია, თბ.:1969.
5. სურგულაძე 1981: ი. სურგულაძე, არქაული ელემენტები ქართულ ხალხურ რელიგიურ დღესასწაულებში, მსე, XXI, 1981.
6. ღლონტი 1964: ღლონტი ალ. (შემდგენელი), ხალხური სიბრძნე, II, თბ.: „ნაკადული“, 1964.
7. ჩიქოვანი 1971: მ.ჩიქოვანი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თბ.: თსუ გამომცემლობა, 1971.
8. ჩოლოყაშვილი 2004: ჩოლოყაშვილი რ. უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში, თბ.: “ნეკერი”, 2004.
9. ძიძიგური 1956: ძიძიგური ქართული დიალექტოლოგიური ქრესტომათია ლექსიკონითურთ, 1956.

A DEFEATED DEITY IN A MAGICAL TALE

Abstract

The main character of the ancient magical tales is a woman, who genetically embodies the sun deity and is three-faced like her opposing sisters. Only by visiting the three underworlds she regains the happiness, queen status, and her golden-hued children who she lost thanks to them.

In the magical tales of the next period, the female role is no longer attractive and successful, although even there they are of divine origin. Here they have already become cannibals. In one type of fairy tales, the woman is already old (dedaberi), and in the other, a newborn girl. The divine origin of deda beri is also hinted at in its name, because the term beri, or “monk” in Georgian language, means deity. (J. Oniani, N. Bregadze).

In these fairy tales, woman always attack young man and attack them to death, however, in the end they do not achieve the desired goal and those who wish harm to others die themselves. The age of a woman also speaks of the necessity of defeating her – she is already a deity who has run out of time and expired.

i.e. She has become unacceptable to the society, her age is over. That is why the teller of the tale, when confronting her son, already considered her to be defeated and accordingly replaced her with a god. In a fairy tale with a different story from the same period, a newborn girl is brought up as a bully and cannibal. She does not let any living creature – neither cattle nor man, including family members, go uneaten. However, in the end, she also fails and dies in the confrontation with her son – her own brother. Thus, this story points to the same problem – the goddess, in the eyes of the society, has already reached her limit and she is dangerous for the world just after her birth, therefore, she is already unacceptable for the society. i.e. The fairy tale with this story indicates that the goddess has passed away and her place belongs to the male deity from now on.

Thus, a fairy tale, whose hero is genetically a deity, always expresses the spirit of its era. Accordingly, in it, the hero who carries the beliefs of the society that created him wins, and the one who rejects them dies.

Keywords: Georgian language, Accordingly, genetically, However.

მერაბ ჩუხუა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
კავკასიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი,
პროფესორი
თბილისი, საქართველო

ჰარმონიულ-დეცენიურ კომპლექსთა ისტორიისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში

რეკონსტრუირებული პალეოკავკასიური ფუძე-ენის ფონოლოგიური სისტემა აჩვენებს, რომ სავარაუდო პარადიგმა იმთავითვე რთული შედგენილობისა უნდა ყოფილიყო. განსაკუთრებით ეს ეხება კონსონანტიზმს. თანხმოვანთა დენტალურ რიგში, აგრეთვე სიბილანტებში (სისინა / შიშინა), ფუნქციონირებდა ოპოზიცია ინტენსიური ~ არაინტენსიური თ ~ *თა, ც ~ ცა, ჩ ~ ჩა. რა გვადლევს ამგვარად მსჯელობის საფუძველს? – უპირველეს ყოვლისა, ბგერათმესატყვისობათა ჩვენება დადასტურებული იბერიულ-კავკასიურ ენათა სხვადასხვა ჯგუფებს შორის.

იბერიულ-კავკასიურ ენებში შემონახულ სიბილანტ თანხმოვანთა განსაკუთრებული მრავალფეროვნება მოზაიკურად ასახავს პალეოკავკასიური ფუძეენის რთულ ფონოლოგიურ სისტემას. ისტორიულად ამ ტიპის თანხმოვნებში დასაშვები ჩანს რელევანტური კორელაცია თანხმოვანთა ველარიზაციის მიხედვით როგორც სისინა **ძ ც წ ზ ს ~ ძ ც წ ზ ს**, ისე შიშინა **ჯ ჩ ქ (ჟ) შ ~ ჯ ჩ ქ (ჟ) შ** სიბილანტებში. სისინ-შიშინა სიბილანტებში ველარიზაციის არსებობას ვერ დავუშვებთ, სათანადო ენობრივი მასალის უქონლობის გამო.

ნახურ-სინდურ-დაღესტნურ-ქართველურ ბგერათმესატყვისობათა სისტემაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს კანონზომიერი ფონემური მიმართებანი უკვე თანხმოვანკომპლექსთა დონეზე. ძირითადად, ასეთი თანხმოვნური ჯგუფები შემდგომ სეგმენტაციას არ ექვემდებარება და ფუძეენური წარმომავლობისა ჩანს, მაგრამ აქვე, ზოგან, ნათლად წარმოჩნდება ამა თუ იმ ფუძეენაში პოზიტიურ ჰარმონიულ-დეცესიურ კომპლექსთა წარმომავლობის მეორეული ხასიათი, და ეს უფრო ხშირად რელევიციის მომდევნო საფეხურზე მათი მიღების გზებითაა რეალიზებული; თანაც აღსანიშნავია, რომ ამგვარი მოვლენები მეტადრე ჰარმონიულ-დეცესიურ კომპლექსთა A ტიპის ჯგუფებში დასტურდება.

ს. - ქართვ. **ბღ** ~ ს.-ნახ. **ბჭ** ~ ს. - სინდ. **ბღ** ~ ს.-დაღ. **ბVჭ/ბVგ**

(1) ს.-ქართვ. ***ბღარ**- „ბავშვი, ბაია“, (ქართ. ბღარ-, ბღარ-ი „ყრმაშვილი“ (ჩუბი-ნაშვილი), იმ., ქიზ., „ბავშვი, ბალდი“, სვან. ბღარ „ბალდი“) : ს.-სინდ. ***ბღუჭ**- (უბ. ბღ-გ „ახალი“) : ს.-დაღ. ***ბაჭარ**- „ახალგაზრდა, ჯეელი“ (ხუნდ. ბაჭარ-ა-ბ „ახალი, ახალგაზრდა“, ბოთლ. ბაჭარ-ა, ღოდ. ბაჭარ-ა „ახალგაზრდა; ჯეელი“)

(2) ს.-ქართვ. ***ბღუჭ**- „ბუ“ (ქართ. ბუ /ბუვ-ი, ზან. (ლაზ.) ბღუ /მღუ, მეგრ. ღუ „ბუ“, სვან. ღუჭ „ბუ“) : ს.-ნახ. ***ბჭოჭ** „ბუ“ (ინგუშ. ბჭოჭ „ბუ“) : ს.-სინდ. ***ბჭ**- „არწივი; ძერა“ (ად. ბღ „ძერა; ქორი“, ბღ-ზ „არწივი“, ყაბ. ბღ „არწივი“, უბ. ბღ-ჯ „არწივი“) : ს.-დაღ. ***ბიჭუ** „ბუ“ (ანდ. ბიღუ „ბუ“, ღოდ. ბოჭუ, ჭამ. ბუჭუ „ბუ“, ხვარშ. ბუჭუ „ბუ“, ად. ბუჭუ „ბუ“, შდრ. ბურშ. -ბუჭ სიტყვაში ქუქა-ბუჭ „ჭოტი“)

(3) ს. - ქართვ. ***ბღაჭ**- „ბუდე, ორმო, ნაპრალი“ (ქართ. (ქსნ.) ბღავან-ი „ნატამალი, ძირი“, ზან. (ლაზ.) ო-ბღე „ბუდე“, სვან. ბღეჭ / ბღეფ / ბღე ← ***ბღეჭ** „ნაპრალი“) : ს.-ნახ. ***ბჭინ** „ბუდე“ (ინგ. ბჭი, ჩეჩნ. (ახ.) ბჭე „ბუდე“) : ს. - სინდ. ***ბღუჭ** „ბუდე“ (ად. ნა-ბღუჭ, ყაბ. ა-ბღუჭ-ა, უბიხ. ა-ბღა „ბუდე“) : ს.-დაღ. ***ბაგუჭ**-ან „ბუდე; ორმო“ (ტინდ. ბაგან, ღოდ. ბაგან „ბუდე; ორმო“, დარგ. (სირხ.) ბუგუ „ბუდე“)

ს. - ქართვ. **ფხ** ~ ს. - ნახ. **ფხ** ~ ს. - სინდ. **ფხ/ხჭ** ~ ს.-დაღ. **ფVხ**

(1) ს. - ქართვ. ***ფხალ**- „ცხრილი/ცხავის ძირი“ (ქართ. (ხევს.) **ფხალ**-ა „ცხრილის ან ცხავის არამტკიცედ დაწნული ძირი“) : ს. - ნახ. ***ფხო** „ძირი, ფსკერი“ (ინგუშ. ფხო „ძირი, ფსკერი“) : ს. - სინდ. ***ფხა** „ძირი, ქვედა ნაწილი“ (ად. ფხა „უკანა ნაწილი“, ყაბ. ფხა „ძირი; უკანა ნაწილი“, შდრ. ად. (ჭემგ.) ფხა-ჩ „ფსკერი“, უბ. ხა- ← ***ფხა** „ძირი, ქვედა ნაწილი“) : ს.-დაღ. ***ბჳხჳრ**- „ძირი“ (ანდ. ბეხირ-, შდრ. ბეხირ-ყილ „ძირი“, ტინდ. ბეხი „ძირი, საფუძველი“, ღოდ. ბახუ, სიტყვაში ლადი-ბახუ „ქვედა ნაწილი“, დარგ. ხარ (← ***ფხარ**) „ძირი, ფსკერი“, ხარ-ჰილ „სადირკველი“)

(2) ს.-ქართვ. ***ფხუჭ**-ენ- „ფხვნა, ფხვნილი“ (ქართ. ფხვენ-/ფხვნ-, ფხვნ-ა, ფხვნ-ილ-ი, ნა-ფხვენ-ი „ნალექთ (ნაფშვენეტის) უმცირესი ნაწილი“ (საბა)) : ს.-სინდ. ***ფახუჭ**-ა (ად. ფახ, ყაბ. ბახ „ორთქლი“) : ს.-დაღ. ***ფახუჭ**- „მტვერი; ორთქლი“ (ბეჟ. ფახ „მტვერი“, ჰუნზ. ფგხ „მტვერი; ორთქლი“, დარგ. ფჳჭ „მტვერი“)

(3) ს.-ქართვ. ***ფხა** „თევზის ფხა“ (ქართ. ფხა, ფხ-იერ-ი / ფხ-იან-ი, ზან. (ლაზ.) მხა „თევზის ძვალი“, მეგრ. ხა გველის ძვალი“, სვან. ფხა „თევზის ძვალი“) : ს.-ნახ. ***ფხა** „ძარღვი“ (ინგ. ფხა, ჩეჩნ. ფხა, წ.-თუშ. ფხა „ძარღვი“) : ს.-სინდ. ***ხუჭ** (ად. ხუჭ, ყაბ. ჰეჭ ←

*ხ^ატუგ, უბ. ხ^ა (← *ხ^ატა-) „ძარღვი“ : ს.-დად. *ფუგხ(ტ)ა „ძარღვი“ (დარგ. ფხა „ძარღვი“, არ-ჩ. ბუხ „ძარღვი“)

ს. - ქართვ. დღ ~ ს. - ნახ. დჰ/ღVღ ~ ს. - სინდ. დღ/ღVღ ~ ს. - დად. დღ/ღVღ

(1) ს.-ქართვ. *დღენ- „ვით თანდებული“ (ზან. (ლაზ.) დღენ „ვით თანდებული“, მეგრ. -დღან, ი-დღან-ო „იმასავით“) : ს.-სინდ. *დღჷ „როგორ“ (ადილ. თჷჷ-ფჷ „რამდენი“, უბიხ. დღჷ- „როგორ“) : ს.-დად. *ღჷღ- „ვით; როგორ“ (ხუნდ. -ა-ჷად „ვით“, ბეჟ. ნი-ღად „როგორ“)

(2) ს. - ქართვ. *დღე- „დღე“ (ქართ. დღე, ზან. დღალ-(ეფ- ე/ ი) „i d“, სვან. ლა- დღე „i d“, შდრ. ზან. გო- ღა ← *გო- დღა „გუშინ“, ზედმიწ. „გასული დღე“) : ს.-ნახ. *ღაღო „წვიმა“ (ჩეჩნ. დჷოღა, ინგუშ. დოღა / დოღაჷ, წ.-თუშ. {დაღო}) : ს. - სინდ. *ღღ- ჷ „მზე“ (ადილ. თღა, ყაბ. დღღა, უბიხ. ნღღა „მზე“, შდრ. ად. თღღჷას, ყაბ. დღღ- ჷასჷ „გუშინ“) : ს.-დად. *ღჷღჷღჷ „დღე; წვიმა“ (ბეჟ. ჷოღო, ინხ. დოღო, ჰუნზ. ჷღღღ „წვიმა; დღე; ცა“) ს. - ქართვ. *დღე- „დღე“ (ქართ. დღე, ზან. დღა / ნღღა , სვან. ლა- დღე „დღე“) : ს. - სინდ. *ღღღა „მზე“ (ად. თღღა, ყაბ. დღღა, უბ. ნღღა „მზე“)

(3) ს. - ქართვ. *ღღილ- „სიმსუქნე“ (ზან. (მეგრ.) ნღღილ- ინ- ი „უშნო სიმსუქნე“, სვან. დღილ- ჷა „მსუქანი (ქალი)“) : ს. - სინდ. *ღღღჷ „ქონი“ (ად. დღღღჷ, ყაბ. დღღჷ „ქონი“) : ს.-დად. *ღღღჷღჷ „კარაქი“ (ლეზგ. დჷღღღჷღჷ, რუთ. დადღღჷღჷ / დადღღჷღჷ „კარაქი“)

ს. - ქართვ. თხ ~ ს. - ნახ. თხ ~ ს. - სინდ. თხ

(1) ს. - ქართვ. *თხამ- „თხმელა“ (ქართ. თხემლა / თხმელა, ზან. თხომუ / ნთხომუ / თხუმუ „თხმელა“) : ს. - სინდ. *თხჷა „ჭადარი“ (ად. თჷჷა- დჷ (← *თხ^ა- დჷ), ყაბ. თხჷეღ, „ჭადარი“)

(2) ს. - ქართვ. *ღითხ- ელ- „თხელი“ (ქართ. თხ- ელ- ი, ზან. (ლაზ.) თითხუ / თუთხუ, მეგრ. თხითხუ , სვან. დღთხელ „თხელი“) : ს. - ნახ. *ნეთხ- ინ „თხელი“ (წ.-თუშ. ნეთხ- ინ „თხელი“) : ს. - სინდ. *თხჷ „თხელი“ (უბ. თხა „თხელი“)

(3) ს. - ქართვ. *თხეჷ- „სითხის დენა, თხევა“ (ქართ. სი-თხ-ე, თხეჷ- ა, ზან. (მეგრ.) თხ- აფ- /ნთხ- აფ- ა „რწყევა“, სვან. თხუ- ნ (← *თხეჷ- ნ) „პირდებინება“) : ს.-ნახ. *თხ- „ტირილი“ (წ. - თუშ. თხ- „ტირილი“, თხ- უშ „მტირალი“) : ს. - სინდ. *თხჷჷ „თხევა, ღვრა“ (ად. ფსგ- თხჷღ, ყაბ. ფსგ- თხჷ „ნიაღვარი“)

ს. - ქართვ. ტყ ~ ს. - ნახ. ტყ ~ ს. - სინდ. ტყ ~ ს. - დად. ტყ

(1) ს. - ქართვ. *ტყუ- ბ- „ტყუპი, ორი ცალი“ (ქართ. ტყუბ- ი / ტყუპ- ი, ზან. (ლაზ.) ტკუბ- ი / ტუბ- ი, მეგრ. ტყუბ- ი, სვან. ტყუბ- / ტყჷბ- „ორი ცალი, ტყუპი“) : ს.-ნახ. *ტყო- „ოცი“ (ჩეჩნ. ტყა, ინგუშ. ტყო, წ.-თუშ. ტყა) : ს. - სინდ. *ტყჷ „ორი“ (ად. (ჰაკურ.) ტყჷღ, ყაბ. ტჷღ, უბ. ტყჷა „ორი“) : ს.-დად. *ღჷყჷ→/*ღჷო- „ოცი“ (ხუნდ. ყო-გო, ახ. ყედო-და, არჩ. ყა., უდ. ყა., ხინ. ყან)

(2) ს. - ქართვ. *ტყჷალ- „ტლაპო“ (ზან. (მეგრ.) ო- ნტყოლ- ეშ- ი „ტლაპო“, სვან. ტყჷალ „ლაფი, შლამი“) : ს. - სინდ. *ტყჷა „გუბე“ (აფხ. - ტყჷა სიტყვაში ა- ძღ- ტყჷა „გუბე“) : ს.-დად. *ტიყჷალ „ტალახი“ ად. (კომ.) ტაყჷ, კრიწ. ტიღელ „ტალახი“

(3) ს. - ქართვ. *ტყებ- „ველური, ტყიანი ადგილი“ (ზან. (მეგრ.) ტყაბ- ი „ტყიური, ველური“, სვან. ტყჷეფ „ყამირი ადგილები“) : ს. - სინდ. *ტყჷა „მთა“ (ად. (ჭემგ.) ტჷა- ჭ ← *ტყჷა- კ „მთათაშორისი ხეობა“, შდრ. ჭემგ. - კ „ხეობა“)

ზოგადი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ტიპოლოგიური თვალსაზრისით პროტოიბერიული ფუძეების ფონოლოგიური სისტემა ემსგავსება თანამედროვე ჩერ-

ქეზულ ენათა ფონემატურ ინვენტარს, რასაც, სხვათა შორის, დასახელებულ ენათა კონსონანტიზმის სინტაგმატური ანალიზიც მხარს უჭერს; მხედველობაში გვაქვს თხ, ტყ. . . (თვალსაჩინოებისთვის შდრ. : ს. - ქართვ. * ჩხართჷ- ← * ჩართხჷ- „ჩხართვი“ ~ ს. - ნახ. * ჩართხუ- „შურთნი“ ~ ს. - დად. * ცარლუ- „სინდიოფალა, თრიითინა“) ტიპის ბიფონემური, მაგრამ არასეგმენტირებადი ბგერათკომპლექსები, რომელთა სავარაუდოდ არსებობამაც საერთო-დადესტნურ ფუძენაში შესაბამისი, რთული შედგენილობის მეორეული ლატერალების გაჩენას შეუწყვეს ხელი. ამ კუთხით რელევანტური ხდება ს. - დად. ლ : ს. - ქართვ. **ტყ/ტკ** ბგერათშესატყვისობა, რომელიც რეგულარულ ხასიათს ატარებს, შდრ.:

- (1) ს. - ქართვ. * ბარტყ- „ბარტყი“ (ქართ. ბარტყ-ი „სირთ მართვე“ (საბა), ი-ბარტყ-ა „ბარტყი ქნა“ (საბა), სალიტ. „გამრავლდა, შვილი გააჩინა“) ~ ს. - დად. * ბარლ- „ახალგაზრდა; შვილი“ (ბეჟ. ბურლ- აჷ „ახალგაზრდა; მოზარდი შვილი“);
- (2) ს. - ქართვ. * ლერტყ- „ხორცის ძარღვიან-ლორწოვანი ნაწილი; ქონი“ (ქართ. ლერტყ-ი „ხორცის ძარღვიან-ლორწოვანი ნაწილი“, ლეჩხ. ლერტყ-ი „ქონი (რბილი)“, ზან. (მეგრ.) ლინტყ-, ლინტყ-ალ-ი „ძალზედ ქონიანი (ვინმე), უაზროდ მსუქანი“, ლინტყ-ინ-ი „მსუქნად, მეტად ქონიანად ყოფნა“, ო-ლინტყ-ინ-ან-ს „მეტად ქონიანად გამოიყურება“) ~ ს. - დად. * ლარლ- „ძვალი“ (ხუნდ. რალ-ა „ძვალი“, ანდ. როლ-ი, ახვ. რალ-ი, ბაგვ. რალ-ი, ბოთლ. რალ-ირ, კარ. რალ-ე, ტინდ. რალ-ი, ღოდ. რალ-ინ, ჭამ. ძალ-ილ „ძვალი“, ლაკ. თარკ „ძვალი“, დარგ. დერგ / დერდ „ძვალი“);
- (3) ს. - ქართვ. * ტყებ- „ცემა, ტყეპა“ (ქართ. ტყებ-ა / ტყებ-ა, ზან. (მეგრ.) რტყაპ-უ-ა „ტყეპა“) ~ ს. - დად. * ლაბ- „ცემა, რტყმა“ (ხუნდ. ლაბ-იზე „ცემა, რტყმა“);
- (4) ს. - ქართვ. * ტყარ- „ხმაური; კუილი; ფადარათი“ (ქართ. (ხევს.) ტყრ-იალ-ი „ტყაცანი; ჭეპა“, ფშ. ტყრ-ომ-ა „გრიალი; ჭეპა“, ზან. (ლაზ.) ტკორ-ინ-, მეგრ. ტყორ-ინ- „კუილი“, სვან. ტყერ-ნ-, ტყერ-ნ-ჰ-ე „მოფადარათე“, ნა-ტყერ-ნ-ელ-ჰ-ე „ნაფადარათევი“) ~ ს. - დად. * ლაჷარ- „კუილი“ (ხუნდ. ლა-ზე „კუილი“, ანდ. ლურ-, ლურდ-დუ ← * ლურ-დუ, ახვან. ლაჷერ-ორ-, ბაგვ. ლურ-ილა „კუილი“, ბეჟ. ლერდ-ალ „კუილი“);
- (5) ს. - ქართვ. * ტყაფრ- „ბრტყელი“ (სვან. ტყეფრ-ი „ბრტყელი“) ~ ს. - დად. * ლაპარ- „ბრტყელი“ (ხვარშ. ლაპარ-ა „ბრტყელი“);
- (6) ს. - ქართვ. * ტყილ- „ელენთა“ (ზან. (მეგრ.) ტყილ-ი „ელენთა“) ~ ს. - დად. * ლილ- „ღვიძლი“ (ხუნდ. ტულ ← * ლილჷ „ღვიძლი“, ად. ლეკ, ბუდ. ლეყ / ლაყ, თაბ. ლიკ, ლეზგ. ლეყ, რუთ. ლაყ „ღვიძლი“);
- (7) ს. - ქართვ. * ჩიტყორ- „ხვლიკი“ (ქართ. (თუშ.) შიტყორ-ი „ხვლიკი“) ~ ს. - დად. * ცერლ-უ „თრიითინა, სინდიოფალა“ (ხუნდ. ცალჷ „თრიითინა, სინდიოფალა“, ანდ. სარლჷ, კარ. სალჷ ტოკ. სარლჷ, ჭამ. სალჷ „სინდიოფალა, თრიითინა, წახ. სოქ „თრიითინა“); ხმოვნური ი/ა კორელაციის კუთხით საგულისხმოა ნახურის ვითარება, სადაც ჩეჩნ. შატყ-ა/ ინგუშ. შურტყ-ჰ „სინდიოფალა“ სწორედ იმავე ოპოზიციისგან გამოიყვანება.
- (8) ს. - ქართვ. * ტკებ- „ტკბილი“ (ქართ. ტკბ-ილ-ი, ტკბ-ობ-ა, ზან. (მეგრ.) ტკაბ-უ „ტკბილი“, გე-ტკაბ-ეს „ტკბილად მიირთვეს“) ~ ს. - დად. * ლეკ- „ტკბილეული“ (დიდ. ლეკელ-ი, ხვარშ. ლეკერ-უ, ჰინ. ლერეკ-, ბეჟ. ლერკ- „ტკბილი“)...

ჩვენეული მიდგომის მართებულობას, რომ არასეგმენტირებადი ბგერათკომპლექსები, რომელთა სავარაუდოდ არსებობამაც საერთო-დადესტნურ ფუძენაში შესაბამისი, რთული შედგენილობის მეორეული ლატერალების გაჩენას შეუწყვეს ხელი, მხარს უჭერს საერთოდადესტნური მკვეთრი არაინტენსიური ლ ლატერალ-აფრიკატის ასევე ბიფონემური თხ კანონზომიერი შესატყვისები სართოქართველურ და საერთონახურ ფუძენაში, რაც რეგულარულ ხასიათს ატარებს, შდრ.:

- (1) ს. - ქართვ. * დითხ-ელ- „თხელი“ (ქართ. თხელ-ი, ზან. თითხუ / თუთხუ / თხითხუ, სვან. დგთხელ) ~ ს. - დად. * რგლ-ენ- / * ლუნერ- „თხელი“ (ხუნდ. ტერენ-აბ, ახვ. =აღარ-

ა-და / =ატარ-ა-ბ, კარ. =ელარ-ა-ბ, ტინდ. =ერალ-ა-ბ, ღოდ. =ელერ-ა-...), შდრ. წ.-თუმ.
ნეთხ-ი^ნ „წვრილი; თხელი“;

(2) ს. - ქართვ. ***თხამ**- „თხემი“ (ქართ. თხემ- ი, სვან. თხუმ / თხტიმ „თავი“) ~ ს. - დად.
***ლამ**- „სახურავი“ (ხუნდ. ლომ, ახვ. ლამ-ი, ანდ. ლომ, კარ. ლამ-ე, ღოდ. ლამ, ბეჟ.
ლამ-ა, ჰუნზ. ლამ-ე „სახურავი“), შდრ. ვაინან. **თხოტ** „სახურავი“...

(3) ს.-ქართვ. ***თხეტ**- „მომორება“ (ქართ. და-**თხოვ**-ნ-ა „მომორება, მოცილება“, და-ი-**თხოვ**-ა
„გაუშვა, მოიშორა“, ზან. (მეგრ.) ღო-**თხინ**-აფ-ა „მომორება, მოცილება“, ი-**თხინ**-უ-ან-ს
„იშორებს“, ვადგ-მ-ა-**თხინ**-უ „ვერ მოვიშორე, ვერ მოვიცილე“) ~ ს. - დად. ***ლამ**- „ტყავი;
კანი“ (ახვ. ლამ- ი, კარ. (ტოკ.) ამ'-ი „კანი“), შდრ. ს.-სინდ. ***თხვ**- „გაძრობა, მოშორება, გა-
ტყავება“, ადიდ. **თხვ**-ნ, ყაბ. **თხვ**-ნ „გატყავება, გაძრობა, მოშორება (კანაფისა, სიმინდი-
სა...)“, ად. ღვ-**თხვ**-ნ „გაძრობინება, გაყვლეფინება“, რასაც საფუძვლად სახელური ძირი
ტყავი უნდა დასდებოდა...

ამდენად, ირკვევა, რომ პალეოკავკასიურ ფუძენაში ფუნქციონირებდა არასეგმენტი-
რებადი B ტიპის ჰარმონიულ-დეცესიური კომპლექსები, რომელთა ნაწილი დაღესტნურში
გახდა წყარო აფრიკატ-ლატერალებისათვის, მაშინ, როდესაც ქართველურ-ნახურ-
სინდური ჯგუფის ენებში მათ შეინარჩუნეს ამოსავალი ამათუიმ ტიპის კლასტერული
ბუნება და დღემდე თითქმის უცვლელად შემოგვრჩნენ.

Merab Chukhua

Tbilisi, Georgia

FOR THE HISTORY OF HARMONIC-DESCENDING COMPLEXES

Abstract

In the system of Nakhur-Sindhi-Daghestan-Georgian sound correspondences, regular phonemic relations occupy a special place already at the level of consonant complexes. Basically, such consonant groups are not subject to further segmentation and appear to be of root origin, but here, in some places, the secondary nature of the origin of harmonic-descending complexes found in this or that root language is clearly seen, and this is more often realized by the ways of receiving them at the next stage of reduction; Moreover, it is worth noting that such events are confirmed in type A groups of meta-harmonic-descending complexes.

S.-Georgian **Bgh** ~ S.-Nakh. **Bḡ** ~ S.-Sindh. **Bg** ~ S.-Dagh. **bVḡ/bVg**

(1) S.-Georgia. ***Bghar**- "child, baya", (Kart. bghar-, bghar-i "Krmashvili" (Chubinashvili), im., Kyz., "child, balghi", Svan. bghar "balghi"): S.- Sindh ***Bgh**- (district ბღ-ღ "new"): S.-Dagh. ***Baḡar**- "young, lad" (Khundz. baḡ-ar-a-b "new, young", Bot. baḡ-ar-a, Ghod. baḡ-ar-a "young; young")

აჯანყების ჩახშობის შემდეგ, მისმა მეთაურებმა ლევან ნაზლაიძემ და დეკანოზმა შიო ბურდულმა თავი შეაფარეს ჟამურის თემის ოსებს, რომელთა სოფლებიც რუსებმა გადაწვეს. ბურდული ლუღაში გადავიდა [თოგოშვილი 1969: 9].

ამ აჯანყების სისხლში ჩახშობის მიუხედავად, ოსები ქართველებთან ერთად მონაწილეობდნენ სხვა ანტიიმპერიულ გამოსვლებშიც, რომლებიც ამის შემდგომ პერიოდში მოხდა.

საიმპერიო ადმინისტრაციის მიერ ეპიდემიის აღკვეთის საბაბით განხორციელებული ანტიჰუმანური ღონისძიებების წინააღმდეგ, 1807 წელს დიდი ლიახვის ხეობაში მცხოვრებმა ქართველებმა და ოსებმა ერთობლივად გაილაშქრეს. იმავე წლის მარტში ლიახვისა და ლეხურის ხეობათა მკვიდრი ქართველები და ოსები ასევე ერთობლივად აჯანყდნენ.

ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში 1810 წლის ზაფხულიდან აქტიურად ჩაერთო ზემოხსენებული ლევან იულონის ძე ბაგრატიონი. იგი თავისი ბიძის, სპარსეთს განიზნული ალექსანდრეს (1770-1844) დავალებით, ახალციხეში მყოფი ლევანი 1810 წლის 26 ივნისს ჩავიდა შიდა ქართლის სოფელ კეხვში [ბაგრატ ბატონიშვილი 1941: 106] და სათავეში ჩაუდგა ანტიიმპერიულ აჯანყებას, რომელმაც ლიახვის ხეობაში იფეთქა და გავრცელდა ოსებში, მათ შორის ნარელებშიც.

27 ივნისს ლევანმა ასეთი შინაარსის წერილი მისწერა შიდა ქართლის ერთ-ერთ გავლენიან თავადებს – ფალავანდიშვილებს: „მე გუშინდლიდან ვიმყოფები კეხვში. ამ ხეობაში მცხოვრები მოსახლეობა მთლიანად შეგროვებულია. თავს იყრიან აგრეთვე, თავადები, აზნაურები, გლეხობა. მე გაცნობებთ, რომ თუ არ დაგვიწყებიათ სიკეთე და დამსახურება თქვენი მემკვიდრე ბატონის, ამ წუთშივე გვეახელით; ასეთ შემთხვევასა და დროს თქვენ ვერასოდეს ვეღარ იპოვით. ქვემო მხრიდან მოდის შაჰი დიდი ჯარით; ბატონიშვილი ალექსანდრე დღეს ან ხვალ მოვა 12000 ადამიანთან ერთად. იმერეთი ისე აღსდგა, რომ სადაც კი შეხვდნენ რუსებს, ერთიანად ამოჟლიტეს და დაამარცხეს ისინი. მთიელებიც ასევე აჯანყდნენ“ [Акты 1870: 111].

საქართველოს მთავარმმართველად დადგენილმა გენერალმა ტორმასოვმა 28 ივნისს თავის წარმომადგენელს ქართლში ახვერდოვს (იმავე ახვერდიანს) აცნობა, რომ როგორმე გამოეტყუებინა ლიახვის ხეობიდან ლევანი, რათა აჯანყების დაწყება თავიდან აეცილებინა. ამის უზრუნველსაყოფად მან ახვერდოვს გადაუგზავნა პეტერბურგში მყოფი იულონ ბატონიშვილის წერილის ასლი, რომელშიც იგი თავისი ვაჟის მასთან გაგზავნას ითხოვდა [Акты 1870: 111]. ამ ცდას შედეგი არ მოჰყოლია.

ლევანის მეთაურობით, ივლისში, მდინარე ლიახვის ხეობაში იფეთქა ოსთა სახალხო აჯანყებამ რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. ამას წინ უსწრებდა ახალციხეში თავშეფარებული მეფე სოლომონ II-ის შეჭრა იმერეთში და იქ დაწყებული სახალხო აჯანყების სათავეში მოქცევა.

ლიახვის ხეობაში დაწყებული აჯანყების ალი მალე ჯავის ჩრდილოეთით მდებარე ოსურ სოფლებსაც მოედო.

31 ივლისს ლევანმა 2000 ოსი ამბოხებულით დაიწყო შეტევა ცხინვალის ასაღებად, რაც ოთხ დღეს გრძელდებოდა. მათი დამარცხება და განდევნა მხოლოდ მტრის დამხმარედ მისულმა დამატებითმა სამხედრო ძალამ შეძლო. რუსებმა ოსური სოფლები დაარბიეს, გადაწვეს, ხოლო დატყვევებული ამბოხებულნი სასტიკად დასაჯეს.

ამის შემდეგ, ლევანი თავს აფარებდა შიდა ქართლის ქართულ და ოსურ სოფლებში. მისი ხელში ჩაგდება ოკუპანტებმა არაერთი მეთოდის გამოყენებით სცადეს. ამ მიზნით მათ გადაწყვიტეს გამოეყენებინათ ლევანის გამზრდელი მოძღვარი, ლევანოზი იოანე ქართველიშვილი და იულონ ბატონიშვილთან დაახლოებული დავით აბაზაძე, თუმცა უშედეგოდ.

ლევანი მასთან მიგზავნილ მოციქულებს მკაფიოდ უცხადებდა, რომ მას შემდეგ, რაც მამამისმა მტერთან ბრძოლაზე ხელი აიღო, მისი სახელი გაგონებაც არ სურდა და ასევე გაწყვეტდა კავშირს თავის ყველა ახლობელ-ნათესავთან, ვინც კი მას ოკუპანტებთან შერიგებას ურჩევდა [ბერძნიშვილი 1983: 76].

17 აგვისტოს ლევანი ჯავაში გადავიდა. იგი ბრძოლის შეწყვეტას არ აპირებდა და პროკლამაციებს ავრცელებდა როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ქართველ და ოს მოსახლეობაში, ასევე კავკასიონის ქედის გადაღმა მცხოვრებ თავაურულ და ქურთათელ ოსებში.

5 სექტემბერს, ახალქალაქთან მომხდარ ბრძოლაში რუსებმა სძლიეს ოსმალებს, ხოლო ხანისწყალთან გამართულ ათდღიან ბრძოლაში იმერთა მეფე სოლომონ II-ის ლაშქარიც დაამარცხეს. სოლომონმა თავი ისევ ახალციხეს შეაფარა. ამის შემდეგ, ოკუპანტებმა მთლიან ძალები ოსთა აჯანყების ჩასახშობად მიმართეს.

ზემოთქმულის მიუხედავად, ლევანი კვლავ ბრძოლის გაგრძელებაზე ფიქრობდა.

30 სექტემბერს, მდინარე პატარა ლიახვთან ბრძოლაში რუსთა ჯარმა სძლია 2000 ოს მეამბოხეს, რასაც ჯავის აღება და ოცი ოსური სოფლის გადაწვა მოჰყვა.

ოკუპანტებთან მოსალაპარაკებლად მიგზავნილი 12 ოსი უხუცესი დააპატიმრეს და გაგზავნეს თბილისში, სადაც ისინი დამცირების მიზნით, ყელზე ხმალჩამოკიდებული ქუჩებში ჩამოატარეს.

რუსებმა დასაჯეს ქართველი თავადაზნაურობის ის წარმომადგენლები, რომლებიც აჯანყებაში მონაწილეობდნენ, ანდა მას თანაუგრძობდნენ. მათ შორის იყვნენ თავადები: ლუარსაბ მაჩაბელი, ბადურ ბორტიშვილი, ასევე თარხნიშვილები და ჯავახიშვილი.

აჯანყების სისხლში ჩახშობის შემდეგ, მისი მეთაური ბატონიშვილი ერთხანს თავს ჯავის მიმდებარე ოსურ სოფლებში აფარებდა.

ნოემბრიდან ლევანი გადავიდა ისტორიული დვალეთის რეგიონის ტერიტორიაზე, რომელიც წარსულში საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. მან თავი შეაფარა ნარის ხეობას, სადაც ადგილობრივმა მოსახლეობამ იგი, როგორც თავიანთ ტრადიციულ პატრონთა – ქართველ მეფეთა შთამომავალი – დიდი პატივით მიიღო. იგი ცხოვრობდა ნარის ხეობის მამასახლის ასა გოჩაშვილის სახლში.

რუსები ცდას არ აკლებდნენ, რომ ახლობელთა მეშვეობით ხელთ ეგდოთ ლევანი, თუმცა ამაოდ. მის მიმართ ოსი მოსახლეობა საოცარ ერთგულებას იჩენდა [ტყავაშვილი 2008: 79-89].

მტრის სამსახურში ჩამდგარმა გაბრიელ ყაზბეგმა სცადა, რომ დვალეთს თავშეფარებული ლევანი შეეტყუებინა თრუსოს ხეობაში, სადაც მის შეპყრობას უფრო იოლად შეძლებდა, თუმცა მან ეს ვერ შეძლო.

ოკუპანტებმა მათ მიერ მოსყიდული ოსი მამასახლისის – ქურთათელი პაპილა ჩალიკოვისა და შიდა ქართლში მცხოვრები მისი ნათესავის მისოსტ ჩალიკაშვილის მეშვეობით სცადეს, რომ გადაბირების მიზნით ლევანთან მოლაპარაკება ეწარმოებინათ. ამ ფაქტით განრისხებულმა ლევანმა მტრის ერთ-ერთ მოციქულს ასეთი შინაარსის წერილი მისწერა:

„ჩალიკაშვილო მისოსტ! ამ ქოჩიაშვილმა გეთემ შენი გამოგზავნილი წიგნი მომიტანა და შენც შეგარცხვინა და ამ წიგნის მამტანიცა!“ [Акты 1870: 117].

ოკუპანტებმა შეიპყრეს ლევანის ერთგული ოსი თანამებრძოლები – თოხ და ბიბო სანაკოშვილები და კასია, რომლებიც 1811 წლის 7 თებერვალს გორში ჩამოახრჩვეს, ხოლო მათი ოჯახის წევრები გააციმბირეს [Ванеев 1959: 160].

მტერი შეეცადა, რომ მოესყიდა ნარის ხეობის მამასახლისი ასა გოჩაშვილი და მისი ვაჟი – სოზრა, რომელთა სახლშიც ლევანი იმყოფებოდა. ოკუპანტებმა გოჩაშვილებს საპატიო სტუმრის გაცემის სანაცვლოდ აღუთქვეს 2000 ვერცხლის რუბლი, რაც იმ დროისათვის ფრიად სოლიდურ თანხას წარმოადგენდა. იმავე საქმის სანაცვლოდ მტერმა ნარის არქიდიაკონ იაკობს შესთავაზა 400 ვერცხლის რუბლი და საქართველოში სამოსახლო ადგილის გამოყოფა.

რადგანაც ნარელთა მოსყიდვის მცდელობა უშედეგოდ დასრულდა, მათ წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები განახორციელეს. მოზდოკში სავაჭროდ ჩასული ნარელები რუსებმა დაპატიმრეს. ოკუპანტებმა ერთი დაპატიმრებული ნარის ხეობაში გაგზავნეს და მოითხოვეს ლევანის დაუყოვნებლივ გაცემა, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში დანარჩენ დაკავებულთა გაციმბირებით დაიმუქრნენ. მიუხედავად ამისა, ნარელები მაინც ვერ დააშინეს.

საგულისხმოა, რომ ოკუპანტთა არაერთგზის მცდელობა, რომ ნარელებს ლევანი მათთვის გადაეცათ, ანდა თავადვე მოეკლათ, ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა. მეფე ერეკლე II-ის შვილიშვილს ნარელმა ოსებმა ბოლომდე უერთგულეს.

ღვალეთში ყოფნის ბოლო პერიოდში ლევანი გადავიდა ამ ისტორიულ რეგიონშივე შემავალ ზახას ხეობაში, რომელიც ესაზღვრება თრუსოს ხეობას (ამჟამად შედის ყაზბეგის მუნიციპალიტეტში).

რუსთა ზეწოლით, ოსმა მამასახლისმა რაჯაბმა 1811 წლის 4 სექტემბერს რუსთა სამხედრო ნაწილში მიყვანა ლევანი, რომელმაც ბოლო მომენტში და თანაც, მეტად საეჭვო ვითარებაში, იქიდან გაქცევა მოახერხა [Акты, IV, 1870: 121-124; ტყავაშვილი 2008: 90].

უნდა ვივარაუდოთ, რომ რაჯაბს წინასწარვე ჰქონდა დაგეგმილი უკვე რუსთა სამხედრო ნაწილში მიყვანილი ლევანის უკანვე გამოპარება და ასეთი მოქმედებით მან სცადა, რომ ორმაგი სარგებელი მიეღო: 1) აჯანყების მეთაურის ოკუპანტთათვის ჩაბარებით მოეგო ამ უკანასკნელთა გული; 2) მტრის ბანაკიდან ლევანის გამოპარებით ამ ბატონიშვილისა და აჯანყებულთათვის ერთგულება დაემტკიცებინა.

ღვინობისთვის მიწურულს ლევანი მალულად გაეშურა ახალციხისაკენ, სადაც ელოდა თავისი ბიძა – ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც იმავედ შერიფ-ფაშასთან იმყოფებოდა. გზად მიმავალმა ლევანმა, რომელიც 26 ოქტომბერს ბორჯომის ხეობაში შევიდა, გადაწყვიტა, რომ ცხენის ჭენებით მოქანცულს პეტრეს ციხესთან შეესვენა. სამწუხაროდ, იგი იქვე შეხვედრილ დაღესტნელ მოთარეშეთა სიხარბის მსხვერპლი გახდა [ბაგრატიონი თეიმურაზ 1983: 77-118].

ლევანის ამ ტრაგიკული აღსასრულის შესახებ მისი ბიძაშვილი ბაგრატ ბატონიშვილი ასე მოგვითხრობს: „ოკდობრის 26, წარემართა ახალციხეს... ძე იულონისა ლეონ. მისრულნი ესენი ხეობაში პეტრესა ციხესა, ისტუმრეს ლეკთა. რა ლეონს არა ჰყვა კაცი გარნა სამისა და რა განუსვენეს, მძინარე ლეონ მოკლა ლეკმან და სხვანიცა მისთანა მყოფნი მოსწყვიტნეს... განძარცვეს და წარიღეს ახალციხეს. მხილველმან მეფემან სოლომან იცნა იარაღი მისი. ჰკითხა ლეკთა და სცნა სიკვდილი მისი. დიდათ დამძიმდა მეფე სოლომან სმენისა ამისთვის და აუწყა ესე ფაშასა ახალციხისასა. მაშინ ფაშამან შეიპყრნა ლეკნი იგი და მოაშთო ძელთა. მსმენელთა დაღისტანსა შინა ლეკთა იწყინეს ესე, რეცა დადებად სისხლისა სამეფოისა სახლისა საქართველოისა. სოფლისა მის კაცთა ჰქმნეს ამბოხნი და სრულიად მოსწყვიტნეს სახლეულნი მათ ლეკთანი, რომელთა მოეკლათ ლეონ“ [ბაგრატ ბატონიშვილი 1941: 117-118].

ამ საისტორიო წყაროდან კიდევ კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ბაგრატიონები მთელ კავკასიაში ტრადიციულად ითვლებოდნენ ყველაზე პატივცემული საგვარეულოს წარმომადგენლებად, რომლებზედაც ხელის აღმმართველი სასტიკად ისჯებოდა.

ისტორიკოსი მაქსიმე ბერძნიშვილი (1889-1967) ლევანის მოკვლის შესახებ არსებულ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით წერდა: „გზად მიმავალი იგი დალატით მოჰკლეს ლეკებმა პეტრეს ციხესთან (გოგიას ციხესთან). მისი მოჭრილი თავი, იარაღი და ტანისამოსი ახალციხის ფაშას მიუტანეს. ახალციხეში იმ დროს იმყოფებოდნენ პაულუჩის მზვერავები – იოსებ ანდრონიკაშვილი და ბერძენი პორფირი, რომელნიც დაესწრნენ ფაშასთან ლევანის თავის მიტანას. იოსებ ანდრონიკაშვილმა ლევანის იარაღში იცნო თოფი, რომელიც მას ადრე უჩუქებია ლევანისათვის“ [ბერძნიშვილი 1983: 76-77].

ერთი ცნობის თანახმად, ლევანის ცხედარი დაკრძალეს აწყურის ტაძრის გალავანში [ბერძნიშვილი 1983: 77], ხოლო მეორე ცნობის მიხედვით, მძოვრეთის ხეობაში, ყინწვისის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში [იოსელიანი 1936: 161]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლოა ლევანი თავდაპირველად დაკრძალეს აწყურის ტაძრის გალავანში, საიდანაც იგი მოგვიანებით ყინწვისის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადაასვენეს.

ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი (1809-1875) ლევან ბაგრატიონის შესახებ წერდა: „დარჩა საქართველოს, ებრძოდა რუსთა და მოიკლა ზაკვით..... იყო უფროსი შვილი იულონისი, მხნე, გამბედავი და გულადი; ათსა წელსა მღევნელი ბედისა და ვერ ღირსებული ბედისა მოღალატისა“ [იოსელიანი 1936: 161].

* * *

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლას თავმწივრული ლევან ბაგრატიონის სახელი ლეგენდად დარჩა ქართველი და ოსი ერების ღირსეულ ნაწილში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს უნდა გამხდარიყო მიზეზი იმისა, რათა ნარეულ აზნაურ ელიზბარ ხეთაგურს 1810 წელს დაბადებული თავისი ვაჟისათვის დაერქმია სახელი იმ სახელოვანი ბაგრატოვანი უფლისწულისა, რომელიც გმირულად იბრძოდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის და იმჟამად თავს მათივე ხეობაში აფარებდა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ბაგრატ ბატონიშვილი 1941: *ბაგრატ ბატონიშვილი*, ახალი მოთხრობა, *თამარ ლომოურის* გამოცემა, თბ., 1941.

ბაგრატიონი თეიმურაზ 1983: *ბაგრატიონი თეიმურაზ*, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო *ლელა მიქიაშვილმა*, თბ., 1983.

ბაგრატიონი იოანე 1986: *ბაგრატიონი იოანე*, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს *თინა ენუქიძემ* და *გურამ ბედოშვილმა*, თბ., 1986.

ბერძნიშვილი 1983: *ბერძნიშვილი მაქსიმე*, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოების ისტორისათვის, ტომი II, თბ., 1983.

გვასალია 1983: *გვასალია გონდო*, მთიულეთის აჯანყება 1804, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ტომი 6, თბ., 1983.

დავით ბატონიშვილი 1941: *დავით ბატონიშვილი*, ახალი ისტორია, *თამარ ლომოურის* გამოცემა, თბ., 1941.

თოგოშვილი 1969: *თოგოშვილი გიორგი*, ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა 1801-1921 წწ., თბ., 1969.

- იოსელიანი 1936:** *იოსელიანი პლატონ*, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერულიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, 1936.
- ლორთქიფანიძე 2018:** *ლორთქიფანიძე გიორგი*, იულონ ბატონიშვილი, ენციკლოპედია „საქართველო“, ტომი 4, თბ., 2018.
- მაკალათია 1934:** *მაკალათია სერგი*, ხევი, ტფილისი, 1934.
- სილაგაძე 1997:** *სილაგაძე ავთანდილ*, *თოთაძე ანზორ*, გვარ-სახელები საქართველოში, თბ., 1997.
- ტოგონიძე 1951:** *ტოგონიძე ვალერიან*, ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება (1804 წ.), თბ., 1951.
- ტყავაშვილი 2007:** *ტყავაშვილი მზია*, რუსეთის სამხედრო ექსპედიცია ქართლის ჩრდილოეთში მცხოვრები ოსების წინააღმდეგ და საქართველოში ოსთა განსახლების ზოგიერთი საკითხი, კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ტომი 1, თბ., 2007.
- ტყავაშვილი 2008:** *ტყავაშვილი მზია*, ოსების 1810-1811 წლების აჯანყება ლეონ ბატონიშვილის ხელმძღვანელობით, კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ტომი 4, თბ., 2008.
- ფრონელი 1896:** *ფრონელი (ყიფშიძე) ალექსანდრე*, მთიულეთი 1804 წ., ტფილისი, 1896.
- ჭუმბურიძე 2003:** *ჭუმბურიძე ზურაბ*, რა გქვია შენ? თბ., 2003.
- ჯავახიშვილი დავით 2020:** *ჯავახიშვილი დავით*, ლიხვის ხეობის მფლობელი უფლისწული იულონი (ცხოვრება და მოღვაწეობა), მასალების კრებული თსუ-ის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ ორგანიზებული VI საერთაშორისო კონფერენციისა თემაზე: „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები“, რომელიც მიეძღვნა დანიელ ჭონქაძეს და ვასილ ცორაევს, თბ., 2020.
- ჯავახიშვილი ნიკო 2020-ა:** *ჯავახიშვილი ნიკო*, ქართველთა და ოსთა ერთობლივი ბრძოლის ისტორიიდან (1804-1811 წლები), მასალების კრებული თსუ-ის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ ორგანიზებული VI საერთაშორისო კონფერენციისა თემაზე: „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები“, რომელიც მიეძღვნა დანიელ ჭონქაძეს და ვასილ ცორაევს, თბ., 2020.
- ჯავახიშვილი ნიკო 2020-ბ:** *ჯავახიშვილი ნიკო*, ქართლის სამეფოს ბაგრატიონთა მმართველთა ქრონოლოგიური რიგის დაზუსტებისათვის. როგორი თანამიმდევრობით განაგებდნენ ბაგრატიონები ქართლს XVI-XVIII საუკუნეებში, თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტომი XVI, თბ., 2020.
- ჯავახიშვილი ნიკო 2022:** *ჯავახიშვილი ნიკო*, ოსები საქართველოს სამეფო დროშის ქვეშ (XVIII-XIX საუკუნეები), მასალების კრებული თსუ-ის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ ორგანიზებული VII საერთაშორისო კონფერენციისა თემაზე: „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები“, რომელიც მიეძღვნა იოანე იალღუზიძეს, თბ., 2022.
- Акты 1870:** Акты, собранные Кавказской Археографической комиссией, Архив Главного управления наместника Кавказского (под редакцией А. Берже), т. IV, Тифлис, 1870.
- Ванеев 1959:** *Ванеев З.*, Крестьянский вопрос и крестьянское движение в Юго-Осетии в XIX веке, Сталинир, 1959.

ON THE ORIGIN OF LEVAN KHETAGUROV'S NAME

Abstract

Levan (1810-1892), father of the great Kosta Khetagurov, was born and grew up in the family of Elizbar Khetaguri, who was an aznauri residing in the Nari valley, on the territory of historical Dvaleti. Later he added a Russian suffix *-ov* to his ancestor's surname and wrote himself as "Khetagurov".

It is known that the male name "Levan" is the Georgian form of "Leon", proceeding from old-Egyptian "Lebu" and signifies a lion in many languages; for instance, in Greek the animal king is designated as "Leon/Leontius/Leonidas", in Latin "Leo" etc.

In Georgian historical sources the name "Leon" is attested from the 5th century, and the name "Levan" from the 13th century. Many Georgian monarchs wore this name, which led to its dissemination in Georgian people. According to the 1995 data, 41,851 nationals of Georgia wore this name, ranked the 5th after "Giorgi/George", "Davit/David", "Zurab", and "Alexandre/Alexander".

The name "Levan" is rare among the Ossetians, so it is remarkable, that the aznauri (noblemen) from Nari valley, baptized his son Levan.

The Nari valley constituted a part of the princely domain, which Erekle II (1720-1798), king of Kartalino-Kakheti (in Georgian – Kartl-Kakheti) granted to his son, prince Yulon (1760-1816). Inter alia, it comprised also the northern mountainous part of Shida Kartli, the Liakhvi valley, which was granted to Yulon after abolishing the Saeristavo of Ksani, in 1777. Local population was a mix of Georgians and Ossetians and was distinguished with its loyalty to the Georgian kings from the Bagrationi royal dynasty. Therefore, the locals considered Yulon, and Leon/Levan (1786-1811), his elder, who grew up in Liakhvi valley to be their lords.

Abolishment of the Kingdom of Kartl-Kakheti by the Russian Government antagonized the liberty-loving Georgian nation. National oppression was aggravated by the social one. Georgians as well as the Ossetians living beyond the Caucasus gorge rebelled several times right from the beginning of the 19th century.

The mountaineers, including the Ossetians participated in the 1804 rebellion of Mtiuleti. The rebels invited the prince brothers Parnaos (1777-1852) and Yulon from Imereti to lead them. Yulon was accompanied by his son, Levan. They attempted to move to Mtiuleti. On 4 June of 1804 the princes were attacked by the enemy; Yulon was captured, whereas Parnaos and his nephew managed to escape.

Although the rebellion was suppressed, the Ossetians along with Georgians participated in other subsequent anti-imperial revolts as well.

On 26 June of 1810 Levan came to Shida Kartli from Akhaltsikhe on the order of his uncle, Alexandre (1770-1844), who had fled to Persia (Iran), and initiated an anti-imperial rebellion in the Liakhvi valley, to spread to the Ossetians of Nari.

On 31 July Levan with 2,000 Ossetians started an attack to capture Tskhinvale, to last for four days. Having been defeated, Levan escaped first to the Ossetian villages of Java, and since November, in Nari valley, where the local population hosted him with much respect. He lived in the house of Asa Gochashvili, the mamasakhlisi. The enemy attempted to bribe Asa and Asa's son, Sozra, to capture the leader of the rebellion, but in vain. The Nari residents remained loyal to Levan till the very end. Eventually, Levan left for Akhaltsikhe, where his uncle, Alexandre was

waiting for him. On 26 October Levan fell victim to the greediness of the Lezgi raiders, in Borjomi valley.

Levan was fighting for restoring Georgian statehood and his name remains a legend among the laudable Georgians and Ossetians.

We consider that Elizbar Khetaguri, nobleman from Nari valley gave to his son born in 1810 the name Levan in honour of the Georgian prince from Bagrationi royal dynasty, who was staying in the vally at the very time.

Keywords: Georgian, Ossetian, Kosta Khetagurov, Shida Kartli, Nari, Bagrationi.

მარიკა ჯიქია

ივ, ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
პროფესორი
თბილისი, საქართველო

თურქულ ენათა ერთი ფონოტაქტიკური თავისებურების შესახებ

თურქულ ენათა მაკროოჯახი ითვლის 39 ცოცხალსა და 15 მკვდარ ენას. ანატოლიური თურქული და აზერბაიჯანული ენები შედიან თურქულ ენათა სამხრეთდა-სავლურ ქვეჯგუფში ოღუზური ფუძენით. ამავე ქვეჯგუფშია თურქმენული და გაგა-უზური ენები. ზოგიერთი მკვლევარი ყირიმელ თათართა ერთ დიალექტსაც ამ ჯგუფს აკუთვნებს.

ფონოტაქტიკის თვალსაზრისით, თურქულ ენებს თავიანთი განვითარების განმავლობაში ყოველთვის ახასიათებდათ ე.წ. სრულხმოვნობა, რასაც განვითარების თანამედროვე ეტაპზე ინარჩუნებენ ოდენ თურქული წარმომავლობის სიტყვებში. ხოლო ნასესხები ლექსიკური ერთეულები განსხვავებული გზებით ექვემდებარებიან ფონეტიკურ-ფონოლოგიურ „დამუშავებას“.

თურქული მოდგმის ადამიანთათვის გადაულახავი არტიკულაციური მომენ-ტია მარცვლის დასაწყისში ორი ან მეტი თანხმოვნის წარმოთქმა. ამის გამოა, რომ ოდენ თურქული წარმომავლობის სიტყვები მარცვალს CCV(C) შემადგენლობით არ შეიცავენ. ამავედროულად მარცვლის ბოლოს ორი თანხმოვანი არცთუ იშვიათად გვხვდება როგორც ნასესხებ, ისე საკუთრივ თურქულ სიტყვებში, ოდონდ გარკვეული ფონეტიკური პირობით, კერძოდ კი თანხმოვანთკომპლექსში პირველი თანხმოვანი ერთ-ერთი შემდეგთაგანია – l, m, n, r, s, f, h; ხოლო მეორე კომპონენტი უცილობდ ყრუ თანხმოვანი უნდა იყოს – ç, f, h, k, p, s, t . შდრ. თვით ხალხის დასახელება – Türk. აგრეთვე alp ‘გმირი’, dinç ‘ძლიერი’, ilk ‘პირველი’, yurt ‘სამშობლო’ და სხვ.(ანუ მარცვლის ბოლოს ორი თანხმოვანი დაძლეულია).

არ არსებობს ენა, რომელიც სხვა ენიდან/ენებიდან არ სესხულობდეს ლექსიკურ ერთეულებს. თურქულ ენებშიც უამრავი ნასესხობაა იმ ენებიდანაც, რომელთაც ეს შეზღუდვა – თანხმოვნები მარცვლის დასაწყისში (რაც უპირატესად ანლაუტს ემთხ–ვევა) – არ აქვთ.

არაეროვნული სიტყვები განიცდიან ფონოლოგიურ დამუშავებას, კერძოდ კი ჩაირთავენ ვიწრო (დაბალი აწეულობის) ხმოვანს თავკიდურ თანხმოვნებს შორის. თურქთათვის უცხოენოვანი ლექსიკური ერთეულების სიზუსტით გადმოცემისა თუ გათავისების პროცესი განაპირობებს მთელ რიგ ლინგვისტურ სვლებს.

კერძოდ კი თანხმოვანთკომპლექსებით (ორი ან მეტი თანხმოვით) დაწყებული ნასესხები სიტყვების ადაპტაცია თურქულ ენებში ორი გზით ხორციელდება – პროთეზითა და ეპენტეზით.

1. პროთეზა < ბერძნული prothesis 'წინ დაყენება' – ესაა დამატებითი ბგერის (როგორც თანხმოვნის, ასევე ხმოვნის) გაჩენა სიტყვის აბსოლუტურ დასაწყისში. თურქული ენების შემთხვევაში დამატებითი ბგერა ერთ-ერთი ვიწრო ხმოვანია (i, ı, ü, u) მარცვლის დასაწყისში ორთანხმოვნიან სიტყვას წინ დაემატება ვიწრო ხმოვანი და ახალ მარცვალს წარმოქმნის კომპლექსის პირველ თანხმოვანთან.

მაგ: რუს. стакан – აზერბ. istakan;

ფრანგ. station – თურქ. istasyon;

ფრანგ. squelette – თურქ. iskelet 'ჩონჩხი';

ფრანგ. statistique – თურქ. istatistik 'სტატისტიკა';

ინგლ. schooner – თურქ. iskuna 'შხუნა';

ინგლ. stop – თურქ. istop 'სდექ';

იტალ. skala – თურქ. iskele 'ნავსადგური';

იტალ. stampa – თურქ. istampa 'ბეჭედი, შტემპელი'.

იტალ. stringa – თურქ. istinga 'ბაგირი';

იტალ. spirito – თურქ. ispirto 'სპირტი';

იტალ. sconto – თურქ. iskonto 'ფასდაკლება'.

ეთნონიმები:

İskitler 'სკვიტები',

İslav 'სლავი',

İsloven 'სლოვენი',

İskoç მოტლანდიელი',

İsveç 'შვედი'.

გეოგრაფიული სახელები:

İskandinav 'სკანდინავია',

İsviçre „შვეიცარია“.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში შეგვხვდა ისტეფანწმინდა – استیپانزمنده İstefānzmnnda. ს.ჯიქია წერს: სტ თანხმოვნებით დაწყებულ სიტყვას თურქულ წარმოთქმაში ჩვეულებრივად პროთეტული ხმოვანი უჩნდება, რაც არაბიკისეული ელიფით არის გადმოცემული (ჯიქია 1958:449).

ქართული ტოპონიმი სკარები ოსმალთა დევთერდარის მიერ ანალოგიურად იქნა გადმოტანილი: اسكارب İskarab (ჯიქია 1958:539).

აქვე შევიჩრდებით პროთეზის ისეთ შემთხვევაზე, როდესაც ვიწრო ხმოვანი წინ დაემატება ძირს, ახალი მარცვალი წარმოიქმნება, თუმცა სიტყვა იწყება არა ორი თანხმოვნით, არამედ – ერთით, კერძოდ კი /r/ თანხმოვნით. საკუთრივ თურქული სიტყვა /r/-თი არ იწყება.

Rum – Urum. ბერძენი თურქულად არის Rum. ბერძნები აღმოსავლეთ რომის იმპერიის ქვეშევრდომნი იყვნენ, ხოლო მუსლიმურ სამყაროში ამ იმპერიას Rum diyarı 'რუმების ქვეყანა' ერქვა. თურქულენოვან ქრისტიან ბერძნებს ეწოდათ ურუმები Urumlar. ისინი დღესდღეობით ყირიმში, მარიუპოლის რეგიონში სახლობენ.

რაც შეეხება საქართველოში მცხოვრებ ურუმებს: ადრიანოპოლის ზავის თანახმად, რუსეთის იმპერიის გენერლის პასკევიჩის მიერ 1830 წელს აღძრული შუამდგომლობის საფუძველზე, ნიკოლოზ I-მა ერზრუმის ვილაიეთში მცხოვრებ გათურქებულ ბერძნებს წალკის რაიონში დასახლების უფლება მისცა. მათ წალკელი ურუმები ეწოდათ.

იტალ. roba – თურქ. urba 'სამოსი, ტანსაცმელი, კაბა'.

არაბ. rub' – رطب თურქ. urup ' (ერთი) მეოთხედი'.

2. ეპენტეზა < ბერძნული epenthesis 'ჩასმა'; მარცვლის დასაწყისში ორ თანხმოვანს შორის ჯდება ვიწრო ხმოვანი და იქმნება მარცვალი თავკიდურ თანხმოვანთან, რითაც თავიდან აცილებულია მარცვლის დასაწყისში თანხმოვანთა თავმოყრა:

ფრანგ. club – თურქ. kulüp ‘კლუბი’;
იტალ. brillante – თურქ. pırlanta ‘ბრილიანტი’;
იტალ. tromba – თურქ. tulumba ‘ტუმბო’.

აზერბაიჯანულენოვანთა ქართულად წერისას ტიპური შეცდომები უპირატე-სად სწორედ ეპენტეზაზე მოდის:

ბურუნვა – დაუძღვევლი შეიქნა ‘ბრუნვა’ სიტყვის /ბრ/ სეგმენტი;

ციხვირი – /ცხ/ განხშულია /ი/ ხმოვნით.

ასევეა:

მიცირე – მცირე;

სიქემა – სქემა;

ხობო – ხბო;

კილდე – კლდე;

კილასიფიკაცია – კლასიფიკაცია;

შივილი – შვილი.

დაბოლოს, თურქები წერენ: tren, triko, trup, tramvay, grup, broş, frak, broşür, spor, grev, staj, traktör, kral და სხვა და სხვა, მაგრამ გამოთქვამენ: tiren, tiriko, turup, tıramvay, gurup, buroş, firak, buroşür, sıpor, gırev, sıtaj, tıraktör, kıral.

ერთადერთი ფრანგული წარმომავლობის ლექსიკური ერთეულია club – თურქ. kulüp ‘კლუბი’, რომელიც ყველა ლექსიკონსა თუ ტექსტში ეპენტეტური ფორმით არის დამკვიდრებული.

სწორედ ამის გამო უხმობდნენ ჩვენს დედაქალაქს ტიფლისს – თურქმა ვერ წარმოთქვა /თბი/– მარცვლისეული /tb/ კომპლექსი, განახშო იგი და მხოლოდ ვიწრო /ი/ ხმოვნის ჩასმის შემდეგ „გაიმართა წელში“. ჩვენებურებზე ისეთი ძლიერია თურქულის გავლენა, რომ ჩვენებურების მეტყველებაშიც თიბლიში დადასტურდა (ფუტკარაძე 1993:24).

ჩვენი დედამდინარის სახელი – მტკვარი – ანლაუტისეული ოთხი თანხმოვნით, ბუნებრივია, რომ აგრეთვე ძნელი წარმოსათქმელი შეიქნა იმ ქვეყნის მკვიდრთათვის, დღესდღეობით რომელთა ქვეყანაში მდებარე ერუშეთის ქედიდან იღებს სათავეს (ანუ ანატოლიელი თურქებისათვის) და იმ ქვეყნის მცხოვრებთათვის, რომელთა ტერიტორიულ ფარგლებშიც კასპიის ზღვას უერთდება (ანუ აზერბაიჯანელთათვის). თუმცა მისი გათავისება განსხვავებული ტაქტიკით წარიმართა: ჯერ კიდევ ბერძნებმა გაამარტივეს /მტკ/– თანხმოვანთკომპლექსი და ერთ /k/-ზე დაიყვანეს (გამყრელიძე 2002:25), ხოლო /ვა/>/u/; აზერბაიჯანელები, ისევე როგორც თურქები, მტკვარს Kur-ს უწოდებენ, რუსები Kypa-ს, ხოლო ევროპელები – Kura-ს. საკვლევია, ქართველთა დედაქალაქისა და დედამდინარის სახელი რატომ მაინცდამაინც თურქული არტიკულაციით შევიდა ისეთ ენაში, როგორც, მაგ., რუსულია, რომელშიც ხშირია მარცვლის თავში სამი და ოთხ-კომპონენტიანი თანხმოვანთკომპლექსების შემცველი ლექსიკური ერთეულები.

ლიტერატურა:

გამყრელიძე 2002: თამაზ გამყრელიძე, „მტკვარი“ ჰიდრონიმის ეტიმოლოგიისათვის – ენათ-მეცნიერების საკითხები, 4(16), ეძღვნება გივი მაჭავარიანის დაბადების 75-ე წლისთავს. თბილისი.

ფუტკარაძე 1993: შუმანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, ბათუმი, აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა.

ჯიქია 1958: სერგი ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, გამოკვლევა, თბილისი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ABOUT ONE PHONOTACTICAL PECULIARITY OF TURKIC LANGUAGES

Abstract

Pronunciation of two or more consonants at the beginning of a syllable is an insurmountable articulatory moment for people of the Turkic origin (two consonants at the end of a syllable are not uncommon; cf. the name of the origin itself – Türk) Adaptation of borrowed words starting with two or more consonants in Turkic languages is carried out in two ways:

1. Prothesis – a vowel is added to a two-consonant word at the beginning of a syllable and forms a new syllable with the first consonant of the complex.

E.g: Rus. /stak'an/ – Azerb./istakan/ 'glass'; French station – in Turkish it was "transformed" like this: /istasyon/; Ital. skala – Turkish. /iskele/ 'harbour'.

2. Epenthesis – a narrow vowel is placed between two consonants at the beginning of a syllable and a syllable is formed, thus avoiding consonants at the beginning of a syllable. E.g.: French club – Turk. kulüp 'club'; Ital. brillante – Turk. pırlanta 'diamond'; Ital. tromba – Turk. tulumba 'pump'. This phonetic fact is realized in the Turkish articulation of the name of the capital of Georgia: the Turk could not overcome /tb/complex in the /tbi-/ syllable /, it was replaced by the /i/ vowel, resulting in Tiflis.

The name of the river Mtkvari – with four consonants at the beginning of the syllable – was also difficult to pronounce for a Turkish speaker. Its acquisition took place with a different tactic, namely: still the Greeks simplified the consonant complex /mtk/, we got /k/, and /va/>/u/; Azerbaijanis, like Turks, call Mtkvari Kur.

Keywords: The Turkic Languages, Borrowings, Prothesis, Epenthesis.

სარჩევანი / CONTENTS / СОДЕРЖАНИЕ

Абдурахманова Патимат М.	4
<i>ЗООНИМЫ В ФУНКЦИИ ОБРАЩЕНИЯ (На материале аварского языка)</i>	
Abdurachmanova Patimat M.	7
<i>ZOONYMS IN THE FUNCTION OF THE VOCATIVES (by the material of the avar language)</i>	
Адамчевский Пшемьслав	8
<i>ОСЕТИНЫ В ВОСПОМИНАНИЯХ МАТЕУША ГРАЛЕВСКОГО, ПОЛЬСКОГО ССЫЛЬНОГО НА КАВКАЗ</i>	
Adamczewski Przemyslaw	13
<i>OSSETIANS IN THE MEMOIRS OF MATEUSZ GRALEWSKI, A POLISH EXILE TO THE CAUCASUS</i>	
Адиев Асланбек З.	14
<i>МИГРАЦИОННАЯ СИТУАЦИЯ И ВОСПРИЯТИЕ МИГРАНТОВ В ДАГЕСТАНЕ</i>	
Adiev Aslanbek Zalimkhanovich	18
<i>MIGRATION SITUATION AND PERCEPTION OF MIGRANTS IN DAGESTAN</i>	
Адухова Жамилат М.	19
<i>ПЕРЛОКУТИВНЫЙ ЭФФЕКТ РЕЧЕВОГО АКТА ПРОКЛЯТИЯ В ЛАКСКОМ ЯЗЫКЕ</i>	
Adukhova Zh. M.	22
<i>PERLOCUTIVE EFFECT OF THE SPEECH ACT OF CURSING IN LAK LANGUAGE</i>	
Акаев Вахит Х.	23
<i>СИНКРЕТИЧЕСКИЙ ХАРАКТЕР ДУХОВНОЙ КУЛЬТУРЫ ЧЕЧЕНЦЕВ: ВЗАИМОСВЯЗЬ ХРИСТИАНСКИХ И ИСЛАМСКИХ ЦЕННОСТЕЙ В КОНТЕКСТЕ ИСТОРИИ ГРУЗИИ</i>	
Akaev Vakhit H.	29
<i>SYNCRETIC CHARACTER OF THE SPIRITUAL CULTURE OF CHECHENS: INTERRELATION OF CHRISTIAN AND ISLAMIC VALUES IN THE CONTEXT OF THE HISTORY OF GEORGIA</i>	
Алигаджиева Альфия Р.	29
<i>ФОРМУЛЫ РЕЧЕВОГО ЭТИКЕТА БЕЖТИНСКОГО ЯЗЫКА</i>	
Aligadzhieva A. R.	33
<i>FORMULAS OF SPEECH ETIQUETTE OF THE BEZHITA LANGUAGE</i>	
ნუგზარ ანთელავა	34
<i>ისტორია და მითი ფ.-რ. ანკერსმიტის ფილოსოფიურ-ისტორიულ კონსეფციებში</i>	
Nugzar Antelava	38
<i>THE PROBLEM OF RELATIONSHIP BETWEEN HISTORY AND MYTH IN F.-R. ANKERSMIT'S CONCEPT</i>	
Георгий Анчабадзе	39
<i>ЭВЛИЯ ЧЕЛЕБИ О ПЛЕМЕНИ САДША-АБАЗА</i>	
George Anchabadze	43
<i>EVLIYA CHELEBI ABOUT THE SADSHA-ABAZA TRIBE</i>	
Асадова Хадиджа Вели кызы	43
<i>ОБРАЩЁННАЯ К ЧЕЛОВЕКУ</i>	
Asadova Khadija Veli gizi	45
<i>APPEALING TO PEOPLE</i>	

ციური ახვლედიანი, ჭიორგი ყუფარაძე	46
<i>ფრანგულს ფონეტიკური თავისებურებანი</i>	
Tsiuri Akhvlediani, Giorgi Kuparadze	48
<i>PHONETIC FEATURES OF FRANGLAIS</i>	
ნარგიზ ახვლედიანი	49
<i>ერთი ლექსიკური ერთეულის გარკვევისათვის</i>	
Nargiz Akhvlediani	50
<i>TO SPECIFY A SINGLE LEXICAL ITEM</i>	
Баразбиев Муслим И., Геграев Хаким К.	50
<i>«ОСЕТИНЫ»-БАЛКАРЦЫ В ГРУЗИНСКОЙ ИСТОРИЧЕСКОЙ И ФОЛЬКЛОРНОЙ ТРАДИЦИИ</i>	
Barazbiyev M.I., Gegraev Kh.K.	53
<i>"OSSETIANS"-BALKARS IN THE GEORGIAN HISTORICAL AND FOLKLORE TRADITION</i>	
Бегеулов Рустам М.	54
<i>К ВОПРОСУ ОБ ОСЕТИНО-ГРУЗИНСКОЙ МЕЖЭТНИЧЕСКОЙ КОММУНИКАЦИИ НА ТЕРРИТОРИИ КАРАЧАЕВО-ЧЕРКЕССИИ</i>	
Begeulov Rustam M.	58
<i>ON THE ISSUE OF OSSETIAN-GEORGIAN INTERETHNIC COMMUNICATION ON THE TERRITORY OF KARACHAY-CHERKESSIA</i>	
ნაირა ბეჰიევი	59
<i>თემირბოლათ მამსუროვის ლექსების ნაფისეული კომენტარები</i>	
Naira Bepievi	64
<i>TEMIRBOLAT MAMSUROV'S POEMS AND COMMENTARIES BY NAPHY DZHUSOITY</i>	
სალომე ბედუკაძე	65
<i>ბორის პასტერნაკის ცხოვრებისეული და შემოქმედებითი კავშირების დამყარება ქართველებთან (მიმოწერის მიხედვით)</i>	
Salome Bedukadze	74
<i>ESTABLISHING LIFE AND CREATIVE CONNECTIONS OF BORIS PASTERNAK WITH GEORGIAN (ACCORDING TO CORRESPONDENCE)</i>	
ვარდო ბერიძე	74
<i>ალამიანი ბიოეთიკური მენიერების კონტექსტში</i>	
Vardo Beridze	78
<i>HUMAN IN THE CONTEXT OF BIOTIC SCIENCE</i>	
Бесолов Владимир Б.	79
<i>МЕСТО И ЗНАЧЕНИЕ М.Г. АБДУШЕЛИШВИЛИ (1926-1998) В ИСТОРИИ МИРОВОЙ АНТРОПОЛОГИЧЕСКОЙ НАУКИ И ЕГО ВКЛАД В ПОСТИЖЕНИЕ АНТРОПОЛОГИИ НАРОДОВ КАВКАЗА</i>	
Besolov Vladimir B.	96
<i>THE PLACE AND SIGNIFICANCE OF M.G. ABDUSHELISHVILI (1926-1998) IN THE HISTORY OF WORLD ANTHROPOLOGICAL SCIENCE AND HIS CONTRIBUTION TO THE COMPREHENSION OF THE ANTHROPOLOGY OF THE PEOPLES OF THE CAUCASUS</i>	

Бесолов Аристарх В., Бесолов Владимир Б.	98
<i>НЕВИДИМЫЕ НИТИ СВЯЗЕЙ ДВУХ СТОЛИЧНЫХ ГОРОДОВ: ВЛАДИКАВКАЗ И ТБИЛИСИ В ЛИЧНОЙ СУДЬБЕ И ПРОЯВЛЕНИИ ТВОРЧЕСКОГО МАСТЕРСТВА АРХИТЕКТОРА А.Н. КАЛЬГИНА (1875-1943)</i>	
Besolov Aristarkh V., Besolov Vladimir B.	110
<i>INVISIBLE THREADS OF TIES BETWEEN TWO CAPITAL CITIES: VLADIKAVKAZ AND TBILISI IN THE PERSONAL FATE AND MANIFESTATION OF THE CREATIVE SKILL OF ARCHITECT A.N. KALGIN (1875-1943)</i>	
Бесолов Владимир Б., Таболова Бэла Х.	111
<i>РАЗВИТИЕ ГРУЗИНО-ОСЕТИНСКИХ ОТНОШЕНИЙ: СОЦИАЛЬНО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ДИАГНОЗ СОСТОЯНИЯ ПРОБЛЕМЫ И МЕТОДИКА РЕАНИМАЦИИ ЯЗЫКОМ ГУМАНИТАРНОЙ НАУКИ</i>	
Besolov Vladimir B., Tabolova Bela Kh.	115
<i>PROBLEMS OF DEVELOPMENT OF GEORGIAN-OSSETIAN RELATIONS: SOCIO-POLITICAL DIAGNOSIS AND METHODS OF RESUSCITATION IN THE LANGUAGE OF SCIENCE</i>	
კლარა გელაშვილი	116
<i>მეი ოსურ ბელეტრისტულ-პუბლიცისტურ ნარატივში</i>	
Klara Gelashvili	120
<i>WAR IN THE OSSETIAN FICTION-PUBLICIST NARRATIVE</i>	
Gert Robert Grünert	121
<i>WISSENSCHAFTLICHE BRÜCKEN UND DIALOGMÖGLICHKEITEN</i>	
გერტ რობერტ გრიუნერტი	123
<i>სამეცნიერო ხიდეები და დიალოგის შესაძლებლობები</i>	
ანა გოგილაშვილი	124
<i>ომის პარადიგმა გიორგი სოსიასვილის თხზულებებში („ხეფას ბიჭი“, „ბოთე“, „მავთულხლართი“)</i>	
Gogilashvili Ana	127
<i>THE PARADIGM OF WAR IN THE STORY OF GIORGI SOSIASHVILI (“SON OF KHEPA”, “BARBED WIRE, “BUTTERFINGERED”)</i>	
Горюшина Евгения М.	128
<i>МЕМОРИАЛЬНЫЙ ЛАНДШАФТ СОВРЕМЕННОЙ ГРУЗИИ: ОСОБЕННОСТИ ГЕОГРАФИИ ПАМЯТИ О СОБЫТИЯХ 1939-1945 ГГ.</i>	
Goryushina Evgeniya M.	131
<i>MEMORIAL LANDSCAPE OF MODERN GEORGIA: FEATURES OF THE MEMORY GEOGRAPHY, 1939-1945.</i>	
ელენე გოგილაშვილი	131
<i>ალექსანდრე მაკედონელი ოსურ ფოლკლორში</i>	
Elene Gogilashvili	135
<i>ALEXANDER OF MACEDON IN OSSETIAN FOLKLORE</i>	
ქეთევან გოდერძიშვილი	135
<i>დადებითი შტრიხები ქართველი და ოსი ეროვნების ხალხთა ურთიერთობებიდან</i>	
Ketevan Goderdzishvili	144
<i>POSITIVE FEATURES FROM GEORGIAN AND OSSETIAN PEOPLES’ RELATIONSHIP</i>	

Долгова Виктория О.	145
<i>ИЗУЧЕНИЕ ИСТОРИИ И КУЛЬТУРЫ МАЛОЙ РОДИНЫ – ОКНО В БОЛЬШОЙ МИР</i>	
Dolgova V. O.	147
<i>STUDYING THE HISTORY AND CULTURE OF A SMALL HOMELAND IS A WINDOW INTO THE BIG WORLD</i>	
მაღნაზ (სოსო) ვახტანგაშვილი	148
<i>რუსეთის კავკასიური ინტერესების საწყისი ისტორიულ კონტექსტში</i>	
Vakhtangashvili Soso	151
<i>PRIMARY CAUCASIAN INTERESTS OF RUSSIA IN THE HISTORICAL CONTEXT</i>	
Зангиева Зарема Н.	151
<i>СИМВОЛИКА ЧИСЕЛ В ЯЗЫКЕ И КУЛЬТУРЕ</i>	
<i>(НА МАТЕРИАЛЕ ФРАЗЕОЛОГИИ ОСЕТИНСКОГО, РУССКОГО И АНГЛИЙСКОГО ЯЗЫКОВ)</i>	
Zangieva Zarema N.	161
<i>SYMBOLISM OF NUMBERS IN LANGUAGE AND CULTURE (based on the Ossetian, Russian and English Phraseology)</i>	
თამარ ზიგერ-პოპიაშვილი	163
<i>პირნაკლი ზმნები ქართულსა და გერმანულ ენებში</i>	
Tamar Sieger-Popiashvili	166
<i>REFLEXIVE VERBS IN GEORGIAN AND GERMAN LANGUAGES</i>	
ნინა ზიგერი	167
<i>ქართულ-გერმანული დიპლომატიის ისტორიიდან</i>	
<i>(ქართულ-გერმანული ურთიერთობების მოკლე ისტორია)</i>	
Nina Sieger	174
<i>FROM THE HISTORY OF GEORGIAN-GERMAN DIPLOMACY</i>	
Тадтаева Анжелика В.	174
<i>ЯЗЫКОВЫЕ БАРЬЕРЫ, МЕШАЮЩИЕ ЭФФЕКТИВНОМУ ОБЩЕНИЮ</i>	
Tadtaeva Angelika V.	179
<i>LANGUAGE BARRIERS TO EFFECTIVE COMMUNICATION</i>	
Нюбар Ибрагимова Натик	180
<i>ДИСКУССИЯ О МЕТОДЕ СОЦИАЛИСТИЧЕСКОГО РЕАЛИЗМА В СОВЕТСКОЙ И</i>	
<i>АЗЕРБАЙДЖАНСКОЙ ЛИТЕРАТУРЕ</i>	
Nubar Ibrahimova Natik	188
<i>DISCUSSIONS ABOUT THE METHOD OF SOCIALIST REALISM IN SOVIET AND AZERBAIJANI LITERATURE</i>	
სერგო კერესელიძე	189
<i>„ჭონასა“ და „ალილოს“ ტრადიციები თანამედროვე საინგილოში</i>	
Sergo Kereselidze	193
<i>"CHONA" AND "ALILO" TRADITIONS IN MODERN SAINGILO</i>	
მარიამ კობერიძე	193
<i>იოანე ქართველიშვილის პედაგოგიური და მთარგმნელობითი საქმიანობა</i>	
Mariam Koberidze	198
<i>PEDAGOGICAL AND TRANSLATION ACTIVITIES OF IOANE KARTVELISHVILI</i>	

Кокоева Лаура А.	199
<i>КАХУН В ГОДЫ ВЕЛИКОЙ ОТЕЧЕСТВЕННОЙ ВОЙНЫ</i>	
Kokoeva Laura A.	203
<i>KAHUN DURING THE GREAT PATRIOTIC WAR</i>	
Кцоева Жана Н.	204
<i>РОЛЬ СМИ В ФОРМИРОВАНИИ МИРОВОЗЗРЕНИЯ МОЛОДЕЖИ</i>	
Ktsoeva Zhana	204
<i>THE ROLE OF THE MEDIA IN SHAPING THE WORLDVIEW OF YOUNG PEOPLE</i>	
Catherine Lomia	207
<i>RUSSIA'S WAR IN UKRAINE AND THE OCCUPIED REGIONS OF GEORGIA: FUTURE PERSPECTIVES OF GEORGIAN-ABKHAZ AND GEORGIAN-OSSETIAN RELATIONS</i>	
ეკატერინე ლომია	214
<i>რუსეთის ომი უკრაინაში და საქართველოს ოკუპირებული რეგიონები: ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების სამომავლო პერსპექტივები</i>	
Маллаева Зулайхат М.	215
<i>ОСОБЕННОСТИ СИНТАКСИЧЕСКОГО ЧЛЕНЕНИЯ ПРЕДЛОЖЕНИЯ ЭРГАТИВНОЙ КОНСТРУКЦИИ</i>	
Mallaeva Z.M.	220
<i>ON THE QUESTION OF THE SYNTAXIC PARTITION OF THE SENTENCE OF THE ERGATIVE CONSTRUCTION</i>	
ხვთისო მამისიმედიშვილი	221
<i>შავი ჭირის გამავრცელებელი არსებები ქართულ და ოსურ ფოლკლორში (ქართული „ჟამნი“ და ოსური „ჟემინა“)</i>	
Khvtiso Mamisimedishvili	228
<i>CREATURES SPREADING THE PLAGUE IN GEORGIAN AND OSSETIAN FOLKLORE (Georgian “Zhamni” and Ossetian “Zhemina”)</i>	
Мардеян Ноэми А.	230
<i>ПЕДАГОГИЧЕСКИЕ ИДЕИ И ОПЫТ СЕМЕЙНОГО ВОСПИТАНИЯ НАРОДОВ СЕВЕРНОГО КAVKAZA И ЗАКАВКАЗЬЯ</i>	
Mardeyan N.A.	231
<i>PEDAGOGICAL IDEAS AND EXPERIENCE OF FAMILY EDUCATION OF THE PEOPLES OF THE NORTH CAUCASUS AND TRANSCAUCASIA</i>	
მარიამ მარჯანიშვილი	232
<i>ნართული ეპოსი – ნოდარ ბანძელაძის შემოქმედებაში</i>	
Mariam Marjanishvili	237
<i>A WOVEN EPIC – IN THE WORK OF NODAR BANDZELADZE</i>	
მიხეილ მახარაძე	237
<i>ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხები ქართველ ფილოსოფოსთა შრომებში</i>	
Mikheil Makharadze	253
<i>ISSUES OF LITERATURE AND ART IN WORKS OF GEORGIAN PHILOSOPHERS</i>	

Мерзляков Михаил П.	254
<i>ОПЫТ РЕКОНСТРУКЦИИ ВОИНСКОГО ДОСПЕХА АЛАНСКОГО ВОИНА И ПРОБЛЕМА ИНТЕРПРЕТАЦИИ</i>	
Merzlyakov Mikhail P.	255
<i>THE EXPERIENCE OF RECONSTRUCTION OF THE MILITARY ARMOR OF THE ALAN WARRIOR AND THE PROBLEMOF INTERPRETATION</i>	
ალექსანდრე მგებრიშვილი	257
<i>ოსური თანავარსკვლავედი ქართულ-ოსურ ლიტერატურულ და კულტურულ ურთიერთობებში (XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ ათწლეულებში)</i>	
Aleksandre Mgebrishvili	274
<i>OSSETIAN CONSTELLATION IN GEORGIAN-OSSETIAN LITERATURE AND IN CULTURAL RELATIONS (in the second half of the 19th century and the first decades of the 20th century)</i>	
Плиева Лана Т.	275
<i>МАМСЫРАТЫ ТЕМЫРБОЛАТ – ФЫЦЦАГ ИРОН ПРОФЕССИОНАЛОН ПОЭТ, ИРОН АИВ ДЗЫРДЫ ДÆСНЫ, ЙÆ АИВАДОН ÆНКЪАРÆНТЫ ХИЦÆНДЗИНÆДТÆ</i>	
Plieva Lana T.	279
<i>TEMIRBOLAT MAMSUROV – THE FIRST OSSETIAN POET, THE OSSETIAN ARTISTIC WORDS MASTER, HIS FEATURES OF THE ARTISTIC WORLDVIEW</i>	
Плиева Маргарита Г.	279
<i>ИЛЛЮСТРАЦИИ М.Ф. ДЖИКАЕВА К «ОСЕТИНСКИМ ПЕСНЯМ» ТЕМЫРБОЛАТА МАМСУРОВА</i>	
Plieva Margarita G.	285
<i>ILLUSTRATIONS BY M. F. DZHICAIEV TO THE POEMS OF TEMYRBOLAT MAMSUROV</i>	
ნინო პოპიაშვილი	285
<i>ოსური ლიტერატურის სათავეებთან – თემირბოლათ მამსუროვის შემოქმედება</i>	
Nino Popiashvili	288
<i>AT THE DAWN OF OSSETIAN LITERATURE – TEMIRBOLAT MAMSUROV'S WORK</i>	
ირინე საგანელიძე	289
<i>ეთნიკური უმცირესობების კულტურათა მხარდაჭერის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა სანიმუშო მაგალითები (2009-2019)</i>	
Irine Saganelidze	291
<i>SAMPLE EXAMPLES OF MEASURES TAKEN TO SUPPORT ETHNIC MINORITIES</i>	
ვაჟა სანთელაძე	292
<i>ნიკოწმინდის მონასტრის XI ს ბოლო მეოთხედის (არასრული) ქონებრივი მდგომარეობა (ისტორიული საბუთების მიხედვით)</i>	
Vazha Santeladze	298
<i>PROPERTY CONDITION (INCOMPLETE) OF NIKOTSMINDA MONASTERY IN THE LAST QUARTER OF THE XI CENTURY (Based on historical documents)</i>	
ლელა სარალიძე	298
<i>საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ოსეთის პოლიტიკური სტატუსის ისტორიიდან (1918-1921 წწ.)</i>	
Lela Saralidze	303
<i>FROM THE HISTORY OF THE POLITICAL STATUS OF OSSETIA IN THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA (1918-1921)</i>	

Сефербеков Руслан И.	304
<i>ОБ ОДНОМ ПРЕДСВАДЕБНОМ ОБРЯДЕ АВАРЦЕВ ГУМБЕТА: КУКОЛЬНЫЙ ДАРООБМЕН</i>	
Seferbekov Ruslan I.	305
<i>A PRE-WEDDING RITUAL OF GUMBET-AVARS: DOLL EXCHANGE</i>	
მარი სიმონიშვილი	306
<i>გივი მარგველაშვილის ნოუმენები ანუ ყველაფერი ტექსტია</i>	
Mari Simonishvili	314
<i>GIVI MARGVELASHVILI'S NOUMENI, THAT IS, EVERYTHING IS TEXT</i>	
ქეთევან სიხარულიძე	315
<i>სამონადირეთ თემა ოსურ ფოლკლორში</i>	
Ketevan Sikharulidze	318
<i>HUNTING THEME IN OSSETIAN FOLKLORE</i>	
გიორგი სოსიაშვილი	319
<i>შოტლანდიელი ექიმი, ბოტანიკოსი და მოგზაური რობერტ ლაიელის ცნობები ოსების შესახებ</i>	
Giorgi Sosiashvili	329
<i>SCOTTISH DOCTOR, BOTANIST AND TRAVELER ROBERT LYALL'S SOURCES ABOUT OSSETIANS</i>	
Сугаров Давид А.	330
<i>РАЗВИТИЕ ПРОМЫШЛЕННОСТИ ВО ВЛАДИКАВКАЗЕ И ТБИЛИСИ КАК ФАКТОР ИХ ГРАДОСТРОИТЕЛЬНОГО ФОРМИРОВАНИЯ: 1917-1991 ГОДЫ*</i>	
Sugarov David A.	338
<i>INDUSTRIAL DEVELOPMENT IN VLADIKAVKAZ AND TBILISI AS A FACTOR OF THEIR URBAN DEVELOPMENT: 1917-1991</i>	
სალომე სუხიაშვილი	341
<i>მანკიერებათა მხილება და იუმორი არსენ კოტსოიტის მოთხრობებში „გიგოს აღდგომა“ და „მეგობრები“</i>	
Salome Sukhiashvili	345
<i>EXPOSURE OF VICES AND HUMOR IN ARSEN KOTSOIT'S STORI, GES "EASTER GIGO" AND "FRIENDS"</i>	
Тертерян Ашкен Г., Бесолов Владимир Б.	345
<i>ПЛАНИРОВОЧНАЯ СТРУКТУРА ИСТОРИЧЕСКИХ ЦЕНТРОВ СТОЛИЧНЫХ ГОРОДОВ ВЛАДИКАВКАЗ И ТБИЛИСИ: ПРИНЦИПЫ, ЗАКОНОМЕРНОСТИ, ОСОБЕННОСТИ</i>	
Terteryan Ashkhen G., Besolov Vladimir B.	353
<i>THE PLANNING STRUCTURE OF THE HISTORICAL CENTERS OF THE CAPITAL CITIES OF VLADIKAVKAZ AND TBILISI: PRINCIPLES, PATTERNS, FEATURES</i>	
შორენა შავრეშიანი	353
<i>“ნიკო ფიროსმანისა და ხაფოს სამოქმედო სივრცე, ტექსტის ქრონოტოპოსი (აკა მორჩილადის ნაწარმოების „ქართულის რვეულები – XIX საუკუნის სურათები“ და მადათოვის ტრილოგიის პირველი ციკლის „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ მიხედვით)“</i>	
Shorena Shavreshiani	358
<i>THE ACTION SPACE OF NIKO FIROSMAN AND KHAFO, THE CHRONOTOPE OF THE TEXT (ACCORDING TO THE WORK "GEORGIAN NOTEBOOKS – 19TH CENTURY PICTURES" AND THE FIRST CYCLE OF MADATOV'S TRILOGY "FLIGHT OVER MADATOV AND BACK")</i>	

შორენა შამანაძე, ნათელა ჩიტაური	359
<i>საბჭოთა წარსულის რეცეფცია ახალი 'Weltliteratur'-ის ჭრილში (რუსკა ჟორჟოლიანის „შენი აქ ყოფნა, როგორც ქალაქი“ და კატია პეტროვსკაიას „აღბათ ესთერი“)</i>	
Shorena Shamanadze, Natela Chitauri	365
<i>RECEPTION OF THE SOVIET PAST IN THE CONTEXT OF NEW 'WELTLITERATUR' (Ruska Zhorzholiani's novel Your Being Here as a City and Katya Petrovskaya's novel Perhaps Esther)</i>	
ნოდარ შოშიტაშვილი	366
<i>გიორგი ჯალაბაძე – 100. მეცნიერი და სამუშაო მოღვაწე</i>	
Nodar Shoshitashvili	371
<i>GIORGI JALABADZE, GEORGIAN SCIENTIST-ETHNOLOGIST AND MUSEUM WORKER (In relation to his 100th birthday)</i>	
რუსუდან ჩოლოყაშვილი	372
<i>დამარცხებული ქალღმერთება ჯალღმერთ ზღაპარში</i>	
Rusudan ColokaSvili	375
<i>A DEFEATED DEITY IN A MAGICAL TALE</i>	
მერაბ ჩუხუა	377
<i>ჰარმონიულ-დევსიურ კომპლექსთა ისტორიისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში</i>	
Merab Chukhua	381
<i>FOR THE HISTORY OF HARMONIC-DESCENDING COMPLEXES</i>	
ზაზა ცოტნიაშვილი	382
<i>ქართულ-ოსური ურთიერთობების კოლოტიკური გაშუქება</i>	
Zaza Tsotniashvili	386
<i>POLITICAL COVERAGE OF GEORGIAN-OSSETIAN RELATIONS</i>	
მამუკა ცუხიშვილი (მონაზონი იოანე)	386
<i>ქალაქი მცხეთა ახ. წ. I-IV საუკუნეებში</i>	
Mamuka Tsukhishvili (Monk Ioane)	391
<i>CITY OF MTSKHETA IN THE I-IV CENTURIES</i>	
Халидова Рашидат Ш.	391
<i>ПРОЯВЛЕНИЯ АНДРОЦЕНТРИЗМА В АВАРО-АНДИЙСКИХ ЯЗЫКАХ</i>	
Khalidova R. Sh.	394
<i>MANIFESTATIONS OF ANDROCENTRISM IN AVARO-ANDIAN LANGUAGES</i>	
Ханбалаева Сабина Н.	395
<i>СТРУКТУРА СЕМАНТИЧЕСКОГО ПОЛЯ БУДУЩЕГО В ЛЕЗГИНСКОМ ЯЗЫКЕ</i>	
Khanbalaeva S.N.	400
<i>THE STRUCTURE OF THE SEMANTIC FIELD OF THE FUTURE IN THE LEZGI LANGUAGE</i>	
Каэ Хисаока	400
<i>НЕКОТОРЫЕ СХОДСТВА В СЮЖЕТАХ "НАРТСКИЙ ЭПОС" И "КОДЗИКИ" - ЯПОНСКОГО МИФА О СОТВОРЕНИИ МИРА</i>	
Кае Hisaoka	402
<i>SOME SIMILARITIES IN THE "NART EPIC" AND "KOJIKI" - JAPANESE CREATION MYTH</i>	

Хуриты Нелли С.	403
<i>МАМСЫРАТЫ ТЕМЫРБОЛАТЫ ЗАРДЖЫТÆ ИРОН ЛИТЕРАТУРÆЙЫ</i>	
Khurieva Nelly	405
<i>SONGS OF TEMIRBOLAT MAMSUROV IN OSSETIAN LITERATURE</i>	
ნიკო ჯავახიშვილი	406
<i>ლევან ხეთაგუროვის სახელის წარმომავლობის დადგენისათვის</i>	
Niko Javakhishvili	416
<i>ON THE ORIGIN OF LEVAN KHETAGUROV'S NAME</i>	
მარია ჯიქია	417
<i>თურქულ ენათა ერთი ფონოტაქტიკური თავისებურების შესახებ</i>	
Marika Jikia	420
<i>ABOUT ONE PHONOTACTICAL PECULIARITY OF TURKIC LANGUAGES</i>	



გამომცემლობა „უნივერსალი“
Publishing House “UNIVERSAL”

თბილისი, 0186, ა. პოლიტოვსკაია. 4, ☎: 5(99) 33 52 02 , 5(99) 17 22 30
4,A. Politkovskaia st., 0186, Tbilisi, Georgia ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universali505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com



VIII სერთაშორისო კონფერენცია
VIII INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE

**„ქართულ-ოსურ ურთიერთობათა
განვითარების პერსპექტივები“**

**«DEVELOPMENT OF
GEORGIAN-OSSETIAN RELATIONSHIP»**

მასალები
PROCEEDINGS

კონფერენცია ეძღვნება ოს მუჰაჯირ პოეტს თემირბოლათ მამსუროვს

**VIII INTERNATIONAL CONFERENCE IS DEDICATED TO
TEMIRBOLAT MAMSUROV OSSETIAN POET MUKHAJIR**

გამომცემლობა „**უნივერსალი**“
Publishing House “**UNIVERSAL**”
თბილისი/Tbilisi
2023